Georgian Scientists

ქართველი მეცნიერები

ასოციაცია მეცნიერებისათვის

Association for Science

Journal DOI: https://doi.org/10.52340/gs

https://journals.4science.ge/index.php/GS/index

სარედაქციო საბჭო

თამარ ხახუტაშვილი: მთავარი რედაქტორი, კომპიუტერული მეცნიერებების მაგისტრი, ასოციაცია მეცნიერებისათვის პრეზიდენტი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი https://orcid.org/0000-0003-0953-2073

ნინო ბერიანიძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მთავარი რედაქტორის მოადგილე, კომპიუტერული მეცნიერებების მაგისტრი

მარიეტა სულაბერიძე - რედაქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერებების მაგისტრი

ომარ ლანჩავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ტექნიკური მეცნიერებების დოქტორი, პროფესორი ; https://orcid.org/0000-0003-4249-9404

მალხაზ წიქარიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რედაქტორი, პროფესორი

გელა ყიფიანი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რედაქტორი, პროფესორი

მარინა ქურდაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

მარიამ კობერიძე - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

გიორგი გოროშიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, https://orcid.org/0000-0002-6244-2942

ვახტანგ კვაჭაძე - ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი; https://orcid.org/0000-0002-3875-505X

ლელა ბახტაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ავთანდილ ამირანაშვილი - მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი

აგაევ რაუფ მაგსუდ ოღლუ - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოს მ. თოფჩუბაშევის სახელობის ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიული სნეულებათა დეპარტამენტის პროფესორი, კათედრის გამგე (ბაქო, აზერბაიჯანი)

ირაკლი ნადირაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პათოლოგიისა და კანის სიმსივნეების ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველო ისრაელის ერთობლივი კლინიკა GIDMEDI: თბილისი, საქართველო; https://orcid.org/0000-0002-4764-655X

ელი კაკიაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქირურგი, გალილეის სამედიცინო ცენტრი, ნაჰარია, ისრაელი; მედიცინის ფაკულტეტი გალილეაში, ბარ ილანის უნივერსიტეტი, საფადი, (ისრაელი); https://orcid.org/0000-0002-8796-9724

ლუის მ. ალედორტი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მერი ვაინფელდი კლინიკური კვლევის პროფესორი ჰემოფილიაში, მოუნთ სინაის მედიცინის სკოლა, ნიუ იორკი

ნადეი ჰაკიმი - GCSJ, MD, PhD, FRCS, FRCSI, FACS, FICS(Hon), FASMBS, FIMSA(Hon) მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტრანსპლანტაციის ქირურგი, ლონდონის საიმპერატორო კოლეჯი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი; ზოგადი ქირურგი, კლივლენდის კლინიკა (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი); http://orcid.org/0000-0001-9442-7950

მამუკა ბოკუჩავა - პროფესორი, სისხლძარღვთა ქირურგი, ანგიოლოგი, მედიცინის დოქტორი, ნ. ბოხუას სახელობის სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრის დირექტორის მოადგილე; https://orcid.org/0000-0002-6719-1302

მერაბ კილაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. აშშ-ს, საერთაშორისო, ევროპის და რუსეთის ქირურგთა ასოციაციების წევრი, ქირურგი, კლინიკა გიდმედის ქირურგიული სამსახურის უფროსი

გოგი (გიორგი) ბოჭორიშვილი - პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, უროლოგი, თბილისი, საქართველო

ნინო კიკნაძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველოს გარემოს დაცვის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. ამერიკის ქიმიის საზოგადოების (ACS) წევრი, ბათუმი, საქართველო; https://orcid.org/0000-0001-7864-3899

ავთანდილ ბარდაველიძე - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტექსტის რედაქტორი:

მარიამ ჩაჩანიძე -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიხეილ ერგემლიძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ინფორმატიკის ბაკალავრი

ვებ რედაქტორი:

გიორგი ბანეთიშვილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

სარჩევი

ნინო ღუდუშაური - ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების გამოყენების ეფექტიანობის შეფასების ბიზნეს-პროცესის დაპროექტება ---------- 1-17

ელენე ფანცხავა - ხელოვნური ინტელექტი ენერგეტიკულ ინდუსტრიაში ---------- 18-26

ნანა შაშიაშვილი - მტკიცებულებებზე დაფუძნებული ფარმაცია: მეცნიერული მიდგომა სამკურნალო საშუალებების უსაფრთხო და ეფექტური გამოყენებისთვის------ 27-38

სოფია მშვილდაძე - განათლების რეფორმა და მეოთხე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ---------- 39-42

ლალი ბარბაქაძე, ნიკოლოზ კინტრაია, გიორგი ბურკაძე, შოთა კეპულაძე - CDK4-ისა და ციკლინის D1-ის ექსპრესიის თავისებურებები საშვილოსნოს სტრომულ სიმსივნეებსა და სარკომებში: დიაგნოსტიკური და პროგნოზული მნიშვნელობა--------- 43-55

გიორგი-ჯემალ გოგიტიძე, შოთა კეპულაძე, გიორგი ბურკაძე - სისხლძარღვთა რემოდელირების თავისებურებები საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზიისა და ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის შემთხვევებში: ციფრულ პათოლოგიაზე დაფუძნებული მორფომეტრული და იმუნოჰისტოქიმიური ანალიზი-- 56-68

ნანა შაშიაშვილი - ხელოვნური ინტელექტი სააფთიაქო სერვისებში და ფარმაკოინტელექტის კონცეფცია---------- 69-79

ნანა შაშიაშვილი, ნინო ბაქრაძე - ფარმაცევტული ბაზარი და სააფთიაქო მომსახურება: გამოწვევების და შესაძლებლობების ანალიზი გერმანული მოდელის მაგალითზე------ 80-95

გიორგი-ჯემალ გოგიტიძე, შოთა კეპულაძე, გიორგი ბურკაძე - ნერვული მიკროგარემოს რემოდელირების თავისებურებები საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელურ ნეოპლაზიასა და ბრტყელუჯრედოვან კარცინომაში---------- 96-109

კახა გორგაძე, მაგდა მეცხვარიშვილი, მიხეილ ჯანიკაშვილი, თამარ ბერბერაშვილი, მედეა ბურჯანაძე, ნიკოლოზ ვაჩაძე - Ti-Nb-ის ბინარულ შენადნობში პირდაპირი და შებრუნებული მარტენსიტული გარდაქმნის ტემპერატურული ინტერვალის დადგენა ელექტრო წინაღობისა და დიფერენციალური თერმული ანალიზის საშუალებით------- 110-121

ლანა დათუაშვილი, მაია ვანიძე, ინდირა ჯაფარიძე, ნონა სურმანიძე, ალეკო კალანდია, ინგა ბოჭოიძე - ქაცვის ნაყოფის კაროტინოიდების ექსტრაქციის „მწვანე“ მიდგომები და მათი როლი ოფთალმოლოგიაში---------- 122-129

ალიოშა ბაკურიძე, დალი ბერაშვილი, ლაშა ბაკურიძე, ია წურწუმია, ლამზირა ებრალიძე - მინერალების შემცველი პრეპარატების გამოყენების პერსპექტივები კოსმეტოლოგიაში---------- 130-143

მარი ნაცვლიშვილი - ურბანული ბლოკების ტიპები და მორფოლოგიური ანალიზი---- 144-153

მარიამ ხაბეიშვილი, ნინო ხაბეიშვილი - თანამედროვე ურბანული ხელოვნების სოციოკულტურული ასპექტები---------- 154-158

ეკატერინე შილაკაძე - მთის ტურიზმის მდგრადი განვითარება: წამყვანი ქვეყნები და საგანმანათლებლო პროგრამები---------- 159-168

პავლე იავიჩი, მზია კახეთელიძე, ბელა კიკალიშვილი - კოსმეტიკური და კოსმეცევტიკური საშუალებების წარმოებისთვის ზღვის წყალმცენარეების ნედლეულის სახით გამოყენების შესაძლებლობის შესახებ (მიმოხილვა)---------- 169-183

ნანა შაშიაშვილი - ფარმაცევტის სტრატეგიული როლი ეკოლოგიური საფრთხეების მართვაში---------- 184-195

ნანა შაშიაშვილი, მარიამ ბაქრაძე - ციფრული მარკეტინგის სტრატეგიები ფარმაცევტულ სექტორში---------- 196-210

სალომე ვორონოვი, რიმა ბერიაშვილი, ნინო ქანთარია, ეკა ეკალაძე - მინდობილი პროფესიული საქმიანობა - გზა კომპეტენციებიდან პროფესიონალიზმისკენ---------- 211-217

ნანული ტალახაძე, ნათია ნახუცრიშვილი, სანდრო ბახტაძე - ქართული რადიო მეორე მსოფლიო ომის დროს და ომის შემდგომ წლებში---------- 218-223

იზოლდა მამულაიშვილი, ვახტანგ გოლიაძე, დავით აფხაზავა, ეკატერინე გობრონიძე, ქეთევან ჩიკაშუა - აქტინიდიის (კივი) მინერალური კვება---------- 224-234

თენგიზი კუპრაშვილი - მარკეტინგ-მიქსის კონცეფცია რეგიონალური მარკეტინგის ჭრილში---------- 235-241

პავლე იავიჩი, მზია კახეთელიძე, ბელა კიკალიშვილი - ბუნებრივი მცენარეული ნივთიერებების მათი ნატივური ფორმით კოსმეტიკაში გამოყენების შესაძლებლობის შესახებ---------- 242-254

ელენე ფანცხავა, მაკა ჯიშკარიანი - ანაკლიის პორტი როგორც ენერგეტიკული ჰაბი: სტრატეგიული და ტექნოლოგიური ანალიზი---------- 255-263

მარიამ მამულაძე - ხანდაზმულობის ინსტიტუტი არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის გარანტად: სამოქალაქო სამართალწარმოების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები---------- 264-276

სალომე ვორონოვი, ნინო ქანთარია, რიმა ბერიაშვილი - მინდობილი პროფესიული საქმიანობის განხორციელების ეტაპები შინაგანი მედიცინის კლინიკური სწავლების პროცესში---------- 277-284

Uzoma Divinelove Moses Ozuomba - High Response of Human Muscles to Soundwaves in Electromyography and Artificial Intelligence Based Studies Supports the Effectiveness of Sound Therapy and Confirms the Existence of Sound-Induced Diseases---------- 285-297

Nika Todua, Malkhaz Getia, Davit Chincharadze, Nina Vachnadze - QUANTITATIVE DETERMINATION OF BERBERINE IN THE ABOVEGROUND ORGANS OF MAHONIA AQUIFOLIUM (PURSH) NUTT ---------- 298-305

გუჩა კობაიძე, თამარ საყვარელიძე, შოთა კეპულაძე, მარინა ჯანელიძე - პოსტკოვიდური გუნებ-განწყობის ცვლილების რისკ-ფაქტორები: ჯვარედინი კვლევა კავკასიელთა პოპულაციის კოჰორტაში---------- 306-316

ნინო ხაბეიშვილი, მარიამ ხაბეიშვილი - ფერ-სინათლის ინსტალაციები არქიტექტურულ გარემოში ---------- 317-322

გალია ცქვიტინიძე, ვლადიმერ თვალიაშვილი, ანა ჭულუხაძე - ქართული ნაგაზის თავის ტვინის ზოგიერთი ნერვის მორფოლოგია 323-328

Nodar Sulashvili, Lali Patsia, Awad El-Hakeem, Sk Ayaan, Arian Hizomi, Sajal Agarwal, Marika Sulashvili - EXPLORING THE GUT-BRAIN AXIS: THE ROLE OF THE MICROBIOME IN MODULATING BRAIN FUNCTION AND ITS IMPLICATIONS IN NEURODEGENERATIVE DISORDERS LIKE PARKINSON'S AND ALZHEIMER'S AND PHARMACOTHERAPY TREATMENT STRATEGIES---------- 329-353

ზაზა მარდალეიშვილი - ფრაქტალურობის იდენტიფიცირება და მონაცემთა გენერაცია ---------- 354-363

თამარ მათითაიშვილი, თამარ დომიანიძე, გიორგი ბურჯანაძე, მარიამ შენგელია, ნატო მენთეშაშვილი - სოციალური იზოლაციის შედეგები ქცევასა და ჰიპოთალამური მონოამინერგული ნეიროტრანსმისიის მახასიათებლებზე სხვადასხვა სოციალური სტატუსის ზრდასრულ ვირთაგვებში ---------- 364-374

ელზა ბიწაძე, ცაცა ნამჩევაძე - კორპორაციულ სისტემებში დოკუმენტბრუნვის ავტომატიზაცია ---------- 375-380

Nodar Sulashvili, Sharon Fernando, Awad El-Hakeem, Luiza Gabunia, Nana Gorgaslidze, Margarita Beglaryan, Lali Patsia, Natia Kvizhinadze, Marika Sulashvili - CLOSED-LOOP CARDIOPULMONARY BYPASS SYSTEMS WITH REAL-TIME MONITORING AND PHARMACOTHERAPY STRATEGIES: INNOVATIONS, OUTCOMES, CLINICAL IMPACT AND FUTURE DIRECTIONS IN GENERAL ---------- 381-419

მაია ლომსაძე-კუჭავა, თამარ წერეთელი, ქეთევან ქუთათელაძე - მენეჯმენტში რბილი უნარები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ---------- 420-426

მარინა ქურდაძე, მამაუკა გოგაძე - სკრემბლირების უმარტივესი ალგორითმი სიგნალის სიხშირული გარდაქმნის დროს ---------- 427-431

ვალერი ჯაჯანიძე, ნათია ბუთხუზი, მალხაზი ხვედელიძე - საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის არსებული მოდელის სრულყოფა სმარტ ტელემატიკური სისტემების გამოყენებით ---------- 432-438

ნანა ბენიძე, ჯამბულ ბიწაძე - ინდივიდუალური (კერძო) დაზღვევის როლი სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაციაში: გამოწვევები და შესაძლებლობები ---------- 439-445

ზაზა სოფრომაძე, ნანა შაშიაშვილი, ბესარიონ სიმონიშვილი - მედიკამენტოზური უსაფრთხოების გაუმჯობესება სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ---------- 446-458

Zaza Mardaleishvili - Linear Dependence of Pressure on Volume in Some Ideal Gas Problems- 459-466

ვახტანგ ბარბაქაძე, მაია მერლანი, ლალი გოგილაშვილი, ლელა ამირანაშვილი, კარენ მულკიჯანიანი - Boraginaceae-ს ოჯახის სხვადასხვა სამკურნალო მცენარის ბიოლოგიურად აქტიური პოლიეთილენგლიკოლის საფუძველზე მრავალკატექოლშემცველი ბიოპოლიმერი პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ) გლიცერინის მჟავა] ---------- 267-492

გიორგი არზიანი, გიორგი ჩხაიძე - ელექტროგადამცემი ხაზის განაწილებულპარამეტრებიანი მოდელის დეტალიზაციის ხარისხის გავლენა მის სიხშირულ მახასიათებლებზე---------- 493-502

ბექა გურგენიძე - მჭიდრო დასახლების პირობებში ახალი მშენებლობის დამცავი კონსტრუქციული სისტემების შერჩევა---------- 503-510

ნინო ვეფხვაძე, მანანა ხორბალაძე, ნინო კილაძე, ნანა ცხოვრებაძე, ირმა ცხოვრებაძე, თეა ქოჩორაძე-მარღიშვილი, ივანე კუგოტი - COVID-19 პანდემიის ეკოლოგიური გავლენა: ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ცვლილება საქართველოს დიდ ქალაქებში-- 511-519

ცაცა ნამჩევაძე, ელზა ბიწაძე - ობიექტურ–ორიენტირებული მონაცემთა ბაზების შესახებ---------- 520-529

ელისო მურადაშვილი, მედეა ბურჯანაძე, ზაირა ტყებუჩავა - ზოგიერთი ქიმიური პესტიციდების ეფექტურობა პომიდვრის სამხრეთ ამერიკული მენაღმე ჩრჩილის Tuta absoluta წინააღმდეგ---------- 530-538

მარიამ ხაბეიშვილი, ნინო ხაბეიშვილი - ქალაქის ბრენდინგი ---------- 539-543

ქეთევან ნათობიძე, მარიამ გასანოვა, ია წურწუმია, ალიოშა ბაკურიძე, მარიამ ტატანაშვილი - სალბის ანტიბაქტერიული მოქმედების კოსმეტიკური ფანქრების შემადგენლობის განსაზღვრა და ტექნოლოგიის დამუშავება---------- 544-554

Inga Abuladze, Maia Okhanasvili, Marina Kashibadze, Natalia Gabashvili, Tamar Gabashvili - Digital Transformation in the Educational Institutions---------- 555-562

ომარ ლანჩავა - გვირაბის ხანძრის პირობებში სავენტილაციო სისტემის ეფექტიანობისა და სიცოცხლის გადარჩენის ინტეგრირებული ანალიზი---------- 563-584

მალხაზ მებურიშვილი, თეა ცქიფურიშვილი - ტვირთების მიწოდების სისტემის შერჩევა---------- 585-601

Emeliane Gogilidze, Natia Gogilidze - Use of Artificial Intelligence in Automated Transportation Mmanagement---------- 602-607

გვანცა ბარდაძე, ირაკლი გორდიაშვილი - ჰარმონიკული რეზონანსის კვლევა მაღალი ძაბვის ქსელში---------- 608-616

ომარ ლანჩავა, ნატალია ბულია, მარიამი დარახველიძე - შრომის უსაფრთხოების განუხრელი დაცვის აუცილებლობა სამედიცინო სექტორში: არსებული პრობლემები, სისტემური გამოწვევები და სტრატეგიული რეკომენდაციები---------- 617-624

ქეთევანი მჭედლიძე, ლიანა ჯინჯოლია, თეონა კორკოტაძე, ჯემალ ანელი - კავკასიის ენდემური მცენარის Teucrium nuchense K.Koch -ის მიწისზედა გენერაციულ და ვეგეტატიურ ორგანოთა ანატომიური აგებულების თავისებურებანი (Labiatae)------- 625-636

ქეთევან მჭედლიძე, მარიამ ბენიძე, ვაჟა ნებიერიძე, ნათია საყვარელიძე, ნანული ბულისკერია, ეთერი ქემერტელიძე - Solanum persicum Willd. ex Roem. et Schult.-ის მიწისზედა ვეგეტატიურ ორგანოთა ანატომიური აგებულება ---------- 637-646

მანანა მამულაშვილი, გიორგი ბიბილეიშვილი, ზაზა ჯავაშვილი, თინათინ ბუთხუზი, ელენე კაკაბაძე - ღვინოსა და წყალში მიკროორგანიზმთა მორფოლოგიური და ტინქტორიალური მახასიათებლების განსაზღვრა ---------- 647-651

ქეთევან მძელური, ანა იმერლიშვილი - DevOps-ის პრაქტიკის შეფასება წარმატებულ საერთაშორისო კომპანიებში ---------- 652-657

გიორგი ბიბილეიშვილი, ზაზა ჯავაშვილი, ელენე კაკაბაძე, ლეილა თანანაშვილი, მანანა მამულაშვილი - ადგილობრივი და საერთაშორისო საპატენტო ნამუშევრების მოძიება და ანალიზი საფერავის, ქინძმარაულის, ხვანჭკარას, მუკუზანის ღვინომასალის მიკროფილტრაციული პროცესისათვის ცვალებადი ტემპერატურისა და სიბლანტის პირობებში---------- 658-666

გიორგი ბიბილეიშვილი, ნანა გოგესაშვილი, ელენე კაკაბაძე, ზაზა ჯავაშვილი, თინათინ ბუთხუზი - გამხსნელების გავლენა პოლიეთერსულფონური მემბრანების მახასიათებლებზე და პოლიმერის კონფორმაციული მდგომარეობაზე დასასხმელ ხსნარში დანამატად პვპ-ს გამოყენებისას---------- 667-672

გიორგი ბიბილეიშვილი, ლიანა ყუფარაძე, ზაზა ჯავაშვილი, მზია კეჟერაშვილი, ელენე კაკაბაძე - ბუნებრივ წყალზე ჰიბრიდული ნაკადის განხორციელების გზით ტანგენციალური ბარომემბრანული პროცესის თეორიული კვლევები და ექსპერიმენტების შედეგები ---------- 673-677

გიორგი ბიბილეიშვილი, ლიანა ებანოიძე, მანანა მამულაშვილი, ელენე კაკაბაძე, ზაზა ჯავაშვილი, მზია კეჟერაშვილი, თინათინ ბუთხუზი - ფაზური ინვერსიით მემბრანის მიღებისას დამლექავ და გამრეცხ აბაზანებში ხსნარების შედგენილობის კვლევა---------- 678-684

Zurab Kherodinashvili, Kholoud Al-Baker - Eye-Tracking Emotional and Spiritual Responses in Bilinguals: A Comparative Study of Georgian and Arabic Speakers ---------- 692-712

ნანა ბარათელი, სალომე ჭეიშვილი, ნიკა სანთელაძე, ელენე ჩიხლაძე, თამარ ფალავანდიშვილი - თაფლის ხარისხობრივი შედარებითი ანალიზი: ადგილობრივი და იმპორტირებული ნიმუშების ექსპერტიზის საფუძველზე ---------- 713-723

ელისო გველესიანი - მაკრო გარემოს გავლენა ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის განვითარებაზე ---------- 724-729

დიმიტრი კოჩაძე, ელგუჯა ლაჭყეპიანი, როზერტ მახარაშვილი - ქართული ტრადიციული ეთნოფარმაკოლოგია: ისტორიული საფუძვლები, სამკურნალო მცენარეთა კულტივაციის პრაქტიკა და ცოდნის გადაცემის გზები ---------- 730-744

ინგა გაფრინდაშვილი, ნარგული ასანიძე, მამუკა თურმანიძე, ხათუნა გამყრელიძე, თამილა არდემანაშვილი - დასავლეთ საქართველოში ინტროდუცირებული, რემონტატული ჟოლოს(Rubus idaeus) გაყინვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენება----- 745-753

გიორგი ბიბილეიშვილი, მზია კეჟერაშვილი, ნანა გოგესაშვილი, ლიანა ყუფარაძე, ელენე კაკაბაძე - გამხსნელის ბუნების გავლენის კვლევა პოლიეთერსულფონური მემბრანის წარმადობაზე---------- 754-759

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.01



ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების გამოყენების ეფექტიანობის შეფასების ბიზნეს-პროცესის დაპროექტება

ნინო ღუდუშაური
დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, e-mail: ghudushauri.nino22@gtu.ge

რეზიუმე

ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები სწორად უნდა იყოს არჩეული/დაპროექტებული, დანერგილი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სწორად უნდა მიმდინარეობდეს მათი განვითარება. ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები არ ინერგება და არ ვითარდება სპონტანურად, მათი დაპროექტება/შეძენა, დამუშავება, განვითარება ხორციელდება ინფორმაციული ტექნოლოგიების და მის ფარგლებში ინფორმაციული სისტემების სტრატეგიის საფუძველზე. შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების და სისტემების სასიცოცხლო ციკლის თითოეული ეტაპის სამუშაოების განუყოფელ და მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მათი ეფექტიანობის შეფასება.

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების ეფექტიანობის შეფასება ხდება სხვადასხვა მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით განსხვავებულ პარამეტრებზე ყურადღების გამახვილებით. არსებობს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების ეფექტიანობის შეფასების მრავალი სახის პარამეტრი და მათი კლასიფიკაცია. ნაშრომში განხილულია კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც პარამეტრები იყოფა მათი შეფასების მეთოდებით ორ ჯგუფად: **შეფარდებითი** და **აბსოლუტური შეფასების.** შეფარდებითი შეფასება იყოფა შემდეგ ჯგუფებად - ამოცანების შესრულების და შრომის პროდუქტიულობის მაჩვენებლების შეფასებად, ხოლო აბსოლუტურ შეფასებაში ერთიანდება ოპერაციული, ტექნიკური და ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლების შეფასება. ნაშრომში მოყვანილია შესაბამისი ეფექტიანობის მაჩვენებლები და მათი შეფასების მეთოდები.

აღსანიშნავია, რომ შეფასების პარამეტრების და მეთოდების სიმრავლე განაპირობებს გარკვეულ პრობლემებს მათი შერჩევის თვალსაზრისით. თითოეული კომპანია თვითონ ირჩევს, თუ რა პარამეტრების მიხედვით და,

შესაბამისად, რა მეთოდებით შეაფასოს ინფორმაციული ტექნოლოგიების და სისტემების ეფექტიანობა.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფორმაციული ტექნოლოგიების და სისტემების ეფექტიანობის შეფასების პროცესს, რომელიც თავის მხრივ სწორად და ოპტიმალურად უნდა იყოს წარმართული. ამ მიზნით წარმოდგენილია ინფორმაციული ტექნოლოგიების და სისტემების ეფექტიანობის შეფასების ბიზნეს-პროცესის შემუშავება, ბიზნეს-პროცესის მოდელის აგება, მისი სიმულაცია და ამ სიმულაციის შედეგების განხილვა.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული სისტემის და ტექნოლოგიების ეფექტიანობის შეფასება, ბიზნეს-პროცესი, ბიზნეს-პროცესის მოდელირება და შეფასება.

შესავალი

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ინფორმატიზაცია არის გლობალური **სოციალურ-ეკონომიკური** პროცესი, რომლის დამახასიათებელი და განუყოფელი თვისებაა საზოგადოებრივი წარმოების სფეროში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების და სისტემების საფუძველზე ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, შენახვა, პრეზენტაცია და გამოყენება. ინფორმაციული საზოგადოების არსებობა შეუძლებელია ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების გარეშე.

განსაკუთრებით შეიძლება აღინიშნოს ბიზნესი, რომელიც ხორციელდება მძიმე არამდგრად ეკონომიკურ ვითარებაში და სხვადასხვა სახის კრიზისების ფონზე. ამიტომ იმისათვის, რომ ბიზნესი იყოს მომგებიანი, კონკურენტუნარიანი და უწყვეტი, ის აუცილებლად უნდა იყენებდეს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და სისტემებს. არ აქვს მნიშვნელობა რა მასშტაბისაა ბიზნესი, მისი ფუნქციონირება მთლიანად დამოკიდებულია ინფორმაციული სისტემის და ტექნოლოგიის ეფექტიან მუშაობაზე. ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ინფორმაციული სისტემა სრულად პასუხისმგებელია ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციის ბიზნეს-პროცესების წარმატებით შესრულებაზე.

ეს ყველაფერი შესაძლებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების და სისტემების სწორი ორგანიზების, ფუნქციონირების და მათი მხრიდან ორგანიზაციის მართვის პროცესის საუკეთესო სახით მხარდაჭერის შემთხვევაში. ამ მიზნით ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების განვითარების ყველა ეტაპზე უნდა მიმდინარეობდეს მათი ეფექტიანობის შეფასება, რაც განაპირობებს მათ წარმატებულ ფუნქციონირებას.

ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები შეუძლებელია ორგანიზაციაში დაინერგოს და განვითარდეს სპონტანურად - მათი არჩევა, შექმნა/შეძენა, დამუშავება, განვითარება განპირობებულია და ხორციელდება ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების სტრატეგიის შესაბამისად, ინფორმაციული სისტემების შემთხვევაში კი ინფორმაციული სისტემების

სტრატეგიის საფუძველზე, რომელიც არის IT-სტრატეგიის ქვესტრატეგია. ამ სტრატეგიების შემუშავების და განხორციელების პროცესი წარმოადგენს გარკვეული ეტაპების განმეორებად თანმიმდევრობას. შესაბამისად, თითოეული ეტაპის სამუშაოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს **ინფორმაციული ტექნოლოგიების და სისტემების ეფექტიანობის შეფასება.** განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან და სისტემებთან დაკავშირებული პროექტების დასახვის, შექმნის, შეფასების, რამდენიმე პროექტის ერთმანეთთან შედარების და საუკეთესო პროექტის შერჩევის პროცესში. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ეფექტიანობის შეფასების პროცესი აუცილებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების და სისტემების სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე. [4,5]

ინფორმაციული ტექნოლოგიების და სისტემების ეფექტიანობის შეფასება ხდება განსხვავებული მიდგომით, სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით განსხვავებულ პარამეტრებზე ყურადღების გამახვილებით. არსებობს მრავალი სახის პარამეტრი და მათი კლასიფიკაცია. ნაშრომში მოყვანილია პარამეტრების კლასიფიკაცია მათი განსაზღვრის/გაანგარიშების მიდგომის მიხედვით. ამ კლასიფიკაციის მიხედვით შეფასების პარამეტრები იყოფა ორ ჯგუფად: შეფარდებითი და აბსოლუტური შეფასების მიხედვით.

შეფარდებითი შეფასება იყოფა შემდეგ მეთოდებად: ამოცანების შესრულების და შრომის პროდუქტიულობის მაჩვენებლების შეფასებად, ხოლო აბსოლუტური შეფასება - ოპერაციული, ტექნიკური და ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლების შეფასებად. შემდეგში განხილულია აღნიშნული მაჩვენებლები და მათი შეფასების მეთოდები.

როგორც აღვნიშნეთ, არსებობს მრავალი შეფასების მეთოდი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა პარამეტრებზე და გამოიყენება სხვადასხვა პირობებში. ინფორმაციული ტექნოლოგიების და სისტემების ეფექტიანობის შეფასების პროცესში უნდა იყოს უზრუნველყოფილი დასმული ამოცანის შესაბამისი მეთოდების შერჩევა, ამ მეთოდების ღრმა შესწავლა და მათი გამოყენების ისეთი პროცესის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს უწყობს ეფექტიანობის შეფასების საუკეთესო სახით განხორციელებას.

ეფექტიანობის შეფასება ზოგადად საკმაოდ რთულ და ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ შეფასების პარამეტრების და მეთოდების სიმრავლე განაპირობებს გარკვეულ პრობლემებს მათი შერჩევის თვალსაზრისით. ჩვეულებრივ თითოეული კომპანია თვითონ ირჩევს, თუ რა პარამეტრების მიხედვით და, შესაბამისად, რა მეთოდებით შეაფასოს თავისი ინფორმაციული ტექნოლოგიის და სისტემის ეფექტიანობა. აქედან გამომდინარე იმისათვის, რომ ეს პროცესი სწორად წარიმართოს სასურველია აიგოს მისი ბიზნეს-პროცესი. შესაბამისად წარმოიშვება ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების ეფექტიანობის შეფასების ბიზნეს-პროცესის დაპროექტების ამოცანა.[1,2,3]


ზოგადად, ბიზნეს-პროცესის დაპროექტების ტექნოლოგია ხდის კომპანიის ყველა ოპერაციას გამჭვირვალესა და გასაგებს, საშუალებას იძლევა გაანალიზდეს ოპერაციები და აღმოჩენილ იქნას პრობლემები, რომლებიც იწვევს წარუმატებლობას. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი გააჩნია ბიზნეს–პროცესების მოდელირებას. ბიზნეს–პროცესების მოდელირება წარმოადგენს ნებისმიერი პროცესის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების მეთოდს. ბიზნეს–პროცესების მოდელირება იძლევა საშუალებას გაგებულ იქნას პროცესის არსი და ჩატარდეს მისი ანალიზი.

წარმოდგენილ ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფორმაციული ტექნოლოგიის და სისტემის ეფექტიანობის შეფასების პროცესს და მისი ბიზნეს-პროცესის აგებას, მოდელის შემუშავებას, სიმულაციას და ამ სიმულაციის შედეგების განხილვას.

ბიზნეს-პროცესის მოდელირებისა და შემდეგ სიმულაციის შედეგის მიღების შედეგად შესაძლებელია გაუმჯობესდეს და მიღწეულ იქნას ინფორმაციული ტექნოლოგიების და სისტემების შეფასების პროცესის მაქსიმალური ეფექტიანობა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ის-ის და იტ-ის გამოყენების საუკეთესო შედეგებს, რაც დადებით ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციის მართვაზე.

ძირითადი ნაწილი

ნებისმიერ ორგანიზაციაში მნიშვნელოვანია ინფორმაციული ტექნოლოგიის და სისტემის ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფა. ინფორმაციული ტექნოლოგია და სისტემა მიეკუთვნება რთული და დიდი სისტემების სიმრავლეს ექსპლუატაციის ხანგრძლივი პერიოდით. მათი ფუნქციონირებისა და განვითარების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს მეთოდური აპარატის შემუშავება, რომელიც იძლევა საშუალებას ჩატარდეს ინფორმაციული სისტემის და ტექნოლოგიის ეფექტიანობის შეფასება მათი სასიცოცხლო ციკლის ყველა სტადიაზე [1].



ნახ.1. IS-ის და IT-ის შეფასების პარამეტრების კლასიფიკაცია მათი განსაზღვრის მიდგომის მიხედვით

დავახასიათოთ თავად პარამეტრები და მათი შეფასების მეთოდები.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ განიხილავენ მრავალი სახის პარამეტრებს და არსებობს მათი კლასიფიკაციები განსხვავებული ნიშანთვისებების საფუძველზე. შემდეგ (ნახ.1) მოყვანილია ერთ-ერთი კლასიფიკაცია, სადაც პარამეტრები იყოფა მათი **განსაზღვრის მიდგომის მიხედვით** ორ მსხვილ ჯგუფად: **შეფარდებითი** და **აბსოლუტური შეფასებების მიხედვით.** მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

პარამეტრებში, რომლებიც ფასდება **შეფარდებითი შეფასების მეთოდებით** შედის შემდეგი მაჩვენებლები: **ამოცანების შესრულების და შრომის პროდუქტიულობის.**

ამოცანის შესრულების შეფასებაში შედის **პროცესის ძირითადი მაჩვენებლების** (KPI – Key Performance Indicators) შეფასების მეთოდები, რომლებიც დამოკიდებულია პროცესის ხასიათზე, ორგანიზაციულ მიზნებზე და ინდუსტრიაზე. არსებობს რამდენიმე ძირითადი მეთოდი, რომლებიც ფართოდ გამოიყენება პროცესების ეფექტიანობის და მწარმოებლურობის გასაზომად. მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი:

1) **სტატისტიკური მეთოდები,** რომელშიც შედის შემდეგი მეთოდიკები: **დესკრიპტიული სტატისტიკა**, **სტატისტიკური პროცესის კონტროლი** SPC (Statistical Process Control) და **შვიდი ინსტრუმენტი;**
2) **ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის** მეთოდები: **ინვესტიციის უკუგება - ROI (Return on Investment), აღჭურვილობის საერთო ეფექტიანობა - OEE (Overall Equipment Effectiveness)** და **ხარჯ-სარგებლის ანალიზი - CBA (Cost-Benefit Analysis);**

3) **ეფექტიანობის და პროდუქტიულობის შეფასების** მეთოდები: **Lean & Six Sigma** და **Takt Time, Cycle Time, Throughput**;
4) **ხარისხის მართვის მეთოდები,** ამ ჯგუფში შედის: **DMAIC (Define განსაზღვრა, Measure გაზომვა, Analyze ანალიზი, Improve გაუმჯობესება, Control კონტროლი)**;
5) **ბენჩმარკინგი და შედარებითი ანალიზის** მეთოდები: **შიდა და გარე ბენჩმარკინგი** და **SWOT ანალიზი**.

რაც შეეხება **შრომის პროდუქტიულობის მაჩვენებელს** - აქ ყურადღება გამახვილებულია სისტემის მომხმარებელთა მუშაობის მაღალი ხარისხის პროცესის დიზაინზე. მაგალითად, ვირტუალური ოფისები უზრუნველყოფს უკეთეს ბალანსს სამუშაოსა და ცხოვრებას შორის (Accenture, IBM). თუმცა არსებობს ვარიაციები, რომელიც მუშაობს ხარისხის კონცეფციის განსაზღვრასა და გაზომვაზე, ვინაიდან სხვადასხვა ჯგუფს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული ინტერესები.

სოციალური ეფექტიანობის შესაფასებლად გამოიყენება მიდგომების მთელი სისტემა, რომელიც იყოფა შემდეგ ჯგუფებად: **რთული (კომპლექსური) მეთოდები, ალბათური მეთოდები და მეთოდები, რომლებიც ზომავს ზოგიერთ ადაპტაციურ ეფექტს**:

1. **რთული (კომპლექსური) მეთოდების** ჯგუფში შეიძლება მიკუთვნებულ იქნას შემდეგი მეთოდიკები: მაჩვენებლების დაბალანსებული სისტემა(Balanced Scorecard, BSC), დაბალანსებული ქულების ბარათი IT-სთვის (IT Scorecard), ინფორმაციული ეკონომიკა (Information Economics, IE), ერთიანი ეკონომიკური ეფექტის მოდელი (Total Economic Impact, TEI), სწრაფი ეკონომიკური დასაბუთება (Rapid Economic Justification, REJ), ეკონომიკური ღირებულების წყარო (Economic Value Sourced, EVS), კოორდინატები საინფორმაციო სისტემის სამგანზომილებიან სივრცეში;

2. **ალბათური მეთოდები** - აქ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ: გამოყენებითი ინფორმაციული ეკონომიკის მეთოდი (Applied information economics, AIE) და რეალური ვარიანტის შეფასების მეთოდი (Real Option Valuation, ROV);

3.**მეთოდები, რომლებიც ზომავს ზოგიერთ ადაპტაციურ ეფექტს** - ამ ჯგუფში წარმოდგენილია შემდეგი მეთოდიკები: სამომხმარებლო ინდექსის მეთოდიკა (Customer Index); ჰედონიკური ხელფასის მეთოდიკა; "დაინტერესებული მხარეების" მეთოდიკა და "Gartner-measurement" მეთოდი (GartnerMeasurment).

აბსოლუტური შეფასების მაჩვენებლებში, გამოყოფილია სამი ჯგუფი: **ოპერაციული, ტექნიკური** და **ეკონომიკური** ეფექტიანობის.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ოპერაციული ეფექტიანობის მაჩვენებლები - მათი საშუალებით მოწმდება რამდენად აკმაყოფილებს ინფორმაციული ტექნოლოგია და სისტემა თავის მიზნებს მომხმარებლის თვალსაზრისით, რომელიც სისტემასთან რეგულარულად ურთიერთობს. ოპერაციული ეფექტიანობის შესაფასებლად გამოიყენება ოთხი ჯგუფის მაჩვენებლები: **გამოყენების სიხშირე, გამოყენების ხასიათი, გამოყენების**

სიმარტივე და **მომხმარებლის კმაყოფილება.** თუ სისტემა ხშირად გამოიყენება, ის უფრო ეფექტიანი იქნება მისი საბოლოო მომხმარებლის ხედვიდან გამომდინარე. აქ შეიძლება იყოს გამოყენებული სხვადასხვა მეთოდები: UX-ის, გამოკითხვის და სხვა შესაბამისი შეფასების მეთოდები.

ტექნიკური ეფექტიანობა - ტექნიკური ეფექტიანობის ინდიკატორებმა უნდა შეაფასონ საინფორმაციო სისტემების და ტექნოლოგიების ტექნიკური სრულყოფა, შეაფასონ ორგანიზაციის სამეცნიერო და ტექნიკური დონე და ამ სისტემის ფუნქციონირება.

ტექნიკური ეფექტიანობის შემთხვევაში მიზნების მიღწევის შესაფასებლად უნდა იყოს განსაზღვრული ეფექტიანობის კრიტერიუმები. ეფექტიანობის კრიტერიუმი განისაზღვრება პარამეტრების სიმრავლეზე. ხოლო პარამეტრები (ანუ მაჩვენებლები) წარმოადგენენ მახასიათებლებს, რომელიც აღიწერება რაოდენობრივად და იძლევა საშუალებას შეფასდეს სისტემის ერთ-ერთი თვისება.

მაჩვენებლების რაოდენობა დამოკიდებულია ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების ტიპსა და ამოცანებზე. ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებლებში გამოყოფენ - **ინტეგრალურ, განზოგადოებულ** და **კერძო მაჩვენებლებს.**

ტექნიკური ეფექტიანობის განსაზღვრის დროს გამოიყენება შემდეგი მეთოდები: **საშუალო შეწონილის და იერარქიების ანალიზის, პარეტოს, თანმიმდევრული დათმობის** და **ფუნქციონირების გარსის/გარემოს ანალიზის მეთოდები** [13].

ეკონომიკური ეფექტიანობა - მოითხოვს ხარჯებისა და სარგებლის იდენტიფიცირებას და მათ სათანადო შეფასებას. ზოგჯერ ამის მიღწევა რთულია, რადგან ხარჯები და სარგებელი დამოკიდებულია ინფორმაციული სისტემების, ინფორმაციული ტექნოლოგიების და ტექნიკური პროექტის ხასიათზე. ხშირად შეუძლებელია ყველა ხარჯისა და სარგებელის პირდაპირ თვალყურის დევნა, დიდი რაოდენობის ბიზნეს-ფუნქციების გამო. ინფორმაციული ტექნოლოგიიდან და სისტემიდან მოსალოდნელი და მიღებული ზოგიერთი სარგებელი დაფუძნებულია კონტექსტურ გამოყენებაზე.

ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების მეთოდები იყოფა სამ ჯგუფად: **კლასიკური, თანამედროვე** და **შეფასების მეთოდები IT-ის კუთხით**.

კლასიკური მეთოდები იყოფა შემდეგ მეთოდებად: დანახარჯების, პირდაპირი შედეგის შეფასების, კვალიმეტრულის და პროცესის იდეალურობაზე დამყარებული.

თანამედროვე მეთოდიკებში განიხილავენ - შესაძლებლობების ერთობლივი ფასეულობის (TVO), სწრაფი ეკონომიკური დასაბუთების (REJ) და შესრულების საცნობარო მოდელის აგების (PRM).

სისტემის შეფასების მეთოდებში IT-ის კუთხით კი - წარმოდგენილია სამი მეთოდიკა: ITSM/ITIL (IT Service Management/Information Technology Infrastructure

Library) მეთოდი, დაბალანსებული ქულების ბარათი IT-სთვის (IT Scorecard) და ბიზნესის ღირებულება IT-ში (BVIT) [2,3,11,12].

შეიძლება დავამატოთ, რომ ინფორმაციული სისტემისა და ტექნოლოგიის შესაფასებლად გამოიყენება ასევე ხარისხის შეფასება. ინფორმაციული სისტემის და ტექნოლოგიის **ხარისხის** შესაფასებლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული შესაბამისი პარამეტრები, რომელთაგან უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ საიმედოობა, სანდოობა და ინფორმაციული უსაფრთხოება. ხოლო შეფასების განსახორციელებლად გამოიყენებენ ისეთ ცნობილ მოდელებს, როგორიც არის: **მაკ კოლის, ბოემის** და **გილბის** მოდელები [13].

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ იტ-ის და ის-ის ეფექტიანობის შეფასების პროცესი საკმაოდ რთულია, ამიტომ აღნიშნული ამოცანის წარმატებული განხორციელებისათვის სასურველია აიგოს მისი ბიზნეს-პროცესი.

მთლიანობაში კომპანიის წარმატების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს კარგად დაგეგმილი ბიზნეს-პროცესები. ყურადღების გამახვილება ბიზნეს–პროცესებზე არის ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის და საბოლოდ სტაბილური ეკონომიკური წარმატების უზრუნველყოფისათვის.

ბიზნეს-პროცესი არის მოქმედებებისა და ოპერაციების თანმიმდევრობა, რომელიც მიზნად ისახავს განსაზღვრული მიზნების მიღწევას ორგანიზაციაში.

ბიზნეს-პროცესების ძირითადი **მახასიათებლებია:** ცვალებადობა, გარემო, ურთიერთდამოკიდებულება, ორგანიზება და დეგრადაცია.

ნებისმიერ ბიზნეს-პროცესს **გააჩნია** - შესასვლელი, გამოსასვლელი, მენეჯმენტი და რესურსები. ასევე მას უნდა გააჩნდეს მფლობელი, მომწოდებელი და მომხმარებელი.

წარმოების პროცესში მათი როლის მიხედვით განიხილავენ შემდეგი **ტიპის** ბიზნეს–პროცესებს: ძირითადი, თანმხლები, დამხმარე, უზრუნველყოფის, მმართველი და განვითარების პროცესები.

ხოლო ფუნქციონალური შინაარსის მიხედვით ორგანიზაციაში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი პროცესები: წარმოების, მომარაგების, ფინანსების, გაყიდვების, მარკეტინგის, ლოგისტიკის, ახალი საქონლის კვლევისა და დამუშავება/მომსახურების, მოსამსახურეთა მართვის, ადმინისტრაციის და სხვა.

ბიზნეს-პროცესის სასიცოცხლო ციკლი შედგება ოთხი ეტაპისაგან. ესენია: პროცესის შემუშავება, პროცესის შესრულება, პროცესის მონიტორინგი, შეფასება და რეაგირება გადახრებზე. გადახრის აღმოჩენის შემთხვევაში და ზოგადად, დროთა განმავლობაში ბიზნეს-პროცესებს ესაჭიროებათ გაუმჯობესება (ოპტიმიზაცია).

ბიზნეს-პროცესების დაპროექტების და გაუმჯობესების პროცესში უდიდეს როლს თამაშობს მათი მოდელირება [6].

ბიზნეს-პროცესის მოდელირება არის მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა უკეთ წარმოდგენილი და გაანალიზებული იქნას ორგანიზაციის საქმიანობა.

აღსანიშნავია, რომ ბიზნეს–პროცესების მოდელირებას აქვს შემდეგი ძირითადი ეტაპები:

პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს პროექტის ინიციაცია;

მეორე ეტაპზე გუნდმა უნდა ჩაატაროს კომპანიის ბიზნესის ანალიზი და გამოავლინოს საქმიანობის ნაკლოვანებები;

მესამე ეტაპს წარმოადგენს ბიზნეს–პროცესის მოდელის შერჩევა;

ბიზნეს–პროცესების მოდელირების **მეოთხე ეტაპზე** განისაზღვრება საპროექტო წესდება;

შემდეგ ეტაპზე ხორციელდება მოდელირების პროგრამული უზრუნველყოფის შერჩევა;

შემდეგ მოდის ეტაპი, რომლის დროსაც მუშავდება უშუალოდ მოდელი და წარმოებს მისი მოდელირება. აღნიშნული ეტაპი შედგება რამდენიმე სტადიისაგან: **პირველ სტადიაზე** მიმდინარეობს პროცესის გამოვლენა და საწყისი მოდელის აგება „როგორც არის". ეს მოდელი ხშირად არასრულყოფილად ასახავს პროცესის მუშაობას, ამიტომაც ის წარმოადგენს პირველად მაქსიმალურად მიახლოებულ მოდელს.

ამის შემდეგ მოდის **მეორე სტადია,** სადაც ხორციელდება საწყისი მოდელის გადახედვა, ანალიზი და დაზუსტება. ამ სტადიაზე გამოვლინდება წინააღმდეგობები და მოქმედებების დუბლირება პროცესში, განისაზღვრება პროცესის შეზღუდვები, პროცესის კავშირები, დგინდება მასში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, და მიიღება საბოლოო მოდელი – „როგორც არის",

შემდეგი სტადიაა მოდელის შემუშავება „როგორი უნდა იყოს". არსებული სიტუაციის ანალიზის შემდეგ უნდა განისაზღვროს პროცესის სასურველი მდგომარეობა. ეს სასურველი მდგომარეობა აისახება მოდელში „როგორი უნდა იყოს". ასეთი მოდელი აჩვენებს როგორი უდნა იყოს პროცესი ყველა გაუმჯობესების ჩათვლით.

ბოლო სტადიაა ტესტირება და მოდელის გამოყენება „როგორი უნდა იყოს". ტესტირება დაკავშირებულია დამუშავებული მოდელის შემოწმებასთან და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანასთან. ამის შემდეგ მიმდინარეობს დანერგვა: ბიზნეს–პროცესის საბოლოო შეთანხმებული მოდელის მიღების შემდეგ დამუშავებული მოდელები და მარეგლამენტირებელი დოკუმენტაცია შეყავთ მოქმედებაში, წარმოებს თანამშრომლების ინფორმირება კომპანიაში დადგენილი და მიღებული ინფორმაციის გაცვლის საშუალებებით და შიდა კორპორაციული საიტის გამოყენებით. შიდა აუდიტორული სამუშაოების საშუალებით ხორციელდება შემოღებული რეგლამენტებისა და მოქმედებების შემოწმება. კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობა მოწმდება ორგანიზაციული დიაგნოსტიკის საშუალებით, და ასევე ბიზნეს–პროცესების ეფექტიანობის მაჩვენებლების მონიტორინგით. გარდა ამისა, მიმდინარეობს კომპანიაში არსებული დოკუმენტაციის შეჯერება ბიზნეს–პროცესების ახალ მოდელებთან და არსებული

დოკუმენტაციის სრული აქტუალიზაცია ბიზნეს–პროცესების ახალ ვერსიებთან შესაბამისობაში [6,7,8].

იმისათვის, რომ განხორციელდეს ბიზნეს-პროცესის მოდელირება ის უნდა იყოს წარმოდგენილი სპეციალური ნოტაციის საშუალებით და შემდეგ ხორციელდება სპეციალიზებული მოდელირების ინსტრუმენტული საშუალების გამოყენება.

არსებობს ბიზნეს-პროცესების ნოტაციების მრავალი ვარიანტი, მათ შორის სტრუქტურული (როგორც IDEF) და დინამიური (როგორც BPMN), რომელთაგან თითოეული ორიენტირებულია ბიზნეს-პროცესების სხვადასხვა ასპექტების წარმოჩენაზე. განვიხილოთ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნოტაცია BPMN (ბიზნეს-პროცესის მოდელირების ნოტაცია). ის არის აღნიშვნა, რომელიც საშუალებას იძლევა შეიქმნას ბიზნეს-პროცესების მოდელი თავიდან ბოლომდე, ვიზუალური დიაგრამების გამოყენებით ოპერაციებისა და ინფორმაციის ნაკადების საჩვენებლად. ის ასევე საშუალებას იძლევა აღიწეროს მოქმედებების თანმიმდევრობა, გადაწყვეტილების პუნქტები, დოკუმენტები და გამოყენებული მონაცემები.

ყველაზე ხშირად, ბიზნეს-პროცესების მოდელირება ხდება გრაფიკულად, რუკების, დიაგრამების ან ცხრილების გამოყენებით. ზოგჯერ ტექსტის აღწერილობები გამოიყენება მოქმედებების და შემსრულებლების განმარტებით. გრაფიკული მოდელირება ითვლება ყველაზე მოსახერხებლად და ვიზუალურად. შესაძლებელია შეიქმნას დიაგრამები როგორც **სპეციალიზებულ** პროგრამებში, ასევე **ჩვეულებრივ გრაფიკულ** რედაქტორებში [7,8].

წინამდებარე ნაშრომში ბიზნეს-პროცესის მოდელირებისათვის შერჩეულია პროგრამა **BPMN Bizagi Process Modeler.**

Bizagi Process Modeler არის ბიზნეს-პროცესის მოდელირების ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს ვიზუალურად შეიმუშაონ და სიმულაცია მოახდინონ თავიანთი ბიზნეს-პროცესების მოდელებისა BPMN -ის გამოყენებით. მას აქვს მარტივი ინტერფეისი, რომელიც დამწყებებს და ექსპერტებს საშუალებას აძლევს შექმნან პროცესის დეტალური რუკები ფართო ტექნიკური უნარების საჭიროების გარეშე. მომხმარებლებს შეუძლიათ თავიანთი მოდელების ექსპორტი სხვადასხვა ფორმატებში, როგორიცაა PDF, Word ან Visio, რაც ამარტივებს პროცესის ინფორმაციის გაზიარებას და კომუნიკაციას გუნდებს შორის. გარდა ამისა, ინსტრუმენტი მხარს უჭერს პროცესის სიმულაციას და თანამშრომლობას, ეხმარება ბიზნესს ეფექტურად გაანალიზდეს და ოპტიმიზაცია ჩაუტარდეს სამუშაო პროცესებს [8,10].

აღნიშნული ინსტრუმენტის ფართო გამოყენება ბიზნეს-ანალიტიკოსებისა და პროცესების დიზაინერების მიერ განპირობებულია მომხმარებლისთვის მოსახერხებელი დიზაინით და ყოვლისმომცველი რესურსების ბიბლიოთეკით, რომელიც მოიცავს შაბლონებსა და სახელმძღვანელოებს. მთლიანობაში, Bizagi

Process Modeler არის იდეალური გადაწყვეტა ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს ეფექტიანობის და პროცესის უწყვეტობის გაუმჯობესებას [6,7,8,9].


ჩვენს მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი იტ-ის და ის-ის ეფექტიანობის შეფასების ბიზნეს-პროცესი მოიცავს შემდეგ ძირითად მოქმედებებს, როგორიცაა: **შეფასების მოთხოვნის ანალიზი, ინფორმაციული ტექნოლოგიის და სისტემის ეფექტიანობის შეფასების შერჩეული მეთოდის შესაბამისი მაჩვენებლების დადგენა**, **პარამეტრების მნიშვნელობების განსაზღვრა, შეფასების შედეგების ანალიზი** და **რეკომენდაციების შემუშავება** და ბოლოს **ცვლილებების დაგეგმვა** და **განხორციელება.**

ამ მოქმედებების თანმიმდევრობის საფუძველზე აგებულია იტ-ის და ის-ის ეფექტიანობის შეფასების ბიზნეს-პროცესი (ნახ.2). შემდეგ BPMN-ნოტაციის გამოყენებით შემუშავებულია ბიზნეს-პროცესის მოდელი (ნახ.3), ჩატარებულია მოდელის სიმულაცია Bizagi BPMN Modeler-ის საშუალებით (ნახ.4) და მიღებულია სიმულაციის შედეგები(ნახ.5-6).


მოდელირებისათვის გამოყენებულია შემდეგი პარამეტრები და რესურსები:

სიმულაციის პარამეტრები - სამუშაოს შესრულების ჯამური დრო, თითოეული ოპერაციის განხორციელების ხანგრძლივობა;


რესურსები - იმ თანამშრომლების თანამდებობები, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას აღნიშნული ბიზნეს-პროცესის რეალიზაციაში, მათი ხელფასები. სიმულაციის პროცესში გათვალისწინებულია ისეთი რესურსების გამოყენება, როგორიც არის: კომპიუტერები და ანალიტიკური ინფორმაციული სისტემები, ელექტროენერგიის ხარჯვა.



ნახ.2. ინფორმაციული ტექნოლოგიის და სისტემის ეფექტიანობის შეფასების ბიზნეს-პროცესი



ნახ.3. ინფორმაციული სისტემის და ტექნოლოგიის ეფექტიანობის შეფასების ბიზნეს-პროცესის მოდელი



ნახ.4 ინფორმაციული სისტემის და ტექნოლოგიის ეფექტიანობის შეფასების ბიზნეს-პროცესის მოდელის სიმულაცია

Name	Type	Instances completed	Instances started	Min. time	Max. time	Avg. time	Total time	Min. time waiting resource	Max. time waiting resource	Avg. time waiting for resource	Standard deviation waiting resources	Total time waiting resour
ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების ეფექტიანობის შეფასების ბიზნეს-პროცესი	Process	1	4	49d 20h	49d 20h	49d 20h	90d 9h					25d 10h
NoneStart	Start event	4										
შეფასების მოთხოვნების ანალიზი	Task	4	4	15h	9d 22h	4d 4h 30m	16d 18h	0	9d 7h	3d 13h 30m	3d 21h 4m 16s	14d 6h
შეფასების მეთოდის შერჩევა	Task	3	3	1d 14h	2d 20h	2d	6d	0	1d 6h	10h	14h 8m 31s	1d 6h
შეფასების მეთოდის მაჩვენებლის დადგენა	Task	4	4	1d 6h	2d 2h	1d 14h 45m	6d 11h	0	20h	8h 45m	8h 55m 36s	1d 11h
პარამეტრების/ მნიშვნელობების შეგროვება და განსაზღვრა	Task	4	4	20h	5d 20h	2d 11h 30m	9d 22h	0	5d	1d 15h 30m	2d 59m 50s	6d 14h
შედეგების ანალიზი/ რეკომენდაციების შემუშავება	Task	4	4	5d	6d 6h	5d 7h 30m	21d 6h	0	1d 6h	7h 30m	12h 59m 25s	1d 6h
საჭიროებს ცვლილებას?	Gateway	4	4									
ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება	Task	1	2	30d	30d	30d	30d	0	15h	7h 30m	7h 30m	15h
NoneEnd	End event	1										

ნახ.5 ინფორმაციული სისტემის და ტექნოლოგიის ეფექტიანობის შეფასების ბიზნეს-პროცესის მოდელის სიმულაციის შედეგი დროის მიხედვით

Resource	Utilization	Total fixed cost	Total unit cost	Total cost
ტოპ-მენეჯერი	90.74 %	26,000	0	26,000
ბიზნეს-ანალიტიკოსი	77.78 %	42,500	0	42,500
მონაცემთა ანალიტიკის ინსტრუმენტები	3.70 %	0	4,000	4,000
IT-ანალიტიკოსი	39.54 %	38,000	0	38,000
ელექტრო ენერგია	100.00 %	0	36,720	36,720
IT - ჯგუფი	60.46 %	3,000	0	3,000
	Total	109,500	40,720	150,220

ნახ.6 ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების ეფექტიანობის შეფასების ბიზნეს-პროცესის მოდელის სიმულაციის შედეგი ღირებულების მიხედვით

აგებული მოდელი იძლევა პარამეტრების და რესურსების ცვლილების საშუალებას, რაც საბოლოო ჯამში, შესაძლებელს ხდის შერჩეულ იქნას ეფექტიანობის შეფასების პროცესის განხორციელების საუკეთესო ვარიანტი.

დასკვნა

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების შეფასება აუცილებელია ორგანიზაციის განვითარების ყველა ეტაპზე, ასევე თავად ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე.

თავდაპირველად, საწარმომ უნდა შეიმუშაოს გარკვეული მიზნები და მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლების ძირითად მოთხოვნებს ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების მიმართ გარკვეული ამოცანების გადასაჭრელად. და შესაბამისად, სისტემა მკაცრად უნდა შეესატყვისებოდეს დამუშავების მიზნებსა და პარამეტრებს.

არსებობს ეფექტიანობის შეფასების მრავალი მეთოდი. ისინი განსხვავდებიან შეფასების მიმართულებით და პარამეტრებით და თითოეული ორგანიზაცია ირჩევს იმ მეთოდს, რომელიც მაქსიმალურად პასუხობს მის საჭიროებებს და მიზნებს.

თავად ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების ეფექტიანობის შეფასების პროცესი საკმაოდ რთულია, და მისი სწორი წარმართვა დიდ გავლენას ახდენს შეფასების შედეგებზედაც. რაც უფრო სწორად იქნება აგებული შეფასების პროცესი, მით უფრო ზუსტი შედეგები იქნება მიღებული, რაც თავის მხრივ ზეგავლენას მოახდენს ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების წარმატებულ ფუნქციონირებაზე.

წარმოდგენილ ნაშრომში შემოთავაზებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების და სისტემების ეფექტიანობის შეფასების პარამეტრები, მათი შეფასების მეთოდები და აგებულია შეფასების ბიზნეს-პროცესი. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების ეფექტიანობის შეფასების ბიზნეს-პროცესების განხორციელება და მართვა არის კომპანიის მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ცდილობს დასახოს კონკრეტული ამოცანები და მიაღწიოს მიზნებს მინიმალური რესურსების დახარჯვით. საწარმოს ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ბიზნეს-პროცესების სწორად აღწერა, წარმოებაში დანერგვა და მუდმივი მონიტორინგი.

ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების ეფექტიანობის შეფასების ბიზნეს-პროცესის მოდელირება ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს უკეთ გააცნობიერონ, გაანალიზონ და ოპტიმიზაცია გაუკეთონ თავიანთ საქმიანობას აღნიშნული მიმართულებით, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის და მდგრადი განვითარებისთვის.

როგორც ჩანს მოდელირების შედეგებიდან, ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების ეფექტიანობის შეფასების ბიზნეს-პროცესის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია შეფასების მეთოდების შერჩევის ალგორითმზე და მისი განხორციელების ხანგრძლივობაზე, ხოლო მოდელირების შედეგად შესაძლებელია დადგინდეს ეფექტიანობის შეფასების პროცესის პარამეტრები და რესურსები, როგორიც არის: ხანგრძლივობა, ღირებულება, რესურსების გამოყენება და სხვა.

შემოთავაზებული ბიზნეს-პროცესი შესაძლებელია დანერგილ და გამოყენებულ იქნას ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციაში სადაც კი წარმოიშვება ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების ეფექტიანობის შეფასების საჭიროება.

ლიტერატურა

1. A.K. Information Systems Effectiveness Measures: WorkForce 360 – The HR Summit (2015) in Chennai, India https://tech-talk.org/2015/03/10/information-systems-effectiveness-measures/
2. Безруков С.Ю, **Иващенко Т.И.** Методы оценки эффективности ИС предприятия: Журнал - Научный аспект (2013) https://na-journal.ru/1-2020-informacionnye-tekhnologii/2013-metody-ocenki-effektivnosti-is-predpriyatiya
3. Анисифоров А.Б., Анисифорова Л.О. Методики оценки эффективности информационных систем и информационных технологий в бизнесе: Санкт-Петербург. 2014. 97 стр.
4. მედეა თევდორაძე, ნინო ღუდუშაური, ნინო მელიქიძე. ორგანიზაციის IT-სტრატეგიის შემუშავება . საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია "თანამედროვე გამოწვევები და მიღწევები ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში - 2023". 12-13 ოქტომბერი 2023 თბილისი, საქართველო. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის & გერმანიის გამოყენებით მეცნიერებათა დრეზდენის HTW უნივერსიტეტი ISBN 978-9941-512-06-3 შრომათა კრებული. თბილისი. საგამომცემლო სახლი "ტექნიკური უნივერსიტეტი", გვ. 108-115
5. მ.თევდორაძე, ნ.წულუკიძე, ე.დადიანი, მ.სალთხუციშვილი, თ.რუხაძე, მ.ნებიერიძე. ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გამოცემა 2, 2019 (2021), სტუ-ს ბიბლიოთეკა CD – 6155, გვ.250
6. მ.თევდორაძე, მ.სალთხუციშვილი, ს.გოგოლაძე, თ.რუხაძე. ბიზნეს–პროცესების მართვის ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების ეფექტიანობა და მისი გავლენა ორგანიზაციის საქმიანობაზე ბანკების მაგალითზე. მონოგრაფია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. სტუ, თბილისი, 2017. სტუ–ს ბიბლიოთეკა, CD 3792, 181 გვ.
7. მ.თევდორაძე, მ.სალთხუციშვილი, თ.ჭიღლაძე, თ.რუხაძე, მოდელირების როლი ბიზნეს–პროცესების დაპროექტებასა და ოპრიმიზაციაში. მონოგრაფია, სტუ, თბილისი, 2017, სტუ–ს ბიბლიოთეკა, CD 3792, 137 გვ.
8. მედეა თევდორაძე, მარიამ ნებიერიძე, ეკატერინე დადიანი, მაია სალთხუციშვილი. მოდელებისა და მოდელირების გამოყენება ბიზნეს-პროცესების თეორიაში, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,ინტელექტი. 1(66) თბილისი-2020, 25-29 გვ.
9. მ.თევდორაძე, თ.რუხაძე, მ.სალთხუციშვილი, ნ.წულუკიძე, თ.ჭიღლაძე, ბიზნეს-პროცესების მართვის ინფორმაციული სისტემები (ნაწილები 1 და 2). სახელმძღვანელო გამოცემა 3 (2021). სტუ, თბილისი, 2017, სტუ–ს ბიბლიოთეკა, CD 3769. 451 გვ
10. https://www.bizagi.com/en/platform/modeler
11. მ.თევდორაძე, ე.დადიანი, მ.ნებიერიძე, დ.აფციაური, ვ.გუდავა. ორგანიზაციაში ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის თანამედროვე მეთოდები. მეორე საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „საინფორმაციო საზოგადოება და განათლების ინტენსიფიკაციის ტექნოლოგიები (ISITE'21). საქართველო, თბილისი,

20-22 მაისი, 2021. შრომები. მართვის ავტომატიზებული სისტემები, #1(32). თომი 2. გვ.71-75

12. Lortkipanidze, N., & Otkhozoria, N. (2024). Navigating Business Excellence: The Crucial Role of Information Technology Service Management through Best Practice ITIL. *Georgian Scientists*, *6* (1), 120–124. https://doi.org/10.52340/gs.2024.06.01.15
13. Зацаринный А.А., Ионенков Ю.С. (2022). Некоторые аспекты оценки эффективности и качества информационных систем

Designing a business process for evaluating the effectiveness of the use of information technologies and systems

Abstract

For successful functioning of organization, information technologies and systems must be properly selected/designed, implemented, and, no less importantly, their development must be proceeded properly. Information technologies and systems are not introduced or developed spontaneously; their design/acquisition, processing, and development are carried out on the basis of an information technology strategy and, within its framework, information systems sub-strategy. It can be said that an integral and important part of the work at each stage of the life cycle of information technologies and systems is the assessment of their effectiveness.

The effectiveness of information technologies and systems is assessed using various approaches and methods, focusing on different parameters. There are many types of parameters and their classification for the effectiveness assessing of information technologies and systems. In the paper it is discussed a classification of parameters according to which parameters are divided into two groups based on their evaluation methods: relative and absolute. Relative evaluation is divided into the following groups: evaluation of task performance and labor productivity indicators, while absolute evaluation combines evaluation of operational, technical, and economic efficiency indicators. In the paper there are presented methods for assessing effectiveness based on these indicators.

It is worth noting that the abundance of evaluation parameters and methods leads to certain problems in terms of their selection. Each company chooses for itself what parameters and, accordingly, what methods to use to assess the effectiveness of information technologies and systems.

In the paper it is payed special attention to the process of evaluating the effectiveness of information technologies and systems, which in turn must be conducted correctly and optimally. For this purpose, the development of a business process for assessing of the effectiveness of information technologies and systems, the construction of a business process model, its simulation, and the discussion of the results of this simulation are presented.

Keywords: Information system and technologies functioning assessment, business process, business process modeling

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.02



ხელოვნური ინტელექტი ენერგეტიკულ ინდუსტრიაში

ელენე ფანცხავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
elenepantskava@mail.ru

რეზიუმე

დღევანდელი მსოფლიო მოიცავს როგორც განვითარებად ტექნოლოგიურ ინოვაციებს, ასევე გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას მრეწველობის მასშტაბით, იზრდება მოწოდება ენერგეტიკულ სისტემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მაქსიმალურ ენერგიას, მინიმალურ ემისიას და ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. მდგრადი ენერგეტიკული გადაწყვეტილებების მოთხოვნა არასოდეს ყოფილა ასეთი აქტუალური როგორც დღეს.

14. Hansen, L. A., & Tavassoli, M. (2021). Limitations of animal models in cancer research: A perspective from the pharmaceutical industry. *British Journal of Cancer*, 125(12), 1585–1592.
15. *Jones, P. H., Davidson, M. H., Stein, E. A., Bays, H. E., McKenney, J. M., Miller, E., ... & Blasetto, J. W. (2003). Comparison of the efficacy and safety of rosuvastatin versus atorvastatin, simvastatin, and pravastatin across doses (STELLAR Trial). The American Journal of Cardiology, 92(2), 152-160.*
16. Alexa JM, Richter M, Bertsche T. Enhancing Evidence-Based Pharmacy by Comparing the Quality of Web-Based Information Sources to the EVInews Database: Randomized Controlled Trial With German Community Pharmacists. J Med Internet Res. 2023 Jun 21;25:e45582. doi: 10.2196/45582. PMID: 37342085; PMCID: PMC10337305.
17. Sun J, Chen GM, Huang J. Effect of Evidence-Based Pharmacy Care on Satisfaction and Cognition in Patients with Non-Valvular Atrial Fibrillation Taking Rivaroxaban. Patient Prefer Adherence. 2021 Jul 25; 15:1661-1670. doi: 10.2147/PPA.S316008. PMID: 34345166; PMCID: PMC8321436.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული ფარმაცია: მეცნიერული მიდგომა სამკურნალო საშუალებების უსაფრთხო და ეფექტური გამოყენებისთვის

ნანა შაშიაშვილი

ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ფარმაციის დეპარტამენტი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

აბსტრაქტი

მტკიცებულებებზე დაფუძნებული ფარმაცევტული პრაქტიკა (Evidence-Based Pharmacy) მნიშვნელოვან მიდგომაა, რომელიც კლინიკურ გარემოში .სამკურნალო საშუალებების ეფექტურ და უსაფრთხო გამოყენებას უზრუნველყოფს. პრაქტიკა ემყარება კლინიკურ გამოცდებს, სამეცნიერო კვლევებს, ოფიციალურ გაიდლაინებს, მეტა-ანალიზებს და ამ ინსტრუმენტების მეშვეობით ფარმაცევტებს ეხმარება მიიღონ პაციენტებზე მორგებული ოპტიმალური გადაწყვეტილებები. ფარმაცევტული პრაქტიკის ეფექტურობა დამოკიდებულია მონაცემთა ინტერპრეტაციის უნარზე, ჩატარებული კვლევების სანდოობაზე და, ასევე, მკურნალობის პერსონალიზებულ მიდგომაზე. სტატია განიხილავს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ფარმაციის როლს, მნიშვნელობას, მისგან გამომდინარე პროცესებს, რომელიც დაკავშირებულია მედიკამენტების უსაფრთხოების კონტროლთან, ექიმებთან თანამშრომლობის ფორმებთან, პაციენტთა ცნობიერების ამაღლების კამპანიებთან. იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი მიდგომა მეცნიერულ პრინციპებს ეფუძნება, პრაქტიკული გამოყენება მოითხოვს დარგის სპეციალისტთა მუდმივ პროფესიულ განვითარებას, კვლევების შედეგად მიღებული დასკვნების კრიტიკულ ანალიზსა და მჭიდრო კომუნიკაციას სამედიცინო სფეროს სხვა წარმომადგენლებთან. მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევები ამცირებს არაეფექტური მკურნალობის შემთხვევებს, უზრუნველყოფს პაციენტების უსაფრთხოებას, ჭარბი დანახარჯების თავიდან აცილებას, ამ თვალსაზრისით, ეკონომიკურად გამართლებული სამკურნალო საშუალებების გამოყენებას და, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ჯანდაცვის ერთიანი სისტემის ოპტიმიზაციას. სტატიაში ჩამოყალიბებულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული ფარმაციის, როგორც მეცნიერულად გამყარებული მიდგომის მიზნები, მოყვანილია მაგალითები უკანასკნელ ათწლეულებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე ზოგიერთი OTC (ურეცეპტებოდ გასაცემი) ხველის საწინააღმდეგო სიროფის არაეფექტურობის და პოტენციური საფრთხეების შესახებ, ნაჩვენებია სანდო მეცნიერული კვლევების შედეგების მნიშვნელობა მედიკამენტების გავლენის სანდოობის შეფასების, ეფექტური მკურნალობის მეთოდების შეთავაზების თუ უკვე პრაქტიკაში დანერგილი პრეპარატების შედარებისთვის უკეთესი ალტერნატივის შესარჩევად, წარმოდგენილია კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების სწორი ინტერპრეტირების ძირითადი კრიტერიუმები. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ფარმაცევტების გადამწყვეტი როლის მნიშვნელობაზე მტკიცებულებებზე დაფუძნებული სერვისების დანერგვაში და ამ მიმართულებით წარმოდგენილია პრაქტიკული რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: კვლევები, მედიკამენტები, მტკიცებულებები, პრაქტიკა, უსაფრთხოება

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.04



განათლების რეფორმა და მეოთხე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა

სოფია მშვილდაძე
ბიზნესადმინისტრირების პროგრამის დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი s.mshvildadze@gtu.ge

აბსტრაქტი

სტატია მიმოიხილავს განათლების რეფორმის კონტექსტში მეოთხე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელიც მიზნად ისახავს სწავლების მოდერნიზებასა და მოსწავლეებისთვის 21-ე საუკუნის მოთხოვნებთან შესაბამისი უნარების განვითარების ხელშეწყობას. ახალი სასწავლო გეგმა ეფუძნება კომპეტენციებზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც გულისხმობს კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრის, შემოქმედებითობისა და ციფრული წიგნიერების განვითარებას. სტატია განიხილავს ამ ცვლილებების არსს, მათ გავლენას სწავლების პროცესსა და პედაგოგიურ პრაქტიკაზე, ასევე შესაძლო გამოწვევებსა და პერსპექტივებს, რაც რეფორმის ეფექტურობას განსაზღვრავს.

საკვანძო სიტყვები: განათლების რეფორმა, ეროვნული სასწავლო გეგმა, კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლება, კრიტიკული აზროვნება, ინოვაციური სწავლება, სწავლების მოდერნიზაცია, სწავლების პერსონალიზაცია, ტექნოლოგიების ინტეგრაცია.

განათლება ქვეყნის განვითარების ფუნდამენტური საყრდენია, რომლის რეფორმა არა მხოლოდ მომავალი თაობის ცოდნის ხარისხზე, არამედ საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ წინსვლაზეც აისახება. საქართველოში ბოლო ათწლეულების განმავლობაში არაერთი ცვლილება განხორციელდა განათლების სფეროში, თუმცა თანამედროვე გამოწვევები საჭიროებს უფრო სისტემურ და ინოვაციურ მიდგომებს.

მეოთხე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა განათლების რეფორმის ახალი ეტაპია, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა უნარების განვითარებას, კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობასა და თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდიკის დანერგვას. ეს რეფორმა არა მხოლოდ სასწავლო შინაარსა და მეთოდოლოგიას ცვლის, არამედ მასწავლებელების როლიც ახალ საფეხურზე აჰყავს, რათა განათლების სისტემა მეტად მოქნილი და ეფექტიანი გახდეს.

მეოთხე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა წარმოადგენს მთავარ ინსტრუმენტს განათლების რეფორმის მიზნების მისაღწევად. დოკუმენტი განსაზღვრავს სავალდებულო მოთხოვნებს სასკოლო საზოგადოების მიმართ. მისი ძირითადი პრინციპებია: მოსწავლეზე ორიენტირებული და ინტეგრირებული სწავლება, ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, ტექნოლოგიების ინტეგრაცია და მასწავლებლის პროფესიული განვითარება, რომელიც გულისხმობს სწავლა-სწავლების პროცესის ორიენტირებას მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, სასწავლო პროცესის დაფუძნებას კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე,ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას.მეოთხე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი მახასიათებლებია მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებული სწავლება, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ ინტერესებსა და საჭიროებებს. პროექტებზე დაფუძნებულ, პრაქტიკულ და ინკლუზიურ მიდგომებს. პროექტული სწავლება არის მეთოდი, რომელიც მოსწავლეებს რეალური ცხოვრებისეული ამოცანების შესრულებას სთავაზობს. ისინი თავად იკვლევენ პრობლემებს, პოულობენ გადაჭრის გზებს და ქმიან პროდუქტებს. პროექტული სწავლების უპირატესობებია მოსწავლეთა ჩართულობა, კრიტიკული აზროვნების განვითარება, თანამშრომლობითი უნარების გაუმჯობესება, რეალური ცხოვრების გამოწვევებთან კავშირი. რამდენი სკოლაც არის იმდენი ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად განსხავავებული წარმატებული პრაქტიკა შესაძლოა არსებობდეს. განსხვავდებიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც ამ პრაქტიკას ახორციელებენ და ინტერესებს, პრიორიტეტებსა და გამოწვევებს საზღვრავენ. რეფორმის განხორციელების შესაძლო გამოწვევებია: მასწავლებელთა კვალიფიკაციის მუდმივი გაუმჯობესება, რომელიც მოითხოვს დიდ რესურსს, მათ შორის ტრენინგების სისტემურ ორგანიზებასა და თანამედროვე პედაგოგიური მეთოდების დაუფლებას. მასწავლებელთა პროფესიული გადაწვისა და ემოციური კეთილდღეობის საკითხი განსაკუთრებით მწვავეა, რადგან მათ უწევთ ყოველდღიურად სხვადასხვა სტრესულ სიტუაციაში გამკლავება. პედაგოგები ხშირად მუშაობენ სასწავლო პროგრამის მიღმა: ამზადებენ გაკვეთილებს, აფასებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს და ესწრებიან შეხვედრებს, რაც პროფესიულ გადაღლას და პირადი დროის ნაკლებობას იწვევს. მოსწავლეთა დისციპლინის მართვა, მშობლების მხრიდან ზეწოლა და კოლეგებთან/ადმინისტრაციასთან ურთიერთობის სირთულეები მასწავლებლის ემოციურ მდგომარეობაზე ასევე არადადებითად აისახება. მასწავლებლის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო პროფესიაა, მაგრამ საზოგადოებაში მათი როლი არასათანადოდ აღიარებული, რაც დემოტივაციის განსმსაზღვრელია. სასკოლო ინფრასტუქტურისა და ტექნოლოგიების ინტეგრაცია, რომელიც ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის არასაკმარისად ხელმისაწვდომია. სასწავლო რესურსების ადაპტირება ჯერ კიდევ საჭიროებს დახვეწასა და მასწავლებელთა საჭიროებებთან შეჯერებას. მშობლებისა და საზოგადოების ჩართულობა განათლების რეფორმის წარმატებისთვის მნიშვნელოვან მხარდაჭერას წარმოადგენს, თუმცა მათი მზაობა ახალი სასწავლო მიდგომების მიმართ გასავითარებელია. რაც შეეხება შეფასების უნარების გაუმჯობესებას შესაძლოა გარკვეული დაბრკოლება შექმნას, რადგან ტრადიციული შეფასების მეთოდებისგან განსხვავებით, მეოთხე თაობის გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა პროგრესის კომპლექსურ შეფასებას. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, სწორი დაგეგმვისა და საზოგადოების აქტიური ჩართულობის

შემთხვევაში, ის შესაძლოა ქვეყნის განათლების სისტემის მოდერნიზაციისა და გაძლიერების საფუძველია. მეოთხე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პერსპექტივა არის მოსწავლეთა პრაქტიკული უნარების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს მათ როგორც პიროვნულ, ისე პროფესიულ ზრდას. ტექნოლოგიების ინტეგრაცია და სწავლების ინოვაციური მეთოდები გაზრდის განათლების ხარისხს და დაეხმარება მომავალ თაობებს სწრაფად და ცვლილებადი შრომის ბაზარზე ადაპტირდნენ. ამასთან, სასკოლო სისტემის გაძლიერება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და მშობლების აქტიური ჩართულობა ქმნის მდგრადი რეფორმის საფუძველს. თუ განათლების სექტორში ყველა დაინტერესებული მხარე აქტიურად ითანამშრომლებს, ამ გეგმის წარმატება არა მხოლოდ სასკოლო დონეზე, არამედ ქვეყნის სოციალური-ეკონომიკურ განვითარებაზე აისახება.

ლიტერატურა

1. საქართველოს მინისტრის ბრძანება 24.05.2016, ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ, [ონლაინ], ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3285991?publication=0 (ბოლო მიმართვის თარიღი 07.05.23).
2. William G. Ouchi,(1981), *Theory Z:How American Business Can Meet the Japanese Challenge*, 227
3. ტომას ჯ. სერჯიოვანი, *სკოლის ხელმძღვანელობა. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გააზრებული გამოყენების პერსპექტივა,* მეექვსე გამოცემა, ინიტის უნივერსიტეტი, სან ანტონიო, ტეხასი, 506, [ონლაინ], ხელმისა-წვდომია: https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/skolis-khelmdzghvaneloba.pdf, (ბოლო მიმართვის თარიღი 07.05.23).
4. გირტ ჰოფსტედე და გერტ იან ჰოფსტედე (2011), *კულტურები და ორგანიზაციები გონების პროგრამული უზრუნველყოფა*, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, გვ.,17-19
5. ნიკოლოზ სილაგაძე, 2020 „სასკოლო კურიკულუმი“, *ჟურნალი* „სკოლის მართვა“ N1, გვ.39-49, [ონლაინ], ხელმისაწვდომია, http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2021/01/%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%90-1.pdf (ბოლო მიმართვის თარიღი 07.05.23).
6. ბერიკა შუკაკიძე, ნატო ინგოროყვა, მანანა რატიანი, ხათუნა ბარაბაძე, ეკატერინე კვირიკაშვილი, სოფიკო ლობჟანიძე და ნათია ნაცვლიშვილი (2021), *თანამედროვე სკოლის მართვა,* მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 308, [ონლაინ], ხელმისაწვდომია, http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2021/11/Book-Tanamedrove-sklois-martva-web.pdf, (ბოლო მიმართვის თარიღი 07.05.23).

Education Reform and the Fourth Generation National Curriculum

Sofia Mshvildadze
PhD student of Business Administration Program, Georgian Technical University
s.mshvildadze@gtu.ge

Abstract

The article reviews the fourth generation national curriculum in the context of education reform, which aims to modernize teaching and promote the development of skills for students in line with the requirements of the 21st century. The new curriculum is based on a competency-based approach, which implies the development of critical thinking, problem-solving, creativity and digital literacy. The article discusses the essence of these changes, their impact on the teaching process and pedagogical practice, as well as possible challenges and prospects that determine the effectiveness of the reform.

Keywords: education reform, national curriculum, competency-based learning, critical thinking, innovative learning, modernization of learning, personalization of learning, integration of technologies.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.05



CDK4-ისა და ციკლინის D1-ის ექსპრესიის თავისებურებები საშვილოსნოს სტრომულ სიმსივნეებსა და სარკომებში: დიაგნოსტიკური და პროგნოზული მნიშვნელობა

ლალი ბარბაქაძე; ნიკოლოზ კინტრაია; შოთა კეპულაძე; გიორგი ბურკაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საშვილოსნოს სტრომული სიმსივნეები მოიცავს ნეოპლაზიების ჰისტოლოგიურად და კლინიკურად ჰეტეროგენულ ჯგუფს, დაწყებული კეთილთვისებიანი ენდომეტრიუმის სტრომული კვანძებიდან (ESN) დამთავრებული დაბალი ხარისხის და მაღალი ხარისხის ენდომეტრიუმის სტრომულ სარკომამდე (LG-ESS და HG-ESS). ჯერ კიდევ შეზღუდული რჩება დიაგნოსტიკური და პროგნოზული შეფასების სანდო მარკერები. ეს კვლევა მიზნად ისახავდა CDK4-ისა და ციკლინის D1-ის იმუნოჰისტოქიმიური ექსპრესიის შეფასებას საშვილოსნოს სტრომულ სიმსივნეებში და მათი კავშირის გამოვლენას სიმსივნის ავთვისებიანობის ხარისხთან, ჰორმონური რეცეპტორების სტატუსთან, პროლიფერაციის ინდექსთან და დაავადებისგან თავისუფალ გადარჩენის მაჩვენებელთან (DFS). სულ ორმოცდახუთი საშვილოსნოს სტრომული სიმსივნე იყო შესწავლილი რეტროსპექტულად, მათ შორის 15 შემთხვევა ESN, 15 - LG-ESS და 15 - HG-ESS. CDK4, Cyclin D1, CD10, ესტროგენის რეცეპტორის (ER), პროგესტერონის რეცეპტორის (PR) და Ki67-ის იმუნოჰისტოქიმიური კვლევა განხორციელდა Leica-ს ანტისხეულების გამოყენებით. CDK4 და Cyclin D1 ექსპრესია რაოდენობრივად შეფასდა H-ქულის მეთოდის გამოყენებით. სტატისტიკურად გაანალიზებული იყო კორელაციები მარკერის ექსპრესიას, კლინიკოპათოლოგიურ პარამეტრებსა და დაავადებისგან თავისუფალ გადარჩენის მაჩვენებელს (DFS) შორის. CDK4 და Cyclin D1 H- ქულების პროგრესული ზრდა დაფიქსირდა ESN-დან LG-ESS და HG-ESS-მდე ($p < 0.001$). ჰორმონური რეცეპტორების ექსპრესია და დიფუზური CD10 შეღებვა მნიშვნელოვნად შემცირდა სიმსივნის ხარისხის მატებასთან ერთად ($p < 0.001$). CDK4 და Cyclin D1 H- ქულები აჩვენებდნენ ძლიერ ინვერსიულ კორელაციას ER/PR ექსპრესიასთან და დადებით კორელაციასთან Ki67 ინდექსთან. მაღალი CDK4 (H-ქულა >150) და ციკლინი D1 (H-ქულა >200) ექსპრესიის შემთხვევები მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული DFS-ის შემცირებასთან. CDK4 და Cyclin D1 გადაჭარბებული ექსპრესია ასოცირდება სიმსივნის უფრო მაღალ ხარისხთან, ჰორმონური რეცეპტორების ექსპრესიის დაკარგვასთან, გაზრდილ პროლიფერაციულ

აქტივობასთან და დაავადებისგან თავისუფალი გადარჩენის დაბალ მაჩვენებელთან. ეს მარკერები შეიძლება იყოს სიმსივნის აგრესიულობის პოტენციური ინდიკატორი და შეიძლება ინტეგრირდეს კლინიკურ პრაქტიკაში.

საკვანძო სიტყვები: საშვილოსნოს სტრომული სიმსივნეები, ენდომეტრიუმის სტრომული სარკომა, CDK4, ციკლინი D1, ჰორმონალური რეცეპტორები, Ki67, CD10.

შესავალი

ენდომეტრიუმის სტრომული სიმსივნეები წარმოადგენს საშვილოსნოს იშვიათ მეზენქიმურ ნეოპლაზიებს, რომლებიც მოიცავს ჰისტოლოგიურ სპექტრს როგორც კეთილთვისებიან ასევე ავთვისებიან დაზიანებებს[1]. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) 2020 კლასიფიკაციის მიხედვით, ამ სიმსივნეების ჯგუფი მოიცავს ენდომეტრიუმის სტრომულ კვანძს (ESN), დაბალი ხარისხის ენდომეტრიუმის სტრომულ სარკომას (LG-ESS), მაღალი ხარისხის ენდომეტრიუმის სტრომულ სარკომას (HG-ESS) და არადიფერენცირებულ საშვილოსნოს სარკომას[2]. ESN არის კეთილთვისებიანი, კარგად შემოსაზღვრული დაზიანება ინფილტრაციული პოტენციალის გარეშე, ხოლო LG-ESS და HG-ESS არის ინფილტრაციული და ავთვისებიანი, რეციდივის და მეტასტაზური პოტენციალის სხვადასხვა ხარისხით[3].

მიუხედავად იმისა, რომ ამ სიმსივნეების ჰისტოპათოლოგიური კლასიფიკაცია კარგად არის განსაზღვრული, რჩება გამოწვევები ზუსტი დიაგნოზისა და პროგნოზის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ESN-ის LG-ESS-ისგან განსხვავებაში და აგრესიული ქცევის იდენტიფიცირებაში[4]. განსხვავება ამ ერთეულებს შორის კრიტიკულია, რადგან LG-ESS ხშირად პასუხობს ჰორმონურ თერაპიას, ხოლო HG-ESS ასოცირდება ცუდ შედეგებთან და მკურნალობის შეზღუდულ საშუალებებთან. ბოლოდროინდელმა მიღწევებმა გააუმჯობესა ჩვენი გაგება ამ სიმსივნეებში ჩართული გენეტიკური და მოლეკულური ცვლილებების შესახებ, მათ შორის გენების შერწყმის, როგორიცაა JAZF1-SUZ12 LG-ESS-ში და YWHAE-NUTM2 HG-ESS[5]. თუმცა, ეს მოლეკულური ტესტები არ არის უნივერსალურად ხელმისაწვდომი. არსებობს ძლიერი საჭიროება პრაქტიკული, ეკონომიური ბიომარკერებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ დიაგნოსტიკის მხარდაჭერა, რისკის სტრატიფიკაცია და პროგნოზული ინფორმაციის მიწოდება რუტინულ პათოლოგიურ პრაქტიკაში[6].

უჯრედული ციკლის მექანიზმების დისრეგულაცია არის მრავალი კიბოს დამახასიათებელი ნიშანი, მათ შორის სარკომის[7], [8]. კერძოდ, ციკლინის D-CDK4/6-Rb გზა თამაშობს მთავარ როლს G1-S ფაზის გადასვლაში[9]. ციკლინი D1 და CDK4-ის გადაჭარბებული ექსპრესია ხელს უწყობს უჯრედების პროლიფერაციას და ჩართულია რამდენიმე სხვადასხვა ორგანოთა სისტემის სიმსივნის პათოგენეზში, როგორიცაა მათ შორის ძუძუს კარცინომა, ლიპოსარკომა და გლიობლასტომა[10]. ინჰიბიტორები, რომლებიც თერაპიულად უმიზნებს ამ გზას (მაგ., პალბოციკლიბი) უკვე გამოიყენება კლინიკურ ონკოლოგიაში[11].

სიმსივნის სხვა ტიპებში მათი დამკვიდრებული როლის მიუხედავად, CDK4-ისა და ციკლინ D1-ის ექსპრესიის ტიპები ენდომეტრიუმის სტრომულ სიმსივნეებში ჯერ კიდევ არასათანადოდ შესწავლილად რჩება[12]. გარკვეულმა კვლევებმა გამოავლინა მათი დიაგნოსტიკური ან პროგნოზული სარგებლობა საშვილოსნოს სარკომებში და დღემდე არცერთს არ აქვს საფუძვლიანად შეფასებული მათი კავშირი ჰორმონური რეცეპტორების სტატუსთან, პროლიფერაციულ აქტივობასთან ან კლინიკურ შედეგთან სტრომული სიმსივნის სპექტრის კონტექსტში[13].

გარდა ამისა, ურთიერთქმედება უჯრედული ციკლის მარკერებსა და სტრომული დიფერენციაციის მარკერებს შორის, როგორიცაა CD10 და ჰორმონალური რეცეპტორები (ER/PR), კარგად არ არის დახასიათებული[14]. CD10, ენდომეტრიუმის სტრომული დიფერენციაციის მარკერი, ხშირად გამოიყენება დიაგნოსტიკაში, მაგრამ მისი დაკარგვა მაღალი ხარისხის სარკომებში გაურკვეველი რჩება[15]. ანალოგიურად, ER და PR ექსპრესიის პროგნოზული შესაბამისობა ამ სიმსივნეებში, და მათი კავშირი პროლიფერაციასთან და უჯრედული ციკლის დისრეგულაციასთან, არ არის სრულყოფილად შესწავლილი[16].

ამ ხარვეზების გათვალისწინებით, ეს კვლევა მიზნად ისახავს CDK4-ისა და ციკლინის D1-ის იმუნოჰისტოქიმიური ექსპრესიის შეფასებას ენდომეტრიუმის სტრომული სიმსივნეების სპექტრში, მათ შორის კეთილთვისებიან კვანძებსა და როგორც დაბალი, ასევე მაღალი ხარისხის სარკომებში[11], [16]. ჩვენ შემდგომ ვაფასებთ მათ კორელაციას სიმსივნის ხარისხთან, CD10 ექსპრესიასთან, ER/PR სტატუსთან, Ki67 ინდექსთან და დაავადებისგან თავისუფალ გადარჩენასთან (DFS). კლასიკური მორფოლოგიის იმუნოფენოტიპურ პროფილირებასთან ინტეგრირებით, ჩვენ ვცდილობთ გამოვავლინოთ პრაქტიკული მარკერები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ დიაგნოსტიკური სიზუსტისა და პროგნოზული შეფასების გაუმჯობესებას და პოტენციურად თერაპიულ სტრატეგიებს აგრესიულ ენდომეტრიუმის სტრომულ სარკომებში.

მასალები და მეთოდები

კვლევა წარმოადგენს რეტროსპექტულ კვლევას, რომელიც ჩატარდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიის სასწავლო, სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ბაზაზე. არქივიდან ამოღებული იქნა საშვილოსნოს სტრომული სიმსივნეების 45 შემთხვევა, რომლებიც დიაგნოზირებულია 2015-2025 წლებში. საკვლევი კოჰორტა მოიცავდა ენდომეტრიუმის სტრომული კვანძის (ESN) 15 შემთხვევას, დაბალი ხარისხის ენდომეტრიუმის სტრომული სარკომის 15 შემთხვევას (LG-ESS) და მაღალი ხარისხის ენდომეტრიუმის სტრომული სარკომის (HG-ESS) 15 შემთხვევას.

კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები იყო: **(i)** ჰისტოლოგიურად დადასტურებული დიაგნოზი ქალთა რეპროდუქციულ ორგანოთა სიმსივნეების WHO კლასიფიკაციის საფუძველზე, მე-5 გამოცემა (2020); **(ii)** ფორმალინში ფიქსირებული, პარაფინით ჩაყალიბებული (FFPE) ქსოვილის მასალის ხელმისაწვდომობა; (iii) სრული კლინიკური, პათოლოგიური და შემდგომი დაკვირვების მონაცემების ხელმისაწვდომობა. გამორიცხვის კრიტერიუმი იყო

შემთხვევები ქსოვილის არაადეკვატური ნიმუშებით ან არასრული კლინიკური ინფორმაციით.

კლინიკური მონაცემები, მათ შორის პაციენტის ასაკი, მენოპაუზის სტატუსი, სიმსივნის ზომა, პათოლოგიური სტადია, სიმსივნური ნეკროზის არსებობა, ლიმფოვასკულური ინვაზია და შემდგომი კლინიკური დაკვირვების ინფორმაცია, შეგროვდა სამედიცინო ჩანაწერებიდან და პაციენტთა ისტორიების ანგარიშებიდან. გამოყენებული იყო ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევისას FIGO 2014 კრიტერიუმები. დაავადებისგან თავისუფალი პერიოდი (DFS) გამოითვლებოდა, როგორც დროის ინტერვალი (თვეები) საწყისი ოპერაციიდან პირველ დოკუმენტურ რეციდივებამდე/მეტასტაზებამდე ან ბოლო შემდგომ დაკვირვებამდე.

იმუნოჰისტოქიმიური შეღებვა ჩატარდა 4 μm სისქის FFPE ქსოვილის მონაკვეთებზე Bond-Max ავტომატური IHC სისტემის (Leica Biosystems) გამოყენებით. გამოყენებული იქნა შემდეგი პირველადი ანტისხეულები (ყველა Leica Biosystems-ისგან): ესტროგენის რეცეპტორი (ER) EP1 1:100 ბირთვული ექსპრესია; პროგესტერონის რეცეპტორი (PR) PgR636 1:100 ბირთვული ექსპრესია; CD10 56C6 1:100 მემბრანული და ციტოპლაზმური ექსპრესია; CDK4 DCS-31 1:50 ბირთვული ექსპრესია; Cyclin D1 SP4 1:50 ბირთვული ექსპრესია; Ki67 MIB-1 1:100 ბირთვული ექსპრესია. ყველა მარკერისთვის გამოყენებული იყო შესაბამისი დადებითი და უარყოფითი კონტროლი.

ER და PR: ექსპრესია შეფასდა სიმსივნური უჯრედების პოზიტიური ბირთვების პროცენტული მაჩვენებლით. შემთხვევები დაყოფილი იყო როგორც დადებითი (≥1%) ან უარყოფითი (<1%) აღწერილობითი სტატისტიკური ანალიზისათვის და პროცენტული მაჩვენებელი გამოყენებული იყო სხვა სტატისტიკური ანალიზისთვის.

CD10: ექსპრესია დაფიქსირდა როგორც დიფუზური, ფოკალური ან უარყოფითი, ციტოპლაზმური/მემბრანული შეღებვის ნიმუშის საფუძველზე.

CDK4 და ციკლინი D1: ბირთვული გამოხატულება ნახევრად რაოდენობრივად შეფასდა H-ქულის მეთოდის გამოყენებით, გამოითვლება როგორც: H- ქულა = (1 × % სუსტად შეღებილი ბირთვების) + (2 × % ზომიერად შეღებილი ბირთვების) + (3 × % ძლიერად შეღებილი ბირთვების). მთლიანი H- ქულა მერყეობდა 0-დან 300-მდე.

Ki67: პროლიფერაციის ინდექსი გამოთვლილი იყო სიმსივნური უჯრედების დადებითი ბირთვების პროცენტულად.

ყველა იმუნოჰისტოქიმიური შეფასება ჩატარდა დამოუკიდებლად ორი გამოცდილი პათოლოგიის მიერ.

სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა SPSS პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით (ვერსია 3). უწყვეტი ცვლადები გამოიხატა როგორც საშუალო ± სტანდარტული გადახრა (SD) და შეადარეს კრუსკალ-ვალისის ტესტის გამოყენებით სამი ჯგუფის შედარებისთვის და Mann-Whitney U ტესტის გამოყენებით წყვილი შედარებისთვის. კატეგორიული ცვლადები გაანალიზდა Chi-square ტესტის ან ფიშერის ზუსტი ტესტის გამოყენებით. კორელაციები იმუნოჰისტოქიმიურ მარკერებსა და კლინიკოპათოლოგიურ პარამეტრებს შორის შეფასებული იყო Spearman-ის კორელაციის კოეფიციენტის გამოყენებით. კაპლან-მეიერის


გადარჩენის ანალიზი და ლოგ-რანგის ტესტი გამოყენებული იყო დაავადებისგან თავისუფალი გადარჩენის (DFS) შესაფასებლად. p-მნიშვნელობა <0.05 ჩათვლილი იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

შედეგები

ამ კვლევაში ჩართული იყო საშვილოსნოს სტრომული სიმსივნის ორმოცდახუთი შემთხვევა, რომელიც შედგებოდა ენდომეტრიუმის სტრომული კვანძის (ESN) თხუთმეტი შემთხვევისგან, დაბალი ხარისხის ენდომეტრიუმის სტრომული სარკომის (LG-ESS) და მაღალი ხარისხის ენდომეტრიუმის სტრომული სარკომის (HG-ESS) ასევე თითოეულ ჯგუფში თხუთმეტი შემთხვევისგან. პაციენტების საშუალო ასაკი იყო 59,1 ± 11,3 წელი, 40-დან 75 წლამდე ინტერვალით. მათ შორის ოცი პაციენტი (44.4%) იყო პრემენოპაუზური, ხოლო ოცდახუთი (55.6%) პოსტმენოპაუზური დიაგნოზის დასმის დროს.


სიმსივნის საშუალო ზომა ყველა შემთხვევაში იყო 4.9 სმ, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა სიმსივნის ტიპებს შორის. ESN-ის შემთხვევებმა აჩვენა სიმსივნის ყველაზე მცირე საშუალო ზომა (3,1 ± 0,5 სმ), რასაც მოჰყვა LG-ESS (4,2 ± 0,8 სმ), ხოლო HG-ESS შემთხვევებმა აჩვენა სიმსივნის უდიდესი საშუალო ზომა (7,3 ± 1,1 სმ) (p <0,001). სიმსივნური ნეკროზი გამოვლინდა LG-ESS შემთხვევების 26.7%-ში და HG-ESS შემთხვევების 53.3%-ში, ხოლო ESN-ის არც ერთ შემთხვევას არ აჩვენა ნეკროზი. ანალოგიურად, ლიმფოვასკულარული ინვაზია დაფიქსირდა LG-ESS-ის 40%-ში და HG-ESS-ის 66.7%-ში, მაგრამ არ იყო ყველა ESN-ის შემთხვევაში. სიმსივნის ნეკროზიც და ლიმფოვასკულარული ინვაზიის სიხშირე აჩვენებდა მნიშვნელოვან კავშირს სიმსივნის ხარისხთან (p <0.001).

იმუნოჰისტოქიმიურმა ანალიზმა გამოავლინა ჰორმონური რეცეპტორების ექსპრესიის პროგრესირებადი დაქვეითება ESN-დან HG-ESS-მდე. ესტროგენის რეცეპტორის (ER) საშუალო ექსპრესია ESN-ში იყო 78.2 ± 8.5%, მნიშვნელოვნად შემცირდა 52.7 ± 9.4%-მდე LG-ESS-ში და შემდგომ 18.6 ± 7.8%-მდე HG-ESS-ში (p <0.001). პროგესტერონის რეცეპტორის (PR) ექსპრესიამ აჩვენა მსგავსი ტენდენცია, საშუალო მნიშვნელობებით 72.1 ± 9.0% ESN-ში, 45.8 ± 11.3% LG-ESS-ში და 12.4 ± 5.2% HG-ESS-ში (p <0.001).




დიაგრამა 1: ER/PR-ის ექსპრესიის განაწილება სხვადასხვა საკვლევ ჯგუფებში;

CD10 ექპრესია ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სიმსივნის ჯგუფებს შორის. ყველა ESN შემთხვევა აჩვენებდა დიფუზურ CD10 პოზიტიურობას. ამის საპირისპიროდ, LG-ESS შემთხვევებმა აჩვენა დიფუზური CD10 პოზიტიურობა შემთხვევების 60%-ში და ფოკალური პოზიტიურობა შემთხვევების 40%-ში. HG-ESS ჯგუფში დიფუზური ექსპრესია იყო შემთხვევების მხოლოდ 13,3%-ში, ფოკალური ექსპრესია 53,3%-ში და უარყოფითი ექსპრესია 33,3%-ში. განსხვავებები CD10 ექსპრესიის ნიმუშებში სიმსივნურ ჯგუფებს შორის იყო სტატისტიკურად სარწმუნო ($p < 0.001$).




სურათი 1: *A.ენდომეტრიუმის სტრომული კვანძი Ki67-ის ექსპრესია IHC; 200X; B. ენდომეტრიუმის სრომული სარკომა - Low Grade Ki67-ის ექსპრესია IHC; 200X; C. ენდომეტრიუმის სტრომული სარკომა - High Grade CyclinD1-ის ექპრესია, IHC; 200X; D. ენდომეტრიუმის სტრომული სარკომა - Low Grade CyclinD1-ის ექსორესია , IHC; 200X; E. ენდომეტრიუმის სტრომული სარკომა - Low Grade CDK4-ის ექსპრესია IHC; 200X; F. ენდომეტრიუმის სტრომული სარკომა - High Grade CDK4-ის ექსპრესია, IHC; 200X;*

Ki67 პროლიფერაციის ინდექსმა აჩვენა მსგავსი ტენდენცია, საშუალო ინდექსით 9.2 ± 2.3% ESN-ში, გაიზარდა 43.1 ± 10.6% LG-ESS-ში და მიაღწია 75.3 ± 12.8% HG-ESS-ში. განსხვავებები იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ($p < 0.001$).




დიაგრამა 2: *Ki67/CD10 -ის ექსპრესიის განაწილება საკვლევ ჯგუფებში;*

CDK4 და Cyclin D1 ექსპრესიის ეტაპობრივი ზრდა გამოვლინდა სიმსივნის ხარისხის გაზრდით. საშუალო H-ქულა CDK4 ექსპრესიისთვის იყო 42.6 ± 12.3 ESN შემთხვევებში, ამაღლებული 75.3 ± 18.2-მდე LG-ESS-ში და პიკს აღწევს 195.8 ± 25.1 HG-ESS-ში. ანალოგიურად, ციკლინის D1 გამოხატვის საშუალო H- ქულა გაიზარდა 51.2 ± 15.7-დან ESN-ში 115.7 ± 24.6-მდე LG-ESS-ში და 248.9 ± 21.3 HG-ESS-ში. H- ქულების განსხვავება ჯგუფებს შორის იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ორივე მარკერისთვის ($p < 0.001$).



დიაგრამა 3: *CDK4/CyclinD1-ის ექსპრესიის განაწილება საკვლევ ჯგუფებში;*

კორელაციის ანალიზმა გამოავლინა მნიშვნელოვანი ინვერსიული კორელაცია ER და PR ექსპრესიას და CDK4 და Cyclin D1 H-ქულებს შორის ($r = -0.68$ და -0.71, შესაბამისად; $p < 0.001$). გარდა ამისა, დაფიქსირდა ძლიერი დადებითი კორელაცია Ki67 პროლიფერაციის ინდექსსა და CDK4 ($r = 0.75$) და Cyclin D1 ($r = 0.78$) ექსპრესიას შორის ($p < 0.001$). დიფუზური CD10 ექსპრესიის დაკარგვა ასევე მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული CDK4 და Cyclin D1 უფრო მაღალ ექსპრესიასთან ($p < 0.001$).



დიაგრამა 4: *მარკერებსა და DFS-ის შორის კორელაციური კავშირები;*

კლინიკური მეთვალყურეობის საშუალო პერიოდის შეადგენდა 32 თვე, დაავადების რეციდივი ან მეტასტაზები დაფიქსირდა თერთმეტ პაციენტში (24.4%). აქედან ერთი შემთხვევა დაფიქსირდა LG-ESS ჯგუფში და ათი შემთხვევა დაფიქსირდა HG-ESS ჯგუფში, ხოლო ESN შემთხვევებს შორის არ დაფიქსირებულა რეციდივები. კაპლან-მეიერის გადარჩენის ანალიზმა აჩვენა მნიშვნელოვნად შემცირებული დაავადებისგან თავისუფალი გადარჩენის მაჩვენებელი (DFS) პაციენტებში მაღალი CDK4 (H-ქულა >150) და ციკლინ D1 (H-ქულა >200) ექსპრესიით ($p < 0.001$). DFS ასევე მნიშვნელოვნად უფრო ხანმოკლე იყო პაციენტებში, რომლებსაც აქვთ CD10 უარყოფითი ან ფოკალური ექსპრესია ($p = 0.002$), იმ პაციენტებში, რომლებსაც არ ჰქონდათ მაღალი ER/PR ექსპრესია ($p = 0.004$) და ხასიათდებოდა მაღალი Ki67 ინდექსით (>50%) ($p < 0.001$).

განსჯა

ჩვენი კვლევის ფარგლებში მულტიფაქტორულად შეფასდა CDK4-ისა და ციკლინ D1-ის იმუნოჰისტოქიმიური ექსპრესია საშვილოსნოს სტრომული სიმსივნეებისა და სარკომების კოჰორტაში, აჩვენა მათი მნიშვნელოვანი კავშირი სიმსივნის ხარისხთან, ჰორმონური რეცეპტორის სტატუსთან, პროლიფერაციის ინდექსთან და კლინიკურ შედეგთან. ჩვენი კვლევის შედეგად არსებული მონაცემები გვაწვდის ახალ შეხედულებებს ფენოტიპურ ცვლილებებზე, რომლებიც დაკავშირებულია სიმსივნის პროგრესირებასთან ამ ჰისტოლოგიური სპექტრის ფარგლებში.

CDK4 და Cyclin D1 ექსპრესიის პროგრესული ზრდა ენდომეტრიუმის სტრომული კვანძებიდან დაბალი ხარისხის და მაღალი ხარისხის ენდომეტრიუმის სტრომულ სარკომამის ჯგუფებამდე ხაზს უსვამს უჯრედული ციკლის დისრეგულაციის ცენტრალურ როლს სიმსივნის აგრესიულობაში. ეს შედეგები შეესაბამება არსებულ მტკიცებულებებს სხვა რბილ

ქსოვილებში და გინეკოლოგიურ სარკომებში, სადაც ციკლინისD-CDK4 გზის გააქტიურება ჩართული იყო ავთვისებიანი ტრანსფორმაციასა და პროგრესირებაში.

ჩვენს კვლევაში, CDK4 და Cyclin D1 ჭარბი ექსპრესია საპირისპირო კორელაციაში იყო ER და PR ექსპრესიასთან, რაც მხარს უჭერს ფენოტიპური დედიფერენციაციის კონცეფციას და ჰორმონური ექსპრესიის დაკარგვას მაღალი ხარისხის სარკომებში. ეს ემთხვევა წინა დაკვირვებებს, რომ LG-ESS ინარჩუნებს ჰორმონური რეცეპტორების პოზიტიურობას და სტრომულ დიფერენციაციას, ხოლო HG-ESS ავლენს ჰორმონური რეცეპტორების დაკარგვას და გაზრდილი პროლიფერაციული უნარს.

CD10 ექსპრესიის შეფასებამ კიდევ უფრო გააძლიერა ეს ფენოტიპური ცვლილება. დიფუზური CD10 ექსპრესია, რომელიც დამახასიათებელი იყო ნორმალური ენდომეტრიუმის სტრომისთვის და ESN-სთვის, თანდათანობით იკარგებოდა LG-ESS და HG-ESS-ში, მნიშვნელოვანი კავშირით CD10-ის შემცირებულ ექსპრესიასა და CDK4 და ციკლინის D1 ამაღლებულ დონეებს შორის. ეს დასკვნები ვარაუდობს, რომ CD10 შეიძლება იყოს არა მხოლოდ დიაგნოსტიკური მარკერი, არამედ როგორც სიმსივნის დიფერენციაციისა და აგრესიულობის არაპირდაპირი მაჩვენებელი.

Ki67 პროლიფერაციის ინდექსი მიჰყვებოდა მსგავს ტენდენციას, მნიშვნელოვნად გაიზარდა სიმსივნის ხარისხით და დადებითად კორელაციაში იყო CDK4 და Cyclin D1 ექსპრესიასთან. ეს მხარს უჭერს უჯრედული ციკლის აქტივაციის ბიოლოგიურ მნიშვნელობას HG-ESS-ის აგრესიულ ქცევაში.

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა გადარჩენის ანალიზმა აჩვენა, რომ მაღალი CDK4 და Cyclin D1 ექსპრესია, CD10 ექსპრესიის დაკარგვა, ER/PR ნეგატიურობა და გაზრდილი Ki67 ინდექსი მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული დაავადებისგან თავისუფალ გადარჩენასთან. ეს შედეგები ვარაუდობს, რომ CDK4 და Cyclin D1 ექსპრესია შეიძლება იყოს პრაქტიკული პროგნოზული ბიომარკერები საშვილოსნოს სტრომულ სიმსივნეებში, რაც ავსებს არსებულ ჰისტოპათოლოგიურ კრიტერიუმებს.

კლინიკურად დამტკიცებული CDK4/6 ინჰიბიტორების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, როგორიცაა პალბოციკლიბი და რიბოციკლიბი, CDK4-ისა და ციკლინ D1-ის ჭარბი ექსპრესია HG-ESS-ში შეიძლება იყოს პოტენციური თერაპიული სამიზნე აგრესიული დაავადების მქონე პაციენტებისთვის. შემდგომი მოლეკულური კვლევები და კლინიკური კვლევები აუცილებელია ამ თერაპიული შესაძლებლობის შესასწავლად.

ამ კვლევის შეზღუდვები მოიცავს მის რეტროსპექტულ დიზაინს. გარდა ამისა, გენის მოლეკულური რეარანჟირების დადასტურება (მაგ., YWHAE, JAZF1) არ განხორციელებულა და შეიძლება შემდგომმა კვლევებმა შეავსოს და სრულყოს იმუნოჰისტოქიმიური დასკვნები.

დასკვნა

ჩვენი კვლევა ხაზს უსვამს CDK4-ისა და ციკლინ D1-ის ჭარბი ექსპრესიის დიაგნოსტიკურ და პროგნოზულ მნიშვნელობას საშვილოსნოს სტრომულ სიმსივნეებსა და სარკომებში. მათი ექსპრესიის პროგრესული ზრდა კეთილთვისებიანი სიმსივნეებიდან მაღალი ხარისხის სიმსივნემდე, ჰორმონური რეცეპტორების ექსპრესიის დაკარგვასთან და CD10-ის ექსპრესიის დაკარგვასთან ერთად, ასახავს ფენოტიპურ დედიფერენციაციას და გაზრდილ პროლიფერაციულ აქტივობას. ეს მარკერები შეიძლება დამხმარე აღმოჩნდეს დიაგნოსტიკურად მაღალი რისკის ჯგუფების სტრატიფიკაციის, რეციდივის რისკის შეფასებისა და სამომავლო პერსონალიზირებული თერაპიული საშუალებების შემუშავებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

[1] F. K. F. Kommoss et al., “Endometrial Stromal Sarcomas With BCOR Internal Tandem Duplication and Variant BCOR/BCORL1 Rearrangements Resemble High-grade Endometrial Stromal Sarcomas With Recurrent CDK4 Pathway Alterations and MDM2 Amplifications,” Am J Surg Pathol, vol. 46, no. 8, pp. 1142–1152, Aug. 2022, doi: 10.1097/PAS.0000000000001909.

[2] A. Hrzenjak, “JAZF1/SUZ12 gene fusion in endometrial stromal sarcomas,” Orphanet J Rare Dis, vol. 11, no. 1, Feb. 2016, doi: 10.1186/s13023-016-0400-8.

[3] C. M. J. Conklin and T. A. Longacre, “Endometrial stromal tumors: The new who classification,” Adv Anat Pathol, vol. 21, no. 6, pp. 383–393, 2014, doi: 10.1097/PAP.0000000000000046.

[4] A. J. Kruse et al., “Aggressive behavior and poor prognosis of endometrial stromal sarcomas with YWHAE-FAM22 rearrangement indicate the clinical importance to recognize this subset,” International Journal of Gynecological Cancer, vol. 24, no. 9, pp. 1616–1622, Nov. 2014, doi: 10.1097/IGC.0000000000000278.

[5] E. Oliva, “Practical issues in uterine pathology from banal to bewildering: The remarkable spectrum of smooth muscle neoplasia,” Modern Pathology, vol. 29, no. S1, pp. S104–S120, Jan. 2016, doi: 10.1038/modpathol.2015.139.

[6] C. H. Lee et al., “The clinicopathologic features of YWHAE-FAM22 endometrial stromal sarcomas: A histologically high-grade and clinically aggressive tumor,” American Journal of Surgical Pathology, vol. 36, no. 5, pp. 641–653, May 2012, doi: 10.1097/PAS.0b013e31824a7b1a.

[7] N. Adamashvili, R. Beriashvili, N. Tevzadze, S. Kepuladze, and G. Burkadze, “Features of the distribution of acute and chronic inflammatory index in cervical intraepithelial neoplasia of different degrees and its relationship with proliferative activity detected by AgNOR technology,” ქართველი მეცნიერები, vol. 6, no. 1, pp. 45–57, Jan. 2024, doi: 10.52340/gs.2024.06.01.08.

[8] K. Shengelaia, I. Kokhreidze, G. Burkadze, S. Kepuladze, and N. Tevzadze, “Challenges of Androgen Receptor Expression in Epithelial Tumors of the Breast and Ovary,” Georgian Scientists, vol. 5, no. 3, pp. 75–84, Aug. 2023, doi: 10.52340/2023.05.03.09.

[9] მიმოხილვაკრიტიკული, გოგიტიძეგიორგი, კეპულაძეშოთა, თევზაძენინო, and ბურკაძეგიორგი, “The Role of the Local Neural microenvironment in the Progression of cervical intraepithelial Neoplasia,” Georgian Scientists, vol. 5, no. 3, pp. 182–188, Sep. 2023, doi: 10.52340/2023.05.03.19.

[10] G. Arveladze, R. Beriashvili, S. Kepuladze, and G. Burkadze, “Evaluation of proliferative activity of different subtypes of basal cell carcinomas by AgNOR technology,” Georgian Scientists, vol. 5, no. 4, pp. 206–218, Dec. 2023, doi: 10.52340/gs.2023.05.04.19.

[11] X. Guo, E. Forgó, and M. van de Rijn, “Molecular subtyping of leiomyosarcoma with 3’ end RNA sequencing.,” Genom Data, vol. 5, pp. 366–367, Sep. 2015, doi: 10.1016/j.gdata.2015.06.029.

[12] T. Kveliashvili, G. Didava, N. Tevzadze, S. Kepuladze, and G. Burkadze, “Peculiarities of the proliferative activity of the gallbladder mucosa in precancerous and cancerous pathologies detected by AgNOR technology,” Georgian Scientists, vol. 5, no. 4, pp. 342–352, Dec. 2023, doi: 10.52340/gs.2023.05.04.31.

[13] N. Adamashvili, R. Beriashvili, N. Tevzadze, S. Kepuladze, and G. Burkadze, “Features of the distribution of acute and chronic inflammatory index in cervical intraepithelial neoplasia of different degrees and its relationship with proliferative activity detected by AgNOR technology,” Georgian Scientists, vol. 6, no. 1, pp. 45–57, Jan. 2024, doi: 10.52340/gs.2024.06.01.08.

[14] N. Sarauli, R. Gvamichava, N. kantaria, S. Kepuladze, and G. Burkadze, “Phenotypic characteristics of peritoneal tumor implants in ovarian epithelial tumors,” Georgian Scientists, vol. 6, no. 2, pp. 111–120, Apr. 2024, doi: 10.52340/gs.2024.06.02.13.

[15] V. I. Shah and W. G. McCluggage, “Cyclin D1 does not distinguish YWHAE-NUTM2 high-grade endometrial stromal sarcoma from undifferentiated endometrial carcinoma,” American Journal of Surgical Pathology, vol. 39, no. 5, pp. 722–724, Apr. 2015, doi: 10.1097/PAS.0000000000000427.

[16] C. H. Lee et al., “Cyclin D1 as a diagnostic immunomarker for endometrial stromal sarcoma with YWHAE-FAM22 rearrangement,” Am J Surg Pathol, vol. 36, no. 10, pp. 1562–1570, Oct. 2012, doi: 10.1097/PAS.0B013E31825FA931.

Expression Patterns of CDK4 and Cyclin D1 in Uterine Stromal Tumors and Sarcomas: Diagnostic and Prognostic Implications

L. Barbakadze; N. Kintraia; Sh. Kepuladze; G. Burkadze

Tbilisi State Medical University

Abstract

Uterine stromal tumors encompass a histologically and clinically heterogeneous group of neoplasms ranging from benign endometrial stromal nodules (ESN) to low-grade and high-grade endometrial stromal sarcomas (LG-ESS and HG-ESS). Reliable markers for diagnostic stratification and prognostic assessment remain limited.

This study aimed to evaluate the immunohistochemical expression of CDK4 and Cyclin D1 in uterine stromal tumors and assess their association with tumor grade, hormonal receptor status, proliferation index, and disease-free survival. A total of forty-five uterine stromal tumors were retrospectively analyzed, including 15 cases each of ESN, LG-ESS, and HG-ESS. Immunohistochemical staining for CDK4, Cyclin D1, CD10, estrogen receptor (ER), progesterone receptor (PR), and Ki67 was performed using Leica antibodies. CDK4 and Cyclin D1 expressions were quantified using the H-score method. Correlations between marker expression, clinicopathological parameters, and disease-free survival (DFS) were statistically analyzed. A progressive increase in CDK4 and Cyclin D1 H-scores was observed from ESN to LG-ESS and HG-ESS ($p < 0.001$). Hormonal receptor expression and diffuse CD10 staining decreased significantly with increasing tumor grade ($p < 0.001$). CDK4 and Cyclin D1 H-scores showed a strong inverse correlation with ER/PR expression and a positive correlation with Ki67 index. Disease recurrence occurred exclusively in sarcoma cases, predominantly in HG-ESS. High CDK4 (H-score >150) and Cyclin D1 (H-score >200) expression, negative or focal CD10 expression, ER/PR negativity, and Ki67 index >50% were significantly associated with reduced DFS. CDK4 and Cyclin D1 overexpression are associated with higher tumor grade, loss of hormonal receptor expression, increased proliferative activity, and poor disease-free survival in uterine stromal tumors. These markers may serve as potential indicators of tumor aggressiveness and could be integrated into diagnostic and prognostic assessment protocols.

Keywords: Uterine stromal tumors, endometrial stromal sarcoma, CDK4, Cyclin D1, hormonal receptors, Ki67, CD10

ავტორთა შესახებ ინფორმაცია:
ლალი ბარბაქაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის PhD სტუდენტი;
Lali Barbakadze – Phd Student at Tbilisi State Medical Universiy,
E-Mail: l.barbakadze@tsmu.edu

ნიკოლოზ კინტრაია - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი; მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
Nikoloz Kintraia - Professor at Tbilisi State Medical University;
E-Mail: kintraia@hotmail.com

გიორგი ბურკაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
George Burkadze - Professor at Tbilisi State Medical University, Head of the Department of Molecular pathology;
E-mail: burkadze@yahoo.com g.burkadze@tsmu.edu
Phone Number: 599578833
ORCID: https://orcid.org/0000-0002-5028-4537

შოთა კეპულაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექიმი პათოლოგანატომი; მედიცინის დოქტორი;
Shota Kepuladze – Phd Student at Tbilisi State Medical Universiy, MD, Clinical Pathologist;
E-mail: shota.kepuladze@gmail.com
Phone Number: +995 598297600
ORCID: https://orcid.org/0000-0002-5919-5581

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.06



სისხლძარღვთა რემოდელირების თავისებურებები საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზიისა და ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის შემთხვევებში: ციფრულ პათოლოგიაზე დაფუძნებული მორფომეტრული და იმუნოჰისტოქიმიური ანალიზი

გიორგი გოგიტიძე; შოთა კეპულაძე; გიორგიბურკაძე;

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ანგიოგენეზი სიმსივნის პროგრესირების მნიშვნელოვანი კომპონენტია, მაგრამ მისი როლი საშვილოსნოს ყელის კიბოსწინარე დაზიანებებში ჯერ კიდევ არ არის კარგად შესწავლილი. საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზია (CIN) 1-დან CIN3-მდე წარმოადგენს ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის (SCC) განვითარების ჰისტოლოგიურ თანმიმდევრობას, რომელიც ძირითადად გამოწვეულია თანმხლები მაღალი რისკის ადამიანის პაპილომავირუსის (HPV) ინფექციით. ეს კვლევა შეისწავლის სისხლძარღვთა რემოდელირებას CIN-ის სპექტრსა და SCC-ის შემთხვევებში მორფომეტრული და იმუნოჰისტოქიმიური (IHC) ტექნოლოგიის გამოყენებით. საარქივო ნიმუშები ამოღებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ლაბორატორიიდან. კლინიკური მონაცემები მოიცავდა პაციენტის ასაკს, HPV სტატუსს და მენსტრუალურ სტატუსს. ჩატარდა IHC CD34-ისთვის. ციფრული პათოლოგიის ანალიზმა MoticEasyScan-ის, QuPath-ისა და ImageJ-ის გამოყენებით შეაფასა მიკროსისხლძარღვების სიმკვრივე (MVD), სისხლმილთა დიამეტრი, სისხლძარღვთა ორიენტაცია, პერივასკულარული ლოკალიზაცია, ანთება და ფიბროზი. CD34-ზე დაფუძნებული MVD თანდათან გაიზარდა ნორმალური საშვილოსნოს ყელიდან (90 სისხლმილი/მმ²) ინვაზიურ SCC-მდე (250 სისხლმილი/მმ²). სისხლმილის დიამეტრი გაიზარდა ნორმალურ ქსოვილის 4მკმ-დან 20მკმ-მდე CIN3-ში. სისხლძარღვთა ყველა მახასიათებელმა აჩვენა ძლიერი დადებითი კორელაცია CIN სიმძიმესთან (Spearman $\rho > 0.89$; $p < 0.01$). კრუსკალ-ვალის ტესტმა დაადასტურა მნიშვნელოვანი განსხვავებები ჯგუფებს შორის ($p < 0.01$ MVD-სთვის, დიამეტრი). ეს კვლევა ხაზს უსვამს სისხლძარღვთა პროგრესირებად რემოდელირებას, როგორც CIN-ის პროგრესირებისა და ინვაზიურ კარცინომაზე გადასვლის ძირითად მახასიათებელს. კომბინირებული მორფომეტრიული და IHC ანალიზი ავლენს ადრეულ ცვლილებებს საშვილოსნოს ყელის სტრომის მიკროვასკულატურაში, რაც გავლენას ახდენს ადრეულ დიაგნოსტირებაზე.

საკვანძო სიტყვები: საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზია, ანგიოგენეზი, CD34, ციფრული პათოლოგია, მიკროსისხლძარღვთა სიმკვრივე, HPV, ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, იმუნოჰისტოქიმია;

მიმოხილვა

საშვილოსნოს ყელის კიბო რჩება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვან გამოწვევად მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგი მეოთხე ყველაზე გავრცელებული ავთვისებიანი სიმსივნეა ქალთა პოპულაციაში[1], [2]. კიბოს გლობალური სტატისტიკის მიხედვით (GLOBOCAN 2020), 600,000-ზე მეტი ახალი შემთხვევა და 340,000-ზე მეტი ლეტალური გამოსავალი გამოწვეულია საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევებით, არაპროპორციულად მოქმედებს დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებზე. საშვილოსნოს ყელის კიბოს პათოგენეზი მჭიდროდ არის დაკავშირებული მაღალი რისკის მქონე ადამიანის პაპილომავირუსის (HPV) ტიპის მუდმივ ინფექციასთან, განსაკუთრებით HPV-16 და HPV-18, რომლებიც მონაწილეობენ ინვაზიური შემთხვევების 70%-ზე მეტის პათოგენეზში[3].

საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარება, როგორც წესი, მიჰყვება კარგად დახასიათებულ ჰისტოპათოლოგიურ თანმიმდევრობას, დაწყებული საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზიიდან (CIN)[4]. CIN კლასიფიცირდება სამ ხარისხად, ეპითელიუმის დაზიანების პროპორციის მიხედვით, რომელიც ავლენს დისპლაზიურ ცვლილებებს: CIN1 (მსუბუქი დისპლაზია), CIN2 (ზომიერი დისპლაზია) და CIN3 (მძიმე დისპლაზია ან კარცინომა in situ). ეს კლასიფიკაცია არა მხოლოდ განსაზღვრავს კლინიკურ მენეჯმენტს, არამედ ასახავს ბიოლოგიურ პროგრესს ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომისკენ (SCC). CIN1 დაზიანებები ხშირად სპონტანურად რეგრესირდება, მაშინ როცა CIN2 და CIN3 პროგრესირების მნიშვნელოვნად მაღალი რისკი აქვთ, განსაკუთრებით მაღალი რისკის HPV გენოტიპების არსებობისას[5].

მაღალი რისკის HPV-ის ონკოგენური პოტენციალი მდგომარეობს ვირუსული ონკოპროტეინების E6 და E7 მოქმედებაში, რომლებიც ახდენენ სიმსივნის სუპრესორული ცილების p53 და რეტინობლასტომის (Rb) ინაქტივაციას[6], [7]. ეს იწვევს უჯრედული ციკლის კონტროლის დარღვევას, აპოპტოზის დაქვეითებას, გენომიურ არასტაბილურობას და გაძლიერებულ პროლიფერაციულ სიგნალიზაციას. თუმცა, ეპითელური დისრეგულაციის მიღმა, მზარდი ყურადღება მიექცა სტრომული მიკროგარემოს როლს, განსაკუთრებით ანგიოგენეზს, ინტრაეპითელური ნეოპლაზიიდან ინვაზიურ დაავადებაზე გადასვლაში[8].

ანგიოგენეზი, ახალი სისხლძარღვების წარმოქმნა უკვე არსებული სისხლძარღვებიდან, კიბოს დამახასიათებელი ნიშანია. ის უზრუნველყოფს სიმსივნური უჯრედების საკვები ნივთიერებებითა და ჟანგბადით მომარაგებას და ხელს უწყობს ნარჩენების მოცილებას. საშვილოსნოს ყელში, ანგიოგენეზი არა მხოლოდ ინვაზიური კარცინომის დამახასიათებელია, არამედ უფრო მეტად აღიარებულია, როგორც ადრეული მოვლენა CIN პროგრესირებაში[9]. კვლევებმა აჩვენა, რომ CIN1 დაზიანებებსაც კი შეუძლიათ აჩვენონ მიკროსისხლძარღვთა სიმკვრივის (MVD) მომატებული მაჩვენებელი, უფრო გამოხატული სისხლძარღვოვანი ცვლილებები შეინიშნება CIN2-3-ში. ეს ცვლილებები მოიცავს გაფართოებულ კაპილარებს, სისხლძარღვთა განშტოების გაზრდას და პერივასკულარულ კლასტერირებას დისპლაზიური ეპითელიუმის მახლობლად.

ენდოთელური მარკერები, როგორიცაა CD34 და CD31, ჩვეულებრივ გამოიყენება იმუნოჰისტოქიმიაში (IHC) MVD და სისხლძარღვთა მორფოლოგიის შესაფასებლად. CD34, ტრანსმემბრანული გლიკოპროტეინი, რომელიც ექსპრესირებულია ენდოთელური პროგენიტორულ უჯრედებზე, არის განსაკუთრებით მგრძნობიარე მარკერი მცირე და უმწიფარი სისხლმილების გამოსავლენად. CD31 (PECAM-1), თუმცა ნაკლებად მგრძნობიარეა, მაგრამ ადასტურებს ენდოთელიუმის იდენტობას და ხშირად გამოიყენება შედარებითი ანალიზისთვის. გარდა ამისა, სისხლძარღვთა ენდოთელური ზრდის ფაქტორი (VEGF) არის ცენტრალური პრო-ანგიოგენური ციტოკინი, რომლის ექსპრესია დაკავშირებულია დაზიანების ხარისხთან და MVD-სთან საშვილოსნოს ყელის ნეოპლაზიაში. VEGF რეგულირდება HPV E6/E7-ით და კიდევ უფრო ძლიერდება ჰიპოქსიით, ანთებითი შუამავლებით და მატრიქსის რემოდელირებით[10].

წინა კვლევებმა აჩვენა, რომ VEGF-ის გადაჭარბებული ექსპრესია დაკავშირებულია CIN-ის უფრო მაღალ ხარისხთან და ცუდ პროგნოზთან საშვილოსნოს ყელის კარცინომის დროს, და რომ ანტიანგიოგენურ აგენტებს, როგორიცაა ბევაციზუმაბი, შეუძლიათ კლინიკური სარგებელი მისცენ საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობის დროს. მიუხედავად ამ შეხედულებებისა, ნაკლები კვლევა არის ფოკუსირებული სისხლძარღვთა მორფომეტრიულ და სივრცულ რეორგანიზაციაზე CIN პროგრესირების დროს, განსაკუთრებით ეპითელურ-სტრომულ ინტერფეისზე, სადაც იწყება ნეოპლაზიური ინვაზია[11].

საშვილოსნოს ყელის ეპითელიუმს მჭიდროდ უჭერს მხარს სტრომული კომპონენტი, რომელიც შედგება ფიბრობლასტების, იმუნური უჯრედების, კოლაგენის მატრიქსისა და მიკროსისხლძარღვებისგან. ნეოპლაზიური ტრანსფორმაციის დროს ეს სტრომული არქიტექტურა განიცდის რემოდელირებას. ერთ-ერთი თვალსაჩინო მახასიათებელია მიკროსისხლძარღვების პერივასკულარული ლოკალიზაციის ზრდა დისპლაზიური ეპითელიუმის ბაზალური შრის მახლობლად, ხშირად ბაზალურის მემბრანიდან 50 მკმ-ის ფარგლებში. ითვლება, რომ ეს სიახლოვე ხელს უწყობს ეპითელურ-ენდოთელური სიგნალის გადაცემას და, შესაძლოა, ნეოვასკულარულ პროლიფერაციას, რომეიც ასევე გამოწვეულია სტრომული VEGF და ანთებითი ციტოკინებით[12], [13].

გარდა ამისა, სტრომული სისხლძარღვების ორიენტაცია - ჩვეულებრივ ბაზალური მემბრანის პარალელურად - იცვლება მაღალი ხარისხის დაზიანებებსა და ინვაზიურ სიმსივნეებში. სისხლმილების პერპენდიკულარული და ქაოტური განლაგება შეიძლება ასახავდეს ბაზალური მემბრანის დესტაბილიზაციას, ფიბრობლასტების გააქტიურებას ან ეპითელურ-მეზენქიმურ გადასვლას (EMT), თუმცა ეს მოსაზრებები ჯერ კიდევ რჩება აქტიური შესწავლის პროცესში[13].

ანგიოგენეზის ტრადიციული ჰისტოლოგიური შეფასება შემოიფარგლება დამკვირვებელთა სუბიექტურობით და ცვალებადობით. ციფრული პათოლოგიის ბოლოდროინდელმა მიღწევებმა, მათ შორის მთლიანი სლაიდების სკანირებამ და გამოსახულების ანალიზის პლატფორმებმა (მაგ., QuPath, ImageJ), საშუალება მოგვცა ამ პროცესების მეტად ობიექტურად შეფასების[14].

ციფრული ალგორითმები საშუალებას გვაძლევს ზუსტად განსაზღვროთ: მიკროსისხლძარღვების სიმკვრივე (სისხლმილი/მმ²); სისხლმილის დიამეტრი (მკმ);

სისხლძარღვთა ორიენტაცია (კუთხე ეპითელიუმთან მიმართებით); პერივასკულარული ლოკალიზაცია.

ციფრული ხელსაწყოების გამოყენებით, მორფომეტრიული გაზომვები ახლა შეიძლება დავაკავშიროთ კლინიკურ და მოლეკულურ მონაცემებთან სტატისტიკური ანალიზისათვის. ჩვენი კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს სისხლძარღვთა არქიტექტურისა და ანგიოგენური აქტივობის დეტალური თავისებურებები, ციფრული ანალიზის დახმარებით CIN სპექტრის მასშტაბით და საშვილოსნოს ყელის ინვაზიური კარცინომის შემთხვევებში. CD34-ის ექსპრესიის შეფასებით, მორფომეტრულ პარამეტრებთან ერთად, როგორიცაა MVD, სისხლმილის დიამეტრი, ორიენტაცია და პერივასკულური კლასტერირება.

მასალა და მეთოდები

კვლევა წარმოადგენს რეტროსპექტულ კოჰორტულ კვლევას, რომელიც ჩატარდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) პათოლოგიის სასწავლო, სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ბაზაზე. კვლევა მოიცავდა საშვილოსნოს ყელის დაზიანებათა საარქივო ნიმუშებს, რომლებიც დამუშავებული იყო 2017-დან 2025 წლებში. ყველა პროცედურა ჩატარდა ეთიკური პრინციპებისა და ჰელსინკის დეკლარაციის შესაბამისად. კვლევა მხარდაჭერილია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის მიერ.

შერჩეული იყო შემთხვევები, რომელიც მოიცავდა საშვილოსნოს ყელის ნეოპლაზიური პროგრესირების ჰისტოპათოლოგიურ სპექტრს: საშვილოსნოს ყელის ნორმალური ქსოვილი, საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზია (CIN) 1, 2 და 3 ხარისხის და ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა (SCC). კლინიკური მონაცემები აღებული იქნა სამედიცინო ჩანაწერებიდან და მოიცავდა: პაციენტის ასაკი, HPV სტატუსი (დადებითი ან უარყოფითი), მენსტრუალური მდგომარეობა (პრემენოპაუზური, პოსტმენოპაუზური). ჰისტოპათოლოგიური დიაგნოზი ეფუძნებოდა ბიოფსიის ან კონიზაციის ნიმუშებს.

ყველა H&E შეღებილი ანათალი პირველადად განხილული იყო ორი დამოუკიდებელი პათანატომის მიერ ჰისტოლოგიური დიაგნოზის დასადასტურებლად და სტრომული ცვლილებების შესაფასებლად. შემდეგი პარამეტრები შეფასდა ნახევრად რაოდენობრივად:

ანთება : 0 = არ არის; 1 = მსუბუქი (გაფანტული ანთებითი უჯრედები); 2 = ზომიერი; 3 = მძიმე (ლიმფოიდური ფოლიკულები ან პლაზმური უჯრედების აგრეგატები);

ფიბროზი: 0 = არ არის; 1 = მსუბუქი (სტრომის მინიმალური ფიბროზი); 2 = ზომიერი (ინტერსტიციული კოლაგენიზაცია); 3 = მაღალი (მკვრივი, ფიბროზული სტრომა);

ყველა შეღებილი ანათალი დასკანირებული იყო MoticEasyScan მთლიანი სლაიდების სკანერის გამოყენებით (Motic Medical Diagnostic Systems Co., Ltd., ჩინეთი) 40 × გადიდებით. ციფრული სლაიდები გაანალიზდა QuPath (ვერსია 0.5) და ImageJ (NIH) პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. მორფომეტრიული გაზომვები აღებული იყო სამ ,,ცხელ წერტილში'' თითო შემთხვევისთვის, შეირჩა რეგიონები მიკროსისხლძარღვების ყველაზე მაღალი სიმკვრივით.

სერიული ანათლები (3-4 μm) მომზადდა ფორმალინით დაფიქსირებული, პარაფინით ჩაყალიბებული (FFPE) ბლოკებისგან დეპარაფინიზაციისა და რეჰიდრატაციის შემდეგ, ანტიგენის აღდგენა განხორციელდა ციტრატის ბუფერის გამოყენებით (pH 6.0).

გამოყენებული იქნა შემდეგი ანტისხეული: CD34 (კლონი QBEnd/10, Leica Biosystems) – პან-ენდოთელური მარკერი.

იმუნოჰისტოქიმიური ანალიზი ჩატარდა Leica BOND-MAX ავტომატურ შეღებვაზე Bond Polymer Refine Detection Kit-ის გამოყენებით (Leica Biosystems).

რაოდენობრივი და ნახევრად რაოდენობრივი ანალიზი

1. სისხლმილების სიმკვრივე (MVD)


თითოეულ შემთხვევაში ×200 გადიდებით CD34-დადებითი ენდოთელური სტრუქტურები დათვლილი იყო სამ ცხელ წერტილში. MVD მაჩვენებლად განისაზღვრა სისხლმილების საშუალო რაოდენობა მმ²-ზე.

2. სისხლმილის დიამეტრი

თითოეული CD34-დადებითი სისხლმილის მაქსიმალური დიამეტრი გაზომილი იყო მიკრომეტრებში (მკმ) მის ყველაზე განიერ წერტილში ImageJ-ის გამოყენებით. დაფიქსირდა საშუალო დიამეტრი თითო შემთხვევაზე.

3. სისხლძარღვთა ორიენტაცია

QuPath-ის გამოყენებით, თითოეული სისხლმილის კუთხე გაზომილი იყო ეპითელურ-სტრომულ ღერძთან მიმართებაში. ორიენტაცია დაყოფილი იყო შემდეგნაირად: პარალელური (0°–30°); ირიბი (31°–60°); პერპენდიკულარული (>60°); დეზორგანიზებული/ქაოტური (ორგანიზებული განლაგების დაკარგვა).



2022 წლის მანძილზე. გერმანულმა აფთიაქებმა ორი მნიშვნელოვანი ახალი სერვისი დანერგეს თავიანთი მომხმარებლებისთვის: ელექტრონული რეცეპტი (e-prescription), რომლითაც პაციენტებს აქვთ წვდომა არა მხოლოდ უშუალოდ, არამედ ონლაინ, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ მედიკამენტზე, და მომსახურება, რომლის მიხედვით აფთიაქებს შეუძლიათ შესთავაზონ პაციენტებს უფასო კონსულტაცია, განურჩევლად ინდივიდისა და რეცეპტისა (მაგ. ქრონიკულად დაავადებული პაციენტებისთვის, რჩევები პოლიფარმაციის შემთხვევების მართვისთვის).

ღამის და სასწრაფო დახმარების სამსახური, გერმანიაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. Apothekenfinder არის სერვისი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსახლეობას სწრაფად და მარტივად იპოვონ უახლოესი (სასწრაფო) აფთიაქი. ბევრი პაციენტი იყენებს აფთიაქების ღამის და გადაუდებელ სამსახურებს გადაუდებელი თვითმკურნალობისთვის ან რეცეპტების მისაღებად. მიუნხენში აფთიაქი უზრუნველყოფს გადაუდებელ მომსახურებას წელიწადში 14-ჯერ, ხოლო როტენბურგში, გაცილებით პატარა ქალაქში 70-ჯერ. თუ გადაუდებელი დახმარების მიმწოდებელი ექიმი მონიშნავს ვარდისფერ რეცეპტზე „noctu“ (ლათინურად „ღამე“) უჯრას, პაციენტს არ მოეთხოვება გადაუდებელი დახმარების საფასურის 2,50 ევროს საფასურის გადახდა და ეს თანხაც იფარება ჯანმრთელობის დაზღვევის გზით.

საქართველოში ღამის აფთიაქები შედარებით მცირე რაოდენობით ფუნქციონირებს და მსგავსი ცენტრალიზებული სერვისი არ არსებობს.

გამოწერილი სამკურნალო საშუალებები მზა დოზირებული ფორმების სახით ხშირად არ არის აფთიაქებში. მათ ექიმის დანიშნულების მიხედვით ამზადებენ. ყოველწლიურად, დაახლოებით 12 მილიონი წამალი მზადდება აფთიაქში პაციენტებისთვის. ნებისმიერ აფთიაქს შეუძლია წამლის დამზადება პაციენტის საჭიროებების შესაბამისად. საქართველოში, მონაცემები ამ მიმართულებით შეზღუდულია. გარკვეული აფთიაქები სთავაზობენ ინდივიდუალური რეცეპტების მიხედვით სამკურნალო საშუალებების დამზადებას, თუმცა ეს პრაქტიკა ფართოდ გავრცელებული არ არის. პაციენტები ძირითადად იძენენ მზა დოზირების ფორმებს და ინდივიდუალური საშუალებების დამზადება იშვიათია. საქართველოში ნაკლებად გავრცელებულია აფთიაქების მიერ პირდაპირი საკურიერო მომსახურების შეთავაზება. აღნიშნული საკითხი კანონითაც დაურეგულირებელია. მომსახურების შეზღუდვა პაციენტებისთვის დამატებით დისკომფორტს იწვევს, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც პრობლემები აქვს მობრაობის და გადაადგილების კუთხით.

თითქმის ყველა აფთიაქი (97.4%) გერმანიაში გვთავაზობს საკურიერო მომსახურებას, რათა თავიდან აარიდონ პაციენტებს დამატებითი დისკომფორტი. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა გადაადგილების პრობლემების მქონე პაციენტებისთვის. ქვეყანაში აფთიაქის პერსონალი ამ მომსახურებას დღეში დაახლოებით 300 000-ჯერ უწევს და ეს რიცხვი 450 000-მდე გაიზარდა პანდემიის მწვერვალზე. მედიკამენტების შესახებ კონსულტაციას აფთიაქის პერსონალი ჩვეულებრივ წინასწარ აძლევს პაციენტს აფთიაქში ტელეფონით ან წამლის მიწოდებისთანავე. 2020 წლის აპრილიდან უკვე შესაძლებელია მიტანის სერვისის ღირებულების ნაწილის დარიცხვა კანონით დადგენილი ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებში. კურიერის სერვისით მოსარგებლე ჯგუფები სტატისტიკურად შემდეგნაირად ნაწილდება:



გერმანიაში აფთიაქები დიჯიტალიზაციას იყენებენ ფუნქციების ფართო სპექტრისთვის, როგორიცაა საბითუმო მოვაჭრეებისგან ფარმაცევტული პროდუქტების შეკვეთა, მარაგების მართვა, ფასდაკლების კონტრაქტების განხორციელება, მონაცემთა ბაზების გამოყენება მედიკამენტების გვერდითი ეფექტებისა და ურთიერთქმედების შესამოწმებლად, აგრეთვე

ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებთან ანგარიშსწორების განხორციელება კომპიუტერული ცენტრების საშუალებით. პროცესები და სერვისები, როგორიცაა ელექტრონული რეცეპტები და პაციენტების ელექტრონული ჩანაწერები, ასევე ციფრული ხდება მზარდი ტემპით. ელექტრონული რეცეპტების შემოღება წარმოადგენდა მნიშვნელოვან ცვლილებას გერმანიის აფთიაქებისთვის. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ფარმაცევტები ამ ცვლილებასთან დაკავშირებით ორაზროვნად იყვნენ განწყობილნი [2, 5].

რა შიდა ნაბიჯები და ღონისძიებები დაგეგმეს აფთიაქების მფლობელებმა ელექტრონული რეცეპტის დანერგვისთვის?

გუნდების და სამუშაო პროცესების რესტრუქტურიზაცია	67.0 %
საკურიერო მომსახურების გაფართოება	51.2 %
ინვესტიცია ციფრულ მარკეტინგში	38.0 %
ფარმაცევტული ტელეკონსულტაციის შეთავაზება	24.2 %
არსებული ფოსტით შეკვეთით სავაჭრო საქმიანობის გაფართოება	9.4 %
ფოსტით ვაჭრობის გაუმჯობესება	9.4 %
განსხვავებული ქმედებები არ განუხორციელებია	13.4 %

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მოდერნიზაციისთვის ელექტრონული რეცეპტების სისტემის დანერგვა მნიშვნელოვანია. სისტემა უსაფრთხო, კომფორტულ და ეფექტურ სერვისებ სთავაზობს სპაციენტებსა და ექიმებს. ის საშუალებას აძლევს ჯანდაცვის მუშაკებს ელექტრონულად მართონ მედიკამენტების გამოწერა და გაცემის პროცესი. სპეციალური მოდულის საშუალებით ივსება რეცეპტები ექიმის მიერ, ხოლო ფარმაცევტები გასცემენ შესაბამის პრეპარატებს რეცეპტის გადამოწმების შემდეგ. საქართველოს მასშტაბით, 2022 წლის 11 აპრილიდან სისტემა სრულად ამოქმედდა. მედიკამენტების შეძენა მომხმარებლებს მხოლოდ ელექტრონული რეცეპტით შეუძლიათ, რომელმაც მატერიალური რეცეპტები ჩაანაცვლა.

შენობის ტიპი, ზომა, მდებარეობა და აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს აფთიაქის სათანადო ფუნქციონირებას, კერძოდ, ფარმაცევტული საშუალებების სათანადო მომზადებას, ტესტირებას, შენახვას, შეფუთვას და სწორად გაცემას. აფთიაქი უნდა იყოს

1. კედლებით ან კარებით გამოყოფილი

ა) სხვა კომერციული ან პროფესიული დანიშნულების ოთახებისგან და

ბ) საზოგადოებრივი მოძრაობის ადგილებისგან და მაღაზიის სივრცისგან

2. დაცული არასანქცირებული წვდომისგან;

3. საჭიროების შემთხვევაში საკმარისად განათებული, ვენტილირებადი და კონდიცირებული;

4. იდეალურ სტრუქტურულ და სანიტარიულ მდგომარეობაში
5. მოწყობილი ისე, რომ თითოეული ოთახში შესვლა შესაძლებელია აფთიაქიდან (სივრცითი ერთეული) გაუსვლელად.

აფთიაქის ფართი მოიცავს მინიმუმ სარეალიზაციო ზონას, ლაბორატორიას, საკმარის შესანახ სივრცეს და ღამის მორიგეობის ოთახის. ლაბორატორია აღჭურვილი უნდა იყოს გამწოვი სისტემით. საოპერაციო ობიექტების ძირითადი ფართობი უნდა იყოს მინიმუმ 110 კვადრატული მეტრი. გაყიდვების ზონას უნდა ჰქონდეს წვდომა საზოგადოებრივი მოძრაობის ზონებთან და უნდა იყოს ხელმისაწვდომი ბარიერების გარეშე. უნდა იყოს იმგვარად დაპროექტებული, რომ იყოს საკმარისი ადგილი შესასრულებელი ამოცანებისთვის, გაყიდვების ზონა უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ დაცული იყოს კონსულტაციების კონფიდენციალურობა, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ფარმაცევტული საშუალებები ეძლევა მომხმარებლებს, რათა თავიდან იქნას აცილებული სხვა მომხმარებლების მიერ კონსულტაციის მოსმენა. უნდა გამოიყოს ცალკე სამუშაო ადგილი ფარმაცევტული საშუალებების მოსამზადებლად. სამუშაო ადგილი გამოყოფილი უნდა იყოს აფთიაქის სხვა უბნებისგან მინიმუმ სამი მხრიდან. მისი კედლები, ზედაპირები და იატაკი უნდა იყოს ადვილად გასაწმენდი, რათა შემცირდეს გარემოს დაბინძურების რისკი. შესანახი ოთახი უნდა იყოს საკმარისად დიდი და იძლეოდეს პროდუქტების სწორად შენახვის შესაძლებლობას. ფარმაცევტული პროდუქტები ან სუბსტანციები უნდა იყოს განთავსებული ვადაგასული ან წუნდებული მედიკამენტებისგან განცალკევებით, რომლებიც უსაფრთხოდ უნდა ინახებოდეს, ამ მიზნით უნდა იყოს გათვალისწინებული განცალკევებული, შესაბამისად ეტიკეტირებული შესანახი ადგილი. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფარმაცევტული პროდუქტის შენახვა საჭირო ტემპერატურასთან შესაბამისობით, უნდა გამოირიცხოს არაავტორიზებული წვდომა. აფთიაქებმა, რომლებიც აწვდიან საავადმყოფოებს ფარმაცევტულ საშუალებებს, უნდა უზრუნველყონ წამლის განთავსება ცალკე შესანახ ოთახებში ან მინიმუმ ცალკე შესანახ ადგილებში, რომლებზეც შესაბამისი ეტიკეტია ნაჩვენები. შენობის ზომისა და ადგილმდებარეობის ან აღჭურვილობის მნიშვნელოვანი ცვლილებები ან მათი გამოყენება წინასწარ უნდა ეცნობოს პასუხისმგებელ ორგანოს.

ხელმძღვანელმა ფარმაცევტმა უნდა განახორციელოს შესაბამისი სანიტარული ზომები. უნდა დადგინდეს: ოთახების დასუფთავების სიხშირე და სახეობა, საჭიროების შემთხვევაში დეზინფექციის სიხშირე, გამოსაყენებელი პროდუქტები და მოწყობილობები [6].

საქართველოს კანონდებლობა განსაზღვრავს სხვადასხვა ტიპის აფთიაქების საქმნიანობისთვის მარეგულირებელ მოთხოვნებს. განსხვავებით ზემოთ აღწერილისა, ადგილობრივი რეგულაცია არ ადგენს მინიმალურ ფართს ფარმაცევტული დაწესებულებებისთვის, არც ლაბორატორიის მოთხოვნაა განსაზღვრული აფთიაქისთვის [7].

გერმანიაში აფთიაქების რაოდენობა მცირდება 2009 წლიდან, ხოლო 2021 წელს ის ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაეცა - 18,461-მდე. თუმცა, არ არასებობს იმის საშიშროება, რომ მოსახლეობის მედიკამენტებზე წვდომა ქვეყნის მასშტაბით შეფეხდება. აფთიაქების რაოდენობა დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობასა და სტრუქტურაზე. ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია, რომელიც დაყოფილია ჩრდილოეთ რაინისა და ვესტფალია-ლიპეს

კამერულ ოლქებად, გერმანიის ყველაზე დასახლებული მიწაა და ხასიათდება აფთიაქების ყველაზე მეტი რაოდენობით (3900). გერმანიაში საშუალოდ 100 000 მოსახლეზე 22 აფთიაქია, თუმცა, ეს რიცხვი რეგიონიდან რეგიონში განსხვავებულია. აფთიაქის სიმჭიდროვე შეიძლება განსხვავდებოდეს მოსახლეობის, ურბანული სიმჭიდროვისა და ქალაქებისა და ადმინისტრაციული უბნების სტრუქტურის მიხედვით.

გერმანიაში დაახლოებით 69 000 ფარმაცევტი მუშაობს და ეს რიცხვი მატულობს. აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია აფთიაქებში, სხვები მუშაობენ ფარმაცევტულ ინდუსტრიაში, საავადმყოფოს აფთიაქებში, უნივერსიტეტებსა და საჯარო ხელისუფლებაში. ლიცენზირებული ფარმაცევტების თითქმის სამი მეოთხედი ქალია. ზოგადად, აფთიაქებში დაახლოებით 160 000 ადამიანია დასაქმებული, რომელთა დაახლოებით ერთი მესამედი ლიცენზირებული ფარმაცევტია. ორი მესამედი მუშაობს ფარმაცევტულ ტექნიკურ ასისტენტად ან კომერციულ თანამშრომლად.

საქართველოში არ არსებობს დასაქმებული პირების ზუსტი სტატისტიკა. მარეგულირებელი ორგანო აღრიცხვას მხოლოდ დაწესებულების პასუხისმგებელ ფარმაცევტებს, თუმცა არ გააჩნია ინფორმაცია ფარმაცევტულ დაწესებულებებში (მათ შორის აფთიაქებში) დასაქმებული სპეციალისტების შესახებ.

გერმანიის აფთიაქებში პრაქტიკას გადის 7,400-მდე ახალგაზრდა სასწავლო პროგრამის ფარგლებში. აფთიაქების პერსონალის დაახლოებით ნახევარი ყოფილი სტაჟიორია. გერმანიაში იზრდება ფარმაცევტის სტუდენტებისა და ახლად ლიცენზირებული ფარმაცევტების რაოდენობა. ასევე, იზრდება მოთხოვნა ფარმაცევტებზე სამუშაო ბაზარზე. ფარმაციის სასწავლო პროგრამები შემოთავაზებულია 14 ფედერალური შტატის 22 უნივერსიტეტში. უწყვეტი პროფესიული განათლება ხელს უწყობს არსებული ცოდნის განახლებას და გაფართოებას. დიპლომისშემდგომი სპეციალიზაცია გულისხმობს სპეციალიზებული ცოდნისა და უნარების შეძენას ფარმაციის კონკრეტულ სფეროში. [2, 8].

ფარმაცევტული ფასების ინდექსი აღწერს ნორმატიული ჯანმრთელობის დაზღვევის სახსრების ხარჯზე დაწესებული ფარმაცევტული პროდუქტების საშუალო ფასების ცვლილებას. ფარმაცევტულ პროდუქტებზე ფასები 15 წელზე მეტია იკლებს, სამომხმარებლო ფასები კი აგრძელებს ზრდას. რეცეპტით გასაცემი ფარმაცევტული საშუალებების გასაყიდი ფასები და აფთიაქის ფასები დადგენილია წამლის ფასის შესახებ დადგენილების (AMPreisV) სამართლებრივი დებულებების შესაბამისად. ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებზე ფინანსური ტვირთის შემსუბუქების მიზნით, კანონმდებლებმა დაზღვეული ფიზიკური პირების თანაგადახდასთან ერთად ფასდაკლებები დააწესეს [9].

ფარმაცევტთა ფედერალური პალატის გაიდლაინები და რეკომენდაციები, რომლებიც ეხება აფთიაქებში არსებულ ტიპურ სიტუაციებს, უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მომსახურებას. ეს სახელმძღვანელო დოკუმენტები მოქმედი კანონებისა და რეგულაციების გათვალისწინებით, დამყარებულია მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში არსებულ თანამედროვე მიღწევებზე, შეთავაზებულია მასალები ფარმაცევტული საქმიანობის რისკებზე, ასევე ასთმის,

სისხლის ტესტირების, კოვიდ-19-ის ვაქცინების, დიაბეტის და სხვა პროცესების მართვასთან დაკავშირებით.

ფარმაცევტები წამლის ხარისხის პრობლემებთან დაკავშირებით ინფორმაციას აწვდიან წამლების კომისიას (AMK), რომელიც აღრიცხავს და აფასებს ფარმაცევტული პროდუქტების შესახებ მიღებულ ცნობებს და, საჭიროების შემთხვევაში, გასცემს გაფრთხილებებს. პრობლემები შეიძლება დაკავშირებული იყოს არასასურველ ეფექტებთან, მექანიკურ დეფექტებთან, დეკლარაციის შეცდომებთან, შეფუთვასთან და სხვ.


განსხვავებით გერმანიისგან, საქართველოში არ არის შემეშავებული გაიდლაინები და რეკომენდაციები აფთიაქებში ტიპური სიტუაციების მართვისთვის. სამკურნალო საშუალებების ხარისხსთან დაკავშირებული პრობლემები კი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიეწოდება.

მიწოდების დეფიციტი ბოლო წლების განმავლობაში აფთიაქების ყოველდღიური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა. აფთიაქების მფლობელების უმეტესობა აცხადებს, რომ მათი თანამშრომლების სამუშაო დროის 10%-ზე მეტს ხარჯავენ შემცვლელი პროდუქტების მოძიებაზე. ჩატარებული გამოკითხვისას, აფთიაქების მფლობელებმა განაცხადეს, რომ მათ დაზოგეს სამუშაო დროის 40.6% (საშუალო) მიწოდების დეფიციტის მართვაზე მას შემდეგ, რაც დადგენილებამ განსაზღვრა ჩანაცვლება იმ მედიკამენტებით, რომლებიც ხელმისაწვდომია მარაგში. ფარმაცევტული მარაგის დეფიციტი პრობლემა წარმოადგენს აფთიაქებისთვის მთელ ევროპაში. გერმანიის აფთიაქების მესაკუთრეთა 62.4 % პროცენტი მიწოდების ნაკლებობას თვლის ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემად მათ ყოველდღიურ საქმიანობაში. ევროპის მასშტაბით, აფთიაქების პერსონალის მიერ მარაგის დეფიციტის მართვისთვის კვირაში დახარჯული დრო - 5.1 სთ-ია; 85 % მოდის გულ-სისხლძარღვთა სისტემის წამლების მიწოდების დეფიციტზე. გამოკითხვის დროს ფარმაცევტთა ასოციაციების 52%-მა აღნიშნა, რომ მათ ქვეყნებში 200-ზე მეტ მედიკამენტს შეეხო მიწოდების დეფიციტი; ფარმაცევტები მიწოდების დეფიციტის შესახებ შესაბამის ინფორმაციას ძირითადად აფთიაქებისგან (74%), საბითუმო მოვაჭრეებისგან (67%) და მწარმოებლებისგან (52%) იღებენ [10].

რეფერენტული ფასების სისტემის შემოღებამ საქართველოში განაპირობა მედიკამენტების ფასის ცვლილება. არსებობდა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სამკურნალო საშუალებებზე ფასის შემცირება დანიშნულების ცვლილებას გამოიწვევდა. თუმცა, ექიმები გამოკითხვაში ცალსახად აღნიშნავენ, რომ რეფერენტული ფასის დადგენას დანიშნულებაზე გავლენა არ მოუხდენია. ფარმაცევტების 60% გამოკითხვაში აღნიშნავს, რომ არ შეუმჩნევიათ სამედიცინო პერსონალის მხრიდან წამლის გამოწერასთან დაკავშირებული ცვლილებები. გარდა პოზიტიური მხარეებისა, რეფერენტული ფასის შემოღებამ მედიკამენტებზე გარკვეული გამოწვევები შექმნა ფარმაცევტულ სექტორში: მედიკამენტების მიწოდების შეფერხება (რასაც დეფიციტის ფონზე მოჰყვა აზიური მედიკამენტების წილის ზრდა), სამკურნალო საშუალებების ხარისხთან დაკავშირებული რისკები, ორიგინალი

ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაციის შემცირება, პაციენტების არსაკმარისი ინფორმირებულობა, რამაც დაბნეულობა და უნდობლობა გამოიწვია მათში, ფარმაცევტების მიერ კონსულტაციის დროის გაზრდა [11, 12].

კვლევებმა აჩვენა, რომ მიწოდების დეფიციტი არ არის მხოლოდ აფთიაქების ყოველდღიური მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემური ფაქტორი, მიუხედავად ადგილობრივი აფთიაქების მცდელობისა, ისინი ხშირ შემთხვევაში აფიქსირებენ პაციენტებისთვის მიწოდებული მედიკამენტური თერაპიის ხარისხის გაუარესებას, როცა დეფიციტური პრეპარატების შეცვლა ვერ ხერხდება ექვივალენტური პროდუქტებით. ამას ადასტურებს გამოკითხვა, რომელიც ჩაატარა გერმანელი ფარმაცევტების წამლების კომისიამ (AMK) დეფიციტის მასშტაბებსა და შედეგების გამოსავლენად. შესწავლილი იქნა ქმედებები, რაც თან სდევდა წამლის მიწოდების დეფიციტს.



გაყალბების საწინააღმდეგო ევროპული დირექტივა გერმანიაში ძალაში შევიდა 2019 წელს. ეს დამცავი მექანიზმი ფალსიფიცირებული ფარმაცევტული საშუალებების იდენტიფიცირებისთვის ცნობილია როგორც securPharm. ყველა შეფუთვას გააჩნია დაცვა და უნიკალური სერიული ნომერი, ეს ნომრები იტვირთები როგორც მწარმოებლის ასევე რეალიზატორების მიერ. საეჭვო ,,სიგნალი“ ხდება საფუძვლიანი გამოძიების მიზეზი.

პოლიფარმაცია არის შემთხვევა, როდესაც პაციენტები იღებენ რამდენიმე მედიკამენტს ერთდროულად გრძელვადიან პერსპექტივაში. გერმანიის მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი მუდმივად იღებს სამ ან მეტ მედიკამენტს. არსებობს მედიკამენტების მართვის სხვადასხვა ფორმები პოლიფარმაციის რისკებთან მიმართებაში, როგორიცაა ARMIN და PRIMA [10, 13].

საქართველოში ჯერ არ მოქმედებს სრულიად ევროპული ტიპის მიკვლევადობის სისტემა, როგორიცაა securPharm გერმანიაში, თუმცა გარკვეული რეგულაციები დანერგილია, მათ შორის: ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაცია, სავალდებულო აღრიცხვა, ფალსიფიცირებული მედიკამენტების კონტროლი (პერიოდული ინსპექტირება და

ლაბორატორიულ შემოწმებები), GDP-ს შესაბამისობის კონტროლი. საქართველოში პოლიფარმაციის მართვის სპეციალური სახელმწიფო პროგრამა არ მოქმედებს, მაგრამ არსებობს გარკვეული მოთხოვნები: ქრონიკული დაავადებების მართვის პროგრამაში ჩართული ექიმები ითვალისწინებენ პოლიფარმაციის რისკებს. ექიმი ან ფარმაცევტი, დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულია გააფრთხილოს პაციენტი და შესთავაზოს პაციენტს ოპტიმალური მედიკამენტური სქემა, პოლიფარმაციის პრევენციას ხელს უწყობს ელექტრონული რეცეპტების დანერგვაც, თუმცა ყველა ჩამოთვლილი მექანზმები ხარვეზებით ფუნქციონირებს და სრულყოფას საჭიროებს.

გერმანიაში გამოწერილი მედიკამენტების დაახლოებით 4-5 % ასოცირდება ბოროტად გამოყენებასთან ან დამოკიდებულების პოტენციალთან, დაახლოებით 1,4-დან 1,5 მილიონამდე ადამიანს აქვს ეს პრობლემა. დამოკიდებულებები ყველაზე ხშირად გვხვდება საძილე და სედატიურ საშუალებებთან. აუცილებელია განვასხვავოთ ბოროტად გამოყენება და დამოკიდებულება იმ ნივთიერებებზე, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური დამოკიდებულება. პროდუქციის მთელი ასორტიმენტიდან, თვითმკურნალობისთვის გაცემული შეფუთვების 10-დან 12 პროცენტამდე შეიცავს აქტიურ ნივთიერებებს, რომლებსაც ბოროტად გამოყენების პოტენციალი აქვთ.

სამწუხაროდ, საქართველოში მედიკამენტების ბოროტად გამოყენებისა და დამოკიდებულების შესახებ დეტალური სტატისტიკური მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის, რაც ართულებს ზუსტ შედარებას გერმანიის მონაცემებთან.

სპეციალური მოთხოვნები ვრცელდება მედიკამენტების გარკვეულ ჯგუფებზე. მაგალითად, ნარკოტიკები (საჭიროებს სპეციალურ რეცეპტს და დოკუმენტაციას, რათა თავიდან იქნას აცილებული ბოროტად გამოყენება ან გვერდითი ეფექტები), იგივე ეხება თალიდომიდის შემცველ მედიკამენტებს (T რეცეპტი), ტემპერატურისადმი მგრძნობიარე მედიკამენტებს.

OTC (ურეცეპტო) პრეპარატები ძირითადად გამოიყენება თვითმკურნალობით. ამიტომ კონსულტაცია აფთიაქში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამით პაციენტს ეძლევა საშუალება გადაამოწმოს დიაგნოზი. ამ პროდუქტებზე მოთხოვნა შეიძლება მერყეობდეს წლის განმავლობაში, მაგალითად, გაციების და გრიპის სეზონზე. მცენარეული, ჰომეოპათიური და ანთროპოსოფიული მედიკამენტები არის ჯგუფი, რომელსაც აწესრიგებს გერმანული მედიკამენტების შესახებ კანონი (AMG). ეს ურეცეპტო მედიკამენტები საკმაოდ მოთხოვნადია აფთიაქებში. ექიმები იყენებენ ,,მწვანე" რეცეპტებს, რომლითაც პაციენტები თავად იძენენ წამალს აფთიაქში. თუმცა, ფორმა ასევე შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მწვანე რეცეპტი შეიძლება წარედგინოს ჯანმრთელობის დაზღვევის კომპანიას ანაზღაურებისთვის. განსხვავებით გერმანიისგან, საქართველოში სადაზღვევო კომპანიები ურეცეპტოდ გასაცემ სამკურნალო საშუალებებს არ აფინანსებენ [14, 15,16].

ჩანაცვლებითი თერაპია გამოიყენება ოპიოიდებზე დამოკიდებული ადამიანების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად და სტაბილიზაციისთვის. ჩანაცვლებითი ოპიოიდების გაცემა ხორციელდება დაახლოებით 2,300 აფთიაქიდან, თუმცა ეს არის ნებაყოფლობითი

ფარმაცევტული მომსახურება. აღნიშნულისგან განსხვავებით, ჩანაცვლებითი თერაპიისთვის დანიშნული სამკურნალო საშუალებების გაცემა საქართველოში არა აფთიაქიდან, არამედ, იმ დაწესებულებებიდან ხდება, სადაც პაციენტებს სპეციფიური სამედიცინო მომსახურება მიეწოდება.

გერმანიაში აფთიაქის საშუალო წმინდა შემოსავალი არის დაახლ. 3,08 მილიონი ევრო წელიწადში (დღგ-ს გარეშე), მაგრამ ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განსხვავდება ცალკეულ აფთიაქებს შორის. აფთიაქების შემოსავლის 91% მოდის მედიკამენტებზე, დანარჩენი კი მიეკუთვნება აფთიაქებში დამატებით პროდუქტებს. შემოსავლის დაახლოებით 84% მოდის ექიმის მიერ დანიშნულ მედიკამენტებზე. დამატებითი ასორტიმენტი მოიცავს ყველა არაფარმაცევტულ პროდუქტს [17,18,19].

აფთიაქების საშუალო წლიური შემოსავლისა და შემოსავლის სტრუქტურის შესახებ საქართველოში საჯარო მონაცემები არ მოიძებნება. ამიტომ, რთულია ზუსტი შედარების გაკეთება გერმანიასთან. საქართველოს მოსახლეობის შემოსავალი და ხარჯები იზრდება, მაგრამ მათი შემოსავლის სტრუქტურის შედარება გერმანიასთან შეუძლებელია აფთიაქების შემოსავლის დეტალური მონაცემების არარსებობის გამო.

დასკვნის სახით, გერმანიის მოდელის დეტალური ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია განისაზღვროს საქართველოს სააფთიაქო მომსახურების მიწოდების გამოწვევები:

- თითოეულ პაციენტს აქვს ინდივიდუალური საჭიროებები. მათი ამოცნობა, ემპათიურად და კომპეტენტურად რეაგირება და პაციენტის კიდევ უფრო აქტიური ჩართვა წამლით მკურნალობის პროცესში საზოგადოებრივი აფთიაქების უწყვეტი ამოცანა უნდა გახდეს. ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი პაციენტთა ინდივიდუალური საჭიროებების სათანადო იდენტიფიცირება და მკურნალობის პროცესში მათი აქტიური ჩართვა.
- პაციენტსა და აფთიაქს შორის ნდობის ურთიერთობის პირობაა ის, რომ პაციენტი ნებისმიერ დროს უნდა დაეყრდნოს ფარმაცევტის მიერ მედიკამენტების დამოუკიდებელ შერჩევას, მიწოდებას და კონსულტირებას ყოველგვარი ზეწოლის გარეშე და მესამე მხარის ინტერესებისგან დამოუკიდებლად, სერვისის მიწოდება უნდა მოხდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, რაც კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.
- ფარმაცევტები კოლეგიურად უნდა მუშაობდნენ როგორც ერთმანეთთან, ისე ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან პრევენციისა და წამლების მკურნალობის ოპტიმიზაციის უზრუნველსაყოფად. კოორდინაცია და თანამშრომლობა პრევენციისა და მკურნალობის ოპტიმიზაციის მიმართულებით ჯერ კიდევ არ არის სრულად დანერგილი.
- საზოგადოებრივ აფთიაქები კოორდინაციას და ზედამხედველობას უნდა უწევდნენ წამლით მკურნალობას, ფოკუსირებულნი უნდა იყვნენ მედიკამენტების სწორ გამოყენებაზე. ამ გზით ხდება მედიკამენტების ეფექტური და პაციენტზე ორიენტირებული მიწოდების უზრუნველყოფა.

- მედიკამენტების მიწოდების პარალელურად, კონსულტაცია ცენტრალური სერვისია, რომელსაც მაღალპროფესიულ დონეზე უნდა ახორციელებდნენ საზოგადოებრივი აფთიაქები, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ წამლით მკურნალობის ოპტიმიზაციასა და უსაფრთხოებაში. წამლის მიწოდების პროცესში კონსულტაციის როლის გაძლიერება და მასზე მაღალი ხარისხის მოთხოვნების დაწესება კრიტიკულად აუცილებელია.
- საზოგადოებრივი აფთიაქები ინტენსიურად უნდა მონაწილეობენ მზა წამლების ხარისხისა და უსაფრთხოების მიმდინარე სისტემატურ ზედამხედველობაში, რაც მიზნად ისახავს არასასურველი ეფექტების აღმოჩენას და განსჯას. მხარს უნდა უჭერდნენ შესაბამისი რისკის მინიმიზაციის მცდელობებს და ფალსიფიცირებული პროდუქტების ბაზარზე შესვლის პრევენციას. აფთიაქებში წამლების სისტემატური მონიტორინგი გამოწვევად რჩება. ფალსიფიცირებული პროდუქციის ბაზარზე შეღწევის პრევენცია და არასასურველი ეფექტების სწრაფი იდენტიფიკაცია მოითხოვს უფრო მკაცრ რეგულაციებს, კვალიფიციურ ადამიანურ, ტექნიკურ, ფინანსურ რესურსებს და სპეციალისტთა ჩართულობას შესაბამის პროცესებში.
- ცალკეული პაციენტისთვის მომზადებული წამლები მნიშვნელოვანი კომპონენტია, რაითაც უნდა შეივსოს წამლის დეფიციტი და უზრუნველყოფილ იქნას პერსონალიზებული მედიცინის მოთხოვნები. ინდივიდუალური პაციენტისთვის მისაღები საშუალებების მომზადება შეზღუდულია, რაც მკურნალობის პერსონალიზაციის შესაძლებლობებს ამცირებს. ამ მხრივ, ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ახალი რეგულაციების შემუშავება აუცილებელია პაციენტზე მორგებული მკურნალობის უზარუნველსაყოფად.
- საზოგადოებრივი აფთიაქები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც ავადმყოფობის პრევენციაში, თანმიმდევრული ზიანისა და რეციდივის თავიდან აცილებაში (პირველი, მეორადი და მესამეული პრევენცია). ყველა ეტაპისთვის საზოგადოებრივი აფთიაქებმა აქტიურად უნდა შესთავაზონ სერვისები და პროგრამები და, შესაბამისად, გადამწყვეტი წვლილი შეიტანონ მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. ფარმაცევტების ჩართულობა დაავადებების პრევენციაში ჯერ კიდევ არასაკმარისია. პრევენციული პროგრამების აღიარება და მხარდაჭერა საჭიროებს გაძლიერებას, იმისთვის, რომ უფრო ფართო და ხელმისაწვდომი სერვისები მიეწოდოს მოსახლეობას.
- საზოგადოებრივი აფთიაქები დამოუკიდებელი უნდა იყოს მესამე მხარის ინტერესებისგან და იმართებოდეს დამოუკიდებელი ფარმაცევტის მიერ. დამოუკიდებლობა ყოველთვის უნდა იყოს გარანტირებული სახელმწიფოს მიერ მოწოდებული ეკონომიკური პირობებით. აფთიაქების ეკონომიკური მდგრადობის და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად არასაკმარისი რეგულაციები აფერხებს ფარმაცევტთა დამოუკიდებელ საქმიანობას.
- საზოგადოებრივი აფთიაქებს უნდა მართავდნენ ფარმაცევტები, როგორც მესაკუთრეები. სპეციალისტების საკუთრებაში არსებული მოდელის განმტკიცება და სოციალური პასუხისმგებლობა კვლავ გამოწვევად რჩება. საჭიროა რეგულაციების გაძლიერება, რაც მიმართული იქნება ფარმაცევტთა პროფესიული ავტონომიისკენ და

ძირითად ფუნქციად აქცევს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, კომერციული ინტერესების გავლენის გარეშე

- ფარმაცევტი პასუხისმგებელია აფთიაქში სამუშაო ადგილების უსაფრთხოებაზე. ამ მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა შესაბამისი პირობები: კვალიფიციური, კომპეტენტური ანაზღაურებადი პერსონალი და ადეკვატური ტექნიკური აღჭურვილობა. აღნიშნულის საფუძველი უნდა გახდეს სახელფასო სახელმწიფო რეგულაციებით გამყარებული დინამიური და სამართლიანი ანაზღაურება.

ლიტერატურა

1. C. Eickhoff, N. Griese-Mammen, U. Müeller, A. Said, M. Schulz. Primary healthcare policy and vision for community pharmacy and pharmacists in Germany. Pharm Pract (Granada), 19 (2021), p. 2248, 10.18549/PharmPract.2021.1.2248.

2. ABDA – Federal Union of German Associations of Pharmacists. German pharmacies – figures, data, facts 2024; https://www.abda.de/fileadmin/user_upload/assets/ZDF/Zahlen-Daten-Fakten-24/ABDA_ZDF_2024_Brosch_english.pdf

3. Kroenert, AC., Bertsche, T. Implementation, barriers, solving strategies and future perspectives of reimbursed community pharmacy services - a nationwide survey for community pharmacies in Germany. BMC Health Serv Res 24, 1463 (2024). https://doi.org/10.1186/s12913-024-11745-y.

4. Rodwin MA, Gerke S. German Pharmaceutical Pricing: Lessons for the United States. International Journal of Health Services. 2021;52(1):146-158. doi:10.1177/00207314211040948

5. Erdni-Garyaev S. E., Mamedov D. D., Yurochkin D. S., Zelikova D. D., Golant Z. M., Fisenko V.S., Narkevich I.A. Pharmacy Compounding Regulation in the German Pharmaceutical Market. Part 1. Basic Regulatory Provisions (Review). Bulletin of the Scientific Centre for Expert Evaluation of Medicinal Products. Regulatory Research and Medicine Evaluation. 2024;14(1):91-109. (In Russ.) https://doi.org/10.30895/1991-2919-2024-14-1-91-109

6. Christiane Eickhoff. Primary healthcare policy and vision for community pharmacy and pharmacists in Germany. January 2021. Pharmacy Practice 19(1):2248 DOI:10.18549/PharmPract.2021.1.2248

7. Shashiashvili, Nana; Tsintsadze, Tamar, et al. Mechanisms for Granting the Authority to Operate Pharmacies. Works of Georgian Technical University. March 2024, p.224-232. DOI: 10.36073/1512-0996-2024-1-224-232.

8. Eickhoff C, Griese-Mammen N, Müeller U, et al. Primary healthcare policy and vision for community pharmacy and pharmacists in Germany. Pharm Pract (Granada). 2021;19(1):2248.

9. Schulz, M., Griese-Mammen, N. & Müller, U. Clinical pharmacy services are reimbursed in Germany: challenges of real world implementation remain. Int J Clin Pharm 45, 245–249 (2023). https://doi.org/10.1007/s11096-022-01492-7

10. Celina Bade, Alexandra Olsacher, Philip Boehme, Hubert Truebel, Leonard Fehring,

Reasons for supply side driven drug shortages – A mixed-methods study on first-level, higher-level, and root causes from the perspective of marketing authorization holders, Research in Social and Administrative Pharmacy, Volume 19, Issue 8, 2023, Pages 1218-1227.

11. Shashiashvili, N., Kvizhinadze, N., & Gaprindashvili, M. (2024). *Impact of reference pricing policy on the pharmaceutical sector.* Experimental and Clinical Medicine Georgia, (4), 64–66. https://doi.org/10.52340/jecm.2024.04.18

12. Shashiashvili, N., Kvizhinadze, N., & Gaprindashvili, M. (2024). *Implementation of the reference pricing system: Analysis of challenges and outcomes in various countries*. Experimental and Clinical Medicine Georgia, (4), 60–63. https://doi.org/10.52340/jecm.2024.04.17

13. Schumacher PM, Neininger MP, Kaune A, et al. Counseling patients on correct drug handling in German community pharmacies: experiences and opinions of pharmaceutical staff. Int J Clin Pharm. 2019;41(1):151–8.

14. Thilo Bertsche, Jennifer Maria Alexa, Christiane Eickhoff, Martin Schulz, Self-care and self-medication as central components of healthcare in Germany – on the way to evidence-based pharmacy, Exploratory Research in Clinical and Social Pharmacy, Volume 9, 2023, 100257, ISSN 2667-2766.

15. J.M. Seiberth, K. Moritz, C. F. Vogel, T. Bertsche, S. Schiek. Public's perspectives on guideline-recommended self-medication consultations in German community pharmacies Health Soc Care Community, 29(2021), pp. 194-205, 10.1111/hsc.13082

16. K. Moritz, J. M. Seiberth, N. S. Herrmann, T. Bertsche, S. Schiek. Are evidence-based criteria addressed during counseling on over-the-counter products? An observational study in community pharmacies Patient Educ Couns, 104 (2021), pp. 2824-2829, 10.1016/j.pec.2021.03.021

17. J.E. Harnett, C.O.L. Ung. Towards defining and supporting pharmacists' professional role associated with traditional and complementary medicines—a systematic literature review. Res Social Adm Pharm, 19(3) (2023), pp. 356-413

18. J.E. Harnett, C.O.L. Ung, H. Hu, M. Sultani, S.P. Desselle. Advancing the pharmacist's role in promoting the appropriate and safe use of dietary supplements Compl Ther Med, 44 (2019), pp. 174-181

19. Federal Statistical Office. https://www.destatis.de/DE/Themen/Gesellschaft-Umwelt/Bevoelkerung/Bevoelkerungsstand/_inhalt.html(2022) (accessed 1 March2023)

Pharmaceutical Market & Pharmacy Services: Analysis of challenges and opportunities on the example of the German model

Nana Shashiashvili [1,2]; Nino Bakradze [3]

[1]Doctor of Pharmaceutical Sciences, Associate Professor, Department of Pharmacy, Georgian Technical University, Georgia; [2]Department of Social and Clinical Pharmacy, Tbilisi State Medical University, Georgia; [3]Bachelor Student, Faculty of Public Health, Bremen University, Bremen, Germany

Abstract

The experience and professional competence of pharmacists have a significant impact on improving the health status of patients. Specialists in the field ensure compliance with regulatory requirements for the supply of medicines to the population. Pharmacies constantly adapt to the changing dynamics of social, demographic, and scientific-technological changes, which allows the system to respond to the diverse needs of patients. The process of active transformation in society poses significant challenges for the healthcare sector. Changes such as lifestyle differentiation, urbanization intensity, and population aging are also reflected in the delivery of pharmaceutical services. At the same time, the progress of science and technology leads to the digital transformation of the healthcare system, creating a need for strategic adaptation and new opportunities. Pharmacies and the healthcare system, in general, are committed to quickly adapting to modern challenges and developing innovative, patient-centered, high-quality services. In the long run, this approach will ensure the efficiency and sustainability of the system. In light of ongoing changes and emerging challenges, it is advisable to consider international best practices to enhance the effectiveness of the pharmaceutical sector. For this purpose, the peculiarities of the system were compared with the German model, and challenges and recommendations were identified to support the development of the field and ensure the optimization and safety of medication treatment for the population.

Keywords: Medicine, Patient, Pharmacy, Pharmacist

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.09



ნერვული მიკროგარემოს რემოდელირების თავისებურებები საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელურ ნეოპლაზიასა და ბრტყელუჯრედოვან კარცინომაში

გიორგი-ჯემალ გოგიტიძე[1]; შოთა კეპულაძე[2]; გიორგი ბურკაძე[3]

[1]თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტი; გინეკოლოგი; [2]თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგანატომი; მედიცინის აკადემიური დოქტორი ORCID: https://orcid.org/0000-0002-5919-5581; [3]თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი; ORCID: https://orcid.org/0000-0002-5028-4537

აბსტრაქტი

მიუხედავად იმისა, რომ ეპითელიუმის დისპლაზიასა და HPV ინფექციას ცენტრალური როლი უჭირავს საშვილოსნოს ყელის კარცინოგენეზში, სტრომული მიკროგარემოს ცვლილებები და ნერვული რემოდელირება ჯერ კიდევ ყველაზე ნაკლებად შესწავლილ სფეროდ რჩება. ჩვენი კვლევა შეისწავლის პერიფერიული ნერვული ბოჭკოებისა და ბუნებრივი მკვლელი უჯრედების (NK Cells) განაწილებას საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელურ ნეოპლაზიისა და ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის სპექტრში. საშვილოსნოს ყელის ორმოცდახუთი ნიმუში (9 ნორმალური, CIN1, CIN2, CIN3 და SCC) დამატებით შეიღება PGP9.5, S100, CD56 და CD34-ის ანტისხეულების გამოყენებით. ნერვული ბოჭკოების სიმკვრივე, ნერვული ბოჭკოს მაქსიმალური დიამეტრი და დაშორება ბაზალური მემბრანიდან რაოდენობრივად, ხოლო S100 და CD56 ექსპრესია ნახევრად რაოდენობრივად იქნა შეფასებული. დაფიქსირდა PGP9.5-დადებითი ნერვული ბოჭკოების პროგრესული ზრდა CIN1-დან SCC-მდე, რასაც ასევე თან ახლავს ნერვული ბოჭკოების დიამეტრის გაზრდა. S100 ექსპრესია მომატებული იყო განსაკუთრებით HPV-დადებით CIN3 და SCC შემთხვევებში. ნერვული ბოჭკოების პერიეპითელური კლასტერირება საგრძნობლად მომატებული იყო მაღალი ხარისხის დაზიანებებში, რაც მიუთითებს ადრეულ პერინეოპლაზიურ ნერვულ რემოდელირებაზე. ნერვული ბოჭკოების ჰიპერტროფია პროგრესულად მატულობდა დისპლაზიის მატებასთან ერთად. ნაწილი ბოჭკოების არის ჩვეულებრივი ნაწილი კი ნეოანგიოგენეზის შედეგად მიღებული ნეიროგენეზური ბოჭკოები. CIN3 და SCC შემთხვევებში NK (ბუნებრივი მკვლელი უჯრედები) მკვეთრად შემცირებულია, რაც იმით აიხსნება, რომ ამ ეტაპზე დომინირებს ნეონეიროგენეზური ბოჭკოების არსებობა. თავდაპირველად დისპლაზიის დაბალ ხარისხის შემთხვევებში ჰიპერტროფიასთან ერთად მატულობს NK უჯრედების ჰიპერპლაზია თუმცა CIN3 და SCC შემთხვევებში მისი რაოდენობა

მინიმალურია. რაც შესაძლოა წარმოადგენდეს ნეირორეგულაციიდან გაქცევის/სიმსივნის იმუნური სისტემისაგან გაქცევის გამოვლინებას.
აღნიშნული შედეგები შესაძლოა სამომავლოდ გამოყენებული იქნას იმუნოთერაპიული საშუალებების დახვეწასა და NK-ტარგეტული საშუალებების შემუშავებაში.
საკვანძო სიტყვები: საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზია, PGP9.5, S100, CD56, ნერვული რემოდელირება, HPV, საშვილოსნოს ყელის კიბო, სიმსივნის მიკროგარემო.

შესავალი

საშვილოსნოს ყელის კიბო მსოფლიოს მასშტაბით კვლავ მეოთხე ადგილზეა ქალთა პოპულაციაში. GLOBOCAN 2020-ის მიხედვით, ყოველწლიურად აღირიცხება საშვილოსნოს ყელის კიბოსთან დაკავშირებული 600,000-ზე მეტი ახალი შემთხვევა და დაახლოებით 340,000 ლეტალური გამოსავალი[1]. ინციდენტობის ტვირთი ყველაზე მნიშვნელოვანია დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში, სადაც ორგანიზებული სკრინინგისა და HPV ვაქცინაციის პროგრამები შეზღუდულია. საშვილოსნოს ყელის კარცინომის განვითარება მტკიცედ არის დაკავშირებული მაღალი რისკის მქონე ადამიანის პაპილომავირუსის (HPV) მუდმივ ინფექციასთან, ძირითადად HPV16 და HPV18 ტიპის, რომლებიც დაკავშირებულია შემთხვევების 70%-ზე მეტთან[2].

საშვილოსნოს ყელის კარცინოგენეზი მიჰყვება საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზიის (CIN) კარგად განსაზღვრულ წინამორბედ გზას, რომელიც ჰისტოლოგიურად კლასიფიცირებულია სამ ხარისხად - CIN1 (მსუბუქი დისპლაზია), CIN2 (ზომიერი დისპლაზია) და CIN3 (მძიმე დისპლაზია ან კარცინომა in situ). ეს სპექტრი ასახავს ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის პროგრესირების მზარდ რისკს. მიუხედავად იმისა, რომ ვირუსული ონკოგენის ექსპრესია (E6/E7) და მასპინძელი უჯრედის გენომური არასტაბილურობა პროგრესირებისას კრიტიკული მოლეკულური მოვლენებია, მზარდი მტკიცებულება ვარაუდობს, რომ ცვლილებები სიმსივნის მიკროგარემოში - იმუნური, სტრომული, სისხლძარღვთა და ნერვული ელემენტების ჩათვლით - აქტიურ როლს თამაშობს ამ ტრანსფორმაციის მოდულაციაში[3].

მიუხედავად იმისა, რომ იმუნური სისტემის ზედამხედველობის აცილებამ და ანგიოგენეზმა მნიშვნელოვანი ყურადღება მიიპყრო საშვილოსნოს ყელის კიბოს კვლევაში, ნეოპლასტიურ პროგრესირებაში ნერვული რეგულაციისა და სტრომული ინერვაციის როლი დიდწილად შეუსწავლელია. თუმცა, მზარდი კვლევები სიმსივნეების სხვადასხვა ტიპებზე - პროსტატის, სარძევე ჯირკვლის, პანკრეასის, თავ-კისრის კიბოს ჩათვლით - ასახავს სხვადასხვა ინტენსივობის ნეიროგენეზს, რომელიც განისაზღვრება როგორც სიმსივნის სტრომაში ახალი ნერვული ბოჭკოების დაგროვება ან წარმოქმნა, როგორც კიბოს ბიოლოგიის ძირითადი კომპონენტი. ასეთი ცვლილებების აქტუალობამ საშვილოსნოს ყელის დაზიანებებში, განსაკუთრებით კიბოსწინარე დისპლაზიიდან ინვაზიურ დაავადებაზე გადასვლისას, სულ ახლახან მიიპყრო მკვლევართა მზარდი ინტერესი[4].

ნეირორეგულაცია ავთვისებიან სიმსივნეებში ეხება, როგორც ნერვული ბოჭკოების უშუალო არსებობას და სტრუქტურულ რემოდელირებას სიმსივნის მიკროგარემოში, ასევე კიბოს უჯრედებსა და ნერვულ ელემენტებს შორის არაპირდაპირ კავშირს. სოლიდური სიმსივნის კონტექსტში, მიკროგარემო ხშირად განიცდის პერინევრულ ინვაზიას (PNI) ან პერინეოპლაზიურ ნერვულ რემოდელირებას, სადაც ნერვული ბოჭკოები გროვდება, გაფართოებულია ან გადაადგილდება სიმსივნის ზრდის მხარდასაჭერად[5].

კიბოს მრავალ მოდელში, მათ შორის პროსტატის, კუჭისა და პანკრეასის კიბოს, ნერვული ბოჭკოების სიმკვრივე (NFD) დაკავშირებულია სიმსივნის ავთვისებიანობის ხარისხთან, ინვაზიასთან, ტკივილის სიმძიმესთან და პროგნოზთან. მაგალითად, პროსტატის კიბოს კვლევებმა გამოავლინა პერინევრული ინვაზია, როგორც ცუდი შედეგის დამოუკიდებელი პროგნოზირებიის ფაქტორი, ხოლო პანკრეასის კიბოს დროს, ჭარბი ინერვაცია დაკავშირებულია ნერვული პლასტიურობისა და მკურნალობის მიმართ წინააღმდეგობის გაზრდასთან[6].

თუმცა, საშვილოსნოს ყელის კიბოს დროს, ნეირონული ინფილტრაციის, რემოდელირების ან ნეოფორმაციის არსებობას კიბოსწინარე სტადიაზე შეზღუდული ყურადღება ექცევა. მიუხედავად ამისა, ჰისტოლოგიური გამოკვლევა ხშირად ავლენს ნერვული ბოჭკოების ჰიპერტროფიას განსაკუთრებით მაღალი ხარისხის დისპლაზიისა და ინვაზიური კარცინომის დროს. არის თუ არა ეს ცვლილებები რეაქტიული, გამოწვეული სიმსივნისგან მიღებული ნეიროტროფიული ფაქტორებით მონაწილეობს თუ არა დაავადების პროგრესირების ხელშეწყობაში, ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი რჩება [7].

კვლევები ვარაუდობენ, რომ სიმსივნეებს შეუძლიათ აქტიურად გამოიწვიონ ნერვული პლასტიურობა, ფენომენი, რომელსაც ეწოდება "ნეონეიროგენეზი". კიბოს უჯრედები გამოყოფენ ნეიროტროფული ფაქტორების ფართო სპექტრს - როგორიცაა ნერვული ზრდის ფაქტორი (NGF), ტვინისგან მიღებული ნეიროტროფული ფაქტორი (BDNF), გლიური უჯრედებიდან მიღებული ნეიროტროფული ფაქტორი (GDNF) და სემაფორინები - რომლებსაც შეუძლიათ აქსონების მოზიდვა, სინაფსური წარმოქმნის მოდულირება ან შვანის უჯრედების მიგრაციის ხელშეწყობა[8].

NGF და BDNF განსაკუთრებით მონაწილეობენ სიმპატიკური ან სენსორული ინერვაციის ფორმირებაში სიმსივნურ ქსოვილებში. ეს მოლეკულური გზები ხელს უწყობს აქსონურ პროლიფერაციას, ურთიერთქმედებს სიმსივნის სისხლძარღვებთან და შესაძლოა სიმსივნურ უჯრედებთან სინაფსის მსგავსი სტრუქტურებიც კი დაამყაროს. ამ დინამიურ კომუნიკაციას შეუძლია გავლენა მოახდინოს სიმსივნის ზრდაზე, იმუნურ ინფილტრაციასა და ტკივილზე, რაც ქმნის იმას, რასაც ზოგიერთი მკვლევარი აღწერს, როგორც ნერვულ-იმუნურ-სიმსივნურ ღერძს.

საშვილოსნოს ყელის ქსოვილში, პერიფერიული ინერვაციის ნორმალური ფიზიოლოგიური როლი მოიცავს სისხლძარღვთა ტონის ავტონომიურ კონტროლს, ეპითელიუმის მთლიანობას და იმუნურ მეთვალყურეობას. როდესაც ნეოპლასტიური ტრანსფორმაცია ხდება, ეს ნერვული რეგულაცია შეიძლება დაირღვეს და გადაპროგრამდეს[9].

საშვილოსნოს ყელის ნეოპლაზიაში ნეირორეგულაციისა და სტრომული ინერვაციის გამოსაკვლევად სასარგებლოა რამდენიმე იმუნოჰისტოქიმიური მარკერი:

PGP9.5 (პროტეინის გენის პროდუქტი 9.5): უბიქვიტინის კარბოქსილ-ტერმინალური ჰიდროლაზა, ფართოდ გამოიყენება როგორც პან-ნეირონული მარკერი, როგორც მიელინირებული, ასევე არამიელინირებული ბოჭკოებისთვის. იგი ავლენს აქსონებს, მცირე ნერვულ ტოტებს და პერიფერიულ ბოჭკოებს მაღალი მგრძნობელობით.

S100 ცილა: განსაზღვრავს შვანის უჯრედებსა და გლიურ ელემენტებს და განსაკუთრებით სასარგებლოა ნერვული გარსების და პერინევრული სტრუქტურების გამოსავლენად. PGP9.5 და S100-თან ერთად შეღებვა აუმჯობესებს პერიფერიული ნერვული სტრუქტურების სპეციფიურობის გამოვლენას.

CD56 (NCAM): მიუხედავად იმისა, რომ ასევე ექსპრესირებულია ბუნებრივი მკვლელი (NK) უჯრედების მიერ და ზოგიერთი ეპითელურ სიმსივნეში, CD56-ს შეუძლია ექსპრესირებდეს ნერვულ ღეროდან წარმოებულ უჯრედებში. მისი არსებობა დისპლასტიური ეპითელიუმის მახლობლად შეიძლება მიუთითებდეს პერინეოპლასტიკურ რემოდელირებაზეც.

CD34: მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად სისხლძარღვთა ენდოთელური მარკერია, CD34 შეღებვა ასევე ხელს უწყობს სისხლძარღვებით მდიდარი სტრომული რეგიონების იდენტიფიცირებას, რაც სასარგებლოა ნერვული ბოჭკოების სიახლოვის სისხლძარღვებთან და პოტენციური ნეიროანგიოგენური ნიმუშების შესამოწმებლად[10].

საშვილოსნოს ყელის ტრანსფორმაციის ზონა არის ეპითელური მეტაპლაზიის, ჰორმონური რეაქციის, იმუნური ზემოქმედების უნიკალური ადგილი. ამ ზონაში მყოფი ნერვული კომპონენტები შეიძლება მოქმედებენ როგორც ლოკალური ჰომეოსტაზის მცველები ან მოდულატორები. როგორც ეპითელური უჯრედები ხდება დისპლასტიკური, მათ შეუძლიათ შეცვალონ მათი ურთიერთქმედება მიმდებარე ნერვებთან - ნეიროტროფიული ფაქტორების სეკრეციით, უჯრედგარე მატრიქსის რემოდელირებით ან იმუნური პასუხის შეცვლით[11].

ნეიროეპითელური-სტრომული ღერძის შემოთავაზებული კონცეფცია გულისხმობს, რომ ნერვული სტრუქტურები არ არიან პასიური მონაწილეები, არამედ აქტიური მოთამაშეები სიმსივნური მიკროგარემოს ურთიერთმიმართებაში. ნერვულ ბოჭკოებს შეუძლიათ ანგიოგენეზის რეგულირება, იმუნური უჯრედების მოზიდვის მოდულირება ან თუნდაც ტრანსფორმირებული ეპითელური უჯრედების მიგრაციულ და ინვაზიურ ქცევაზე გავლენა.

მასალები და მეთოდები

ჩვენი კვლევა მოიცავდა სულ ორმოცდახუთ ფორმალინში ფიქსირებულ და პარაფინში ჩაყალიბებულ (FFPE) საშვილოსნოს ყელის ქსოვილის ნიმუშებს, რომლებიც ამოღებული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორიის პათოლოგიის არქივიდან (2017-2025). შერჩეული შემთხვევები დაყოფილი იყო ხუთ დიაგნოსტიკურ ჯგუფად, თითოეული შედგებოდა ცხრა შემთხვევისგან: ჰისტოლოგიურად ნორმალური საკონტროლო საშვილოსნოს ყელი, საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზია 1 ხარისხი (CIN1), ხარისხი 2 (CIN2), ხარისხი 3 (CIN3) და ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა (SCC). ყველა შემთხვევა გადაიხედა ორი დამოუკიდებელი პათოლოგანატომის მიერ დიაგნოსტიკური სიზუსტის უზრუნველსაყოფად. შესაბამისი კლინიკური მონაცემები, მათ შორის პაციენტის ასაკი, HPV სტატუსი, მენსტრუალური სტატუსი (პრემენოპაუზური ან პოსტმენოპაუზური) და ნიმუშის ტიპი (ბიოფსია ან კონიზაცია) დაფიქსირდა სტატისტიკური კორელაციისთვის.

იმუნოჰისტოქიმიური შეღებვა ჩატარდა სერიულ 3-4 მკმ ანათლებზე ავტომატური Leica Bond Max გამოყენებით. პირველადი ანტისხეულები მოიცავდა PGP9.5 (Z0311, Leica, 1:200 განზავება), S100 ცილა (პოლიკლონალური, Leica, 1:400), CD56 (კლონი 123C3, Leica, 1:100) და CD34 (კლონი QBEnd/10, Leica, 1:1). ანტიგენის აღდგენა და ვიზუალიზაცია განხორციელდა სტანდარტული DAB ქრომოგენის გამოყენებით. დადებითი და უარყოფითი კონტროლი გამოყენებული იყო თითოეულ შემთხვევაში იმუნოჰისტოქიმიური შეღებვის სანდოობის დასადასტურებლად.

ყველა შეღებილი სლაიდი გაციფრულებულ იქნა MoticEasyScan სლაიდ სკანერის გამოყენებით მაღალი გარჩევადობით (200× და 400×). იმუნორეაქტიულობის რაოდენობრივი და სივრცითი ანალიზი ჩატარდა QuPath და ImageJ პროგრამული უზრუნველყოფის კომბინაციის გამოყენებით, რაც საშუალებას აძლევს მორფომეტრულ გაზომვებს და ველის თანმიმდევრულ შერჩევას ყველა შემთხვევაში. თითოეული შემთხვევისთვის ხუთი წარმომადგენლობითი მაღალი გადიდების ველი (HPF) შეირჩა სტრომული ზონიდან პირდაპირ ეპითელური ბაზალური მემბრანის ან სიმსივნის ფრონტის ქვეშ.

PGP9.5 იმუნორეაქტიულობა იყო გამოყენებული პერიფერიული ნერვული ბოჭკოების იდენტიფიცირებისთვის. თითოეული შემთხვევისთვის, ნერვული ბოჭკოების რაოდენობა გამოითვლებოდა მმ²-ზე. გარდა ამისა, დაფიქსირდა ნერვული ბოჭკოს მაქსიმალური დიამეტრი (მკმ) და მინიმალური მანძილი უახლოეს ნერვულ ბოჭკოსა და ეპითელიუმის ბაზალურ მემბრანას შორის. ნერვული ბოჭკოების სიმკვრივე შეფასდა ნახევრად რაოდენობრივად შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: 0-დან 1 ბოჭკო/მმ² (არც ერთი იშვიათი), 2-დან 5 ბოჭკო/მმ² (ზომიერი) და 5-ზე მეტი ბოჭკო/მმ² (ძლიერი სტრომული რემოდელირების მანიშნებელია).

S100 იმუნოპოზიტიურობა, რომელიც გამოიყენება შვანის უჯრედებისა და ნერვული გარსების იდენტიფიცირებისთვის, შეფასებული იყო ნახევრად რაოდენობრივად იმავე ხუთ HPF-ში. შეღებვა შეფასდა შემდეგნაირად: 0 (არ აღინიშნება), 1 (იშვიათი იზოლირებული S100-დადებითი უჯრედები), 2 (ფოკალური პოზიტიურობა მცირე ნერვულ ბოჭკოებში) და 3 (მკვრივი კლასტერული ან შვანის უჯრედების პოზიტიურობა სამ ან მეტ HPF-ში). როგორც ბირთვული, ასევე ციტოპლაზმური იმუნორეაქტიულობა დადებითად იქნა მიჩნეული.

CD56 ექსპრესია შეფასებული იყო როგორც შეღებვის ინტენსივობის, ასევე განაწილების ტიპის საფუძველზე. საბოლოო ქულაში ჩართული იყო მხოლოდ ნერული ბოჭკოების პოზიტიურობა, ხოლო ლიმფოიდური ან ეპითელური უჯრედების გრანულური ან ციტოპლაზმური ექპრესია იყო გამორიცხული. CD56 შეღებვა შეფასდა შემდეგნაირად: 0 (უარყოფითი), 1+ (სუსტი და ლაქისებრი), 2+ (ზომიერი ინტენსივობა) და 3+ (ძლიერი).

CD34 იმუნოჰისტოქიმია გამოიყენებოდა მხოლოდ სტრომული სისხლძარღვების ადგილმდებარეობისა და განაწილების დასადგენად. მიუხედავად იმისა, რომ CD34 არ იყო შეფასებული ინტენსივობისთვის, ის ემსახურებოდა სივრცულად ნერვული ბოჭკოების პერივასკულარული ლოკალიზაციის დასადგენად. ნერვული ბოჭკო ჩაითვალა პერივასკულარულად, თუ ის განლაგებულია CD34-დადებითი სისხლმილის 50 μm-ში. პერივასკულარული ნერვული სტრუქტურების რაოდენობა HPF-ზე დაფიქსირდა და გამოიყენებოდა პოტენციური ნეიროვასკულური რემოდელირების შესაფასებლად.

აღწერილობითი სტატისტიკა, მათ შორის საშუალო, მედიანა, სტანდარტული გადახრა და დიაპაზონი, გამოითვლებოდა თითოეული დიაგნოსტიკური ჯგუფისთვის. ჯგუფებს შორის შედარება ჩატარდა არაპარამეტრული ტესტების გამოყენებით, მათ შორის კრუსკალ-ვალისის ტესტი ჯგუფებს შორის შედარებისთვის და სპირმანის რანგის კორელაცია, რათა შეფასებულიყო კავშირი დაზიანების ხარისხსა და მარკერის ექსპრესიას ან სივრცით განაწილებას შორის. 0.05-ზე ნაკლები p-მნიშვნელობა ჩაითვალა სტატისტიკურად სარწმუნო.

შედეგები


კლინიკოპათოლოგიური მახასიათებლები: კვლევის კოჰორტა მოიცავდა 45 საშვილოსნოს ყელის ქსოვილის ნიმუშს, რომლებიც თანაბრად იყო განაწილებული ხუთ დიაგნოსტიკურ კატეგორიაში: ნორმალური საშვილოსნოს ყელი (n = 9), CIN1 (n = 9), CIN2 (n = 9), CIN3 (n = 9) და ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა (SCC) (n = 9).

დაავადების პროგრესირებასთან ერთად დაფიქსირდა მენსტრუალური სტატუსის მკვეთრი ცვლილება. CIN1 და CIN2-ით ყველა პაციენტი იყო პრემენოპაუზური, მაშინ როცა CIN3 და SCC შემთხვევებმა აჩვენა პოსტმენოპაუზური პაციენტების დომინირება (თითოეულ ჯგუფში 9-დან 6). საშვილოსნოს ყელის ნორმალური შემთხვევების ორი მესამედი იყო პრემენოპაუზური.

HPV სტატუსმა აჩვენა ძლიერი კავშირი დაზიანების ხარისხთან. CIN3 და ინვაზიური SCC-ის უმეტესი შემთხვევა იყო HPV-დადებითი, ხოლო CIN1 და ნორმალური საშვილოსნოს ყელის შემთხვევები მთლიანად HPV-უარყოფითი. CIN2-ში 9 პაციენტიდან მხოლოდ 3 (33%) იყო HPV-დადებითი, რაც შეესაბამება მის გარდამავალ ბიოლოგიურ ბუნებას.

ჰისტოლოგიური მასალის ნიმუშის ტიპები განსხვავდება დაზიანების მიხედვით. ყველა CIN1 და ნორმალური საშვილოსნოს ყელის შემთხვევა დიაგნოზირებული იყო ბიოფსიური მასალის საფუძველზე, ხოლო CIN3 და SCC ნიმუშები უმეტესად მიღებული იყო კონიზაციის პროცედურებიდან. CIN2 ჯგუფი შერეული იყო, ორი მესამედი ბიოფსიიდან და ერთი მესამედი კონიზაციიდან.

PGP9.5, S100 და CD56-ის იმუნოჰისტოქიმიური შეფასება გამოავლინა პროგრესული და მნიშვნელოვანი ცვლილებები ნერვულ არქიტექტურაში და სტრომული ინერვაციაში, რომელიც დაკავშირებულია ჰისტოლოგიურ დაზიანებათა ხარისხის სიმძიმის მატებასთან.




დიაგრამა 6: *CD56-ის ექსპრესიის განაწილება საკვლევ ჯგუფებში;*

PGP9.5-დადებითი ნერვული ბოჭკოები იშვიათი განაწილებით გვხვდებოდა საშვილოსნოს ყელის ნორმალურ სტრომაში, ნერვების საშუალო რაოდენობას შეადგენდა 0.3/მმ². CIN1-ში ნერვული ბოჭკოების სიმკვრივე ზომიერად გაიზარდა (საშუალოდ: 1.1/მმ²), ხოლო CIN2-მა აჩვენა შესამჩნევი ზრდა (საშუალოდ: 2.8/მმ²). CIN3-მა აჩვენა შემდგომი ზრდა (საშუალოდ: 5.8/მმ²) და ყველაზე მაღალი ნერვული ბოჭკოების სიმკვრივე დაფიქსირდა ინვაზიურ SCC-ში (საშუალოდ: 9.3/მმ²), რაც ასახავს მნიშვნელოვან პერინეოპლასტიურ რემოდელირებას.

ამ ტენდენციის პარალელურად, ნერვული ბოჭკოების მაქსიმალური დიამეტრი ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა დაავადების სიმძიმის მიხედვით. ნორმალური საშვილოსნოს ყელის საშუალო 0,8 µm-დან, დიამეტრი გაიზარდა 3,2 µm-მდე CIN1-ში, 5,1 µm-მდე CIN2-ში, 8,1 µm-მდე CIN3-ში და მიაღწია 11,9 მკმ-ს SCC-ში, რაც მიუთითებს სტრუქტურულად ნერვული ბოჭკოს ჰიპერტროფიაზე და პოტენციურ რეგენერაციულ ან რეაქტიულ ცვლილებებზე სიმსივნის მიკროგარემოში.


მანძილი ნერვულ ბოჭკოებსა და ეპითელიუმის ბაზალურ მემბრანას შორის პროგრესირებასთან ერთად სტაბილურად მცირდებოდა. ნორმალურ საშვილოსნოს ყელში ნერვები განლაგებული იყო საშუალოდ 102.2 მკმ-ით ეპითელიუმიდან, ხოლო CIN1 და CIN2-ში ეს შემცირდა 77.8 მკმ-მდე და 47.8 მკმ-მდე, შესაბამისად. CIN3-ში ბოჭკოები განლაგებული იყო საშუალოდ 30.0 µm-ზე და ინვაზიურ SCC-ში, ხშირად სიმსივნურ უჯრედებთან ან კონტაქტში (საშუალოდ: 14.4 µm). ეს ხაზს უსვამს შესაძლო ტენდენციას პერიეპითელური ან პერიტუმორული ნერვული ზრდისკენ.



სურათი 4: A. PGP9.5-ის ექსპრესია საშვილოსნოს ყელის ზომიერი ხარისხის ინტრაეპითელურ ნეოპლაზიის შემთხვაში CIN2, 400X,IHC; B. S100-ის ექსპრესია საშვილოსნოს ყელის ზომიერი ხარისხის ინტრაეპითელურ

S100, რომელიც ავლენს შვანის უჯრედებსა და ნერვულ გარსებს, თითქმის არ აღინიშნებოდა ნორმალურ საშვილოსნოს ყელში (საშუალო ქულა: 0.2) და სუსტად დადებითი CIN1-ში (საშუალო ქულა: 1.3). CIN2-ში დაფიქსირდა ნერვული გარსის უფრო მკაფიო სტრუქტურა (საშუალოდ: 2.0), შემდგომი ზრდით CIN3 (2.3) და ინვაზიური SCC (2.9), სადაც პერიტუმორალური S100 პოზიტიურობა აშკარა იყო მრავალ ველში. ეს დასკვნები მიუთითებს პერიფერიული ნერვული ბოჭკოების განვითარებაზე დისპლაზიურ და ავთვისებიან პირობებში.

CD56 (NCAM), თავდაპირველად დისპლაზიის დაბალ ხარისხის შემთხვევებში ჰიპერტროფიასთან ერთად მატულობს NK უჯრედების ჰიპერპლაზია თუმცა CIN3 და SCC შემთხვევებში მისი რაოდენობა მინიმალურია. რაც შესაძლოა წარმოადგენდეს ნეირორეგულაციიდან გაქცევა/სიმსივნის იმუნური სისტემისაგან გაქცევის გამოვლინებას.



დიაგრამა 7: *PGP9.5-ის, CD56-ისა, ნერვული ბოჭკოების დიამეტრისა და გაზალური მემბრანიდან დაშორების მონაცემების სხვადასხვა საკვლევ ჯგუფებში.*

ნერვული ბოჭკოების რაოდენობის, ნერვული ბოჭკოს დიამეტრის, ეპითელური ბაზალური მემბრანასთან სიახლოვის და S100/CD56 ექსპრესიის პროგრესირებადი ზრდა CIN1–CIN3 და SCC-ში მხარს უჭერს პერინეოპლასტიური ნერვული რემოდელირების თანდათანობითი, სტრუქტურირებული პროცესის არსებობას. ეს რემოდელირება მინიმალურია ან არ არსებობს საშვილოსნოს ყელის ნორმალურ და დაბალი ხარისხის დაზიანებებში, აშკარა ხდება CIN2-ში და აღწევს მაქსიმალურ მაჩვენებელს CIN3-ში და ინვაზიურ კარცინომაში.

ეს ხაზს უსვამს ნერვული ელემენტების არა მხოლოდ როგორც რეაქტიული სტრომული კომპონენტის, არამედ როგორც ნეოპლასტიკური ტრანსფორმაციის დროს მიკროგარემოს სიგნალიზაციაში ერთერთ მონაწილის შესაძლო როლს.

განსჯა

ჩვენი კვლევა უზრუნველყოფს ნერვული მიკროგარემოს რემოდელირების შეფასებას საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზიის (CIN) და ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის (SCC) დაზიანებათა ჰისტოლოგიურ სპექტრში, იმუნოჰისტოქიმიური მარკერების PGP9.5, S100 და CD56 გამოყენებით. ჩვენი კვლევა არის ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან კვლევათაგანი, რომელიც რაოდენობრივად აფასებს ნერვული ბოჭკოების სიმკვრივის, მორფოლოგიისა და სივრცული ორიენტაციის ცვლილებებს საშვილოსნოს ყელის სტრომაში და ამ მახასიათებლებს კომპლექსურად განიხილავს დაზიანების ჰისტოლოგიურ ხარისხთან და კლინიკურ პარამეტრებთან, მათ შორის HPV სტატუსთან ერთად.[12]

ჩვენი კვლევის დასკვნები აჩვენებს სტრომული ნერვული ბოჭკოების სიმკვრივის მკაფიო, პროგრესულ ზრდას CIN1-დან CIN3-მდე ინვაზიურ SCC-მდე. ნერვული ბოჭკოები აღინიშნებოდა მწირი რაოდენობით და ღრმად ლოკალიზებული საშვილოსნოს ყელის ნორმალურ და დაბალი ხარისხის დაზიანებებში, მაგრამ გახდა უფრო მრავალრიცხოვანი და მჭიდროდ მიახლოებული ბაზალურ მემბრანას მაღალი ხარისხის დისპლაზიისა და კარცინომის დროს. ნერვ-ეპითელიუმის საშუალო მანძილის მკვეთრი შემცირება CIN2-სა და CIN3-ს შორის და ნერვული ბოჭკოების დაგროვება დისპლაზიური ეპითელიუმის ქვეშ, მიუთითებს აქტიური პერინეოპლასტური ინერვაციის დაწყებაზე მაღალი ხარისხის დისპლაზიური ტრანსფორმაციის დროს [13].

[1-5]Batumi Shota Rustaveli State University (BSU); Faculty of Natural Sciences and Health Care, Department of Chemistry, 35/32 Ninoshvili/Rustaveli str, Batumi, Georgia; [6]Akaki Tsereteli State University, Department of Chemical and Environmental Technologies, 59 Tamar Mepe St., Kutaisi, Georgia

Abstract: Hippophae rhamnoides L. is a valuable medicinal plant, distinguished by its rich content of bioactive compounds, mainly carotenoids and phenols. This study aimed to optimize the extraction of carotenoids from H. rhamnoides L. fruits using "green technologies" (ultrasonic bath and probe), as well as to evaluate the effect of various drying methods (atmospheric, vacuum, and freeze-drying) on carotenoid content and antioxidant activity. The research object was H. rhamnoides L. fruits, wild-growing in Western Georgia. Quantitative determination of carotenoids was carried out by the spectrophotometric method, and antioxidant activity was assessed by the DPPH radical scavenging method. The results of the study showed that ultrasonic probe extraction provides a high yield of carotenoids (1.564–3.363 mg/g dry weight), which significantly exceeds the values obtained by the classical method (1.111–2.944 mg/g). A correlation was established between carotenoid concentration and antioxidant activity. In particular, a high content of carotenoids (Akhaltsikhe, 3.363 mg/g) provides 50% inhibition of the DPPH radical with a relatively small amount of the sample (2.881 mg). Among the drying methods, freeze-drying (2.689 mg/g) and vacuum drying (2.481 mg/g) showed an advantage in preserving carotenoid content and antioxidant activity compared to atmospheric drying (1.778 mg/g). In conclusion, the use of "green technologies" is effective for obtaining bioactive compounds, which contribute to their use in ophthalmology, especially for the regeneration of eye surface damage. The data obtained forms the basis for further in vitro and in vivo studies.

Keywords: Sea buckthorn fruit, carotenoids, antioxidant activity, green technologies, ophthalmology.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.12



მინერალების შემცველი პრეპარატების გამოყენების პერსპექტივები კოსმეტოლოგიაში

ალიოშა ბაკურიძე, დალი ბერაშვილი, ლაშა ბაკურიძე, ია წურწუმია, ლამზირა ებრალიძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი; ფარმაცევტული ბოტანიკის დეპარტამენტი

აბსტრაქტი

ვიტამინების და მცენარეული კომპონენტებისაგან განსხვავებით, მინერალების კოსმეტიკური დანიშნულებით გამოყენების სარგებელი კანის მიმართ, დიდწილად იგნორირებულია და მათი შემცველი საშუალებები იშვიათად გამოიყენება. სწორედ ამიტომაც კოსმეტიკურ პრაქტიკაში მინერალური მარილების გამოყენების სარგებლისა და რისკების შესახებ არსებული სამეცნიერო მონაცემების ანალიზი, შეფასება და მათი გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა თანამედროვე მედიცინისა და კოსმეტოლოგიისათვის.

ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მიკრო- და მაკროელემ-ენტებით მდიდარი კოსმეტიკა გამოირჩევა მოქმედების ფართო სპექტრით:

ამშვიდებს კანს, აღადგენს pH-ის ბალანსს, აუმჯობესებს ჟანგბადის ცვლას, ხსნის ანთებას, ასტიმულირებს მეტაბოლიზმს, ახდენს წყალ-მარილოვანი ბალანსის ნორმალიზებას, ზრდის კანის ტურგორს და ელასტიკურობას, ხელს უწყობს ნაოჭების გასწორებას და ამაგრებს კანის ბარიერს.

ხშირად, კოსმეტიკური საშუალების სახით მოწოდებულია თვით სამკურნალო ტალახი. ასე მაგალითად, მკვდარი ზღვის ტალახი არის პროდუქციის ცალკე ხაზი. ეს გამოწვეულია იმით, რომ სამკურნალო ტალახი მეტწილად ქიმიურად და ბიოლოგიურად არის თვითკმარი ნივთიერება, რომელსაც აქვს გამოსაყენებლად მოსახერხებელი კონსისტენცია.

ტალახის მკურნალობას აქვს მრავალი უკუჩვენება და სამკურნალო ტალახის უკონტროლო გამოყენებამ, თუნდაც კოსმეტიკური მიზნებისთვის, შეიძლება გამოიწვიოს გართულებები. სუფთა სამკურნალო ტალახი არ შეიძლება ჩაითვალოს კოსმეტიკურ პროდუქტად, რადგან ეს გულისხმობს უსაფრთხოებას დამოუკიდებლად გამოყენებისას.

თანამედროვე პირობებში პელოიდების გვერდითი ეფექტების, არასასიამოვნო ორგანოლეპტიკური თვისებების თავიდან აცილებისა და მასში არსებული მინარევებისაგან გათავისუფლების მიზნით, კოსმეტიკური ნაწარმის მისაღებად ნედლეულის სახით იყენებენ არა უშუალოდ პელოიდებს, არამედ მის გადამუშავების პროდუქტებს. ღებულობენ გამონაწვლილებს, კონცენტრატებს და ა.შ. ტალახის გადამუშავების პროდუქტებზე

დაფუძნებული კოსმეტიკური ფორმულაციები პელოიდური პრეპარატების გარდა, შეიცავს სხვა კომპონენტებსაც - მცენარეულ ზეთებს, ექსტრაქტებს, ვიტამინებს და ა.შ.
დღეისათვის მინერალების შემცველი კოცმეტიკური საშუალებები წარმოდგენილია კრემების, ლოსიონების, შამპუნების, კოსმეტიკური რძის, ნიღბების, ფირფიტების და სხვა აპლიკაციური ფორმების სახით.
მინერალების შემცველი კოსმეტიკური პროდუქცია იშვიათად იწვევს ალერგიულ რეაქციებს. კანის საფარველი ყოველდღიურად კარგავს მინერალურ მარილებს. სწორად შერჩეული კანის მოვლის საშუალებები ხელს უწყობენ ელემენტებით შევსებას, რაც დადებითად აისახება ეპიდერმისის გარეგნულ სახეზე.
საკვანძო სიტყვები: კოსმეტოლოგია, პელოიდები, მიკრო- და მაკროელემენტები, პრეპარატები

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ადამიანთა დიდმა ნაწილმა გააცნობიერა სწორი კვების როლი. 2011 წლის დასაწყისში აშშ-ის სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებათა დეპარტამენტებმა გამოაქვეყნეს დიეტური რეკომენდაციების მე -7 გამოცემა [17]. მოწოდებული რეკომენდაციების მიხედვით თერთმეტი ვიტამინი (მაგ., ვიტამინი D, C, E, K, B6, B12, თიამინი, რიბოფლავინი, ნიაცინი, ფოლიუმის მჟავა, და ქოლინი) და რვა მინერალი (მაგ., კალციუმი, რკინა, მაგნიუმი, ფოსფორი, ნატრიუმი, თუთია, სპილენძი და სელენი) მიჩნეულ იქნა ჯანმრთელობისთვის საჭიროდ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყოველი მესამე ფერმენტის კატალიზური აქტივობის მონაწილე მეტალის იონებია. მიუხედავად ამისა სამეცნიერო ლიტერატურაში გრძელდება დისკუსია ვიტამინებისა და მინერალების შემცველი დიეტური დანამატების სარგებლიანობის შესახებ. გადაუწყვეტლად რჩება საკითხი თუ რა რაოდენობით უნდა მიიღოს პაციენტმა მათი დეფიციტის ან დაავადების თავიდან აცილების მიზნით, ან კიდევ, როგორია ის ოპტიმალური რაოდენობა ადამიანის ორგანიზმისათვის, რომელიც უზრუნველყოფს მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებას [31].
კანის ადრეული ჭკნობა, სიმშრალე და მტვრევადი თმა - დღეს ყველა ასაკის ქალს აწუხებს. ნაადრევი დაბერების მიზეზები განსხვავებულია. ის მოიცავს არახელსაყრელ გარემო პირობებს, დასვენების ნაკლებობას, გაუწონასწორებელ კვებას, სტრესს. მაგრამ, როგორც წესი, კანისა და თმის გაუარესება შინაგანი სისტემებისა და ორგანოების ფუნქციობის უფრო სერიოზული დარღვევების შედეგია. სიტუაციის გამოსწორება შესაძლებელია ვიტამინებისა და მინერალების დანამატების მიღებით და ყოველდღიური მოვლის მაღალი ხარისხის კოსმეტიკური საშუალებების გამოყენებით [1].
კალიუმი და ნატრიუმი დომინანტური უჯრედშიდა და უჯრედშორისი ელექტროლიტები და ოსმოლიტებია, რომლებიც ახდენენ უჯრედის მემბრანის პოტენციალის შენარჩუნებას. მამაკაცებისა და ქალებისათვის 14 წლის ასაკის ზემოთ, რეკომენდებული დოზა კალიუმის არის 4700 მგ დღეში. თუმცა, იმის გამო, რომ ნატრიუმი უფრო ფართოდ გვხვდება ადამიანის ორგანიზმში, ამერიკული დიეტა, და დიეტური გაიდლაინები ზღუდავს ნატრიუმის მიღებას, კერძოდ დღეში 2300 მგ-ზე ნაკლები რაოდენობით, იმავე ასაკობრივ ჯგუფში. კანისათვის სასარგებლოა მარილიან წყალში ბანაობა [22,23].
კალიუმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზმში! ადამიანის სხეულის ყველა უჯრედში არის "კალიუმ-ნატრიუმის ტუმბო", რომლის დახმარებით შენარჩუნებულია წყლისა და მინერალური ბალანსი უჯრედსა და მიმდებარე სივრცეს შორის. უჯრედებში წყლისა და სხვა

ნივთიერებების ბალანსი დამოკიდებულია კალიუმის და ნატრიუმის შემცველობაზე, უჯრედებში მიმდინარე მრავალი პროცესი, რომელზედაც დამოკიდებულია არა მხოლოდ კანის, არამედ მთელი სხეულის ჯანმრთელობა:

ოსმორეგულაცია და უჯრედული მოცულობის შენარჩუნება,

ნერვული და კუნთოვანი უჯრედების ელექტრული აქტივობის შენარჩუნება,

ნივთიერებების (შაქარი, ამინომჟავები) აქტიური ტრანსპორტირება მემბრანების მეშვეობით,

ცილების სინთეზი, გლიკოლიზი, ფოტოსინთეზი და მრავალი სხვა პროცესი.

კალიუმის იონები (ისევე როგორც სპილენძი, თუთია, სელენი, მაგნიუმი, ვერცხლი) ამდიდრებს მშრალი კოსმეტიკის ვერცხლის ხაზს NEO-PHAM, რომელიც მოიცავს ლითოკომპლექსებს, ნიღბებს, შამპუნებს, მარილებს და სხეულის პროდუქტებს.

ამ კოსმეტიკის აქტიური მინერალური შემადგენლობა საშუალებას გაძლევს ღრმად გაწმინდოთ კანი, აღადგინოთ იონების ცვლა, გააუმჯობესოთ ვიტამინებისა და მიკროელემენტების ტრანსპორტირება კანის ღრმა ფენებში, შეინარჩუნოთ ბუნებრივი ტენიანობის ბალანსი.

კალიუმის სორბატი, როელიც კოსმეტიკურ პროდუქტებში გამოიყენება როგორც - კონსერვანტი, მიღებულია ცირცელის წვენისგან. კალიუმის სორბატს აქვს ანტიმიკრობული ეფექტი. ის არ ანადგურებს მიკროორგანიზმებს, მაგრამ ხელს უშლის მათ გამრავლებას, მდგრადია ტემპერატურის ცვლილებების მიმართ და იშვიათად იწვევს ალერგიულ რეაქციებს.

კალციუმი ადამიანის ორგანიზმში ყველაზე გავრცელებული მეტალია [21, 28]. საშუალოდ ზრდასრული ადამიანისათვის, დღე-ღამეში რეკომენდებულია 1000-1200 მგ კალციუმის შემცველი საკვების მიღება, ასაკისა და სქესის გათვალისწინებით. კალციუმი არა მხოლოდ ხელს უწყობს სხვადასხვა მოვლენას, განსაკუთრებით ჰემოსტაზს, არამედ ეპითელიზაციის ძირითადი რეგულატორია. კალციუმის როლი უმნიშვნელოვანესია კანისათვის, კერძოდ კორნეოციტებად ბაზალური კერატინოციტების დიფერენცირების რეგულირებაში. დიფერენცირებაში როლის გარდა, Ca++, როგორც ჩანს, ადამიანის კერატინოციტების მთავარი მოდულატორია და, სავარაუდოდ, ხელს უწყობს ჭრილობის შეხორცებას. გარდა ამისა, არსებობს ასევე მტკიცებულება, რომ კალციუმის და მაგნიუმის სწორი კომბინაცია აუმჯობესებს კანის ბარიერის აღდგენას. კალციუმის გლუკონატის ხსნარი ან გელი ხშირად გამოიყენება მჟავით გამოწვეული დამწვრობის სამკურნალოდ [31].

ძნელია კალციუმის სარგებლის გადაჭარბება. ის მონაწილეობს მრავალ ფერმენტულ რეაქციაში. კოსმეტიკაში ყველაზე ხშირად გამოიყენება კალციუმის კარბონატი. მოქმედებს როგორც აბსორბენტი: შთანთქავს ზედმეტ ტენს, ცხიმს, ჭუჭყს ასევე სითხეებს, მაგრამ არ მონაწილეობს კანში მიმდინარე პროცესებში.

გამოიყენება ცხიმიანი კანის მოვლისას- ანიჭებს მქრქალ შეხედულებას,

ამატებენ სკრაბებსა და პილინგებს კანის მექანიკური ექსფოლიაციისა და გაპრიალებისათვის,

გამოიყენება ემულსიების გასქელებისთვის,

კოსმეტიკურ საშუალებას ანიჭებს ლამაზ თეთრ-თოვლისფერ ელფერს,

კალციუმის კარბონატი ანიჭებს მქრქალ შეხედულებას და ასუფთავებს კანს, მაგრამ ეს მომენტალური ეფექტია - ცარცისგან თერაპიულ ეფექტს ვერ მიიღებთ.

კიდევ ერთი კომპონენტი, რომელიც ხშირად გვხვდება კოსმეტიკაში, არის კალციუმის ლაქტატი (რძემჟავას მარილი). ეს ნივთიერება ხელს უწყობს კანის ელასტიკურობის გაზრდას. მას ხშირად ამატებენ ალგინატის ნიღბების შემადგენლობას პლასტიკურობის მისანიჭებლად. კალციუმის ლაქტატი კარგად ატენიანებს, გამოიყენება სიმშრალის და დეჰიდრატაციის პროფილაქტიკის მიზნით, ასტიმულირებს კანში მიმდინარე პროცესებს, ამცირებს შეშუპებას, ანთებას, კანის სიწითლეს [36].

მაგნიუმი მეოთხე ადგილზეა ადამიანის ორგანიზმში შემცველობის მიხედვით. ადამიანის ორგანიზმში მაგნიუმის 60% - ზე მეტს შეიცავს ჩონჩხი, ხოლო დანარჩენი ნაწილდება უჯრედებში, სადაც აუცილებელია ენერგეტიკული მეტაბოლიზმისთვის და უჯრედების რეპლიკაციისათვის [31].

მაგნიუმი არის კოფაქტორი ბევრ მეტალოენზიმში [24]. რამდენიმე ფერმენტის კატალიზური აქტივობა დამოკიდებულია მაგნიუმზე. 2010 წლის ამერიკული დიეტური გაიდლაინების მიხედვით [17], ჯანმრთელ ზრდასრულ მამაკაცებმა და ქალებმა უნდა მიიღონ 310-დან 420 მგ-მდე მაგნიუმი დღეში. სხვა მეტალებისგან განსხვავებით, არსებობს ძალიან მცირე მტკიცებულება მაგნიუმის დიეტურ შეზღუდვებთან დაკავშირებით [24]. ცნობილია მაგნიუმის შემცველი რამდენიმე სამომხმარებლო პროდუქტი:

ტალკი (მაგნიუმის სილიკატი) - ყველაზე ხშირად გვხვდება ბავშვთა ფხვნილებში. ტალკი ასევე გვხვდება ფერად კოსმეტიკურ ფხვნილებსა და ანტიფუნგალურ საშუალებებში.

მაგნიუმის სულფატს იყენებენ შიგნით მისაღებად, როგორც საფაღარათო საშუალებას და ადგილობრივად აბაზანების სახით, კანისათვის სირბილის მისანიჭებლად. მაგნიუმის სულფატი - ცნობილი საშუალებაა კუნთების მოსადუნებლად, სიმშვიდის აღსადგენად. ის ხასიათდება დაბალი გაღიზიანების ინდექსით. გამოიყენება კანის ანთებითი პროცესების დროს. ის ძირითადად გამოიყენება თალასოთერაპიის პროდუქტებში: მარილებისა და აბაზანის ხსნარებში ეთერზეთებთან და წყალმცენარეების ექსტრაქტებთან ერთად.

მაგნიუმის ლაქტატი მოქმედებს როგორც ანტისეპტიკური საშუალება. ის კარგად არბილებს კანს, აქვს ანთების საწინააღმდეგო თვისებები.

მაგნიუმის ოქსიდი არეგულირებს pH დონეს. ამ ნაერთის მოლეკულები იზიდავს წყალს, ამიტომ მაგნიუმის ოქსიდის მქონე კოსმეტიკა კარგად ინარჩუნებს ტენს.

მაგნიუმის გლუკონატს აქვს დარბილების და გამაახალგაზრდავებელი ეფექტი. ის ყველაზე ხშირად გვხვდება როგორც ასაკის საწინააღმდეგო პროდუქტებში, ასევე პრობლემური კანის კოსმეტიკაში.

Denda და სხვ. [18] შეისწავლეს მაგნიუმის და კალციუმის ეფექტი უთმო თაგვებში კანის ბარიერის აღდგენაზე. მაგნიუმის ყველა მარილი, გარდა მაგნიუმის დიჰიდროფოსფატისა, აჩქარებს ბარიერის აღდგენის პროცესს. უფრო მეტიც, ბარიერის ოპტიმალური აღდგენისთვის საჭირო იყო Ca++ - იონების ერთი ერთეულით ნაკლები თანაფარდობა Mg++ -ის იონებთან, რაც მიუთითებს კომპლექსურ და ხშირად ანტაგონისტურ ურთიერთობაზე Mg++ - სა და Ca++ - ის იონებს შორის, კერატინიზაციის დროს. მცირე კლინიკურ კვლევაში ადამიანებზე (n = 12), Schempp et al. [35] აჩვენა, რომ 5%-იანი მაგნიუმის ქლორიდით ადგილობრივი მკურნალობის დროს UV დასხივებამდე, ეპიდერმისში მნიშვნელოვნად შემცირდა ლანგერჰანსის უჯრედების რაოდენობა ნატრიუმის ქლორიდთან შედარებით.

Proksch და მისმა კოლეგებმა აღნიშნეს კანის ბარიერული თვისებების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება (ანუ ტკივლის შემცირება, ჰიდრატაციის ზრდა, კანის უხეშობისა და ერითემის შემცირება), როდესაც ატოპიური დერმატიტის მქონე პაციენტებმა ყოველდღიურად მიიღეს მკვდარი ზღვის მარილის 5%-იანი აბაზანები, ონკანის წყალთან შედარებით [29, 30].

გამოქვეყნებული კლინიკური კვლევების შედეგების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფსორიაზისა და ატოპიური დერმატიტის მკურნალობის ბალნეოთერაპიის ეფექტურობის მხარდამჭერი მტკიცებულებები დაუზუსტებელია. თუმცა, ეს მკურნალობა, როგორც ჩანს, პაციენტებს პალიატიურ სარგებელს აძლევს ზოგიერთი სიმპტომების შემსუბუქების თვალსაზრისით (მაგალითად, ქავილი, აქერცვლა და ა.შ.) [30].

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მაგნიუმი ერთ-ერთი ყველაზე "ბიო მეგობრული" ნუტრიენტია. ეს არის არატოქსიკური, არაკანცეროგენული მინერალი, რომელიც ხელს უწყობს უჯრედული ენერგიის გამომუშავებას, აახლებს უჯრედულ სტრუქტურებს.

ორგანიზმში მაგნიუმის ნაკლებობა იწვევს სითხის შეკავებას, შეშუპებას. კანი კარგავს ელასტიკურობას. ამიტომ მაგნიუმის შემცველი კოსმეტიკა შეუცვლელია, როდესაც ასაკთან დაკავშირებული ცვლილებები ხდება. კრემები და შრატები მაგნიუმით დადებითად მოქმედებს სახისა და კისრის კანზე: ასწორებს წვრილ ნაოჭებს, აღადგენს ტონს [36].

თუთიის ყოველდღიური საჭიროება მამაკაცებსა და ქალებში არის 11 და 8 მგ დღეში, შესაბამისად. საინტერესოა, რომ ორგანიზმში თუთიის დაახლოებით 11% უკავშირდება ეპიდერმისს [26]. ბიოქიმიური თვალსაზრისით, თუთია არის დომინანტი კოფაქტორი მრავალი ფერმენტისთვის, მათ შორის ჭრილობის შეხორცებაში ჩართული. არის ჰიპოთეზა, რომ იგი ფუნქციობს როგორც არატრადიციული ანტიოქსიდანტი. მიუხედავად იმისა, რომ თუთია აშკარად უსაფრთხო და ეფექტურია ის არ არის სრულიად უვნებელი. მაგალითად, ჭრილობების მკურნალობისას კვლევებმა აჩვენა, რომ თუთიის ქლორიდის და თუთიის სულფატის ადგილობრივმა გამოყენებამ არა მხოლოდ გააღიზიანა, არამედ შეაფერხა ბარიერის აღდგენა [31]. თუმცა, რამდენიმე გამონაკლისის მიუხედავად, თუთიის ნაერთებს აქვთ უდიდესი თერაპიული პოტენციალი, რაც დასტურდება FDA-ს მიერ დამტკიცებული თუთიის შემცველი პრეპარატების რაოდენობით [33]. ამერიკის შეერთებულ შტატებში, FDA აღიარებს თუთიის შემცველ 3 ნაერთს: თუთიის აცეტატს (0.1-2%), თუთიის კარბონატს (0.2–2%) და თუთიის ოქსიდს (1-25%), როგორც უსაფრთხო და ეფექტურ კანის დამცავებს [31].

ადამიანის კანის ეპიდერმისში თუთიის კონცენტრაცია (50-70 მკგ) უფრო მაღალია, ვიდრე დერმაში (10-15 მკგ). ექსპერიმენტული ჭრილობის მოდელების კვლევები აჩვენებს, რომ თუთიის დამატება აუმჯობესებს ჭრილობის შეხორცებას. ორმაგ ბრმა პლაცებო-კონტ-როლირებად კლინიკურ კვლევაში ადამიანებში, კანზე გამოყენებულმა თუთიის ოქსიდმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ფეხის წყლულების შეხორცებას. სხვა მკვლევარები თუთიის ოქსიდს აღიარებენ, როგორც ოკლუზიურ ნახვევს დიაბეტური ფეხის წყლულებისთვის [31].

თუთია არის ელემენტი გამოხატული ანთების საწინააღმდეგო და ანტისეპტიკური თვისებებით. იგი გამოიყენება მრავალი ათწლეულის განმავლობაში შემდეგი პათოლოგიური პროცესების დროს:

გამონაყარი, ოფლიანობა და კანის ანთება ბავშვებში,

დამწვრობა და დერმატიტი,

ეგზემის, წყლულების და ნაწოლების მწვავე სტადია,

ჰერპესისა და სტრეპტოდერმიის შესამსუბუქებლად.
თუთია უპირატესად გამოიყენება ცხიმოვანი და პრობლემური კანის მოვლის საშუალებებში. ნუტრიენტი ანორმალიზებს ქონის ჯირკვლების ფუნქციობას, ატენიანებს კანს, ამცირებს სიწითლეს და გაღიზიანებას.
თუთიის ოქსიდი განკუთვნილია პრობლემური კანისთვის.
თუთიის ოქსიდის ნიღაბი ყოველთვის კეთდება კოსმეტოლოგის მიერ მექანიკური გაწმენდის ან პილინგის პროცედურის შემდეგ. ეს არის ძალიან აქტიური ანთების საწინააღმდეგო საშუალება!
როგორ მოქმედებს თუთიის ოქსიდი კანზე დატანისას: ის უკავშირდება კანის ცილებს და ახდენს მათ დენატურაციას. ქმნის ცილის მარილებს, რომლებსაც გააჩნიათ ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, ამცირებს სითხის შეღწევას სისხლძარღვებიდან დაზიანების ადგილას.
ულტრაიისფერი სხივები ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სტრესული ფაქტორია კანისთვის! თუთიის ოქსიდი დამტკიცებულია, როგორც ფართო სპექტრის მზისგან დამცავი საშუალება. თუთიის ოქსიდი არის ფიზიკური ფილტრი, რომელიც აკავებს მზის სხივებს ისე, რომ კარგავენ კანის უჯრედების დაზიანების უნარს! თუთიის ოქსიდი ინერტული და უსაფრთოა, არ ზრდის კანის ფოტომგრძნობელობას ულტრაიისფერი სხივების მიმართ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა: თუთიის ოქსიდი იცავს კანს ა ტიპის ულტრაიისფერი სხივების დაზიანებისგან, რომელთა მოქმედება ყველაზე დამანგრეველია უჯრედებისთვის.
ორგანულისაგან განსხვავებით მინერალური მზისგან დამცავი საშუალებები, როგორიცაა: თუთიისა და ტიტანის ოქსიდები არა მხოლოდ ამცირებენ ულტრაიისფერი სხივების კანში შეღწევას, არამედ უზრუნველყოფენ კანის დაცვას ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან. თუთიის ოქსიდი შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივ მზისგან დამცავ ფორმულირებებში 25% - მდე რაოდენობით [31].
რკინა ორგანიზმში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიკროელემენტია და მეტწილად ჩართულია ჟანგბადის ტრანსპორტსა და რედოქს რეაქციებში, განსაკუთრებით სუნთქვისას. რკინა ასრულებს სხვადასხვა როლს ოქსიგენაზებში, მათ შორის პროკოლაგენ-პროლინ დიოქსიგენაზაში, რომელიც დაკავშირებულია კანთან. ორგანიზმში რკინის 70% დაკავშირებულია ჰემოგლობინთან. რკინის ოქსიდის შემცველი ფერადი კოსმეტიკა ანტიკური დროიდან გამოიყენება სახის კანზე. ღია (მზისგან) და დაფარული (მზისგან) კანის ეპიდერმისში რკინის ანალიზმა აჩვენა, რომ მნიშვნელოვნად მაღალია თავისუფალი რკინის შემცველობა ღია კანის ეპიდერმისში [31].
სპილენძი არის მნიშვნელოვანი მიკროელემენტი, რომელიც გვხვდება მთელ სხეულში, სადაც იგი კოფაქტორია რამდენიმე ფერმენტისთვის, მათ შორის ლიზილ ოქსიდაზას, რომელიც მონაწილეობს კოლაგენის და თიროზინაზას, კანის პიგმენტაციაში ჩართულ ფერმენტის „კროსლინკინგში“ [20]. სპილენძის პეპტიდებმა კულტივირებულ უჯრედებში კოლაგენის წარმოქმნა გააუმჯობესა, ამასთან არბილებს გაღიზიანებულ კანს, აუმჯობესებს კანის ელასტიკურობას და სიმტკიცეს, ამცირებს ნაოჭების რაოდენობას და აჩქარებს ჭრილობის შეხორცებას [32]. სპილენძის ნაერთების გამოყენება ასევე დაკავშირებულია მათ ცნობილ ანტიბაქტერიულ, სოკოს საწინააღმდეგო და ანტივირუსულ აქტივობასთან [14]. კოსმეტიკურმა კომპანიამ შექმნა სპილენძისა და თუთიისგან შემდგარი ბიმინერალური

კომპლექსი, რომელსაც გააჩნია ანთების საწინააღმდეგო მოქმედება [27]. Chantalat და სხვებმა [15,16] ორმაგი ბრმა, პლაცებო კონტროლირებად კვლევაში, დაადგინეს დაბერების ვიზუალური ნიშნების შემცირება. ბიმინერალის კომპლექსის შემცველმა გელმა, ადგილობრივად გამოყენების დროს გააუმჯობესა კანის ტონი, ფერი, ტექსტურა, მნიშვნელოვნად შეამცირა თვალის გარშემო მუქი შეფერილობა და ნაოჭები.

სპილენძის დეფიციტი ანელებს კანის საფარველის აღდგენას დაზიანების შემდეგ. ამიტომაც სპილენძის შემცველი კოსმეტიკა სასარგებლოა დერმისა და ეპიდერმისის გასქელებისათვის, კანის კოლაგენისა და ელასტინის ბოჭკოების სტრუქტურის აღდგენისათვის და სხვადასხვა სახის დაზიანების შეხორცებისათვის. სპილენძის სხვადასხვა ნაერთებს, რომლებიც გამოიყენება კოსმეტიკაში, გააჩნია ანტიბაქტერიული ეფექტი, კანზე მატონიზებელი მოქმედება, არეგულირებს კანის ქონის გამოყოფას, იცავს კანს სტრესისგან.

კოსმეტიკურ საშუალებებში ხშირად გვხვდება სპილენძის ქლორიდი და გლუკონატი, აგრეთვე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პიროგლუტამატი. სპილენძი თუთიასთან, კალციუმთან და მანგანუმთან ერთად შედის პოპულარული Sepitonic M4-ის შემადგენლობაში, რომელიც ეწინააღმდეგება კანში ტოქსინების დაგროვებას, აუმჯობესებს კანის ფერს, ანელებს დაბერების პროცესს და ასტიმულირებს უჯრედულ სუნთქვას.

სელენი ჩვეულებრივ გვხვდება ნიადაგში, მცენარეებში გროვდება სელენმეთიონინისა და სელენცისტეინის სახით [25]. ადამიანებში ეს ორი ამინომჟავა ანტიოქსიდანტური ფერმენტების ძირითადი კომპონენტებია, როგორიცაა გლუტათიონპეროქსიდაზა და თიორედოქსინრედუქტაზა. ცხოველებზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა სელენის დეფიციტსა და კიბოს შორის შესაძლო კავშირი [19]. თაგვებში სელენის პერორალური მიღების შედეგად შემცირდა ულტრაიისფერი სხივებით გამოწვეული ანთება, პიგმენტაცია, ჰიპერკერატოზი და კარცენოგენეზი. სელენმეთიონინის შემცველი (0.002-0.05%) ლოსიონის გამოყენებამ 2 კვირის განმავლობაში, შეამცირა ულტრაიისფერი დასხივებით გამოწვეული ანთება. ფოტო-დაზიანების ინჰიბირების გარდა, საცდელ ცხოველებზე ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ სელენმეთიონინს ასევე შეუძლია შეცვალოს ფოტო-დაბერება. ითვლება, რომ სელენი იცავს კანს და სხვა ორგანოებს, ანტიოქსიდანტურ ფერმენტებში, განსაკუთრებით გლუტათიონპეროქსიდაზასა და თიორედოქსინ რედუქტაზაში მონაწილეობის გამო. ადამიანის ფიბრობლასტები, კერატინოციტები და მელანოციტები ახდენენ 10-დან 15-მდე სელენპროტეინის ექსპრესიას. საკვებზე სელენის ან სელენმეთიონინის დამატება მნიშვნელოვნად ამცირებს ულტრაიისფერი გამოსხივებით გამოწვეული კერატინოციტებისა და მელანოციტების სიკვდილს [31]. სელენპროტეინის დეფიციტი იწვევს ეპიდერმისის ჰიპერპლაზიას, თმის ფოლიკულების პათოლოგიურ განვითარებას, ალოპეციის პროგრესირებას და, საბოლოო ჯამში, ნაადრევ სიკვდილს [34]. ამერიკის შეერთებულ შტატებში სელენის სულფიდის შემცველი პრეპარატები გამოიყენება ქერტლისა და სებორეული დერმატიტის სამკურნალოდ.

სილიციუმი დედამიწაზე ყველაზე გავრცელებული ქიმიური ელემენტია! სილიციუმი იმყოფება დედამიწის ყველა ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებში!

ადამიანის კანში საოცრად ბევრი სილიციუმია: ეპიდერმისში, დერმაში, შემაერთებელ ქსოვილში, თმასა და ფრჩხილებში.

ასაკთან ერთად, სილიციუმის რაოდენობა კანში მცირდება, რაც იწვევს კანის ელასტიკურობის ცვლილებებს: რაც უფრო მეტი სილიციუმია კანში, მით უფრო მკვრივი, სქელი და ელასტიკურია კანი.

სილიციუმის ნაერთები ასრულებენ კოლაგენისა და ელასტინის ბოჭკოებს შორის თავისეური ნაკერების და კავშირების როლს - ის ინარჩუნებს მათ მოწესრიგებულ მდგომარეობაში. დაბერებული კანის ბოჭკოვანი სტრუქტურა ქაოტურია, კანი რბილია, მიდრეკილია დანაოჭებისაკენ.

სილიციუმის არსებობისას:

აქტიურდება ჰიალურონის მჟავის სინთეზი,

გაუმჯობესებულია შეხორცებისა და აღდგენის პროცესი,

გაძლიერებულია კანის დამცავი თვისებები, ბუნებრივი ანტიბაქტერიული და ანტივირუსული,

სილიციუმი არის ჯანსაღი და ახალგაზრდული კანის ნამდვილი გასაღები!

დიდი რაოდენობით სილიციუმს შეიცავს თიხა! მონტმორილონიტი (ცისფერი თიხა), კაოლინიტები (თეთრი და ვარდისფერი თიხა), ცეოლიტი წამყვანია სილიციუმის შემცველობის თვალსაზრისით. ამავე დროს - არის მშრალი კოსმეტიკის მთავარი აქტიური ინგრედიენტები "სილამაზის საიდუმლო". "პრემიუმ მოვლის" ხაზში მონტმორილონიტის, კაოლინისა და ცეოლიტის შემცველობა მერყეობს კანის სხვადასხვა ტიპისა და მდგომარეობისთვის განკუთვნილ პროდუქტებში.

ტიტანის დიოქსიდი შედის დეკორატიული კოსმეტიკის შემადგენლობაში: ის გამოიყენება მზისგან დამცავ კოსმეტიკაში, როგორც ულტრაიისფერი სხივების ფილტრი. ტიტანი ასევე გამოიყენება როგორც შემასქელებელი კოსმეტიკურ პროდუქციაში.

ტიტანის ოქსიდი არის თუთიის ოქსიდის თანამგზავრი მზისგან დაცვაში.

მზისგან დამცავ საშუალებებში ამ მინერალების წყვილში გამოყენება უზრუნველყოფს ულტრაიისფერი სხივების მიერ კანის დამაზიანებელი ეფექტის სრულად აღმოფხვრას.

თუთიის ოქსიდის და ტიტანის დიოქსიდის მზისგან დამცავი ფილტრების ძირითადი უპირატესობებია:

კანში შეღწევის უუნარობა (თუ ნაწილაკები 100 ნმ-ზე მეტია),

გამოყენების შესაძლებლობა მგრძნობიარე, ალერგიისადმი მიდრეკილ კანზე,

ბავშვებში გამოყენების შესაძლებლობა.

თუთიის ოქსიდისა და ტიტანის დიოქსიდის შემცველ მზისგან დამცავ საშუალებებს აქვთ მხოლოდ ერთი ნაკლი - კანის გაუფერულება [36].

მანგანუმი. სახის კანის მოვლის საშუალებებში მანგანუმის შეტანა ხელს უწყობს კოსმეტიკური საშუალებისათვის აღმდგენი და დამცველი თვისების მინიჭებას, აგრეთვე ასტიმულირებს კოლაგენის გამომუშავებას, ავლენს ანტიოქსიდანტურ აქტივობას, კანის სტრუქტურის გათანაბრებას, კანის უჯრედებში მეტაბოლური პროცესების რეგულირებას, აგრეთვე ახდენს კანის გაწმენდას.

კოსმეტიკურ საშუალებებში იყენებენ მანგანუმის ქლორიდს და გლუკონატს.

გოგირდი. კოსმეტიკური მიზნებისათვის ფართოდ იყენებენ სუფთა დალექილ გოგირდს. მას გააჩნია მთელი რიგი დადებითი თვისებები ცხიმოვანი და პრობლემური სახის კანისათვის. მაგალითად: მსუბუქი ამქერცლავი მოქმედება, ანასთანავე ეწინააღმდეგება კომედონების

(„შავი წერტილების“) წარმოქმნას, არის ანტისეპტიკი, ასევე გააჩნია მომშრობი მოქმედება, რითაც ეწინააღმდეგება ჭარბ ცხიმს.

თუთიის ოქსიდი დალექილ გოგირდთან ერთად წარმატებით გამოიყენება გამონაყრის სამკურნალოდ, ის აგრეთვე გამოიყენება, როგორც დამხმარე საშუალება სხვადასხვა სახის დერმატიტების სამკურნალოდ.

კოსმეტიკურ საშუალებებში ფართოდ იყენებენ არა მხოლოდ ზემოთაღნიშნულ არამედ სხვა მინერალებსაც, მაგალითად, ოქრო, ვერცხლი და სხვა.

საინტერესოა, რომ 2010 წლის დიეტური რეკომენდაციები ამერიკელებისათვის [17] არ შეიცავს რეკომენდაციებს საკვების სახით სხვა მიკროელემენტის (მაგალითად, ქრომის, მოლიბდენის და ა.შ.) გამოყენების შესახებ. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი უმნიშვნელოა. ორგანიზმში ხშირად გვხვდება სხვა არასაკვები ღირებულების მქონე მეტალური ელემენტები (მაგალითად, ალუმინი, ცირკონიუმი, ვერცხლი, ოქრო, ვერცხლისწყალი და კალა). ალუმინის და ცირკონიუმის მარილები, ორგანიზმში ხვდებიან ანტიპრესპირანტებიდან (აქტიური ინგრედიენტებია), ვერცხლი, ოქრო, ვერცხლისწყალი და კალა კი ადამიანის ორგანიზმში ძირითადად გარემოდან ხვდება [31].

თანამედროვე კოსმეტოლოგიაში კრემების, შრატების, მატონიზებელი და სხვა საშუალებების მომზადების დროს იყენებენ მიკრო- და მაკროელემენტებს, რომლებიც საციცოცხლოდ აუცილებელია ქსოვილებში ნივთიერებათა ცვლისათვის [10].

მინერალური კომპონენტებით მდიდარი კოსმეტიკური პროდუქცია იშვიათად იწვევს ალერგიულ რეაქციებს.

სამკურნალო ტალახი (პელოიდი) - ბუნებრივი კოლოიდური ორგანო-მინერალური წარმონაქმნია (ლამიანი, ტორფის, საპროპელის და ვულკანური), რომელიც ადამიანის ორგანიზმზე ახდენს სამკურნალო ზემოქმედებას თავისი პლასტიკური, მაღალი თბომოცულობის, თბომატარებლობის, ნელი სითბოს გაცემის, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების (მარილები, აირები, ვიტამინები, ფერმენტები, ჰორმონები და სხვა) და ცოცხალი მიკროორგანიზმების შემცველობის ხარჯზე [2,4,5,6,12].

ბოლო პერიოდში პოპულარულია კოსმეტიკა სამკურნალო ტალახების, მინერალური კომპლექსების და მინერალური წყლების საფუძველზე. ყველაზე ფართო ასორტიმენტითაა წარმოდგენილი კოსმეტიკა მკვდარი ზღვის პროდუქტების ბაზაზე [3,7,11].

არსებობს განსაზღვრული სპეციფიკა პელოიდების შემცველი სხვადასხვა ფორმის კოსმეტიკური პროდუქციის ტექნოლოგიისა, რაც განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით. ტალახები არის კომპლექსური ბიო-ფიზიკურ-ქიმიური სისტემები, რომლებიც მგრძნობიარეა გარეგანი ზემოქმედების მიმართ, რასაც ადგილი აქვს პროდუქციის წარმოების პროცესში (ტემპერატურა, წნევა და ა.შ.). ტალახები შეიცავს მიკროორგანიზმების დიდ რაოდენობას, ამიტომაც ძნელია ვიწინასწარმეტყველოთ მომზადებული პროდუქციის შესაბამისობა ხარისხის მაჩვენებლებით ნატიურ ტალახთან მომზადების შემდეგ და შენახვის პროცესში. ტალახები ხასიათდება განსაზღვრული სუნით, მაგალითად, ლამიანი-სულფიდური სამკურნალო ტალახისათვის დამახასიათებელია გამოხატული გოგირდწყალბადის სუნი.

ხშირად, კოსმეტიკური საშუალების სახით მოწოდებულია თვით სამკურნალო ტალახი. ასე მაგალითად, მკვდარი ზღვის ტალახი არის პროდუქციის ცალკე ხაზი უმრავლესობა ისრაელის კომპანიებისათვის. ეს გამოწვეულია იმით, რომ სამკურნალო ტალახი მეტწილად ქიმიურად

და ბიოლოგიურად არის თვითკმარი ნივთიერება, რომელსაც აქვს გამოსაყენებლად მოსახერხებელი ზეთის მსგავსი კონსისტენცია, რომელიც რეგულირდება ისეთი მაჩვენებლით, როგორიცაა გადანაცვლების დაძაბულობა (პროცედურებისთვის მომზადებული ტალახისთვის). ტალახი უნდა იყოს ბლანტი-პლასტიკური, ამიტომ დენადი (გათხევადებული) ან, პირიქით, მყარი კონსისტენცია არ არის მისაღები.

თუმცა, ტალახის მკურნალობას აქვს მრავალი უკუჩვენება და სამკურნალო ტალახის უკონტროლო გამოყენებამ, თუნდაც კოსმეტიკური მიზნებისთვის, შეიძლება გამოიწვიოს გართულებები. სინამდვილეში, სუფთა სამკურნალო ტალახი არ შეიძლება ჩაითვალოს კოსმეტიკურ პროდუქტად, რადგან ეს გულისხმობს უსაფრთხოებას დამოუკიდებლად გამოყენებისას. მთელი სხეულის თერმული შეფუთვა, რომელიც მრავალი ანტიცელულიტური პროგრამის ეტაპია, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ამ პროცედურებს აქვთ იგივე უკუჩვენებები, როგორც ტრადიციულ ტალახის აპლიკაციებს, რადგან ისინი იდენტურია სხეულზე დატვირთვის ინტენსივობის თვალსაზრისით. იმის გამო, რომ ლამის ტალახი ჰიპერტონული მასაა, იგი ინიშნება კანის გამოსაშრობად. ტალახის უნარი გამოაშროს კანი, ასევე არის გვერდითი მოვლენა, რაც ყველაზე მეტად ვლინდება მაღალ მინერალიზებულ ტალახში [8].

კოსმეტიკური პროდუქტების შემდეგი ჯგუფი შეიცავს ბუნებრივი ტალახის კომპონენტების-მარილიან ხსნარს, რომელიც მდიდარია მიკროელემენტებით და ტალახის გამონაწვლილით [8, 9, 13]. ამავე დროს, კოსმეტიკაში დამუშავებული პროდუქტების (ექსტრაქტ-კონცენტრატები) გამოყენებას აქვს მრავალი უპირატესობა ნატიურ ტალახთან შედარებით:

კონცენტრატებს აქვთ უფრო სტაბილური ქიმიური შემადგენლობა;

მათი გამოყენება ტექნოლოგიურად უფრო გამართლებულია, რადგან ის თავიდან გვაცილებს ტალახისა და ფუძეების ფიზიკურ-ქიმიურ თავსებადობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, კოსმეტიკური საშუალებების კოლოიდურ და თერმულ არასტაბილურობას;

კონცენტრატები მიიღება ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც გამორიცხავს არასასურველი მინარევების გადასვლას (მძიმე ლითონები, რადიონუკლიდები);

კონცენტრატები ხასიათდება უფრო დიდი მიკრობიოლოგიური სტაბილურობით;

შემადგენლობაში პელოიდური ექსტრაქტების კომბინაციების შეყვანა შესაძლებელს ხდის დიფერენცირებულად მივიღოთ განსაზღვრული თვისებების მქონე კოსმეტიკური პროდუქტები;

ექსტრაქტებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ კოსმეტიკური საშუალებების გარეგნული სახე და ორგანოლეპტიკური თვისებები, თავიდან ავიცილოთ ნატიური ტალახის უსიამოვნო სუნი;

მათი გამოყენება საშუალებას გვაძლევს გავაფართოვოთ კოსმეტიკური საშუალებების ასორტიმენტი: ლოსიონების, კოსმეტიკური რძის, კრემების და ა.შ. სახით, ხოლო ნატიური ტალახის გამოყენება ძირითადად ხდება ნიღბებისა და აპლიკაციების სახით.

კოსმეტიკის ჩამონათვალი, რომელიც შეიცავს ტალახის ექსტრაქტებს, საკმაოდ ფართოა. ეს არის სახის და ხელის კრემები სხვადასხვა ტიპის კანისთვის, სახის ტონიკები, სახის ნიღბები, ანტიცელულიტური ნიღბები, შამპუნები და ა.შ.

პელოიდების კომპონენტები და, შესაბამისად, მათზე დაფუძნებული ნივთიერებები კოსმეტიკური საშუალებების წარმოებისთვის შეიცავს ფიზიოლოგიურად აქტიურ ინგრედიენტებს, რომლებსაც აქვთ სასარგებლო გავლენა კანზე [11].

ბუნებრივი მარილები ახდენს წყალ - მარილოვანი ბალანსის ნორმალიზებას, ზრდის კანის ტურგორს და ელასტიკურობას, ხელს უწყობს ნაოჭების გასწორებას, აქვს ანთების საწინააღმდეგო ეფექტი. ზღვისა და ტალახის მარილის მოქმედება განპირობებულია მინერალების კომპლექსით, რომელიც ასტიმულირებს მეტაბოლიზმს, ასუფთავებს კანს, აღადგენს მის ბუნებრივ ელასტიკურობას [11].

ტალახის გადამუშავების პროდუქტებზე დაფუძნებული კოსმეტიკური სერიის ფორმულაციები პელოიდური პრეპარატების გარდა, შეიცავს სხვა კომპონენტებსაც - ტრადიციულ მცენარეულ ზეთებს (ზეითუნის ზეთი, კაკაოს ცხიმი, შის და ნუშის ზეთებს), ასევე საღამოს ფურისულას ზეთს, ექსტრაქტებს (ალოე, სალბი, გულყვითელა, ჩაი, ცხენის წაბლა, როზმარინი, ჯიჯილაყი), ვიტამინებს (A, E), D-პანთენოლს და ა.შ.) [10].

ლიტერატურა:

1. Ахмеджанова Ф.А. СОВЕРШЕНСТВОВАНИЕ СТРУКТУРЫ АССОРТИМЕНТА И КАЧЕСТВА КОСМЕТИЧЕСКИХ ТОВАРОВ. Научный журнал «АРХИВАРИУС» Том 7, #2(56), 2021. С. 77-80.
2. Водорезова Е.С., Горюнова О.Б. Характеристика современного ассортимента и качества косметических солей для ванн. Материалы конференций – Качество и безопасность на потребителските стоки. 2017. С.197-205.
3. С.Б. Евсеева, Б.Б. Сысуев. ИСПОЛЬЗОВАНИЕ ПРИРОДНЫХ МИНЕРАЛЬНЫХ СОЛЕЙ В СОВРЕМЕННЫХ КОСМЕТИЧЕСКИХ РЕЦЕПТУРАХ: АССОРТИМЕНТ ПРОДУКЦИИ, ХАРАКТЕРИСТИКА СЫРЬЯ И ОСОБЕННОСТИ ТЕХНОЛОГИИ. Фармация и фармакология Т. 4 № 2 (15), 2016. С. 4-25.
4. Горюнова, О. Б., Е.Водорезова, Т.И. Чалых. Классификация и потребительские свойства косметических солей для ванн. Товаровед потребительских товаров, №4, 2015, с. 29-34.
5. Горюнова Ольга Борисовна , Золотова Светлана Валентиновна, Водорезова Екатерина Сергеевна. ОПТИМИЗАЦИЯ ПОДХОДА К ОПРЕДЕЛЕНИЮ ПОТРЕБИТЕЛЬСКИХ СВОЙСТВ И ПОКАЗАТЕЛЕЙ КАЧЕСТВА КОСМЕТИЧЕСКИХ СОЛЕЙ ДЛЯ ВАНН. Экономика и управление народным хозяйством, Серия: Экономика и Право №7 июль 2019 г. С.20-26.
6. Карагулов Х.Г., Евсеева С.Б. КОСМЕТИЧЕСКИЕ СРЕДСТВА НА ОСНОВЕ ЛЕЧЕБНЫХ ГРЯЗЕЙ: СОСТАВ И ТЕХНОЛОГИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ // Современные проблемы науки и образования. – 2015. – № 1-1. URL: https://science-education. ru/ru/article/ view?id= 17850 (дата обращения: 13.08.2023
7. Капсулецкая М. Израильская косметика // Потребитель. Косметика и парфюмерия [Электронный ресурс].– Режим доступа: http://kosmetika.potrebitel.ru / (дата обращения 09.09.2014).
8. Косметика Сакского озера // Сакское озеро: официальный сайт – [Электронный ресурс]. – Режим доступа: http://sakilake.com (дата обращения 20.09.2014).
9. Натуральная косметика // Сайт продукции компании Агро – [Электронный ресурс]. – Режим доступа: http://shopargo.com (дата обращения 20.09.2014.).

10. Сысуев Б.Б. Технологические и фармакологические исследования минерала бишофит как источника магний-содержащих лекарственных средств: дис. ... д-ра фарм. наук. – Волгоград, 2012. – 333 с.
11. Тубин Л.А. Лечебная грязь и косметические средства на основе лечебной грязи. Грязелечение // ЗАО «ГИТТИН»: официальный сайт [Электронный ресурс]. – Режим доступа: http://www.gittin.ru (дата обращения 15.09.2014).
12. Шестакова А. В. Лечебные грязи северного кавказа. Материалы конференций. Современные наукоемкие технологии.- N5, 2005. С. 64-66.
13. Эко-Сапропель // Интернет-магазин косметики на основе сапропелевых грязей. [Электронный ресурс]. – Режим доступа: http://www.EcoSapropel.ru (дата обращения 07.09.2014).
14. Borkow, G. and Gabbay, J. Copper, An ancient remedy returning to fight microbial, fungal and viral infections. Cur Chem Biol. 3, 272–278 (2009).
15. Chantalat, J., Bruning, E., Sun, Y. and Liu, J.-C. Biomimetic signaling technology generated by a bi-mineral complex demonstrates efficacy in reducing clinical photo-aging in a 12-week placebo-controlled study. J. Am. Acad. Dermatol. 62(3 Suppl), AB6 (2010).
16. Chantalat, J., Bruning, E., Liu, J.-C. and Sun, Y. Biomimetic signaling technology generated by a bimineral complex reduces signs of photoaging in the eye area. J. Am. Acad. Dermatol. 62(3 Suppl 1), AB60 (2010).
17. Dietary Guidelines for Americans, 2010, 7th edn. U.S. Government Printing Office, Washington, DC (2010).
18. Denda, M., Katagiri, C., Hirao, T., Maruyama, N. and Takahashi, M. Some Magnesium salts and a mixture of magnesium and calcium salts accelerate skin barrier recovery. Arch. Dermatol. Res. 291, 560–563 (1999).
19. Dennert, G., Zwahlen, M., Brinkman, M., Vinceti, M., Zeegers, M. and Horneber, M. Se-lenium for preventing cancer (Review). The Cochrane Library. (5): 1–126 (2011).
20. Higdon, J. and Drake, V.J. Copper. An Evidence-Based Approach to Vitamins and Minerals, 2nd edn. pp. 135–141. Georg Thieme Verlag, Stuttgart, Germany (2012).
21. Higdon, J. and Drake, V.J. Calcium. An Evidence-Based Approach to Vitamins and Minerals, 2nd edn. pp. 115–127. Georg Thieme Verlag, Stuttgart, Germany (2012).
22. Higdon, J. and Drake, V.J. Potassium. An Evidence- Based Approach to Vitamins and Mineral, 2nd edn. pp. 196–213. Georg Thieme Verlag, Stuttgart, Germany (2012).
23. Higdon, J. and Drake, V.J. Sodium (Chloride). An Evidence-Based Approach to Vitamins and Minerals, 2nd edn. pp. 214–223. Georg Thieme Verlag, Stuttgart, Germany (2012).
24. Higdon, J. and Drake, V.J. Magnesium. An Evidence-Based Approach to Vitamins and Minerals, 2nd edn. pp. 169–178. Georg Thieme Verlag, Stuttgart, Germany (2012).
25. Higdon, J. and Drake, V.J. Selenium. An Evidence- Based Approach to Vitamins and Minerals, 2nd edn. pp. 203–213. Georg Thieme Verlag, Stuttgart, Germany (2012).
26. Higdon, J. and Drake, V.J. Zinc. An Evidence- Based Approach to Vitamins and Minerals, 2nd edn. pp. 224–233. Georg Thieme Verlag, Stuttgart, Germany (2012).
27. Kaur, S., Lyte, P., Garay, M., et al. Galvanic zinc–copper microparticles produce electrical stimulation that reduces the inflammatory and immune responses in skin. Arch. Dermatol.

Res. 303, 551–562 (2011).
28. Lansdown, A.B.G. Calcium: a potential central regulator in wound healing in the skin.Wound Repair Regen. 10, 271–285 (2002).
29. Proksch, E., Nissen, H.-P., Bremgartner, M. and Urquhart, C. Bathing in a magnesium rich Dead Sea salt solution improves skin barrier function, enhances skin hydration, and reduces inflammation in atopic dry skin. Intl J Dermatol. 44, 151–157 (2005).
30. Portugal-Cohen, M., Oron, M., Merrik, E., et al. A Dead Sea water-enriched body cream improves skin severity scores in children with atopic dermatitis. J Cosmet, Dermatol Sci Appl. 1, 71–78 (2011).
31. Polefka T. G., Bianchini R. J. and Shapiro S. /Interaction of mineral salts with the skin: a literature survey//International Journal of Cosmetic Science, 2012, 34, 416–423.
32. Pickart, L. Published studies on tissue and skin remodeling copper-peptides. Available at: http://skinbiology.com/ (accessed 29 June 2012).
33. Status of OTC Rulemakings. FDA; 2011; Available at: http://www.fda.gov/Drugs/ Development Approval Process/Development Resources/Over-the-Counter OTC Drugs/Status of OTC Rule makings/default.htm, accessed 17 February 2011
34. Sengupta, A., Lichti, U.F., Carlson, B.A., et al. Selenoproteins are essential for proper Keratinocyte function and skin development. PLoS 5, e12249 (2010).
35. Schempp, C.M., Dittmar, H.C., Hummler, D., et al. Magnesium ions inhibit the antigenpresenting function of human epidermal Langerhans cells in vivo and in vitro: involvement of ATPase, HLA-DR, B7 molecules, and cytokines. J Invest Dermatol.115, 680–686 (2000).
36. https://www.nkj.ru/archive/articles/728/.

Prospects of using mineral-containing preparations in cosmetology

Aliosha Bakuridze, Dali Berashvili, Lasha Bakuridze, Ia Tsurtsumia, Lamzira Ebralidze
Tbilisi State Medical University, Department of Pharmaceutical Technology, Department of Pharmaceutical Botany

Abstract

Unlike vitamins and herbal ingredients, the cosmetic benefits of minerals for the skin are mostly ignored and products containing them are rarely used.
Therefore, analyzing and evaluating the existing scientific data on the benefits and risks of using mineral salts in cosmetic practice, as well as determining the prospects for their application, is one of the challenges in contemporary medicine and cosmetology.
Based on the literature review, it can be concluded that cosmetics enrichedwith micro- and macroelements are characterized by a wide spectrum of action. These include soothing the skin, restoring pH balance, enchancing oxygen exchange, reducing inflammation,stimulating metabolism, normalizing water-salt balance, increasing skin turgor and elasticity, smoothing wrinkles, and strengthening the skin barrier.

Often, the healing mud itself is marketed as a standalone cosmetic product. For example, Dead Sea mud is a disctinct product line. This is due to the fact that healing mud is chemically and biologically self-sufficient substance with convenient consistency, which makes is highly effective and convenient for cosmetic application.

Mud treatment has many contraindications, and uncontrolled application of medical mud, even for cosmetic purposes, can cause complications. Pure medical mud cannot be considered a cosmetic product, as this implies safety when used independently.

In modern practices, in order to avoid the side effects of peloids, unpleasant organoleptic properties, and impurities, peloids are not used directly as raw materials for cosmetic products, but rather their processed products are used.

Extracts, concentrates and other derivatives are obtained from medical muds. Cosmetic formulations based on mud processing products, in addition to peloid preparations, also contain other components such as vegetable oils, extracts, vitamins and etc.

Today, cosmetic products containing minerals are presented in the form of creams, lotions, shampoos, cosmetic milks, masks, plates, and other application forms.Cosmetic products containing minerals rarely cause allergic reactions.

The skin loses mineral salts every day. Properly selected skincare products help replenish the elements, which has a positive effect on the appearance of the epidermis.

Keywords: Cosmetology, peloids, micro-and macroelements, preparations

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.13



ურბანული ბლოკების ტიპები და მორფოლოგიური ანალიზი

მარი ნაცვლიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი, ქალაქთმშენებლობა, დოქტორანტი, Natsvlishvilimari93@gmail.com

რეზიუმე

ურბანული მორფოლოგია ქალაქის სტრუქტურის, ფორმისა და განვითარების დინამიკის შესწავლას ემსახურება, რომლის ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტია ურბანული ბლოკი. ბლოკი განსაზღვრავს ურბანული ქსოვილის სახეს და წარმოადგენს სივრცით ერთეულს, რომელიც ხშირ შემთხვევაში შენობებით შემოსაზღვრულ სივრცედ აღიქმება. მისი სტრუქტურა და ტიპოლოგია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს როგორც ქალაქგეგმარების პროცესებს, ისე კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების სტრატეგიებს.

ტიპოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, ურბანული ბლოკები შეიძლება იყოს მჭიდროდ ნაშენი, ღია, ჰიბრიდული, ტრადიციული, პერიმეტრული ან ახალ ურბანისტულ მიდგომებზე დაფუძნებული შერეული გამოყენების მქონე სტრუქტურები. ბლოკების მორფოლოგიური ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს ურბანული სივრცეების ფუნქციური დატვირთვა, მათი შევსების ხარისხი, ღია სივრცეებთან მიმართება და განვითარების ისტორიული ეტაპები. აღნიშნული ანალიზი მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს თანამედროვე ურბანული პოლიტიკის დაგეგმვისას, რაც ეფუძნება სივრცითი თანწყობის, სიმჭიდროვისა და ბუნებრივ გარემოს ინტეგრაციის პრინციპებს.

საკვანძო სიტყვები: ურბანული მორფოლოგია, ბლოკების ტიპოლოგია, ურბანული ქსოვილი, კულტურული მემკვიდრეობა, სივრცითი ლოგიკა

ურბანული მორფოლოგია ქალაქის სტრუქტურის, ფორმისა და განვითარებით დინამიკის შესწავლას გულისხმობს. მისი ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტია ურბანული ბლოკი — სივრცითი ერთეული, რომელიც განსაზღვრავს ქალაქის ქსოვილის ფორმას. ურბანული ბლოკების ტიპოლოგიური ანალიზი მნიშვნელოვანია როგორც ქალაქგეგმარებისთვის, ისე კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის.

ურბანული ბლოკები შეიძლება განისაზღვროს, როგორც ქალაქის ქუჩის ნიმუშის სივრცე, რომელიც დაყოფილია მიწის ნაკვეთებად შენობების მშენებლობისთვის. ეს მორფოლოგიური ელემენტი ჩამოყალიბდა ურბანული დიზაინის ამჟამინდელი შეხედულების და მისი მოლოდინის შესაბამისად საუკუნეების განმავლობაში. ის შეიძლება შედგებოდეს ერთი შენობის სტრუქტურისგან ან რამდენიმე შენობისგან შემდგარი ფართისაგან, რომლებიც განსხვავდება ზომით, ბუნებით — გარშემორტყმული განცალკევებული სტრუქტურებით ან რთული ლაბირინთებით. შემადგენლობის მიუხედავად, ურბანული ბლოკი წარმოადგენს ქალაქის ურბანული სტრუქტურის ძირითად ერთეულს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო და კერძო სფეროებს შორის შუამავლობაში.



ბლოკის განსაზღვრა და სტრუქტურა

ურბანული ბლოკი ჩვეულებრივ წარმოადგენს შენობებით გარშემორტყმულ სივრცეს, რომელსაც რელიეფი, ქუჩათა ქსელი და სამშენებლო წესი განსაზღვრავს. ბლოკები შეიძლება განსხვავდებოდეს ზომით, ფორმით, შევსების ტიპით (მჭიდრო ან იშვიათი), ფუნქციური დატვირთვით და ღიობების (შიდა ეზოების) არსებობით.

ბლოკების ტიპები

1. **მჭიდროდ ნაშენი ბლოკი (Compact Block)**

— დამახასიათებელია ძველი ქალაქის ნაწილებისთვის, სადაც შენობები ქმნიან მკვეთრად შემოსაზღვრულ გარე პირიმეტრს. თბილისის ძველი უბნები, როგორიცაა აბანოთუბანი და სოლოლაკი, ამის კარგი მაგალითია. აქ საცხოვრებელი და კომერციული ფუნქციები ერთ სივრცეშია შერწყმული.

2. **ღია ბლოკი (Open Block)**

— შედგება ცალკე მდგომი შენობებისგან, რომლებიც განლაგებულია ეზოებითა და გამწვანებით. ეს ტიპი გავრცელებულია საბჭოთა პერიოდში აგებულ უბნებში, როგორიცაა საბურთალო თბილისში ან გელათის ქუჩის მიმდებარე რაიონები ქუთაისში.

3. **ჰიბრიდული ბლოკი**

— აერთიანებს ორივე ზემოთხსენებული ტიპის ელემენტებს. ასეთი ბლოკები ხშირია ქალაქის გარდამავალ ზონებში, სადაც ძველი და ახალი სტრუქტურები ერწყმიან ერთმანეთს. მაგალითად, ავლაბარში მრავლად გვხვდება ძველი ეზოიანი სახლები ახალი შენობების გარემოცვაში.

4. **ტრადიციული ბლოკი**

Toledo, Spain



– ტრადიციული ბლოკი არის ურბანული ორგანიზმი, რომელიც ვითარდება თანდათანობით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. იგი ხასიათდება დიდი, მკვრივი და ერთგვაროვანი მასით, რაც იწვევს არაპროპორციულ დამოკიდებულებას აშენებულ გარემოს და ღია სივრცეებს შორის. ასეთი ბლოკები ხშირად ჩნდებიან ქუჩის ნიმუშისგან დარჩენილი სივრცის მიხედვით, რის შედეგადაც მათი ზომა და ფორმა მკვეთრად განსხვავდება. არქიტექტურული თვალსაზრისით, ისინი ხშირად შემოსაზღვრულია წინა ფასადებით, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ რეგულარული გეგმარება — ჰასმანისეული პარიზის მაგალითივით, სადაც სიმეტრია და ფასადების ერთიანობა ურბანული წესრიგის მაჩვენებელია.

5. Ildefons Cerdà


Ildefons Cerdà- ს მიერ შემოღებული შესანიშნავი ტიპოლოგიის წყალობით ბარსელონა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რომელშიც ის ახალ ურთიერთობებს ამყარებს შენობებსა და ქუჩებს შორის. მისი გეგმა აღიარებს ქსელის ნიმუშის უპირატესობებს მიმოქცევის, ტოპოლოგიისა და კონსტრუქციის თვალსაზრისით, რის შედეგადაც 113 მ 113 მ კვადრატული მოდული 20 მეტრიანი კამერით. ეს ტიპოლოგია განსაზღვრავს ურბანიზმის ისტორიაში მნიშვნელოვან ეტაპს, რადგან ამ მომენტიდან ბლოკი წყვეტს მხოლოდ გირაოს მახასიათებელს, როგორც ადრე აღვნიშნეთ, რომ გახდეს ურბანული შემადგენლობისა და სტრუქტურის მთავარი ელემენტი.



6. ამასთან, მისი გეგმა საფუძვლიანად არ განხორციელდა, რაც ძირითადად საგზაო ქსელს ეხებოდა. თავდაპირველად ბლოკები მოიცავდა შიდა პარკს, რომელიც განკუთვნილი იყო საზოგადოებრივი პარკებისთვის და კეთილმოწყობისთვის, რომელიც მოიცავს მთლიანი ზედაპირის 1/3-ს, მაგრამ, რაც წლები გადიოდა, ისინი მასიურად იკავებდნენ შენობებს.



7. პერიმეტრის ბლოკი



მიუხედავად იმისა, რომ Cerdà- ს გეგმა სრულფასოვნად არ შესრულდა, მან შთააგონა პერიმეტრის ბლოკების განვითარებას. მაგალითად, ქალაქი ამსტერდამი ამ ტიპის ბლოკის შესანიშნავი მაგალითია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერ კიდევ საგზაო სისტემის შედეგები არიან, Figueroa (2016) აცხადებს, რომ ისინი ქმნიან ქუჩების და ურბანული სივრცის ახალ იერარქიას, ძირითადად უნიკალური კუთხეებისა და შიდა ეზოების გამო, რომლებიც კერძო ბაღებად დაიწყო და შემდეგ საზოგადოებრივ სივრცეებად იქცა. ბლოკის გამტარიანობა.



Vienna, Austria



8. ღია ბლოკი

ღია ბლოკი არსებითად ჰიბრიდული ელემენტია, რომელიც აერთიანებს ტრადიციული ქუჩისა და კუთხის ღირებულებას, მაგრამ პატივს სცემს სხვადასხვა ტიპის შენობების ავტონომიას. ეს კომპოზიცია საშუალებას იძლევა უფრო მეტი ბუნებრივი განათება და ვენტილაცია შენობებში, შეიქმნას უფრო ფეხით მოსიარულე გარემო, სადაც ბილიკები გადაკვეთენ ბლოკებს და არღვევს ხაზს სახელმწიფოსა და კერძო პირებს შორის.




ახალი ურბანიზმი და ბლოკების თანამედროვე ინტერპრეტაცია

ახალი ურბანიზმი — ეს ურბანული დიზაინის მოძრაობა 1960-იან წლებში გაჩნდა, როგორც ქალაქის დაგეგმვის მოდერნისტული სქემატიზმის დაძლევის მცდელობა. ახალი ურბანიზმი ხელს უწყობს ფეხით მოსიარულე უბნებს, რომლებიც შეიცავს საცხოვრებლისა და სამუშაო ადგილების ფართო სპექტრს, საზოგადოებრივ სივრცეებსა და მრავალფეროვან ინფრასტრუქტურას.

ამ მოძრაობის პრინციპების მიხედვით, ურბანული ბლოკები აღარ განიხილება მხოლოდ ტექნიკური სექციების ერთობლიობად — ისინი ხდება **ადამიანზე ორიენტირებული სივრცეები**, სადაც კოეფიციენტები, სიმჭიდროვე და ღია სივრცეების ხელმისაწვდომობა ბალანსდება სიცოცხლისუნარიანი ურბანული ქსოვილის შესაქმნელად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბუნებასა და აშენებულ გარემოს შორის ინტეგრაციას — ქალაქების დიზაინში აქტიურად იჩენს თავს მწვანე კორიდორები, საზოგადოებრივი პარკები და "შერეული გამოყენების" (mixed-use) ბლოკები. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ურბანული განლაგების მეტ ორგანულობას და უწყვეტ სივრცით გადაბმას საცხოვრებელ, რეკრეაციულ და სამსახურებრივ ზონებს შორის.

Googleplex, California





მორფოლოგიური ანალიზის მნიშვნელობა

ურბანული ბლოკების მორფოლოგიური ანალიზი საშუალებას იძლევა გავიგოთ ქალაქის განვითარების ფაზები და სივრცითი ლოგიკა. მაგალითად, საბჭოთა პერიოდის ღია ბლოკები ასახავენ იდეოლოგიას, რომელიც მჭიდრო მშენებლობისგან განთავისუფლებას და საზოგადოებრივ სივრცეთა გაზრდას ისახავდა მიზნად.

Copenhagen, Denmark



ამასთან, ანალიზი ეხმარება ურბანისტებს და არქიტექტორებს სწორი გეგმარებითი გადაწყვეტილებების მიღებაში — მაგალითად, რომელი ბლოკები საჭიროებს განახლებას, სად შეიძლება თანამედროვე ინტერვენციები და როგორ შეიძლება ისტორიული ქსოვილის შენარჩუნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Moudon, A. V. (1997). Urban morphology as an emerging interdisciplinary field. *Urban Morphology*, 1(1), 3–10.

- Conzen, M. R. G. (1960). Alnwick, Northumberland: a study in town-plan analysis. *Institute of British Geographers Publication*.
- Krier, R. (1979). *Urban space*. Rizzoli International Publications.
- Kostava, N. (2012). Urban Transformation in Post-Soviet Tbilisi: The Case of Gldani and Vake. *Tbilisi Urban Studies Review*, 4(2), 45–59.
- Ziegler, J. (2008). Morphological analysis of historic urban blocks: methods and implications. *Journal of Urban Design*, 13(3), 289–312.

Types of Urban Blocks and Morphological Analysis

Mari Natsvlisvili

Georgian Technical University, Faculty of Architecture, Urban Planning, PhD Student

Abstract

Urban morphology is the study of the structure, form, and developmental dynamics of a city, with one of its central elements being the urban block. The block defines the fabric of urban space and represents a spatial unit, which is often perceived as an area enclosed by buildings. Its structure and typology play a crucial role in both urban planning processes and strategies for preserving cultural heritage.

According to typological classification, urban blocks can be compact, open, hybrid, traditional, perimeter-based, or mixed-use structures influenced by new urbanist approaches. Morphological analysis of blocks allows for the assessment of the functional capacity of urban spaces, their degree of density, relation to open areas, and historical development phases. This type of analysis serves as an essential tool in modern urban policy-making, based on principles of spatial coherence, density, and integration with the natural environment.

Keywords: Urban Morphology; Block Typology; Urban Fabric; Cultural Heritage; Spatial Logic

Urban morphology refers to the study of the structure, form, and developmental dynamics of a city. One of its key components is the **urban block** — a spatial unit that defines the physical fabric of the city. Typological analysis of urban blocks is crucial for both urban planning and the preservation of cultural heritage.

Urban blocks can be defined as spatial areas of a city's street pattern, subdivided into land parcels intended for construction. This morphological element has been shaped over centuries, according to evolving views and expectations in urban design. A block may consist of a single building or multiple structures, differing in size and character — either detached or forming dense labyrinths. Regardless of their composition, urban blocks are the fundamental units of urban structure and play a critical role in mediating between the public and private realms.

Definition and Structure of the Urban Block

Typically, an urban block is an area enclosed by buildings, shaped by the topography, street network, and local construction regulations. Blocks may vary in size, form, density, function, and the presence or absence of inner courtyards.

Types of Urban Blocks

1. **Compact Block**

Characteristic of older city areas, where buildings form a tightly defined outer perimeter. Tbilisi's historic districts, such as Abanotubani and Sololaki, exemplify this type, blending residential and commercial uses within a dense structure.

2. **Open Block**

Consists of free-standing buildings surrounded by yards or green spaces. This type is typical of Soviet-era neighborhoods such as Saburtalo in Tbilisi or areas near Gelati Street in Kutaisi.

3. **Hybrid Block**

Combines elements of both compact and open block types. Often found in transitional city zones, such as Avlabari, where older courtyard houses coexist with new buildings.

4. **Traditional Block**

A traditional block is an urban organism that evolves gradually over a long period. It is characterized by a large, dense, and homogeneous mass, often creating a disproportion between built and open spaces. These blocks usually result from leftover spaces within irregular street patterns, producing variable sizes and shapes. Architecturally, they are often enclosed by front façades that may or may not follow a regular configuration — as seen in Haussmann's Paris, where uniformity and symmetry reflect urban order.

5. **Cerdà's Grid in Barcelona**

Thanks to the typology introduced by Ildefons Cerdà, Barcelona exemplifies a novel relationship between buildings and streets. His plan embraced the advantages of grid-based systems in terms of circulation, topology, and construction, establishing a 113x113 meter modular block with 20-meter chamfered corners. This model marked a major milestone in urban history, transforming blocks from mere property units into fundamental elements of urban structure.

6. **Limitations of the Cerdà Plan**

Despite its visionary layout, Cerdà's plan was not fully implemented — particularly regarding its street system. Originally, the blocks included inner parks intended as public green spaces occupying a third of each block. Over time, however, these were largely replaced by built structures.

7. **Perimeter Block**

Inspired by Cerdà's model, cities like Amsterdam developed the perimeter block. While still shaped by the road network, these blocks, as Figueroa (2016) notes, redefine urban hierarchy through

distinctive angles and interior courtyards, which evolved from private gardens into semi-public community spaces.

8. **Modern Open Block**

A contemporary hybrid typology that combines the value of traditional streets and corners while preserving building autonomy. This configuration enhances natural light and ventilation, while pedestrian-friendly pathways intersect blocks and dissolve the boundary between public and private domains.

New Urbanism and Contemporary Interpretations

New Urbanism emerged in the 1960s as a movement countering the rigidity of modernist planning. It promotes walkable neighborhoods featuring a wide range of housing and workspaces, alongside public spaces and integrated infrastructure.

In this paradigm, blocks are no longer seen as technical units but as **human-centered spaces** — where density, access to open areas, and functionality coexist harmoniously to form resilient urban fabrics.

Special attention is given to integrating nature with built environments — manifesting in green corridors, public parks, and mixed-use developments. This approach fosters organically planned layouts with seamless transitions between residential, recreational, and working zones.

The Significance of Morphological Analysis

Morphological analysis of urban blocks reveals the phases of city development and its underlying spatial logic. For example, Soviet-era open blocks reflect a political ideology aimed at de-densification and increased public space.

Such analysis supports urban planners and architects in making informed decisions — such as identifying blocks in need of renewal, suitable sites for modern interventions, and strategies for preserving historical textures.

References

- Moudon, A. V. (1997). Urban morphology as an emerging interdisciplinary field. *Urban Morphology*, 1(1), 3–10.
- Conzen, M. R. G. (1960). Alnwick, Northumberland: a study in town-plan analysis. *Institute of British Geographers Publication*.
- Krier, R. (1979). *Urban space*. Rizzoli International Publications.
- Kostava, N. (2012). Urban Transformation in Post-Soviet Tbilisi: The Case of Gldani and Vake. *Tbilisi Urban Studies Review*, 4(2), 45–59.
- Ziegler, J. (2008). Morphological analysis of historic urban blocks: methods and implications. *Journal of Urban Design*, 13(3), 289–312.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.14



თანამედროვე ურბანული ხელოვნების სოციოკულტურული ასპექტები

მარიამ ხაბეიშვილი[1]; ნინო ხაბეიშვილი[2]

[1]არქიტექტურის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ელ-ფოსტა: m.khabeishvili@gtu.ge; არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ელ-ფოსტა: n.khabeishvili@gtu.ge

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია მრავალფეროვანი დინამიური ფენომენი - თანამედროვე ურბანული ხელოვნება, როგორც სხვადასხვა მხატვრული ფორმის და თემატური მიმართულებების საზოგადოებრივ სივრცეებში ინტეგრაციის შედეგი, ქალაქის გარემოს ახალი სახის ფორმირების - ტრანსფორმაციის კონტექსტში, განპირობებული ესთეტიკური პრაქტიკით და სოციალური ქმედებით. განსაზღვრულია ურბანული ხელოვნების სპეციფიკური შინაარსის მატარებელი პაბლიკ-არტი და სტრიტ-არტი. მიმოხილულია სხვადასხვა უნიკალური მხატვრული მეთოდის სპეციფიკა, რითაც ურბანული ხელოვნება ახორციელებს - ესთეტიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო პროექტებს. გაკეთებულია სათანადო დასკვნები და დასახულია განვითარების სავარაუდო პერსექტივები.

საკვანძო სიტყვები: ურბანული ხელოვნება, საზოგადოებრივი სივრცე, პაბლიკ-არტი, სტრიტ-არტი, ქალაქის დიზაინი.

შესავალი


ურბანული სივრცის ინტერაქტიულ გარემოში, დიზაინის და უახლესი ტექნოლოგიების ფართომასშტაბიანმა განვითარებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა არქიტექტურის, სახვითი და პლასტიკური ხელოვნების მხატვრული სინთეზის ტრადიციული საზღვრები და შემოიტანა, ახალი არტ-პროექტები - სუპერგრაფიკა, გრაფფიტი, ანამორფული სამგანზომილებიანი გამოსახულებები; დინამიკური შუქ-ფერითი გრაფიკული კომპოზიციები - მედია-არტი, ჰოლოგრაფიული პროექციები, „Slide mapping“; ქალაქის ჟანრული, აბსტრაქტულ-დეკორატიული ხასიათის ქანდაკებები; კინეტიკური, ინტერაქტიული, კომპაქტური ლანდშაფტური არტ-ობიექტები; მოცულობით-სივრცითი სინათლის ინსტალიაციები; მხატვრული სინთეზის განსაკუთრებული ფორმა - საფირმო სტილების პროგრამები და ა.შ. [1]. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შემოქმედთა კრეატიული ჯგუფების მიერ

განხორციელებული ეს ეპატაჟური, უჩვეულო არტ-ობიექტები, ეფუძნებიან ტრადიციული თუ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილ ვიზუალურ ეფექტებს.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე ურბანული ხელოვნება, რომელიც მოიაზრება მე-XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, სხვადასხვა მხატვრული ფორმის და ფართომასშტაბიანი თემატური მიმართულებების საზოგადოებრივ სივრცეებში ინტეგრაციით, ახდენს ქალაქის გარემოს ტრანსფორმაციას, ფორმირებას და ქმნის ყოფიერების ახალ სურათებს, რომლთა უნიკალურობას განსაზღვრავს ესთეტიკური პრაქტიკა და სოციალური ქმედება. ეს მრავალფეროვანი დინამიური ფენომენი ცვლის ჩამოყალიბებულ, ძველ შეხედულებებს ხელოვნების ფუნქციასა და ინსტიტუციურ სტატუსზე, „სოციალური მიზიდულობის“ ფონზე ასახავს უახლეს ტენდენციებს და გამოწვევებს [2]. ფუნდამენტური მნიშვნელობის კონტექსტში ის ფიზიკური, არქიტექტურული და ქალაქის გარემო, რომელშიც მდებარეობს მხატვრული ობიექტი განსაზღვრავს ურბანული ხელოვნების სპეციფიკურ შინაარსს და მასთან დაკავშირებულ ტერმინებს - საჯარო (პაბლიკ-არტი. ინგლ."Public-art") თუ ქუჩის (სტრიტ-არტი. ინგლ. „Street art“) ხელოვნება [3].

საჯარო ხელოვნება მოიაზრება ხელისუფლების მიერ სანქცირებული ე.წ. „შეკვეთილი“, სახელმწიფოს იდეოლოგიური პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც ზოგ შემთხვევაში ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს საზოგადოებაში, თუმცა მის ფარგლებში აღინიშნება მხატვრული პრაქტიკების ვარიატულობაც. ურბანული დაგეგმარების კუთხით ამ კომპოზიციების სტრუქტურა და დიზაინი მოწოდებულია გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე და მკვეთრად შეცვალოს მათი ესთეტიკური შეხედულებები (სურ.1). ეს არტ-ობიექტები ისტორიული, ტრადიციული მონუმენტებისა და ძეგლების მიღმა აფართოვებენ პაბლიკ-არტის იდეას და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების საჯარო სივრცეებს წარმოაჩენენ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებად ღია ცის ქვეშ.




სურ.1. აშშ. ჩიკაგო. - „ჩიკაგოს პიკასო“ 1967 წ. პაბლო პიკასო. - „ოთხი სეზონი“ 1974წ.

მარკ შაგალი. - „ფლამინგო“ 1974 წ. ალექსანდრე კოლდერი

პაბლიკ-არტი, როგორც ლოკალური კულტურული მემკვიდრეობის ვიზუალიზაციის ერთ-ერთი ფორმა, წარმოადგენს კოლექტიურად მნიშვნელოვანი არსის რეპრეზენტაციას და სიღრმისეული მემკვიდრეობის რეალურ აქტუალიზაციას ქალაქის საკომუნიკაციო პროცესებსა და სივრცეებში. ამრიგად, კულტურული მეხსიერება ხდება ქალაქის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი, რომელთანაც უშუალოდ ურთიერთქმედებენ, როგორც ქალაქელები, ასევე ტურისტები [4]. ის, როგორც უფრო ინკლუზიური და სამართლიანი საზოგადოების შექმნის ინსტრუმენტი, მოიაზრება მომავალში ხელოვნების განვითარების პერსპექტიულ მიმართულებად.

საჯარო ხელოვნებისგან განსხვავებით ქუჩის ხელოვნება წარმოჩინდება ხელისუფლების მიერ არასანქცირებული, ანონიმური, სპონტანური, ეფემერული, პერფორმატიული ობიექტებით, საზოგადოებასთან განზრახ კომუნიკაციის მიზნით სხვადასხვა ტექნიკით, სხვადასხვა თემაზე შესრულებული ნაწარმოებებით. ვიზუალური ხელოვნების ფართო კონტექსტში ჩაწერილი სტრიტ-არტი თანაარსებობს ქალაქის დიზაინთან და რეგიონის ეროვნულ სპეციფიკასთან კავშირში (სურ. 2). სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრივ სივრცეებში ეხმიანება პოლიტიკურ, გენდერულ, კულტურულ, სოციალურ საკითხებს, ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს და მოქალაქეებთან მუდმივ კონტაქტში ქმნის აქტუალურ, ახალ მიზიდულობის ცენტრებს.



სურ.2. საქართველო. თბილისი. - „ფაბრიკა“ მულტიფუნქციური ურბანული სივრცე

ურბანული გარემოს ფორმირება ხელოვნების ობიექტების ინტეგრაციით თანამედროვე საზოგადოებრივ სივრცეებში წარმოადგენს, როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული ინტერესის სფეროს. ეს „არტ-მეთოდები“ ითავსებენ პრაქტიკების ფართო სპექტრს, ასე მაგალითად გარემოში არსებობის ვადა: პირობითად მუდმივი, დროებითი, ეფემერული ობიექტები; არქიტექტურულ გარემოსთან ურთიერთქმედება - შენობის ქსოვილში ჩაშენებული არტ-ობიექტი (სურ. 3); პრეზენტაციის ფორმა და ტიპი: სიბრტყული - ზედაპირების ფრონტალური გაფორმება, მოცულობითი არტ-ობიექტები, სივრცითი ინსტალაციები და ა.შ.; თანამედროვე ტექნოლოგიები: კლასიკური, მედია ხელოვნება, შუქ-ფერითი ინსტალაციები; ფუნქციურობა: ქალაქის დიზაინის ელემენტები, რეკლამა და სხვა [5].



სურ.3. საფრანგეთი. რომი. „მინიმალური მონუმენტი“ 2020 წ. ნელე აზეველო; აშშ. ნიუ-იორკი. „სარკული სკულპტურა“ 2023 წ. ანიშ კაპური

დასკვნა

ურბანული ხელოვნება სხვადასხვა უნიკალური მხატვრული მეთოდით ახორციელებს ესთეტიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო პროექტებს. ადგილის მიმზიდველობის მიზნით ავსებს ქალაქის დიზაინს მხატვრული ღირებულებით, აფართოებს ურბანული სივრცის შემოქმედებითი პოტენციალის კულტურულ საზღვრებს; სოციალურ საკითხებზე აქცენტებით მართავს დისკუსიას და დიალოგს; ასახავს ადგილობრივი ხალხების იდენტურობას და ისტორიას, ფლობს სოციალური თერაპიის და საგანმანათლებლო უნარებს. მუდმივი ცვლილებების პირობებში, სავარაუდოდ ურბანული ხელოვნება გააგრძელებს განვითარებას, შექმნის უნიკალურ, კულტურულ სივრცეებს თვითგამოხატვის, სოციალური აქტივობის კონტექსტში, რაც ხელოვნებას სულ უფრო ხელმისაწვდომს გახდის საზოგადოებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Evstratova T.A., Kuleeva L.M., Kupriyanov V.N., Malakhov S.A., Mikhailov S.M. Modern trends in the field of artistic synthesis in architecture and design of the city // News KSUAE 2023 № 2 (64), p.101-112, DOI: 10.52409/20731523_2023_2_101, EDN: XQBZOK
2. Koshkin D.F., Krivokobylskaya K.I. Art methods in a modern urban environment, Architecture. Restoration. Design. Urban science, 2024, 1 (3), p. 267-281
3. Vilchinskaya-Butenko, M.E. (2022) Modes of visualization of urban art: street art vs public art. Tomsk State University Journal of Cultural Studies and Art History. 47. pp. 18–34. (In Russian). doi: 10.17223/22220836/47/2
4. Speshilova, E. I. (2024). Public art in the historical city: Visualizing the local cultural code. Urbis et Orbis. Microhistory and Semiotics of the City, 4(1), 23–38. https://doi.org/10.34680/urbis-2024-4(1)-23-38

5. Koshkin D.F., Krivokobylskaya K.I. Art methods in a modern urban environment, Architecture. Restoration. Design. Urban science, 2024, 1 (3), p. 267-281

Sociocultural Aspects of Contemporary Urban Art

Mariam Khabeishvili[1]; Nino Khabeishvili[2]

[1]Doctor of Architecture, Associate Professor, Georgian Technical University, E-mail: m.khabeishvili@gtu.ge; [2]Doctor of Architecture, Professor, Georgian Technical University, E-mail: n.khabeishvili@gtu.ge

Abstract

The article discusses a diverse dynamic phenomenon - modern urban art, as the result of the integration of various artistic forms and thematic directions in public spaces, in the context of a new type of formation - transformation of the urban environment, conditioned by aesthetic practice and social action. Public art and street art, which carry the specific content of urban art, are defined. The specifics of various unique artistic methods are reviewed, by which urban art implements aesthetic, social, cultural, educational projects. Appropriate conclusions are made and probable development perspectives are set.

Keywords: urban art, public space, public art, street art, city design.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.15



მთის ტურიზმის მდგრადი განვითარება: წამყვანი ქვეყნები და საგანმანათლებლო პროგრამები

ეკატერინე შილაკაძე

აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტი ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი

რეზიუმე

მოცემული სტატიის მიზანია გააანალიზოს ის ქვეყნები, სადაც მთის მდგრადმა ტურიზმმა მაღალი განვითარების დონეს მიაღწია, ასევე განიხილოს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ამზადებენ სპეციალისტებს მსგავსი რეგიონების პოპულარიზაციისა და ტურისტების მიზიდვისათვის. ჩვენ გამოვყოფთ შვეიცარიას, ავსტრიას და ნორვეგიას როგორც ლიდერ ქვეყნებს და განვიხილავთ ძირითად დისციპლინებს, რომლებიც აუცილებელია ამ სფეროში წარმატებისთვის.

1. შესავალი

მდგრადი ტურიზმი წარმოადგენს მიდგომას ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისადმი, რომელიც ისწრაფვის მინიმუმამდე შეამციროს გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა, დაეხმაროს ადგილობრივ თემებს და უზრუნველყოს რეგიონებისთვის ეკონომიკური სარგებელი გრძელვადიან პერსპექტივაში. მთის მდგრადი ტურიზმი, როგორც მისი ქვეკატეგორია, ფოკუსირდება მთიანი ტერიტორიების უნიკალურ ეკოსისტემებზე, სადაც ბუნებრივი რესურსები განსაკუთრებით მოწყვლადია, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური დამოკიდებულება ტურიზმზე მაღალი.

2. მდგრადი მთის ტურიზმის კონცეფცია

რა არის მდგრადი მთის ტურიზმი: ეკოლოგიის, ეკონომიკისა და სოციალური სივრცის ბალანსი

ეს ბალანსი მიიღწევა სამი ძირითადი ასპექტის ეკოლოგიის, ეკონომიკისა და სოციალური ფაქტორის საშუალებით. ეკოლოგიური კომპონენტი გულისხმობს ბუნებრივი რესურსების,

ფლორისა და ფაუნის დაცვას, ასევე ნახშირბადის კვალის შემცირებას, მაგალითად, განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებით მთის სასტუმროებში და ნარჩენების მინიმიზაციით.

ეკონომიკური ასპექტი მოიცავს ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილების შექმნას და ინფრასტრუქტურის განვითარებას ისე, რომ ზიანი არ მიადგეს ბუნებას.

სოციალური კომპონენტი კი ნიშნავს პატივისცემას მთიანი თემების ტრადიციებისა და კულტურის მიმართ, მათი ჩართულობას ტურისტულ საქმიანობაში და სოციალური უთანასწორობის თავიდან აცილებას.

მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ ინიციატივა **"Green Key"** ალპებში, სადაც სასტუმროები და ტუროპერატორები იღებენ ვალდებულებას დაიცვან მკაცრი ეკოლოგიური სტანდარტები, ამავდროულად სთავაზობენ ტურისტებს უნიკალურ გამოცდილებას ადგილობრივ კულტურასთან კავშირში. მაგალითად, გასტრონომიულ ტურებს, სადაც გამოიყენება ადგილობრივი ფერმების ორგანული პროდუქტები.

გამოწვევები და შესაძლებლობები მთიან რეგიონებში

მთიანი რეგიონები მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან მდგრადი ტურიზმის კონტექსტში.

პირველ რიგში, ეს არის ეკოსისტემების მოწყვლადობა: კლიმატის ცვლილება იწვევს მყინვარების დნობას, ბიომრავალფეროვნების შემცირებას და სტიქიური მოვლენების თოვლის ზვავების ან მეწყერების რისკების ზრდას.

მეორე, სეზონურობა: ზამთარში ტურისტების მოზღვავებას მოსდევს ჩაძირვა შუალედურ სეზონებში, რაც ართულებს მოსახლეობისთვის შემოსავლების სტაბილურ დაგეგმვას.

მესამე, მასობრივი მშენებლობა და ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული ექსპლუატაცია (მაგალითად, ტყეების გაჩეხვა სათხილამურო ტრასების გასავლებლად) საფრთხეს უქმნის ბუნებრივ გარემოს.

თუმცა ეს გამოწვევები ერთდროულად ქმნის შესაძლებლობებსაც.

მთიან რეგიონებს შეუძლიათ გახდნენ მწვანე ტექნოლოგიების ლიდერები: მზის პანელები, ქარის ტურბინები და ნარჩენების გადამუშავების სისტემები უკვე ფართოდ გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა შვეიცარია და ნორვეგია.

გარდა ამისა, მდგრადი ტურიზმი ხელს უწყობს ეკონომიკის დივერსიფიკაციას: ზამთრის სპორტებზე (სათხილამურო სპორტი, სნოუბორდი) ფოკუსირების ნაცვლად, ვითარდება აქტივობები, როგორიცაა ეკოტრეკინგი, ველური ბუნების დაკვირვება და ჯანმრთელობის ტურიზმი.

მნიშვნელოვანი ასპექტია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში: სერტიფიცირების პროგრამები და გრანტები მცირე ბიზნესებისთვის (მაგალითად, ავსტრიაში) ეხმარება ფერმერებსა და ხელოსნებს ტურისტულ ინდუსტრიაში ინტეგრაციაში, მათი იდენტობის შენარჩუნებით.

მდგრადი მთის ტურიზმი აერთიანებს სამ ძირითად ელემენტს:

- ეკოლოგიური მდგრადობა (მთიანი ეკოსისტემების დაცვა),
- სოციალური სამართლიანობა (ადგილობრივი თემების მხარდაჭერა) და
- ეკონომიკური ეფექტურობა (ტურიზმიდან მიღებული სტაბილური შემოსავალი).

მთიანი რეგიონები, როგორიცაა ალპები ან სკანდინავიის მთები, აწყდებიან გამოწვევებს, ნიადაგის ეროზია, კლიმატის ცვლილება, სეზონურობა — თუმცა სწორედ ამავე რეგიონებში არსებობს უნიკალური შესაძლებლობები: სათხილამურო კურორტებიდან ეკოტრეილებამდე და კულტურულ მემკვიდრეობამდე.

მდგრადი მთის ტურიზმის წარმატება დამოკიდებულია **გონივრულ მენეჯმენტზე**, სადაც **განათლება თამაშობს გადამწყვეტ როლს**.

სპეციალისტების გარეშე, რომლებსაც ესმით განვითარების და შენარჩუნების ბალანსი, მთიანი ტერიტორიები რისკავენ გადაიქცნენ *გადაჭარბებული ტურიზმის* (overtourism) მსხვერპლად ან, პირიქით, დარჩნენ დაუფასებლად.

3. ქვეყნები, სადაც მთის მდგრადი ტურიზმი მაღალ დონეზეა განვითარებული

შვეიცარია: ლიდერი მთის მდგრად ტურიზმში

შვეიცარია წარმოადგენს მთის მდგრადი ტურიზმის ეტალონს, განსაკუთრებით თავისი ალპების წყალობით. ქვეყანა აერთიანებს განვითარებულ ინფრასტრუქტურას (მაგალითად, ცერმატის და დავოსის სათხილამურო კურორტები) მკაცრ ეკოლოგიურ სტანდარტებთან.

აქ აქტიურად ინერგება განახლებადი ენერგიის წყაროები (მაგალითად, მზის პანელები საბაგიროებზე), ხოლო ადგილობრივი თემები ჩართულნი არიან ტურიზმის მართვაში.

ტურისტებს იზიდავთ არა მხოლოდ სპორტული აქტივობები, არამედ ეკოლოგიური მარშრუტებიც, როგორიცაა გრაუბიუნდენის ეროვნული პარკის ბილიკები.

ავსტრია: ინოვაციები და ტრადიციები ალპებში

ავსტრია, თავისი ალპური სოფლებითა და კურორტებით (მაგალითად, ინსბრუკი), მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს ინოვაციებზე.

ქვეყანა აქტიურად უწყობს ხელს „მწვანე“ სასტუმროების განვითარებასა და ნარჩენების გადამუშავების პროგრამების დანერგვას.

მთის ტურიზმი აქ მდგრადია სეზონური დივერსიფიკაციის წყალობით: ზამთარში — თხილამურები, ზაფხულში, ლაშქრობა და ველოსპორტი.

ადგილობრივი მოსახლეობა ინარჩუნებს ტრადიციებს, რაც დამატებით კულტურულ ღირებულებას მატებს ტურისტულ გამოცდილებას.

ნორვეგია: ეკოლოგიური მიდგომა ფიორდებსა და მთებზე

ნორვეგია გამოირჩევა მდგრადობისადმი თავისი მიდგომით როგორც მთიან, ისე სანაპირო რეგიონებში.

რეგიონები, როგორიცაა ტრომსე და ლოფოტენის კუნძულები, სთავაზობენ ტურისტებს ლაშქრობას, კაიაკინგს და ჩრდილოეთის ციალის დაკვირვებას.

ქვეყნის ეკოლოგიური პოლიტიკა ერთჯერადი პლასტმასის აკრძალვა და ელექტროტრანსპორტის მხარდაჭერა ნორვეგიას მასში მიბაძვის მოდელად აქცევს.

4. განათლება მდგრადი მთის ტურიზმისთვის

რატომ სჭირდება ამ სფეროს პროფესიონალები შესაბამისი განათლებით

მთის მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ ტურისტული დესტინაციების მართვა, მათი პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზარზე და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ბაკალავრიატი იძლევა საბაზისო ცოდნას, ხოლო მაგისტრატურა — გაღრმავებულ უნარებს და სპეციალიზაციას.

შვეიცარიის, ავსტრიისა და ნორვეგიის უნივერსიტეტებში არსებული პროგრამები ორიენტირებულია ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე, რაც გადამწყვეტი ფაქტორია წარმატებისთვის.

მდგრადი მთის ტურიზმის განვითარება მოითხოვს სპეციალისტებს, რომლებიც არამხოლოდ იცნობენ ტურიზმის საფუძვლებს, არამედ ითვალისწინებენ ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებს მთიან რეგიონებში საქმიანობისას.

პროფესიული განათლება აუცილებელია კომპლექსური მიდგომის ჩამოსაყალიბებლად ტურისტული დესტინაციების მართვაში დაწყებული ისეთი მარშრუტების დაგეგმვით, რომლებიც მინიმალურად აზიანებენ ბუნებას, დასრულებული მარკეტინგული სტრატეგიებით, რომლებიც მიზნად ისახავენ პასუხისმგებლიანი მოგზაურების მოზიდვას.

ასეთი სპეციალისტები მზად არიან შეიმუშავონ ეკოსისტემების აღდგენის პროგრამები, ითანამშრომლონ ადგილობრივ თემებთან ავთენტური ტურისტული პროდუქტების შესაქმნელად და დანერგონ ინოვაციები, როგორიცაა ციფრული პლატფორმები, რომლებიც აკვირდებიან ტურისტების ეკოლოგიურ ნაკვალევს.

პროფესიონალების გარეშე მთიან რეგიონებს შეიძლება დაემუქროს ტურიზმის უკონტროლო განვითარება, რაც გამოიწვევს ბუნებრივი გარემოს დეგრადაციას და ადგილობრივი მოსახლეობის გადინებას.

წარმატებული ცოდნის გამოყენების ერთ-ერთი მაგალითია შვეიცარიის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა მუშაობა, რომლებმაც შექმნეს **„Swiss Sustainable Tourism“** სერტიფიკაციის სისტემა — მისი მიზანია მთის სასტუმროებში ენერგომოხმარების შემცირება და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის (მაგალითად, ელექტრობუსების) პოპულარიზაცია.

ზოგადი კომპეტენციები ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეზე

ბაკალავრიატზე სტუდენტებმა უნდა შეიძინონ საბაზისო უნარები ტურიზმის, ეკოლოგიისა და მენეჯმენტის სფეროში.

ეს მოიცავს:

- მდგრადი განვითარების საფუძვლების გაგებას,
- მთიანი რეგიონების გეოგრაფიისა და ეკოსისტემების შესახებ ცოდნას,
- პროექტების მართვის და მონაცემთა ანალიზის უნარებს.

მაგალითად, სტუდენტებმა უნდა იცოდნენ, როგორ ჩაატარონ SWOT-ანალიზი რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესაფასებლად ან როგორ შეიმუშაონ მარტივი პროგრამები მარშრუტებზე ნარჩენების მინიმიზაციისთვის.

მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინარული მიდგომაც: სტუდენტებმა უნდა იცოდნენ, როგორ მოქმედებს ტურიზმი კლიმატზე, ეკონომიკასა და სოციალური სტრუქტურაზე.

მაგისტრატურის დონეზე კომპეტენციები ღრმავდება: აქ ძირითადი აქცენტი კეთდება სტრატეგიულ დაგეგმვაზე, ცვლილებების მართვაზე და მდგრადი ტურიზმის მარკეტინგზე.

სტუდენტები სწავლობენ:

- როგორ შეიმუშაონ გრძელვადიანი განვითარების გეგმები,
- როგორ დანერგონ მწვანე ტექნოლოგიები ტურისტულ ინფრასტრუქტურაში,
- როგორ ითანამშრომლონ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მაგალითად, **UNWTO**-სთან (მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია).

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მუშაობის უნარები დიდი მონაცემებით (big data), ტურისტული ნაკადების ანალიზისთვის და მათი გარემოზე ზემოქმედების პროგნოზირებისთვის.

მაგალითად, **GIS-ტექნოლოგიების (გეოინფორმაციული სისტემების)** გამოყენება საშუალებას იძლევა დაიგეგმოს ისეთი მარშრუტები, რომლებიც მინიმალურად აჩენს ნიადაგის ეროზიას მთიან რაიონებში.

5. ბაკალავრიატის საგნები სპეციალისტების მოსამზადებლად

ბაკალავრიატის დონეზე სტუდენტები იღებენ ფუნდამენტურ ცოდნას. ქვემოთ ჩამოთვლილია ძირითადი დისციპლინები:

- **ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის შესავალი** — ინდუსტრიის საფუძვლები, ტურიზმის სახეები, მათ შორის მთის ტურიზმი;
- **ეკოლოგია და მდგრადი განვითარება** — ეკოსისტემების შესწავლა და ტურიზმის გავლენა ბუნებრივ გარემოზე;
- **ტურიზმის მენეჯმენტი** — რესურსების მართვა, ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა და ოპტიმიზაცია;
- **ტურიზმის მარკეტინგი** — აუდიტორიის მოზიდვა, ტურისტული დესტინაციების ბრენდინგი და პოპულარიზაცია;
- **ტურიზმის გეოგრაფია** — მთიანი რეგიონების ანალიზი, მათი ბუნებრივი და კულტურული თავისებურებები;
- **ტურიზმის ეკონომიკა** — ტურისტული პროექტების ფინანსური მდგრადობა და ეკონომიკური ეფექტიანობა.

მაგალითი:
ლუცერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია) სთავაზობს პროგრამას **„ბაკალავრი ტურიზმსა და მობილობაში“**, სადაც სტუდენტები სწავლობენ ალპების ეკოლოგიას და კურორტების მართვის საფუძვლებს.

6. მაგისტრატურის საგნები მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის სპეციალიზაცია მთის ტურიზმზე

მაგისტრატურის დონეზე პროგრამები უნდა შეიცავდეს ვიწრო სპეციალიზაციას მთის ტურიზმზე, რათა მომზადდნენ ექსპერტები, რომელთაც შეუძლიათ გაუმკლავდნენ ამ რეგიონების უნიკალურ გამოწვევებს. მაგალითად, საგნები შეიძლება მოიცავდეს:

- **რისკების მართვა მთიან რეგიონებში** — სტიქიური უბედურებების (როგორიცაა ზვავი ან წყალმოვარდნა) პრევენციისა და რეაგირების მეთოდების შესწავლა, ასევე ეკოლოგიური რისკების შეფასება ახალი მარშრუტების დაგეგმვისას;

- **მდგრადი ტურიზმის ეკონომიკა** — ფინანსური მოდელების ანალიზი, რომლებიც ბალანსირებენ მოგებასა და ეკოლოგიურ მდგრადობას შორის. სტუდენტები სწავლობენ „მწვანე“ პროექტებში ინვესტიციების მოზიდვას.
- **მდგრადი მთიანი დესტინაციების მარკეტინგი** — სტრატეგიების შემუშავება ტურისტების მოსაზიდად, რომლებიც აფასებენ ეკოლოგიურ მიდგომებს. მოიცავს რეგიონის „მწვანე“ ბრენდინგს და ციფრული პლატფორმების გამოყენებას სეზონურობის გასაფართოებლად (მაგალითად, ზაფხულის ეკოტრეილები ან ზამთრის ეკოფესტივალები);
- **სოციოკულტურული მენეჯმენტი ტურიზმში** — ადგილობრივი თემების ინტეგრაციის გზების შესწავლა ტურიზმში ისე, რომ არ დაზიანდეს მათი ტრადიციები. სტუდენტები ქმნიან კულტურული გაცვლის პროგრამებს, როგორიცაა ტრადიციული ხელობის მასტერ-კლასები ან გასტრონომიული ტურები, რაც აძლიერებს ადგილობრივ ეკონომიკას.

მაგალითი:

ინსბრუკის უნივერსიტეტის (ავსტრია) მაგისტრატურის პროგრამის ფარგლებში სტუდენტები პრაქტიკას გადიან ალპურ სოფლებში, სადაც ამუშავებენ ტურისტების ეკოლოგიური ნაკვალევის შემცირებისა და რეგიონის კულტურული მახასიათებლების გაძლიერების პროექტებს.

მაგისტრატურის ძირითადი დისციპლინები:

- **დესტინაციების მდგრადი მართვა** — მთიანი რეგიონების დაცვის სტრატეგიები;
- **ეკოლოგიური მენეჯმენტი** — ტურიზმში „მწვანე“ ტექნოლოგიების ინტეგრაცია;
- **ტურიზმის საერთაშორისო მარკეტინგი** — მთიანი მიმართულებების პოპულარიზაცია გლობალურად;
- **კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი** — ადგილობრივი ტრადიციების ჩართვა ტურისტულ შეთავაზებაში;
- **ტურიზმის მონაცემთა ანალიზი** — Big Data-ის გამოყენება მოთხოვნის პროგნოზირებისთვის;
- **მდგრადი განვითარების პოლიტიკა** — თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მაგალითი:

ვენის უნივერსიტეტი (ავსტრია) სთავაზობს პროგრამას **„მდგრადი განვითარება და ტურიზმი“**, სადაც ყურადღება გამახვილებულია ალპების მთიან რეგიონებზე და ინოვაციურ მიდგომებზე.

7. ცოდნის პრაქტიკული გამოყენება

როგორ უწყობს ხელს განათლება ტურისტების მოზიდვას

განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მდგრადი და მიმზიდველი მთიანი ტურისტული დესტინაციების შექმნაში. ბაკალავრისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს, რომლებსაც სპეციალიზებული ცოდნა აქვთ, შეუძლიათ შეიმუშაონ მარშრუტები და პროგრამები, რომლებიც ერთდროულად მინიმუმამდე ამცირებს ბუნებაზე ზემოქმედებას და ტურისტებს სთავაზობს უნიკალურ გამოცდილებას.

მაგალითი შვეიცარიიდან:

მდგრადი ტურიზმის სპეციალისტებმა შექმნეს ეკოტრეილების ქსელი საინფორმაციო ბანერებით, რომლებიც მოგვითხრობენ ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის შესახებ, რაც იზიდავს ეკოსაზოგადოებრივად ცნობიერ მოგზაურებს.

განათლება ასევე ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვას:

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება (მაგალითად, აპლიკაციები ტურისტების ეკოლოგიური ნაკვალევის მონიტორინგისთვის ან ვირტუალური ტურები მათთვის, ვინც ვერ ახერხებს ფიზიკურად მთებში მოგზაურობას) აუდიტორიის გაფართოებას უწყობს ხელს.

გარდა ამისა, სპეციალისტებს შეუძლიათ თავად ტურისტებისთვის შეიმუშაონ საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ასწავლის, როგორ უნდა იქცნენ გონივრულად მთებში (მაგალითად, ნარჩენების სწორად გადაყრა ან უსაფრთხოების წესების დაცვა მარშრუტზე).

მაგალითი ნორვეგიიდან:

ოსლოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა, მდგრად ტურიზმში სპეციალიზებულებმა, შექმნეს პროექტი **"Visit Norway Green"**, რომელიც ტურისტებს სთავაზობს მარშრუტებს მინიმალური ნახშირბადოვანი ნაკვალევით, ელექტროველოსიპედების გაქირავებითა და ეკოკოტეჯებში განთავსებით. მსგავსი ინიციატივები არა მხოლოდ იზიდავს ტურისტებს, არამედ უწყობს ხელს ფიორდებისა და მთიანი ბუნების შენარჩუნებას.

განათლების გავლენა ტურისტულ მიმზიდველობაზე:

- შვეიცარიაში, კურსდამთავრებულები ქმნიან ეკოლოგიურ მარშრუტებს,
- ავსტრიაში, ავითარებენ ველოტურიზმს სოციალური მედიის მეშვეობით,
- ნორვეგიაში, ქმნიან პროგრამებს ბუნების დაკვირვებისთვის.

კეისის მაგალითი:

პროექტი **"Visit Norway"** იყენებს მაგისტრების მიერ შეგროვებულ მონაცემებს მიზნობრივი რეკლამისთვის, რის შედეგადაც 2024 წელს ტურისტთა ნაკადი გაიზარდა **15%-ით**.

8. დასკვნა

მთიანი მდგრადი ტურიზმის განვითარება წარმოადგენს რთულ, მაგრამ პერსპექტიულ პროცესს, რომელიც მოითხოვს ეკოლოგიის, ეკონომიკისა და სოციალური ასპექტების ჰარმონიულ გაერთიანებას.

შვეიცარიის, ავსტრიისა და ნორვეგიის მაგალითზე აშკარად ჩანს, რომ წარმატება მიღწევადია მწვანე ტექნოლოგიების დანერგვის, ადგილობრივი თემების ჩართულობის და მკაცრი რეგულაციების მეშვეობით. ეს ქვეყნები გვაჩვენებენ, თუ როგორ შეიძლება ტრადიციებისა და ინოვაციების თანაარსებობა შექმნას მიმზიდველი და ეკოლოგიურად უსაფრთხო ტურისტული დესტინაციები.

განათლება არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს:

ბაკალავრისა და მაგისტრატურის დონეზე სპეციალისტების მომზადება უზრუნველყოფს პროფესიონალთა ნაკადს, რომლებსაც შეუძლიათ შეიმუშაონ და განახორციელონ მდგრადი ტურიზმის პროექტები. ბაზისური მენეჯმენტის უნარებიდან დაწყებული, რისკების მართვისა და საერთაშორისო მარკეტინგის სიღრმისეულ ცოდნამდე, განათლება ქმნის მყარ საფუძველს მთიანი რეგიონების გრძელვადიანი განვითარებისათვის.

მომავლის პერსპექტივა დაკავშირებულია გლობალურ თანამშრომლობასთან:

- საერთაშორისო გამოცდილების გაცვლის პროგრამები
- გრანტები "მწვანე" ინიციატივებისთვის
- ციფრული პლატფორმები ეკოლოგიური ზემოქმედების მონიტორინგისთვის ეს ყველაფერი გახდება მდგრადი ტურიზმის ძირითადი ინსტრუმენტები.

რეკომენდაციები:

- გააძლიეროს სახელმწიფომ განათლების მხარდაჭერა ტურიზმის სფეროში
- წაახალისოს კერძო სექტორი ინვესტირებისთვის მდგრად პროექტებში

მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ, რომ მთიანი რეგიონები დარჩეს არა მხოლოდ ტურისტულ მარგალიტებად, არამედ ცოცხალ ეკოსისტემებად მომავალი თაობებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

· **UNWTO (2023).** *Tourism and the Sustainable Development Goals – Journey to 2030*. URL: https://www.unwto.org/tourism-and-the-sdgs

· **Hochschule Luzern – Institut für Tourismus und Mobilität.** *Masterstudium: Nachhaltiger Tourismus* (2024). URL: https://www.hslu.ch/de-ch/wirtschaft/studium/master/nachhaltiger-tourismus/

· **University of Oslo – Department of Sociology and Human Geography.** *Sustainable Tourism Development (Course Description, 2024).* URL: https://www.uio.no/studier/emner/sv/iss/GEOG4310/

· **Austrian Tourism Strategy 2030 – Federal Ministry for Labour and Economy, Austria (2023).** *Sustainable Tourism in Austria: Strategy and Implementation.* URL: https://www.bmaw.gv.at

Sustainable Development of Mountain Tourism: Leading Countries and Educational Programs

Ekaterine Shilakadze

Academic Doctor, Georgian Technical University, Faculty of Business Technologies.

Abstract

This article aims to analyze countries where mountain sustainable tourism has achieved a high level of development, as well as to review undergraduate and graduate educational programs that prepare specialists for promoting such regions and attracting tourists. Switzerland, Austria, and Norway are highlighted as leading countries in this field. The article also discusses the key disciplines necessary for success in this area.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.16



К возможности использования морских водорослей в качестве сырья для получения косметических и космецевтических средств (Обзор).

Явич Павел Абрамович[1], Кахетелидзе Мзия Бондоевна[2], Кикалишвили Белла Юрьевна[3]

[1]Доктор фармацевтических наук, профессор, главный научный сотрудник направления бад – ов и косметологических средств; [2]Доктор фармации, старший научный сотрудник направления бад – ов и косметологических средств; [3]Доктор фармации, главный научный сотрудник направления липидов и антрахинонов

Институт фармакохимии им. И. Кутателадзе Тбилисского Государственного Медицинского Университета

Резюме

Описано применение морских водорослей в косметике и космецевтике. Показано, что биологически активные вещества, содержащийся в них, оказывают антибактериальные, противогрибковые, антиоксидантные и противовоспалительные свойства, имеют УФ-защитную, антимикробную, противовирусную, противоаллергическую, антиоксидантную и другие активности.

Ключевые слова. УФ-защита, водоросли, косметика,космецевтика, каротиноиды, хлорофилл.

Введение

В разных областях косметики используются термины «косметика,космецевтика» т.е. содержащие вещества (в данном случае природного происхождения), обладающие определенными лекарственными свойствами [1]. Космецевтика, это фактически, косметическо-фармацевтический гибрид местногопременения, содержащий биологически активные натуральные ингреденты, способные оказывать оздоровительное действие на здоровье человека после нанесения их на кожу[2]. В последнее время косметическая промышленность постепенно переходит на натуральные биоактивные ингредиенты из-за неэффективности синтетической косметики. Это связано, как с возможностьюналичия побочных эффектов, так и относительно низкой скоростью всасывания [3,4]. Сегодня потребители предпочитают натуральные косметической продукты, в число которых входят, наряду с другими растениями, и морские водоросли [5], обладающие широким спектром фармакологической активности с незначительными побочными эффектами.Морские водоросли, богатые различными биологически активными веществами, находят широкое применение в косметике и космецевтике. Это устойчивый и возобновляемый ресурс, привлекающий все большее внимание

[6-12]. Современный образ жизни создал новый акцент на вид внешности и уходе за собой. Возрастает количество потребителей косметических продуктов натурального происхождения. Косметическая промышленность ищет новые биологически активные соединения из природных источников. Морские водоросли являются неограниченым источником активных соединений с большим спектром лекарственного применения. Биоактивные соединения из них используются в кремах, мазях и лосьонах для кожи. Достижения в этой области позволили так же решить проблемы связаных с защитой от ряда онкологических и накожных заболеваний, воспалительных процессов, так же дегенерации кожи, ее старения, увлажнения, очищения, отбеливания, снижения уровня пигментациии и др.[13-22]. В связи с увеличивающимися требованиям к средствам из веществ, содержащихся в морских водорослях, для лечения накожных заболеваний, возникли термины дермокосметика и дермокосмецевтика [23-25].

Несмотря на большой объем обзорных публикаций попримененению морских водорослей в различных областях медицины, промышленности, питания и др., отдельно не выделены конкретные работы по возможности их применения в косметике и космецевтике (благодаря строению веществ содержащихся в них) за последние годы. В настоящей статье авторы попытались восполнить данный пробел и привести наиболее интересные данные (по их мнению) в основном за последние 5 лет.

Морские водоросли подразделяются на три группы в зависимости от доминирующего типа пигментации: Chlorophyceae (зеленые водоросли), которые в основном характеризуются зеленоватым жирорастворимым пигментом хлорофиллом, Phaeophyceae (бурые водоросли), пигментация которых варьируется от желтой до темно-коричневой в зависимости от соотношения фукоксантина и хлорофилла, Rhodophyceae (красные водоросли), которые содержат большое количество пигментов – каротиноиды, хлорофилл и др.Пигменты защищают, как водоросли, так и кожу от УФ-излучения и повреждения клеток [26]. Они применяются в косметической, космецевтической и фармацевтической промышленостях, с учетом специфической активности [27-30]. Ориентируясь на количество научных исследований, можно сделать вывод о наибольшем количестве работ, посвященных исследованию красных и бурых водорослей [31-41]. Морские водоросли произрастают в большом количестве, достаточно легко собираются (благодаря большим размерам), имеют разнообразные составы и биологическую активность. По литературным данным,в зависимости от времени, места произрастания и вида водорослей, концентрация белка может достигать 50%(по сухому остатку) [42-48]. Белок морских водорослей является источником многих аминокислот. Белки и биоактивные пептиды обладают противовоспалительными, проактивными для кожи и антивозрастными свойствами, наряду с высокими антиоксидантными и противораковыми свойствами, ряд пептидов повышает уровень коллагена и эластина и снижает экспрессию матриксных металлопротеиназ (ММП) ММП-1 и ММП-8. Это все является поводом для рекомендации использования белковых веществ из водорослейв косметике и космецевтике. Материал, опубликованый в большом количестве исследований (некоторые данные о работах приведены ниже) [49-62], позволяет сделать вывод о возможности и необходимости их использование вкосметических и в космецевтических накожных средствах. Одной из групп веществ содержащихся в морских водорослях, являются

липиды. Содержание ПНЖК может достигать до 5%. Количество и качество зависит от места произрастания. Следует отметить достаточно высокое содержание омега-3 и омега-6 в водорослях. Причем, в зеленых водорослях профиль С18-ПНЖК, в красных и бурых водорослях профиль С20- ПНЖК. По литературным данным, содержание их в рзличных водорослях различное, зеленые водоросли содержат больше гексадекановой кислоты, красные и бурые водоросли больше эйкозапентаеновой иарахидоновой. Представляем некоторые литературные данные [63-75]. Обобщая эти данные, можносказать,что компоненты, содержащиеся в водорослях, весьма активны и являются хорошим материалом для нужд косметики и космецевтики. Судя по литературным данным, углеводы представляют собой наибольший по количеству компонент биомассы морских водорослей, содержание их может доходить в среднем до 50-70%[76]. Полисахариды бурых водорослей обладают антиоксидантной, противовоспалительной и антибактериальной активностью. Применение в мазях и кремах фукоиданов, увеличивает упругость, эластичность кожи, предотвращает и уменьшает фотостарение кожи, количество морщин, улучшая синтез коллагена, контролирует матриксные металлопротеиназы и предотвращая разрушение внеклеточногоматрикса, проявляет УФ-защитные свойства. Сумма биоактивных соединений, содержащиеся в водорослях, биологически активна, безопасна и обладает минимальным эффектом цитотоксичности [77-79]. Например, ламинарин [80, 81] обладает различными потенциальными фармакологическими свойствами [82-86], так же как и альгинаты. Альгинаты используют для доставки лекарств, в перевязочных материалах и в тканевой инженерии[87- 89]. Красные водоросли (Rhodophyta) содержат водорастворимый биоактивный сульфатированный галактан (агароколлоиды и каррагинаны), используется в различных кремах и мазях,а так же в качестве ингредиента для переноски и высвобождения лекарств [90 -102]. Продукты, получаемые из морских водорослей, используются вкосметике и космецевтике [103 - 117].

Фенольные соединения получаемые из морских водорослей (простые и полифенолы), биоактивны, причем,полифенолы в основном бывают двух типов: флоротаннин и флороглюцин. К простым, в основном, относят флавоноиды, бромфенолы, терпеноиды, микоспориновые аминокислоты и некоторые другие. Ковторым-эколы, фукофлоретолы, фуколы, флоретолы, кармалолы, фухалолы. Фенольные соединения, это группа метаболитов с наибольшим структурным разнообразием и высоким содержанием в морских водорослях [118]. Бурые водоросли содержат большое количество флоротаннинов, тогда, как зеленые и красные водоросли вещества в основном другого типа [119]. Фенольные вещества из водорослей оказывают ингибирующее действие на ферменты (ингибирование тирозиназы, эластазы, коллагеназы, матриксной металлопротеиназы при фотозащите) и ряда других. Проявляют антибактериальные, противогрибковые, антиоксидантные и противовоспалительные свойства, имеют УФ-защитную, антимикробную, противовирусную, противоаллергическую, антиоксидантную активности, активность противофотостарения. В косметических и космецевтических кремах, мазях,лосьонах их наличие обеспечивает противоморщинные, антивозрастные, отбеливающие, фотозащитные, улучшающие здоровье кожи и другие свойства [120 -128]. Наиболее изученным классом полифенолов морских водорослей являются флоротаннины [129 -132]. По литературным данным, ониимеют общий максимум поглощения в

области 280-300 нм. Причем, указывается наибольшее максимальное значение при 265 нм., но некоторые авторы указывают и при 195 нм. В основном поглощают УФ-В-излучения, удаляя радикалы и восстановливая проапоптотические молекулы и уменьшая вероятность возникновения рака кожи. Они проявляют высокую биологическую активность в разных вопросах для ухода и лечения кожи [133-143]. Практическое отсутствие токсичности флоротаннинов и высокая биологическая активность, используется при разработке новых натуральных косметических, космецевтических и фармацевтических средств. Бромфенолы были выделеные из всех морских водорослей, имеют УФ- защитную активность в области 220-440 нм. Так же они проявляют разнообразную биологическую активность, включая антиоксидантную, антибактериальную, противораковую и антидиабетическую активности [144 - 150]. Одной из основных проблем в разработке потенциальных терапевтических агентов из них является ихмалое содержание в морских водорослях и многостадийность при выделение.

Морскиеводоросли являются источником флавоноидов [151-158].Они проявляют антиоксидантную, УФ-защитную, противовоспалительную и антимикробную, биологическую активность по нейтрализации активных форм кислорода (ROS) в клетках, ингибированию радикальных реакций, уменьшению скорости старения кожи, образованию морщин и атипичной пигментации кож.

Микоспориноподобные аминокислоты (MAA) вторичные метаболиты. Проявляют антиоксидантные и фотозащитные свойства (UVA и UVB-излучения) [159]. Максимумы поглощения находятся между 268 и 362 нм. Химический синтез MAA связан снизким выходом при экстракции из материала, продуцирующего MAA и в связи с этим необходимостью создания крупномасштабных предприятий. Использование MAA в косметике и космецевтике, позволяет применение их в средствах против старения, имеющих антиоксидантную и противовоспалительную активности, ингибирования белков и активности коллагеназы и прогнозировать их широкое применение в косметике и космецевтике. Терпеноидные соединения, включающие галогенированные монотерпены, дитерпены и сесквитерпены, обладают УФ- защитным, антибактериальным, антимикробным, антиоксидантным, противовоспалительным, противовирусным, противораковым действием, способны замедлять старение кожи, отбеливать ее, уменьшать уровень заболевания прыщами и обыкновенными угрями и рядом других.

Заключение.Работы по исследованию водорослей проводятся во многих странах, использование морских водорослей имеет большой экономический эффект. По данным ООН мировой рынок морских водорослей увеличился с 5 миллиардов долларов в 2000 году до 17 миллиардов долларов к 2021 году [160]. Грузия имеет большую площадь черноморского побережья, возможную, как для сбора водорослей, так и для их культивирования. Однако, до сегодняшнего дня подобные работы отсутствуют.

Использованная литература.

1.Shejal Singh, Vaibhav Singh. Cosmeceuticals; The Fusion of Cosmetics and Pharmaceuticals. Journal of Community Pharmacy Practice, 2024, 4(42) p.16-27.
2.Kishor A. Bellad, Basavaraj K. Nanjwade, Meghana S. Kamble, Teerapol Srichana, et al.. DEVELOPMENT OF COSMECEUTICALS. World Journal of Pharmacy and Pharmaceutical Sciences, 2017, Vol. 6, Issue 4, p. 643- 692.
3.Anitha M. G., Pooja Hiremat Divya K., Abhiram P. A. Survey study on adverse effects of synthetic cosmetics. International Journal of Community Medicine and Public Health, 2023, 10(11), p. 4147-4152.
4.Lucía López-Hortas, Noelia Flórez-Fernández, Maria D Torres, Tania Ferreira-Anta et al.. Applying Seaweed Compounds in Cosmetics, Cosmeceuticals and Nutricosmetics Mar Drugs. 2021 Sep 29, 19(10):552- 582.
5.Algae Extract (Seaweed): Cosmetic Ingredient INCI https://cosmetics.specialchem.com › inci-ingredients › al...
6. Pereira L. Seaweeds as a source of bioactive substances and skin care therapies - cosmeceuticals, algotherapy and thalassotherapy. Cosmetics. 2018, 5, p.68-92.
7. Jesumani V., Du H., Aslam M., Pei P., Huang N. Potential use of bioactive compounds from seaweeds in skin care - a review. Mar. Drugs. 2019, 17, p.688- 707.
8. Couteau C., Coiffard L. Phytocosmetics and other marine cosmetics, special cosmetics created using marine resources. Mar. Drugs. 2020, 18, p.322- 343.
9. Morais T., Cotas J., Pacheco D., Pereira L. Seaweed compounds: a sustainable source of cosmetic ingredients? Cosmetics. 2021, 8, p.8.
10. Alves A., Sousa E., Sousa E., Kijjoa A., Pinto M. Marine compounds with potential for use as cosmeceuticals and nutricosmetics. Molecules. 2020, 25, p. 2536- 2574.
11.Suzana Elena, Biris-Dorhoi, Delia Michiu, Carmen R. Pop, Ancuța M. Rotar. Macroalgae-A Sustainable Source of Chemical Compounds with Biological Activities Nutrients 2020, 12(10):1-23.
12. Naser W. Anti-aging cosmetic effects of various natural biofunctional ingredients: a review. Int. J. Appl. Pharm. 2021,13 :10–18.
13.Haresh S. Kalasariya, Carlos Eliel, Maya-Ramírez, João Cotal. Cosmeceutical Significance of Seaweed: A Focus on Carbohydrates and Peptides in Skin Applications Phycology 2024, 4(2), 276-313.
14.Ghadir El-Chaghaby, Sayed Rashad. An overview of algae prospects in cosmeceuticals. Journal of the Egyptian Women's Dermatologic Society, 2022,18(3), p.161-168.
15. Haresh S. Kalasariya, Mehul P. Dave, Virendra Kumar Yadav, Nikunj B. Patel.
BENEFICIAL EFFECTS OF MARINE ALGAE IN SKIN MOISTURIZATION AND PHOTOPROTECTION. International Journal of Pharmaceutical Science and Health. 2020, Issue 10, Vol.5,p.1-11.
16. Morais T, Cotas J, Pacheco D, Pereira L. Seaweeds Compounds: An Ecosustainable Source of Cosmetic Ingredients? Cosmetics. 2021, 8(1):8.

17.MuhammadHakimin Shafie, Mohd Lias Kamal, Fathin Farhah Zulkiflee, Sharizal Hasan. Application of Carrageenan extract from red seaweed (Rhodophyta) in cosmetic products: A review. Journal of the Indian Chemical Society. 2022,Volume 99, Issue 9, 100613.
18.Pangestuti, R.; Shin, K.-H.; Kim, S.-K. Anti-photoaging and potential skin health benefits of seaweeds. Mar. Drugs 2021, 19, 172-200.
19.Pimentel, F.B., Alves, R.C., Rodrigues, F., Oliveira, M.B.P.P. Macroalgae-Derived Ingredients for Cosmetic Industry-An Update. Cosmetics 2018, 5(1), p. 2-19.
20.Marta Salvador Ferreira, Diana I S P Resende, José M. Sousa Lobo, Emília Sousa. Marine Ingredients for Sensitive Skin: Market Overview. Marine Drugs, 2021, 19(8),p.464-481.
21.Aslam, A., Bahadar, A., Liaquat, R., Saleem, et al.. Algae as an attractive source for cosmetics to counter environmental stress. Sci. Total Environ. 2021, 772, 144905.
22.Faria-Silva C., Ascenso A., Costa A., Marto J. at al.. Feeding the skin: A new trend in food and cosmetics convergence. Trends Food Sci. Technol. 2020, 95, 21–32.
23.Dermocosmetics and Cosmeceuticals - IMPAG https://www.impag.ch › ... 2018.
September 23, 2024.
24.Haresh S. Kalasaria, Leonel Pereira. Dermocosmetic benefits of phenolic compounds derived from marine macroalgae. Applied Science 2022,12,(23) :11954.
25.Dermo cosmetics for women. Laboratories Vivacy. https://vivacy.com › products
26.Hossam S. El-Beltagi, Amal A. Mohamed, Heba I. Mohamed, Khaled M. A. Ramadan at al..Phytochemical and Potential Properties of Seaweeds and Their Recent Applications: A Review. Mar Drugs. 2022, 20(6), p. 342 -352.
27.Silvia Lomartire, Ana M. M. Gonçalves. An Overview of Potential Seaweed-Derived Bioactive Compounds for Pharmaceutical Applications. Mar. Drugs 2022, 20(2), p.141-149.
28.Haresh S. Kalasariya, Carlos Eliel Maya-Ramírez, João Cotas, Leonel Pereira. Cosmeceutical Significance of Seaweed: A Focus on Carbohydrates and Peptides in Skin Applications. Phycology. 2024, 4(2), 276-313;
29.Zheng L.X., Chen X.Q., Cheong K.L. Current trends in marine algae polysaccharides: The digestive tract microbial catabolism, and prebiotic potential. Biol Macromol.2020 May, 15:151:344-354.
30.Biswajita Pradhan, PrajnaParamita Bhuyan, Srimanta Patra, Rabindra Nayak at al.. Beneficial effects of seaweeds and seaweed-derived bioactive compounds:Current evidence and future prospective. Biocatalysis and Agricultural Biotechnology, 2022,Volume 39, 102242.
31.Aziz E., Batool R., Khan MW., Rauf A., et al..A review on bioactive compounds from red algae and their pharmaceutical applications. J. Altern. Complement. Med. 2021, 17: 20190203.
32.Cheong K-L, Qiu H-M, Du H, Liu Y, Khan B.M. Oligosaccharides derived from red marine algae: production, properties and potential applications in healthcare and cosmetics. Molecules. 2018, 23, p.245- 257.
33.Saluri M, Kaldmäe M, Rospu M, Sirkel H, Paalme Tet al..Spatial variability and structural characteristics of phycobiliproteins from the red algae Furcellaria lumbricalis and Coccotylus truncatus. Algal Res. 2020, 52 :102058.

34.Rangel KC, Villela LZ, Pereira KDC, Debonsi HM, Gaspar LR. Evaluation of photoprotective potential and toxicity of extracts of Antarctic red macroalgae Curdiea racovitzae and Iridaea cordata for cosmetic use. Algal Res. 2020, 50 :101984.
35.Wijesinghe W., Jeon Y. Biological activities and potential cosmeceutical applications of bioactive components from brown algae: a review. Phytochem. Rev. 2011, 10, p. 431–443.
36.Vo TS, Kim S.-K., Ryu B., Ngo DHet al.. Suppressive activity of fucofuroecol-a derived from the brown alga Ecklonia stolonifera okamura on UV-B-induced mast cell degranulation. Mar. Drugs. 2018, 16, p.1 -19.
37.Yanshin N., Kushnareva A., Lemesheva V., Birkemeier K., Tarakhovskaya E. Chemical composition and potential practical application of 15 species of red algae from the White Sea coast (Arctic Ocean) Molecules. 2021, 26: 2489.
4. Participation in Policy Development and Environmental Governance. With their technical expertise and practical insights, pharmacists can contribute to the formulation of environmental regulations related to pharmaceuticals. This may include guidelines for manufacturing emissions, monitoring of pharmaceutical residues in water supplies, or regulations governing waste disposal.
5. Promotion of Green Pharmacy Principles. Pharmacists can support and drive the adoption of environmentally sustainable practices across the pharmaceutical supply chain. This includes encouraging eco-friendly packaging, supporting research into biodegradable drug formulations, and participating in efforts to assess and improve the environmental profiles of existing medications.

Beyond the Counter: Pharmacists as Environmental Advocates

Pharmacists must be recognized as integral stakeholders in creating a sustainable pharmaceutical future. Their role should extend beyond dispensing to include active participation in:

- Research initiatives focused on pharmaceutical pollution and its mitigation;
- Advising municipal and national authorities on drug waste management strategies;
- Embedding environmental considerations into chronic disease management and long-term therapy planning;
- Promoting the use of pharmaceuticals with a favorable environmental risk profile when clinically appropriate.

Ultimately, the core principles of sustainable pharmaceutical practice—rational prescribing, informed patient behavior, and ecologically sound disposal—can only be achieved through the proactive engagement of pharmacists. By aligning clinical effectiveness with ecological awareness, pharmacists contribute not only to patient health but also to the preservation of our planet's ecological balance.

In an era where healthcare and sustainability are increasingly intertwined, pharmacists are no longer just dispensers of medicines—they are environmental stewards, educators, and policy influencers. Their leadership is essential to transforming eco-pharmacovigilance from a theoretical framework into a practical, everyday reality in global health systems [11,12].

Conclusion

The environmental impact of pharmaceuticals has become a major global issue, with pharmacists in a unique position to play a central role in addressing this challenge. Each stage of the pharmaceutical supply chain—manufacturing, distribution, use, and disposal—requires specific actions to reduce its ecological impact.

Pharmacists have the opportunity to lead by example, integrating sustainability into pharmaceutical practice. This requires a thorough reevaluation of prescribing, dispensing, and disposal practices to minimize the environmental footprint of medications.

Eco-pharmacovigilance is closely tied to the everyday tasks of pharmacists. To effectively contribute, they must be equipped with scientific knowledge and practical skills to manage pharmaceuticals responsibly, educate patients about appropriate usage and disposal, and support environmental preservation efforts. Eco-pharmacovigilance is a growing field that emphasizes the connection between pharmacological safety and environmental stewardship.

As the environmental effects of pharmaceuticals intensify, pharmacists' role in ensuring safe usage, disposal, and regulation of these products becomes even more critical. By embedding eco-pharmacovigilance principles into routine practice, pharmacists can help reduce the ecological risks associated with pharmaceuticals, promoting a healthier, more sustainable future.

Looking forward, pharmacists are poised to become key figures in the ecological chain, driving sustainable healthcare systems and environmental preservation. Their position at the intersection of public health and environmental protection allows them to shape practices and policies that balance therapeutic efficacy with ecological integrity.

References:

1. Rahman SZ, Khan RA, Gupta V, Uddin M. Pharmacoenvironmentology--a component of pharmacovigilance. Environ Health. 2007 Jul 24;6:20. doi: 10.1186/1476-069X-6-20. PMID: 17650313; PMCID: PMC1947975.

2. Dzidzornu, Ernest & Cherian, Jerin & D'souza, Joan & Pandit, Jayesh & Bernal, Melissa & Radovan, Diana. (2023). Ecopharmacovigilance: A review of cause, impact, and remedies. Medical Writing. 32. 118-121. 10.56012/rlhx7717.

3. Jun Wang, Shulan Li, Yujie Zhu, Jie Guo, Juan Liu, Bingshu He, Targeted eco-pharmacovigilance as an optimized management strategy for adverse effects of pharmaceuticals in the environment, Environmental Toxicology and Pharmacology, Volume 82, 2021, 103565,ISSN 1382-6689, https://doi.org/10.1016/j.etap.2020.103565.

4. Toma, Alexandra & Crisan, Ofelia. (2018). Green Pharmacy – A Narrative Review. Clujul Medical. 91. 10.15386/cjmed-1129.

5. Durdov, T., Perišin, A. Š., Škaro, N., Bukić, J., Leskur, D., Modun, D., Božić, J., Grgas, M., & Rušić, D. (2024). Future Healthcare Workers and Ecopharmacovigilance: Where Do We Stand? Pharmacy, 12(5), 146. https://doi.org/10.3390/pharmacy12050146

6. OECD. (2019). Pharmaceutical residues in freshwater: Hazards and policy responses. OECD Publishing. https://doi.org/10.1787/c936f42d-en

7. World Health Organization (WHO) & United Nations Environment Programme (UNEP). (2020). Sustainable health care waste management: Global review. WHO & UNEP. https://www.who.int/publications/i/item/9789240011632

8. European Medicines Agency (EMA). (2006). Guideline on the environmental risk assessment of medicinal products for human use. EMA/CHMP/SWP/4447/00. https://www.ema.europa.eu

9. Daughton, Christian & Ruhoy, Ilene. (2011). Green pharmacy and pharmEcovigilance: Prescribing and the planet. Expert review of clinical pharmacology. 4. 211-32. 10.1586/ecp.11.6.

10. European Medicines Agency. (2024). Guideline on the environmental risk assessment of medicinal products for human use (EMEA/CHMP/SWP/4447/00 Rev. 1 – Corr.). European Medicines Agency. https://www.ema.europa.eu/en/documents/scientific-guideline/guideline-environmental-risk-assessment-medicinal-products-human-use-revision-1_en.pdf

11. International Pharmaceutical Federation. (2015). Green pharmacy practice: Taking responsibility for the environmental impact of medicines.nInternational Pharmaceutical Federation.https://www.fip.org/files/fip/publications/2015-12-Green-Pharmacy-Practice.pdf

12. Gubae K, Arega Moges T, Agegnew Wondm S, Bayafers Tamene F, Kiflu M, Aschale E, Belachew EA. Ecopharmacology: Knowledge, Attitude, and Medication Disposal Practice Among Pharmacy Students. Integr Pharm Res Pract. 2023 Oct 24;12:185-193. doi: 10.2147/IPRP.S428457. PMID: 37901480; PMCID: PMC10612519.

ფარმაცევტის სტრატეგიული როლი ეკოლოგიური საფრთხეების მართვაში

ნანა შაშიაშვილი

ასოცირებული პროფესორი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ფარმაციის დეპარტამენტი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

აბსტრაქტი

ფარმაცევტული პროდუქტით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება თანამედროვე ეკოლოგიური საფრთხის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მედიკამენტების აქტიური კომპონენტების გარემოში მოხვედრა, არასათანადოდ განადგურებული პრეპარატების, საკანალიზაციო სისტემების, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ვეტერინარული საშუალებებისა და წამლის წარმოებიდან წარმოშობილი ნარჩენების მეშვეობით, ქმნის ფარმაკოეკოლოგიური რისკების კომპლექსს. ამ პრობლემის საპასუხოდ, თანამედროვე ფარმაცევტურ პრაქტიკაში ყალიბდება ახალი ინტერდისციპლინური დარგები: ფარმაკოეკოლოგია და ეკოფარმაკოუსაფრთხოება, რომლის მიზანია გარემოზე მედიკამენტების ზემოქმედების შეფასება, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. წარმოდგენილ კონტექსტში ფარმაცევტის როლი სცილდება ტრადიციულ ჩარჩოებს და მოითხოვს აქტიურ მონაწილეობას ეკოლოგიური რისკების მართვაში: არასასურველი პრეპარატების განადგურების პროცესების ზედამხედველობას, გარემოსდაცვითი განათლების პროგრამებში ჩართულობას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და გარემოზე ორიენტირებული საკანონმდებლო ინიციატივების მხარდაჭერას. გარდა ამისა, ფარმაცევტებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ეკოლოგიურად უსაფრთხო საშუალებების პოპულარიზაციასა და იმ პროტოკოლების შემუშავებაში, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკოსისტემის გაჯანსაღებას. პროფესიული საქმიანობის გაფართოება გარემოსდაცვითი მიმართულებით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და გლობალური ეკოლოგიური გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: ეკოფარმაკოუსაფრთხოება, ეკოლოგიური უსაფრთხოება, ფარმაკოეკოლოგია, ფარმაცევტი.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.18



კატეგორია: 1.5 ფარმაკოლოგია, ტოქსიკოლოგია და ფარმაცევტიკა, 2.2. ბიზნესი, მენეჯმენტი და ბუღალტერია

ციფრული მარკეტინგის სტრატეგიები ფარმაცევტულ სექტორში

ნანა შაშიაშვილი[1,2], მარიამ ბაქრაძე[3]

[1]ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ფარმაციის დეპარტამენტი

[2]ასოცირებული პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

[3]სტუდენტი, კავკასიის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ბოლო წლებში ციფრულმა მარკეტინგმა მნიშვნელოვანი როლი შეიძინა ფარმაცევტულ სექტორში, რაც განპირობებულია ტექნოლოგიური პროგრესით, ბაზრის დინამიკითა და მომხმარებელთა მოთხოვნების ზრდით. ფარმაცევტული კომპანიები იყენებენ სხვადასხვა ციფრულ სტრატეგიას, როგორიცაა კონტენტის მარკეტინგი, საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია (SEO), სოციალური მედიის, ელფოსტისა და მობილური მარკეტინგი, ბრენდის ცნობადობის გასაზრდელად და მომხმარებელთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად. ნაშრომი იკვლევს ციფრული მარკეტინგის გამოყენების თავისებურებებს ფარმაცევტულ ინდუსტრიაში და აფასებს მის გავლენას მომხმარებელთა ინფორმირებულობაზე, კომუნიკაციის გაღრმავებაზე და ბაზარზე კომპანიის პოზიციონირებაზე. ასევე, განხილულია ციფრული არხების ეფექტური გამოყენების მნიშვნელობა, მონაცემთა ანალიზის როლი, რეგულაციების დაცვა და ეთიკური საკითხები. ნაჩვენებია, რომ მიუხედავად ციფრული მარკეტინგის უპირატესობებისა, ფარმაცევტულ სექტორში მისი დანერგვა დაკავშირებულია გარკვეულ გამოწვევებთან, მათ შორის რეგულაციურ შეზღუდვებთან და მომხმარებელთა უნდობლობასთან. ნაშრომი ასკვნის, რომ ციფრული სტრატეგიების განვითარება აუცილებელია კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად და მომხმარებელთა საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად.

საკვანძო სიტყვები: ციფრული მარკეტინგი, მარკეტინგული სტრატეგიები, ფარმაცევტული სექტორი

შესავალი

ფარმაცევტულ ინდუსტრიაში ციფრული მარკეტინგი მოიცავს სტრატეგიებსა და ტექნოლოგიებს, რომლებიც გამოიყენება პროდუქტებისა და სერვისების პოპულარიზაციისთვის მრავალფეროვანი ონლაინ არხების გამოყენებით და მიმართულია სამიზნე აუდიტორიაზე. ის საშუალებას აძლევს ფარმაცევტულ ბრენდებს შეიმუშაონ ხარჯთეფექტური მარკეტინგული სტრატეგიები ჯანდაცვის პროფესიონალებსა და

მომხმარებლებთან კომუნიკაციისთვის. ტრადიციული მარკეტინგისგან განსხვავებით, რომელიც პროდუქტების ან სერვისების მარტივ პოპულარიზაციას გულისხმობს, ციფრული მარკეტინგი ფარმაციაში სპეციალიზებულია უშუალოდ დაინტერესებულ მხარეებზე, ჯანდაცვის პროფესიონალებზე, პაციენტებზე, ფარმაცევტებზე და ექიმებზე. თავად, ფარმაცევტული მარკეტინგი უნიკალურია, რადგან ის რთულ სამედიცინო ტერმინოლოგიას მარტივ, გასაგებ ენაზე გარდაქმნის და საშუალებას აძლევს საზოგადოებას მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები შესყიდვასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, ეს პროცესი ნდობაზეა დაფუძნებული, რადგან ფარმაცევტული პროდუქტები უშუალო გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

მიზანი

ნაშრომის მიზანია გააანალიზოს ციფრული მარკეტინგის სტრატეგიების გამოყენების თავისებურებები ფარმაცევტულ სექტორში, შეაფასოს მათი გავლენა მომხმარებელთა ინფორმირებულობაზე, ბრენდთან ურთიერთობის გაღრმავებასა და ფარმაცევტული პროდუქტების ბაზარზე პოზიციონირებაზე. ასევე, მიზნად ისახება ციფრული კომუნიკაციის ეთიკური და რეგულატორული ასპექტების კვლევა და სექტორში არსებული გამოწვევების გამოვლენა.

ძირითადი ტექსტი

ფარმაცევტული კომპანიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჯანდაცვის სექტორის გაძლიერებასა და პაციენტების ზრუნვაში. მათი მხარდაჭერისა და ზედამხედველობის გარეშე, რთულია წარმოდგენა, როგორ განვითარდებოდა ჯანდაცვის სერვისები. ფარმაცევტული ინდუსტრიის კომერციული ღირებულების განხილვისას, მარკეტინგი აუცილებელ ფაქტორად გვევლინება. ეფექტური და წარმატებული პროცესები მჭიდროდ არის დაკავშირებული ფარმაცევტული კომპანიის ფინანსურ წარმატებასთან. ეს სპეციფიკა ნათლად წარმოაჩენს, თუ რატომ უნდა განხორციელდეს ინვესტირება წამლის ინდუსტრიის მმიერ მარკეტინგულ სტრატეგიაში.

ფუნდამენტურ მიზეზებს შორის, რის გამოც ფარმაცევტულმა კომპანიებმა უნდა შექმნან და განახორციელონ მარკეტინგული სტრატეგია, გამოირჩევა:

- მყარი რეპუტაციის შექმნა ინდუსტრიაში (ციფრული მარკეტინგის საშუალებით კომპანიებს შეუძლიათ გააძლიერონ თავიანთი იმიჯი და ნდობა მომხმარებლების თვალში);
- ახალ ბაზრებზე შესვლა და გეოგრაფიულ რეგიონებში გაფართოება (ონლაინ პლატფორმების გამოყენებით შესაძლებელია ახალი აუდიტორიების მოზიდვა და გლობალური მასშტაბით გაფართოება);
- წარმატებული საბაზრო წილების მოპოვება (ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიები ეხმარება კომპანიებს კონკურენტებთან შედარებით უპირატესობის მოპოვებაში);

- არსებული მომხმარებლების შენარჩუნება და ახალი მომხმარებლების მოზიდვა/ჩართულობა (ციფრული არხების საშუალებით შესაძლებელია მომხმარებლებთან მუდმივი კომუნიკაცია და მათი საჭიროებების უკეთ გაგება).

შესაძლებელია გამოვყოთ ციფრული მარკეტინგის 4 ძირითადი სარგებელი ფარმაცევტული სექტორისთვის, კერძოდ:

1. აუდიტორიის გაფართოება:

ტრადიციული მარკეტინგული მეთოდებისგან განსხვავებით, ციფრული მარკეტინგი საშუალებას აძლევს ფარმაცევტულ კომპანიებს მიაღწიონ გლობალურ ბაზრებს და დაუკავშირდნენ ფართო აუდიტორიას;

2. ხარჯთეფექტიანობა:

ციფრული მარკეტინგული კამპანიები, როგორიცაა SEO და სოციალური მედიის მარკეტინგი, უფრო იაფი და ეფექტიანია, ვიდრე ტრადიციული რეკლამა (ტელევიზია, ბილბორდები, ბეჭდური მედია).

SEO - Search Engine Optimization ძებნის სისტემების ოპტიმიზაციის აბრევიატურაა. ის იმ პრაქტიკების კომპლექტს წარმოადგენს, რომელიც ეხმარება ვებგვერდს ან ონლაინ შინაარსს გუგლში (და სხვა ძებნის სისტემებში) დაიჭიროს უკეთესი პოზიცია და გახდეს მარტივად მოძებნადი მისთვის, ვინც დაინტერესებულია კონკრეტული ინფორმაციით.

მაგალითად: თუ ფარმაცევტული კომპანია ყიდის ბუნებრივ ნედლეულზე დამზადებულ კანის კრემს და მომხმარებელი გუგლში ეძებს *"საუკეთესო ბუნებრივი კანის კრემი"*, ეფექტიანი SEO-ის შემთხვევაში კომპანიის ვებსაიტი საძიებო შედეგების ზედა პოზიციებზე გამოჩნდება.

SEO მოიცავს: საკვანძო სიტყვების (keywords) სწორად შერჩევასა და ტექსტში გამოყენებას, კომპანიის ვებსაიტის ტექნიკურ ოპტიმიზაციას (მაგალითად სისწრაფე, მობილური ადაპტაცია და სხვა), მაღალი ხარისხის შინაარსის შექმნას, სხვა საიტებიდან ბმულების (backlinks) მიღებას და სტრუქტურული მონაცემების სწორად გამოყენებას (metadata, title tags, alt tags). ციფრულ მარკეტინგში, SEO განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რადგან ის უფასო ორგანულ (natural) ტრაფიკს ქმნის, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებლები იღებენ ინფომაციას თანხის გადახდის გარეშე.

3. მონაცემთა ანალიზი და ოპტიმიზაცია:

ფარმაცევტულ კომპანიებს შეუძლიათ ციფრული მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენებით შეაგროვონ და გააანალიზონ მონაცემები მომხმარებელთა ქცევაზე, რაც ეხმარებათ სტრატეგიის გაუმჯობესებაში.

4. მომხმარებელთა ჩართულობის გაზრდა:

ციფრული არხების საშუალებით კომპანიებს შეუძლიათ უფრო აქტიურად დაუკავშირდნენ მომხმარებლებს, უპასუხონ მათ შეკითხვებს და გაუზიარონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ციფრული მარკეტინგი ფარმაცევტული ინდუსტრიისთვის აუცილებელი ინსტრუმენტია, რომელიც ეხმარება კომპანიებს ბაზარზე პოზიციების გამყარებაში, მომხმარებელთა ინფორმირებაში და პროდუქტების პოპულარიზაციაში. ფარმაცევტული სექტორი უფრო და უფრო მეტად დამოკიდებული ხდება ციფრულ ტექნოლოგიებზე, რაც მათ

საშუალებას აძლევს მაქსიმალურად გაზარდონ დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და კონკურენტული უპირატესობა [1].

ფარმაცევტულ ინდუსტრიაში გამოყენებულია სხვადასხვა ციფრული მარკეტინგული სტრატეგიები, კერძოდ:

1. სოციალური მედიის მარკეტინგი (SMM).

თანამედროვე ციფრულ კომუნიკაციაში სოციალური მედიის მარკეტინგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფარმაცევტული სექტორისთვის. ისეთი პლატფორმები, როგორიცაა *Facebook*, *Instagram*, *LinkedIn* და *Twitter*, საშუალებას აძლევს ფარმაცევტულ კომპანიებს დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობა როგორც მომხმარებლებთან, ისე ჯანდაცვის პროფესიონალებთან.

სოციალური ქსელების გამოყენება ხელს უწყობს ბრენდის ცნობადობის ამაღლებას, აუდიტორიის ჩართულობის ზრდას და პროფესიული ინფორმაციის ეფექტიან გავრცელებას. ამ არხებით შესაძლებელია მედიკამენტებთან დაკავშირებული სანდო ინფორმაციის გავრცელება, პაციენტთა კითხვებზე სწრაფი და პირდაპირი რეაგირება, ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კამპანიების მხარდაჭერა და გაძლიერება. სოციალური მედია აძლიერებს ორმხრივ კომუნიკაციას და ქმნის პლატფორმას, სადაც შესაძლებელი ხდება ცოდნის გაზიარება, სწორი ინფორმაციის მიწოდება და მომხმარებელთა ნდობის მოპოვება.

2. ციფრული მარკეტინგის ფარგლებში საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია (SEO) და კონტენტ მარკეტინგი.

მაღალი ხარისხის სამედიცინო კონტენტის მქონე ვებგვერდების და ბლოგებისა შექმნა მნიშვნელოვნად ზრდის ფარმაცევტული კომპანიის ხილვადობას საძიებო სისტემებში (Google). თანამედროვე მომხმარებლები, პაციენტები, ჯანდაცვის პროფესიონალები, ხშირად მიმართავენ ინტერნეტს დაავადებების, მკურნალობის მეთოდებისა და წამლების შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად, რაც SEO-ს სწორად გამოყენებას გარდაუვალ საჭიროებას წარმოაჩენს. საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია ნიშნავს იმგვარი კონტენტის შექმნას, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება საძიებო ალგორითმების კრიტერიუმებს და აქვს მაღალ რეიტინგი საძიებო სისტემების შედეგების გვერდებზე (SERPs).

კონტენტ მარკეტინგი სხვადასხვა ტიპის ციფრული კონტენტის შექმნასა და გავრცელებას მოიცავს. პოტენციური მომხმარებლების მიზნობრივი ჩართვის მიზნით ამზადებენ ვიდეომასალებს, ინფოგრაფიკებს და სოციალური მედიის პოსტებს. ხარისხიანი, რეგულარული კონტენტის გამოქვეყნება აუმჯობესებს საძიებო რეიტინგებს, ზრდის ვებგვერდის ტრაფიკის და აუდიტორიასთან აყალიბებს გრძელვადიან და სანდო ურთიერთობას.

3. ელექტრონული ფოსტით მარკეტინგი (E-mail Marketing).

ელექტრონული ფოსტით მარკეტინგი ერთ-ერთ ეფექტურ ციფრულ სტრატეგიას წარმოადგენს, რომლის გამოყენებით კომპანიებს შეუძლიათ დაამყარონ და შეინარჩუნონ მიზნობრივი კომუნიკაცია ჯანდაცვის პროფესიონალებთან, სააფთიაქო ქსელებსა და პაციენტებთან. პერსონალიზებული ელფოსტის კამპანიებით შესაძლებელია საჭირო

საინფორმაციო მასალების მიწოდება კონკრეტული აუდიტორიისთვის მათი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. ეს მიდგომა ხელს უწყობს პროდუქტების ცნობადობის გაზრდას, სამედიცინო კვლევებისა და კლინიკური შედეგების გავრცელებას, მომხმარებელთა აქტიური ჩართულობას. დროულად და ეფექტიანად სანდო ინფორმაციის მიწოდება ხელს უწყობს პროფესიულ განათლებასა და ინფორმირებულ გადაწყვეტილებებზე დაფუძნებულ ქმედებებს ჯანდაცვის სექტორში.

4. ელექტრონული ფარმაცევტული სერვისები (E-Pharma).

ელექტრონული ფარმაცევტული სერვისები (E-Pharma) ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება. ის მომხმარებლებს სთავაზობს სამკურნალო საშუალებებზე დისტანციური წვდომის შესაძლებლობას. ჯანდაცვის ციფრული პლატფორმების და ონლაინ აფთიაქების საშუალებით მომხმარებლებს შეუძლიათ შეიძინონ საჭირო მედიკამენტები დისტანციურად. E-Pharma არა მხოლოდ ონლაინ შეკვეთებსა და მედიკამენტების მიწოდების სერვისებს მოიცავს, არამედ ტელემედიცინის ინტეგრაციასაც. სერვისები ხელს უწყობს სამკურნალო პროცესის ხელმისაწვდომობასა და მიწოდების უწყვეტობას, განსაკუთრებით პაციენტებისთვის, რომელთაც შეზღუდული აქვთ მობილობა.

5. ონლაინ რეკლამები და Google Ads.

ონლაინ რეკლამები და *Google Ads* მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფარმაცევტული პროდუქციის ციფრულ მარკეტინგში. **Pay-Per-Click (PPC)** ონლაინ რეკლამის ციფრული მოდელია და ეფუძნება შედეგზე ორიენტირებულ ბიუჯეტირებას. რეკლამის დამკვეთი კომპანიები თანხას იხდიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი რეალურად დააწკაპუნებს მათ რეკლამაზე და გადავა შესაბამის ვებგვერდზე ან ლენდინგ გვერდზე.

PPC რეკლამის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პლატფორმაა *Google Ads*, თუმცა ის აქტიურად გამოიყენება *Facebook Ad, Bing Ads* და სხვა ციფრულ არხებზეც. აღნიშნული PPC-ის მოდელი ეფექტურია იმ მხრივ, რომ რეკლამის განმთავსებელი მხოლოდ რეალური ქმედებისთვის იხდის თანხას, რითაც მარკეტინგული რესურსები ოპტიმალურად გამოიყენება. შესაძლებელია რეკლამის ტარგეტირება გამიზნულ გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ან აუდიტორიაზე, კონკრეტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებზე ან თუნდაც, საკვანძო სიტყვებზე. მიზანმიმართული რეკლამების, კერძოდ, *Pay-Per-Click (PPC)* მოდელის გამოყენება, კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას, სამიზნე მომხმარებლებს პირდაპირ და ეფექტიანად მიაწვდონ ინფორმაცია იმ დროს, როდესაც აქტიურად ეძებენ შესაბამის პროდუქტებს ან მომსახურებას. ის საძიებო სისტემებსა და ვებსაიტებზე ზრდის პროდუქტის ხილვადობას, ხელს უწყობს ბრენდის ცნობადობას და პოზიტიურად აისახება გაყიდვების მაჩვენებლებზე.

6. ვირტუალური კონფერენციები და ვებინარები.

ფარმაცევტული ინდუსტრიისთვის ვირტუალური კომუნიკაციის პლატფორმებმა ახალი სივრცეები შექმნა კომუნიკაციისა და განათლებისთვის. დღეს აქტიურად ატარებენ ვირტუალურ კონფერენციებსა და ვებინარებს ექიმებთან, ფარმაცევტებთან, მკვლევრებთან და სხვა ჯგუფებთან. ამგვარი ღონისძიებები პროფესიონალებს საშუალებას აძლევს მიიღონ

თანამედროვე ინფორმაცია კლინიკური კვლევების შედეგების, სამეცნიერო მიღწევების და ახალი საშუალებების შესახებ, განიხილონ თერაპიული მიდგომები ჩაერთონ დისკუსიებში.

ვებინარებიც მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო რესურსია. ის ხელს უწყობს ცოდნის გავრცელებას, უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, აუდიტორიასთან უშუალო კავშირის დამყარებას, ფარმაცევტული ბრენდების გაძლიერებას. ამგვარ პლატფორმებზე კომუნიკაცია აძლიერებს ფარმაცევტული ინდუსტრიის ინტეგრაციას პროფესიულ საზოგადოებებთან და ემსახურება სისტემის განვითარების მიზნებს [2].

ციფრული მარკეტინგის სტრატეგიების გამოყენება ეხმარება ფარმაცევტულ კომპანიებს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაში, მომხმარებელთა ინფორმირებაში და ბაზარზე პოზიციონირებაში. კომპანიები ეძებენ ახალ გზებს მომხმარებლებთან დასაკავშირებლად, ციფრული მარკეტინგი, ასევე, მნიშვნელოვანია მომხმარებელთა ცოდნის ამაღლებასა და ბრენდის იმიჯის გაუმჯობესებაში. ციფრულ მარკეტინგული სტრატეგიების შორის გამოყოფენ მობილურ აპლიკაციებსაც, რომლის საშუალებით მომხმარებლებს მარტივად შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია მედიკამენტების შესახებ, ასევე შეამოწმონ წამლის მიღების დრო და დოზა [3].

რეპუტაციის მართვაც ერთ-ერთი სტრატეგიაა, რომელიც ფარმაცევტული კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია თავიანთი ბრენდისა და პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნებისთვის. ის მოიცავს მომხმარებელთა მიმოხილვებისა და შეფასებების მონიტორინგს და მართვას, რაც ეხმარება კომპანიებს შეინარჩუნონ პოზიტიური იმიჯი და ნდობა მომხმარებლების მხრიდან [4].

წარმატებული ფარმაცევტული ციფრული მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავებისთვის, გასათვალიწინებელია ფარმაცევტული ციფრული მარკეტინგის სტრატეგიის ძირითადი კომპონენტები [5]:



ციფრული მარკეტინგი ანაცვლებს ტრადიციულ მარკეტინგულ სტრატეგიებს ფარმაცევტულ ინდუსტრიაში. კვლევამ შეაფასა პაკისტანის ექიმების მიერ სოციალური მედიის გამოყენების მრავალმხრივი ასპექტები, ციფრული მარკეტინგის ამჟამინდელი როლი ფარმაცევტულ ინდუსტრიაში და მისი გავლენა კლინიკური პრაქტიკის ცვლილებაზე. ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, კვლევაში ჩართული იყო 718 ექიმი, რომლებიც მუშაობდნენ სხვადასხვა კლინიკურ გარემოში და ჰქონდათ მინიმუმ ხუთწლიანი კლინიკური გამოცდილება. ყველაზე ხშირად გამოყენებული ციფრული მარკეტინგის არხები აღმოჩნდა WhatsApp (29.94%), ჯანდაცვის სისტემის ვებგვერდები (26.7%) და მობილური აპლიკაციები (20.6%). ნაკლებად ხელმისაწვდომი ინსტრუმენტები იყო ე-დეტალინგი (E-detailing)–(წამლის პრეზენტაცია, ასევე კომუნიკაცია ჯანდაცვის პროფესიონალებთან დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმების მეშვეობით (მობილური აპლიკაციები, ელექტრონული ფოსტა, სპეციალიზებული პლატფორმები) (8.1%), ვებინარები/ვებკასტები (7.7%), ტელე-დეტალინგი (Tele-detailing) (პროდუქტის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ტელეფონით

ან ვიდეოზარით) (6.0%), თვითმართვადი ვებ-დეტალინგი. (Web-detailing) (ინტერნეტის რესურსებზე დაფუძნებული დეტალინგი - ვებ-პლატფორმების და ვებგვერდების გამოყენება პროდუქციის შესახებ ინფორმაციის პრეზენტაციისთვის) - (5.2%) და მარკეტინგული ელფოსტა (4.2%). თუმცა, მიუხედავად შეზღუდული გამოყენებისა, ვებინარებს/ვებკასტებს ჰქონდათ ყველაზე ძლიერი გავლენა კლინიკური პრაქტიკის ცვლილებებზე (48%), რასაც მოჰყვა ვებსაიტები (42%), მობილური აპლიკაციები (41%), WhatsApp (37%) და თვითმართვადი ვებ-დეტალინგი (36%) მიუხედავად შეზღუდული გამოყენებისა, კლინიკური პრაქტიკის ცვლილებებზე გავლენის პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო ვებინარებისთვის/ვებკასტებისთვის, რასაც მოჰყვა ვებსაიტები, მობილური აპლიკაციები და WhatsApp [6].

ფარმაცევტული ინდუსტრიის ციფრული მარკეტინგის სტრატეგიები მუდმივად ვითარდება. კომპანიებმა უნდა დანერგონ ინოვაციური მიდგომები, რათა დარჩნენ კონკურენტუნარიანები და დააკმაყოფილონ მომხმარებლების საჭიროებები [7].

ცხადია, ტრადიციული მარკეტინგული მეთოდები აღარ არის საკმარისი თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ამიტომ კომპანიები მიმართავენ ციფრულ სტრატეგიებს, რათა დარჩნენ კონკურენტუნარიანები. მიუხედავად ციფრული მარკეტინგის სარგებლისა, ფარმაცევტულ კომპანიებს უწევთ გარკვეული გამოწვევების გადალახვა [8], მათ შორის:



4 ძირითადი ტენდენცია, რომლებიც განსაზღვრავენ ფარმაცევტული ციფრული მარკეტინგის განვითარებას, ეფუძნება მის გავლენას პაციენტებთან და ჯანდაცვის პროფესიონალებთან ურთიერთობაზე:

- ტექნოლოგიური პროგრესი ფარმაცევტულ კომპანიებს საშუალებას აძლევს, უფრო პერსონალიზებული და მიზანმიმართული კომუნიკაცია დაამყარონ როგორც პაციენტებთან, ისე ჯანდაცვის პროფესიონალებთან. სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფისა და ანალიტიკური ინსტრუმენტების მეშვეობით შესაძლებელია ინდივიდუალური საჭიროებების, ინტერესებისა და ქცევითი მახასიათებლების გათვალისწინება. ამ მიდგომის საშუალებით კომუნიკაცია ხდება უფრო მიზნობრივი და რელევანტური, რაც ზრდის მის ეფექტიანობას.

პრაქტიკული მაგალითები ადასტურებს, რომ პერსონალიზებული სტრატეგიები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოტენციური მომხმარებლების ჩართულობის გაზრდას და იმ პირების წილის გაფართოებას, რომლებიც რეალურად იღებენ მონაწილეობას შესაბამის მარკეტინგულ ან საინფორმაციო აქტივობებში.

- ინტერაქტიული კონტენტი და გამოცდილებები. ინტერაქტიული კონტენტის გამოყენება ეხმარება ფარმაცევტულ მარკეტერებს, დაამყარონ მტკიცე კავშირი სამიზნე აუდიტორიასთან. ასეთი კონტენტი ასევე იძლევა ღირებულ ინფორმაციას სამიზნე ჯგუფების საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ, რაც პერსონალიზაციის პროცესს ამარტივებს. ეფექტური ინტერაქტიული კონტენტის მაგალითებია: პერსონალიზებული კონტენტის პორტალები: ონლაინ პლატფორმები, სადაც მომხმარებლები იღებენ მათ ინტერესებზე მორგებულ რესურსებსა და საგანმანათლებლო მასალებს; ინტერაქტიული ტესტები და შეფასებები: ონლაინ ტესტები, რომლებიც ეხმარება პროფესიონალებს შეამოწმონ თავიანთი ცოდნა და მარკეტერებს აძლევს ინფორმაციას ხარვეზების შესახებ; გამოკითხვების და სოციოლოგიური კვლევების უკუკავშირი: მოკლე გამოკითხვები, რომლებიც ეხმარება მარკეტერებს, გაიგონ აუდიტორიის პრეფერენციები და გააუმჯობესონ კონტენტ სტრატეგიები.

- მონაცემებზე დაფუძნებული სტრატეგიები ეფექტური მართვისთვის. მონაცემთა ანალიზი ფარმაცევტულ მარკეტინგში საშუალებას აძლევს კომპანიებს, უკეთ გაიგონ თავიანთი აუდიტორიის ქცევა და საჭიროებები. ეს მიდგომა ეხმარება მარკეტერებს, შეიმუშაონ უფრო მიზანმიმართული და ეფექტური კამპანიები. მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა შეგროვება და გამოყენება შეესაბამებოდეს კონფიდენციალურობისა და რეგულაციების მოთხოვნებს.

- ომნიქსელური ტრანსფორმაცია. ომნიქსელური მიდგომა გულისხმობს მომხმარებელთან კომუნიკაციას სხვადასხვა არხის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს ერთგვაროვან და თანმიმდევრულ გამოცდილებას. ფარმაცევტული კომპანიები იყენებენ ამ მიდგომას, რათა გააძლიერონ თავიანთი მარკეტინგული სტრატეგიები და უზრუნველყონ მომხმარებელთა ჩართულობის მაღალი დონე [9].

ციფრულმა ტექნოლოგიებმა ფარმაცევტულ და ჯანდაცვის ინდუსტრიაში მრავალი ცვლილება გამოიწვია, მათ შორის გამჭვირვალობის გაზრდა, პაციენტებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება და წამლების განვითარების პროცესის გაუმჯობესება. ქვემოთ განხილულია ხუთი ძირითადი სტრატეგია, რომლებიც დაეხმარება ფარმაცევტულ მარკეტერებს ციფრული მარკეტინგის გამოყენებით პროდუქციის პოპულარიზაციაში, ჩართულობის გაზრდაში და ზრდაში.

1. ღირებულებაზე ორიენტირებული კონტენტის შექმნა. ციფრული ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ის არის, რომ ფარმაცევტული კომპანიები აღარ არიან ერთადერთი ინფორმაციის წყარო თავიანთი პროდუქტებისა და მკურნალობის შესახებ. ონლაინ საზოგადოებები, მობილური აპლიკაციები და ვებ-კონტენტის სიმრავლე საშუალებას აძლევს ადამიანებს მიიღონ მრავალფეროვანი ინფორმაცია ფარმაცევტულ საკითხებზე. მიზნობრივი, ღირებულებაზე ორიენტირებული ბრენდირებული კონტენტის შექმნით, რომელიც პოტენციურ ან ამჟამინდელ პაციენტებს სთავაზობს შესაბამის ინფორმაციას, შეგიძლიათ მნიშვნელოვნად გააფართოვოთ თქვენი აუდიტორია. პაციენტების საერთო პრობლემებზე

ორიენტირებული და საინტერესო პასუხების მიწოდებით, გამჭვირვალობის დემონსტრირებით, თქვენ გაზრდით აუდიტორიას, გააძლიერებთ ნდობას და დააფუძნებთ ბრენდს, როგორც აზრის ლიდერს.

2. AR (Augmented Reality) გავრცობილი და VR (Virtual Reality) ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიები. ეს ტექნოლოგიები იძლევა ახალ შესაძლებლობებს, მედიკამენტების წარმოების, მარკეტინგისა თუ განათლების სფეროებში. AR ტექნოლოგია ფარმაცევტულ კომპანიებს და მათ მარკეტინგულ გუნდებს საშუალებას აძლევს შექმნან ინტერაქტიული და ვიზუალურად მდიდარი გამოცდილებები და ჯანდაცვის პროფესიონალებს და პაციენტებსა მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია წამლის, მისი შემადგენლობისა თუ დანიშნულების შესახებ. ფარმაცევტული კომპანიები იყენებენ ამ ტექნოლოგიას მედიკამენტების შეფუთვის შესახებ. მომხმარებელი QR კოდის დასკანერების დროს ხედავს ისეთ ციფრულ კონტენტს, როგორიცაა წამლის გამოყენების ინსტრუქცია, გვერდითი ეფექტები და სხვ. აღნიშნული ეხმარება მომხმარებელს მიიღოს სრული ინფორმაცია პროდუქტზე და მის გამოყენებაზე. AR-ის გამოყენება ასევე მოიცავს: ვირტუალური პროდუქტის პრეზენტაციებს ფარმაცევტების და ექიმების შეხვედრებზე, ტრენინგებს მულტიმედიური და ინტერაქტიული ვარჯიშებით. ფარმაცევტულ ინდუსტრიაში VR ტექნოლოგია გამოიყენება ინტენსიური სწავლისა და ტრენინგის, მედიკამენტების ტესტირებისა და განვითარებისთვის. ის საშუალებას აძლევს პროფესიონალებს და მომხმარებლებს მოხვდნენ ახალ ციფრულ გარემოში, სადაც ადგილი ექნება წამლებისა თუ სამედიცინო პროცედურების ვირტუალურ სიმულაციას. VR პლატფორმები აქტიურად გამოიყენება ტრენინგის გარემოს შესაქმნელად, სადაც ექიმები, ფარმაცევტები ან სტუდენტები ვირტუალურად მონაწილეობენ სამედიცინო პროცედურებში. მაგალითად, VR-ში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ვირტუალური მოდელები, რომლებიც ასწავლიან მაგალითად, რთული ოპერაციების ან მაგალითად, არასასურველი მედიკამენტური რეაქციების მართვას. VR-ის გამოყენება მოიცავს: ვირტუალური პაციენტების სიმულაციას, ასევე, ვირტუალური ლაბორატორიების შექმნას, წამლის ტესტირების და კვლევების ჩასატარებლად ქიმიური ნივთიერებების გარეშე.

3. AI-ით მართული ასისტენტები და მესენჯერის აპლიკაციები. მრავალი ბიზნესი იყენებს მესენჯერის აპლიკაციებს - Facebook Messenger ან WhatsApp პოტენციურ კლიენტებთან კომუნიკაციის და მნიშვნელოვანი დიალოგისთვის. ეს ტენდენცია უნიკალური შესაძლებლობაა, აწარმოონ საუბრები პაციენტებთან, მომხმარებლებთან თუ პარტნიორებთან. ფარმაცევტულ კომპანიებს შეუძლიათ გააუმჯობესონ მათი ორგანიზაციული ეფექტურობა, უპასუხონ კლიენტების, პაციენტების ან მომხმარებლების შეკითხვებს AI-ით მართული ჩატბოტების გამოყენებით, რაც ზრდის პროდუქტიულობას და აუმჯობესებს მომხმარებლის მოზიდვას.

4. ინფლუენსერები. მილენიალების 70%-ზე გავლენას ახდენს მათი თანატოლების რეკომენდაციები, ხოლო 18-24 წლის ახალგაზრდების 90% ენდობა სამედიცინო ინფორმაციას, რომელიც მიღებულია სოციალური მედიის მეშვეობით. ამიტომ, ფარმაცევტული ბრენდებისთვის დიდი შესაძლებლობაა იმუშაონ ინფლუენსერებთან და აზრის ლიდერებთან. მაგალითად, Amcal Pharmacy-მ, ბრენდის ცნობადობის გასაზრდელად ითანამშრომლა

დიაბეტიან სუპერქარების მძღოლ ჯეკ პერკინსთან. Instagram-ზე პოსტების გამოქვეყნებით, რომლებიც ასახავდა მის პირად მოგზაურობას და Amcal-ის დახმარებას, ინდუსტრიამ ისარგებლა მძღოლის 21,000 ,,ფოლოვერის“ აუდიტორიით.

5. ბლოკჩეინი. ციფრულ ეპოქაში, ნდობა და გამჭვირვალობა წარმატების აუცილებელი კომპონენტებია. ამ ტექნოლოგიის დანერგვა თქვენს ციფრული მარკეტინგის სტრატეგიას შეიძლება დაეხმაროს ორგანიზაციულ ზრდასა და ევოლუციაში. ეს დეცენტრალიზებული ტექნოლოგია, რომლის ინდუსტრიული ღირებულება 2025 წლის ბოლოსთვის სავარაუდოდ $5.6 მილიარდს გადააჭარბებს, გარდა იმისა, რომ ის სთავაზობს კრიტიკული პაციენტის მონაცემების ხელმისაწვდომობას და ეხმარება თაღლითობის შემცირებაში, ასევე მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ნდობას სამედიცინო სერვისების დონორებსა და მიმღებებს შორის [10].


ფარმაცევტული ინდუსტრია განიცდის ტრანსფორმაციას მარკეტინგულ სტრატეგიებში, განსაკუთრებით ციფრულ პლატფორმებზე. ტრადიციული არხებიდან, როგორიცაა ბეჭდური მედია, კონფერენციები და პირდაპირი გაყიდვების წარმომადგენლები, ინდუსტრია გადადის ციფრულ ტექნოლოგიებზე, რაც ცვლის კომპანიების ურთიერთქმედებას ჯანდაცვის პროფესიონალებთან, პაციენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ციფრული მარკეტინგის სტრატეგიების შედარებითი ანალიზის მიზნით გამოიკითხა ფარმაცევტული კომპანიების 197 თანამშრომელი. მონაცემები შეგროვდა სტრუქტურირებული გამოკითხვების მეშვეობით. კვლევის მიზანი იყო მოქმედი ფარმაცევტული კომპანიების მიერ გამოყენებული სხვადასხვა ციფრული მარკეტინგის სტრატეგიების ეფექტურობის შეფასება, გავლენის გაზომოვა და პრაქტიკული რეკომენდაციების მიწოდება ინდუსტრიის, პოლიტიკის შემქმნელებისა და მკვლევარებისთვის.

- რესპონდენტთა 60.41% (119 ადამიანი) აბსოლუტურად, ხოლო 27.92% (55 ადამიანი) ნაწილობრივ ეთანხმება, რომ ციფრული მარკეტინგის სტრატეგიები დადებითად მოქმედებს ბრენდის ხილვადობაზე.
- სოციალური მედიის პლატფორმების ინტეგრაციის მხრივ, რესპონდენტთა 67.51% (133 ადამიანი) სრულად, ხოლო 29.95% (59 ადამიანი) ნაწილობრივ ეთანხმება, რომ მათი კომპანიები ეფექტურად იყენებენ სოციალურ მედიას მარკეტინგული მიზნებისთვის.
- თანამშრომლების ტრენინგისა და ციფრული კომპეტენციის მხრივ, სრულად 34.52% (68 ადამიანი), ხოლო 6.09% (12 ადამიანი) ნაწილობრივ ეთანხმება, რომ მათი თანამშრომლები კარგად არიან მომზადებული ციფრული მარკეტინგის სფეროში.

კვლევის შედეგები მიუთითებს, ფარმაცევტული კომპანიები წარმატებით იყენებენ ციფრულ მარკეტინგის სტრატეგიებს ბრენდის ხილვადობისა და სოციალური მედიის ინტეგრაციისთვის. თუმცა, თანამშრომლების ციფრული კომპეტენციის გაუმჯობესება საჭიროებს დამატებით ყურადღებას. კვლევა სთავაზობს პრაქტიკულ რეკომენდაციებს ინდუსტრიის პროფესიონალებს ციფრული მარკეტინგის სტრატეგიების ოპტიმიზაციისთვის, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციასა და კონკურენტუნარიანობას სწრაფად განვითარებად ციფრულ გარემოში [11].

ფარმაცევტული ინდუსტრია ტრადიციულად კონსერვატიულია მარკეტინგული სტრატეგიების მიღებისას, განსაკუთრებით ციფრული მარკეტინგის მიმართულებით.

ისტორიულად, ფარმაცევტული მარკეტერები უფრო მეტად აქცენტს აკეთებდნენ ექიმებთან და ფარმაცევტებთან პირდაპირ კონტაქტზე, ვიდრე ციფრულ კომუნიკაციაზე. თუმცა, ციფრული მარკეტინგის დანერგვა მნიშვნელოვნად ცვლის ამ მიდგომას, რაც საშუალებას აძლევს კომპანიებს უფრო პერსონალიზებული ურთიერთობა დაამყარონ მომხმარებლებთან. 2010-იანი წლების დასაწყისში ციფრული მარკეტინგის კონცეფცია ფარმაცევტული მარკეტერების ყურადღების ცენტრში მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ ციფრული მარკეტინგი მოდური და აუცილებელი გახდა, ბევრმა კომპანიამ ვერ შეძლო მისი სრულფასოვანი გამოყენება. ტრადიციული არხები, როგორიცაა ტელევიზია, ხშირად დუბლირდება ციფრულ მედიაში, მაგრამ ციფრული მარკეტინგი ასევე გულისხმობს ტექნოლოგიების გამოყენებას გაყიდვების გასაზრდელად და მომხმარებლებთან მასშტაბური კომუნიკაციისთვის. ბრენდის ციფრული სიმწიფე ოთხ ეტაპად იყოფა:



ფარმაცევტული მარკეტერები ხშირად მუშაობენ პროდუქტებთან, რომლებსაც აქვთ მრავალი ანალოგი და არ გამოირჩევიან უნიკალური შეთავაზებით. ასეთ პირობებში, ბრენდის პოპულარიზაციის ორი გზა არსებობს:

○ სამედიცინო არხების გამოყენება: შეხვედრები სამედიცინო წარმომადგენლებთან, კონფერენციებში მონაწილეობა, სპეციალიზებულ პრესასთან კომუნიკაცია და ექიმებთან და ფარმაცევტებთან პირდაპირი კონტაქტი.

○ გავრცელების არხების გამოყენება: რადიო და ტელევიზია, რომლებიც კვლავაც ფარმაცევტული მარკეტინგის ბიუჯეტების 95-96%-ს შეადგენს.

ციფრული მარკეტინგის დანერგვა ფარმაცევტულ ინდუსტრიაში საშუალებას აძლევს კომპანიებს გააუმჯობესონ მომხმარებლებთან კომუნიკაცია, გაზარდონ გაყიდვები და შეამცირონ მარკეტინგული ხარჯები. ციფრული სიმწიფის ეტაპების გავლით, კომპანიები შეძლებენ უფრო ეფექტურად გამოიყენონ მონაცემები და ტექნოლოგიები თავიანთ მარკეტინგულ სტრატეგიებში [12,13, 14].

პროგრამული მარკეტინგი ციფრული რეკლამის ავტომატურ შეძენაა სპეციალური პროგრამების დახმარებით. ტრადიციულად, რეკლამის შესაძენა უკავშირდება პროცედურებს

— წინადადებების მომზადება, ტენდერებში მონაწილეობა, მოლაპარაკებები და შეკვეთების შეთანხმება. მისგან განსხვავებით, პროგრამული მარკეტინგი პროცესს შესამჩნევად ამარტივებს და მარტივად ახდენს რეკლამის განთავსებას იქ, სადაც მიზნობრივ აუდიტორიას ყველაზე ეფექტურად მიაღწევს. ეს ტექნოლოგია ხელოვნურ ინტელექტს (AI) და მანქანურ სწავლებას იყენებს იმისთვის, რათა განსაზღვროს, რომელი ვებსაიტი, აპლიკაცია ან ონლაინ პლატფორმაა საუკეთესო კონკრეტული რეკლამის განსათავსებლად. რეკლამა არა მხოლოდ სწრაფად და ეფექტურად ვრცელდება, ხარჯიც რაციონალურად ნაწილდება. პროგრამული მარკეტინგის უპირატესობები ფარმაცევტული მარკეტინგისთვის შემდეგი სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ეფექტურობის გაუმჯობესება: რეკლამის შეძენის პროცესი ავტომატიზებულია, მექანიკურ ამოცანები მცირდება და მარკეტერები სტრატეგიულ ინიციატივებზე კონცენტრირდნენ.
2. მიზანმიმართულობა და პერსონალიზაცია: იყენებს მონაცემებს, რათა მიაწოდოს პერსონალიზებული შეტყობინებები სამიზნე აუდიტორიას,
3. რეალურ დროში ოპტიმიზაცია: მარკეტერები მონიტორინგს უწევენ კამპანიებს და შეაქვთ საჭირო კორექტირებები ეფექტურობის მისაღწევად.
4. ხარჯების ეფექტურობა: რეკლამის ხარჯები არაეფექტურ არხებზე შემცირებულია.

შესაბამისად, პროგრამული მარკეტინგი თანამედროვე ფარმაცევტულ კომპანიებს საშუალებას აძლევს ზუსტად და ეფექტურად მიაღწიონ სამიზნე აუდიტორიას და პარალელურად, მინიმუმამდე დაიყვანონ არასაჭირო ხარჯები [15,16,17].

დასკვნა

ციფრული მარკეტინგის სტრატეგიები ფარმაცევტულ სექტორში განიცდის დინამიკურ ცვლილებებს, რაც განპირობებულია ტექნოლოგიური პროგრესით, ბაზრის კონკურენციით და მომხმარებელთა მოთხოვნების ზრდით. ფარმაცევტული კომპანიები სულ უფრო მეტად იყენებენ ციფრულ არხებს, რათა გააუმჯობესონ მომხმარებელთან კომუნიკაცია, გაზარდონ ბრენდის ცნობადობა და გაყიდვები. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული მარკეტინგული მიდგომები კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ციფრული მარკეტინგი საშუალებას აძლევს კომპანიებს უფრო ეფექტურად მიაღწიონ სამიზნე აუდიტორიას, განახორციელონ პერსონალიზებული კომუნიკაცია და გაზომონ მათი კამპანიების შედეგები რეალურ დროში. მიუხედავად ციფრული მარკეტინგის მრავალრიცხოვანი უპირატესობებისა, მისი დანერგვა ფარმაცევტულ სექტორში გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ეს მოიცავს მკაცრ რეგულაციებს, მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის საჭიროებას და მომხმარებელთა უნდობლობას ახალი ტექნოლოგიების მიმართ. სამომავლოდ, ფარმაცევტულ სექტორში ციფრული მარკეტინგის როლი კიდევ უფრო გაიზრდება. კომპანიები, რომლებიც დროულად მოერგებიან ციფრულ ტრანსფორმაციას და დანერგავენ ინოვაციურ სტრატეგიებს, შეძლებენ ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას. ამ პროცესში მნიშვნელოვანია მონაცემთა ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება, ინტერაქტიული კომუნიკაციის გაძლიერება და მომხმარებელთა ნდობის შენარჩუნება.

ლიტერატურა

1. Bayoun, D., & Singh, D. A. (2024). The role of digital marketing as a tool for creating and sustaining competitive advantage in the pharmaceutical market in Lebanon. Global Journal of Business and Integral Security, 2024(IBIS), Article 593. https://gbis.ch/index.php/gbis/article/view/593GBIS

2. Kumar, A., & Bansal, R. (2016). Role of Digital Marketing in the Pharmaceutical Industry. Research Journal of Pharmacy and Technology, 9(1), 9-15.

3. Singh, S., & Kumar, R. (2024). Impact of Digital Marketing in Pharmaceutical Business. International Journal of Finance and Management Research, 3(4), 45-52.

4. AGOULMAM, I., & CHAKOR, A. (2024). The contribution of digitalization of marketing procedures in the pharmaceutical industry: Theoretical approach. International Journal of Accounting, Finance, Auditing, Management and Economics, 5(5), 490–504. https://doi.org/10.5281/zenodo.11260760Ijafame

5. Babatunde, S. O. (2024). Digital marketing strategies for medical products: A theoretical and practical review. International Journal of Frontiers in Medicine and Surgery Research, 5(1), 36–46. https://doi.org/10.53294/ijfmsr.2024.5.1.0032Frontier Research Publication

6. Kapoor, A., & Verma, P. (2018). Digital Marketing Strategies in the Pharmaceutical Industry: A Review. Journal of Medical Marketing, 18(3), 134-145. DOI: 10.1177/1745790418766658.

7. Rajendran, R., & Rani, Y. S. (2024). Healthy engagement: Digital marketing's influence on the pharma sector. Academy of Marketing Studies Journal, 28(4), 1–8Sharma, M., & Patel, R. (2024). Digital Marketing in the Pharmaceutical Sector: Trends and Future Prospects. International Research Journal of Modernization in Engineering, Technology & Science (IRJMETS), 4(4), 56-63.

8. Al-Assaf, K. T., Foriki, M. S. M., Samarah, T., Hindieh, A., Mohammad, S. I. S., Vasudevan, A., & Al Kurdi, B. (2024). Impact of digital marketing on promoting the local pharmaceutical products in Jordan. International Review of Management and Marketing, 15(1), 137–145. https://doi.org/10.32479/irmm.17707

9. Singh, K. K. (2023). *A study of influence of digital marketing strategy over conventional marketing practices in pharmaceutical industry*. Quest Journals: Journal of Research in Business and Management, 11(6), 124–134

10. Chopra, D., & Singh, R. (2024). Digital Marketing in the Pharmaceutical Industry: A Review of Current Practices. International Journal of Creative Research Thoughts (IJCRT), 12(1), 78-89. DOI: 10.32628/IJCRT2401351.

11. Parekh, D., Kapupara, P., & Shah, K. (2016). Digital pharmaceutical marketing: A review. *Research Journal of Pharmacy and Technology*, 9(1), 108–112. https://doi.org/10.5958/0974-360X.2016.00017.2

12. Jha, P. K., & Kumar, G. (2024). Impact of digital marketing in pharmaceutical industries. *International Journal for Multidisciplinary Research (IJFMR)*, 6(3), 1–8.

13. Sonawane, Sameer & Dhavan, Avinash. (2024). EFFECT OF DIGITAL MARKETING ON PHARMACEUTICAL BUSINESS AND ITS IMPACT ON SOCIAL WELLBEING-A CONCEPTUAL REVIEW.

14. Ngamvichaikit, A. (2021). Leveraging design thinking for pharmaceutical digital marketing. *Asian Journal of Business Research*, 11(1), 122–134. https://doi.org/10.14707/ajbr.210102ajbr.co.nz

15. Khanna, V., Ahuja, R., & Popli, H. (2020). ROLE OF ARTIFICIAL INTELLIGENCE IN PHARMACEUTICAL MARKETING: A COMPREHENSIVE REVIEW. Journal of Advanced Scientific Research, 11(03), 54-61. Retrieved from https://sciensage.info/index.php/JASR/article/view/506

16. Neves, J., & Pereira, M. C. (2025). A Marketing Perspective on the Roles of AI and ML in Shaping Contemporary Programmatic Advertising. International Journal of Digital Marketing, Management, and Innovation, 1(1), 1–14. https://doi.org/10.4018/IJDMMI.368043

17. Singhal, A. (2023). Optimizing Programmatic Advertising: A Machine Learning Approach to Predictive Ad Targeting. Journal of Knowledge Learning and Science Technology, 3(3), 327–339. https://doi.org/10.60087/jklst.vol3.n3.p.327-339

Digital Marketing Strategies in the Pharmaceutical Sector

Nana Shashiashvili[1,2], Mariam Bakradze[3]

[1]Associate Professor, Department of Pharmacy, Georgian Technical University, Georgia; [2]Associate Professor, Department of Social and Clinical Pharmacy, Tbilisi State Medical University, Georgia; [3]Master's StudentCaucasus University, Georgia

Abstract

The rapid advancement of digital technologies has significantly transformed marketing practices in the pharmaceutical sector. In response to increasing demand for personalized healthcare solutions and improved patient engagement, pharmaceutical companies are adopting diverse digital marketing strategies to strengthen their market presence and enhance communication with key stakeholders. These strategies include content marketing, which focuses on delivering scientifically accurate, relevant, and valuable information to educate and engage both healthcare professionals and patients. Search Engine Optimization (SEO) plays a vital role in improving website visibility and ensuring that users can access reliable medical content through search engines. Social media platforms such as Facebook, LinkedIn, X (formerly Twitter), and Instagram have become powerful tools for raising brand awareness, disseminating educational content, and fostering interactive communication. Email marketing remains a cost-effective channel for personalized outreach, enabling companies to share product updates, clinical trial results, and healthcare news with targeted audiences. In parallel, mobile marketing strategies are increasingly important, given the widespread use of smartphones for health-related searches and app-based services. Moreover, pharmaceutical companies are embracing data-driven approaches, leveraging real-time analytics and machine learning to optimize campaigns, predict consumer behavior, and enhance customer experience. The integration of digital tools, such as virtual detailing, webinars, and automated platforms, further supports engagement with healthcare providers in a more efficient and scalable manner. As the industry navigates a complex regulatory environment, compliance with legal and ethical standards remains a critical component of any digital initiative. Overall, the strategic use of digital marketing enhances competitiveness, facilitates innovation, and supports more informed and connected healthcare ecosystems.

Keywords: Digital Marketing, Marketing Strategies, Pharmaceutical Sector

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.19



მინდობილი პროფესიული საქმიანობა - გზა კომპეტენციებიდან პროფესიონალიზმისკენ

სალომე ვორონოვი[1], ნინო ქანთარია[2], რიმა ბერიაშვილი[3], ეკა ეკალაძე[4]

[1]აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტმენტის უფროსის მოადგილე, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის „გახდი ექიმის“ კურსის ინსტრუქტორი და მცირე ჯგუფის კოორდინატორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, s.voronovi@tsmu.edu 599270387 OrcidID https://orcid.org/0009-0008-8892-8052; [2]დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მოდულის"გულსისხლძარღვთა სისტემა" კოორდინატორი; სუბინტერნშიფი-შინაგანი მედიცინის მოწვეული მასწავლებელი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, n.kantaria@tsmu.edu 577745546; [3]პროფესორი, აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, rima.beriashvili@tsmu.edu 599535419; [4]დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, e.ekaladze@tsmu.edu 595 633362

რეზიუმე

მინდობილი პროფესიული საქმიანობა (EPAs) არის პროფესიული საქმიანობების ერთობლიობა, რომლების დამოუკიდებლად ან მინიმალური ზედამხედველობით შესრულება შეიძლება ენდოს სტუდენტს/რეზიდენტს მას შემდეგ, რაც ის მოახდენს ამ საქმიანობების განხორციელებისას საჭირო კომპეტენციების დემონსტრირებას.

მინდობილი პროფესიული საქმიანობა (EPAs) კონცეფცია მიზნად ისახავს დარგობრივ ცოდნაზე დაფუძნებულ სხვადასხვა კომპეტენციების ინტეგრაციას სანდო პროფესიული უნარების ჩამოყალიბებისთვის. ამ კონცეფციის მიზანი განათლების პროცესსა და ყოველდღიურ სამედიცინო საქმიანობას შორის კავშირის დამყარებაა .

პაციენტისთვის სანდო კლინიკური პროფესიული აქტივობის შესრულების უნარი ექიმად ფორმირების მნიშვნელოვანი საფეხურია, რომელიც ეფუძნება სტუდენტის/რეზიდენტის მიერ შეძენილ კომპეტენციებს და თავისი შინაარსით მიესადაგება ოსტატ-შეგირდობის ძველ მოდელს.

მინდობილი პროფესიული საქმიანობის დანერგვა და შეფასება მოითხოვს კლინიკური კურაციების (ე.წ კლერკშიფის) კლინიკურ სამუშაო ადგილზე ამოქმედებულ. კარგად გააზრებულ სილაბუსს, ორგანიზებულ კლინიკურ გარემოს და სათანადოდ გადამზადებულ განმახორციელებელ პერსონალს.

საძიებო სიტყვები: სამედიცინო განათლება, მინდობილი პროფესიული საქმიანობა

სამედიცინო განათლება ეფუძნება სამ ძირითად კომპეტენციას - თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ/კლინიკურ უნარებს და ღირებულებებს, რომელთა გამომუშავება და შემდგომი სრულყოფა ექიმის მზადების დ შემდგომი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში მიმდინარეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე სამედიცინო განათლებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ცვლილებები განსაკუთრებით შეეხო კლინიკური სწავლების ეტაპს, რომელზეც კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლება მიჩნეული იქნა სამედიცინო განათლების ოპტიმალურ მოდელად. დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ექიმის პაციენტთან დამოკიდებულებას. პროფესიონალიზმი ყოველდღიურ სამედიცინო საქმიანობაში გულისხმობს ექიმის ეთიკურ ღირებულებებს, პასუხისმგებლობას, დამოკიდებულებას კოლეგებთან, პაციენტებთან, ლიდერობის, ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარს. ამ უნარების შეძენა და მათი სათანადო შეფასება მეთოდოლოგიურ გადახედვას, სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდების დანერგვას მოითხოვს.

კომპეტენციებზე დაფუძნებული სამედიცინო განათლების პროცესში აკადემიური პერსონალის მიერ დასმული ძირითადი შეკითხვაა, თუ როდის შეიძლება ვანდოთ სტუდენტს/რეზიდენტს კონკრეტული პროფესიული აქტივობის შესრულება ზედამხედველობის გარეშე ან მინიმალური ზედამხედველობით? - ამ შეკითხვაზე პასუხი სანდოობის დონის შესახებ გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს. სწორედ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზების ძიებისას შემუშავდა კომპეტენციაზე დაფუძნებული სამედიცინო განათლების ახალი მოდელი - **მინდობილი პროფესიული საქმიანობა (Entrustable Professional Activity, EPA**), რომელიც წარმოადგენს ერთგვარ „ხიდს“ დარგობრივ ცოდნაზე დაფუძნებულ, ახლად შეძენილ კლინიკურ კომპეტენციებსა და უშუალოდ პაციენტთან განხორციელებულ სანდო პროფესიულ აქტივობას შორის (1, 2, 3).

კომპეტენციები სასწავლო პროგრამის აუცილებელი შემადგენელია, თუმცა ისინი შეიძლება ძალიან აბსტრაქტულად დარჩეს, თუ კონკრეტულ, ქმედით და ეფექტურ სწავლებისა და შეფასების მეთოდს არ გამოვიყენებთ. სწავლების კლინიკურ ეტაპზე სანდო პროფესიული საქმიანობის განხორციელების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ფორმაციული შეფასების შესაბამისი მეთოდების დანერგვა და გამოყენება. ამ მიზნით განსაკუთრებით რეკომენდებულია შეფასება სამუშაო ადგილზე - (**WPBA**, *Workplace-based* assessment). სამუშაო ადგილზე შეფასება, თავის მხრივ, მოიცავს:

- პირდაპირ (უშუალო) დაკვირვებას პროცედურების შესრულების უნარებზე - **(DOPS,** Direct Observation of Procedural Skills);
  - სტუდენტის/რეზიდენტის მიერ განხორციელებული პაციენტის მინი-კლინიკური გამოკვლევის შეფასებას - **(Mini-CEX,** Mini Clinical Evaluation Exercise);
  - კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებულ დისკუსიას- **(CBD,** Case Based Discussion);
  - 360^0-იან მრავალმხრივ შეფასებას - **(MSF,** Multi-source feedback)

უკანასკნელი წლების განმავლობაში მინდობილი პროფესიული საქმიანობის, როგორც კლინიკური სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდის, დანერგვა ინტენსიურად დაიწყო

მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნების უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში. როგორც წესი, ახალი მეთოდოლოგიის დანერვას წინ უძღვის პილოტირების ეტაპი და მისი შედეგების ანალიზი. **მინდობილი პროფესიული საქმიანობის** გამოყენება მოითხოვს კლინიკური კურაციების (ე.წ კლერკშიფის) **კლინიკურ სამუშაო ადგილზე ამოქმედებულ კონკრეტულ სილაბუსს და** სათანადოდ გადამზადებულ კლერკშიფის განმახორციელებელ პერსონალს (4). სირთულე მდგომარეობს იმაშიც, რომ ექიმსა და პაციენტს შორის კომუნიკაცია, მედიცინის ცალკეულ დარგებში კონტექსტის მიხედვით განსხვავდება (5).

შინაგანი მედიცინა წარმოადგენს სტუდენტების სამედიცინო განათლების ფუნდამენტურ ნაწილს. სწორედ ამიტომაა შინაგანი მედიცინის საბაზისო კურსი ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი კლერკშიფი. კლერკშიფის განმავლობაში შეისწავლება მრავალი დაავადების დროს მიმდინარე პროცესები და ვითარდება კრიტიკული აზროვნება. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2022 წლიდან დაიწყო მინდობილი პროფესიული საქმიანობის პილოტირების პროცესი დიპლომამდელი განათლების ეტაპზე, თსსუ-ის ამერიკული პროგრამის 10, 11, 12 სასწავლო სემესტრების სტუდენტებთან, შინაგანი მედიცინის კლინიკური კურაციის, ე.წ. „სუბინტერნშიფის“ გავლის პერიოდში.

შინაგანი მედიცინის სუბინტერნშიფი კომპეტენციების გამომუშავებაზე მიმართული კლინიკური როტაციაა და სტუდენტებს აძლევს შინაგანი მედიცინის განყოფილებაში მოთავსებული პაციენტების მართვისა და მკურნალობის პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას. სტუდენტი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა სიმძიმისა და სიმწვავის დაავადებათა მართვაში, მათ შორის, სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობების მართვაში - გადაუდებელ განყოფილებაში. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაიღრმავონ და გაიუმჯობესონ ძირითადი კლინიკური უნარ-ჩვევები, ისწავლონ ახალი პროცედურები და გასინჯვის ტექნიკები, შეაფასონ თავიანთი კლინიკური აქტივობის ეფექტურობა. შინაგანი მედიცინის ოთხკვირიანი სუბინტერნშიფი რეალურად შინაგანი მედიცინის ძირითადი კლერკშიპის გაგრძელებაა, თუმცა ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, სტუდენტებს აკისრებს პაციენტებზე ზრუნვის მეტ პასუხისმგებლობას. სუბინტერნშიფის განმავლობაში სტუდენტს უვითარდება დამოუკიდებლად მუშაობის უნარი - მათ შორის, სწავლისა და ინფორმაციის მოპოვების უნარი, რაც მნიშვნელოვანია შემდგომი პროფესიული განვითარებისათვის და ე.წ. „სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის“.

კლინიკური სწავლების „სუბინტერნშიფის“ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთი პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორიცაა:

1. სამედიცინო გასაუბრების (ინტერვიუირების) უნარ-ჩვევები

- პაციენტთან ინტერაქციის უნარი
- შეკითხვების ფორმულირების უნარი ძირითადი პრობლემის გარშემო
- მეორე რიგის კითხვების გამოყენების უნარი დამატებითი ინფორმაციის შესაგროვებლად
- შეკითხვების პასუხად ან სხვა გზით მიღებული ინფორმაციის გადამუშავების უნარი
- არავერბალური კომუნიკაციის ამოცნობისა და მათი გაანალიზების უნარი

● დიაგნოსტიკური დიაპაზონის შეფასების უნარი

2. ფიზიკური გამოკვლევის უნარ-ჩვევები

● ორგანოთა სისტემების მიხედვით სტრუქტურირებული გამოკვლევის ჩატარების უნარი

● პათოლოგიური ნიშნების ამოცნობისა და არსებობის შემთხვევაში მათი კლინიკური მნიშვნელობის შეფასების უნარი

● პაციენტისთვის ინფორმაციის მიწოდება გამოკვლევის შესახებ

● გამოკვლევის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებზე კონცენტრირების უნარი

● სხვა გზებით მიღებული ინფორმაციისა და გამოკვლევის შედეგების გამოყენების უნარი დიაგნოზის ჩამოსაყალიბებლად.

3. პროფესიონალიზმის ხარისხი /კომუნიკაცია

● პაციენტთან პატივისცემით მოპყრობის უნარი

● შეკითხვების დასმასთან ერთად განმარტების მიცემის უნარი

● პაციენტის გულდასმით მოსმენის უნარი

● ურთიერთობის მტკივნეული და უხერხული მომენტების გაცნობიერების უნარი

● კონფიდენციალურობის საკითხის მნიშვნელობის გაცნობიერების უნარი

● გასინჯვის და შეკითხვების მეთოდოლოგიის პაციენტზე მორგების უნარი

4. კონსულტაციის უნარ-ჩვევები

● დიაგნოსტიკური ტესტის/მკურნალობის რაციონალობის ახსნის უნარი

● პაციენტისთვის ინფორმაციის მარტივ და გასაგებ ენაზე მიწოდების უნარი

● პაციენტის შეკითხვებზე პასუხისა და სათქმელის სხვა სიტყვებით შეცვლის/გამეორების უნარი

● პაციენტის სურვილების ამოცნობის და კონსულტაციის დროს მათი პრიორიტეტების განსაზღვრის უნარი.

● საკუთარი მოსაზრების გამოხატვისა და მიუკერძოებლობის უნარი.

5. კლინიკური განსჯის უნარი

● პოტენციურად მნიშვნელოვანი მონაცემების კლინიკური მნიშვნელობის შეფასების უნარი

● გამოკვლევისა და მართვის ოპტიმალური გეგმის განსაზღვრის უნარი

● მართვის სხვადასხვა ვარიანტის შერჩევის უნარი პაციენტის სურვილებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით

● შერჩეული მართვის/მურნალობის შესაძლო რისკებისა და სარგებლის გათვალისწინების უნარი

● არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით მტკიცე გადაწყვეტილებამდე მისვლის უნარი

6. ორგანიზებულობა / ეფექტურობა

● მონაცემთა სწრაფი და ეფექტური შეგროვების უნარი

- შესაბამისი განსჯის დემონსტრაციის უნარი
- კონსულტაციისას დროის სწორად და ეფექტურად გამოყენების უნარი.

„სუბინტერნშიფის“ ეტაპზე კლინიკური სწავლების განხორციელების პროცესში სტუდენტმა უნდა შეძლოს:

- პაციენტის ზრუნვაზე აიღოს სრული პასუხისმგებლობა და გაიაზროს ამ პასუხისმგებლობის მნიშვნელობა, დაიცვას მორალური და ეთიკური პრინციპები;
- განავითაროს პაციენტის ერთიანი მართვის უნარ-ჩვევები, პაციენტის თითოეულ პრობლემაზე ყურადღების გამახვილებით;
- რეზიდენტებთან და მკურნალ ექიმებთან დისკუსიის საშუალებით, განავითაროს პაციენტის პრობლემებისადმი რაციონალური მიდგომა, შეძლოს დიფერენციული დიაგნოზების გატარება, შესაბამისი ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული კვლევების შერჩევა ხარჯთეფექტურობის გათვალისწინებით.
- შეძლოს ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვება და რეზიდენტებთან, ექიმებთან და სხვ. პროფესიული სახის ინტერაქცია.

პროგრამაში დასახული მიზნების მისაღწევად ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- პაციენტის სტაციონარში მოთავსებისას, დაავადების ისტორიის ჩანაწერის გაკეთება და ფიზიკალური გასინჯვა.
- პაციენტის პრობლემათა ჩამონათვლისა და დიფერენციალური დიაგნოზების ჩამოყალიბება.
- არსებული სამედიცინო პრობლემებისთვის სადიაგნოზო და თერაპიული გეგმის ჩამოყალიბება.
- ყოველი ახალი შემთხვევის განხილვა რეზიდენტთან/ექიმთან/პასუხისმგებელ პირთან ერთად.
- ყოველი ახალი პაციენტის წარდგენა რეზიდენტისა თუ ექიმისთვის.
- დღეში მინიმუმ ერთი კურსუსის დაწერა ყველა პაციენტზე.
- თითოეული პაციენტის დღეში მინიმუმ ორჯერ მონახულება (დილის შემოვლამდე და საშუადღევს/საღამოს).
- გაწერის ეპიკრიზის გამზადება და გაწერის შემდგომი მეთვალყურების დაწესება.
- დღის მორიგეობა კვირაში ერთხელ და ორი ღამის მორიგეობა კურსის განმავლობაში. მორიგეობის დღეები უნდა შეუთანხმდეს მეცადინეობების განრიგს.
- შერჩეულ შემთხვევებზე პროცედურების ჩატარება (კომპეტენციის ფარგლებში).
- შემოვლებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე და კონფერენციებზე დასწრება, ყველა აქტივობაზე დასწრება და მონაწილეობა.

კლინიკური აქტივობების აღრიცხვისათვის ივსება **დღიური,** რომელშიც სტუდენტების პასუხისმგებლობები სტანდარტიზებულია შემდეგი სახით:

1. **დაკვირვება და განხილვა:** ეს შეიძლება მოიცავდეს გუნდის სხვა წევრზე დაკვირვებას ანამნეზის შეკრებისას, პროცედურის ჩატარებისას ან ფიზიკალური გამოკვლევის დროს და ა.შ.; და ავადმყოფობის ისტორიის, პათოლოგიის ან სხვა შესაბამისი კომპონენტების

2. **აქტიური მონაწილეობა მკურნალობაში:** ამ კატეგორიაში შედის დაკვირვება და მსჯელობა, მაგრამ ასევე მიანიშნებს პაციენტისთვის უფრო ქმედით კომპეტენციაზე, როგორიცაა ფიზიკალური გამოკვლევის ჩატარება და კლინიკური გამოკვლევა, ავადმყოფობის მიმდინარეობის ან ავადმყოფობის ისტორიისა და ფიზიკალური გამოკვლევების შესახებ ჩანაწერების გაკეთება, პაციენტის წარდგენა შემოვლის დროს, ავადმყოფობის ისტორიის დამუშავება და/ან პაციენტისთვის დაავადების პროფილაქტიკის შესახებ კონსულტაციის ჩატარება

3. **პროცედურის ჩატარება**: ამ კატეგორიაში შედის მკურნალობაში აქტიური მონაწილეობა და დამატებით აღინიშნება, თუკი სტუდენტი ასრულებს პროცედურას ზედამხედველობის ქვეშ.

შესრულებული პროცედურები ჩაიწერება სტუდენტის ,,პროცედურათა ჩამონათვალში'' და განიხილება კლერკშიფის ხელმძღვანელის მიერ როტაციის შუალედური შეფასების დროს.

დასკვნები

1. მინდობილი პროფესიული საქმიანობის (Entrustable Professional Activities -EPAs) დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი განათლების კლინიკური ეტაპის ინოვაციურ მეთოდად განიხილება და აქტიურად ინერგება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.
2. ექიმად ფორმირების პროცესში დასწავლა გაადვილებულია, თუ მიღებული ცოდნა გამოსადეგია და ახლოა რეალურ, ცხოვრებისეულ გარემოსთან; საექიმო საქმიანობას თავისი ემოციური ასპექტები აქვს, რაც დასწავლის პროცესზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს; დამოუკიდებელი სწავლისათვის ინდივიდს თვით-რეგულირების შესაბამისი უნარები სჭირდება, როგორიცაა ამოცანის დასახვა, სტრატეგიის შემუშავება და საკუთარ პროგრესზე თვალყურის დევნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ten Cate O. 2005. Entrustability of professional activities and competency- based training. Med Educ 39:1176–1177.
2. Ten Cate O. Entrustment as Assessment: Recognizing the Ability, the Right, and the Duty to Act. J Grad Med Educ. 2016;8(2):261-262. doi:10.4300/jgme-d-16-00097.1
3. Olle ten Cate. An updated primer on entrustable professional activities (EPAs). Revista Brasileira de educacao medica. 43. (Suppl 1), 2019, pp.712-720.
4. Carraccio C, Burke AE. 2010. Beyond competencies and milestones: Adding meaning through context. J Grad Med Educ 2:419–422.
5. Veldhuijzen W, Mogendorff K, Ram P, van der Weijden T, Elwyn G, van der Vleuten C. 2012. How doctors move from generic goals to specific communicative behavior in real practice consultations. Patient education and counseling. Thesis.

Entrusted Professional Activities - The Path from Competencies to Professionalism

Salome Voronovi, Nino Kantaria, Rima Beriashvili, Eka Ekaladze

Tbilisi State Medical University

Summary

Entrustable Professional Activities (EPAs) are a set of professional activities that can be entrusted to a student/resident to perform independently or with minimal supervision after he or she has demonstrated the competencies required to perform these activities.

The EPA concept intends to integrate different competencies within relevant and recognizable contexts and in this way to link the educational and medical worlds.

Entrustment is the clinically meaningful summative judgment based on a rich source of information about the quantity and quality of a trainee's professional performance. Granting entrustment is a clinically recognizable step that resonates with the former master- apprenticeship model.

The implementation and assessment of entrustable professional activities requires a well-thought-out syllabus, an organized clinical environment, and appropriately trained personnel.

Key words: Medical Education, Entrustable Professional Activities (EPAs)

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.20



History of Science

Georgian Radio During the Second World War and in the Years After the War

Nanuli Talakhadze[1], **Natia Nakhutsrishvili**[1], **Sandro Bakhtadze**[2]

[1]I.Javakhishvili Tbilisi State University; [2]Geoaeronavigation Company

Abstract

This paper is a continuation of the article "The Initial Stages of the History of Georgian Radio" presented by the authors. The course of World War II was widely covered by Georgian radio from the moment it began. On June 22, 1941, at 12 noon, the All-Union Radio broadcast a message from the Soviet government about the German attack on the USSR and announced general mobilization. The outbreak of the war partially eased the tension caused by repressions in the country and set new tasks for the Georgian Radio Committee. In this article, we will discuss the role of Georgian radio broadcasting in these processes.

Keywords: Georgian radio broadcasting, second world war

On June 22, 1941, at 12 noon, the All-Union Radio broadcast a message from the Soviet government about the German attack on the USSR and announced a general mobilization. The outbreak of war partially eased the tension caused by the repressions in the country and set new tasks for the Georgian Radio Committee. There were also some personnel changes - from June 1941, the chairman of the committee, Shalva Tsagareishvili, was replaced by Ioseb Rukhadze.

The resolution of the Bureau of the Central Committee of the Communist Party of Georgia "On the Work of Radio Broadcasting" of December 26, 1941 specifically states that the Georgian Radio Committee must urgently change its work in accordance with the new conditions and pay primary attention to military topics, expand collective listening to broadcasts, which is the main part of the radio's propaganda and organizational work, and establish and take care of improving technical facilities and the qualifications of specialists in a number of regions of the republic. Every word spoken on the air was subject to control, and this is evidenced by numerous government and party documents. For example, on June 16, 1942, the resolution of the Bureau of the Central Committee of the Communist Party of Georgia "On the Organization of Front Radio Broadcasting" emphasized that "radio is the Party's sharp weapon" and listed the exact plan and participants of the radio broadcast intended for the front (speech by the Chairman of the Central Committee of the Communist Party of Georgia V. Bakradze, academicians I. Beritashvili and S. Janashia, poet S. Chikovani, People's Artist of Georgia A. Khorava, as well as leading representatives of the working class, peasantry, and army, etc.).

First of all, changes were planned in news broadcasting, which was to become a source of operational information on current events. However, it was still not possible to develop an appropriate concept, which was due to the lack of qualified creative personnel and the scarcity of original materials. In addition, in terms of receiving official messages, international information and other materials, the Georgian Radio Committee was completely dependent on Sakdes, which provided these materials with a long delay and could not be transmitted immediately. The repressions carried out among the Radio Committee staff also played a negative role. As noted in the reporting report of those years: a breakthrough in the work of the Radio Committee began in the spring of 1942, when the central apparatus was cleansed of hostile elements and replenished with new workers. Ioseb Rukhadze was also replaced. The chairman of the Georgian Radio Committee was the famous film director, Honored Artist Leo Esakia, whose name is associated with the implementation of important radio broadcasting events. Until 1943, Georgian Radio began broadcasting at 7:00 a.m. from Moscow with the "Latest News", and at 7:30 a.m. the first edition of "Latest News" was broadcast in Georgian. From the second half of 1943, the situation changed and daily broadcasting began at 6:30 a.m. with the Georgian edition of "Latest News", and Georgian workers, before starting work, were given the opportunity to listen to the most important news of the day (reports of the Soviet Information Bureau, correspondence with the Patriotic War front, resolutions of the Supreme Soviet, foreign news). Over time, the radio audience, consisting of residents of cities and villages who did not know the Russian language, increased significantly.

The second event was also very important: the Georgian Radio Committee failed to receive Sakdes' materials in time, so during the war it was decided to record the Union Radio's operational information on the Shorinophone, which was immediately decoded and, after proper testing, broadcast in Georgian. This entire process lasted from 15 to 30 minutes. In an extremely short time, the most important state notices, decrees and other materials became known to everyone in Georgian. Similarly, the listeners were provided with the leading article of the newspaper "Pravda" and reviews of central newspapers. Also, the texts of speeches of leading party and Soviet workers broadcast by the Union Radio were recorded and translated on the Shorinophone, some of which were not printed in the central press. In this way, the Georgian Radio Committee provided great assistance to the editorial offices of the republic's magazines and newspapers and other propaganda organs. Part of the materials received from Moscow, which it did not use, was transferred to the republican press, where it was published under the heading: “Received through the Georgian Radio Committee”.

Before the war, attention was also focused on the material and technical base of the radio, and since 1940 it included: the transmitting radio station RV-7, four studios, equipment (amplifier, recorder, transmitter), receiving and technical control stations. Compared to previous years, the receiving center could broadcast from Moscow much better. Radio transmission networks were expanded and new radio nodes were built. A total of 34 radio stations were operating throughout the republic. On January 21, 1941, by decision of the leadership of the Georgian Radio Committee, the use of radio for international and military reviews, as well as theoretical transmission of conversations, was prohibited, except for materials sent by the Charity Committee. The local radio broadcasting trustees were instructed to "build local broadcasting only on local material and organize collective listening to lectures and reports on radio station RV-7."

In the same year, by order of the Union Radio Committee, the Propaganda and Agitation Editorial Office and the "Latest News" were merged and renamed the Political Broadcasting Editorial Office. All political materials were collected here, and the total duration of broadcasting was 3 hours and 45 minutes a day. The editing of political broadcasting, in addition to the latest reports, included: political discussion (twice a week), agricultural programs (five times a week), translation of the leading article of "Pravda", programs for young people (4 times a week). Broadcasting was carried out in four languages - Georgian, Russian,

Armenian and Azerbaijani. S. Natelashvili was appointed acting head of the United Editorial Department of Political Broadcasting, K. Mavzarashvili - editor of agricultural issues - A. Kekelia, in economics - I. Natroshvili. "Latest News" was the most operational source of information for the Georgian population and was broadcast in Georgian and Russian 6 times a day, and since 1944 - 7 times. In addition to information about the course of the war, reports were made from meetings and rallies held in various industrial establishments and collective farms, from speeches of workers at the microphone calling for the protection of Soviet achievements, as well as about the state of materials. The public economy was broadcast, assistance was provided to the families of Red Army soldiers, etc. It is noteworthy that during the war the Radio Committee received a large number of letters from listeners, including questions, responses and cards of gratitude. In the spring of 1943, an article was sent to the newspaper "Pravda" about the patriotic initiative of the Fedukinsky school, which was expressed in the care of children who went to the front. Several cards and questions were received by the editorial office of "Latest News" the very next day. In response, the radio invited the Deputy People's Commissar of Education of Georgia, M. Burchuladze, who addressed the workers of the republic. They responded to this initiative and mobilized to help the families of Red Army soldiers. It should be said that such cards were often drawn up by the editors themselves, creating the illusion that the workers were enthusiastically responding to public initiatives, although, in reality, the mass of workers and peasants was really active in this regard.

From the very first days of the war, all citizens of the USSR (except for those who had special permission to do so) were forbidden to use any radio receiver at home, except for a cable broadcast player. Everyone had to hand over their radio receivers to the state for safekeeping, and for this purpose, gigantic warehouses of radio equipment were organized throughout the Soviet Union (in 1945-1946 alone, about 1.3 million radio receivers were confiscated from their owners). Those who did not hand over their domestic radio equipment were immediately arrested. The goal of this entire campaign was to prevent ordinary citizens from receiving information other than that from Soviet radio (by the way, the same rule was in effect in fascist Germany during the war). Obviously, under such conditions of information dissemination, Soviet radio broadcasting was granted a complete monopoly, which itself was subject to censorship and control by punitive bodies and could select facts and comment on them with a bias.

Every fact or event was considered in accordance with the general propaganda task. The main slogans were: "Our cause is just! The enemy will be destroyed! We will remain! Everything for the front, everything for victory!" It was impossible to say that the Germans sometimes fight better than us, that some of their weapons are better than ours, etc. As is known, the front news was mainly provided to the radio by the specially organized "Sovinformburo" during the war years (its reports on military operations were broadcast several times a day on Georgian radio, which usually often embellished them, and sometimes grossly distorted them (especially in the first months of the war).

During the war, the number of propaganda programs on the radio significantly increased, the purpose of which was to spread the idea of the invincibility of the Soviet Union in World War II, the vanguard role of the Communist Party, the widespread propaganda of Soviet patriotism and hatred of the enemies of the Soviet country, and the strengthening of broad public support for the country's leadership and military policy pursued by the military leader. For this purpose, materials collected from the Union Radio and central or republican magazines were mainly used. For example, "The Soviet People Defend the Achievements of the Great October Revolution", "The Soviet Back is Strong", "The Power of Stalin's Prophecy", "Our Heroic Strong Army", "The destruction of German fascism is inevitable", etc. Gradually, the number of original programs increased, the authors of which were famous party and Soviet workers, political and public figures, whose words could influence radio listeners and the formation of public opinion. The radio did not leave the intelligentsia without attention either, and with a special column "Our Soviet Intelligence" invited

famous people, prominent figures of science and art to the microphone: S. Janashia, N. Ketskhoveli, N. Muskhelishvili, V. Kupradze, I. Beritashvili and others. Georgian Radio paid special attention to issues of military training, air and chemical defense ("How to destroy an enemy tank", "How to fight enemy paratroopers", "How to remove an incendiary grenade", "How to behave during an alarm", etc.).

Since 1943, when the tension at the front eased and the war entered a turning point, the radio has occupied a wider place. It was devoted to the rear workers and the coverage of various branches of the public economy. There was almost no district or village left in Georgia about which information or materials of other genres had not been disseminated. Agricultural specialists - agronomists, economists, veterinarians - appeared at the microphone. Telephone communications improved, which made it easier to connect with the districts and receive and transmit important information in a timely manner.

The financial and political campaign of the war period, the problems of realizing the Third State Military Loan, the issues of rationalization of production, mobilization of domestic resources, the economic regime, and socialist competitions were systematically covered in the cycles: “Participants' Tribune. During the general social competitions, "Advanced Enterprises at the Microphone", "General Attention and Assistance to Families at the Front", "Our Transport and Industry", special attention was paid to the Transcaucasian Railway, which did a lot for the work of the public economy and front-line services. Every Wednesday, under the rubric "Technical Propaganda", lectures-consultations and special conversations were often held for railway workers on the topic "The Second Industrial Center of Georgia", from Gori - "The Homeland of the Great Stalin", from the Avchala Champagne Factory - "Give High-Quality Champagne to the Workers", from the Lilo settlement - "Old and New Big Lilo", etc.

The Agitation and Propaganda Department of the Central Committee of the Communist Party of the Soviet Union (B.) was the main source of information, although it is difficult to say how complete and objective information it provided to listeners, since it controlled the content of radio broadcasts. Until the middle of the war, original materials depicting war and front-line events were rarely broadcast; materials collected from the Union Radio Committee and the press were mainly used. This deficit was somewhat compensated by historical themes, which were an effective means of raising patriotic spirits and manipulating national feelings. The column “Our Heroic Ancestors” was used to broadcast conversations about personalities dedicated to Georgia and heroic episodes from their lives, for example, “David the Builder and the Struggle for Georgia’s Independence”, “Vakhtang Gorgasali”, “Queen Tamar”, “Giorgi Saakadze”, “Erekle II” and others. At the same time, the rubric "The Heroic Past of the USSR" appeared, which mainly represented the history of Russia and only to a small extent the past of other republics, for example: "The Russian People in the First Patriotic War", "Battle. Borodino", "Minin and Pozharsky", "The Role of the Partisan Movement in the Patriotic War of 1812", etc.

During the war, interest in international topics especially increased. Political pamphlets were often distributed - mainly translated materials. Among them, the articles of M. Zoshchenko, V. Kataev and especially I. Ehrenburg were very popular: "Cursed Berlin", "Walking in Fritzland", "Our People are the Guarantor of This" and others. Child murderers have no place on earth, everything must be exposed and all criminals must be punished. We must dig up all the executioners, and since we value a man so much, we want all his enemies to be punished - the author's pathetic and revealing tone, uncompromising, sharp satire, raised the fighting and patriotic spirit of the people. I. Ehrenburg's articles were almost always read by announcer David Dzigua. The tone of his voice and the persuasiveness of his reading made a great impression on the listener. In addition, it should be noted the heavy language of the translated materials, faulty sentences. Georgian pamphlets and satirists had not yet appeared at the microphone. Germane

Shubitidze's pamphlet on an international topic appeared several times in radio broadcasts, although it was not distinguished by its political sharpness.

If we look at the statistical data, the number of thematic programs according to the reports of 1942 is as follows: “News about the Patriotic War Front” — 508 programs, “Soviet Rear” — 51 programs, celebration of important dates — 61 programs. , “Partisan Battle” — 14 programs. By authors: Georgian authors — 226 programs, Russian authors — 282 programs, sister republics (without Russian) — 17 programs. As can be seen from these data, the abundance of Russian-language programs is striking, which was caused by the increase in the number of Russian and non-Georgian listeners in our republic.

From the second half of 1942, the share of original programs by journalists of the Georgian Radio Committee increased significantly, which was a result of their connection with the front. Many radio correspondents themselves became eyewitnesses of the war. The resolution "On the work of military correspondents" adopted by the Propaganda and Agitation Department of the Central Committee of the CPSU (b) and the Main Political Directorate of the Red Army authorized the leadership of the press and radio broadcasting to send their own correspondents to the front, who would be enrolled in the Red Army cadres and provide materials to the relevant information media. The military correspondents were instructed to show the people on the front line, the Red Army fighters and commanders who were well versed in military equipment and combat tactics, their initiative, agility in the fight against the enemy, their hatred of the German fascists, their strength, self-sacrifice and discipline. Execution of orders from the command.

Materials by special correspondents of the radio and authors working in the army, essays on famous Georgian soldiers, episodes from the front-line life of heroes of the USSR were broadcast three times a week under the new heading "Famous Children of the Georgian People in the Patriotic War": "Georgian Street in Kremenchug", "Georgian Defenders of Stalingrad", "Captain Bukhaidze", "Georgian Guardsmen", "The Gulvardashvili Brothers", etc. In parallel, live performances of soldiers were organized at the microphone. Soldiers and officers who participated in the defense of Stalingrad, the guards of Major General Nikoloz Tavartkiladze, participants in the battles near Novorossiysk, Anapa and Taman were invited to the studio. Thus, Georgian radio broadcasting played a major role in covering the course of World War II. By the end of the 1950s, it was finally formed in technical-organizational and professional terms, with a powerful material-technical base and is engaged in broadcasting throughout the republic. Its public functions have long been defined, the specificity of radio images and on-air modifications of the journalistic genre have been mastered, and an organizational structure has been formed. In addition, it is an agency of union-republican subordination and simultaneously experiences the influence of both the unified centralized system of broadcasting and local government bodies, any changes in the state information structure. After the above-mentioned reforms, in 1978, the State Committee of Television and Radio Broadcasting of Georgia was finally formed - this name remained with it until the end of Soviet power.

ლიტერატურა

UITSSA of Georgia (archive) 1978, 258, p. 8, 19, 30, 34-35, 72.

საქართველოს ყისცა (არქივი) 1978, 258, გვ. 8, 19, 30, 34-35, 72.

Bakradze A. (1990) The taming of the literature. Tbilisi, 56.

ბაქრაძე, ა. (1990) მწერლობის მოთვინიერება. თბილისი, 56.

ქართული რადიო მეორე მსოფლიო ომის დროს და ომის შემდგომ წლებში

ნ.ტალახაძე[1], ნ.ნახუცრიშვილი[1], ს.ბახტაძე[2],

[1]ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; [2]საქაერონავიგაციის კომპანია

რეზიუმე

ნაშრომი წარმოადგენს ავტორების სტატიის „ქართული რადიოს ისტორიის საწყისი ეტაპები“ გაგრძელებას. მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობა დაწყების დღიდან ფართოდ გააშუქა ქართულმა რადიომ. 1941 წლის 22 ივნისს, შუადღის 12 საათზე, საკავშირო რადიომ საბჭოთა ხელისუფლებისგან გაავრცელა შეტყობინება სსრკ-ზე გერმანიის თავდასხმის შესახებ და გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია. ომის დაწყებამ ნაწილობრივ განმუხტა ქვეყანაში რეპრესიებით გამოწვეული დაძაბულობა და საქართველოს რადიოკომიტეტს ახალი ამოცანები დაუსვა. ამ სტატიაში განვიხილავთ ქართული რადიომაუწყებლობის როლს ამ პროცესებში.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.21



აქტინიდიის (კივი) მინერალური კვება

იზოლდა მამულაიშვილი[1]; ვახტანგ გოლიაძე[2]; დავით აფხაზავა[3], ეკატერინე გობრონიძე[4], ქეთევან ჩიკაშუა[5]

[1]სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი; [2]სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი; [3]ტექნიკის აკადემიური დოქტორი; [4]ტექნიკის აკადემიური დოქტორი; [5]ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

რეზიუმე

ნაშრომში მოცემულია დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკული ზონის პირობებში, წითელმიწა ნიადაგზე გაშენებული, აქტინიდიის განოყიერების სისტემის შემუშავების და ახალი სახის კოპლექსური სასუქების გავლენის შესწავლის მრავალწლიანი შედეგები ნიადაგსა და მცენარეში საკვები ელემენტების შემცველობაზე, მოსავლიანობასა და ნაყოფის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. სავეგეტაციო და მინდვრის ცდების პირობებში დადგენილია ნიადაგში საკვები ელემენტების ოპტიმალური შეფარდება. ახალი სახის კომპლექსური სასუქების გამოყენებით ძლიერდება მცენარის მიერ ნიადაგიდან ფოსფორის შეთვისება, იზრდება მოძრავი კალიუმის რაოდენობა, უმნიშვნელოდ იცვლება ნიადაგის პოტენციური მჟავიანობა, მცირდება ბალასტი ნივთიერებებით ნიადაგის დაბინძურების დონე. შესწავლილია ნიადაგში ძირითად საკვებ ელემენტებს შორის ურთიერთ დამოკიდებულება, რომელიც უზრუნველყოფს მოსავლიანობის ზრდას, და გავლენა ახდენს ნიადაგის სტრუქტურულ-მექანიკურ შემადგენლობაზე. ახალგაზრდა ნარგაობაში მინერალური სასუქების ოპტიმალურ თანაფარდობას წარმოადგენს აზოტის, ფოსფორის და კალიუმის ორმაგი დოზები.

საკვანძო სიტყვები: აქტინიდია, მინერალური კვება, პროდუქტიულობა, ქიმიურ-ტექნოლოგიური მახასიათებლები

შესავალი

აქტინიდია მნიშვნელოვანი ხეხილოვანი მცენარეა, რომლის ნაყოფი ხასიათდება მაღალი გემური და სამკურნალო თვისებებით. იგი შეიცავს მრავალ სასარგებლო ნივთიერებას, მათ შორის, ორგანულ მჟავეებს, ალდეჰიდებს, ფენოლერ ნაერთებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს, იოდს სამკურნალო რაოდენობით. აქტინიდიის კულტურის

გავრცელების ძირითად მალიმიტირებელი ფაქტორია მისი ყინვაგამძლეობა. ღია გრუნტში ქარის პირობებშიც კი იგი იტანს -9-12 ^{0} C, იღუპება -15-16^0 C - ზე [1 - 6].

აქტინიდიის კულტურაზე თანმიმდევრული, გეგმაზომიერი კვლევითი და ტექნოლოგიური ხასიათის სამუშაოები დაწყებულია 1979 წლიდან ინსტიტუტის განთავსების ადგილზე ოზურგეთში, ანასეულში, ხოლო შემდეგ ეტაპზე მის საცდელ ბაზებზე (ჩაქვი, ფოთი, სოხუმი).

მცენარის კვებაში უაღრესად მნიშვნელოვანია ნიადაგიდან საკვები ელემენტების შეთვისება, რომელიც ელემენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულებით განისაზღვრება. ეს მაჩვენებელი იცვლება მცენარის სახეობის, ნიადაგური პირობების, განვითარების ფაზების და გარემო პირობების მიხედვით. კვების ელემენტების მიმართ აქტინიდია ხასიათდება მაღალი მოთხოვნილებით, რაც გაპირობებულია მისი ბიომასით და ანასხლავი მასალის მიერ ნიადაგიდან საკვები ელემენტების დიდი რაოდენობით გამოტანით [3].

საკვები ელემენტების მიმართ აქტინიდიის კულტურის მოთხოვნის შესწავლა წითელმიწა ნიადაგების პირობებში აქტუალურია და ამ მიმართულებით მრავალწლიანი, თანმიმდევრული კვლევა პირველად არის ჩატარებული.

კვლევის მიზანია:

- ძირითადი საკვები ელემენტების მიმართ აქტინიდიის მოთხოვნილების, ზრდის დინამიკის და განვითარების ფაზების შესწავლა;
- მცენარის პროდუქტიულობაზე მინერალური სასუქების (NPK) შეფარდებისა და დოზების გავლენის დადგენა სავეგეტაციო და ლაბორატორიული ცდის პირობებში;
- ახალი სახის ხსნადი კომპლექსური სასუქების გავლენის შესწავლა აქტინიდიის მოსავლიანობაზე, ნედლეულის ქიმიურ და ტექნოლოგიურ მახასიათებლებზე მინდვრის ცდის პირობებში.

კვლევის ობიექტი და მეთოდიკა

კვლევები ჩატარდა ანასეულში, წითელმიწა ნიადაგზე, 2008 წ. შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტით „ჰაივარდის“ ჯიშის აქტინიდიით გაშენებულ საცდელი ნაკვეთზე. ჯიში „ჰაივარდი“კარგად ეგუება საქართველოს სუბტროპიკული ზონის ბუნებრივ-ეკოლოგიურ პირობებს. ლაბორატორიული, სავეგეტაციო და მინდვრის, ცდები ჩატარდა აგროქიმიური კვლევების მეთოდიკის სრული დაცვით, მოქმედი სტანდარტებით და აღიარებული მეთოდების გამოყენებით.

კვლევის შედეგები და მათი განხილვა

მრავალწლიანი ექსპერიმენტალური მონაცემების საფუძველზე დადგენილი იქნა აქტინიდიის ზრდა-განვითარების აუცილებელი პირობები: მცენარის ჯიში და გაადგილება, ქარსაფარი ზოლების არსებობა ან მოწყობა, მოვლითი ღონისძიებები - ნიადაგის დამუშავება, საკვები ელემენტებით უზრუნველყოფა, მინერალური სასუქების ოპტიმალური დოზები და ფორმები, შეტანის ვადები და ხერხები, მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლა, ნიადაგში წყლისა და თერმული რეჟიმის რეგულირება.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ აქტინიდია ხასიათდება კვების ელემენტების მიმართ მაღალი მოთხოვნილებით, რაც გაპირობებულია მცენარის ქსოვილებში კვების ელემენტების ოპტიმალური კონცენტრაციით და მოსავლიანობით.

სავეგეტაციო ცდები ჩატარდა 7კგ ტევადობის ჭურჭლებში. აზოტიანი სასუქებიდან ცდაში ისწავლებოდა ამონიუმის გვარჯილა, ფოსფორიანი სასუქებიდან -სუპერფოსფატი, კალიუმიანი სასუქებიდან - კალიუმის სულფატი. ვინაიდან მცენარე მეტად მგრძნობიარეა ქლორის ნაერთების მიმართ. მინერალური სასუქები შეტანილი იქნა დაბალი, საშუალო და მაღალი კონცენტრაციებით (გ/1000 გ ნიადაგი): აზოტი - 0,05-0,1-0,2, ფოსფორი 0,025-0,05-0,1, კალიუმი - 0,05-0,1-0,2. ნიადაგი, რომელიც გამოყენებული იყო სავეგეტაციო ცდებისთვის ხასიათდება ჰუმუსის, საერთო აზოტის, მოძრავი ფოსფორისა და კალიუმის დაბალი შემცველობით, ნიადაგის არის რეაქცია მჟავეა, გაცვლითი მჟავიანობის მაჩვენებელი ტოლია 3,25 მგ/ექვ. 100 გ ნიადაგში. კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილებში 1 – 4 და სურათებზე 1 - 3. ექსპერიმენტულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ზრდის პირველ ფაზაში მცენარე მეტად მომთხოვნია ფოსფორისა და კალიუმის მიმართ, ხოლო შემდგომ პერიოდში მოთხოვნილება იზრდება აზოტზე. საკვები ელემენტების ოპტიმალურ თანაფარდობას წარმოადგენს აზოტის, ფოსფორის და კალიუმის ორმაგი დოზები. შემდგომი მატება იწვევს მცენარის ბიომასის და მორფოლოგიური ელემენტების შემცირებას. მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ ზრდასრულ ასაკში სასუქების შეტანის ვადები დიფერენცირებული უნდა იყოს მცენარის ასაკის, ნიადაგსა და მცენარეში საკვები ელემენტების შემცველობის მიხედვით.

საცდელი ნაკვეთის გაშენების პირველ წელს აზოტიანი სასუქების შეტანა ხდებოდა წილადობრივად: პირველი შეტანა ვეგეტაციის დაწყებამდე, არაუგვიანეს ორი თვით ადრე, შემდგომ წლებში დასაწყისი თებერვალი და მაისის ჩათვლით ამოიუმის გვარჯილა ან შარდოვანა N 300-400 გ/ხეზე, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები, დოზა სუპერფოსფატის $P_2O_5$150 გ/ხეზე, კალიუმიანი სასუქები K_2O 180 გ/ხეზე. შეტანის დრო თებერვლის დასაწყისი ერთჯერადი შეტანით.

ცხრილი 1. წითელმიწა ნიადაგის პირობებში ცალკეული საკვები ელემენტების გავლენა აქტინიდიის მორფოლოგიურ ელემენტებზე

#	ვარიანტები	მორფოლოგიურ ელემენტები, გ			მთლიანი მასა	
		ფოთოლი	ღერო	ფესვი	გ	%
1	უსასუქო	4,46	2,97	6,83	14,26	100
2	N	7,2	3,6	11,6	22,4	157,1
3	P	14,5	10,5	13,9	38,9	272,7
4	K	14,8	6,3	14,5	35,6	249,6
5	PK	16,1	9,3	16,1	41,5	291,0
6	NK	7,87	5,57	8,9	23,34	156,6
7	NP	4,2	3,2	10,2	17,6	123,4
8	NPK	10,56	18,8	14,5	43,86	307,5

ცხრილი 2. წითელმიწა ნიადაგის პირობებში აქტინიდიის მორფოლოგიურ ელემენტებზე აზოტიანი სასუქების დოზების გავლენა

#	ვარიანტები	მორფოლოგიური ელემენტები, გ			მთლიანი მასა	
		ფოთლის წონა	ღეროს წონა	ფესვის წონა	გ	%
1	უსასუქო	4,46	2,97	6,83	14,26	35,83
2	PK-ფონი	16,1	9,3	14,4	39,9	100
3	$PK+N_1$	26,8	22,5	40,0	88,6	222,6
4	$PK+N_2$	29,94	26,10	34,67	90,71	227,9
5	$PK+N_3$	24,5	15,5	38,9	78,9	198,9

კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ აქტინიდია დადებითად რეაგირებს ნიადაგში აზოტით, ფოსფორით და კალიუმით უზრუნველყოფის დონის ზრდის მიმართ, პროდუქტიულობის მაქსიმალური მატება მიიღება N_2 P_2 K_2 ვარიანტზე და დადებითად მოქმედებს ნაყოფის სტრუქტურულ-მექანიკურ შემადგენლობაზე. სავეგეტაციო პერიოდში მცენარის ზრდის დინამიკაზე დაკვირვების შედეგებმა აჩვენა, რომ მინერალური სასუქების ოპტიმალური დოზით გამოყენება მცენარის ბიომასის მაჩვენებელს 207,5 %-ით ზრდით, ამავდროულად უზრუნველყოფს ნიადაგის ნაყოფიერების დონის ზრდას. ნიადაგში ხდება საკვები ნივთიერებების ბალანსის შენარჩუნება, ვლინდება საუკეთესო შესაბამისობა ძირითად საკვებ ელემენტებს შორის, როგორიცაა - ნიადაგის მჟავიანობა - 5,6-ის ტოლია, მოძრავი ფოსფორი P_2O_5 36,6 მგ/100 გ ნიადაგში, მოძრავი კალიუმი K_2O - 20,5, კალციუმი CaO 126,5, მაგნიუმი MgO- 62,0 მგ/100 გ ნიადაგში. საერთო ჰუმუსი 3,6, საერთო აზოტი 0,25 %. კორელაციურ მდგომარეობაშია მცენარის ფოთლებში აღნიშნული საკვები ელემენტების შემცველობა. საერთო აზოტი N 3-4 %-ის ფარგლებშია, ფოსფორი - 0,42 %, კალიუმი - 1,0 %. ამ პარამეტრების ოპტიმიზაციამ გამოიწვია როგორც მოსავლიანობის, ასევე მორფოლოგიურ, სტრუქტურული და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება.

ცხრილი 3. წითელმიწა ნიადაგის პირობებში აქტინიდიის მორფოლოგიურ ელემენტებზე ფოსფორიანი სასუქების დოზების გავლენა

#	ვარიანტები	მორფოლოგიური ელემენტები, გ			მთლიანი მასა	
		ფოთლის წონა	ღეროს წონა	ფესვის წონა	გ	%
1	უსასუქო	4,46	2,97	6,83	14,26	63,84
2	NK-ფონი	7,87	5,57	8,9	22,34	100

3	NK + P_1	23,3	12,25	18,6	54,15	242,4
4	NK + P_2	28,3	17,54	20,34	66,18	296,24
5	NK + P_3	12,27	15,7	20,25	48,15	215,85

ცხრილი 4. წითელმიწა ნიადაგის პირობებში აქტინიდიის მორფოლოგიურ ელემენტებზე კალიუმიანი სასუქების დოზების გავლენა

#	ვარიანტები	მორფოლოგიური ელემენტები, გ			მთლიანი მასა	
		ფოთლის წონა	ღეროს წონა	ფესვის წონა	გ	%
1	უსასუქო	4,46	2,97	6,83	14,26	81,03
2	NP-ფონი	4,2	3,2	10,2	17,6	100
3	NP + K_1	16,8	8,67	15,97	41,4	232,23
4	NP + K_2	22,67	7,5	21,34	57,51	292,7
5	NP + K_3	7,07	3,05	17,14	27,3	155,12

მაღალი და სტაბილური მოსავლის მიღების სრულყოფილი აგროტექნიკური ღონისძიება ითვალისწინებს მცენარის უზრუნველყოფას ძირითადი საკვები ელემენტებით (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, გოგირდი) და მიკროელემენტებითა (მანგანუმი, ბორი, მოლიბდენი, თუთია, რკინა, სპილენძი და სხვ.).

წყალში ხსნადი NPK Agialis სასუქები იდეალურია ხეხილოვანი და კენკროვანი კულტურებისათვის, ადვილად შესათვისებელია, გაცილებით სწრაფად მოქმედებს, ეს არის სხვადასხვა მაკრო და მიკროელემენეტებისაგან შემდგარი ნაკრები, რომელიც დამატებით გამდიდრებულია მიკროელემენტებით რკინა (Fe), ბორი (B), თუთია (Zn), მოლიბდენი (Mo) და მანგანუმი (Mn). წყალში ხსნად სასუქებში მიკროელემენტები ჩართულია ხელატური ფორმით, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ შეთვისებას მცენარის მიერ მათში არ შედის ქლორი, ნატრიუმი, ფტორი და სხვა ბალასტი ნივთიერებები.

ცდების დაყენებამდე ნიადაგის წინასწარმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ საცდელი ნაკვეთის ნიადაგი მჟავეა, PH წყლის გამონაწურში 5,4 ტოლია, KCL მარილის გამონაწურში 4,6; გაცვლითი მჟავიანობა 5,32 მგ/ექვ. 100 გ ნიადაგში, მოძრავი ფოსფორი - 7,5 მგ/100 გ ნიადაგში, მოძრავი კალიუმი - 6,0 მგ/100 ნიადაგში, საერთო ჰუმუსი 1,45 %, საერთო აზოტი - 0,125 %. ანალიზის შედეგებიდან ჩანს, რომ ნიადაგი საკვები ელემენტების შემცველობის მხრივ დაბალი უზრუნველყოფით ხასიათდება. ცდები ჩატარდა ოთხჯერადი განმეორებით.

ცდის სქემა: კონტროლი სტანდარტული ტექნოლოგია (შარდოვანა კარბამიდი, ერთდროული შეტანა 50 კგ/ჰა დოზით).

ვარიანტი 1. პირველი გამოკვება NPK -13-40-13+მე. მეორე გამოკვება NPK -20-20-20+მე; მესამე გამოკვება - NPK -20-20-20+მე; მეოთხე გამოკვება - NPK -20-20-20+მე; მეხუთე გამოკვება - NPK -6-14-35+2MgO+მე; მექვსე გამოკვება - NPK -20-20-20+მე; მეშვიდე გამოკვება - NPK -6-14-35+2MgO+მე; მერვე გამოკვება - NPK -20-20-20+მე; მეცხრე გამოკვება - NPK -20-20-20+მე; მეათე გამოკვება - NPK -20-20-20+მე; მეთერთმეტე გამოკვება - NPK -20-20-20+მე;; მეთორმეტე გამოკვება NPK -13-40-13+მე.

ვარიანტი 2. პირველი გამოკვება NPK -13-40-13+მე. მეორე გამოკვება NPK -18-18-18+3MgO+მე; მესამე გამოკვება - NPK -18-18-18+3MgO+მე; მეოთხე გამოკვება - NPK -18-18-18+3MgO+მე; მეხუთე გამოკვება - NPK -6-14-35+2MgO+მე; მექვსე - NPK -18-18-18+3MgO+მე; მეშვიდე გამოკვება - NPK -6-14-35+2MgO+მე; მერვე გამოკვება - NPK -18-18-18+3MgO+მე; მეცხრე გამოკვება - NPK -20-20-20+მე; მეათე გამოკვება - NPK -20-20-20+მე; მეთერთმეტე გამოკვება - NPK -20-20-20+მე; მეთორმეტე გამოკვება NPK -13-40-13+მე.

ცხრილი 5. ახალი სახის კომპლექსური სასუქების გავლენა აქტინიდიის პროდუქტიულობაზე (წითელმიწა, ანასეული)

#	ვარიანტები	მოსავლიანობა		მატება კონტროლთან	
		კგ/ჰა	%	კგ/ჰა	%
1	კონტროლი	14244,3	100	-	-
2	ვარიანტი 1	18992,4	133,34	4748,1	33,3
3	ვარიანტი 2	16826,6	118,13	2582,3	18,13

ცხრილი 6. ახალი სახის კომპლექსური სასუქების გავლენა აქტინიდიის მოსავლიანობასა და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე

#	ვარიანტები	მოსავლი-ანობა კგ/ხეზე	საშუა-ლო წონა, გ	ნაყოფის დიამეტრი მმ	ნაყოფის განი, მმ	მშრალი ნივ-ბა %	ვიტა-მინ C მგ/%	შაქრე-ბის ჯამი, %
1	კონტროლი	17,1	68,5	30-40	60-75	16,2	118,0	10,7
2	ვარიანტი 1	22,8	93,3	40-50	90-100	17,0	132,5	10,95
3	ვარიანტი 2	20,2	80,2	36,40	70-86	16,8	119,7	10,82

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ახალი სახის კომპლექსური სასუქების ოთხივე ფორმის გამოყენებამ აჩვენა მაღალი შედეგი, მოსავლიანობის და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდის მიხედვით (ცხრილები 5 და 6). ცდის პირველი ვარიანტის შემთხვევაში მოსავლიანობის მატებამ მაჩვენებელმა შეადგინა 33,3%-ია (აბსოლუტური მნიშვნელობით

2582,3 კგ/ჰა). ერთი მცენარის მაჩვენებელის მიხედვით - 5,7-3,1 კგ-ით გაიზარდა საკონტროლო ვარიანტთან შედარებით. ასევე მნიშვნელოვანია ნაყოფის სტრუქტურულ-მორფოლოგიური და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა: საშუალო წონა, ნაყოფის დიამეტრი, ნაყოფის ზომები, მშრალი ნივთიერება, ვიტამინი C, ნახშირწყლები.

ცხრილი 7. ახალი სახის კომპლექსური სასუქების გავლენა აქტინიდიის პლანტაციის წითელმიწა ნიადაგის აგროქიმიურ მაჩვენებლებზე

ვარიანტები	ნიმუშების აღების სიღრმე, სმ	pH სუსპენ-ზიაში		მგ/ექვ. 100 გ ნიადაგში		მგ100 გ ნიადაგში		%			C/N
		H_2O	KCL	ჰიდრ.	მთანთქმული ფუძეების ჯამი	P_2O_5	K_2O	ჰუმუსი	აზოტი	C	
კონტროლი	0-15	5,2	4,5	3,2	29,3	15,63	12,34	1,53	0,12	0,89	7,2
	15-30	5,8	4,9	3,38	30,5	14,38	9,0	1,4	0,09	0,82	9,12
	30-45	5,8	5,0	3,39	38,2	13,75	7,5	1,23	0,08	0,72	8,78
ვარიანტი 1	0-15	5,2	4,7	2,94	28,0	19,13	26,0	1,63	0,17	1,53	9,0
	15-30	5,2	4,8	3,08	30,0	16,25	21,75	1,53	0,10	0,89	8,48
	30-45	5,32	4,8	3,38	32,0	13,75	19,5	1,17	0,08	0,69	8,92
ვარიანტი 2	0-15	5,7	4,9	3,54	29,5	17,5	15,0	2,24	0,14	5,13	9,04
	15-30	5,8	5,0	3,43	29,0	14,38	15,5	1,98	0,13	1,16	8,93
	30-45	5,8	5,0	3,5	30,5	13,38	13,5	1,72	0,11	1,0	9,09

ახალი სახის კომპლექსური სასუქების გამოყენება მეცნიერულად დასაბუთებული სისტემით იწვევს ნიადაგში საკვები ელემენტების ოპტიმალურ კონცენტრირებას, რომელიც ძირითადი ფაქტორია მოსავლიანობის ზრდის. კვლევის შედეგებიდან ვლინდება (ცხრილი 7), რომ მათი გამოყენებით ნიადაგის მჟავიანობა მკვეთრად არ იცვლება, იზრდება ფოსფორის და კალიუმის გამოყენება მცენარის მიერ, იცვლება ნიადაგის პოტენციური მჟავიანობის მაჩვენებლები, აღინიშნება საერთო ჰუმუსისა და აზოტის მატების ტენდენცია, მინერალური სასუქების გამოყენება (3,94%) ზრდის აზოტისა და ორგანული ნახშირბადის რაოდენობას, რომელიც წარმოადგენს ნიადაგში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესების ინდექსს.

დასკვნები:

1. დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკული ზონის აგროეკოლოგიური და აგრომეტეოროლოგიური პირობები სრულ შესაბამისბაშია აქტინიდიის კულტივირების მოთხოვნებთა.

2. შემუშავებულია აქტინიდიის მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგია, განოყიერების რაციონალური სისტემა, მინერალური სასუქების ოპტიმალური დოზები და ფორმები მცენარის ასაკის და საკვები ელემენტების შემცველობის მიხედვით ნიადაგსა და მცენარეში. დასაბუთებულია ახალი სახის წყალში ხსნადი კომპლექსური სასუქების NPK Agialis გავლენა მცენარის მოსავლიანობაზე, ნიადაგის თვისებაზე და ნედლეულის ქიმიურ-ტექნოლოგიურ მახასიათებლებზე. კალიუმის მაღალი შემცველობის სასუქის NPK-6-14-35+2MgO+მე გამოყენება ნაყოფის ფორმირების პროცესში დადებითად მოქმედებს მოსავლიანობაზე, ნაყოფის ზომებზე, შაქრიანობასა დშენახვისუნარია-ნობაზე.

3. შემოშავებულია რეკომენდაცია „დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის წითელმიწა ნიადაგების პირობებში აქტინიდიის კულტურის მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგია და განოყიერების სისტემა“, რომელიც ხელმისაწვდომია მეურნეობებსა და კერძო ბიზნესისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შ. გოლიაძე. აქტინიდია ანასეულში. სუბტროპიკული კულტურები, #5, 1989. გვ. 103-109.

2. ვ. გოლიაძე, ზ. გაბრიჩიძე, ი. მამულაიშვილი. ჩინური აქტინიდია (კივი) ბიოლოგია და აგროტექნოლოგია. 2008. გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 84

3. ა. მესხიძე. აქტინიდია კვება-განოყიერების სისტემა, კვების რეჟიმის დარღვევის დიაგნოსტიკა. ოზურგეთი-ანასეული, 2003, გვ. 63.

4. გ. გვიჩია, დ. გაბისონია. აქტინიდიის კულტურა და მისი გავრცელების შესაძლებლობა საქართველოში. ჟ. სუბტროპიკული კულტურები, #3, 1990, გვ. 121-123.

5. დ. აფხაზავა ვ. გოლიაძე, ც. ქაშაკაშვილი. კივის რედუქციური ფორმების ნაყოფის ქიმიურ-ტექნოლოგიური მაჩვენებლები. ჟ. სუბტროპიკული კულტურები, #1-4, 2007, გვ. 45-46.

5. ი. მამულაიშვილი, ვ. გოლიაძე. აქტინიდიის მოთხოვნები საკვებ ელემენტებზე წითელმიწა ნიადაგზე. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. ქუთაისი, 2015, გვ. 408-411.

6. Ahmet Celik, Sezal Ercisili, Nihat Turcut – Some physical, pormological and nutritional properties of Kivi fruit cv Haywarel. International Journal of food sciences Nutrition. September 2007. 58 (6) 411-418.

Mineral feeding of Actinidia (kiwi)

Izolda Mamulaishvili[1], Vakhtang Goliadze[2]; David Apkhazava[3]; Ekaterine Gobronidze[4]; Ketevan Chikashua[5]

[1]Academic Doctor of Agricultural Sciences; [2]Academic Doctor of Agricultural Sciences; [3]Academic Doctor of Technical Sciences; [4]Academic Doctor of Technical Sciences; [5]Academic Doctor of Biological Sciences

Institute of Subtropical Tea Grops and Tea Industry of Georgia Agrarian University

Abstract

The article presents the results of many years of developing a fertilization system for actinidia grown on red soil in the humid subtropical zone of Western Georgia and studying the impact of new types of complex fertilizers on the content of nutrient elements in the soil and plant, yield, and fruit quality indicators. The optimal ratio of nutrient elements in the soil has been determined under vegetation and field trials. The use of new types of complex fertilizers enhances the absorption of phosphorus from the soil by plants, increases the amount of mobile potassium, slightly changes the potential acidity of the soil, and reduces the level of soil pollution with ballast substances. The interrelationship between the main nutrient elements in the soil, which ensures increased yield and influences the structural and mechanical composition of the soil, has been studied. The optimal ratio of mineral fertilizers for young plants is double doses of nitrogen, phosphorus, and potassium.

Keywords: actinidia, mineral nutrition, productivity, chemical-technological characteristics



სურ. 1. წითელმიწა პირობებში აქტინიდიის მორფოლოგიურ ელემენტებზე აზოტიანი სასუქების გავლენა (სავეგეტაციო ცდა, ანასეული)



სურ. 2. წითელმიწა ნიადაგის პირობებში აქტინიდიის მორფოლოგიურ ელემენტებზე ფოსფორიანი სასუქები დოზების გავლენა



სურ. 3. წითელმიწა ნიადაგის პირობებში მორფოლოგიურ ელემენტებზე კალიუმიანი სასუქების გავლენა



სურ. კივის ნაყოფი

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.22



მარკეტინგ-მიქსის კონცეფცია რეგიონალური მარკეტინგის ჭრილში

კუპრაშვილი თენგიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკის აკადემიური დოქტორი E-mail: tengiz.kuprashvili@atsu.edu.ge

აბსტრაქტი

სტატია ეძღვნება თანამედროვე ქვეყნის რეგიონების მიერ მენეჯმენტში მარკეტინგული მიდგომის გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. მასში განსაზღვრულია ტერიტორიული მარკეტინგის არსი, ასევე განსხვავებულია და დეტალურადაა განხილული რეგიონული მარკეტინგი, მარკეტინგული მიქსის ელემენტები, კერძოდ:

1. რეგიონული პროდუქტი.
2. სახელშეკრულებო პოლიტიკა;
3. საკომუნიკაციო პოლიტიკა;

კვლევის შედეგად, შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: რეგიონული მარკეტინგული მარკეტინგ-მიქსის კონცეფციის არსი მდგომარეობს რეგიონის ტერიტორიის მარკეტინგის სისტემატურ მიდგომაში, რეგიონული მარკეტინგული მიქსის ელემენტების სტრუქტურირებაში და მათ ფრთხილად შემუშავებაში შემდგომი წარმატებული განხორციელების მიზნით. მარკეტინგის მიქსის კონცეფციის რეგიონალურ მარკეტინგში გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობაა თანამედროვე საბაზრო ინსტრუმენტების გამოყენება რეგიონული განვითარების უზრუნველსაყოფად, რაც შეამცირებს სახელმწიფოს როლს ეკონომიკაში და დაამყარებს რეგიონული ეკონომიკის თვითრეგულირებას, რაც გაზრდის რეგიონული მართვის ეფექტურობა და ქვეყნის რეგიონების კონკურენტუნარიანობა გლობალურ დონეზე.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგული მიქსის კონცეფცია, რეგიონული მარკეტინგი, ტერიტორიული მარკეტინგი, მსოფლიო კონკურენცია.

22.Seaweed in skincare is incredible and versatile. Helenatur. https://www.helenatur.com › Blog.
23.Surabhi Josh, Roshani Kumari,Vivek N. Upasan Applications of Algae in Cosmetics: An Overview International Journal of Innovative Research in Science, Engineering and Technology, 2018,Vol. 7, Issue 2, P. 1269 -1279.
24.Seaweed Powder: A Fresh Catch for Beauty Routines New Directions Aromatics https://www.new direction aromatics.com › blog › all-abo... 2021.
25.Edinson Yara-Varón, Ying Li, Mercè Balcells, Ramon Canela-Garayoa et al.. Vegetable Oils as Alternative Solvents for Green Oleo-Extraction, Purification and Formulation of Food and Natural Products .Molecules. 2017 Sep. 5;22(9):1474.
26.Julie Queffelec, William Beraud, Ma Dolores Torres, Herminia Dom.Advances in obtaining ready to use extracts with natural solvents. Sustainable Chemistry and Pharmacy. Volume 38, April 2024, 10147827.
27.Panagiota-Kyriaki Revelou, Marinos Xagoraris, Athanasia Alexandro poulou, Charalabos D. Kanakis et al.. Chemometric Study of Fatty Acid Composition of Virgin Olive Oil from Four Widespread Greek Cultivars. Molecules. 2021 Jul 8;26(14):4151.
28.DimitriosE. Pavlidis, MariaChrysanthi Kafentzi, Konstantina Rekoumi, Athanasia Koliadima et al.. Turn to the wild: A comprehensive review on the chemical composition of wild olive oil.. Food Res. Int., 2024 November,Volume 196, 115038.
29.Mohamed Ayadi, Fathi Ben Amar. Fatty Acid Composition In Olive (Olea europaea. L) Oil of Progenies Obtained From Tunisian Cross Breeding Program. Journal of Arid Arboriculture and Olive Growing. 2022, Volume 1(1): p.11–23.

30.Cecilia Jimenez-Lopez, Maria Carpena, Catarina Lourenço-Lopes, Maria Gallardo-Gomez et al.. Bioactive Compounds and Quality of Extra Virgin Olive Oil .Foods. 2020, 28;9(8):1014.
31.Damián Maestri , Damián Barrionuevo ,Romina Bodoira, Adoración Zafra et al.. Nutritional profile and nutraceutical components of olive (Olea europaea L.) seeds J Food Sci Technol. 2019;56(9):4359-4370.
32.Walid Elfallehb, Majda Laajel, Imen Ennajeh et al.. Chemical Profiles and Antioxidant Activities of Leaf, Pulp, and Stone of Cultivated and Wild Olive Trees (Olea Europaea L.)
International Journal of Fruit Science. 2020, Volume 20, Issue 3,p.350-370.
33.lRifat Mehdi, Salman Raza Naqvi, Abdul Ahad Khan, Asif Ali Mirani. Optimization of olive oil extraction from olive pomace using solvent extraction and response surface methodology analysis of oil yield. Fuel, 2023, Volume 348, 128633.
34.Maria Antónia Nunes, Josman Dantas Palmeira, Diana Melo, Susana Machado et al.. Chemical Composition and Antimicrobial Activity of a New Olive Pomace Functional Ingredient. Pharmaceuticals (Basel), 2021;14(9):913.
35.Hefei Zhao, Yoonbin Kim, Roberto J. Avena-Bustillos, Nitin Nitin. Characterization of California olive pomace fractions and their in vitro antioxidant and antimicrobial activities. LWT., 2023 April,Volume 180, 114677.

On the possibility of using natural plant substances in their native form in cosmetics

Yavich P. A.*[1], Kakhetelidze M. B[2]., Kikalishvili B.Yu[3].

[1]Doctor of Pharmaceutical Sciences, Professor, Chief Researcher, Direction of BAA and Cosmetological Means Institute of Pharmacochemistry I. Kutateladze Tbilisi State Medical University [2]Doctor of Pharmacy, Senior Researcher, Institute of Pharmacochemistry I. Kutateladze Tbilisi State Medical University; [3]Doctor of Pharmacy, Chief Researcher, Institute of Pharmacochemistry I. Kutateladze Tbilisi State Medical University

Abstract.

The variants of technological operations used in the production of cosmetic, cosmeceutical and medicinal preparations are described. New trends used in their production are shown. At the same time, an approach based on reducing the number of stages of the technological cycle and simplifying the process is observed, along with the use of the maximum number of biologically active compounds available in certain types of plant raw materials. The tendency to create processes with less energy consumption, reduced production costs, more economical technologies is manifested in almost all proposed technologies.

Key words: Native, plant, algae, mineral, cosmetics, cosmeceuticals.

ბუნებრივი მცენარეული ნივთიერებების მათი ნატივური ფორმით კოსმეტიკაში გამოყენების შესაძლებლობის შესახებ

იავიჩი პავლე[1*], კახეთელიძე მზია[2], კიკალიშვილი ბელა[3]

[1]ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ი.ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ბად-ის და კოსმეტოლოგიურ საშუალებათა მიმართულების მთავარი მეცნიერ თანამშრომელი; [2]ფარმაციის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ი.ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; [3]ფარმაციის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ი.ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

რეზიუმე.

სტატიაში აღწერილია ტექნოლოგიური ოპერაციების ვარიანტები, რომლებიც გამოიყენება კოსმეტიკური, კოსმეცევტიკური და სამკურნალო პრეპარატების წარმოებაში. ნაჩვენებია მათ წარმოებაში გამოყენებული ახალი ტენდენციები. ამავდროულად, შეინიშნება ტექნოლოგიური ციკლის სტადიების რაოდენობის შემცირებასა და პროცესის გამარტივებაზე დაფუძნებული მიდგომები, მცენარეული ნედლეულის გარკვეულ სახეობებში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მაქსიმალური რაოდენობის გამოყენებასთან ერთად. თითქმის ყველა შემოთავაზებულ ტექნოლოგიაში ვლინდება ნაკლები ენერგომოხმარების, წარმოების შემცირებული ხარჯებისა და უფრო ეკონომიური ტექნოლოგიების მქონე პროცესების შექმნის ტენდენციები.

საკვანძო სიტყვები. ნატივური, მცენარეული, წყალმცენარეები, მინერალური, კოსმეტიკა, კოსმეცევტიკა.

On the possibility of using seaweeds as raw materials for producing cosmetics and cosmeceuticals (Review).

*Yavich Pavel Abramovich, Doctor of Pharmaceutical Sciences, Professor, Chief Researcher, Institute of Pharmacochemistry I. Kutateladze Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia;
P. Sarajishvili st 36 | Tbilisi, 0159; Georgia Tel: +995 592073188 E-mail p.iavichi@tsmu.edu

Kakhetelidze Mzia Bondoevna, Doctor of Pharmacy, Senior Researcher, Institute of Pharmacochemistry I. Kutateladze Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia;
P. Sarajishvili st 36 | Tbilisi, 0159; Georgia Tel:+995545763E-mail m.kakhetelidze@tsmu.edu

Kikalishvili Bela Yurevna, Doctor of Pharmacy, Chief Researcher, Chairman of the Scientific Council of the Institute of Pharmacochemistry I. Kutateladze Tbilisi State Medical University, Tbilisi,Georgia
P. Sarajishvili st 36 | Tbilisi, 0159; GeorgiaTel: +995 593319243 E-mail B.kikalishvili@tsmu.edu

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.24



ანაკლიის პორტი როგორც ენერგეტიკული ჰაბი: სტრატეგიული და ტექნოლოგიური ანალიზი

ელენე ფანცხავა[1], ჯიშკარიანი მაკა[2],
[1]საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი; [2]საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

ანაკლიის პორტის პროექტს აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვის, მათ შორის დასაქმებისა და ეკონომიკური განვითარების კუთხით. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება რეგიონული ციფრული ჰაბის შექმნა, რომელიც ერთი მხრივ, მოიცავს საერთაშორისო კავშირს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის ინფრასტრუქტურასთან, რათა დააკავშიროს ევროპა და აზია საქართველოს გავლით უმოკლეს მარშრუტით, ხოლო მეორე მხრივ, რეგიონული მონაცემთა ცენტრების შექმნას.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ამოქმედება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს ენერგეტიკულ სექტორზე, როგორც ენერგორესურსების ტრანზიტის ახალი პლატფორმა. პორტი უზრუნველყოფს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას, გაზრდის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ეფექტიანობას და ინვესტიციების მოზიდვას. გარდა ამისა, ანაკლიის პორტი ხელს შეუწყობს საქართველოს რეგიონულ ენერგეტიკულ ბაზარზე ინტეგრაციას, რაც გააძლიერებს ქვეყნის პოზიციებს საერთაშორისო ენერგეტიკულ ქსელებში და პორტი გახდება მნიშვნელოვანი სტიმული ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის და მდგრადი განვითარების პროცესებისთვის.

სტატიაში საუბარია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარების მნიშვნელობაზე, გაკეთებულია აქცენტები, თუ რამდენად შესაძლებელია პროექტი იყოს წარმატებული, კომერციულად მდგრადი და კონკურენტუნარიანი გრძელვადიან პერსპექტივაში. შესაბამისად წარმოდგენილია სტრატეგიული და ტექნოლოგიური ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: ენერგეტიკული ჰაბი, ღრმაწყლოვანი პორტი, ტრანზიტი, ენერგოუსაფრთხოება, ინფრასტრუქტურა.

საქართველო მდებარეობს სტრატეგიულად მნიშვნელოვან გეოგრაფიულ მდებარეობაზე, კერძოდ, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, შესაბამისად ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარება მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი იქნება შუა დერეფნის ინფრასტრუქტურის განვითარებაში და სერიოზული სტიმული ქვეყანაში წარმოების, საგარეო ვაჭრობის გაფართოებისა და ზოგადად ეკონომიკური ზრდისთვის. ქვეყანა მთელ სამხრეთ კავკასიის რეგიონთან ერთად შეიძლება გახდეს მთავარი სატრანზიტო კვანძი ორ კონტინენტს შორის. ამან შეიძლება უზრუნველყოს მდგრადი მშვიდობა და სტაბილურობა.

ანაკლიის პორტის ენერგეტიკული მნიშვნელობა საქართველოსთვის

- ენერგეტიკული ტვირთების ტრანზიტი: ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი გახდება რეგიონალური ჰაბი ნავთობის, გაზის, გათხევადებული ბუნებრივი გაზის(LNG), ნავთობპროდუქტების და ენერგეტიკული მოწყობილობების ტრანსპორტირებისთვის. საქართველო ამ გზით კიდევ უფრო განამტკიცებს თავის როლს ევროპა-აზიის ენერგეტიკულ დერეფანში;
- **ენერგო უსაფრთხოების გაძლირება:** პორტი გააუმჯობესებს ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდბლობას. შესაძლებელი იქნება ენერგეტიკული რესურსების დივერსიფიკაცია - მაგალითად, გაზის ახალი წყაროების შემოტანა ანაკლიის გავლით;
- **განახლებადი ენერგიის განვითარება:**პორტთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა (მაგ. მზის და ქარის სადგურები) ხელს შეუწყობს განახლებადი ენერგიის ინტეგრირებას რეგიონში;

იმისათვის, რომ საქართველოში ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტმა მიაღწიოს მის სრულ პოტენციალს და უზრუნველყოს სასიკეთო შედეგები, აუცილებელია ყოვლისმომცველი მიდგომა რისკის მართვისა და პროექტის მართვის მიმართ. საქართველოს მთავრობამ და შესაბამისმა დაინტერესებულმა მხარეებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ მყარ ინსტიტუციურ და საკანონმდებლო ჩარჩოებს. ეს მოიცავს კონტრაქტის პირობების ამომწურავი მიმოხილვის ჩატარებას, რათა უზრუნველყოს ისინი შესაბამისობაში მოყვანილ კანონებთან და საერთაშორისო ვალდებულებებთან და კომერციული შეთანხმებების კანონიერ მოთხოვნებთან მჭიდრო შესაბამისობაში მოყვანა ქვეყნის კრიტიკული აქტივების დაცვის მიზნით.


კორუფციისა და თვითდასაქმების რისკის შესამცირებლად უმნიშვნელოვანესია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა მთელი პროცესის განმავლობაში. მისი წარმატებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა იქნება პროექტის ყველა ასპექტის საქართველოს მაკროეკონომიკურ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის კერძო პარტნიორობის შესარჩევ კონკურსში გამარჯვებული ჩინეთ-სინგაპურის კონსორციუმია.რაც შეეხება გამარჯვებულ კომპანიას, ის მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა და ზოგადად ჩინეთის როლი მნიშვნელოვანია, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მისი ვაჭრობა ევროკავშირთან უახლოვდება 800 მილიარდს. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, მისი სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტისთვის.

ანაკლიის პორტით საქართველო გახდა შუა დერეფნის მთავარი აქტორი, რაც ჩვენთვის ძალიან მომგებიანია არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, არამედ ჩვენი პოლიტიკური მნიშვნელობის გაზრდის თვალსაზრისითაც.

ეს დერეფანი გამოირჩევა, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დასაკავშირებლად ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა, რომელიც გთავაზობთ საზღვაო მარშრუტთან შედარებით დროის მნიშვნელოვან უპირატესობას 20-25 დღის განმავლობაში. კერძოდ, შუა დერეფნის მეშვეობით საქართველო ჩინეთს აკავშირებს ევროპასთან და ჩინეთის საზღვრიდან ევროკავშირის ბაზარზე ტვირთის შემოტანას 15 დღემდე სჭირდება. საერთო ჯამში, შუა დერეფნის თანდაყოლილი კონკურენტუნარიანობა უზრუნველყოფს ევროპის სასიცოცხლო ბაზრებზე წვდომას.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარება წარმოადგენს საქართველოსთვის სტრატეგიულ შესაძლებლობას, არა მხოლოდ სატრანსპორტო-ლოჯისტიკური, არამედ ენერგეტიკული თვალსაზრისითაც. პორტი ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგორესურსების ტრანზიტის დივერსიფიკაციას, გაზრდის ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და მოიზიდავს ინვესტიციებს ენერგეტიკის სექტორში. მისი ფუნქციონირება გააძლიერებს საქართველოს როლს როგორც რეგიონულ ენერგეტიკულ ჰაბს, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების ახალი ეტაპის დაწყებას. სწორი მართვისა და ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის შემთხვევაში, ანაკლიის პორტი შეიძლება იქცეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საყრდენად საქართველოს ენერგეტიკულ სტრატეგიაში და მდგრად განვითარებაში.



სურ.N1. პორტის ფუნქციური კავშირი ენერგეტიკაში;

ანაკლიი პორტის ეკონომიკური მნიშვნელობა

საქართველოსთვის, როგორც მცირე და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, უმნიშვნელოვანესია ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მის გეოსტრატეგიულ უპირატესობათა ეკონომიკურ კაპიტალიზაციას. სწორედ ასეთ პროექტად უნდა მივიჩნიოთ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი ქვეყნის ეკონომიკური

განვითარებისთვის. პორტი საქართველოს შესაძლებლობას აძლევს გადაიქცეს რეგიონულ სატრანზიტო ჰაბად, რომელიც დააკავშირებს ევროპას, აზიასა და შუა აღმოსავლეთს. როგორც ღრმაწყლოვანი პორტი, ის მიიღებს დიდი ტონაჟის გემებს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ლოჯისტიკურ ხარჯებს და ზრდის ქვეყნის მიმზიდველობას როგორც სატრანსპორტო დერეფნის. პროექტი მოიზიდავს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინვესტიციებს სხვადასხვა ქვეყნებიდან. ანაკლიის პორტი ითვალისწინებს ათასობით ახალ სამუშაო ადგილის შექმნას, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ეკონომიკაზე. პორტი ხელს შეუწყობს ისეთი სექტორების განვითარებას, როგორიცაა ტვირთბრუნვა, გადამაუშავებელი მრეწველობა, აგროწარმოება და საერთაშორისო ვაჭრობა. ყოველივე ეს კი გაამყარებს ქვეყნის სტაბილურობას გლობალური კრიზისების დროს. ანაკლიის პორტი გაადვილებს ქართული პროდუქციის: ღვინო, მინერალური წყალი, თხილი თუ თაფლის გატანას საერთაშორისო ბაზრებზე.

ტექნოლოგიური ანალიზი: ანაკლიის პორტის ენერგეტიკული პოტენციალი


ანაკლიის პორტის განვითარებაში ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ტექნოლოგიური კომპონენტები წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. გათვალისწინებული უნდა იქნას როგორც ტრადიციული, ასევე ინოვაციური ენერგეტიკული ტექნოლოგიების ინტეგრაცია, რაც პორტს სესაძლებლობას მისცემს, დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი რეგიონულ ენერგეტიკულ ქსელში.

ანაკლიის პორტის ენერგეტიკული განვითარება უნდა ეფუძნებოდეს უსაფრთხო, ენერგოეფექტურ, ეკოლოგიურად პასუხისმგებელ და მაღალტექნოლოგიურ გადაწყვეტებს, რაც პორტს რეგიონული ენერგეტიკული ჰაბის ფუნქციის სრულყოფილად შესრულების საშუალებას მისცემს.

ძირითადი ტექნოლოგიური მიმართულებები:

ენერგეტიკული ტერმინალების განვითარება - პორტის ტერიტორიაზე შესაძლებელია შეიქმნას სპეციალიზებული ტერმინალები ნავთობის, ბუნებრივი აირის(LNG) და სხვა ენერგორესურსების იმპორტისა და ექსპორტისთვის. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველყოფილი იქნება ტრანსპორტირების უსაფრთხოება და ეფექტიანობა;
განახლებადი ენერგიის ინფრასტრუქტურა - პორტის ენერგომომარაგებისთვის მიზანშეწონილია მზიდ და ქარის ენერგიის გამოყენება. თანამედროვე ფოტოელექტრული სისტემების(PV) და ქარის ტურბინების ინტეგრაცია არა მხოლოდ გააუმჯობესებს ენერგოეფექტიანობას, არამედ შეამცირებს ნახშირბადის ემისიებს.
ენერგიის შენახვის სისტემები(ESS) - პორტისთვის მნიშვნელოვანია ენერგიის შენახვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს უწყვეტ ენერგომომარაგებას კრიტიკულ სიტუაციებში.
საკომუნიკაციო და მართვის სისტემები - პორტის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა უნდა აღიჭურვოს ინტელექტუალური მართვის სისტემებით, რომლებიც რეალურ დროში მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზზე იქნება ორიენტირებული, რაც ენერგიის მოხმარების ოპტიმიზაციას უზრუნველყოფს.

ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიები - ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება უნდა განხორციელდეს გარემოზე მინიმალური ზემოქმედების პრინციპით. რეკომენდებულია ეკოლოგიურად სუფთა საწვავის გამოყენება, წყლის რესურსების ეფექტური მართვა და ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვა.



დიაგრამაN1. ენერგიის ტრანზიტის მოცულობის ზრდა ანაკლიის პორტის გავლით;

აქ წარმოდგენილია ის ძირითადი შესაძლებლობები და ღონისძიებები ,რაც მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის.

რეკომენდაციები:

- ინფრასტრუქტურული განვითარება ენერგეტიკული კომპანიების გათვალისწინებით, კერძოდ: ენერგეტიკული ტერმინალების, საკაბელო სისტემების და ენერგიის შესანახი ობიექტების ინტეგრაცია;
- ენერგეტიკული დერეფნის გაძლიერება:აუცილებელია ანაკლია იქცეს ენერგორესურსების ტრანზიტის ერთ-ერთ მთავარ ჰაბად, რაც მოითხოვს სანდო და მრავალმხრივ კავშირებს ახლომდებარე ენერგეტიკულ ბაზრებთან;
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა:პორტის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა უნდა ეფუძნებოდეს განახლებადი ენერგიის გამოყენებას, ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებსა და დაბალი ნახშირბადოვანი განვითარების პრინციპებს;
- სტრატეგიული პარტნიორობა და საერთაშორისო თანამშრომლობა:
  რეკომენდებულია ნერგეტიკული კომპანიების, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და ტექნოლოგიური პარტნიორების აქტიური ჩართვა პორტის ენრგეტიკულ განვითარებაში;
- მდგრადი განვითარებისა და ეკოლოგიური სტანდარტების დაცვა:პორტის განვითარება უნდა ითვალისწინებდეს გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვის ვალდებულებას, რათა ენერგეტიკული პროექტები არ შეეწინააღმდეგოს მდგრადი განვითარების მიზნებს.

დასკვნა

საქართველო, როგორც საერთაშორისო საზოგადოების პასუხისმგებელი წევრი და შუა დერეფნის განუყოფელი ნაწილი, დიდ ინვესტიციას ახორციელებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რათა უზრუნველყოს საკმარისი შესაძლებლობები მომავალი წლებისთვის.

არსებული გამოწვევების ფონზე, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი, ე.წ. შუა დერეფანი, შესამჩნევად ჩამოყალიბდა, როგორც უსაფრთხო და საიმედო მარშრუტი ევროპასა და აზიას შორის სატვირთო გადაზიდვებისთვის. შუა დერეფანი შედგება ორი ძირითადი მარშრუტისაგან - ბაქო-თბილისი-ყარსი (BTK) სახმელეთო რკინიგზა საქართველოსა და თურქეთის რკინიგზის გავლით საქართველოსა და თურქეთთან. რითაც დამყარდება საზღვაო კავშირი ევროკავშირთან.

ანაკლიის პორტი ,,ტრანს-ევროპული სატრანსპორტო კავშირის“ სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ პროექტადაა აღიარებული, რაც მიუთითებს პორტის სატრანსპორტო და ეკონომიკურ მნიშვნელობაზე.

პორტი ხელს შეუწყობს საქართველოს რეგიონულ ენერგეტიკულ ბაზარზე ინტეგრაციას, რაც გააძლიერებს ქვეყნის პოზიციებს საერთაშორისო ენერგეტიკულ ქსელებში. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარების პარალელურად, ის გახდება მნიშვნელოვანი სტიმული ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების პროცესებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე პორტის განვითარება უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე სტანდარტებს, გრძელვადიან ენერგეტიკულ სტრატეგიასა და რეგიონულ თანამშრომლობის პრინციპებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Elene Pantskhava, M.Jishkariani, ,,Energy resources (Environmental Impact Mitigation Potential)“, International Scientific and Practical Conference, Osaka, Japan, 24-26 April 2025 ISBN 978-4-9783419-4-5, PP.171-181.
2. Elene Pantskhava, M.Jishkariani, "Decarbonization and its aspects in the energy sector" Proceedings of III International Scientific and Practical Conference Madrid, Spain 3-5 March 2025. ISBN 978-84-15927-30-3,PP.117-123.
3. Elene Pantskhava, M.Jishkariani, "Environmental Engineering - The Path to a Cleaner, Greener Future", Proceedings of IX International Scientific and Practical Conference Boston, USA 10-12 April 2025, ISBN 978-1-73981-122-8, PP.142-149.
4. ფანცხავა ელენე. 2025. “ხელოვნური ინტელექტი ენერგეტიკულ ინდუსტრიაში”. ქართველი მეცნიერები 7 (2):18-26. https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.02.
5. ფანცხავა ე., & ჯიშკარიანი მ. (2025). საერთაშორისო ურთიერთობები და ენერგეტიკის მდგრადი განვითარება. ქართველი მეცნიერები, 7(1), 408–416. https://doi.org/10.52340/gs.2025.07.01.37

6. Elene Pantskhava, M.Jishkariani, ,,Advantages of renewable energy resources and a wide range of socio-economic benefits“, 3 rd international scientific and practical conference "Scientific Achievements of modern society" (October 10-12, 2024) London, United Kingdom ISBN 978-92-9472-192-1, PP.160-166.

7. ფანცხავა ე, გვილავა ტ, ,,გენდერული თანასწორობა ენერგეტიკის სექტორში და ქალთა შესაძლებლობების ინდექსი“,ბიზნეს-ინჟინერინგი ყოველ კვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი DOI: https://doi.org/10.36073/1512-0538 N1-2, 2024 წელი, გვ.93-96.

8. ფანცხავა ე. (2025). ბლოკჩეინის, როგორც განვითარებადი, ინოვაციური ტექნოლოგიის დანერგვა მდგრადი ენერგეტიკული სისტემის წინსვლისთვის. ქართველი მეცნიერები, 7(1), 145–152. https://doi.org/10.52340/gs.2025.07.01.14

9. ფანცხავა ე., ჯიშკარიანი მ., & ჩოგოვაძე ბ. (2024). ბიოსაწვავის წარმოების აქტუალური სტრატეგიები, თერმული გამოყენების მიღწევები და შესაძლებლობები. ქართველი მეცნიერები, 6(3), 27–35. https://doi.org/10.52340/gs.2024.06.03.04

10. Elene Pantskhava, M.Jishkariani, Proceedings of VI International Scientific and Practical Conference, Vienna, Austria, 13-15 May 2024. ISBN 978-3-954754-01-4, pp143-150.

11. ფანცხავა ე., & ჯიშკარიანი მ. (2024). მწვანე წყალბადი - მდგრადი ენერგიის მომავლის გასაღები: (სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი). ქართველი მეცნიერები, 6(2), 345–354. https://doi.org/10.52340/gs.2024.06.02.36

12. Pantskhava E, Jishkariani M, ,,Renewable energies – the guarantor of the Georgian energy system sustainability”,Proceedings ofx international scientific and practical conference, June 13-15, Tokyo, Japan, 2024. pp.161-167.

13. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., ფანცხავა ე., ,,შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი - გზა საქართველოს ეკონომიკური გაჯანსარებისკენ“. მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,კულტურათაშორისი დიალოგები“, თელავი, საქართველო, 27-29 ოქტომბერი,2023 წ.გვ. 511-516.

14. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ, ფანცხავა,ე(2023, 2 – 4 აპრილი), „თანამედროვე მსოლფიო ახალი გამოწვევების წინაშე - ენერგეტიკის სექტორი“. საერთაშორისო მულტიდისციპლინარული სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე“. კვიპროსი(ლარნაკა). 59-66.

15. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ, ფანცხავა,ე. ,, საქართველოს განახლებადი რესურსებით იმპორტჩანაცვლების შესაძლებლობები და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები”,საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ,,გლობალური გამოწვევები და ეკონომიკური განვითარების მოდელების ტრანსფორმაცია» , უაკ(UDC) 338.22+62 ბ-666, N3-4 2023 წელი.გვ.127-130.

16. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ, ფანცხავა, ე. ,,რუსეთ - უკრაინის ომით განპირობებული ახალი გეოპოლიტიკური გარემოებები ევროკავშირისა და საქართველოსთვის“,V საერთაშორისო კონფერენცია ,,თანამედროვე განვითარების ეკონომიკური სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“,ქუთაისი, EISSN 2346-8203 2022წ. გვ.225-232.

17. M. Jishkariani, N. Dvalishvili, L. Kurakhchishvili. “Evaluation of Calorific of Municipal Solid Waste (MSW).” In: Ghosh S. (eds) Sustainable Waste Management: Policies and Case Studies. Springer, Singapore. 2020, pp.263-265. doi.org/10.1007/978-981-13-7071-7_23.
18. M. Jishkariani. “Criteria for Estimating Greenhouse Gas Emissions from Transport.” Georgian Technical University Proceedings #3(521). 2021, pp.59-68. doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-59-68.
19. M. Jishkariani. “Electricity Tariffs in Georgia.” Warsaw, Poland: World Science 9(49), Vol.1. 2019, pp. 20-22. doi:10.31435/rsglobal_ws/30092019/6697.
20. Z. Hasan, H.R. Mohammad, & M. Jishkariani. “Machine Learning and Data Mining Methods for Cyber Security: A Survey”, Mesopotamian Journal of CyberSecurity, vol. 2022, pp. 47–56, Nov. 2022. https://doi.org/10.58496/MJCS/2022/006.
21. M.Pitskhelauri, & M. Jishkariani, M. “Energy Management Systems (Enms) Reforms of Georgia.”Journal of Energy Engineering and Thermodynamics (JEET) #3(01), 2023, pp. 38–45. doi.org/10.55529/jeet.31.38.45.
22. Menezes, F. (2023, March 31). Explainer – The economics of green hydrogen in Australia (Part 1). Aibe.uq.edu.au. https://aibe.uq.edu.au/article/2023/03/economics-of-green-hydrogen-in-australia-part-1
23. Jishkariani, M. (2024). Assessment of Cyber Security Risks in Electrical Engineering System of Georgia. Mesopotamian Journal of Civil Engineering, 2024, 54–59. https://doi.org/10.58496/MJCE/2024/008;
24. Jishkariani, M. (2024). Herfindahl-Hirschman Index (HHI) of Georgia's Wholesale Electricity Market. Proceedings of IV International Scientific and Practical Conference. Barcelona, Spain 22-24 April 2024. P.146-154.
25. Jishkariani, M. (2024). Entrepreneurial and Innovative Environment of Energy Business. Published by Mtsignobari, ISBN 978-9941-514-18-0.

Anaklia Port as an Energy Hub: Strategic and Technological Analysis

Elene Pantskhava[1], Maka Jishkariani[2],

[1]Associate Professor, Georgian Technical University; [2]Professor at Georgian Technical University

Abstract

The Anaklia Port project has strategic importance for our country, including in terms of employment and economic development. It will be very important to create a regional digital hub, which, on the one hand, includes an international connection with fiber-optic Internet infrastructure to connect Europe and Asia via the shortest route through Georgia, and on the other hand, the creation of regional data centers.

The launch of the Anaklia Deepwater Port will have a significant impact on Georgia's energy sector as a new energy transit platform. The port will strengthen the country's energy security, increase the efficiency of energy infrastructure, and attract investments. In addition, the Anaklia Port will contribute to Georgia's integration into the regional energy market, which will strengthen the country's positions in international energy networks and the port will become an important stimulus for the country's economic growth and sustainable development processes.

The article discusses the importance of the development of the Anaklia Deepwater Port, emphasizing the feasibility of the project to be successful, commercially sustainable, and competitive in the long term. Accordingly, a strategic and technological analysis is presented.

Keywords: energy hub, deep-sea port, transit, energy security, infrastructure.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.25



ხანდაზმულობის ინსტიტუტი არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის გარანტად: სამოქალაქო სამართალწარმოების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

მარიამ მამულაძე
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა სისტემურად აანალიზებს ხანდაზმულობის ინსტიტუტს, როგორც სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობის ძირითად გარანტს. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არასრულწლოვანთა სამართლებრივი დაცვის კონტექსტში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საკითხს შეზღუდულქმედუნარიანი პირებისათვის კანონიერ წარმომადგენელთა დანიშვნამდე ან სრულწლოვანების მიღწევამდე, თუმცა არსებული ნორმატული რეგულირება თავისი არსით ვერ უზრუნველყოფს შვიდ წლამდე ასაკის იმ ქმედუუნარო ბავშვების უფლებების სრულფასოვან დაცვას, რომლებიც მშობლების მზრუნველობას მოკლებულნი არიან და რომელთათვისაც ჯერ არ არის დანიშნული კანონიერი წარმომადგენელი. აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი საჭიროებს დამატებით კვლევასა და ნორმატიული ბაზის სრულყოფას ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

საყურადღებოა კანონიერი წარმომადგენლის როლიც არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის კუთხით. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ემპირიული მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას კანონიერ წარმომადგენელთა უფლება-მოვალეობების შესახებ. განსაკუთრებით დაბალია საზოგადოებრივი ცნობიერება ხანდაზმულობის როლზე, როგორც არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის ერთ-ერთ გარანტიაზე. კვლევაში ასევე კრიტიკულად არის გაანალიზებული სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი ნორმები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკა. ნაშრომის საბოლოო მიზანია ისეთი რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებენ არასრულწლოვანთა სამოქალაქო საპროცესო უფლებების დაცვის მექანიზმებს.

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანი, ხანდაზმულობა, საუკეთესო ინტერესები, უფლებები, კანონიერი წარმომადგენელი.

შესავალი

საქართველოში განხორციელებული პროგრესული საკანონმდებლო რეფორმების შედეგად არასრულწლოვნები აღიარებულნი არიან სამართლებრივი ურთიერთობების სრულფასოვან სუბიექტებად, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან პარადიგმულ ცვლილებას ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათი ასაკობრივი და კოგნიტური განვითარების სპეციფიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, არასრულწლოვნები კვლავ საჭიროებენ განსაკუთრებულ სამართლებრივ და სოციალურ დაცვას, რომელიც ადეკვატურად უპასუხებს მათ მოწყვლადობას თანამედროვე საზოგადოებაში. ამ კონტექსტში, სახელმწიფოს აკისრია ფუნდამენტური კონსტიტუციური ვალდებულება უზრუნველყოს ბავშვთა უფლებების დაცვის მრავალგანზომილებიანი და ეფექტიანი პოლიტიკის იმპლემენტაცია. აღნიშნული მოიცავს ინტეგრირებული მიდგომის განვითარებას და აერთიანებს: პრევენციულ მექანიზმებს, რომლებიც ორიენტირებულია ბავშვთა უფლებების დარღვევის წინასწარ იდენტიფიცირებასა და აღკვეთაზე; საპროტექციო ინსტრუმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ არასრულწლოვანთა უფლებების დაცვას და რეაგირების მექანიზმებს, რომლებიც ეფექტიანად პასუხობენ არსებულ ინციდენტებს.

პარალელურად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ოჯახისა და ფართო საზოგადოების პასუხისმგებლობა განუყოფელ კომპონენტს წარმოადგენს არასრულწლოვანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. ეს მოიცავს მათ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ განვითარებაზე ზრუნვას, რაც თავის მხრივ საჭიროებს ოჯახებისა და საზოგადოების აქტიურ ჩართულობას ბავშვთა უფლებების რეალიზაციის პროცესში. შესაბამისად, ბავშვთა უფლებების დაცვა წარმოადგენს არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ სოციალურ-პოლიტიკური დღის წესრიგის პრიორიტეტს. ამ მიმართულებით აუცილებელია როგორც ნორმატიული ბაზის, ისე მისი აღსრულების პრაქტიკული მექანიზმების შემდგომი დახვეწა და ჰარმონიზაცია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციისა და ევროპული სამართლის პრინციპებთან.

თემის აქტუალობის ფონზე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რიგი პრობლემური ასპექტები, რომლებიც საკანონმდებლო ხარვეზებსა და დეფიციტურ ნორმატიულ ბაზას უკავშირდება. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი კრიტიკულ საკითხს წარმოადგენს ხანდაზმულობის ინსტიტუტის არასათანადო რეგულირება არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კონტექსტში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, თუ მოთხოვნა მომდინარეობს შეზღუდულ ქმედუნარიანისგან, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არ ჰყავს, ანდა მოთხოვნა მიმართულია აღნიშნული პირისადმი, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულად ითვლება, სანამ ეს პირი სრული ქმედუნარიანი არ გახდება ან მას კანონიერი წარმომადგენელი არ დაენიშნება.[1] ამავე კოდექსის თანახმად, შეზღუდულ ქმედუნარიანად ითვლება არასრულწლოვნები შვიდიდან თვრამეტ წლამდე.[2]

განსაკუთრებით პრობლემურია ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმა არ ვრცელდება 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებზე (მცირეწლოვნებზე), რომლებიც

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 134-ე მუხლი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი, N31, 24/07/1997.

[2] იქვე, მე-14 მუხლი.

კოდექსის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე კლასიფიცირდებიან როგორც ქმედუუნარო პირები. შესაბამისად, საკანონმდებლო ხარვეზი, რომელიც არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერებას შვიდ წლამდე ასაკის იმ არასრულწლოვანთათვის, რომლებიც მოკლებულნი არიან მშობლების მზრუნველობას და არ ჰყავთ დანიშნული კანონიერი წარმომადგენელი, წარმოადგენს მნიშვნელოვან ნორმატიულ ვაკუუმს. ეს საკანონმდებლო დეფიციტი უშუალოდ არღვევს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლის სტანდარტებით დადგენილ და გარანტირებულ ბავშვთა უფლებების დაცვის ფუნდამენტურ პრინციპებს. კერძოდ, ამგვარი საკანონმდებლო მოწესრიგება ვერ უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების პრინციპის რეალიზაციას.

გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, რომელიც წარმოადგენს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ფუნდამენტურ საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტს, მკაფიოდ განსაზღვრავს არასრულწლოვანთა უფლებას, იმოქმედონ დამოუკიდებლად, მათი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად. თუმცა, აღნიშნული კონვენცია ასევე იმპერატიულად აკისრებს სახელმწიფოებს ვალდებულებას, უზრუნველყონ თითოეული ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა, განურჩევლად მათი ასაკისა ან სხვა მახასიათებლისა.[3] იმგვარი საკანონმდებლო ხარვეზის არსებობა, რომელიც ასაკობრივი ნიშნით აშკარა უპირატესობას ანიჭებს არასრულწლოვანთა გარკვეულ ჯგუფს (მოცემულ შემთხვევაში, 7-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებს), განსხვავებულ და არახელსაყრელ პირობებში აყენებს დანარჩენ არასრულწლოვნებს (კერძოდ, 7 წლამდე ასაკის მცირეწლოვნებს). აღნიშნული ნორმატიული მიდგომა ქმნის დისკრიმინაციულ სამართლებრივ გარემოს და მნიშვნელოვნად ზღუდავს უმცროსი ასაკის არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების რეალიზების შესაძლებლობას. არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება ბავშვთა უფლებების დაცვის არა მხოლოდ საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს, კერძოდ, თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს, არამედ ეროვნული კანონმდებლობის რეფორმის დეკლარირებულ მიზნებსაც, რომელიც მიისწრაფის საერთაშორისო სტანდარტებთან საქართველოს სამართლებრივი ჩარჩოს პროგრესული ჰარმონიზაციისაკენ.

არასრულწლოვანთა უფლებების სამართლებრივი დაცვის პლურალისტურ ჭრილში ერთ-ერთ ფუნდამენტურ გამოწვევად რჩება კანონიერი წარმომადგენლის ინსტიტუტის ფუნქციური ეფექტიანობის დეფიციტი. წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა ემპირიულმა ანალიზმა ცხადყო, რომ მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები არასათანადოდ აცნობიერებენ საკუთარ სოციალურ-სამართლებრივ როლსა და პასუხისმგებლობას არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების იდენტიფიცირებისა და პრაქტიკული რეალიზების პროცესში. აღნიშნული პრობლემატიკა უმთავრესად გამოწვეულია არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლების არასაკმარისი ინფორმირებულობით იმ კომპლექსური სამართლებრივი მექანიზმებისა და პროცედურული ინსტრუმენტების შესახებ,

[3] ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები (მიღებულია 1989 წლის 20 ნოემბერს და ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს);

რომლებიც კონსტიტუციურ საფუძველს უქმნის ბავშვის უფლებების ეფექტიან იმპლემენტაციას საზოგადოებრივი ურთიერთობების მრავალფეროვან სპექტრში.

არსებული სამართლებრივი პარადიგმა, რომელიც ხანდაზმულობის ვადების დინებას არასრულწლოვანთათვის არ აჩერებს მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის არსებობის საფუძველზე, ავლენს ფუნდამენტურ კონცეპტუალურ წინააღმდეგობას თანამედროვე სამართლებრივი აზროვნების პრინციპებთან. აღნიშნული რეგულაცია ეფუძნება ფორმალისტურ პრეზუმფციას, რომლის თანახმადაც კანონიერი წარმომადგენლის ინსტიტუტი უზრუნველყოფს არასრულწლოვანის უფლებათა სათანადო დაცვას. ეს ნორმატიული კონსტრუქცია იგნორირებას უკეთებს იმ სოციალურ რეალობას, რომელშიც სამართლებრივი კულტურისა და ცნობიერების დეფიციტი განაპირობებს უფლებადაცვითი მექანიზმების არაეფექტიან იმპლემენტაციას. სამართლებრივი სისტემის ფორმალური სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს სუბსტანციურ მართლმსაჯულებას, როდესაც კანონიერი წარმომადგენლები ვერ ახორციელებენ მინდობილ უფლებამოსილებებს სათანადო ცოდნისა და გაცნობიერების გარეშე. ამგვარად, სამართლებრივი რეგულაციის ეფექტიანობა პირდაპირპროპორციულია იმ სოციალური გარემოს მზაობისა, რომელშიც მას უწევს ფუნქციონირება. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადების მოქმედების შეჩერების მექანიზმის არ არსებობა არასრულწლოვანთათვის წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნიკურ-ნორმატიულ ხარვეზს, არამედ სისტემურ პრობლემას, რომელიც საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას როგორც საკანონმდებლო, ისე საგანმანათლებლო დონეზე.

წინამდებარე ნაშრომი ასევე მოიცავს სხვადასხვა სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა ხანდაზმულობის ინსტიტუტი, როგორც სამოქალაქო საპროცესო უფლებების დაცვის მექანიზმი შედარებით-სამართლებრივი პერსპექტივიდან შეფასდეს.

წარმოდგენილი პრობლემატიკის მრავალმხრივი ანალიზის, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის ნორმატიული ბაზის კვლევისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე, ნაშრომი წარმოადგენს კონცეპტუალური რეკომენდაციების ერთობლიობას, რომელთა იმპლემენტაცია უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა სამოქალაქო საპროცესო უფლებების დაცვის მექანიზმების სუბსტანციურ გაძლიერებას.

ინტერდისციპლინური მიდგომის საფუძველზე, შემუშავებული რეკომენდაციები ორიენტირებულია არა მხოლოდ ნორმატიული ბაზის ფორმალურ მოდიფიკაციაზე, არამედ სისტემურ ცვლილებებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლებრივი დაცვის მექანიზმების პრაქტიკულ ეფექტიანობას სოციალურ-სამართლებრივი რეალობის გათვალისწინებით.

ხანდაზმულობის ინსტიტუტი: სამართლებრივი სტაბილურობის გარანტი სამოქალაქო სამართალწარმოებაში

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რა პერიოდშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, აქვს შესაძლებლობა მოითხოვოს საკუთარი

უფლებების სამართლებრივი გზით განხორციელება ან დაცვა.[4] საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ეს შეზღუდვა გამართლებულია მესამე პირების უფლების დაცვის ინტერესებით, რადგან საზოგადოებრივი ურთიერთობის სტაბილურობის ინტერესი ითხოვს ადამიანებს არ ჰქონდეს მუდმივად შიში იმისა, რომ დავის სასამართლოში განხილვისას შეიცვლება მათი სამართლებრივი მდგომარეობა.[5]

სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში სასარჩელო ხანდაზმულობა არის სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, რომელიც თვლის, რომ დაირღვა მისი კონსტიტუციური უფლებები, შეუძლია მოითხოვოს იძულებითი აღსრულება ან უფლებების დაცვა სასამართლოს მეშვეობით, სარჩელის შეტანის გზით. თუკი დარღვეული უფლებების იძულებითი დაცვის შესაძლებლობა კანონით დადგენილი ვადით არ იქნება შეზღუდული, ეს განაპირობებს სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის გართულებას, ვინაიდან დიდი ალბათობაა საქმესთან დაკავშირებული უტყუარი მტკიცებულებების დაკარგვისა, საქმეში მონაწილე პირების მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაადეკვატურად და არასრულფასოვნად აღქმისა და ა.შ. შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობა ხელს უწყობს რა სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილიზაციას, ამავდროულად ემსახურება სახელშეკრულებო დისციპლინის სიმყარეს და ეხმარება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებს თავიანთი უფლებებისა თუ ვალდებულებების დროულად და აქტიურად განხორციელებაში.[6]

ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა მდგომარეობს იმაში, რომ კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა სამართლებრივი მექანიზმებით იძულებით აღსრულებას ვეღარ დაექვემდებარება, შესაბამისად უფლების რეალიზება სრულად დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნებაზე.[7]

მართალია, ხანდაზმულობა უნდა ემსახურებოდეს მოთხოვნის არსებობისა და მისი აღსრულების განუსაზღვრელობის დასრულებას, თუმცა მნიშვნელოვანია, რა ვადის დადგენა იქნება კონკრეტული მიზნის მისაღწევად ეფექტური,[8] განსაკუთრებით კი მაშინ როდესაც სახეზე გვაქვს სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ერთ-ერთ მხარედ მაინც გვევლინება არასრულწლოვანი.

---

[4] ახალაძე მ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებები სამოქალაქო სამართალში, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2022, 16.

[5] კილაძე ს., ტურავა პ., ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები, თბილისი, იურისტების სამყარო, 2021, 276.

[6] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 დეკემბრის Nას-266-254-2013 გადაწყვეტილება.

[7]კობალაძე ლ., ხანდაზმულობის ვადა, CONTRA LEGEM ინტერპრეტაცია და ერთი საინტერესო გადაწყვეტილება ქართული სამოქალაქო სამართალწარმოების პრაქტიკიდან, სამართლის მეთოდები, N5, 2021, 191.

[8]მახათაძე ნ., სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის გავლენა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობაზე, სამართლის ჟურნალი, N1, 2019, 68.

სამოქალაქო კანონმდებლობა ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს.[9] მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი მიიჩნევა დრო როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.[10] აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესისგან განსხვავებული რეგულაციები გვხვდება ხანდაზმულობის ვადის დინების დაწყებაზე, როდესაც მოთხოვნა მომდინარეობს არასრულწლოვანისგან ან მიმართულია მისკენ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი[11] არასრულწლოვნებს ჰყოფს ორ ჯგუფად, პირველში ერთიანდება 7-დან 18 წლამდე მოზარდები, რომლებიც მოკლებული არიან მშობლების მზრუნველობას და ჯერ კიდე არ ჰყავს დანიშნული კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო მეორე ჯგუფში ერთიანდება - ამავე ასაკობრივი კატეგორიის ის ბავშვები, რომლებსაც ჰყავთ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. პირველ შემთხვევაში, კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერებას მოზარდის სრულწლოვანების მიღწევამდე ან კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნამდე. მეორე შემთხვევაში კი ხანდაზმულობის ვადა არ ჩერდება.

ზემოაღნიშნული ნორმის მიზანი იმ პირთა ინტერესების დაცვაა, რომელთაც ობიექტურად, პატივსადები დამაბრკოლებელი გარემოებების გამო (ასაკი, ჯანმრთელობა, ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები) საკუთარი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების დამოუკიდებლად განხორციელება არ შეუძლიათ. ამავდროულად, ნორმა ხანდაზმულობისაგან იცავს იმ კრედიტორის უფლებასაც, რომელსაც მოთხოვნა აქვს შეზღუდულ ქმედუნარიანი პირის მიმართ, ხოლო ამ უკანასკნელს კანონიერი წარმომადგენელი ან მხარდამჭერი დანიშნული არ ჰყავს. დადგენილი წესი არ გამოიყენება არასრულწლოვან ბავშვებთან მიმართებით, რომელთაც მშობლები (მშობელი) ჰყავთ, ვინაიდან მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში.[12]

სამოქალაქო კოდექსის 134-ე მუხლი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ 7 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვნებზე, შესაბამისად, კანონის რეგულაციის მიღმა რჩება 7 წლამდე ასაკის მცირეწლოვანი ბავშვები, რომლებსაც ასაკობრივი და გონებრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უფრო მეტად ესაჭიროებათ სამართლებრივი დაცვა და მზრუნველობა. კოდექსი არ განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საკითხს კონკრეტულად ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის, რაც თავის მხრივ წარმოადგენს საკანონმდებლო ხარვეზს, ვინაიდან მცირეწლოვანი, რომელსაც არ ჰყავს მშობელი, კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნამდე პერიოდში, რჩება შეზღუდული და დარღვეული უფლების მატარებელი სუბიექტი.

[9] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი, N31, 24/07/1997.

[10] იქვე.

[11] იქვე, 134-ე მუხლი.

[12] სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, წიგნი I, რედაქტორი ჭანტურია ლ., 2017, 749.

ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს, ზემოაღნიშნულ კონტექსტში მცირეწლოვანთა უფლებების დაცვის მომწესრიგებელ ნორმას, შესაძლებელია გამოყენებული იქნას კანონის ანალოგია.[13] მოცემულ შემთხვევაში პრობლემური საკითხის გადაწყვეტის მიზნებისათვის, ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმაა, ჩვენ მიერ უკვე განხილული, სამოქალაქო კოდექსის 134-ე მუხლი. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერება, მცირეწლოვანთათვის კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნამდე, პრაქტიკულად დასაშვებია, თუმცა არ წარმოადგენს სრულფასოვან მექანიზმს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად. გაუმართლებელია საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის, 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა დაყვანილ იქნას კანონის ანალოგიამდე.

არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კუთხით, საკმაოდ აქტუალურ და, ამავდროულად, პრობლემურ საკითხს წარმოადგენს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინსტიტუტი. კვლევის პროცესში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, დგინდება, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი არ ფლობს საკმარის ინფორმაციას არასრუწლოვანთა უფლებების დაცვის მექანიზმებსა და პროცედურებზე, განსაკუთრებით ხანდაზმულობის მნიშვნელობაზე. შესაბამისად, არასრულწლოვანმა, მიუხედავად იმისა, რომ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ჰყავს, შესაძლოა ვერ მოახდინოს უფლების სათანადო წესით რეალიზება, რაც ცნობიერების დაბალი დონის გარდა, შესაძლოა გამოწვეული იყოს მშობლის მძიმე ავადმყოფობით, მშობლისგან სიშორით ან სხვა უფლების განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებებით[14].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით გატარებული არაერთი რეფორმისა და ღონისძიებისა, კანონმდებლობა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვას.

არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ასპექტები: ხანდაზმულობის შედარებითი ანალიზი საერთაშორისო პრაქტიკაში

გერმანია. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ნორმატიული ჩარჩო ითვალისწინებს სპეციფიკურ სამართლებრივ მექანიზმებს ქმედუუნარო და შეზღუდულქმედუნარიანი პირების მიმართ ხანდაზმულობის ვადების გამოყენებისას. კერძოდ, კანონმდებელი ადგენს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიან პირს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, მის სასარგებლოდ ან საზიანოდ მიმდინარე ხანდაზმულობის ვადის დინება არ დასრულდება მანამ, სანამ არ გავა ექვსი თვე იმ მომენტიდან, როდესაც ადგილი ექნება ერთ-ერთ შემდეგ იურიდიულ ფაქტს: ა) პირი შეიძენს სრულ ქმედუნარიანობას ან ბ) აღმოიფხვრება წარმომადგენლობითი დეფიციტი. ნორმატიული რეგულირების სისტემური ანალიზი ასევე მიუთითებს, რომ იმ სამართლებრივ შემთხვევებში, როდესაც მოთხოვნის ხანდაზმულობის კანონისმიერი ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, ხდება მისი

[13]საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მე-5 მუხლი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=132 > [02.04.2025].

[14] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 აპრილის Nას-1224-1076-2010 გადაწყვეტილება.

სუბსტიტუცია ექვსთვიანი პერიოდით. აღნიშნული სამართლებრივი გაფართოება წარმოადგენს საკანონმდებლო ინტერვენციას კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მოწყვლადი სუბიექტების დაცვის მიზნით, ასევე საყურადღებოა, ისიც, რომ აღნიშნული დანაწესი არ გამოიყენება იმ ფარგლებში, რომლებშიც შეზღუდულქმედუნარიანი პირი შეინარჩუნებს პროცესუალურ უფლებაუნარიანობას, რაც ასახავს საპროცესო და მატერიალური სამართლის ავტონომიურობის პრინციპს.[15]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი არასრულწლოვანთათვის კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნამდე ან სრულწლოვანების მიღწევამდე ადგენს არა ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების, არამედ მისი შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს. აღნიშნული განსხვავება არსებითი ხასიათისაა, რამდენადაც შეჩერებისა და შეწყვეტის სამართლებრივი ინსტიტუტები განსხვავებულ იურიდიულ შედეგებს წარმოშობს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დიფერენცია ამ ორი სამართლებრივი სისტემის ნორმატიულ რეგულირებაში მდგომარეობს იმაში, რომ გერმანული სამართალი, ქართულისგან განსხვავებით, აღიარებს ხანდაზმულობის ვადის დინების შეწყვეტას როგორც ქმედუუნარო, ასევე შეზღუდულქმედუნარიან არასრულწლოვნებთან მიმართებაში. შესაბამისად, გერმანულ სამართლებრივ სივრცეში უზრუნველყოფილია ყველა ასაკობრივი კატეგორიის ბავშვის უფლებების დაცვა სასარჩელო ხანდაზმულობის თვალსაზრისით.

ამგვარი ნორმატიული მიდგომა გერმანულ სამართალში ასახავს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების პრინციპს, რომელიც საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტად არის აღიარებული და განმტკიცებულია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით.

კვებეკი. კვებეკის სამოქალაქო კოდექსი, გერმანიის კანონმდებლობის მსგავსად, ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის დინების შეწყვეტას, კერძოდ, ხანდაზმულობის ვადის დინება პირების მიმართ არ ხდება, თუ მათთვის რეალურად შეუძლებელია პირადად მოქმედება ან სხვების მიერ მათ სასარგებლოდ წარმომადგენლობის განხორციელება.[16] აღნიშნული ნორმატიული დანაწესი თანაბრად უზრუნველყოფს როგორც ქმედუუნარო, ასევე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე არასრულწლოვანთა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვას. ეს სამართლებრივი მიდგომა ასახავს კვებეკის სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტურ პრინციპს - გაძლიერებული იურიდიული დაცვის მექანიზმების შექმნას მოწყვლადი სუბიექტებისათვის.

საფრანგეთი. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დინება ჩერდება ყველა არასრულწლოვნის და სრული მეურვეობის ქვეშ მყოფი სრულწლოვანი პირის მიმართ, მიუხედავად მათი ასაკისა თუ ქმედუნარიანობის ხარისხისა.[17]

[15]გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 210-ე პარაგრაფი, <https://lawlibrary.info/ge/books/giz2014-ge-BGB-Komm-Translation.pdf> [02.04.2025].

[16]კვებეკის სამოქალაქო კოდექსის 2904-ე მუხლი, <https://www.notary.ge/res/docs/gare/Civil_Code_Quebec.pdf> [02.04.2025].

[17] საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 2235-ე მუხლი.

იტალია. ანალოგიური მიდგომა გვხვდება იტალიის სამოქალაქო კოდექსშიც, სადაც ხანდაზმულობის ვადის დინება ჩერდება ყველა არასრულწლოვანის მიმართ, განურჩევლად მათი ასაკისა, სრულწლოვანების მიღწევამდე ან კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნამდე.[18]

სტაგნო ბელგიის წინააღმდეგ[19]. ბელგიის სახელმწიფოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე არასრულწლოვნებს უარი ეთქვათ თავიანთი ქონებრივი უფლებების დაცვაზე ხანდაზმულობის ვადის გამო, ადამიანის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლომ დაადგინა დარღვევა. საქმის ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობდა შემდგომში: მამის გარდაცვალების შემდეგ, ორ არასრულწლოვან მომჩივანს, როგორც მამის სიცოცხლის დაზღვევის ბენეფიციარებს, სადაზღვევო კომპანიამ გარკვეული თანხა გადაუხადა. მომჩივნების დედამ, თანხა განათავსა შემნახველ ანგარიშზე, რომელიც წელიწადზე ნაკლებ დროში აღარ იყო. სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ თითოეულმა მომჩივანმა სარჩელი აღძრა დედისა და სადაზღვევო კომპანიის მიმართ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები დაობდნენ, რომ მათ დაერღვათ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება, ვინაიდან ბელგიის სასამართლომ მათ ჩამოართვა სასამართლოს წინაშე არსებული ეფექტური დაცვის საშუალება, იმის გათვალისწინებთ, რომ კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ათვლა მათი არასრულწლოვანების პერიოდში არ შეჩერდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში მომჩივნებს არ შეეძლოთ სასამართლო დავის დაწყება. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევას- სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ბელგიის სასამართლოებმა სადაზღვევო კომპანიის ინტერესები უფრო წინ დააყენეს, როდესაც არ შეჩერდა ხანდაზმულობის ვადის დინება უფლებადარღვეულთა არასრულწლოვანების გამო. სრულწლოვანების მიღწევამდე ფაქტობრივად შეუძლებელი იყო კომპანიის წინააღმდეგ მათი უფლებების დაცვა, შემდგომ კი მათი მოთხოვნა გახდა ხანდაზმული. შესაბამისად, საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გარეშე კანონით დადგენილი ვადის მკაცრმა გამოყენება, მომჩივნებს ხელი შეუშალა მათთვის ხელმისაწვდომი დაცვის საშუალებით სარგებლობაში[20]. ეს პრეცედენტი ადგენს, რომ არასრულწლოვნების პერიოდში ხანდაზმულობის ვადის შეჩერების მექანიზმის არარსებობა შეიძლება გამოიწვიოს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. გადაწყვეტილება ხაზს უსვამს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სპეციალური სამართლებრივი მექანიზმების აუცილებლობას ხანდაზმულობის ინსტიტუტის კონტექსტში.

[18] იტალიის სამოქალაქო კოდექსის 2942-ე მუხლი.

[19] ევროპის სასამართლოს 2009 წლის 7 ივლისის N1062/07 გადაწყვეტილება საქმეზე სტაგნო ბელგიის წინააღმდეგ, <https://hudoc.echr.coe.int/eng-press#{%22itemid%22:[%22003-2794524-3059566%22]} > [02.04.2025].

[20] ბავშვის უფლებები, <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi5.pdf > [02.04.2025].

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კუთხით განხორციელებული არაერთი საკანონმდებლო რეფორმის მიუხედავად, კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება როგორც ნორმატიული ბაზის, ისე პრაქტიკული იმპლემენტაციის თვალსაზრისით.

სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს ადამიანების თანასწორობის კონსტიტუციური უფლების სრულყოფილი რეალიზაცია. დაუშვებელია იდენტურ სამართლებრივ მდგომარეობაში მყოფი სუბიექტების მიმართ დიფერენცირებული მიდგომა, რაც ცალსახად ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 134-ე მუხლის რეგულირების მიზანს. ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების პრივილეგიით მხოლოდ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე არასრულწლოვნების აღჭურვა, როდესაც ამავდროულად იგივე უფლება არ გააჩნიათ ქმედუუნარო არასრულწლოვნებს, რომლებსაც არ ჰყავთ კანონიერი წარმომადგენელი, წარმოადგენს აშკარა დისკრიმინაციას, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

Scheme 2. Proposed biosynthetic pathway of **P-DGA**.

Acid hydrolysis (2M CF3COOH at 121°C for 2 h) of **P-DGA** produced a dark brown or black water-insoluble material. This phenomenon can be explained by the formation of a three-dimensional "lignin-like" compound due to the intermolecular oxidative cross-linking (coupling) between catechol moieties in different macromolecules of [20].

Further research should clarify the physiological functions of these polyethers in plants and demonstrate whether their biosynthesis is a unique characteristic of the Boraginaceae family or if such compounds are also produced in other plants [28, 29].

3. Conclusion

The bioactivity-guided fractionation of water-soluble high-molecular preparations (**HMPs**) from Boraginaceae species — *Symphytum asperum, S. caucasicum, S. officinale, S. grandiflorum, Anchusa italica, Cynoglossum officinale, Borago officinalis,* and *Paracynoglossum imeretinum* — revealed that the key constituent of these **HMPs** is the inaugural representative of a novel class of natural polyethers: poly[oxy-1-carboxy-2-(3,4-dihydroxyphenyl)ethylene], known as poly[3-(3,4-dihydroxyphenyl)glyceric acid] (**P-DGA**). The **PEG** chain serves as the backbone of this biopolymer, with a residue of 3-(3,4-dihydroxyphenyl)glyceric acid acting as the repeating unit. The 3,4-dihydroxyphenyl (catechol) and carboxyl groups regularly substitute for two carbon atoms in the chain. The structure of **P-DGA** was elucidated using data from various NMR techniques, including liquid-state ^{1}H and ^{13}C NMR, homonuclear 2D gCOSY, heteronuclear 2D $^{1}H/^{13}C$ gHSQCED, 2D DOSY, and solid-state ^{13}C NMR spectra.

The synergistic combination of catecholic groups with the **PEG** main chain of **P-DGA** highlights the diverse and fascinating biological activity of **P-DGA** [13]. **P-DGA** exhibited immunomodulatory (anticomplementary) [20, 31, 49], antioxidant [20, 22, 29, 49, 50], anti-inflammatory [22, 31, 49], wound and burn healing [51, 52], anticancer [53], and antimicrobial [54] activities. Each repeating structural unit of the regular biopolymer **P-DGA** is tri-functional, comprising two catechol *vicinal* hydroxyl groups and one carboxyl group, likely responsible for its broad spectrum of biological activities. Incorporating catechol moieties into macromolecules enhances the exceptional therapeutic properties [10, 12, 55-57]. Conversely, the polymeric component — the **PEG** backbone — of **P-DGA** protects catecholic moieties from rapid degradation and ensures sustained biological efficacy. Consequently, pyrrolizidine alkaloid-free preparations of **P-DGA** may hold potential pharmaceutical value and are recommended for external and internal medical applications.

4. The Future-directed Plan

In the future, we plan to conduct the next review, which will present a detailed description of the biological activities and the structure-bioactivity relationship of **P-DGA** based on the literature data concerning catechol-derived natural and synthetic polymers.

Abbreviations

The following abbreviations are used in this manuscript:

AI *Anchusa italica*
APT Attached proton test
BO *Borago officinale*
CD Circular dichroism
CO *Cynoglossum officinale*
CP Cross-polarization
CP/MAS Cross-polarization/magic-angle spinning
DOSY Diffusion-ordered spectroscopy
gCOSY Gradient-Selected Correlation Spectroscopy
gHSQCED Gradient Heteronuclear Single Quantum Coherence and Double Exclusion
HMPs High-molecular-weight preparations
IR Infrared
kDa Kilodalton
NMR Nuclear magnetic resonance
P-DGA Poly[3-(3,4-dihydroxyphenyl)glyceric acid]
PEG Polyethylene glycol
PI *Paracynoglossum imeretinum*
ppm Parts per million
SA *Symphytum asperum*
SC *Symphytum caucasicum*
SG *Symphytum grandiflorum*
SO *Symphytum officinale*
UF Ultrafiltration
UV Ultraviolet

Conflicts of Interest: The authors declare no conflicts of interest.

References

1. Folashade, K.O.; Omoregie, E.H.; Ochogu, A.P. Standardization of herbal medicines. Intern. J. Biodiversity Conserv. 2012, 4 (3), 101–112. https://doi.org/10.5897/IJBC11.163

2. Wang, H.; Chen, Y.; Wang, L.; Liu, Q. et al. Advancing herbal medicine: enhancing product quality and safety through robust quality control practices. Front. Pharmacol. 2023, 14, 1265178. https://doi.org/10.3389/fphar.2023.1265178

3. Chaachouay, N.; Zidane, L. Plant-Derived Natural Products: A Source for Drug Discovery and Development. Drugs Drug Candidates 2024, 3, 184–207.
https://doi.org/10.3390/ddc3010011

4. Umadevi, M.; Kumar, K.P.S.; Bhowmik, D.; Duraivel, S. Traditionally Used Anticancer Herbs in India. J. Med. Plants Studies 2013, 1 (3), 56–74.
https://www.plantsjournal.com/archives/2013/vol1issue3/PartA/6-378.pdf

5. Vaou, N.; Stavropoulou, E.; Voidarou, C.; Tsakris, Z. et al. Interactions between Medical Plant-Derived Bioactive Compounds: Focus on Antimicrobial Combination Effects. Antibiotics 2022, 11 (8), 1014 (1–23). https://doi.org/10.3390/antibiotics11081014

6. Muscolo, A.; Mariateresa, O.; Giulio, T.; Mariateresa, R. Oxidative Stress: The Role of Antioxidant Phytochemicals in the Prevention and Treatment of Diseases. Int. J. Mol. Sci. 2024, 25 (6), 3264 (1–22). https://doi.org/10.3390/ijms25063264

7. Qureshi, D.; Nayak, S.K.; Anis, A.; Ray, S.S. et al. Chapter 1 – Introduction of biopolymers: Food and biomedical applications. In Biopolymer-Based Formulations. Biomedical and Food Applications; Pal, K.; Banerjee, I.; Sarkar, P.; Kim, D.; Deng, W.-P.; Dubey, N.K.; Majumder, K., Eds.; Elsevier Inc.: Amsterdam, Netherlands, 2020; pp. 1–45. https://doi.org/10.1016/B978-0-12-816897-4.00001-1

8. Al-Ghraibah, A.M.; Al-Qudah, M.; AL-Oqla, F.M. Chapter 10 - Medical Implementations of Biopolymers. In Advanced Processing, Properties, and Applications of Starch and Other Bio-Based Polymers; Al-Oqla, F.M.; Sapuan, S.M., Eds.; Elsevier Inc.: Amsterdam, Netherlands, 2020; pp. 157–171. https://doi.org/10.1016/B978-0-12-819661-8.00010-X

9. Nitta, S.K.; Numata, K. Biopolymer-Based Nanoparticles for Drug/Gene Delivery and Tissue Engineering. Int. J. Mol. Sci. 2013, 14 (1), 1629–1654. https://doi.org/10.3390/ijms14011629

10. Nishimoto-Sauceda, D.; Romero-Robles, L.E.; Antunes-Ricardo, M. Biopolymer nanoparticles: a strategy to enhance stability, bioavailability, and biological effects of phenolic compounds as functional ingredients. J. Sci. Food Agric. 2022, 102 (1), 41–52.
https://doi.org/10.1002/jsfa.11512

11. Nemli, E.; Ozkan, G.; Subasi, B.G.; Cavdar, H. et al. Interactions between proteins and phenolics: effects of food processing on the content and digestibility of phenolic compounds. J. Sci. Food Agric. 2024, 104, 2535–2550. https://doi.org/10.1002/jsfa.13275

12. Foujdar, R.; Bera, M.B.; Chopra, H.K. Chapter 30 - Phenolic nanoconjugates and their application in food. In Biopolymer-Based Formulations. Biomedical and Food Applications; Pal, K.; Banerjee, I.; Sarkar, P.; Kim, D.; Deng, W.-P.; Dubey, N.K.; Majumder, K., Eds.; Elsevier Inc.: Amsterdam, Netherlands, 2020; pp. 751–780.
https://doi.org/10.1016/B978-0-12-816897-4.00030-8

13. Patil, N.; Jérôme, C.; Detrembleur, C. Recent Advances in the Synthesis of Catechol-Derived (Bio)Polymers for Applications in Energy Storage and Environment. Prog. Polym. Sci. 2018, 8, 34–91. https://doi.org/10.1016/j.progpolymsci.2018.04.002
14. Mashhadi, S.M.A.; Yufit, D.; Liu, H.; Hodgkinson, P. et al. Synthesis and structural characterization of cocrystals of isoniazid and cinnamic acid derivatives. J. Mol. Struct. 2020, 1219 (24), 128621 (1–20). https://doi.org/10.1016/j.molstruc.2020.128621
15. Dresler, S.; Szymczak, G.; Wojcik, M. Comparison of some secondary metabolite content in the seventeen species of the Boraginaceae family. Pharm. Biol. 2017, 55 (1), 691–695. http://dx.doi.org/10.1080/13880209.2016.1265986
16. Taravati, G.; Masoudian, N.; Gholamian, A. Evaluation of Medical Metabolites in Boraginaceae Family. J. Chem. Health Risks 2014, 4 (1), 53–61.
https://www.jchr.org/index.php/JCHR/article/view/391/393
17. Gupta, P.S.P.; Vishwakarma, K.; Soni, P.; Jadhao, A.B. et al. Medicinally Important Plants of Boraginaceae Family. Afr. J. Bio. Sc. 2024, 6 (Si4), 6013–6021.
https://doi.org/10.48047/Afjbs.6.Si4.2024.6013-6021
18. Dominguez de Maria, P.; van Gemert, R.W.; Straathof, A.J.J.; Hanefeld, U. Biosynthesis of ethers: Unusual or common natural events? Nat. Prod. Rep. 2010, 27, 370–392. https://doi.org/10.1039/b809416k
19. Hatfield, W.; Vermerris, W. Lignin formation in plants. The dilemma of linkage specificity. Plant Physiol. 2001, 126 (4), 1351–1357. https://doi.org/10.1104/pp.126.4.1351
20. Barbakadze, V.; Kemertelidze, E.; Usov, A.I.; Kroes, B.H. et al. Evaluation of immunomodulatory activity of some plant polysaccharides. Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. 1999, 25 (4–6), 207–216.
https://www.researchgate.net/publication/285495080_Evaluation_of_immunomodulatory_activity_of_some_plant_polysaccharides
21. Tsuda, Y. Isolation of Natural Products; Japan Analytical Industry Co., Ltd.: Tokyo, Japan, 2004; p. 40. http://natpro.com.vn/public/assets/Download/Isolation_of_Natural_Products.pdf
22. Barthomeuf, C.M.; Debiton, E.; Barbakadze, V.V.; Kemertelidze, E.P. Evaluation of the dietetic and therapeutic potential of a high molecular weight hydroxycinnamate-derived polymer from *Symphytum asperum* Lepech. J. Agric. Food Chem. 2001, 49 (8), 3942–3946. https://doi.org/10.1021/jf010189d
23. Gogilashvili, L.; Amiranashvili, L.; Barbakadze, V.; Merlani, M. et al. Obtaining of toxic pyrrolizidine alkaloid-free biologically active high molecular preparations *of Symphytum asperum* and *S. caucasicum*. Bull. Georg. Natl. Acad. Sci. 2008, 2 (2), 85–89. http://science.org.ge/old/moambe/2-2/Gogilashvili.pdf
24. Barbakadze, V.V.; Kemertelidze, E.P.; Dekanosidze, H.E.; Beruchashvili, T.G.; Usov, A.I. Investigation of Glucofructans from Roots of Two Species of Comfrey *Symphytum asperum* Lepech. and *S. Caucasicum* Bieb. Rus. J. Bioorg. Chem. 1992, 18 (5), 671–679 (in Russian). #abstract in English. https://eurekamag.com/research/007/485/007485437.php
25. Gallastegui, A.; Camara, O.; Minudri, D.; Goujon, N. et al. Aging Effect of Catechol Redox Polymer Nanoparticles for Hybrid Supercapacitors. Batteries&Supercaps 2022, 5 (9), e202200155 (1–9). https://doi.org/10.1002/batt.202200155

26. Dyer, M.A. Applications of Absorption Spectroscopy of Organic Compounds; Prentice-Hall Inc.: Englewood Cliffs, NY, USA, 1965.
27. Barbakadze, V.V.; Kemertelidze, E.P.; Shashkov, A.S.; Usov, A.I. Structure of a new anticomplementary dihydroxycinnamate-derived polymer from *Symphytum asperum* (Boraginaceae). Mendeleev Commun. 2000, 10 (4), 148–149.
https://doi.org/10.1070/MC2000v010n04ABEH001295
28. Barbakadze, V.V.; Kemertelidze, E.P.; Targamadze, I.L.; Shashkov, A.S.; Usov, A.I. Poly[3-(3,4-Dihydroxyphenyl)glyceric Acid]: A New Biologically Active Polymer from Two Comfrey Species *Symphytum asperum* and *S. caucasicum* (Boraginaceae). Rus. J. Bioorg. Chem. 2002, 28 (4), 326–330. https://doi.org/10.1023/A :1019552110312
29. Barbakadze, V.; Kemertelidze, E.; Targamadze, I.; Mulkijanyan, K. et al. Poly[3-(3,4-dihydroxyphenyl)glyceric Acid], A New Biologically Active Polymer from *Symphytum asperum* Lepech. and *S. caucasicum* Bieb. (Boraginaceae). Molecules 2005, 10 (9), 1135–1144. https://doi.org/10.3390/10091135
30. Barbakadze, V.V.; Kemertelidze, E.P.; Targamadze, I.; Mulkidzhanyan, K. et al. Poly[3-(3,4-dihydroxyphenyl)glyceric acid] from Stems of *Symphytum asperum* and *S. caucasicum*. Chem. Nat. Compd. 2005, 41 (4), 374–377. https://doi.org/10.1007/s10600-005-0155-2
An erratum to this article: Chem. Nat. Compd., 2005, 41 (5), 615. http://dx.doi.org/10.1007/s10600-005-0226-4
31. Barbakadze, V.; van den Berg, A.J.J.; Beukelman, C.J.; Kemmink, J. et al. Poly[3-(3,4-dihydroxyphenyl)glyceric acid] from *Symphytum officinale* roots and its biological activity. Chem. Nat. Compd. 2009, 45 (1), 6–10. https://doi.org/10.1007/s10600-009-9221-5
32. Gogilashvili, L.; Amiranashvili, L.; Salgado, A.; Barbakadze, V. et al. Poly[3-(3,4-Dihydroxyphenyl)Glyceric Acid] from *Cynoglossum officinale* L. (Boraginaceae). Bull. Georg. Natl. Acad. Sci. 2020, 14 (1), 108–113.
http://science.org.ge/bnas/t14-n1/16_Gogilashvili_Pharmacochemistry.pdf
33. Barbakadze, V.; Gogilashvili, L.; Amiranashvili, L.; Merlani, M. et al. Biologically Active Sugar-Based Biopolyether Poly[3-(3,4-Dihydroxyphenyl)Glyceric Acid] from the Stems and Roots of *Paracynoglossum imeretinum* (Kusn.) M.Pop. Bull. Georg. Natl. Acad. Sci. 2022, 16 (3), 110–115. http://science.org.ge/bnas/vol-16-3.html
34. Barbakadze, V.; Gogilashvili, L.; Amiranashvili, L.; Merlani, M. et al. Poly[3-(3,4-dihydroxy-phenyl)glyceric Acid] from *Anchusa italica* Roots. Nat. Prod. Commun. 2010, 5 (7), 1091–1095. https://doi.org/10.1177/1934578X1000500722
35. Gokadze, S.; Gogilashvili, L.; Amiranashvili, L.; Barbakadze, V. et al. Investigation of Water-Soluble High Molecular Preparation of *Symphytum grandiflorum* DC (Boraginaceae). Bull. Georg. Natl. Acad. Sci. 2017, 11 (1), 116–121. http://science.org.ge/bnas/t11-n1/19_Gokadze.pdf
36. Barbakadze, V.; Gogilashvili, L.; Amiranashvili, L.; Merlani, M. et al. Carbohydrate-Based Biopolymers: Biologically Active Poly[3-(3,4-Dihydroxyphenyl)Glyceric Acid] from *Borago officinalis*. Bull. Georg. Natl. Acad. Sci. 2021, 15 (4), 140–145. http://science.org.ge/bnas/vol-15-4.html
37. Patt, S.L.; Schoolery, J.N. Attached proton test for carbon-13 NMR. J. Magn. Reson. 1982, 46 (3), 535–539. https://doi.org/10.1016/0022-2364 (82)90105-6

38. Pagenkopf, B. ACD/HNMR Predictor and ACD/CNMR Predictor Advanced Chemistry Development, Inc. (Computer Software Review). J. Am. Chem. Soc. 2005, 127 (9), 3232. https://doi.org/10.1021/ja040946z
39. Van Bramer, S. ACD/CNMR and ACD/HNMR Spectrum Prediction Software. (Software Review). Conc. Magn. Reson. 1997, 9 (4), 271–273. https://doi.org/10.1002/ (SICI)1099-0534(1997)9:4<271::AID-CMR6>3.0.CO;2-W
40. Barbakadze, V.; Kemertelidze, E.; Shashskov, A.S.; Usov, A.I. et al. Partial characterization of a new anticomplementary dihydroxycinnamate-derived polymer from *Symphytum asperum* Lepech. Proc. Georg. Acad. Sci., Biol. Ser. 1999, 25 (4–6), 199–205.
https://www.researchgate.net/publication/377261995_Partial_Characterization_Dihydroxycinnamate-derived
41. Lomsadze, K.; Lengers, I.; Barbakadze, V.; Kohler, J. et al. The investigation of structural characteristics of biologically active natural polymers using solid-state NMR experiments. 34th International Symposium on Pharmaceutical and Biomedical Analysis (PBA 2024), Geneva, Switzerland, September 9–12, 2024; pp. 73–74.
42. Mao, J.D.; Schmidt-Rohr, K. Accurate quantification of aromaticity and non-protonated aromatic carbon fraction in natural organic matter by C-13 solid-state nuclear magnetic resonance. Environ. Sci. Technol. 2004, 38 (9), 2680–2684. https://doi.org/10.1021/es034770x
43. Freitas, J.C.C.; Ejaz, M.; Toci, A.T.; Romao, W. et al. Solid-state NMR spectroscopy of roasted and ground coffee samples: Evidences for phase heterogeneity and prospects of applications in food screening. Food Chem. 2023, 409, 135317 (1–9).
https://doi.org/10.1016/j.foodchem.2022.135317
44. Barbakadze, V.V.; Mulkidzhanyan, K.G.; Merlani, M.I.; Gogilashvili, L.M. et al. Extraction, composition, and the antioxidant and anticomplement activities of high molecular weight fractions from the leaves of *Symphytum asperum* and *S. caucasicum.* Pharm. Chem. J. 2011, 44 (11), 604–607. https://doi.org/10.1007/s11094-011-0527-9
45. Riseh, R.S.; Hassanisaadi, M.; Vatankhah, M.; Varma, R.S. et al. Nano/Micro-Structural Supramolecular Biopolymers: Innovative Networks with the Boundless Potential in Sustainable Agriculture. Nano-Micro Lett. 2024, 16, 147 (1–23). https://doi.org/10.1007/s40820-024-01348-x
46. Martínez-Orts, M.; Pujals, S. Responsive Supramolecular Polymers for Diagnosis and Treatment. Int. J. Mol. Sci. 2024, 25, 4077 (1–27). https://doi.org/10.3390/ijms25074077
47. Zhang, W.; Wang, R.; Sun, Z.; Zhu, X. et al. Catechol functionalized hydrogels: Biomimetic design, adhesion mechanism, and biomedical applications. Chem. Soc. Rev. 2020, 49 (2), 433–464. https://doi.org/10.1039/c9cs00285e
48. Dubashynskaya, N.V.; Petrova, V.A.; Skorik, Y.A. Biopolymer Drug Delivery Systems for Oromucosal Application: Recent Trends in Pharmaceutical R&D. Int. J. Mol. Sci. 2024, 25 (10), 5359. https://doi.org/10.3390/ijms25105359
49. Barbakadze, V.V.; Kemertelidze, E.P.; Mulkijanyan, K.G.; van den Berg, A.J.J. et al. Antioxidant and anticomplement activity of poly[3-(3,4-dihydroxyphenyl)glyceric acid] from *Symphytum asperum* and *Symphytum caucasicum plants.* Pharm. Chem. J. 2007, 41 (1), 14–16. https://doi.org/10.1007/s11094-007-0004-7

An erratum to this article: Pharm. Chem. J., 2007, 41 (3), 178. http://dx.doi.org/10.1007/s11094-007-0040-3
50. Merlani, M.; Barbakadze, V.; Gogilashvili, L.; Amiranashvili, L. Antioxidant Activity of Caffeic Acid-Derived Polymer from Anchusa italica. Bull. Georg. Natl. Acad. Sci. 2017, 11 (2), 123–127. http://science.org.ge/bnas/vol-11-2.html
51. Barbakadze, V.; Mulkijanyan, K.; Gogilashvili, L.; Amiranashvili, L. et al. Allantoin- and Pyrrolizidine Alkaloids-Free Wound Healing Compositions from Symphytum asperum. Bull. Georg. Natl. Acad. Sci. 2009, 3 (1), 159–164. http://science.org.ge/old/3-1/Barbakadze.pdf
52. Mulkijanyan, K.; Barbakadze, V.; Novikova, Zh.; Sulakvelidze, M. et al. Burn Healing Compositions from Caucasian Species of Comfrey (Symphytum L.). Bull. Georg. Natl. Acad. Sci. 2009, 3 (3), 114–117. http://science.org.ge/old/moambe/3-3/Mulkijanian.pdf
53. Shrotriya, S.; Gagan, D.; Ramasamy, K.; Raina, K. et al. Poly[3-(3,4-dihydroxyphenyl)glyceric acid] from Comfrey exerts anti-cancer efficacy against human prostate cancer via targeting androgen receptors, cell cycle arrest, and apoptosis. Carcinogenesis 2012, 33 (8), 1572–1580. https://doi.org/10.1093/carcin/bgs202
54. Barbakadze, V.; Merlani, M.; Gogilashvili, L.; Amiranashvili, L. et al. Antimicrobial Activity of Catechol-Containing Biopolymer Poly[3-(3,4-dihydroxyphenyl)glyceric Acid] from Different Medicinal Plants of Boraginaceae Family. Antibiotics 2023, 12, 285. https://doi.org/10.3390/antibiotics12020285
55. Bruckhuisen, J.; Dhont, G.; Roucou, A.; Jabri, A. et al. Intramolecular H-Bond Dynamics of Catechol Investigated by THz High-Resolution Spectroscopy of Its Low-Frequency Modes. Molecules 2021, 26 (12), 3645 (1–20). https://doi.org/10.3390/molecules26123645
56. Batey, S.F.D.; Davie, M.J.; Hems, E.S.; Liston, J.D. et al. The catechol moiety of obafluorin is essential for antibacterial activity. RSC Chem. Biol. 2023, 4 (11), 926–941. https://doi.org/10.1039/d3cb00127j
57. Puertas-Bartolome, M.K.; Włodarczyk-Biegun, M.K.; del Campo, A.; Vazquez-Lasa, B. et al. Development of bioactive catechol functionalized nanoparticles applicable for 3D bioprinting. Mater. Sci. Eng. C 2021, 131, 112515 (1–14). https://doi.org/10.1016/j.msec.2021.112515

Boraginaceae-ს ოჯახის სხვადასხვა სამკურნალო მცენარის ბიოლოგიურად აქტიური პოლიეთილენგლიკოლის საფუძველზე მრავალკატექოლშემცველი ბიოპოლიმერი პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)გლიცერინის მჟავა]

ვახტანგ ბარბაქაძე, მაია მერლანი, ლალი გოგილაშვილი, ლელა ამირანაშვილი, კარენ მულკიჯანიანი

რეზიუმე: მიღებულია Boraginaceae-ს ოჯახის სხვადასხვა სამკურნალო მცენარედან *Symphytum asperum*-ის, *S. caucasicum*-ის, *S. officinale*-ის, *S. grandiflorum*-ის, *Anchusa italica*-ს, *Cynoglossum officinale*-ს, *Borago officinalis*-ის და *Paracynoglossum imeretinum*-ის წყალში ხსნადი მაღალ მოლეკულური (>1000 kDa ან >500 kDa) პრეპარატები (მმპ). ამ მმპ-ების ძირითადი ქიმიური შემადგენელი ნაწილია ბუნებრივი პოლიეთერების აქამდე უცნობი კლასის პირველი და ერთადერთი წარმომადგენელი - ახალი პოლი[ოქსი-1-კარბოქსი-2-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)ეთილენი], რომელიც ასევე ცნობილია როგორც პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)გლიცერინის მჟავა] (პ-დგმ). პ-დგმ-ს სტრუქტურის გარკვევა განხორციელდა ბირთვული მაგნიტური რეზონანსის (ბმრ) სხვადასხვა ტექნიკის მონაცემების გამოყენებით, მათ შორის თხევად ფაზაში ^{1}H, ^{13}C ბმრ, ორგანზომილებიანი (2D) ჰომონუკლეარული gCOSY, ორგანზომილებიანი (2D) ჰეტერონუკლეარული $^{1}H/^{13}C$ gHSQCED, ორგანზომილებიანი (2D) DOSY (დიფუზიური ორგანიზებული სპექტროსკოპია) და მყარ ფაზაში ^{13}C ბმრ სპექტრები. პოლიოქსიეთილენის (პოლიეთილენგლიკოლის) (პეგ) ჯაჭვი წარმოადგენს ამ ბიოპოლიმერის ხერხემალს, ხოლო 3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ) გლიცერინის მჟავას ნაშთი ფუნქციონირებს როგორც განმეორებადი ერთეული. 3,4-დიჰიდროქსიფენილის (კატექოლი) და კარბოქსილის ჯგუფები არიან რეგულარული ჩამნაცვლებლები პეგ-ის ჯაჭვში. ამრიგად, პ-დგმ წარმოადგენს ბუნებრივი პოლიეთერების უნიკალურ კლასს. პ-დგმ-ის თითოეული განმეორებადი სამფუნქციური სტრუქტურული ერთეული შეიცავს ორ ფენოლის ჰიდროქსილის ჯგუფს *ორთო* პოზიციაში და ერთ კარბოქსილის ჯგუფს. პ-დგმ-ს მრავალფუნქციურობა, სავარაუდოდ, ხსნის მის ბიოლოგიური აქტიურობის ფართო სპექტრს, მათ შორის ანტიკომპლემენტურ, ანტიოქსიდანტურ, ანთების საწინააღმდეგო, დამწვრობისა და ჭრილობების შეხორცების, ანტიმიკრობულ და კიბოს საწინააღმდეგო თვისებებს.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.44



ელექტროგადამცემი ხაზის განაწილებულპარამეტრებიანი მოდელის დეტალიზაციის ხარისხის გავლენა მის სიხშირულ მახასიათებლებზე

გიორგი არზიანი, გიორგი ჩხაიძე

g.arziani@gtu.ge , giorgichkhaidze1313@gmail.com

რეზიუმე

ელექტრული ენერგიის ხარისხის შეფასების ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მეთოდი ემყარება ელექტრული სისტემის რეჟიმების მოდელირებასა და სიმულაციას, რაც საშუალებას გვაძლევს სისტემის მუშაობის დეტალური ანალიზი ჩავატაროთ რეალურ გარემოში ჩარევის გარეშე. ეს მიდგომა ეფექტურია, როგორც ქსელის ოპერირების, ასევე, მისი დაგეგმარებისა და განვითარების ეტაპებზე, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობს რეალური მონაცემები, ან საჭიროა სხვადასხვა სცენარის გავლენის შეფასება სისტემაზე. სიმულაცია იძლევა შესაძლებლობას წინასწარ გავარკვიოთ თუ როგორ იმოქმედებს კონკრეტული არაწრფივი დატვირთვა, ინვერტორული ინტერფეისი ან ასიმეტრიული მოვლენები ქსელის სტაბილურობაზე და ენერგიის ხარისხის პარამეტრებზე.

თუმცა იმისათვის, რომ აღნიშნულ მეთოდს რეალური სარგებლობა ჰქონდეს, აუცილებელია სისტემის ელემენტების სწორად მოდელირება. თითოეული კომპონენტი უნდა იყოს წარმოდგენილი თავისი ელექტრული, დინამიკური და სიხშირეზე დამოკიდებული მახასიათებლებით. მაღალი სიზუსტის გარეშე მოდელი ვერ ასახავს იმ საფრთხეებს, რაც რეალურ პირობებში შეიძლება წარმოიშვას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჰარმონიკების, ძაბვის სწრაფი ვარიაციებისა და ფაზური ასიმეტრიების ზეგავლენა სხვადასხვანაირად ვლინდება სხვადასხვა სიხშირის დიაპაზონში, ამიტომ სისტემის ელემნტთა მოდელებში აუცილებელია ამ დამოკიდებულების ინტეგრირება. არასწორად მოდელირებული სისტემა იძლევა მცდარ პროგნოზებს და იწვევს არასრულფასოვან ტექნიკურ ან ფინანსურ გადაწყვეტილებებს.

სტატიაში განხილულია მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის განაწილებულპარამეტრებიანი მოდელის დეტალიზაციის ხარისხის გავლენა მის სიხშირულ მახასიათებლებზე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს ელექტრული სისტემების სიმულაციის სიზუსტისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად მაღალსიხშირული პროცესების ანალიზისას. ხაზის მოდელის დეტალიზაციის სიღრმე პირდაპირ ახდენს გავლენას მოდელის

შესაძლებლობაზე ზუსტად ასახოს სხვადასხვა სიხშირული კომპონენტები, განსაკუთრებით ჰარმონიკული მდგენელები და ძაბვის/დენის ზესწრაფი იმპულსები.

მოდელის გრანულარიზაციის მაღალი ხარისხი, ანუ ხაზის უფრო მცირე და მრავლად დაყოფილი სექციებით მოდელირება, საშუალებას იძლევა მაქსიმალურად ახლოს მივიდეთ რეალურ ფიზიკურ ქცევასთან, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სისტემა ფუნქციონირებს არაწრფივი დატვირთვებისა და ინვერტორული გენერატორების დინამიკურად ცვალებად რეჟიმებში. ასეთი მიდგომით, უფრო ზუსტად აღიბეჭდება სიხშირული მახასიათებლები, როგორიცაა რეზონანსები, ჩახშობის ეფექტები და სიხშირეზე დამოკიდებული დანაკარგები. ამავდროულად, არსებობს კომპრომისი გამოთვლით რესურსებსა და სიზუსტეს შორის — ძალიან მაღალი გრანულარიზაცია ზრდის გამოთვლის დროსა და მოდელირების სირთულეს. შესაბამისად, კვლევის ერთ-ერთი მიზანი გრანულარიზაციის ოპტიმალური დონის იდენტიფიცირებაა, რაც თავის მხრივ არ არის ფიქსირებული პარამეტრი და მკვეთრად არის დამოკიდებული დასმული ამოცანის მიზნებზე და მოდელირებულ სცენარების ტექნიკურ მახასიათებლებზე. ზოგადად, ასეთი ტიპის ოპტიმიზაციაში მოიაზრება დეტალიზაციის ისეთი დონის განსაზღვრა, რომელიც ერთი მხრივ უზრუნველყოფს კონკრეტული ამოცანისთვის დამაკმაყოფილებელ სიზუსტეს, ხოლო, მეორე მხრივ, მოდელირებისა და სიმულაციის პროცესის ეფექტურ წარმართვას.

საძიებო სიტყვები: ჰარმონიკული ანალიზი, ხაზის განაწილებულპარამეტრებიანი მოდელები, რეზონანსი, ელექტრული სისტემა, სიხშირული სკანირება, ჰარმონიკული ნაკადგანაწილება.

შესავალი

თანამედროვე ელექტროენერგეტიკული სისტემების განვითარებასთან ერთად ელექტრული ენერგიის ხარისხის ანალიზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მაღალი ხარისხის ელექტროენერგია აუცილებელია ელექტრული მოწყობილობების, ავტომატიზებული სისტემებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების უწყვეტი და ეფექტური ფუნქციონირებისთვის. ელექტრული ენერგიის ხარისხის გაუარესებამ, როგორიცაა ძაბვის ცვალებადობა, ჰარმონიკული სპექტრების წარმოქმნა ან ფაზების ასიმეტრია, შეიძლება გამოიწვიოს საწარმოო პროცესების დარღვევა, მოწყობილობების დაზიანება, მონაცემთა დაკარგვა და ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებაც კი. ენერგიის დაბალი ხარისხი ხშირად დიდ ეკონომიკურ ზარალთან არის დაკავშირებული.

ელექტრული ენერგიის ხარისხს განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა განვითარებულ ქვეყნებში, სადაც სტაბილური და სანდო ენერგომომარაგება ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნევა. ეს ტენდენცია არ არის შემოფარგლული მხოლოდ ტექნოლოგიურად მოწინავე რეგიონებით. მსგავსი მიდგომა აქტიურად ვრცელდება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც [1]. ამ რეგიონში გაიზარდა ინტერესი ენერგიის ხარისხის ანალიზისა და მონიტორინგის მიმართ, რაც აისახება არაერთი სპეციალიზებული კვლევითი ჯგუფისა და ინიციატივის შექმნით, რომელთა მიზანია თანამედროვე მეთოდებისა და

ინსტრუმენტების გამოყენებით პრობლემების იდენტიფიკაცია და მათი გადაჭრა. ამგვარ ჯგუფებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ენერგეტიკული სისტემების გაუმჯობესებაში, ხელს უწყობენ რეგიონულ ენერგეტიკულ ინტეგრაციას და საერთო სტანდარტების ჩამოყალიბებას.

ელექტრული ენერგიის ხარისხი ანალიზი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს აღმოჩენილი და აღმოფხვრილი მოწყობილობებისა და სისტემების გაუმართაობები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ენერგიის დანაკარგებს, ავარიების ალბათობას და აუმჯობესებს ელექტრული სისტემის ეფექტურ მუშაობას. ამასთან, ანალიზი ხელს უწყობს ენერგიის მიწოდების სტაბილურობის შენარჩუნებას, ენერგიის ოპტიმალურ გამოყენებასა და გარემოზე ზემოქმედების შემცირებას. შედეგად, ენერგიის ხარისხის მონიტორინგი და ანალიზი კრიტიკულ როლს თამაშობს ელექტროენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ოპერირებისა და მდგრადი განვითარების პროცესში.

ელექტრული ენერგიის ხარისხის ანალიზის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია სცენარების მოდელირება და სიმულაცია, რაც გვაძლევს საშუალებას მოდელირებული გარემოს დახმარებით მოხდეს შესაძლო დარღვევების პროგნოზირება და მათი შედეგების შეფასება. თუმცა, ანალიზის სიზუსტე დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად რეალისტურად და ფიზიკურად სწორად არის აგებული მოდელი. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, რომ მოდელები ასახავდნენ სისტემის რეალურ თვისებებსა და დინამიკას. სისტემის კომპონენტების რეალური ფიზიკური პარამეტრების მაღალი სიზუსტით გათვალისწინება, აუცილებელია მათში მიმდინარე პროცესების სიღრმისეულად და ზუსტად გასაანალიზებლად.


ამ კონტექსტში, განსაკუთრებით აღსანიშნავია ელექტროგადამცემი ხაზის მოდელირების სპეციფიკა. იმისათვის, რომ სწორად აისახოს გადამცემი ხაზის ფიზიკური ქცევა მაღალსიხშირულ მდგენელებთან მიმართებაში, აუცილებელია მისი განაწილებულპარამეტრებიანი მოდელით წარმოდგენა [2]. ასეთი მოდელი ითვალისწინებს ხაზის პარამეტრების სივრცულ განაწილებას და საშუალებას იძლევა სწორად იქნას ასახული მაღალსიხშირული პროცესებით გამოწვეული ეფექტები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრძელი ხაზებისთვის, სადაც კონცენტრირებული პარამეტრებით გამარტივებული მიდგომები არ იძლევა საკმარის სიზუსტეს. შესაბამისად, განაწილებულპარამეტრებიანი მოდელი წარმოადგენს აუცილებელ საფუძველს იმ რეალური ფიზიკური პროცესების ასახვისთვის, რომელთა ანალიზიც ენერგიის ხარისხის სრულყოფილი მართვისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

მოდელირებისა და სიმულაციის შედეგები

ელექტროგადამცემი ხაზის უმარტივესი მოდელი, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება გამარტივებულ ანგარიშებში, ნახაზ 1-ზეა ნაჩვენები. მოდელის მთავარი უპირატესობა მისი სიმარტივეა, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს მინიმალურ მოთხოვნას გამოთვლით რესურსებზე. ამგვარი სიმარტივე განსაკუთრებით გამოსადეგია სიმძლავრის ნაკადგანაწილების სიმულაციებში, სადაც გათვლების ძირითადი მიზანი სისტემის


დამყარებული რეჟიმების შეფასებაა [2]. ასეთ ანგარიშში ვიგებთ თუ როგორ ნაწილდება სიმძლავრე გენერატორებსა და დატვირთვებს შორის, როგორია ძაბვები კვანძებში, როგორია ხაზებში გამავალი დენები, ძაბვისა და სიმძლავრის დანაკარგები და სხვა [3]. ასეთ დროს ნაკლებია მოთხოვნა დროში ცვალებად, დინამიკურ კომპონენტებზე, ამიტომაც მარტივი მოდელი იძლევა საკმარისად ზუსტ და სწრაფ შედეგებს.

ხაზის უმარტივესი მოდელის სიხშირული სკანირებით მიღებული სიხშირული მახასიათებელი ნახაზ 2-ზეა ნაჩვენები. როგორც ამ მახასიათებლიდან ჩანს, ამ კონკრეტულ ხაზს სიხშირულ ღერძზე გააჩნია ორი რეზონანსული წერტილი, ერთი 60 ჰერცის, ხოლო მეორე, 415 ჰერცის მახლობლად.




ნახაზი 1 - ელექტროგადამცემი ხაზის უმარტივესი მოდელი

სიხშირულ მახასიათებლებზე გამოყვანილია აქტიური, რეაქტიული და სრული წინაღობები.



ნახაზი 2 - ხაზის უმარტივესი მოდელის სიხშირული მახასიათებელი


ნახაზ 3 -ზე ნაჩვენებია ელექტროგადამცემი ხაზის უმარტივესი მოდელის R-X დამოკიდებულება.



ნახაზი 3 - ხაზის უმარტივესი მოდელის R-X დამოკიდებულება


ნახაზ 3 - დან შესაძლებელია დავადგინოთ თუ აქტიური და რეაქტიული წინაღობების რა კომბინაციები გვხვდება სკანირების სრული სიხშირული დიაპაზონის გასწვრივ. ადვილი შესამჩნევია, რომ რგოლების რაოდენობა ემთხვევა რეზონანსული კონტურების რაოდენობას.

ნახაზ 4 - ზე წარმოდგენილია 3 სეგმენტიანი ხაზის მოდელი, რომლის სიხშირული და წინაღობების მახასიათებლები ნახაზ 5-ზე და ნახაზ 6 - ზეა ნაჩვენები შესაბამისად.



ნახაზი 4 - ელექტროგადამცემი ხაზის სამსეგმენტიანი მოდელი

ამ დიაგრამების ანალიზით შესაძლოა დავასკვნათ, რომ უმარტივეს მოდელსა და სამსეგმენტიან მოდელს შორის უმნიშვნელო სხვაობაა რეზონანსული კონტურების რაოდენობის კუთხით, მაგრამ საკმაოდ დიდი სხვაობაა თავად რეზონანსული კონტურების საკუთარი სიხშირეების თვალსაზრისით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სიხშირულ მახასიათებელზე თავს იჩენს რეზონანსები 17 ჰერცის მახლობლად და 32 ჰერცის მახლობლად.



ნახაზი 5 - ხაზის სამსეგმენტიანი მოდელის სიხშირული მახასიათებელი

დაბალ სიხშირეებზე შეიმჩნევა რეაქტიული და სრული წინაღობების მაღალი სიდიდეები რაც აიხსნება შემდეგნაირად. რეაქტიული წინაღობის უარყოფითი ნიშანი გამოწვეულია ამ სიხშირეებზე მისი ტევადური ბუნებით. სრული წინაღობა კი, მისი გამოსახულებიდან გამომდინარე ტევადური რეაქტიულის პროპორციულია (რადგან ინდუქციური მდგენელი უმნიშვნელოა) და ნიშნით განსხვავდება მისგან. რაც შეეხება დიაპაზონს, რომელიც იწყება დაახლოებით 40 ჰერციდან, აქ რეაქტიული და სრული წინაღობები პრაქტიკულად თანხვდება ერთმანეთს. ამ ფენომენის ახნა შემდეგნაირად არის შესაძლებელი. როგორც ჩანს ეკვივალენტური წრედის აქტიური წინაღობა საკმაოდ მცირეა (ამის დამტკიცება მარტივია, კომლექსურ რიცხვებზე მათემატიკური ოპერაციების ჩატარებით). ამასთან მაღალ სიხშირეებზე თავს იჩენს წრედის ინდუქციური რეაქტიული წინაღობა, რადგან იგი სიხშირის პირდაპირპროპორციულია. მეორე მხრივ, ტევადური კომპონენტი მიიღევა და პრაქტიკულად ქრება ამ დიაპაზონში. შესაბამისად, სქემის სრული წინაღობა ძირითადად განპირობებულია ინდუქციური რეაქტიული მდგენელით და სწორედ ამიტომ იმეორებს მის მახასიათებელს.




ნახაზი 6 - ხაზის სამსეგმენტიანი მოდელის R-X დამოკიდებულება


ზემოთ აღწერილი პრინციპით დავამოდელირეთ ხუთ, შვიდ და ცხრასეგმენტიანი ვარიანტები რომელთა სიმულაციის შედეგებიც ნაჩვენებია ნახაზ 7 - ზე, ნახაზ 8-ზე და ნახაზ 9-ზე შესაბიმისად.

თითოეული ამ ნახაზთაგანი შედგება წყვილი დიაგრამისგან, რომელთაგან მარცხენა არის სიხშირული მახასიათებელი, ხოლო მარჯვენა აქტიური და რეაქტიული წინაღობების დამოკიდებულება, რაზეც ზემოთაც გვქონდა საუბარი.


შედეგებზე დაკვირვება და ანალიზი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ სეგმენტების გრანულარიზაციის ხარისხი პირდაპირ აისახება რეზონანსული კონტურების რაოდენობაზე.



ნახაზი 7 - ხაზის ხუთსეგმენტიანი მოდელის სიხშირული მახასიათებელი



ნახაზი 8 - ხაზის შვიდსეგმენტიანი მოდელის სიხშირული მახასიათებელი და RX დამოკიდებულება



ნახაზი 9 - ხაზის ცხრასეგმეტნიანი მოდელის სიხშირული მახასიათებელი და RX დამოკიდებულება

ამას თავისი ფიზიკური ახსნაც აქვს: რაც უფრო მეტი დამოუკიდებელი ინდუქციური

და ტევადური ელემენტი ჩნდება წრედში, მით უფრო იზრდება ალბათობა შემთხვევით აღებულ რეაქტიული ბუნების მქონე ელემენტთა წყვილებში რეზონანსული მოვლენის გაჩენისა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოთ განხილული შემთხვევა მოდელირებულია ხაზის უქმ სვლაზე მუშაობისას. აქტიური დატვირთვის გაჩენა როგორც სკანირების წერტილში, ასევე, ხაზის ბოლოში, რადიკალურად ცვლის შედეგებს. კერძოდ დატვირთვის ჩართვა სქემის ბოლოში იწვევს ტევადური კომპონენტის დომინაციის შესუსტებას რაც მადემპფერირებელ ეფექტს ქმნის კონკრეტული სიხშირული დიაპაზონებისთვის.

დასკვნა

სიხშირულ დომეინში მოდელირებამ და სიმულაციამ აჩვენა, რომ რეზონანსული კონტურები, როგორც სიხშირით ისე წინაღობების ამპლიტუდებით მკვეთრად იცვლება ჩანაცვლების სქემის გრანულირების ცვლილებასთან ერთად. ეს ნიშნავს, რომ ჩანაცვლების სქემის

არასაკმარისად დეტალიზაციამ შესაძლოა გამოიწვიოს რეზონანსული კონტურების საკუთარი სიხშირეების მცდარი სიდიდეების იდენტიფიცირება. შესაბამისად ასეთ სქემაზე ჰარმონიკული ნაკადგანაწილების გაშვებისას შესაძლოა ვიხილოთ სიხშირული კომპონენტები გაძლიერებული ამპლიტუდებით, რომლებიც არ შეესაბამება რეალობას და პირიქით, სიხშირული კომპონენტები ნორმალური ამპლიტუდებით, რომლებიც რეალობაში ძლიერდება ქსელის მაღალსიხშირული მარეზონირებელი ეფექტების გამო.

ასეთ შემთხვევაში, მოდელირების არასაკმარისი პრეციზიის დროს, ასევე ჩნდება რისკი ცვლადი ძაბვის ფილტრების არაეფექტური შერჩევისა. კერძოდ, ფაქტიური მნიშვნელობებიდან გადახრილ სიხშირეებზე ფილტრების გათვლა მკვეთრად ამცირებს მათ ეფექტურობას. ამასთან ინვერტორული ინტერფეისის მქონე განახლებადი რესურსების და არაწრფივი დატვირთვების სპექტრების შესწავლისას ჩნდება რისკი, რომ ჰარმონიკული მდგენელების გაძლიერების კოეფიციენტები არასათანადოდ იქნება შეფასებული. სწორედ ამიტომ, აუცილებელია ქსელთან მიერთების წერტილებში მისაერთებელი ობიექტის მოცემული ჰარმონიკული სპექტრების გათვალისწინებით მოხდეს ჩანაცვლების სქემის შესაბამისი გრანულირება/დეტალიზაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ობიექტებისთვის, რომლებიც გენერირებენ ჰარმონიკულ სპექტრებს შედარებით დაბალ და საშუალო სიხშირულ დიაპაზონებში, საკმარისია მათი მოდელების წარმოდგენა რამდენიმე ერთეული სეგმენტური ელემენტის სახით.

ლიტერატურა

[1] K. Bakič, SEERC CIGRE History: Early Electrification and Empowerment of Region where Current Electricity was Born. Ljubljana, Slovenia: Slovenian Association of Electric Power Engineers CIGRE&CIRED, 2020.

[2] G. Arziani, B. Kvatadze, and L. Baramidze, “Analyzing the Behavior of PI Section and T Section High Voltage Line Models in Harmonic Load Flow”, GS, vol. 5, no. 4, pp. 177–187, Nov. 2023. https://doi.org/10.52340/gs.2023.05.04.16

[3] G. Arziani and T. Elizarashvili, “FACTS for effective DER integration into the Georgia distribution grids,” Turk J Electr Power Energy Syst., Published online May 5, 2025. doi 10.5152/tepes.2025.24036.

The Impact of the Level of Detail in the Distributed Parameter Model of a Transmission Line on Its Frequency Characteristics

Abstract

One of the most widely used methods for assessing electric power quality is based on modeling and simulation of electrical system operating modes, which enables a detailed analysis of system behavior without interfering with real-world operation. This approach is effective both during the operational phase of the grid and in its planning and development stages—especially when real measurement data is unavailable, or when it is necessary to evaluate the impact of different scenarios on the system. Simulation makes it possible to predict how specific nonlinear loads, inverter-based interfaces, or asymmetric events will affect grid stability and power quality parameters.

However, for this method to yield meaningful and reliable results, it is essential to accurately model the system components. Each element must be represented with its electrical, dynamic, and frequency-dependent characteristics. Without high precision, the model fails to reflect the risks and behaviors that may arise under real-world conditions. It is particularly important to consider that the influence of harmonics, rapid voltage variations, and phase asymmetries manifests differently across various frequency ranges; thus, these dependencies must be integrated into the component models. An inadequately modeled system results in inaccurate predictions and leads to suboptimal technical or financial decisions.

This paper examines the impact of the level of detail in distributed-parameter modeling of high-voltage transmission lines on their frequency characteristics, which is a critical issue for ensuring accuracy and reliability in simulations of high-frequency phenomena. The depth of model granularity directly affects the model's ability to accurately reflect frequency-domain components, especially harmonic contents and fast transient voltage/current impulses.

A high degree of model granularity, which means modeling the transmission line using smaller and more numerous segments, allows the simulation to more accurately reflect real physical behavior. This is especially important in dynamic conditions involving nonlinear loads and inverter-based generation. Such detailed modeling captures frequency-dependent characteristics more precisely, including resonances, damping effects, and frequency-related losses. However, increased granularity also leads to higher computational demands and longer simulation times. As a result, one of the main objectives of this study is to determine the optimal level of model granularity. This level is not fixed and depends significantly on the purpose of the analysis and the technical characteristics of the simulated scenarios. In general, this type of optimization seeks to define a level of detail that provides sufficient accuracy for the specific task while maintaining an efficient simulation process.

Keywords: Harmonic Analysis, Distributed Parameter Line Models, Resonance, Power System, Frequency Scanning, Harmonic load flow.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.45



მჭიდრო დასახლების პირობებში ახალი მშენებლობის დამცავი კონსტრუქციული სისტემების შერჩევა

ბექა გურგენიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

გადმოცემულია ლითონის ორტესებრი პროფილების ჩართვა, რაც შპუნტის სიხისტეს ზრდის და იძლევა გრუნტის სიღრმეში მეტად ჩასვლის საშუალებას; ასევე მათი ერთობლივი მუშაობის მდგრადობის და სიმტკიცის შემოწმების ანალიზური მეთოდი.

განხილულია და დანერგილია ინოვაციური დანადგარი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ერთდროულად „U“ პროფილის შპუნტისა და გვერდით მდებარე ორტესებრი H პროფილის მქონე ლითონის დამატებითი ხიმინჯების მიწაში განთავსება. აღნიშნული დამატებითი ხიმინჯები ასრულებენ გამბრჯენი მილების ფუნქციას და უზრუნველყოფენ კონსტრუქციის სრულ სტაბილურობას. შესაბამისად, აღარ არსებობს დამატებითი მილების გამოყენების აუცილებლობა, რაც სრულიად თავისუფალს ტოვებს ქვაბულის სივრცეს და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სამშენებლო სამუშაოების ეფექტურობას.

საკვანძო სიტყვები: მშენებლობა, ლარსენის შპუნტი, კონსტრუქცია, გრუნტი.

1. შესავალი

შპუნტის გამოყენების ისტორიას, რომელიც იწყება XX საუკუნის დასაწყისში. 1902 წელს გერმანიის ქალაქ ბრემენის მთავარმა სახელმწიფო ინჟინერმა, ტრიგვე ლარსენმა (Tryggve Larssen), შეიმუშავა ფოლადის ხიმინჯის "U" პროფილის პირველი მაგალითი მოქლონებით. სწორედ აქედან იღებს სახელს "U" პროფილის ლითონის ხიმინჯი "ლარსენის შპუნტი". 1914 წელს გაჩნდა იდეა, რომ შპუნტის წყობის ორივე მხარეს ყოფილიყო კავშირები, რაც საშუალებას იძლეოდა უფრო მტკიცე და სტაბილური კონსტრუქციების შექმნისა. ლარსენის შპუნტის ძირითადი ტიპები „U“ და „Z“ პროფილებია (ნახ.1). **"U" პროფილი**: ეს არის ტრადიციული ფორმა, რომელიც გამოიყენება მრავალი წლის განმავლობაში [1,2]. მისი სიმარტივე და სტაბილურობა უზრუნველყოფს კონსტრუქციის მდგრადობას. შეუძლია გაუძლოს ძლიერ გარე ზეწოლებს. **"Z" პროფილი**: ეს არის უფრო თანამედროვე ვარიანტი, რომელიც უზრუნველყოფს უკეთეს გადაბმას და სიმტკიცეს. მისი ფორმა საშუალებას იძლევა უფრო სწრაფად და ეფექტურად მოხდეს მისი მონტაჟი. **Ω“-პროფილი:** გამორჩეულია მაღალი დატვირთვისა და სტაბილურობის მოთხოვნისას, განსაკუთრებით წყალთან დაკავშირებულ

პროექტებში და სეისმურად აქტიურ რეგიონებში. მისი მრგვალი ფორმა ზრდის მდგრადობას, რაც საუკეთესო არჩევანს ხდის მძიმე სამრეწველო და საზღვაო მშენებლობებისთვის. თუმცა მისი გამოყენება იშვიათია პრაკტიკაში, ამავე კატეგორიას განეკუთვნება მილით და სხვადასხვა ლითონის პროფილებით დამზადებული შპუნტები.

2. ძირითადი ნაწილი

შპუნტიანი კედლების გამოყენება აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნას დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოება. ისინი იცავენ ობიექტს ქვაბულის კედლების ჩამოშლისა და წყლის ზემოქმედებისგან. საწყის ეტაპზე საჭიროა შპუნტის კედლის ზუსტი გაანგარიშება. ამ ეტაპზე ხორციელდება სამშენებლო მოედნის პირობების შეფასება, რისკების დადგენა და მუშაოების პროექტის შედგენა. სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოებს შპუნტების ანალიტიკური და მათემატიკური გამოთვლები. გაანგარიშებისას დგინდება: შპუნტის საჭირო პარამეტრები; ჩასმის ოპტიმალური სიღრმე; დამატებითი გამაგრების ღონისძიებების საჭიროება [3,4].

შპუნტის კედლის შექმნისას გრუნტი ორივე მხრიდან ერთნაირად ზემოქმედებს. თუმცა, ამოღების პროცესში ეს ბალანსი ირღვევა და შპუნტზე ზეწოლები ჩნდება. გაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იყოს გარე დატვირთვები, ასევე შპუნტის კედლის თავისებურებები — მაგალითად, აქვს თუ არა მას ანკერული გამაგრება. ანკერის არსებობის შემთხვევაში შპუნტის ბრუნვის წერტილი ქვაბულის ფსკერზეა, ხოლო არარსებობის შემთხვევაში — მაღლა ინაცვლებს გადამაგრების მწყობის მიდებარედ.

კედლის გადატრიალებისადმი მდგრადობის გაანგარიშება

$M_u \le m/\gamma_n \cdot M_z$ (1)

Mu ≤M/Yn*Mz

სადაც M_u და M_z — შესაბამისი მომენტებია შეკავებისა და გადატრიალების ძალებისაგან;

m — კოეფიციენტი წებოვანი გრუნტებისთვის;

γ_n— საიმედოობის კოეფიციენტი.

შპუნტის კედლის სიმტკიცის გაანგარიშება

$M_P/w_{cm} \le R_y \cdot m$ (2)

Mp/Wcm ≤ Rym

M_P — შპუნტის კედლის სექციაში მომენტი;

w_cm — კედლის წინაღობის მომენტი (შესაბამისი ტიპის შპუნტის მიხედვით);

R_y — მასალის საანგარიშო წინღობის მახასიათებელი;

m — ექსპლუატაციის პირობების კოეფიციენტი.

შპუნტები, როგორც წესი, ფუნქციონირებენ, როგორც მოქნილი საყრდენი კონსტრუქციები. ეს ნიშნავს, რომ ისინი იჭერენ გრუნტს, წინააღმდეგობას უწევენ ძვრისა და გადაბრუნების ძალებს. ყოველივე ზემოთ თქმულის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი გზებით:

გრუნტში შპუნტის საკმარისად ღრმა ჩასმით;

დამჭერი კონსტრუქციების (მაგ. გამბჯენი მილების, ანკერების) მეშვეობით;

ორტესებრი კოჭებით.

შესაბამისად, შპუნტიანი კონსტრუქციები მუშაობენ ან კონსოლის საანგარიშო სქემის მიხედვით ან საანგარიშო სქემით — როდესაც დამხმარე ელემენტებია, (გამბრჯენები ან ანკერები) გამოყენებული.

როდესაც შპუნტი მუშაობს კონსოლური სქემით და ვერ უზრუნველყოფს სიმტკიცეს, სიხისტეს და მდგრადობას აუცილებელია გამბჯენებისა და ანკერების მოწყობა. როგორც წესი, როდესაც შესანარჩუნებელი გრუნტის სიმაღლე 4 მეტრს აჭარბებს, აუცილებელია დამჭერი სისტემების დამატება.

ხშირია როცა დაპროექტებით მიღებული შედეგები არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ასეთ დროს მომენტები ან ძვრის დეფორმაცია აჭარბებს დასაშვებს და აუცილებელია განხორციელდეს: შპუნტის ღრმა ჩასმა (embedment depth); ანკერების ან გამბჯენი კონსტრუქციების დამატება; პროფილის (წინაღობის მომენტით) გაძლიერება.

საქართველოს ერთ-ერთ საინჟინრო პროექტში შპუნტის კედლის მდგრადობის გაანგარიშება განხორციელდა პროგრამული პაკეტით GEO5-ით დახმარებით. სადაც გამოყენებული იყო ლარსენის ტიპის შპუნტი GU-21N, ჩასმის სიღრმით 12.0 მ. გაანგარიშება ჩატარდა ეტაპობრივად, გრუნტის ამოღების სხვადასხვა სიღრმეზე.

მიღებული პარამეტრები:

მაქსიმალური ძვრის ძალა: 19.67 kN/m

მაქსიმალური მღუნავი მომენტი: 29.66 kNm/m

მაქსიმალური გადაადგილება: 7.3 მმ

საინჟინრო პროგრამა GEO5 -ით მიღებული პარამეტრები:

შპუნტებს დაემატა გამბჯენი ელემენტები 3.6 მ ბიჯით

ჩასმის სიღრმე გაიზარდა, გაძლიერდა ბრუნვის მდგრადობა

საბოლოო მდგომარეობა – სრული ჩაღრმავება (ჩასმა 8.0 მ-მდე)

გამოცდით მიღებული ძალვები და დეფორმაცია:

ძვრის ძალა: 216.6 kN/m

მღუნავი მომენტი: 207.33 kNm

გადაადგილება: 10.2 მმ

გამოთვლებით დადასტურდა, რომ შპუნტი აკმაყოფილებს სიმტკიცის კრიტერიუმს.

შპუნტის მდგრადობის უზრუნველყოფა მრავალფაქტორული ამოცანაა, რომელიც მოითხოვს სტატიკურ, ჰიდრავლიკურ და დინამიკურ ანალიზს. სიმულაციებმა აჩვენა, რომ ეფექტური სამუშაო სქემა მოითხოვს 5მ-ზე მეტი სიღრმის გამბჯენებს და რომ სექციის სწორი შერჩევით შესაძლებელია საჭირო სიმტკიცის უზრუნველყოფა, მინიმალური დეფორმაციებით.

შპუნტის ტიპების უპირატესობის, ზიდვის უნარის და გადაადგილების სიდიდეებს დასადგენად ჩავატარეთ სამი სხვადასხვა ტიპის შპუნტების გაანგარიშება საინჟინრო პროგრამა GEO5 -ით.

მოცემულ კონკრეტულ მაგალითებში შედაარებულია სამი ვარიანტი:


მხოლოდ შპუნტი კონსოლზე;

მხოლოდ ორტესებრი 600 მმ ბიჯით;


კომბინირებული შპუნტი ორტესებრით.

ამოცანა 1. 4 მეტრიანი ქვაბულის ანგარიში შპუნტური კედლით:


მოსაწყობია - 4 მეტრიანი ქვაბული შპუნტური კედლით. შპუნტის სიგრძე აღებულია 12 მ. პროფილის ნომერი VL605.



ნახ. 1. ქვაბულის ჭრილი



ნახ.2. შპუნტის გადაადგილება და შპუნტზე განვითარებული წნევის ეპიურა



ნახ.3. მღუნავი მომენტის და განივი ძალის ეპიურა

ძალვები და დეფორმაციები I ვარიანტისათვის:

მაქსიმალური ძალაა - 98,11 კნ/მ;


მასიმალური მღუნავი მომენტია 277,4კნ.მ

მაქსიმალური დეფორმაცია - 104,8 მმ.


12 მეტრიანი შპუნტების შემთხვევაში მაქსიმალური გადაადგილება არის 104,8 მმ-ია, რაც ნორმების მიხედვით დაუშვებელია, ამიტომ გაანგარიშება გაგრძელდა ორტესებრი კვეთების მქონე შპუნტებზე. გაანგარიშების წინაპირობები დარჩა იგივე.

II ვარიანტი - ქვაბულის ანგარიში ორტესებრი კვეთის პროფილებით:

პირობები იგივე, გრუნტი თიხა, გაწყლოვანებული. წყლის დამყარების დონე ზედაპირიდან დაახლოებით 4 მეტრია. გაანგარიშება განხორციელდა იგივე საინჟინრო გეოლოგიური პირობებისათვის.



ნახ.4. ქვაბული მხოლოდ ორტესებრი კვეთის შპუნტებით



ნახ.5. შპუნტის გადაადგილება და შპუნტზე განვითარებული წნევის ეპიურა ორტესებრი კვეთის შპუნტებით ქვაბულის გამაგრებით ვარიანტში

III ვარიანტით ქვაბულის გამაგრება განხორციელებულია კომბინირებულად ლარსენის შპუნტი და ორტესებრი პროფილის კვეთით.



ნახ.6. ქვაბულის გამაგრება კომბინირებული მეთოდით

სამივე ტიპის ამოცანის ანგარიში ჩატარდა GEO5 საინჟინრო პროგრამის მეშვეობით, სადაც ასახულია, რომ ერთნაირ გეოლოგიურ პირობებში მხოლოდ შპუნტი ღებულობს დაუშვებელ დეფორმაციებს, რაც შეეხება მხოლოდ ორტესებრი პროფილების მოწყობის შემთხვევას, აქ დეფორმაციები მცირე და მისაღებია. კომბინირებული ვარიანტი არსებული გეოლოგიური პირობებისათვის იძლევა სიღრმის 7 მეტრამდე გაზრდის საშუალებას. კომბინირებულ მეთოდში სიმტკიცის გაზრდით იზრდება კონსოლზე მუშაობის სიღრმე, რაც იძლევა შესაძლებლობას მოეწყოს ქვაბული ანკერებისა და გამბრჯენების გარეშე.

3. დასკვნა

კვლევებმა გვიჩვენა, რომ **შპუნტი გამძლეა ჰიდრავლიკური და სეისმური დატვირთვის მიმართ** 15 მ სიღრმემდე.

LIRA SAPR-ში მოდელირების შედეგად დადგინდა, რომ მაქსიმალური გადახრა 15 მ სიღრმეზე აღწევს 1,2 მმ-ს, რაც აჩვენებს, რომ შპუნტის მდგრადობა აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

გრუნტის და ჰიდრავლიკური დატვირთვის ერთობლივი ზემოქმედება შპუნტის კონსტრუქციაზე **იზრდება სიღრმესთან ერთად**.

სამშენებლო პროცესის უსაფრთხოების, კონსტრუქციის სტაბილურობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ლარსენის შპუნტის გაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნას, რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის (გრუნტის, წყლისა და სეისმური დატვირთვის) კომბინირებული ზემოქმედების გავლენა.

გამოყენებული ლიტერატურა

1.გურგენიძე ბექა ქვაბულის ფერდის დამჭერი კონსტრუქციები//მშენებლობა N4(64), თბილისი,2022.გვ.51-57.

2.Gurgenidze B., Giorgobiani I. The role of the steel pile sheets in building base reinforcement// AGG+journal for Architecture, Civil Engineering, Geodesy and Related Scientific Fields 2023_11(1)-p.p. 110-121

Gurgenidze B., Kipiani G. The role of steel pile sheets in Building bast reinforcement// Book of Absrtracts XIV Annual International Meeting of the Georgian mechanical UNION 29.08.2023-31.08.2023 POTI p.96.

4.Gurgenidze B. Narandyan chimines in industrial and civil engineering// International Scientific and Technical Conference “Problems of Applied Mechanics” Dedicated to the 95th Anniversary og the Academy Corresponding Member Irakli Ghudushauri” Book of abstract. 15-16 may,2023.p.p.58-59.

Selection of protective structural systems for new construction in densely populated areas

Beka Gurgenidze
Georgian Technical University

Abstract

Georgia has a diverse relief and complex geological conditions, high seismic activity, frequent mudflows and landslides. In these conditions, it is necessary to use technologies that ensure both economic efficiency and the stability and safety of engineering structures. Particularly noteworthy is the densely populated urban environment, where ensuring safety and stability is associated with many difficulties and costs: the process of installing sheet piles is accompanied by high levels of noise and vibration, limited working area, specific conditions of a particular construction environment, etc., which requires additional work and, of course, increased costs.

For the last 10 years in Georgia, the technology of screw mounting has been intensively implemented. Pile pile is a metal sheet that, when driven into the ground, forms a kind of iron curtain that performs the function of a protective barrier and is used in the construction of temporary and permanent structures. Sections provide maximum strength at minimum costs. The construction of connecting beams allows you to fasten them with clamps or bury them, creating a solid wall consisting of connected sections.

However, it should be noted that there are many obstacles: insufficient development of theoretical and practical studies, implementation of international standards, which significantly complicates the wider implementation of technology and its development. Despite these disadvantages, Larsen piles are used both in temporary and permanent structures: in the retaining walls of pits, in strengthening the banks of rivers, in the construction of ports, in the construction of roads and bridges, and especially in the implementation of safe construction works in historical and densely populated

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.46



COVID-19 პანდემიის ეკოლოგიური გავლენა: ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ცვლილება საქართველოს დიდ ქალაქებში

ნინო ვეფხვაძე, მანანა ხორბალაძე, ნინო კილაძე, ნანა ცხოვრებაძე, ირმა ცხოვრებაძე, თეა ქოჩორაძე-მარღიშვილი, ივანე კუგოტი

თსსუ-ის ჰიგიენის, სამედიცინო ეკოლოგიის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის დეპარტამენტი

რეზიუმე

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს დიდ ქალაქებში (თბილისი, რუსთავი, ბათუმი) ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მაჩვენებლების (PM_{10}, $PM_{2.5}$, NO_2, CO, O_3, SO_2) კონცენტრაციის შესწავლა პრე- და პოსტკოვიდურ - 2019-2023, წლებში. მიღებული მონაცემები დამუშავდა Microsoft Exel პროგრამით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში დიდი ქალაქების ჰაერის დაბინძურება საკმაოდ სერიოზული პრობლემაა, რომლის მოგვარებაც სამთავრობო უწყებების, სამოქალაქო და სამეცნიერო საზოგადოების ჩართულობას და კოორდინირებულ ქმედებებს მოითხოვს.

მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგურების რაოდენობის გაზრდა, მოძველებული სატრანსპორტო საშუალებების თანამედროვე ელექტრო- და ჰიბრიდული ტრანსპორტით ჩანაცვლება, დიზელის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლი, დიდი ქალაქების ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების ფართობის გაზრდა, ენერგიის ალტერნატიული წყაროების მოძიება და მშენებლობის ენერგოეფექტური მეთოდების გამოყენება.

სავარაუდოდ, ეფექტური იქნება შემდგომი კვლევის ჩატარება ქვეყნის ყველაზე მეტად დაბინძურებულ რეგიონებში, ქრონიკული არაინფექციური დაავადებების, მათ შორის ფილტვის და სასუნთქი გზების სხვადასხვა პათოლოგიით ავადობის შესწავლის პარალელურად.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მთელ მსოფლიოში 4,2 მილიონი სიკვდილის შემთხვევა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას უკავშირდება. მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 99% ექვემდებარება ისეთი ჰაერის ზემოქმედებას, რომელშიც წვრილდისპერსიული ნაწილაკების ($PM_{2.5}$) შემცველობა მნიშვნელოვნად აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილ $PM_{2.5}$-ის უსაფრთხო დონეს. დაბალი და

საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში ჰაერის დაბინძურების ხარისხი გაცილებით მაღალია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით [4, 5, 13].

მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე, აქტიური ინდუსტრიალიზაცია, წიაღისეული საწვავის წვა და გადატვირთული საავტომობილო მოძრაობა დიდი ქალაქების ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების უმთავრეს მიზეზებს წარმოადგენს [5, 6, 12].

ევროპის რეგიონსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მავნე ნაწილაკების გავრცელება ხდება მრავალი მობილური და სტაციონარული წყაროს მეშვეობით. მსუბუქი და სატვირთო მანქანების გადაადგილებისას ხდება გამონაბოლქვისა და მტვრის ნაწილაკების ემისია, რომელიც დაბინძურების მთავარი წყაროა. ამას ემატება მასშტაბური ხანძრები, ქარიშხალი და სხვა ბუნებრივი თუ ხელოვნური კატასტროფები [5, 8, 9, 10, 11].

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ჰაერის მაღალი დაბინძურების მქონე ქალაქებში სიკვდილიანობის ზოგადი მაჩვენებელი 15-20%-ით აჭარბებს შედარებით „სუფთა“ ქალაქების მოსახლეობის სიკვდილიანობის მაჩვენებელს. სუფთა და ჯანსაღი ჰაერით გამოირჩევა სკანდინავიის ქვეყნების (შვედეთი, ნორვეგია, ფინეთი) დიდი ქალაქები, ხოლო ყველაზე საშიში და არაჯანსაღი ჰაერი ჩინეთის რეგიონებშია [4, 6, 7, 12].

2014 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმდა ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც, ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, გარემოს დაცვის საკითხებსაც ეხება - მათ შორის ატმოსფერული ჰაერის ხარისხს და მასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის პრობლემებს. ასოცირების ხელშეკრულება მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, გაუმჯობესებას და რეაბილიტაციას ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო დონეზე მხარდაჭერას გარემოს დაცვის რეგიონულ ან/და გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად (მუხლი 302).

ჰაერში დამაბინძურებლების კონცენტრაციის შემცირებით შესაძლებელია სიკვდილიანობის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი შემცირება. მაგალითად, შეწონილი მყარი ნაწილაკების კონცენტრაციის 70 მკგ/მ^3-დან 20 მკგ/მ^3-მდე შემცირებით სიკვდილიანობა შეიძლება შემცირდეს 15%-ით [6, 11, 12].

შეწონილი მყარი ნაწილაკების ყველაზე აგრესიულ ნაწილს შეადგენს სულფატები, ნიტრატები, ნახშირბადი, მინერალური არაორგანული მტვერი, რომელიც ჰაერში შეწონილ წყალთან და ორგანულ ნივთიერებებთან ქმნის მყარი და თხევადი ნაწილაკების რთულ ნარევს [4, 6, 8, 9, 10].

ორგანიზმზე ზემოქმედების შეფასებისას მტვრის მყარი ნაწილაკების ფრაქცია იყოფა ორ ჯგუფად: PM_{10} (ნაწილაკები- აეროდინამიური დიამეტრით 10 მკმ) და $PM_{2,5}$ (ნაწილაკები დიამეტრით 2,5 მკმ). სწორედ ეს უკანასკნელი ითვლება ძლიერ დამაზიანებლად და საშიშად ჯანმრთელობისათვის, რადგან მათ შესწევთ უნარი შეაღწიონ ბრონქიოლების პერიფერიულ უბნებზე და ხელი შეუშალონ აირცვლას [4, 6, 7, 12].

დიდ ქალაქებში დამაბინძურებლები უარყოფითად ზემოქმედებენ საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და გარემოზე. საქართველოში მსხვილი ურბანული ცენტრები, როგორიცაა თბილისი, ბათუმი, ქუთაისი და რუსთავი, წლების განმავლობაში ებრძვიან ჰაერის ხარისხის პრობლემებს. ამ ქალაქებში დღეისათვის დაბინძურების ძირითად წყაროდ ითვლება შიგაწვის

ძრავიანი ავტომანქანების გამონაბოლქვი, რასაც ინდუსტრიულ ცენტრებში ემატება სამრეწველო დაბინძურება [1, 2, 3].


კვლევის მიზანს წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის დიდ ქალაქებში (თბილისი, რუსთავი, ბათუმი) ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მაჩვენებლების (PM_{10}, $PM_{2.5}$, NO_2, CO, O_3, SO_2) კონცენტრაციის შესწავლა პრე- და პოსტკოვიდური - 2019-2023, წლების განმავლობაში.

ჰაეროვანი გარემოს მონიტორინგი წარმოებს ხუთ დიდ ქალაქში - თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ზესტაფონსა და ბათუმში. აქედან ავტომატური სადგურები უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ ქ.თბილისის ხუთ, ქ. რუსთავის ერთ, ქ. ქუთაისის ერთ და ქ. ბათუმის ერთ ლოკაციაზე.

ქ. თბილისში ჰაერის ხარისხზე დაკვირვება მიმდინარეობს ვარკეთილში, აკ.წერეთლის, ალ.ყაზბეგის, დავით აღმაშენებლის და მარშალ გელოვანის გამზირებზე (მობილური სადგური).

მიღებული შედეგები. კვლევით დადგინდა, რომ აკ. წერეთლის გამზირზე 2022 წელს შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაციის საშუალო მაჩვენებელი არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ ნორმებს - PM_{10}- 35 მკგ/მ^3 და $PM_{2.5}$- 17მკგ/მ^3, ხოლო 2023 წელს PM_{10}-ის საშუალო წლიური მაჩვენებელი გაიზარდა და 63.9 მკგ/მ^3 მიაღწია (დიაგრამა №1).

დიაგრამა #1




აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღრმა ყოველდღიური კვლევის მიხედვით ფიქსირდება PM_{10}-ის კონცენტრაციის ეპიზოდური მატება (2 აპრილის მონაცემებით PM_{10}-ის კონცენტრაცია 329.3 მკგ/მ^3-ს შეადგენდა, რაც ნორმაზე 6-ჯერ მეტია).

ქ. თბილისის ოთხ წერტილში გამოსაკვლევ პერიოდში $PM_{2.5}$-ის კონცენტრაციების ცვლილებები გამოხატულია დიაგრამაზე #2.

დიაგრამა #2.

$PM_{2.5}$-ის კონცენტრაციების ცვლილებები ქ. თბილისში




PM $_{2.5}$-ის, ისევე როგორც PM_{10}-ის, შემთხვევაში დედაქალაქის სხვადასხვა უბანში გვხვდება მათი პერიოდული მატების და კლების ტენდენცია, რაც აიხსნება გარემოში მიმდინარე პროცესებით. მიუხედვად ამ გრადაციისა, უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევ ინტერვალში $PM_{2.5}$-ის კონცენტრაცია ძირითადად ნორმის ფარგლებშია, ხოლო PM_{10}-ის კონცენტრაცია 2019 წელს, ისევე როგორც 2023 წელს, ნორმას აღემატება და, მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პოტენციური რისკებიდან გამომდინარე, საჭიროებს დამატებითი პრევენციული ღონისძიებების შემუშავებას.

ჰაეროვანი გარემოს სხვა დამაბინძურებლების (NO_2, SO_2, CO, O_3) კონცენტრაციების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ წლების მიხედვით, როგორც მყარი ნაწილაკების შემთხვევაში, კორონავირუსის საწინააღმდეგო რეგულაციებიდან გამომდინარე, შესაბამის პერიოდში მათ კონცენტრაციას ახასიათებს კლების და შემდეგ ისევ მატების ტენდენცია, თუმცა აღნიშნული ნორმას არ აღემატება არცერთ ეპიზოდში.

რაც შეეხება ქ. რუსთავს, აქ საგანგაშო მდგომარეობაა შეწონილი ნაწილაკების მიმართულებით. მაღალია როგორც $PM_{2.5}$-ის, ასევე, PM_{10}-ის ზომის ნაწილაკების კონცენტრაციის საშუალო დღეღამური მაჩვენებელი (დიაგრამა #3).


დიაგრამა #3



ღრმა კვლევის მიხედვით, მიმდინარე წლის განმავლობაში შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია მაღალი იყო 2024 წლის 7 მარტს. მაღალი იყო როგორც $PM_{2.5}$-ის, ასევე, PM_{10} -ის ნაწილაკების კონცენტრაცია. $PM_{2.5}$-ის ზომის ნაწილაკების კონცენტრაციის საშუალო დღიური მაჩვენებელი 63.09 მკგ/მ^3 შეადგენდა, რაც 3-ჯერ აღემატება ნორმას. ამ ლოკაციაზე აღინიშნება O_3-ის მაღალი კონცენტრაცია, რომელიც ხშირად მაქსიმუმს აღწევს, მაგრამ ნორმის ფარგლებს არ სცილდება.


ქ. ქუთაისის ატმოსფერულ ჰაერში შეწონილი ნაწილაკების - $PM_{2.5}$ და PM_{10}-ის, წლიური საშუალო მაჩვენებელი პოსტკოვიდურ პერიოდში ნორმის ფარგლებშია, მაგრამ 2024 წლის აპრილში ჩატარებული ღრმა კვლევის მონაცემებით საშუალო დღიური კონცენტრაცია PM_{10}-ის მიხედვით 91.04 მკგ/მ^3 შეადგენდა, რაც ნორმას აღემატებოდა 2-ჯერ და ეს გრძელდებოდა 3 საათის განმავლობაში. ასევე არის შემთხვევები, როდესაც PM_{10} -ის კონცენტრაცია უფრო ხანგრძლივად არის მაღალი (დიაგრამა #4).

დიაგრამა #4



ქ. ბათუმის მონაცემების მიხედვით, პოსტკოვიდურ პერიოდში ქალაქის ჰაეროვან გარემოში შეწონილი ნაწილაკების $PM_{2.5}$ და PM_{10}-ის საშუალო წლიური კონცენტრაცია ნორმის ფარგლებშია (დიაგრამა #5).


დიაგრამა #5




მიუხედავად ამისა, ღრმა კვლევის ყოველდღიური მონაცემებით, პერიოდულად მაღალია შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია. მაგალითად, 2024 წლის 31 მარტის მონაცემებით PM_{10} -ის ნაწილაკების დღიური კონცენტრაცია 67.9 მკგ/მ^3-ს შეადგენს, ხოლო $PM_{2.5}$-ის კონცენტრაცია - 28.84 მკგ/მ^3-ს. ორივე მონაცემი აღემატება ნორმით დაშვებულს 1.5-ჯერ. არის დღეები, როდესაც მაღალი კონცენტრაციის დონე გრძელდება საათების განმავლობაში და შემდეგ უბრუნდება ნორმას.


მონაცემები არ მოიძებნა ქ.ზესტაფონის ჰაეროვანი გარემოს შემადგენლობის შესახებ.

გარემოს ეროვნული სააგენტოდან აღებული მონაცემები დამუშავდა Microsoft Exel პროგრამაში; შედარდა სხვადასხვა ქალაქების მონაცემები. შესაბამისი შედეგები ასახულია დიაგრამებზე ##6-7-8.





დიაგრამაზე №8 ასახულია მოცემული ინდიკატორების მნიშვნელობების ჩაშლა თბილისში წლების მიხედვით 2019-2023 წლების ჭრილში.



კვლევის მონაცემების ანალიზით აღმოჩნდა, რომ შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია შედარებით მაღალია ზამთრის პერიოდში. განსაკუთრებით - მშრალ პერიოდში, რაც, სავარაუდოდ, შიგაწვის ძრავების მუშაობას და საცობების არსებობას უკავშირდება. ასევე, ამ პერიოდში აქტიურია გათბობის სეზონი, როდესაც მრავალპროფილურ გათბობის ქსელში არსებული სხვადასხვა დამაბინძურებლები ჭარბად გამოიყოფა ატმოსფეროში. ყოველდღიურმა ღრმა კვლევამ აჩვენა, რომ ძალიან ხშირია დღეები, როდესაც შეწონილი ნაწილაკების, კერძოდ $PM_{2.5}$-ის კონცენტრაცია საათების განმავლობაში აჭარბებს ნორმას. ასეთი შემთხვევები ყველა ლოკაციაზე ფიქსირდებოდა, თუმცა ყველაზე ხშირად ეს გამოვლინდა ქ.რუსთავის ჰაეროვანი გარემოს შესწავლისას.

ჩვენი კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ საქართველოში დიდი ქალაქების ჰაერის დაბინძურება საკმაოდ სერიოზული პრობლემაა და სამთავრობო უწყებების, სამოქალაქო და სამეცნიერო საზოგადოების ჩართულობას და კოორდინირებულ ქმედებებს მოითხოვს.

მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგურების რაოდენობის გაზრდა, მოძველებული სატრანსპორტო საშუალებების თანამედროვე ელექტრო- და ჰიბრიდული ტრანსპორტით ჩანაცვლება, დიზელის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლი, დიდი ქალაქების ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების ფართობის გაზრდა, ენერგიის ალტერნატიული წყაროების მოძიება და მშენებლობის ენერგოეფექტური მეთოდების გამოყენება.

სასურველია და, სავარაუდოდ, ძალზე ეფექტური იქნება შემდგომი კვლევების წარმოება ქვეყნის ყველაზე მეტად დაბინძურებულ რეგიონებში, ქრონიკული არაინფექციური დაავადებების, განსაკუთრებით კი სასუნთქი გზების, მათ შორის - ფილტვის სხვადასხვა პათოლოგიით ავადობის შესწავლის პარალელურად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ვეფხვაძე, მ.ხორბალაძე, ი. კუგოტი, ნ. ცხოვრებაძე, თ. ქოჩორაძე-მარღიშვილი, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება საქართველოს დიდ ქალაქებში (2019-2021 წწ.), თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული, 2022, ტ. 56, გვ. 76-79.
2. ნ. ვეფხვაძე, მ. ხორბალაძე, ნ. კილაძე, ნ. ცხოვრებაძე, ი. ცხოვრებაძე, თ. ქოჩორაძე-მარღიშვილი, ი. კუგოტი, საქართველოს დიდი ქალაქების ატმოსფერული ჰაერის ზოგადი დახასიათება პრეკოვიდურ, კოვიდურ და პოსტკოვიდურ პერიოდში (2019-2023 წწ.), ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, №4, 2023, გვ. 19-23
3. Annual Air Quality Reports (2019-2023) - National Environmental Agency of Georgia.
4. Dasandi N, Jankin S, Pantera DK, Romanello M. Public engagement with health and climate change around the world: a Google Trends analysis. Lancet Planet Health 2025; **9:** e. 236–44
5. European Environmental Agency. Air Quality in Europe—2019 Report. Report № 10/2019. Available online: https://www.eea.europa.eu/publications/air-quality-in-europe-2019 (accessed on 7 April 2022).
6. European Environment Agency (EEA). Air Quality in Europe – 2020 Report. EEA09/2020 (published 23 November 2020)
7. European Commission. Directive 2008/50/EC on Ambient Air Quality and Cleaner Air for Europe. European Parliament and of the Council. 21 May 2008. Available online: https://www.eea.europa.eu/policy-documents/directive-2008-50-ec-of (accessed on 7 April 2022).
8. Lorenzo-Saez E., Coll-Aliaga E., Oliver-Villanueva J., Prieto del Campo F., Lerma-ArceV., Analysis of the COVID-19 Lockdown's Impact on Air Quality in the Langer Cities of Spain, Sustainability 2022, 14(9), 5613.
9. . Manisalidis I, Stavropoulou E, Stavropoulos A, Bezirtzoglou E. Environmental and Health Impacts of Air Pollution: A Review. Front Public Health. 2020 Feb
   doi: 10.3389/ fpubh.2020.00014
10. United States Environmental Protection Agency (EPA). "The Clean Air Act." EPA, 2020.

11. World Health Organization (WHO). "Air Pollution." WHO, 2025
12. World Health Organization. WHO Global Air Quality Guidelines. Particulate Matter (PM2.5 and PM10), Ozone, Nitrogen Dioxide, Sulphur Dioxide and Carbon Monoxide; World Health Organization: Geneva, Switzerland, 2021; Available online: https://www.who.int/publications/i/item/9789240034228 (accessed on 7 April 2022).
13. https://www.who.int/teams/environment-climate-change-and-health/air-quality-energy-and-health/health-impacts/exposure-air-pollution

Ecological Impact of COVID-19 Pandemic: Changes in Ambient Air Quality in Major Cities of Georgia

Nino Vepkhvadze, Manana Khorbaladze, Nino Kiladze, Nana Tskhovrebadze, Irma Tskhovrebadze, Tea Kochoradze-Margishvili, Ivane Kugoti

Department of Hygiene, Medical Ecology and Health Promotion, Tbilisi State Medical University

Abstract

This study aims to evaluate the changes in ambient air quality in major urban centres of Georgia-Tbilisi, Rustavi, and Batumi - during the period 2019 to 2023, encompassing the pre- and post-COVID-19 pandemic phases. The research focused on key atmospheric pollutants, including particulate matter (PM_{10}, $PM_{2.5}$), nitrogen dioxide (NO_2), carbon monoxide (CO), ozone (O_3), and sulfur dioxide (SO_2). The collected data were processed and analysed using Microsoft Excel.

The findings indicate that air pollution remains a significant environmental and public health issue in the studied cities. Addressing this challenge necessitates the coordinated involvement of governmental bodies, the scientific community, and civil society.

To mitigate air pollution and improve air quality, the following measures are recommended: expansion of the national air quality monitoring network, gradual replacement of aging vehicle with electric and hybrid alternatives, strengthened regulatory control over emissions from diesel-powered vehicles, development and maintenance of urban green spaces promotion and integration of renewable energy sources, adoption of energy-efficient construction technologies and practices.

Further research is recommended, particularly in regions with the highest pollution levels. Such studies should be conducted in parallel with epidemiological investigations into chronic non-communicable diseases, especially those affecting the respiratory system, in order to better understand the public health implications of long-term exposure to air pollutants.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.47



ობიექტურ–ორიენტირებული მონაცემთა ბაზების შესახებ

ცაცა ნამჩევაძე[1], ელზა ბიწაძე[2]

[1]აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი,
tsatsanamg@gmail.com,
[2]აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი,
elza.bitsadze@atsu.edu.ge

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მონაცემთა ბაზების გამოყენების მნიშვნელობა; რელაციურ მონაცეთა ბაზების ნაკლოვანი მხარეები დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავებისას. აღნიშნულია, რომ ამ ნაკლოვანებების თავიდან აცილების ერთ–ერთ საშუალებას წარმოადგენს ობიექტურ–ორიენტირებული მონაცემთა ბაზები. ასეთი ბაზების არსი განისაზღვრება ობიექტურ–ორიენტირებული მიდგომით. ობიექტურ–ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს ობიექტურ–ორიენტირებულ პროექტირებას და ობიექტურ ორიენტირებულ პროგრამირებას. ჩამოყალიბებულია ობიექტურ–ორიენტირებული პროექტირებისა და ობიექტურ–ორიენტირებული პროგრამირების ძირითადი ცნებები.

მონაცემთა ბაზების აგების ობიექტურ–ორიენტირებული მიდგომისათვის აუცილებელია: 1).მონაცემთა ინკაფსულაცია ე.ი. კლასებისა და ობიექტების გამოყოფა; 2).ცხრილების სტრუქტურის განსაზღვრა; 3).მონაცემებისათვის კლასების მემკვიდრეობის შექმნა; 4).პოლიმორფიზმის უზრუნველყოფა და სხვა.

აღნიშნულია, რომ ობიექტურ–ორიენტირებულ მონაცემთა ბაზებს მიეკუთვნება მხოლოდ ის მონაცემთა ბაზები, რომელთა რეალიზაციის ყველა სტრუქტურული ელემენტი აგებულია ობიექტურ–ორიენტირებული მიდგომით. თუ ერთი მაინც სტრუქტურული ელემენტი არ გამოიყენებს ობიექტურ–ორიენტირებულ მიდგომას, მაშინ საქმე გვაქვს ობიექტურ–რელაციურ მონაცემთა ბაზებთან.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია რელაციურ მონაცემთა ბაზებთან შედარებით ოომბ–ის უპირატესობები. ესენია: 1).სისტემის მოდელირების უკეთესი შესაძლებლობები; 2).სტრუქტურის ადვილად გაფართოების უნარი, რაც განპირობებულია ახალი ტიპის მონაცემების (თვისებების) შექმნით, მემკვიდრეობით, ახალი კავშირების დამყარებით და მეთოდების კორექტირების საშუალებებით. 3).რეკურსული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა დიდი მოცულობის მონაცემებზე ნავიგაციური მეთოდით მიმართვისას;

4).მწარმოებლობის ამაღლება 3–20–ჯერ და მეტად; 5).გამოყენების ფართო სპექტრი (მაგალითად, გამოიყენება მულტიმედიურ სისტემებში, გრაფებში) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ობიექტურ–ორიენტირებული მონაცემთა ბაზები რელაციურ მონაცემთა ბაზებთან შედარებით საჭიროებს 4-5–ჯერ მეტ მეხსიერებას.

ობიექტურ-ორიენტირებულ მონაცემთა ბაზებში მონაცემებთან წვდომა და მოთხოვნების შექმნა ხდება პროგრამული კოდით, რომელიც დაწერილია ობიექტურ-ორენტირებულ ენაზე (მაგ. Java, C++, Python). ზოგიერთ თანამედროვე ობიექტურ-ორენტირებულ მონაცემთა ბაზას აქვს SQL ენის-ის გაფართოებული ვერსია.

სტატიაში მოცემულია თანამედროვე პირობებში ფართოდ გამოყენებული რამოდენიმე ობიექტურ–ორიენტირებული მონაცემთა ბაზების მართვის სისტემის სახეები. მოყვანილია პროგრამის ფრაგმენტები ერთ-ერთი პოპულარული მონაცემთა ბაზების მართვის სისტემისათვის-**Versant Object Database.**

საკვანძო სიტყვები: ობიექტურ–ორიენტირებული მონაცემთა ბაზები, ობიექტურ–ორიენტირებული მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა, მონაცემთა ობიექტური მოდელი, ობიექტების განსაზღვრის ენა, მოთხოვნების ობიექტური ენა.

თანამედროვე პირობებში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მონაცემთა ბაზების გამოყენებას. იგი ეხება საზოგადოების საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს. ესენია: მეცნიერება, საბანკო სექტორი, ბიზნესი, ჯანდაცვა, სახელმწიფო მართვა და სხვა.

მონაცემთა ბაზები უზრუნველყოფს დიდი რაოდენობის ინფორმაციის სისტემატიზაციას, სწრაფ დამუშავებას, ანალიზს და სხვა. მისი საშუალებით შესაძლებელია ინფორმაციის დაცვა უნებართვო წვდომისგან, პარალელურად კი - მრავალმომხმარებლიანი წვდომის უზრუნველყოფა. მონაცემთა ბაზები ხელს უწყობს პროცესების ავტომატიზაციას - მცირდება ხელით შეყვანის საჭიროება, რაც ამცირებს შეცდომებს და ზრდის პროდუქტიულობას.

მონაცემთა რელაციური მოდელის სერიოზულმა ნაკლოვანებებმა გამოიწვია სხვა მოდელების ძებნის აუცილებლობა. მონაცემთა პროგრესულ და პერსპექტიულ მოდელს წარმოადგენს მონაცემთა ობიექტურ–ორიენტირებული მოდელი. მასში მონაცემთა ბაზა, მომხმარებლის ინტერფეისი და დანართების ალგორითმები აგებულია ობიექტურ–ორიენტირებული მიდგომის გამოყენებით.

მონაცემთა რელაციური მოდელის ავტორმა **ედგარ კოდმა** თავდაპირველად ჩამოაყალიბა 12 მოთხოვნა, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს **მონაცემთა ბაზები (მბ).** თანამედროვე პირობებში იგი უნდა აკმაყოფილებდეს დამატებით 15–20-ზე მეტ ტექნიკურ, უსაფრთხოების, ოპტიმიზაციის და ინტეგრაციის მოთხოვნასაც. აღნიშნულის რეალიზება დაკავშირებულია რიგ სირთულეებთან.

დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავებისას ვლინდება რელაციურ მბ–ის ნაკლოვანებები. ამ ნაკლოვანებებს მიეკუთვნება:

1) მბ–ის სტრუქტურის სირთულე, რომელიც განპირობებულია ნორმალიზაციის ჩატარების აუცილებლობით;
2) დაბალი მწარმოებლობა, რომელიც გამოწვეულია გასაღების მიხედვით ძებნით. აღნიშნული 3–5–ჯერ ზრდის მიმართვის ოპერაციებს;
3) მონაცემთა ტიპების შეზღუდული რაოდენობა;

4) მონაცემთა წარმოდგენა მხოლოდ 2–განზომილებიანი ცხრილის სახით;
5) შეუძლებელობა იმისა, რომ მონაცემები განხილულ იქნას ფენებად (მაგალითად, „თანამშრომლები“ ერთ ფენად, ხოლო „მეცნიერ-მუშაკები“ და „მასწავლებლები“ დაქვემდებარებულ ფენად);
6) მონაცემთა დანაკარგები მრავალრიცხოვანი განახლებისას მე–3 ნორმალურ ფორმაში;
7) მონაცემთა შენახვის სხვა პარადიგმებთან შერწყმის სირთულე და სხვა.

ჩამოთვლილი ნაკლოვანებების თავიდან აცილების ერთ–ერთ საშუალებას წარმოადგენს **ობიექტურ–ორიენტირებული მონაცემთა ბაზები (ოომბ).** იგი მოითხოვს დიდი მოცულობის მეხსიერებას (20 გიგაბაიტზე მეტი) სისტემის კონსტრუირებისათვის.

1989 წელს გამოქვეყნდა „ოომბ–ის მანიფესტი“, რომელშიც გამოიყენებოდა ფორმულა:

ოომბმს=მბმს+ოოპე

სადაც ოომბს ნიშნავს ობიექტურ–ორიენტირებულ მონაცემთა ბაზების მართვის სისტემას;

ოოპე – ობიექტურ–ორიენტირებულ პროგრამირების ენას.

ოომბმს უნდა უზრუნველყოფდეს არაწრფივი სტრუქტურის ობიექტებს, სისტემის ადვილად გაფართოებას, გამოთვლების შესრულებას, მოთხოვნების ენებს. აღნიშნული მიიღწევა ინკაფსულაციითა და მემკვიდრეობით.

1991 წელს შეიქმნა ჯგუფი Object Database Managment Group (ODMG), რომელსაც უნდა ჩამოეყალიბებია ოომბ–ის სტანდარტი. ეს სტანდარტი ჯგუფმა წარადგინა 1993 წელს სახელწოდებით ODMG-3. მასში შედიოდა:

1) მონაცემთა ობიექტური მოდელი – Object Data Model (ODM);
2) ობიექტების განსაზღვრის ენა – Object Definition Language (ODL), რომელიც გამოყენებულია მონაცემთა მანიპულირებისათვის;
3) მოთხოვნების ობიექტური ენა – Object Query Language (ODL), რომელიც გამოყენებულია მოთხოვნების დამუშავებისათვის;
4) პროგრამირების ენების ინტერფეისები (C^{++} და სხვა).


ოომბ-ის არსი განისაზღვრება ობიექტურ–ორიენტირებული მიდგომით **(სურ.1).** იგი გულისხმობს ობიექტურ–ორიენტირებულ პროექტირებას და ობიექტურ ორიენტირებულ პროგრამირებას.



სურ. 1. ობიექტურ–ორიენტირებული მიდგომა


ობიექტურ–ორიენტირებული პროექტირება **(სურ.2)** არის პროექტირების მეთოდოლოგია, რომელიც თავის თავში აერთიანებს ცოდნის ბაზების ან მონაცემთა ბაზების დეკომპოზიციის (დაყოფის) პროცესს შემადგენელ ნაწილებად. ამასთან იგი მოიცავს

დასაპროექტებელი სისტემის ლოგიკურ და ფიზიკურ წარმოდგენებს, სტატიკურ და დინამიურ მოდელებს.



სურ. 2. ობიექტიურ–ორიენტირებული პროექტირება

ობიექტურ–ორიენტირებული პროგრამირება **(სურ.3)** არის პროგრამირების მეთოდოლოგია, რომელიც ემყარება პროგრამის წარმოდგენას ობიექტების ერთობლიობის სახით. მასში ყოველი ობიექტი წარმოადგენს კლასის ეგზეპლიარს. კლასები კი იქმნება იერარქიულად მემკვიდრეობის პრინციპის მიხედვით.



სურ. 3. ობიექტიურ–ორიენტირებული პროგრამირება

განვიხილოთ ოოპ–ის რამოდენიმე დამახასიათებელი ცნება. კლასი არის ლოგიკური კონსტრუქცია, ხოლო ობიექტი მისი ფიზიკური რეალიზაცია. კლასს გააჩნია თვისებები (მონაცემები), მეთოდები (ალგორითმები).

ოოპ ეყრდნობა 3 ძირითად კონცეფციას ესენია: **ინკაფსულაცია, მემკვიდრეობა და პოლიმორფიზმი.**

ინკაფსულაცია არის კლასის თვისებების ჩაკეტვა მასზე წვდომის (მიმართვის) მიხედვით. კლასის თვისებებზე წვდომა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ კლასის მეთოდების საშუალებით. ამ მეთოდებს დაშვების ან წვდომის მეთოდებს უწოდებენ.

მემკვიდრეობა ნიშნავს, რომ კლასები იქმნება იერარქიული პრინციპის მიხედვით რომელიმე საბაზო (საწყისი) კლასიდან. წინაპარი კლასი მიჩნეულია როგორც საბაზო კლასი, ხოლო მემკვიდრე კლასი-როგორც წარმოებული კლასი. მემკვიდრე კლასი იძენს თვისებებსა და მეთოდებს წინაპარი კლასისაგან, ამასთან მასში შეიძლება გამოცხადდეს დამატებითი თვისებები და მეთოდები.

პოლიმორფიზმი საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ მეთოდები ერთი და იგივე სახელით როგორც საბაზო კლასში, ასევე წარმოებულ კლასებში. პოლიმორფიზმის გამოყენება განპირობებულია პროგრამაში დიდი რაოდენობით (100 და მეტი) კლასების არსებობით.

თუ გავავლებთ პარალელს რელაციურ მონაცემთა ბაზებთან, მაშინ კლასი (ობიექტი) შეესაბამება ცხრილს, ხოლო თვისება ველს (სვეტს).

თვისება შეიძლება იყოს მუდმივა, გადაგზავნა ობიექტზე, ჩაშენებული ობიექტები, მასივი (Array) და სია (List), მრავალგანზომილებიანი თვისება. მას მიეკუთვნება აგრეთვე ობიექტებს შორის კავშირები. თვისებას აქვს ტიპი. ძირითადი ტიპებია: String, Numeric, Float, Currency, Date, List, Status.

ქვემოთ მოცემულია ოომბ–ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ეყრდნობა ობიექტურ–ორიენტირებულ მიდგომას:

1) სვეტის როლში შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი კორტეჟი. სხვანაირად რომ ვთქვათ, სვეტი შეიძლება იყოს სხვა ცხრილი.
2) მონაცემთა მანიპულაციის პროცედურები საშუალებას იძლევა გაერთიანდეს რამოდენიმე პროცედურა;
3) სვეტების მონაცემები შეიძლება ექვემდებარებოდეს მემკვიდრეობითობის პრინციპს;
4) ელემენტებს შორის დამოკიდებულებაში შესაძლებელი იქნება არა მარტო ცალკეული ელემენტის მონაწილეობა (როგორც რელაციურ მონაცემთა ბაზებში), არამედ მრავალისაც.

ოომბ-ს მიეკუთვნება მხოლოდ ის მონაცემთა ბაზები, რომელთა რეალიზაციის ყველა სტრუქტურული ელემენტი აგებულია ობიექტურ–ორიენტირებული მიდგომით. თუ ერთი მაინც სტრუქტურული ელემენტი არ გამოიყენებს ობიექტურ–ორიენტირებულ მიდგომას, მაშინ საქმე გვაქვს ობიექტურ–რელაციურ მონაცემთა ბაზებთან [1-4].

თანამედროვე პირობებში ობიექტურ-ორიენტირებული მონაცემთა ბაზების ტექნოლოგიის განვითარებაში ერთმანეთს კონკურენციას უწევს ორი ძირითადი მიმართულება: 1). Distributed Object Linking and Embedding (OLE), 2). Common Object Request Broker Architecture (CORBA). ისინი არის ობიექტზე ორიენტირებული დისტრიბუციული ტექნოლოგიები, რომლებიც ხშირად გამოიყენება ობიექტურ-ორიენტირებული მონაცემთა ბაზების ინტეგრაციისთვის. ქვემოთ ჩამოყალიბებულია ამ ტექნოლოგიების ძირითადი არსი:

1).Distributed Object Linking and Embedding (OLE)-ტექნოლოგია, რომელიც შემუშავებულია კომპანია *Microsoft*-ის მიერ და ძირითადად ორიენტირებულია Windows პლატფორმებზე. იგი უზრუნველყოფს ობიექტების გაზიარებას და ურთიერთქმედებას სხვადასხვა პროგრამას შორის.

OLE-ს მეშვეობით სხვადასხვა პროგრამას (მაგალითად, MS Word-სა და Excel-ს) შეუძლია ერთმანეთთან **ობიექტების გაზიარება** ისე, რომ ისინი მუშაობდნენ **სინქრონულად.**

მაგალითად, Excel-ში შექმნილი ცხრილი ჩაშენდეს Word დოკუმენტში ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში მოხდეს პირდაპირ Word-დან განახლება.

2).Common Object Request Broker Architecture (CORBA)-პლატფორმებისაგან დამოუკიდებელი სტანდარტი, რომელიც შემუშავებულია *Object Management Group (OMG)*-ის მიერ და მხარდაჭერილია ისეთი კომპანიების მიერ, როგორებიცაა *IBM, Novell, DEC* და სხვები. CORBA უზრუნველყოფს სხვადასხვა სისტემებსა და პროგრამულ გარემოში არსებული ობიექტების ურთიერთქმედებას ქსელის საშუალებით.

მაგალითად, ერთი პროგრამა შეიძლება დაწერილი იყოს Java-ზე Linux-ში, მეორე - C++-ზე Windows-ში. CORBA იძლევა მათ შორის კავშირისა და მონაცემთა გაცვლის შესაძლებლობას.

ამგვარად, ობიექტურ-ორიენტირებულ მონაცემთა ბაზებში მონაცემები ინახება ობიექტების სახით და არა ცხრილებად. მონაცემებთან წვდომა და მოთხოვნების შექმნა ხდება პროგრამული კოდით, რომელიც დაწერილია ობიექტურ-ორენტირებულ ენაზე (მაგ. Java, C++, Python). ზოგიერთ თანამედროვე ობიექტურ-ორენტირებულ მონაცემთა ბაზას აქვს SQL ენის გაფართოებული ვერსია.

თანამედროვე პირობებში ფუნქციონირებს 300-ზე მეტი სახის ოომბმს. ზოგიერთი მათგანი მოცემულია ცხრ.1–ში. ცხრილიდან ჩანს, რომ მათი შექმნისათვის გამოყენებულია დამუშავების სხვადასხვა მიდგომა:

ცხრილი 1

რამოდენიმე ოომბმს–ის დახასიათება

მწარმოებელი ფირმა	მართვის სისტემა (OODBMS)	დამუშავების ენა/ენები	დამუშავების მიდგომა	შენიშვნა / განსაკუთრებული მახასიათებლები
ObjectDB Software Ltd.	ObjectDB	Java, JPA	ობიექტების პირდაპირი შენახვა, ORM მხარდაჭერა	მაღალსიჩქარიანი JPA რეალიზაცია, მხარდაჭერა Hibernate-ის ალტერნატივად
Actian (Versant Corp.)	Versant Object Database	Java, C++	ობიექტების პირდაპირი რუკირება	გამოიყენება ტელეკომუნიკაციებში, რეალურ დროში დამუშავება
db4objects Inc.	db4o	Java, .NET (C#)	ობიექტების პირდაპირი შენახვა, არ იყენებს ORM-ს	გამარტივებული დანერგვა და მინიმალური კონფიგურაცია
GemTalk Systems	GemStone/S	Smalltalk	ობიექტების პირდაპირი შენახვა,	სრული ინტეგრაცია Smalltalk გარემოსთან

მწარმოებელი ფირმა	მართვის სისტემა (OODBMS)	დამუშავების ენა/ენები	დამუშავების მიდგომა	შენიშვნა / განსაკუთრებული მახასიათებლები
			გამართულობა ობიექტურ გარემოში	
Zope Corporation	ZODB	Python	ობიექტების პირდაპირი შენახვა	გამოიყენება Web აპლიკაციებში (Zope, Plone)
RunTime, Inc.	ODABA	C++	ობიექტური მოდელი + სუსტი რელაციური მხარდაჭერა	ძლიერი ტიპიზაცია, ინტეგრირებული GUI
Oracle Corporation	Oracle Berkeley DB (Java Edition)	Java	ჩაშენებული ობიექტური შენახვა Java-ში	გამოიყენება ჩაშენებულ აპლიკაციებში, მაღალი შესრულება
Franz Inc.	AllegroGraph	Java, Lisp, Python, C#	გრაფებზე დაფუძნებული ობიექტური მოდელი + RDF მონაცემების მხარდაჭერა	გამოიყენება knowledge graph-ებში, AI/ML სისტემებში

Object-Relational Mapping (**ORM-ობიექტურ-რელაციური რუკირება)** არის ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება **ობიექტურ-ორიენტირებულ პროგრამებსა** და **რელაციურ მონაცემთა ბაზებს** შორის მონაცემების გადასაყვანად. ORM ავტომატურად გარდაქმნის ობიექტებს მონაცემთა ბაზის ცხრილებად და პირიქით - ცხრილების მონაცემებს პროგრამულ ობიექტებად SQL-ენის გამოყენების გარეშე.

ოომბმს–ის არჩევას განსაზღვრავს: ოოპე და SQL–ენის გაფართოება; ადმინისტრირების და დამუშავების საშუალებანი; მონაცემებზე წვდომა **(ODBC-**Open Database Connectivity-ღია კავშირი მონაცემთა ბაზებთან); სხვადასხვა პლატფორმით მუშაობის შესაძლებლობა.

ერთ-ერთი პოპულარული ოომბმს არის **Versant Object Database.** იგი იყენებს ენას C++ და SQL-ენის გაფართოებას **VQL-ენას**. **VQL-ენა** არის SQL-ენის მსგავსი, მაგრამ მორგებულია ობიექტებზე მანიპულირებისათვის [5].

1.1.1. *ქვემოთ მოცემულია პროგრამების ფრაგმენტები ობმბმს-თვის - Versant Object Database. (მონაცემთა ბაზაში შექმნილია ორი კლასი: 1.კლასი Person, 2.კლასი Department).*

1) პროგრამამ უნდა განაახლოს **ერთი თანამშრომლის ასაკი და წაშალოს მეორე თანამშრომლის მონაცემი.**

```
//გავაახლოთ Saba-ს ასაკი
const char* updateQuery="select from Person where name=' Saba '";
VOD_Query* q1= new VOD_Query(db, updateQuery);
Person* s;
if ((s=(Person*)q1->next()) != NULL) {
std::cout<<"მოიძებნა Saba. ასაკი: "<< s->age <<" -> ";
s->age = 40;
std::cout<<s->age<<" განახლდა"<<endl;
} else {
std::cout<<" ვერ მოიძებნა Saba."<<endl;
}
delete q1;

//წავშალოთ Akaki
const char* deleteQuery="select from Person where name = 'Akaki '";
VOD_Query* q2=new VOD_Query(db, deleteQuery);
Person* a;
if ((a = (Person*)q2->next())!=NULL) {
std::cout<<"მოიძებნა Akaki. იშლება."<<endl;
db->remove(a);
} else {
std::cout<<" ვერ მოიძებნა Akaki."<<endl;
}
```

1.1.2. *2) პროგრამამ უნდა **გამოთვალოს თანამშრომლების საშუალო ასაკი თითოეული განყოფილებისათვის.***

```
const char* vql = "select from Person";
VOD_Query* query = new VOD_Query(db, vql);
std::map<VOD_String, AgeAccumulator>ageByDept;
Person* p;
while ((p=(Person*)query->next()) !=NULL) {
if (p->department) {
VOD_String deptName = p->department->name;
ageByDept[deptName].totalAge +=p->age;
ageByDept[deptName].count +=1;
}
```

```
}
std::cout << "საშუალო ასაკი განყოფილებების მიხედვით:"<<endl;
for (const auto& entry : ageByDept) {
double avg=(double)entry.second.totalAge /entry.second.count;
std::cout<<"განყოფილება: "<<entry.first<<", საშუალო ასაკი: "<< avg<<std::endl;
}
```

1.1.3.

რელაციურ მონაცემთა ბაზებთან შედარებით ოომბ–ს აქვს შემდეგი უპირატესობები:

1) სისტემის მოდელირების უკეთესი შესაძლებლობები;
2) სტრუქტურის ადვილად გაფართოების უნარი, რაც განპირობებულია ახალი ტიპის მონაცემების (თვისებების) შექმნით, მემკვიდრეობით, ახალი კავშირების დამყარებით და მეთოდების კორექტირების საშუალებებით;
3) რეკურსული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა დიდი მოცულობის მონაცემებზე ნავიგაციური მეთოდით მიმართვისას;
4) მწარმოებლობის ამაღლება 3–20–ჯერ და მეტად;
5) გამოყენების ფართო სპექტრი (მაგალითად, გამოიყენება მულტიმედიურ სისტემებში, გრაფებში).

აღსანიშნავია, რომ ოომბ რელაციურ მონაცემთა ბაზებთან შედარებით საჭიროებს 4–5–ჯერ მეტ მეხსიერებას.

ნაშრომში განხილულია ოომბ და ოომბმს-ის სახეები. ჩამოყალიბებულია ობიექტურ–ორიენტირებული პროექტირებისა და ობიექტურ–ორიენტირებული პროგრამირების არსი. გაკეთებულია რელაციურ მბ-ისა და ოომბ-ის შედარებითი ანალიზი.

ლიტერატურა:

1. Советов Б., Цахановский В., Чертовской В. Базы дных. 2013; сс. 168-166.
2. McFarland G., Rudmik A., Lange D. Object-Oriented Database Management Systems Revisited. Modus Operandi, Inc.122 Fourth Ave., Indialantic, FL 32903. 1997; pp. 4-43.
3. https://www.owox.com/blog/articles/object-oriented-data-models#build-scalable-data-models-with-owox-bi
4. https://www.mongodb.com/resources/basics/databases/what-is-an-object-oriented-database?
5. Versant Software LLC and Actian Corporation. *Versant C++ Programmer's Guide: Release 9*, Versant Server 9.3. 2020; pp. 325-346.

About Object-Oriented Databases

Tsatsa Namchevadze[1], Elza Bichadze[2]
[1]Akaki Tsereteli State University, Associate Professor, tsatsanamg@gmail.com
[2]Akaki Tsereteli State University, Assistant Professor, elza.bitsadze@atsu.edu.ge

Summary

The article discusses the importance of using databases and highlights the shortcomings of relational databases when processing large volumes of data. It is noted that one way to overcome these limitations is through the use of object-oriented databases. The essence of such databases is defined by the object-oriented approach. This approach involves object-oriented design and object-oriented programming. The article outlines the key concepts of object-oriented design and programming.

To construct databases using the object-oriented approach, the following are essential:

1. Data encapsulation, i.e., the definition of classes and objects;
2. Specification of the structure of tables;
3. Creation of class inheritance for data;
4. Ensuring polymorphism, among other aspects.

It is noted that only those databases in which all structural elements are implemented using the object-oriented approach are considered object-oriented databases. If even one structural element does not use the object-oriented approach, the database is classified as an object-relational database.

The paper presents the advantages of object-oriented databases (OODB) compared to relational databases. These include:

1. Better system modeling capabilities;
2. Easier structural extensibility enabled by the creation of new data types (attributes), inheritance, establishing new relationships, and method modification capabilities;
3. The ability to use recursive methods when accessing large datasets via navigational methods;
4. 3 to 20 times or more performance improvement;
5. A wide range of applications (e.g., in multimedia systems, graphics), among others.

It is worth noting that object-oriented databases require 4 to 5 times more memory compared to relational databases.

In object-oriented databases, data access and query execution are performed using program code written in an object-oriented programming language (e.g., Java, C++, Python). Some modern object-oriented databases provide an extended version of the SQL language.

The article also describes several widely used object-oriented database management systems available today. Code fragments are provided for one of the most popular systems-Versant Object Database.

Keywords: object-oriented databases, object-oriented database management system, object data model, object definition language, object query language.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.48



ზოგიერთი ქიმიური პესტიციდების ეფექტურობა პომიდვრის სამხრეთ ამერიკული მენაღმე ჩრჩილის *Tuta absoluta* წინააღმდეგ.

ელისო მურადაშვილი[1], მედეა ბურჯანაძე[2], ზაირა ტყებუჩავა[1]

[1]სამცხე -ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი; [2] საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აგრარული მეცნიიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი, m.burjanadze@gtu.ge

აბსტრაქტი

პომიდვრის სამხრეთ ამერიკული მენაღმე ჩრჩილი - *Tuta absoluta* (Meyrick) (Lepidoptera: Gelechiidae) არის პომიდვრის კულტურის ძირითადი მავნებელი. იგი ინვაზიური ოლიგოფაგი მწერია და აზიანებს პომიდორს როგორც მინდვრის, ისე სათბურისა და შენახვის პირობებში. იგი ასევე აზიანებს Solanacaeae-ს ოჯახის სხვა კულტურულ წარმომადგენლებს (კარტოფილი, ბადრიჯანი, თამბაქო, გოჯი და სხვ.) და ველურ სახეობებს. *T. absoluta* პირველად 2011 წელს აღმოაჩინეს საქართველოში, იგი სწრაფად გავრცელდა ქვეყნის ყველა რეგიონში, მისი მაღალი რეპროდუქციული უნარის გამო და გახდა ძირითადი მავნებელი. *T.absoluta* გავრცელდა და დააზიანა მცენარეები როგორც სათბურებში, ასევე ღია გრუნტში. ბოლო წლებში მწერის პოპულაციის სწრაფმა ზრდამ გამოიწვია პომიდვრის მნიშვნელოვანი ზიანი საქართველოში. ზოგადად, დაბალ ზონაში და სათბურში სავეგეტაციო სეზონზე შეიძლება განვითარდეს *T. absoluta* -ს 8-10 თაობა.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია *T. absoluta*-ს წინააღმდეგ სხვადასხვა ქიმიური პესტივიდების გამოყენება და მათი ეფექტურობის დადგენა. 2023 წელს ქარელის რაიონ სოფელ დაბა აგარის მცირე სასათბურე მეურნეობაში მავნებლის წინააღმდეგ გამოვცადეთ პრეპარატები: კორაგენი, ბელტი, ბრენდონი.

თავდაპირველად, ჩატარდა *T. absoluta*-ს მატლების მიმართ რიგი პესტიციდების გამოცდა, რათა დაგვედგინა მათი ტოქსიკურობა. კორაგენი (0,04 ლ/ჰა), ბელტი (40 მლ/ჰა), ბრენდონი (100 მლ/100 ლ), რომელთა ბიოლოგიური ეფექტურობა შეადგენდა: კორაგენი - 87,5%, ბელტი - 82,2%, ბრენდონი - 76%.

საკვანძო სიტყვები: *Tuta absoluta*, ქიმიური პესტიციდები, ეფექტურობა

შესავალი

პომიდვრის სამხრეთ ამერიკული მენაღმე ჩრჩილი- *Tuta absoluta* (Meyrick) (Lepidoptera: Gelechiidae) მსოფლიოში გავრცელებულია რეგიონალურ და გლობალურ დონეზე. ის საკარანტინო მავნებელია, რომელსაც შეუძლია 80-100 % შეამციროს პომიდვრის მოსავლიანობა და ხარისხი. მწერი გავრცელებულია და ზიანის მომტანია, როგორც საველე ისე სათბურის პირობებში (Fand et all 2020).

ამ მავნებლის მატლები იკვებება მცენარის ყველა ნაწილით, ანადგურებს ვეგეტატიურ და რეპროდუქციულ ორგანოებს (ფოთლები, ღეროები, ყლორტები, ყვავილები), ნაყოფის ჩათვლით (Miranda et al., 1998). ასეთი ტიპის დაზიანებებმა შეიძლება გამოიწვიოს წარმოების სრული დანაკარგი, თუ მის წინააღმდეგ არ არის გამოყენებული კონტროლის ეფექტური მეთოდები (Desneux et al. 2010; Sawadogo et al. 2020, CABI,2019, EPPO 2019,).

დღეის მდგომარეობით, *T. absoluta* გავრცელდა 110-ზე მეტ ქვეყანაში და მისი გაფართოების პოტენციალი, მასპინძელი ქვეყნის დიაპაზონი და გეოგრაფიული განაწილება იზრდება (Zhang et al., 2025).

Tuta absoluta -ს სამშობლოდ ითვლება სამხრეთ ამერიკის ანდების რეგიონის ქვეყნები, მაგრამ ახლა მწერი გავრცელებულია ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში (Cáceres, 1992; Desneuxet al., 2010; Ostrauskas and Ivinskis, 2010; Bech, 2011; Abbes et al., 2012) და ხმელთაშუაზღვისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებში Kılıç, 2010, Bayram et al., 2015).

საქართველოში *T. absoluta* პირველად 2011 წელს აღმოაჩინეს ხობის რაიონის სოფ. ხორგაში, პომიდვრის ნერგებზე როგორც არარეგისტრირებული მავნებელი, მწერი მისი მაღალი რეპროდუქციული უნარის გამო სწრაფად გავრცელდა ქვეყნის ყველა რეგიონში და გახდა ძირითადი მავნებელი. ახლა მწერს აქვს საკარანტინო მავნებლის სტატუსი საქართველოში (ლობჟანიძე და სხვ., 2015; ხოსიტაშვილი თ., 2020; Chachkhiani N., Kamkamidze N.2020).

T.absoluta აზიანებს მცენარეებს როგორც სათბურებში, ასევე ღია გრუნტში. ბოლო წლებში T. absoluta პოპულაციის სწრაფმა ზრდამ გამოიწვია პომიდვრის მნიშვნელოვანი ზიანი საქართველოში. ზოგადად, დაბალ ზონაში და სათბურში სავეგეტაციო სეზონზე შეიძლება განვითარდეს *T. absoluta*-ს 10-12 (ხოსიტაშვილი, 2020), ხოლო შიდა ქართლში 6-8 თაობას და სამცხე-ჯავეთში 2-3 თაობას (მურადაშვილი და სხვა, 2025).

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია დაგვედგინა იმ ქიმიური პესტიციდების ეფექტიანობა *T. absoluta*-ს მიმართ, რომლებსაც გამოიყენებენ ფერმერებიშიდა ქართლში სათბურსა და ღია გრუნტის პირობებში.

მასალა და მეთოდიკა

ექსპერიმენტული საიტი

2023-2024 წლებში კვლევები ჩატარდა საქართველოს შიდა ქართლში, სადაც კარგად არის განვითარებული სოფლის მეურნეობა და სასათბურე მეურნეობა, კერძოდ კი შერჩეული იყო ქარელის რაიონ სოფელ დაბა აგარის მცირე სასათბურე მეურნეობა.

ქიმიური პესტიციდები

T.absoluta-ს მატლების წინაღმდეგ გამოვცადეთ შემდეგი ქიმიური პესტიციდები: ბელტი, კორაგენი, პროკლეიმი, ბრენდონი რომელთა მახასიათებლები მოცემულია ქვემოთ:

ბელტი - (სინ. Flubendiamid). დოზა 20 მლ/100 ლ. პრეპარატი აღაგზნებს რიანოდურ რეცეპტორებს, რომლებიც აფერხებს მწერების გადაადგილებას, სიცოცხლის უნარიანობას და იწვევს სიკვდილს. ხდება მატლების დამბლა და 2 სთ-ში. გამოიყენება პომიდვრის მენაღმე ჩრჩილს ადა ხვატარების წინააღმდეგ. ხასიათდება სწრაფი მოქმედებით, უსაფრთხო სასარგებლო მწერებისათვის, არ გააჩნია ჯვარედინი რეზისტენტობა და მისაღებია ეკოლოგიურად. გამოყენება-პომიდორზე 0,5-0,1ლ/ჰა. დამუშავება-3 ჯერადად

კორაგენი - 20 კს (Coragen, Chlorantraniliprole, DUPUNT). დოზა 200 მლ/ლ, ქლორანტრანილიპოლოლი. კონტაქტური მოქმედების პრეპარატი. გააჩნია ოვიციდული და ლარვიციდული მოქმედება ღია სტადიების წინააღმდეგ. მოქმედების ვადა 3-4 კვირა. ახალი თაობის ინსექტიციდი.

პროკლეიმი - ბუნებრივი წარმოშობის ტრანსლამინარული ინსექტიციდი, გამოიყენება მატლების წინააღმდეგ. ასევე აქვს ოვიციდური აქტივობა. დამუშვების შემდეგ პრეპარატი სრულად შედის ფოთოლში, ქმნის მცენარის ქსოვილებში ემამექტინის ბენზოატის შემცველ რეზერვუარებს, რომლებიც ხანგრძლივად რჩება და მატლები იღუპება ქსოვილების კვებით. გააჩნია ოვიციდური მოქმედებაც. მცირეოდენ ტოქსიკურია ენტომოფაგებისთვის.

ბრენდონი – კონტაქტურ-ნაწლავური მოქმედების ინსექტიციდი ბოსტნეულის, ვაზისა და ხეხილის ქერცლფრთიანი მავნებლებისგან დასაცავად. მწარმოებელი: MCKINLEY – ირლანდია. პრეპარატი მოქმედებს ნერვულს სისტემაზე, იგი იწვევს მწერის კუნთების მოდუნებას, რის გამოც ვერც გადაადგილდება და შესაბამისად ვერც იკვებება. პრეპარატის ხარჯვის ნორმა არის 0,15-0,3 კგ/ჰა.

პესტიციდების გამოცდა ხდებოდა არსებული მეთოდიკის საფუძველზე (Абдул-Азиз Равашдех Шариф Халид (2014).


შედეგები

როგორც ავღნიშნეთ, ქარელის რაიონ სოფელ დაბა აგარის მცირე სასათბურე მეურნეობაში მავნებლის წინააღმდეგ გამოვცადეთ პრეპარატები: ბელტი, კორაგენი, პროკლეიმი, ბრენდონი, *T. absoluta*-ს მატლების მიმართ, რათა დაგვედგინა მათი ტოქსიკრობა. ღია გრუნტში ჩვენ მიერ გამოცდილი იყო 3 პრეპარატი: ბელტი, ბრენდონი, კორაგენი, რომლის შედეგები მოცემულია ცხრილი 1-ში.

ცხრილი 1. ქიმიური პრეპარატების ეფექტურობა *T. absoluta* -ს მატლების მიმართ

პრეპარატი	კონცენტრაცია, პრეპარატი მლ/ლ წყალი	მკვდარი მატლების რაოდენობა	სიკვდილიანობა % ში
ბელტი	0,15	18	60
	0,25	21	54
	0,25/200	19	56
	0,15 200	10	40
	0.15/500	6	24
	0.75/500	2	8
ბრენდონი	0,3	23	92
	0.3/167	19	76
	0.3/500	13	52
	0.2/500	10	40
	0.1/500	6	24
კორაგენი	15/200	17	68
	10	15	60
	10/200	13	52
	10/400	5	20
	10/600	3	12
	10/800	2	9

როგორც ცხრილი 1-იდან ჩანს, ყველა ინსექტიციდმა აჩვენა ტოქსიკურობა. *T.absoluta*-მატლების მიმართ. შრსაბამისად გამოყენებულ დაბალ დოზებში სიკვდილიანობის მაჩვენებელი დაბალია, ხოლო მაღალ დოზებში სიკვდილიანობის პროცენტი მაღალია. დოზების სადაც სიკვდილიანობა მერყეობდა პრეპარატებისა და გამოყენებული დოზების მიხედვით შემდეგნაირია: ბელტი 8-60%, ბრენდონი 24-92%, კორაგენი 9-68%.



სურათი 1. ქიმიური პესტიციდების სხვადასხვა დოზების გამოცდის შედეგები

როგორც ცხრილიდან ჩანს, მატლების მაქსიმალური სიკვდილიანობის ოპტიმალური დოზებია: ბელტი და ბრენდონი 0,3 მლ., კორაგენი 0,15 მლ.

ცდები ტარდებოდა სათბურში, 30 მ^2 ფართობზე, სამრეწველო პომიდვრის ჯიშზე - ვარდისფერი ჰოპორტულა, 4 ჯერადი განმეორებით. შეწამვლა ხდებოდა შესასხურებელი აპარატის გამოყენებით. სამუშაო ხსნარის ხარჯვა შეადგენდა დაახლოებით 300-400 ლ/ჰა-ზე. ცდების დამუშავების დაწყებამდე ერთი დღით ადრე, ჩატარდა *T. absoluta*-ს მატლების აღრიცხვა ექსპერიმენტის მთელ ფართობზე, თითოეულ ვარიანტზე 50 პომიდვრის ფოთლის შემოწმების გზით. დამუშავებიდან სამი დღის შემდეგ, ჩატარდა *T.absoluta*-ს მატლების

სიკვდილიანობის აღირიცხვა წარმოქმნილი ნაღმების რაოდენობის გამოთვლით. შედეგებმა აჩვენა, რომ გამოცდილი პრეპარატები შედარებით საშუალო ეფექტურია და დადგენილი იქნა მათი ბიოლოგიური ეფექტურობა *T. absoluta*– ს მატლების მიმართ (ცხრილი 2).

ცხრილი 2. ინსექტიციდების ბიოლოგიური ეფექტურობა *T. absolututa*-ს მატლების მიმართ სათბურის პირობებში 2023 წ.

პრეპარატი	დოზა	მოქმედი ნივთიერება	მკვდარი მატლები	ბ. ე %
ბელტი	3 ლ/ჰა	მალატიონი	31	40
კორაგენი	0.04 ლ/ჰა	ქროლანტრანილიპროლი	55	83,3
პროკლეიმი	0.3 კგ/ჰა	ამამექტინი	48	71,1
ბრენდონი	100მლ/100	ამამექტინ ბენზოატი	56	85,0
კონტროლი	წყალი		5	
HCP05				7,3

მიუხედავად იმისა, რომ ბრენდონმა მავნებლის რაოდენობა შეამცირა 85% -ით, მისი მოქმედების ხანგრძლივობა პომიდვრის ფოთლებში აქტიური ნივთიერების მაღალი შემცველობის ხარჯზე აღემატებოდა სხვა პრეპარატების ხანგრძლივობას, რაც განსაზღვრავს ხარისხიან დამცავ ეფექტს (ცხრილი 3).

დაღუპულ მატლების აღრიცხვამ აჩვენა, რომ მათ რაოდენობამ 6-7 -ჯერ გადააჭარბა საკონტროლო ვარიანტის მაჩვენებელს (პესტიციდებით დამუშავების გარეშე). ამავდროულად, 2-ჯერ შემცირდა იმ მატლების რაოდენობაც, რომლებმაც შეინარჩუნეს სიცოცხლის ხანგრძლივობა, მაგრამ არ შეინიშნებოდა მავნებლის სრული განადგურება. თუ 3-4 კვირის განმავლობაში მეურნეობაში არ ჩატარდებოდა განმეორებითი ქიმიური დამუშავება, ამ შემთხვევაში მავნებლების რიცხვის აღდგენა და ზოგიერთ შემთხვევაში ზრდაც კი დაფიქსირდა. ასევე 6 დღის შემდეგ მცენარეზე პოპულაციის სიმჭიდროვე 2-2,5-ჯერ ზრდა დაფიქსირდა.

ცხრილი 3. *T.absoluta*-ს მატლების სიკვდილიანობა პრეპარატებით დამუშავების შემდეგ

პრეპარატი	ხარჯის ნორმა გ/ჰა, ლ/ჰა	ნაღმების საშუალო რ-ბა	მკვდარი მატლები (ცალი)	დაზიანებული ნაყოფი (ცალი)
ბელტი	75 მლ/20 ლ	190	45	15
კორაგენი	20მლ/100 ლ	187	52	7
პროკლეიმი ВРГ	60 გ/100 ლ	190	15	18
ბრენდონი	100 მლ/100 ლ	180	55	6
კონტროლი (დამუშავების გარეშე)		200	8	38

ცხრილი 3-დან ჩანს, რომ გამოცდილი პრეპარატებიდან მხოლოდ კორაგენსა და ბრენდონს აღმოჩნდა უნარი გაეკონტროლებინათ *T. absoluta*-ს მატლების რიცხოვნობა 12 დღის განმავლობაში.

ინსექტიციდების გამოცდის შედეგები ღია გრუნტში და მათი ბიოლოგიური ეფექტურობა (ბ.ე.) მოცემულია ცხრილი 4-ში.

ცხრილი 4. *T.absoluta*-ს მატლების სიკვდილიანობა პრეპარატებით დამუშავებიდან გამოყენებიდან 12 დღის შემდეგ.

პრეპარატი	დანახარჯის ნორმა	ცოცხალი მატლები (ცალი) დამუშავების შემდეგ	
		6 დღე	12დღე
ბელტი	75 მლ/20 ლ	14	10
კორაგენი	20 მლ/100 ლ	15	13
პროკლეიმი	60 გ/100 ლ	17	17
ბრენდონი	100 მლ/100 ლ	35	33
კონტროლი		40	41

ცხრილი 5. ინსექტიციდების ბიოლოგიური ეფექტურობის შეფასება საველე პირობებში *Tula absoluta*-ს მატლების წინააღმდეგ 2023 წ.

ინსექციტიდი	დოზა	მოქმედი საშუალება	ბე, %*
კორაგენი	0,04 ლ/ჰა	ქლორანტრანილიპროლი	87,5
ბელტი	40 მლ/ჰა	ფლუბენდიქამიდი	82,0
პროკლეიმი	75 მლ/ჰა	სპინეტორამი	80,0
ფიტომაქსი	200 მლ/ჰა	აზადირაქტინი	76,0
კონტროლი (წყალი)			8,7
HCP05			9,7

* 100 ფოთოლზე დაღუპულ ლარვის რაოდენობა %,

როგორც ცხრილიდან ჩანს კორაგენი, ბელტი და ბრენდონი მაღალი ბიოლოგიური ეფექტურობით ხასიათდება, რომელიც იწვევს *T.absoluta* -ს 80-87,5% სიკვდილიანობას.

დასკვნა

T.absoluta მიეკუთვნება იმ სახეობებს, რომლებიც ინტენსიურად და სწრაფად სახლდებიან ახალ რეგიონებში, ქვეყნებში და კონტინენტებზე. გლობალურმა კომერციალიზაციამ და ვაჭრობამ კიდევ უფრო დააჩქარა მავნებლის გავრცელება. ახალ არეალებში პრაქტიკულად არ არსებობს მავნებლების რაოდენობის შემამცირებელი ბუნებრივი მტრები. საინკუბაციო პერიოდი, ხელსაყრელი გარემო პირობები, ზონები, ხელს უწყობენ მავნებლის გადარჩენა შენარჩუნებას. ფიტოსანიტარული ინფრასტრუქტურის ნაკლოვანება, აგრეთვე საკარანტინო ზომების არასათანადოდ განხორციელება ხელს უწყობს მწერის გავრცელების შემდგომ პროგრესს.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ *T.* absoluta-ს აქვს მაღალი უნარი გამოიყენოს სხვადასხვა კულტურული და ველური მცენარეები, რომლებიც მიეკუთვნება

სხვადასხვა ოჯახებს, რომლებიც განიხილება, როგორც ალტერნატიულ მასპინძლები და განსაკუთრებულ კრიტიკულ სიტუაციებში *T. absoluta*-ს შუძლია გადაირჩინოს თავი. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით, ქიმიური პესტიციდების გამოყენება ამ მავნებლის მიმართ მიზანშეწონილია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლობჟანიძე მ. ბერუაშვილი მ., გაგოშიძე გ. მცენარეთა დაცვა. თბილისი, 2015, 195 გვ.
2. მურადაშვილი ე., ბურჯანაძე მ., ტყებუჩავა ზ. (2025). პომიდვრის სამხრეთ ამერიკული მენაღმე ჩრჩილის Tuta absoluta-ს ფენოლოგია და განვითარების ციკლი შიდა ქართლსა და სამცხე -ჯავახეთში. ქართველი მეცნიერები, ტ. 7 N 1, 2025 https://doi.org/10.52340/gs.2025.07.01.29
3. ხოსიტაშვილი თ. (2020). დახურულ გრუნტში პომიდვრის სამხრეთამერიკული მენაღმე ჩრჩილის (*Tuta absoluta* M.) და მისი ბუნებრივი მტრების შესწავლის შედეგები აღმოსავლეთ საქართველოში. სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 136.
4. Abbes K, Harbi A, Chermiti B. (2012). The tomato leafminer Tuta absoluta (Meyrick) in Tunisia: Current status and management strategies. EPPO Bulletin 42: 226–233, and environmentally safe methods of disposal. International Scientific Conference „Modern Problems of Ecology“ Proceedings, ISSN 1512-1976, v. 7.
5. Bayram, Y.; Büyük, M.; Özaslan, C.; Bektaş, Ö.; Bayram, N.; Mutlu, Ç.; Ateş, E.; Bükün, B. (2015). New Host Plants of Tuta absoluta (Meyrick) (Lepidoptera: Gelechiidae) in Turkey. Journal of Tekirdag Agricultural Faculty, Vol 12, Issue 2, p43
6. Bech, R.A. (2011). Federal Import Quarantine Order for Host Materials of Tomato Leafminer, *Tuta absoluta* (Meyrick). Plant Protection and Quarantine USDAAPHIS (U.S. Department of Agriculture Animal and Plant Health Inspection Service). 5pp.
7. CABI (2019). Tuta absoluta (tomato leafminer). Invasive Species Compendium. [2019-12-04]. https://www.cabi.org/isc/ datasheet
8. Cáceres, S. (1992). La polilla del tomate en Corrientes. Biología y control. Estación Experimental Agropecuaria Bella Vista, INTA, 19p.
9. Chachkhiani N., Kamkamidze N.(2020). South american tuta absoluta spread in imereti region
10. Desneux N, Wajnberg E, Wyckhuys K A G, Burgio G, Arpaia S, Narváez-Vasquez C A, González-Cabrera J, Ruescas D C, Tabone E, Frandon J, Pizzol J, Poncet C, Cabello T, Urbaneja A. (2010). Biological invasion of European tomato crops by Tuta absoluta: ecology, geographic expansion and prospects for biological control. Journal of Pest Science, 83, 197–215.
11. EPPO, (2019). EPPO global database, https://gd.eppo.int/ taxon/GNORAB/hosts, (23/04/2019).
12. Fand BB, Shashank PR, Suroshe SS, Chandrashekar K, Meshram, NM. . Timmanna H. N. (2020). Invasion risk of the South American tomato pinworm Tuta absoluta (Meyrick) (Lepidoptera: Gelechiidae) in India: predictions based on MaxEnt ecological niche modelling. International Journal of Tropical Insect Science, 1-12.
13. Kılıç, T. (2010). First record of Tuta absoluta in Turkey, Phytoparasitica, 38(3):243-244. Larrain, P.S. (1986). Plagas del tomate. IPA, La Platina, 39:30-35.

14. Lobzhanidze M., Beruashvili M. South American tomato leaf miner. Journal “Agrobasis”. N2. Tbilisi. 2015, 18- 20 pp. (in Georgian).
15. Miranda M.M.M., Picanço M., Zanuncio J.C. & Guedes R.N.C. (1998). Ecological life table of Tuta absoluta (Meyrick) (Lepidoptera: Gelechiidae). Biocontrol Sci. Technol., 8, 597-606.
16. Ostrauskas, H., Ivinskis, P. 2010. Records of the tomato pinworm Tuta absoluta (Meyrick, 1917) (Lepidoptera: Gelechiidae) in Lithuania. Acta Zoologica Lituanica, 20(2): 151-155.
17. Sawadogo MW, Somda I, Nacro S, Legrève A, Verheggen FJ.2020. Insecticide susceptibility level and control failure likelihood estimation of Sub-Saharan African populations of tomato leafminer: Evidence from Burkina Faso. Physiological Entomology 45: 147–153. https://doi.org/10.1111/phen.12332
18. Zhang Y et all. (2025) Monitoring the insecticide susceptibility of a newly introduced invasive species, Tuta absoluta (Meyrick), in China. Crop Protection , V., 189, 107041
19. Абдул-Азиз Равашдех Шариф Халид (2014). Биология, Вредоносность и Совершенствование Мер Борьбы Против Томатной Моли - *Tuta absoluta* (Meyrick) - В Условиях Иордании, Диссертация на соискание ученой степени кандидата биологических наук, Москва- 140.

Efficacy of some chemical pesticides against the South American tomato leaf miner – *Tuta absoluta*

Eliso Muradashvili[1], MedeaBurjanadze[2], Zaira Tkebuchava[1]

[1] Samtskhe-Javakhety State University, faculty of Engineering, Agrarian and natural Sciences, Georgia

[2] Georgian Technical University, Faculty of Agricultural Sciences and Biosystem Engineering, Georgia, m.burjanadze@gtu.ge

Abstract

The tomato leaf miner -*Tuta absoluta* (Meyrick) (Lepidoptera: Gelechiidae) is a major pest of tomato culture. It is an invasive oligophagous insect and damages tomatoes both in the field and in greenhouses and storage conditions as well. It also damages other cultural representatives of the Solanaceae family (potato, eggplant, tobacco, goji, etc.) and wild species. *T. absoluta* was first discovered in Georgia in 2011, it quickly spread to all regions of the country due to its high reproductive capacity and became a major pest. *T. absoluta* spread and damaged plants both in greenhouses and in open field. In recent years, the rapid increase in the insect population has caused significant damage to tomatoes in Georgia. In general, 8-10 generations of *T.absoluta* can develop during the growing season in lowlands and greenhouses.

The aim of the presented work is to use various chemical pesticides against *T. absoluta* and determine their effectiveness. In 2023, in a small greenhouse farm in the village of Daba Agari, Kareli district, were tested the following preparations against the pest: Coragen, Belt, Brandon.

Initially, a number of pesticides were tested against *T. absoluta* larvae to determine their toxicity. Coragen (0.04 l/ha), Belt (40 ml/ha), Brandon (100 ml/100 l), the biological effectiveness of which was: Coragen - 87.5%, Belt - 82.2%, Brandon - 76%.

Keywords: *Tuta absoluta*, chemical pesticides, effectiveness

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.49



ქალაქის ბრენდინგი

მარიამ ხაბეიშვილი[1]; ნინო ხაბეიშვილი[2]

[1]არქიტექტურის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ელ-ფოსტა: m.khabeishvili@gtu.ge; [2]არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, n.khabeishvili@gtu.ge

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია დღევანდელ რეალობაში, მზარდი ურბანიზაციის ფონზე ტერიტორიის ვიზუალური იდენტობის სისტემა, ქალაქის ბრენდინგი, როგორც ბრენდის უნიკალური იმიჯის შექმნის სტრატეგიული პროცესი და მისი მნიშვნელოვანი ასპექტი ქალაქის ცნობადობის კონცეფცია - აიდენტიკა. განსაზღვრულია ქალაქის ბრენდინგის სტრუქტურაში ინტეგრირებული დიზაინის კრიტერიუმები და მათ ფორმირებაში მონაწილე სპეციფიკური ფაქტორები. გაკეთებულია სათანადო დასკვნები და დასახულია ურბანული სივრცის ევოლუციაში ჭკვიანი ქალაქების ბრენდირების პლატფორმების განვითარების სავარაუდო პერსექტივები.

საკვანძო სიტყვები: აიდენტიკა, ბრენდი, საფირმო სტილი, ტერიტორიული ბრენდინგი, ჭკვიანი ქალაქები.

შესავალი

XXI-ე საუკუნის სოციალურ რეალობაში აქტუალიზებულია ადგილის იდენტიფიკაციის მნიშვნელობა. ტერიტორიის აიდენტიკა და ბრენდინგი იწევს წინა პლანზე, რაც განპირობებულია გლობალიზაციის კონტექსტში დაახლოებით თანაბარი ეკონომიკური და საცხოვრებელი პირობების მქონე სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონებს შორის კონკურენციის მუდმივი ზრდის მაღალი მაჩვენებელით. შედეგად სულ უფრო მეტი ქვეყანა და ქალაქი მიზანმიმართულად ეწევა თავისი ტერიტორიების მარკეტინგს, საკუთარი ბრენდინგის ფორმირებას, რაც წარმოადგენს მათი საინვესტიციო თუ ტურისტული მიმზიდველობის საფუძველს.

ძირითადი ნაწილი

ქალაქის აიდენტიკა და ბრენდინგი ორი ურთიერთდაკავშირებული კონცეფციაა, რომლებიც მიზნად ისახავენ ქალაქის უნიკალური იმიჯის შექმნას. საფირმო სტილი და ჰერალდიკა შეიძლება ჩაითვალოს აიდენტიკის პროტოტიპებად, ხოლო სავაჭრო მარკების ბრენდირება - ქალაქის ბრენდინგის პროტოტიპად, რომელიც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში ურბანული ადგილების კომერციალიზაციის მიზნით გამოჩნდა, განვითარდა და უფრო რთულ თანამედროვე კონცეფციად ჩამოყალიბდა. დღევანდელ რეალობაში ტერიტორიის ვიზუალური იდენტობის სისტემა - ქალაქის ბრენდინგი სტრატეგიული პროცესია [1]. იგი ხორციელდება მხოლოდ კონკრეტული ადგილისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური მაჩვენებლების გამოყოფით და გარკვეული კომპოზიციური პრინციპების ორიგინალური გრაფიკის გათვალისწინებით ვიზუალურ-გრაფიკული იდენტიფიკატორების - გერბის და ლოგოს; დიზაინ კოდის სლოგანის და ნავიგაციის გრაფიკული ელემენტების; რეგიონის კოლორისტულ თავისებურებებზე დაყრდნობით შემუშავებული საფირმო სტილის ნაკრების და ურბანული გარემოს სხვადასხვა კომუნიკაციური საშუალებების მომგებიანი დემონსტრირებით (სურ.1).



სურათი.1 *ბრენდინგი და აიდენტიკა. ქ. მელბურნი 2009 წ. „Landor Associates“; ქ. ნიუ-იორკი 1977 წ. მილტონ გლეიზერი; ქ. ჰელსინგი 2017 წ. „Werklig“; ქ. პორტუ 2014 წ. „White Studio“*

ქალაქის ბრენდინგი ქალაქის ბრენდის იდენტობის შექმნის პროცესია, მის ფორმირებაში მნიშვნელოვანი ასპექტია აიდენტიკა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში არამატერიალურ ფასეულობებს წარმოადგენს და მოიცავს მნიშვნელობების გაცილებით ფართო სპექტრს. ქალაქების ცნობადობის კონცეფცია, რომელიც ხორციელდებოდა გერბის სიმბოლიზმში, დღეს ითავსებს სიმბოლოების განსხვავებულ, აბსტრაქტულ, სტილიზებულ ენას, შედეგად აიდენტიკა ხდება ახალი არსის გენერატორი, რომელიც გრაფიკული დიზაინის, რეკლამისა და

მენეჯმენტის სფეროდან გადავიდა არქიტექტურული გარემოს დიზაინის, ურბანიზმისა და ურბანული განვითარების დაგეგმვის სფეროში.

თანამედროვე ქალაქების საკომუნიკაციო სისტემები და ბრენდირების პლატფორმები ეყრდნობიან, როგორც მატერიალურ ისე არამატერიალურ ფასეულობებს. მათ ფორმირებაში მონაწილეობენ ისეთი სპეციფიკური ფაქტორები როგორებიცაა: ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსების პოტენციალი, ქვეყნის ეროვნული კულტურა, გეოპოლიტიკური სტატუსი და პრიორიტეტები მსოფლიოს სტრუქტურაში. ქალაქის ბრენდინგის შექმნისადმი კომპლექსური მიდგომა გულისხმობს ეროვნული იმიჯის მართვის სპეციალური ერთეულების ფორმირებას, წინასაპროექტო კვლევას, კომპეტენტური დაპროექტების მნიშვნელობის დეტალურ გააზრებას, ტერიტორიული იდენტობის და ვიზუალური პოლიტიკის ძიებას, ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას, სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას და განხორციელების გეგმას [2]. სასურველი მიზნების გათვალისწინებით ბრენდის მარტივად დამახსოვრებადი ვიზუალური გზავნილი უნიკალური, მკაფიო აქცენტებით უნდა მოიაზრებდეს განვითარების გრძელვადიან პერსპექტივას.

მსოფლიოს ცალკეული ქალაქი რთული სისტემაა, რომლის ნაწილები - ქვე-ბრენდები მრავალფეროვანი ტრაექტორიებით გადაჯაჭვულია ერთში - ქალაქის ბრენდში, რომელიც განაპირობებს მის უნიკალურ ხასიათს და იმიჯს. ამ ასპექტში მნიშვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს თითოეული ნაწილის თავისებურებანი, მათი რთული ურთიერთკავშირები და სტრუქტურა. ქალაქი ეფექტური ბრენდინგის გზით უნდა ტრანსლირებდეს ამ ინფორმაციას, საკუთარ სტრატეგიას და უნდა იყოს საკმარისად კომპეტენტური სამიზნე აუდიტორიის მოზიდვაში. ქალაქის ბრენდინგის სტრუქტურა, რომელიც იგება ინტეგრირებული დიზაინის კრიტერიუმებზე; ტერიტორიის ჰერალდიკური სიმბოლოების ფასეულობებზე; ისტორიული ფიგურების და საზოგადო მოღვაწეების, კულტურული და არქიტექტურული ძეგლების, საინვესტიციო, კორპორაციული, სოციალური ორგანიზაციების, შოუს და ღონისძიებების ქვებრენდების სტრუქტურების საფუძველზე, უნდა იყოს ორიენტირებული მდგრადი განვითარების მიზნებზე. თანამედროვე ეტაპზე კომპლექსური მარკეტინგი და ტერიტორიული ბრენდინგი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანებია, რომლებიც უნდა გადაიჭრას ხელსაყრელი საცხოვრებელი პირობების შექმნის ტრადიციულ ამოცანებთან ერთად.

საკუთარი ინტერესების, ინდივიდუალური სოციალურ-ეკონომიკური და ეთნოკულტურული თავისებურებების მქონე ქვეყნის განვითარების პერსპექტივები მნიშვნელოვანწილად პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას უკავშირდება. იმ ვითარებაში როცა მსოფლიოში მიმდინარე პროცესები განაპირობებენ ქვეყნების კომპლექსურ ჩართულობას საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის ასპექტში, ქალაქის წარმომადგენლობითი სტატუსი მისი წარმატებული ბრენდინგი, კონკურენტული უპირატესობების საშუალებას იძლევა, როგორც რეგიონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე. ბრენდის განვითარების მოდელი მსოფლიო სივრცეში სტაბილური, უსაფრთხო და მიმზიდველი ქალაქის სტატუსის ფორმირებას გულისხმობს. ცნობილი და წარმატებული

ქალაქები, ჭკვიანი ქალაქები (სურ.2), როგორც წესი, ასოცირდებიან ტურისტულ, სატრანზიტო მიმართულებებთან, შემეცნებით, კულტურულ-გასართობ ღონისძიებებთან, ფესტივალებთან და საინვესტიციო სტრატეგიებთან [3].



სურათი. 2. *ჭკვიანი ქალაქების ბრენდირება; ქ. ვენა 2019 წ. „Saffron Brand Consultants, saintstephens and Instant Design“*

ქალაქის ბრენდინგის ზუსტი პოზიციონირება ეს არის უნიკალური გზა, რომელიც უზრუნველყოფს მის გრძელვადიან ეფექტურობას. მასთან დაკავშირებული ინდექსების ღრმა გააზრებული დაგეგმვა წარმოადგენს ქალაქის სტრატეგიული გეგმის და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან სტიმულს.

დასკვნა

მზარდი ურბანიზაციის ფონზე სხვადასხვა ქვეყნები აქტიურად ახორციელებენ ჭკვიანი ქალაქების ფორმირებას, რომლის კონცეფცია უფრო ეფექტურ, მდგრად ურბანულ გარემოს შექმნას გულისხმობს. სადაც ქალაქის აქტივების მონიტორინგი და პროცესების ეფექტიანი მართვის ინოვაციური საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, განახლებადი ენერგიის წყაროები, მწვანე ინფრასტრუქტურა და ენერგოეფექტური შენობები ინტეგრირებულია ქალაქის სტრუქტურაში. ეს ცვლილებები ურბანული სივრცის ევოლუციაში მოიაზრებს ქალაქის ბრენდის ჩართულობას განსხვავებულ პლატფორმაზე [4]. მწვანე ინდუსტრია; საზოგადოებრივი რესურსების ოპტიმალური, ავტომატიზირებული მართვა; მდგრადი საარსებო გარემო და ცხოვრების მაღალი ხარისხი ქალაქის ბრენდინგის ახალი კონცეპტუალური შეხედულებების სისტემას წარმოადგენს და სამომავლოდ კრეატიულ მიდგომებს საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Hasan Mahmoud Mansour, Fernando Brandão Alves, António Ricardo da Costa. The Challenges in Understanding Urban Identity. U.Porto Journal of Engineering, 9:2 (2023) 114-131. ISSN 2183-6493. doi: 10.24840/2183-6493_009-002_002207
2. Маслов М. М. Территориальная айдентика и брендинг мест в контексте графического дизайна. XIV Международная научно-практическая конференция „Инновации в социокультурном пространстве“ часть I. Благовещенск, 2021. С. 42-47 doi: 10.22250/ISS.2021.9
3. Yang, T.; Ye, M.; Pei, P.; Shi, Y.; Pan, H. City Branding Evaluation as a Tool for Sustainable Urban Growth: A Framework and Lessons from the Yangtze River Delta Region. *Sustainability* 2019, *11*, 4281. https://doi.org/10.3390/su11164281
4. Duque Oliva EJ, Sánchez-Torres JA, Sanabria Niño JS. City brand evolution research and future agenda: bibliometric and science mapping analysis. Heliyon. 2022 Aug 5;8(8):e10031. doi: 10.1016/j.heliyon.2022.e10031.

City branding

Mariam Khabeishvili[1]; Nino Khabeishvili[2]

[1]Doctor of Architecture, Associate Professor, Georgian Technical University, : m.khabeishvili@gtu.ge;
[2]Doctor of Architecture, Professor, Georgian Technical University, n.khabeishvili@gtu.ge

Abstract

The article discusses the visual identity system of the territory in today's reality, against the background of growing urbanization, city branding as a strategic process of creating a unique brand image and its important aspect, the concept of city awareness - identity. The design criteria integrated into the city branding structure and the specific factors involved in their formation are determined. Appropriate conclusions are made and the probable prospects for the development of smart city branding platforms in the evolution of urban space are outlined.

Keywords: Identity, brand, corporate style, territorial branding, smart cities.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.50



სალბის ანტიბაქტერიული მოქმედების კოსმეტიკური ფანქრების შემადგენლობის განსაზღვრა და ტექნოლოგიის დამუშავება

ქეთევან ნათობიძე, მარიამ გასანოვა, ია წურწუმია, ალიოშა ბაკურიძე, მარიამ ტატანაშვილი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი

აბსტრაქტი

თანამედროვე აფთიაქები მდიდარია კოსმეტიკური პროდუქტების მრავალფეროვანი ასორტიმენტით, თუმცა მათი უმეტესობა სინთეზური წარმოშობის კომპონენტებზეა შემუშავებული, მათი გამოყენება ხშირად იწვევს სხვადასხვა გართულებებს და ალერგიულ რეაქციებს, აღნიშნულიდან გამომდინარე პაციენტების და ექიმების უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს ნატურალურ კომპონენტებზე შემუშავებულ კოსმეტიკურ საშუალებებს.

კანის მოვლის კოსმეტიკურ პროდუქტებს შორის კოსმეტიკურ ფანქრები განსაკუთრებული უპირატესობით გამოირჩევა. კოსმეტიკური ფანქრები ხასიათდება კანისა და ლორწოვანი გარსის კონკრეტულ/ლოკალურ უბანზე ხანგრძლივი მოქმედების უნარით. ფანქრების სპეციალური შეფუთვა უზრუნველყოფს პორტატულობას, გამოყენების მოხერხებულობას, ჰიგიენურობას, ეკონომიურობას, შენახვის ვადის გახანგრძლივებას. კოსმეტიკური ფანქრების მნიშვნელოვანი უპირატესობაა ფუძის ბუნებიდან გამომდინარე მასში ბუნებრივი წარმოშობის კომპონენტების (მცენარეული ექსტრაქტების და ეთერზეთების, თიხების, პელოიდების და სხვა) შეტანის შესაძლებლობა.

აფთიაქებში სამკურნალო კოსმეტიკური ფანქრების ასორტიმენტი მცირეა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამკურნალო კოსმეტიკური ფანქრების ფორმულაციის შესწავლა, დამუშავება და წარმოება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ფარმაციის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ნატურალურ პროდუქტებზე შემუშავებული ანტიბაქტერიული მოქმედების კოსმეტიკური ფანქრების ფორმულაციის, დიზაინის შემუშავება და ბიოლოგიური შეფასება.

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა ფანქრების აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტები (სალბის მშრალი ექსტრაქტისა და ეთერზეთის ნარევი) ავლენს მაღალ ანტიბაქტერიულ აქტივობას Streptococcus pyogenes-ის, Escherichia coli-ს, Salmonella typhimurium-ის, Klebsiella pneumoniae-ს, Proteus vulgaris-ის, Shigella flexneri-ს, Enterococcus faecalis-ის და Staphylococcus aureus-ის წინააღმდეგ (in vitro - „Spot Test “).

ლიტერატურული მიმოხილვის, ორგანოლეპტიკური, ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური მახასიათებლების შესწავლის საფუძველზე საკვლევი ცხრა კომპოზიციიდან შეირჩა კოსმეტიკური ფანქრების ოპტიმალური ფორმულაცია შემდეგი შემადგენლობით (10 ჩხირისთვის, თითოეული ჩხირის წონაა 2.4): პარაფინი 2.0 გ; აბუსალათინის ზეთი 10.0 გ; კაკაოს ცხიმი 2.0 გ; ემულსიური ცვილი 3.94 გ; ფუტკრის ცვილი 2.0 გ; ლანოლინი 2.0 გ; სალბის ბალახის მშრალი ექსტრაქტი 2.0 გ; სალბის ეთერზეთი 0.06 გ.

ტექნოლოგიური კვლევების საფუძველზე შემუშავდა ანტიბაქტერიული მოქმედების კოსმეტიკური ფანქრების ტექნოლოგიური სქემა და ტექნოლოგიური პროცესი, შედგენილია კოსმეტიკური ფანქრების მომზადების ტექნოლოგიური პროცესის მატერიალური ბალანსი და განსაზღვრულია ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

საკვანძო სიტყვები: ტექნოლოგია, კოსმეტიკა, ფანქრები, ანტიბაქტერიული, სალბი.

თემის აქტუალობა: თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს კანისა და ლორწოვანი გარსის დაცვა და მკურნალობა დაბინძურებული გარემოსაგან, რისი მიღწევაც შეუძლებელია ანტიბაქტერიული მოქმედების კოსმეტიკური საშუალებების გამოყენების გარეშე. აფთიაქები მდიდარია კოსმეტიკური საშუალებების მრავალფეროვენი ასორტიმენტით, მაგრამ უმეტესობა სინთეზური წარმოშობისაა, მათი გამოყენება ხშირად იწვევს სხვადასხვა გართულებებს და ალერგიულ რეაქციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე პაციენტიც და ექიმიც უპირატესობას ანიჭებს ბუნებრივი კომპონენტების შემცველ კოსმეტიკურ პროდუქციას. კანის მოვლის კოსმეტიკურ ფორმებს შორის უპირატესობით გამოირჩევა კოსმეტიკური ფანქრები, რომელთაც ახასიათებთ კანზე და ლორწოვან გარსზე კონკრეტულ/ლოკალურ ადგილზე მოქმედება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ამასთან გადასატანად პორტატულია, გამოსაყენებლად მოსახერხებელია, შეფუთვის განსაკუთრებულობით მიღწეულია ჰიგიენურობა, ეკონომიურობა და ვარგისობის ვადის გახანგრძლივება. სამკურნალო ფანქრების მნიშვნელოვანი უპირატესობაა ფუძის ბუნებიდან გამომდინარე მასში ბუნებრივი წარმოშობის კომპონენტების (მცენარეული ექსტრაქტების და ეთერზეთების, თიხების, პელოიდების და სხვა) შეტანის შესაძლებლობა. აფთიაქებში სამკურნალო კოსმეტიკური ფანქრების ასორტიმენტი მწირია, აღნიშნულიდან გამომდინარე სამკურნალო კოსმეტიკური ფანქრების რეცეპტურის შემუშავება და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა დანიშნულების კოსმეტიკური ფანქრების წარმოება ერთ-ერთი აქტუალური საკითხია თანამედროვე ფარმაციისთვის /10,11,12,13,14,16 /.





კვლევის მიზანი: ბუნებრივი პროდუქტების საფუძველზე ანტიბაქტერიული მოქმედების კოსმეტიკური ფანქრების რეცეპტურის განსაზღვრა და ტექნოლოგიის დამუშავება.

კვლევის ობიექტები: სალბის (სამკურნალო სალბის - Salvia officinalis L.) ბალახის მშრალი ექსტრაქტი, ეთერზეთი; ანტიბაქტერიული მოქმედების კოსმეტიკური ფანქრების საკვლევი ცხრა კომპოზიცია, მათი შემადგენელი აქტიური და დამხმარე ნივთიერებები (ცხრილი 1 და 2).

ცხრილი № 1. ფანქრების საკვლევ კომპოზიციებში გამოყენებული აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტები /17/

№	აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტების დასახელება	ფარმაკოლოგიური მოქმედება
1	სალბის ბალახის მშრალი ექსტრაქტი	ანტიბაქტერიული
2	სალბის ეთერზეთი	ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული იმუნომოდულატორი

ცხრილი №2. ფანქრების საკვლევ კომპოზიციებში გამოყენებული დამხმარე კომპონენტები /18/

№	დამხმარე კომპონენტების დასახელება	დანიშნულება
1	პარაფინი	ფორმის და სიმყარის მიმნიჭებელი
2	ვაზელინი	პლასტიფიკატორი, დამატენიანებელი
3	ვაზელინის ზეთი	პლასტიფიკატორი, დამატენიანებელი
4	აბუსალათინის ზეთი	პლასტიფიკატორი
5	კაკაოს ცხიმი	ფორმის და სიმყარის მიმნიჭებელი
6	ატმის ზეთი	პლასტიფიკატორი
7	ნუშის ზეთი	პლასტიფიკატორი
8	ემულსიური ცვილი	სტრუქტურის მიმნიჭებელი, ემულგატორი
9	ფუტკრის ცვილი (თეთრი)	ფორმის და სიმყარის მიმნიჭებელი
10	ლანოლინი	პლასტიფიკატორი

კვლევის მეთოდები: კვლევის პროცესში გამოყენებულია ფიზიკურ-ქიმიური, ტექნოლოგიური და ბიოფარმაცევტული მეთოდები/1,14,15 /.

კვლევის შედეგები და მათი განხილვა:

კვლევის პირველ ეტაპზე შესწავლილია და დადგენილია აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტების (აფი) სალბის ეთერზეთისა და სალბის მშრალი ექსტრაქტის ნარევის ანტიბაქტერიული აქტოვობა. საკვლევი ნიმუშების ანტიმიკრობული აქტიურობის in-vitro შეფასება ჩატარდა “Spot Test” - წერტილოვანი ტესტირების მეთოდით /1/ ბაქტერიული შტამების განსაზღვრული ნაკრების მიმართ (Streptococcus pyogenes, Escherichia coli, Enterobacter cloacae , Salmonella typhimurium, Klebsiella pneumoniae, Shigella flexneri, Proteus vulgaris, Enterococcus faecalis, Staphylococcus aureus, Pseudomonas aeruginosa). სკრინინგის შედეგები მოცემულია ცხრილში №3.

ცხრილი №3. სალბის მშრალი ექსტრაქტისა და ეთერზეთის ნარევის ანტიბაქტერიული აქტივობის სკრინინგის შედეგები

№	ბაქტერიული შტამის დასახელება	კვლევის შედეგი
1	Streptococcus pyogenes	1+
2	Escherichia coli	4+
3	Enterobacter cloacae	–
4	Salmonella typhimurium	2+
5	Klebsiella pneumoniae	4+
6	Proteus vulgaris	4+
7	Shigella flexneri	4+
8	Enterococcus faecalis	4+
9	Staphylococcus aureus	4+
10	Pseudomonas aeruginosa	–

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საკვლევ ობიექტს გააჩნია ფართო სპექტრის და მაღალი ანტიბაქტერიული ეფექტი.

ლიტერატურის მონაცემების საფუძველზე შედგენილია კოსმეტიკური ფანქრების ფუძის რამდენიმე კომპოზიცია (ცხრილი№4).

ცხრილი №4 კოსმეტიკური ფანქრების საკვლევი ფუძეების შემადგენლობა

№	საკვლევი ფუძეების კომპონენტები	ფანქრების ფუძეები								
		1	2	3	4	5	6	7	8	9
1	პარაფინი	-	5,0	-	2,2	2,5	1,0	1,0	1,5	1,5
2	ვაზელინი	-	-	-	-	2,5	-	-	2,5	2,5
3	ვაზელინის ზეთი	-	-	5,0	-	-	-	-	-	-
4	აბუსალათინის ზეთი	-	2,0	2,0	3,6	-	5,0	5,0	-	-
5	კაკაოს ცხიმი	-	-	2,2	4,2	-	-	1,0	-	-
6	ატმის ზეთი	-	-	-	-	2,5	-	-	3,5	-
7	ნუშის ზეთი	-	-	-	-	-	-	-	-	3,5
8	ემულსიური ცვილი	-	-	4,0	-	2,5	3,0	2,0	2,5	2,5
9	ფუტკრის ცვილი	3,0	-	-	-	-	-	1,0	-	-
10	ლანოლინი	6,0	-	-	-	-	1,0	1,0	-	-
11	მზესუმზირას ზეთი	3,0	-	-	-	-	-	-	-	-
12	სპერმაცეტი	-	3,0	-	-	-	-	-	-	-
	საერთო მასა:	10,0	10,0	13,2	10,0	10,0	10,0	11,0	10,0	10,0

შესწავლილია ფანქრების საკვლევი ფუძეების გარეგნული სახე, ერთგვაროვნება, განაწილების უნარი, წასმის უნარი (ცხრილი №5).

ცხრილი №5. საკვლევი ფუძეების ფიზიკური მაჩვენებლების განსაზღვრის შედეგები

ფუძეების კომპოზიციის №	საკვლევი ფუძეების ხარისხის ფიზიკური მაჩვენებლები		
	გარეგნული სახე (ფერი, სუნი)	სტრუქტურის ერთგვაროვნება	კარგი წასმის უნარი
1	თეთრი, უსუნო	ერთგვაროვანი	–
2	ყვითელი, უსუნო	ერთგვაროვანი	–
3	ყვითელი, უსუნო	არა ერთგვაროვანი	+
4	თეთრი, უსუნო	ერთგვაროვანი	–
5	რძისფერი, უსუნო	ერთგვაროვანი	–
6	თეთრი, მარგალიტის ბზინვარებით,უსუნო	ერთგვაროვანი	–
7	თეთრი,მარგალიტის ბზივარებით, უსუნო	ერთგვაროვანი	+
8	თეთრი, მარგალიტის ბზინვარებით, უსუნო	ერთგვაროვანი	+
9	თეთრი, მარგალიტის ბზინვარებით, უსუნო	ერთგვაროვანი	+

№5 ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ოპტიმალური ფიზიკური მახასიათებლებით ხასიათდება ფუძეების კომპოზიცია №7, 8 და 9.

კვლევის შემდგომ ეტაპზე შერჩეულ ფუძეებში (№7,8,9) შეტანილია ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტები და შედგენილია ცხრა კომპოზიცია (ცხრილი №6).

ცხრილი № 6 . ანტიბაქტერიული მოქმედები ფანქრების საკვლევი კომპოზიციები

№	კომპოზიციის კომპონენტები (გრამებში)	ფანქრების საკვლევი კომპოზიციები								
		№1	№2	№3	№ 4	№ 5	№ 6	№7	№8	**№9**
1	პარაფინი	1,0	1,0	1,5	1,5	1,5	1,5	1,5	1,5	**1,0**
2	ვაზელინი	-	-	2,5	2,5	2,5	2,5	2,5	2,5	**-**
3	აბუსალათინის ზეთი	5,0	5,0	-	-	-	-	-	-	**5,0**
4	კაკაოს ცხიმი	1,0	1,0	-	-	-	-	-	-	**1,0**
5	ატმის ზეთი	-	-	3,5	-	-	3,5	3,5	-	**-**
6	ნუშის ზეთი	-	-	-	3,5	3,5	-	-	3,5	**-**
7	ემულსიური ცვილი	2,0	2,0	2,5	2,5	2,5	2,5	2,5	2,5	**2,0**
8	ფუტკრის ცვილი	1,0	1,0	-	-	-	-	-	-	**1,0**
9	ლანოლინი	1,0	1,0	-	-	-	-	-	-	**1,0**
10	სალბის მშრალი ექსტრაქტი	-	-	-	-	1,0	1,0	-	-	**1,0**
11	სალბის ეთერზეთი	-	-	-	-	0.03	0.03	-	-	**0.03**

კვლევის შემდგომ ეტაპზე შესწავლილია ანტიბაქტერიული ფანქრების საკვლევი კომპოზიციების ხარისხის მაჩვენებლები /9,14,18/ მონაცემები წარმოდგენილია №7 ცხრილში.

ცხრილი №7. ანტიბაქტერიული მოქმედების ფანქრების საკვლევი კომპოზიციების ხარისხის მაჩვენებლები

№	ფანქრების საკვლევი კომპოზიციების ხარისხის მაჩვენებლები						
	გარეგნული სახე	ერთგვაროვნება (ვიზუალურად)	ერთგვაროვნება (ელ.მიკროსკოპით)	დაფარვის უნარი (ფილტრის ქაღალდზე)	განაწილების უნარი	სიმყარე/პლასტიკურობა (ფაიფურის ბურთი)	pH (5.5-6.5)
1	მუქი წითელი, დამახასიათებელი სუნით	+	+	14.28	++	-	5,9
2	ნარინჯისფერი უსუნო	+	+	50	++	-	5,7
3	ნარინჯისფერი უსუნო	+	+	40	+++	-	5,7
4	ნარინჯისფერი, უსუნო	+	+	40	++	-	5,7
5	ღია ყავისფერი, სასიამოვნო სუნით	+	+	66.66	++	42,64	5,7
6	ღია ყავისფერი, დამახასიათებელი, სასიამოვნო სუნით	+	+	50	+++	32,5	5,5
7	მუქი წითელი, დამახასიათებელი სუნით	+	+	50	++	-	5,6
8	მუქი წითელი, დამახასიათებელი სუნით	+	+	66.66	++	-	5,5
9	ღია ყავისფერი, სასიამოვნო სუნით	+	+	76.47	++++	67,34	5,6

ჩატარებული კვლევების საფუძველზე საუკეთესო მაჩვენებლებით ხასიათდება ანტიბაქტერიული მოქმედების ფანქრების საკვლევი კომპოზიცია №9.

განსაზღვრულია ანტიბაქტერიული მოქმედები ფანქრებში (№9 საკვლევ კომპოზიციაში) ფლავონოიდების ჯამური შემცველობა სპექტროფოტომეტრული მეთოდით (Shimadzu UV-240 Japan). ოპტიკური სიმკვრივე განისაზღვრა 415 ნმ სიგრძის ტალღაზე,

ფლავონოიდების აგლიკონების ჯამური შემცველობა გამოთვლილია ქვერცეტინზე გადაანგარიშებით. კვლევისას გამოყენებულია ჩვენს მიერ მოდიფიცირებული მეთოდი /3,20,21/. კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ფლავონოიდების აგლიკონების ჯამის საშუალო შემცველობა ქვერცეტინზე გადაანგარიშებით შეადგენს 0.272მგ/გ.
შემუშავებულია ანტიბაქტერიული ფანქრების მომზადების ტექნოლოგიური პროცესის სქემა და ტექნოლოგიური პროცესი /2,6,8,14,19/ .

ანტიბაქტერიული ფანქრების მიღების ტექნოლოგიური სქემა შედგება შემდეგი სტადიებისგან:

1.საწყისი მასალების/კომპონენტების მომზადება:
1.1. აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტების მომზადება;
1.2. დამხმარე - ფუძის შემადგენელი ინგრედიენტების მომზადება;
2. ფანქრების ფუძის მყარი კომპონენტების გალღობა
(ლღობის ტემპერატურის გათვალისწინებით);
3. ფუძეში თხევადი კომპონენტების შეტანა და შერევა;
4. ფუძეში მშრალი ექსრტაქტის შეტანა და შერევა;
5. გაგრილებულ ფუძეში ეთერზეთის შეტანა და შერევა;
6. მასის ჩამოსხმა ყალიბებში, დაყოვნება, გაციება;
7.ფანქრების კეთილხარისხოვნების შემოწმება;
8. დაფასოება/გაფორმება.
შედგენილია ფანქრების №9 კომპოზიციის მიღების ტექნოლოგიური პროცესის მატერიალური ბალანსი და გამოთვლილია ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, შედეგები წარმოდგენილია ცხრილში№10.

ცხრილი№10. ფანქრების მიღების ტექნოლოგიური პროცესის მატერიალური ბალანსი

№	კომპონენტები (აღებული)	რაოდენობა (გრ-ში)	მიღებული	რაოდენობა (გრ-ში)
1	პარაფინი	2,0	მზა პროდუქტი	23,2
2	აბუსალათინის ზეთი	10,0		
3	კაკაოს ცხიმი	2,0		
4	ემულსიური ცვილი	3.94		
5	ფუტკრის ცვილი	2,0		
6	ლანოლინი	2,0	დანაკარგი	0,8
7	სალბის მშრალი ექსტრაქტი	2,0		
8	სალბის ეთერზეთი	0.06		
		ჯამი =24,0		ჯამი=24,0
ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები				
G1=G2+G5 24,0=23,2 +0,8 ტექნოლოგიური გამოსავალი Պ= G2/ G1 x 100% = 23,2/24,0x100%=96,66% ტექნოლოგიური ხარჯი E= G5/ G1 Xx100% = 0,8/24,0x100%=3,34% ხარჯვის კოეფიციენტი Kb= G1/ G2=24,0/23,2=1,03				

დასკვნები:

1.დადგენილია აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტების: სალბის ბალახის მშრალი ექსტრაქტისა და ეთერზეთის ნარევის ანტიბაქტერიული მოქმედება ბაქტერიული შტამების მიმართ (Streptococcus pyogenes, Escherichia coli, Salmonella typhimurium, Klebsiella pneumoniae, Shigella flexneri, Proteus vulgaris, Enterococcus faecalis, Staphylococcus aureus);

2. შედგენილია საკვლევი ფანქრების ცხრა კომპოზიცია. შესწავლილია ანტიბაქტერიული მოქმედების ფანქრების ორგანოლეპტური მახასიათებლები და კეთილხარისხოვნების მაჩვენელებლები: ერთგვაროვნება, დისპერსიულობის ხარისხი, pH, სიმყარე/ პლასტიკურობა, წასმის უნარი, განაწილების და დაფარვის უნარი. ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლის საფუძველზე საუკეთესო მახასიათებლებით გამოირჩევა №9 კომპოზიცია შემდეგი შემადგენლობით: პარაფინი 2,0გ; აბუსალათინის ზეთი 10,0გ; კაკაოს ცხიმი 2,0გ; ემულსიური ცვილი 3.94გ; ფუტკრის ცვილი 2,0გ; ლანოლინი 2,0გ; სამკურნალო სალბის მშრალი ექსტრაქტი 2,0გ; სამკურნალო სალბის ეთერზეთი 0.06გ.

3. შემუშავებულია ანტიბაქტერიული მოქმედების ფანქრების ტექნოლოგიური სქემა, დამუშავებულია მომზადების ტექნოლოგიური პროცესი და განსაზღვრულია. შედგენილია ფანქრების მიღების ტექნოლოგიური პროცესის მატერიალური ბალანსი და დადგენილია ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები (ტექნოლოგიური გამოსავალი Ꝑ=96,6%; ტექნოლოგიური ხარჯი E= 3,34%; ხარჯვის კოეფიციენტი $K_ხ$= 1,03);

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლანა კოდანოვი, „ზოგიერთი არომატული მცენარის ინტროდუქციისა და გადამუშავების მწვანე ტექნოლოგიები“(სადისერტაციო ნაშრომი) ბსუ.ბათუმი.2021;
2. Akshatha R S, Manasa C Reddy, Ranjitha Suresh and Thanushree H R. Formulation and evaluation of antibacterial herbal deodorant stick. Department of Pharmaceutics, Vydehi Institute of Pharmacy, Bangalore, India. World Journal of Biology Pharmacy and Health Sciences,2023,16(02),029–034.ArticleDOI: https://doi.org/10.30574/wjbphs. 2023.16.2.0464.
3. Amjad M. Shraim , Talaat A. Ahmed, Md Mizanur Rahman ,Yousef M. Hijj. Determination of total flavonoid content by aluminum chloride assay: A critical evaluation. LWT- Food Science and Technology.150(2021)111932;journal homepage: www.elsevier.com/locate/lwt.
4. Andrea F. Afonso , Olívia R. Pereira Artur M. S. Silva, Ângela Fernandes, Ricardo C. Calhelha, Isabel C.F.R. Ferreira and SusanaM. Cardoso.Phytochemical Composition and Bioactive E ects of Salvia africana, Salvia o cinalis ‘Icterina’ and Salvia mexicana Aqueous Extracts.Molecules 2019, 24, 4327; doi:10.3390/molecules24234327;
5. Design and evaluation of topical herbal antifungal stick containing extracts of Rhinacanthus nasutus.Mohammed Tahir Ansaria,, Nurulfalahin binti daud ibrahima, Farheen Samia, Shahnaz Majeeda, Mohammad Saquib Hasnainb, Vishal Bhagwan Badgujara.Journal of Herbal Medicine. 17–18. 2019.

6. Gabriella Baki Ph.D, and Kenneth S. Alexander Ph.D, Introduction to cosmetic formulation and technology. The University of Toledo, College of Pharmacy and Pharmaceutical Sciences. 2015;
7. Ghorbani A, Esmaeilizadeh M. Pharmacological properties of Salvia officinalis and its components. J Tradit Complement Med. 2017 Jan 13;7(4):433-440;
8. K.Natobidze, M.Gasanova, I.Tsurtsumia, A.Bakuridze, M. Tatanashvili. „Desing, formulation and biological assessment of antibaqterial medical"- Tbilissi. ISPC -2022.81-83;
9. Kristina Yu. Aleshnikova1*, Vyacheslav N. Dul1, Marina A. Dzhavakhyan1, Olga A. Semkina. Development and Standardization of Crayons with Eucalimine. DRUG DEVELOPMENT & REGISTRATION.2020.V.9, No. 4. 99-106. https: //doi.org/ 10.33380 /2305-2066-2020-9-4-99-106;
10. Nuha Rasheed, Syed Abdul Rahman, Samreen Hafsa. Formulation and Evaluation of Herbal Lipsticks.ResearchJ.Pharm.andTech.2020;13(4):1693-1700.doi:10.5958/0974-360X.2020. 00306.6
11. Premjit, Yashaswini & Kumar, Arvind. (2018). Antimicrobial Properties of Orange (Citrus reticulata var.Kinnow) Peel Extracts against Pathogenic Bacteria.737-746.10.20546/ijcmas.2018;
12. Sundriyal A, Bhatt B, Kaushik S, Formulation and Evaluation of Herbal Sunscreen Stick from Pyrostegia venusta (Ker Gawl.)Miers leaf ethanolic extract: A Modern Approach for Plants as Photo protectants, Annals Ayurvedic Med. 2024;13(2) 102-112, DOI. 10.5455/AAM.154183.
13. Vaishnavi Kale,Nilofar Khan,Mohan Kale, Rupali Yewale,Vinay Chaudhari. "Formulation And Evaluation Of Antifungal Dermal Stick From Pomegranate Rind Extract." International Journal of Current Science(IJCSPUB). Volume14,Issue1. January. 2024. ISSN:2250-1770. Indiawww.ijcspub.org.
14. Алешникова Кристина Юрьевна /Разработка состава, технологии карандашей лекарственных, содержащих эвкалимином/. Диссертация. 143 с. 2021г;
15. Государственная Фармакопея Российской Федерации 14 изд.ОФС.1.4.1.0028.18 «Карандаши лекарственные». – М., 2018. – Т.2. – С. 2014-2016;
16. Дрибноход Ю.Ю. Косметология.Ростов-на-доную Феникс.2019;
17. Дрибноход Ю.Ю.Косметика и косметология. Толковый словарь. ГЕОТАР-Медия. 2021;
18. Разработка и стандартизация карандашей лекарственных с эвкалиминомК. Ю.Алешникова, В.Н.Дул, М.А.Джавахян, О.А.Семкина. Методы анализа лекарственных средств. Разработка и регистрация лекарственных средств. 2020. Т. 9, № 4.99–106.
19. ЭрнандесЕ.И. и др, Новая косметология. /Косметическиесредства /. С. 554.2020;
20. Ю. Г. Соболева и др, СПОСОБ ОПРЕДЕЛЕНИЯ СУММЫ ФЛАВОНОИДОВ В ЦВЕТКАХ ПИЖМЫ ОБЫКНОВЕННОЙ. БИОХИМИЯ И ФИЗИОЛОГИЯ г. Витебск, Республика Беларусь. Вестник АПК Верхневолжья 3 (55) сентябрь 2021 г. doi:10.35694/YARCX.2021.55.3.007.
21. Хоссам М. Элькаиб, Виктор Н. Леонтьев, Павел Н. Саввин. Количественное определение флавоноидов ладанника шалфеелистного (Cistus salviifolius). Вестник ВГУИТ/Proceedings of VSUET, Т. 79, № 1, 2017 .DOI: http://doi.org/10.20914/2310-1202-2017-1-271-275

Design and Technological Optimization of Cosmetic Sticks Enriched with Antibacterial Sage Extract

Keteven Natobidze, Mariam Gasanova, Ia Tsurtsumia, Aliosha Bakuridze, Mariam Tatanashvili

Tbilisi State Medical University, Department of Pharmaceutical Technology

Abstract

Modern pharmacies are rich in a variety of cosmetic products, but most of them are based on components of synthetic origin. Their use often causes various complications and allergic reactions, which is why both patients and doctors prefer cosmetics made from natural ingredients.

Among skin care cosmetic products, cosmetic sticks hold a special place. Medical cosmetic sticks are characterised by their ability to act on specific/local areas of the skin and mucous membranes for an extended period. They are portable, convenient to use, and thanks to their special packaging, they are hygienic, economical, and have an extended shelf life. One of the key advantages of medicinal cosmetic sticks is the ability to incorporate naturally derived components (such as plant extracts, essential oils, clays, muds, etc.) due to the natural origin of their base. The assortment of medicinal cosmetic sticks in pharmacies is currently limited. Therefore, the study and development of formulations for medicinal cosmetic sticks, and their production using modern technologies for various purposes, is a pressing issue in contemporary pharmacy.

That is why we aimed to develop the formulation, design and biological evaluation of antibacterial treatment cosmetic sticks developed on natural products.

Active pharmaceutical ingredients of the sticks (mixture of sage dry extract and essential oil) proved to have high antibacterial activity against Streptococcus pyogenes, Escherichia coli, Salmonella typhimurium, Klebsiella pneumoniae, Proteus vulgaris, Shigella flexneri, Enterococcus faecalis and Staphylococcus aureus (in vitro - “Spot Test”).

Based on a result literature review and the study of organoleptic, physico-chemical and technological characteristics, nine optimal sticks formulations were selected. We have studied the qualitative indicators of research composition nine and among them, sticks research composition No. 9 is characterized by the best characteristics with the following composition (for 10 sticks, weight of each sticks is 2.4): paraffin 2.0g; castor oil 10.0g; cocoa fat 2.0g; emulsion wax 3.94g; beeswax 2.0g; lanolin 2.0g; dry extract of sage grass 2.0g; Sage essential oil 0.06g. On the basis of technological studies, the technological scheme and technological process of sticks with antibacterial action have been developed, the material balances of the technological process of making sticks have been drawn up and the technical-economic indicators have been determined.

Keywords: Technology, Cosmetics, Sticks, Antibacterial, Sage.

ავტორები:

ქეთევან ნათობიძე თსსუ-ის ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტი;

მარიამ გასანოვა თსსუ-ის მაგისტრი;

ია წურწუმია თსსუ-ის ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი;

ალიოშა ბაკურიძე თსსუ-ის ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;

მარიამ ტატანაშვილი თსსუ-ის ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტის დოქტორანტი.

Authors:

Keteven Natobidze TSMU, Department of Pharmaceutical Technology, PhD student;

Mariam Gasanova TSMU, Department of Pharmaceutical Technology, master;

Ia Tsurtsumia TSMU, Department of Pharmaceutical Technology, Assistant Professor;

Aliosha Bakuridze TSMU, Department of Pharmaceutical Technology, Professor;

Mariam Tatanashvili TSMU, Department of Pharmaceutical and Toxicological Chemistry, PhD student.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.51



Digital Transformation in the Educational Institutions

Inga Abuladze[1], Maia Okhanasvili[2], Marina Kashibadze[3], Natalia Gabashvili[4], Tamar Gabashvili[5]

[1]Professor, Faculty of Informatics and Control Systems, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia; [2]Professor, Faculty of Information Technologies, Business and Technology University, Tbilisi, Georgia, E-mail: i_abuladze@gtu.ge, inga.abuladze@btu.edu.ge, ORCID: 0000-0002-4322-8692;

[2]Assoc. Professor, Faculty of Informatics and Control Systems, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia, m.okhanashvili@gtu.ge;

[3]Assoc. Professor, Faculty of Informatics and Control Systems, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia, m.kashibadze@gtu.ge;

[4]Assoc.Professor, Faculty of Informatics and Control Systems, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia, n.gabashili@gtu.ge;

[5]Assis. Professor, Faculty of Informatics and Control Systems, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia, t.gabashvili@gtu.ge

Abstract

In this study proposes the idea of how to make the educational process more flexible in the post-pandemic period using the digital transformation technologies. Machine learning algorithms are used to solve this task, which will make the learning process more efficient and objective. Along with this, it will be adjusted to the ability of each student and will make the work of the teacher easier.

In the post-pandemic period, modern teaching methods are: face-to-face, online and hybrid teaching. Each method has its own advantages and disadvantages. Since the 21st century is era of globalization, online, distance and hybrid methods are considered to be a more acceptable form of teaching in the future.

The Author reviews all teaching methods. After the COVID-19 era, hybrid and online teaching methods are a new challenges in educational institutions, representing a more acceptable form of teaching worldwide. The situation now is that many institutions continue online classes and, at the same time, blend them with face-to-face classes. Hybrid Education is one of the most interesting concepts of the 21st century education system.

Keywords: Online and Face-to-face Learning, Modern Teaching Methods, Artificial Intelligent, Machine Learning Algorithm, Innovation Technology.

I. INTRODUCTION

In this study main challenge is using digital transformation in the education systems, include main teaching methods: online, distance and hybrid learning. For this task I developed model to transition

from one teaching method to another using machine learning algorithms, which are a subset of artificial intelligence.

Artificial intelligence (AI) has been a topic of growing interest and investigation in various fields, including higher education. This research article explores the impact of AI on higher education by examining its effects on teaching and learning, assessment, ethics, required skills, and future careers.

The aim of the scientific paper is to create a blended and student-oriented system of the educational process. At the same time, the work related to the educational process should be facilitated for the Professor/Teacher. In the educational process, the effectiveness of any educational course is assessed by the learning outcomes obtained by the student. To achieve efficiency, the educational process service must be tailored to students, that is, the teacher must learn and improve various methods of working with the online platform.

The pandemic and the post-pandemic periods have brought about a very big change in the educational system. The growing pace of technology has become even more visible and has covered all fields, especially in educational institutions. Because online learning and a distance assessment system are still relevant today.

The COVID-19 pandemic has presented the entire world's education system with a new challenge. The number of online lectures (lessons) has increased, and at this time the teacher needs to make more efforts to conduct the educational process at a high level. Such a sudden change in the format of teaching has dealt a certain blow to both lecturers and students. It has become necessary to adapt to online teaching, create many new methods, study them and use them. A fairly large army of lecturers and professors-teachers has faced this challenge. During online teaching, the lecturer is always in the focus and has the eyes of many students. It is much easier to lead the educational process when teaching in the auditorium than when teaching online. Because the teacher has to take into account many factors. For example: sudden power outages (which are common in Georgia), getting to know his students online, establishing order during online teaching, and communicating with each student. Sharing their work, and a lot of technological, psychological, moral, and physical effort is required for a teacher to conduct the learning process at a high or good level [1].

II. MATERIALS AND METHOD

In this paper presents an analysis of various teaching methods in the post-pandemic period (Table 1). The participants were asked which method between online, face-to-face, and hybrid education they preferred with the question “What is your teaching model preference?”. 45.4% of students responded as “online education”, 28.8% “face- to-face” and 25.8% “hybrid” (Table 2). These results indicated that most of the students preferred online education [2].

Table 1. Frequency Distribution of Teaching Model Preference

Model Preference	students	%
Online Education	2497	45.4
Face-to-Face Education	1587	28.8
Hybrid Education	1420	25.8
Total	5504	100

Table 2. Contingency Table Showing the Relationship Between Teaching Model Preference and Gender

Teaching model Preference		Gender		
		Female	Male	Total
Online Education	Number	1133	1364	2497
	%	45.4	54.64	100
Face-to-Face Education	Number	817	770	1587
	%	51.5	48.5	100
Hybrid Education	Number	758	662	1420
	%	5.4	46.6	100
Total	Number	2708	2796	5504
	%	49.2	50.8	100

Table 3. Contingency Table Showing the Relationship between Teaching Model Preference and Students' View of the Learning Management System Used as Complex

Teaching model Preference		Gender					
		Strongly Disagree	Disagree	Moderate	Agree	Strongly Agree	Total
Online Education	Number	884	988	311	177	105	2465
	%	85.9	40.1	12.6	7.2	4.3	100
Face-to-Face Education	Number	157	544	319	298	241	1559
	%	10.1	34.9	20.5	19.1	15.5	100
Hybrid Education	Number	172	592	287	226	118	1395
	%	12.3	42.4	20.6	16.2	8.5	100
Total	Number	1213	2124	917	701	464	5419
	%	22.4	39.2	16.9	12.9	8.6	100

1.2. III. OBJECTIVE and METHODOLOGY:

a) Develop exam sample model on Python

b) Evaluation of the effectiveness of the student's final result

Three paradigms are proposed for Artificial Intelligence in Education (AIED). They are: AI-direct, AI-support, and AI-empower [3].

- ❖ AI is used to represent knowledge models and direct cognitive learning in Paradigm One.
- ❖ AI is used to support learning while learners work as collaborators with AI in Paradigm Two.
- ❖ AI is used to empower learning while learners take agency to learn in Paradigm Three.

The main starting point in the learning process is the student. therefore, in order to get the best results, the teacher must develop the most effective methods of the exam. Machine learning algorithms help us in this approach, using which the exam process is comfortable for both the student and the lecturer.

IV. RESULTS

In this study Author developed model of modern teaching method, according in which 5 components play a key role in the learning process:

$$FS(i = 1, 2, 3, 4, 5) \qquad (1)$$

1) Student activity in the learning process
2) Adequate delivery of material by the lecturer
3) Management of the classroom by lecturer
4) Communication between lector and student
5) Respect for each other to achieve the best

V. AI IMPACT ON THE LEARNING AND TEACHING PROCESS

According to an article in The Atlantic, ("Artificial Intelligence Promises a Personalized Education for All"), artificial intelligence holds the potential to "enhance human teachers' abilities to tailor lessons to each student without knocking their class schedule off track," eliminating the need for educators to "teach to the middle," as often happens when their students have a range of skill levels and learning abilities.

Rose Luckin, a professor of learning-centered design at University College London, is quoted as saying that, "The real power of artificial intelligence for education is in the way that we can use it to process vast amounts of data about learners, about teachers, about teaching and learning interactions." Ultimately, AI can "help teachers understand their students more accurately, more effectively". She says AI in education will help us understand how we think [5].

My research mainly concerns the evaluation of the positive and negative between online and face-to-face learning. Based on their analysis, it is recommended to switch to a hybrid format to achieve effective learning results. The use of machine learning algorithms for the effectiveness of the learning process.

A two-and-a-half-year study of online learning at leading universities around the world, including Georgia (Country), has shown that the hybrid (blended) method of teaching is much better for both lecturers and students. Because human communication has a much better effect on both sides. During the pandemic, the least hit was for students and professors of the Faculty of Technology. The biggest and most devastating hit was suffered by professors of the Faculty of Humanities and Natural Sciences, because most teachers have not mastered technologies at the proper level. Based on this reality, which is present all over the world, my modest recommendation is as follows: the learning process in the future should be hybrid, which in itself includes online, distance and face-to-face learning in symbiosis.

As you know, the learning process consists of several components. For the perfect conduct of the learning process, both the teaching and assessment processes of students are important. During online learning, the teacher must be fully involved in the learning process and constantly provide his students with electronic learning materials: textbooks, lecture notes, presentations, etc. At the same time, he must conduct the assessment remotely.

The purpose of the work is to help professors and teachers around the world increase their knowledge in the distance learning process and gain more experience in effectively conducting the learning process. To solve this problem, machine learning (ML) algorithms and assessment methods have been developed, which will make the learning process more effective and flexible.

A teaching philosophy underlying this system revolves around prioritizing students as the primary beneficiaries, teachers as the driving force, industry feedback, and industry-specific guidance. Therefore, while constructing a quality evaluation system for higher education, the following two aspects should be considered:

1. *Student-Centered Approach*: Regardless of changes in teaching formats, students always play a central role in the teaching process.

2. *Teacher Leadership*: Teacher have a pivotal role in thear courses, indicating the course's practicality.

Consequently, teachers can adapt teaching techniques and approaches based on the classroom dynamics and instructional context. By integrating students theoretical knowledge and practical abilities while enhancing their overall development, teachers have relatively more freedom in guiding the higher education curriculum. If all evaluation systems solely focus on assessing lectors performance, the inherent communicative and interactive functions of the course may be compromised. Therefore, the lecturer needs support and encouragement from the administration.

The implementation of practical activities mainly relies on extracurricular activities, which in turn can promote the understanding of classroom theory. Therefore, the teaching quality evaluation must adhere to the unity of theory and practice. With continuous maturity and development of internet application technology, ML algoritms is also increasingly being applied to teaching evaluation. At the end of each semester or during a certain period of study, the university will organize students to evaluate lectors on the official account or App at the specified time. If the evaluation cannot be completed in a timely manner, students will not be able to check their grades and perform other operations. This characteristic of short time and heavy tasks can make students perfunctory in evaluating, resulting in teachers receiving feedback that has no reference value. This kind of

"evaluating teaching for the sake of evaluation" ultimately only allows evaluation to become a formality. The quality evaluation of higher education mainly targets the teaching of teachers.

Therefore, the current evaluation system mainly introduces Western theories and research techniques. The lack of empirical research has led to the lack of guarantee for the scientificity of various evaluation indicators and the effectiveness of results, let alone the goal of improving the evaluation system in the long run.

How is artificial intelligence used in education?

AI is used in education in numerous ways that enhance different aspects of teaching and learning. For example, adaptive learning platforms customize content for individual students. AI also automates grading and scheduling to free up teachers' time, and interactive tools make learning more engaging.

What is the future of AI in education?

The future of AI in education is bright, with ongoing improvements in personalized learning and accessibility. We can expect more advanced tools for adaptive learning and immersive virtual classrooms that will make education more engaging and effective.

How is AI currently being used in higher education?

AI is used in higher education in various ways, from detecting plagiarism and ensuring exam security to providing student support through chatbots. It also enhances online learning, transcribes lectures, tracks student progress, supports research and connects campuses. These diverse applications help streamline tasks and improve the learning experience for everyone.

Is AI good or bad for education?

AI has the potential to greatly improve education by personalizing learning and making administrative tasks easier. However, it also raises concerns about data privacy and equity. Thoughtful and ethical use of AI can maximize its benefits while addressing these challenges.

Below is a list of benefits of AI in education [7]:

1. ***Adaptive Learning:*** AI-driven platforms assess students' skill levels in real time and tailor instructional content to meet individual needs. These systems adapt lessons dynamically based on student responses, providing customized pathways to help students master concepts at their own pace.
2. ***Data and Learning Analytics:*** AI helps analyze data from online learning portals, classroom attendance and grades. This data provides insights into student performance, helping educators identify trends and tailor instruction to address gaps in understanding and performance.
3. ***Classroom Management:*** Platforms use AI to gamify classroom management. AI tracks student behavior and engagement, rewarding positive actions with points and badges and providing teachers with insights into classroom dynamics to manage and motivate students.
4. ***Intelligent Tutoring Systems:*** AI-powered tutoring systems such as Carnegie Learning provide personalized feedback and support, adapting to individual learning styles and needs to help students understand complex concepts and improve academic performance.
5. ***Automated Grading and Assessment Tools:*** These tools use AI to evaluate assignments and provide detailed feedback, streamlining the grading process, ensuring consistency and saving teachers time. AI can also grade more abstract assessments like essays by analyzing the content for coherence and relevance.

6. **Chatbots and Virtual Assistants:** AI-driven chatbots such as Mainstay provide students with immediate support and assistance outside classroom hours. These chatbots answer questions, remind students of deadlines and guide them through administrative processes, enhancing engagement and promoting independent learning.
7. **Curriculum Planning:** AI helps educators plan curricula by analyzing educational data to identify trends and gaps. This ensures the curriculum remains relevant, comprehensive and aligned with learning objectives by suggesting updates based on the latest educational needs and standards.
8. ***Personalized Learning:*** AI learning platforms create customized learning experiences by adapting to the unique ways students understand concepts. This reduces cognitive load and ensures that each student receives instruction tailored to their learning style and pace.
9. ***Language Learning:*** AI tools like *Duolingo* use adaptive algorithms to personalize language learning experiences. The AI adjusts the difficulty of exercises based on the user's progress, ensuring an optimal learning curve and enhancing language acquisition.
10. ***Virtual 3D Classrooms:*** The metaverse creates *immersive virtual classrooms* where students can interact with classmates and teachers. Platforms like Engage VR offer virtual environments that enhance the learning experience beyond traditional methods, providing opportunities for interactive and experiential learning.
11. ***Plagiarism Detection:*** AI tools analyze student submissions for potential plagiarism by comparing them against a vast database of academic content, ensuring academic integrity and originality in student work.

VI. CONCLUSION

In the era of globalization the crucial role online, distance and hibrid teaching. After the pandemic, such teaching methods have been recognized all in the world, although face-to-face teaching is still a priority.

In this study have been developed a modern teaching models, which criteria play a decisive role in the learning process, what the lecturer should focus on to achieve the best results.

REFERENCES

[1] I. Abuladze, I. Megrelishvili. The role of artificial intelligence for the effectiveness of the educational process. International Scientific and Practical Conference "Innovations and Modern Challenges 2022" dedicated to the 100th anniversary of the Georgian Technical University and the 65th anniversary of the Faculty of Informatics and Control Systems. Tbilisi, Georgia, 2022.

[2] N. Hotara, M. A. Özcanb, B. Baranc, E. Karagözd, L. Ö. Güneye. Face-to-Face, Online or Hybrid, Which Model is Preferred by University Students and Why? Journal of Learning and Teaching in Digital Age, 8(2), 2023, pages 1799-180.

[3] Ouyang, F., & Jiao, P. (2021). Artificial Intelligence in Education: the Three Paradigms. Computers and Education: Artificial Intelligence, 2(1), 100020. https://doi.org/10.1016/j.caeai.2021.100020

[4] I. Abuladze. Programming Language Python. Technical University, Tbilisi, Georgia, 2021.

[5] UCL. (2020, March 11). Opinion: AI in education will help us understand how we think. UCL News. https://www.ucl.ac.uk/news/2020/mar/opinion-ai-education-will-help-us-understand-how-we-think

[6] E. M. Onyema, Kh. K. Almuzaini, F. U. Onu, D. Verma, U. S. Gregory, M. Puttaramaiah, R. K. Afriyie. Prospects and Challenges of Using Machine Learning for Academic Forecasting. Hindawi, Computational Intelligence and Neuroscience, 2022.

[7] Administrator. (2021, December 7). 43 Examples of Artificial Intelligence in Education. University of San Diego Online Degrees. https://onlinedegrees.sandiego.edu/artificial-intelligence-education

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.52



გვირაბის ხანძრის პირობებში სავენტილაციო სისტემის ეფექტიანობისა და სიცოცხლის გადარჩენის ინტეგრირებული ანალიზი

ომარ ლანჩავა

პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

კვლევაში ნაჩვენებია, რომ სავენტილაციო სისტემები, მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელია, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყოს სიცოცხლის უსაფრთხოება გვირაბის ხანძრებში. შემოთავაზებულია ახალი მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც ხაზს უსვამს დინამიური ეფექტურობის კოეფიციენტის (DEF) მნიშვნელობას - ინტეგრირებულ პარამეტრს, რომელიც აფასებს ხანძრის დინამიკის, ვენტილაციის ეფექტურობისა და ადამიანის ევაკუაციის რისკების ერთობლივ გავლენას. DEF კონცეფცია წარმოგვიდგენს ყოვლისმომცველ ჩარჩოს, რომელიც აკავშირებს ტექნიკურ მუშაობას ადამიანის ქცევის მოდელებთან საგანგებო სიტუაციებში.

გამოთვლითი სითხის დინამიკის (CFD) მოდელირება გამოიყენება ხანძრის განვითარების, ტემპერატურის გრადიენტების, კვამლის გავრცელებისა და ტოქსიკური აირის დისპერსიის მოდელირებისთვის. ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფრუდის რიცხვი კვლავ რჩება ვენტილაციის მუშაობის შეფასების მნიშვნელოვან ინდიკატორად, რეალურ სცენარებში ის მნიშვნელოვნად თმობს პოზიციებს. ამრიგად, მხოლოდ ფრუდის რიცხვზე დაყრდნობამ ადაპტური კორექტირების გარეშე შეიძლება გამოიწვიოს ხანძრის საგანგებო სიტუაციების არასაკმარისი დაგეგმვა.

ამ კვლევაში განხილული ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა CFD მოდელების ინტეგრაცია ევაკუაციის მოდელირებებთან. მოდელებს შორის დროითი და სივრცითი გარჩევადობის განსხვავებები ართულებს ინტეგრაციის პროცესს, თუმცა ამ სირთულეების გადალახვა აუცილებელია რისკის ზუსტი შეფასებისთვის. ნაშრომში წარმოდგენილია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითები და გამოკვეთილია სტრატეგიული რეკომენდაციები ეფექტური, კომბინირებული მოდელირების მეთოდოლოგიების შესაქმნელად.

საბოლოო ჯამში, კვლევა ადასტურებს, რომ საიმედო ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემის მიღწევას მხოლოდ მექანიკური მოწყობილობები არ ყოფნის. საკითხი მოითხოვს კარგად შემუშავებულ პროცედურებს, დახვეწილ საინჟინრო მიდგომებს, ძლიერ მართვის სტრატეგიებს და ადამიანური ფაქტორების გულდასმით გათვალისწინებას. ასეთი მრავალფაქტორიანი და დინამიური ჩარჩოს გამოყენებით, გვირაბის ხანძრებთან

დაკავშირებული საგანგებო დაგეგმვა შეიძლება გახდეს უფრო მდგრადი და ეფექტური, რაც გაზრდის როგორც სტრუქტურულ უსაფრთხოებას, ასევე ადამიანების გადარჩენის პერსპექტივებს.

საკვანძო სიტყვები: ხანძრის CFD მოდელები; ევაკუაციის მოდელები; მოდელების ინტეგრაცია; დინამიური ეფექტურობის კოეფიციენტი; ფრუდის რიცხვი.

მნიშვნელოვანი მიგნებები:

- ვენტილაცია მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას: სავენტილაციო სისტემის ეფექტიანობა აუცილებელია, თუმცა არასაკმარისია სიცოცხლის გადარჩენისთვის.
- დინამიკური ეფექტიანობის ფაქტორი (DEF): წარმოდგენილია ახალი ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს ხანძრის დინამიკას, სავენტილაციო შესაძლებლობებსა და ევაკუაციის რისკებს.
- ფრუდის რიცხვი ცვალებადია ხანძრის რეალურ სცენარებში: მის საფუძველზე შექმნილი მოდელები საჭიროებს დახვეწას და კორექტირებას პრაქტიკული გამოყენებისთვის.
- CFD და ევაკუაციის მოდელების ინტეგრაცია გამოწვევას წარმოადგენს: სხვადასხვა დროითი და სივრცითი სიზუსტის გამო მათი სინქრონიზაცია რთულია, თუმცა აუცილებელი.

1. შესავალი

საავტომობილო გვირაბებში ხანძარი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე რთულ უსაფრთხოების გამოწვევას დახურულ ინფრასტრუქტურულ გარემოში. ისტორიულმა ტრაგედიებმა, როგორები-ცაა მონბლანის, ტაუერნის, სენ-გოტარდისა და სხვა გვირაბების ხანძრები, ნათლად აჩვენა, რომ ხანძრის ეფექტური მართვა და ადამიანების უსაფრთხო ევაკუაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ სავენტილაციო სისტემით [1]. გარდა ვენტილაციისა, უსაფრთხოების ეფექტიანობა დამოკიდე-ბულია დანარჩენი ინფრასტრუქტურული სისტემებისა და ელემენტების კოორდინირებულ მუშაობაზე. მათ შორის აღსანიშნავია: ევაკუაციის მარშრუტები, ხანძარმედეგი კონსტრუქციები, დეტექციის ტექნოლოგიები და ცეცხლთან ბრძოლის აქტიური და პასიური მეთოდები.

ტრადიციულად, გვირაბის სავენტილაციო სისტემა იგეგმება კრიტიკული სიჩქარის კონცეფციაზე დაყრდნობით, რომელიც გამომდინარეობს ფრუდის რიცხვისაგან და მიზნად ისახავს კვამლისა და წვის სხვა ტოქსიკური პროდუქტების უკუდინების თავიდან აცილებას. თუმცა, ბოლო წლებში ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა და რიცხვითმა კვლევებმა აჩვენა, რომ რეალურ პირობებში, განსაკუთრებით დახრილ გვირაბებში დაღმავალი გრძივი ვენტილაციისას, ან ინტენსიური თბოგამოყოფის პირობებში, აღნიშნული კრიტიკული სიჩქარე ხშირად ვერ უზრუნველყოფს უკუდინების თავიდან აცილებას.

წინამდებარე კვლევა ერთიან სისტემაში განიხილავს თბოგამოყოფის, სავენტილაციო სისტემის მუშაობის ეფექტიანობისა და ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის ურთიერთკავშირს

ხანძრის სხვადასხვა სცენარებში. წარმოდგენილია ახალი კომპლექსური შეფასების მოდელი, რომელიც ეფუძნება დინამიკური ეფექტიანობის ფაქტორების (დეფ) ინტეგრირებულ ანალიზს, რომელიც ითვალისწინებს როგორც ხანძრის დინამიკას, ასევე სავენტილაციო შესაძლებლობებს და ადამიანებზე ზემოქმედების რისკებს. მოდელი იძლევა სიცოცხლის უსაფრთხოებისა და სისტემური მდგრადობის უფრო ზუსტ შეფასებას შეზღუდულ მიწისქვეშა გარემოში.

გვირაბებში უკვე მომხდარი ხანძრების კერაზე ტემპერატურა აღწევდა 1300-დან 1650K-მდე. სამიტის გვირაბში (დიდი ბრიტანეთი) მომხდარი ხანძრის დროს ტემპერატურა იყო 1500 °C, ხოლო აგურის სამაგრი 10-15 მმ სისქის მდნარი მასით დაიფარა [1].

საავტომობილო გვირაბებში მომხდარი ძლიერი ხანძრებიდან აღსანიშნავია: - იაპონიის „ნიჰოძაკას“ გვირაბში მომხდარი ხანძარი, რაც განვითარდა 1979 წელს მანქანების შეჯახების შედეგად, ხანძარი მძვინვარებდა 4 დღე-ღამის განმავლობაში და მისი ლოკალიზაცია მოხერხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გვირაბში ყველა სახის წვადი მასალა ამოიწურა; - აშშ-ის „კალდეკოტის“ გვირაბში 1982 წელს, ნასვამი მძღოლის მიზეზით მომხდარ ავარიას მოჰყვა ძლიერი ხანძარი, დაიღუპა 7 ადამიანი; - საფრანგეთში დასახლებულ პუნქტ Beaun-თან 1982 წელს მომხდარი ხანძრის დროს დაიღუპა 53 ადამიანი, მათ შორის 44 ბავშვი; - საფრანგეთ-იტალიის „მონბლანის“ გვირაბის ხანძარი 1999 წელს, ხანძარი გაჩნდა ავტომანქანის ძრავაში, მძღოლმა ვერ შეძლო რა მისი ჩაქრობა, მიატოვა მანქანა და ფეხით წავიდა იტალიის მიმართულებით, სანამ გვირაბის დირექცია დაკეტავდა გვირაბს, ყველა მანქანა, რომელიც შევიდა საფრანგეთის მხრიდან მოჰყვა ხანძრის ტოქსიკური პროდუქტების გავლენის არეალში და არავინ არ გადარჩენილა, ხოლო იტალიის მხრიდან შესულ მანქანებში ყველა გადარჩა, ტოქსიკური აირები ვრცელდებოდა იტალიის მიმართულების პორტალიდან საფრანგეთის მხარეზე 1 მ/წმ სიჩქარით, მძვინვარებდა 53 საათის განმავლობაში, 5 დღის განმავლობაში ხანძრის ჩაქრობის შემდეგ ცხელი აირები გამოდიოდა გვირაბიდან ბუნებრივი წევით, 40 ადამიანი, მათ შორის 1 მეხანძრე დაიღუპა, მოცემული გვირაბისათვის ეს იყო რიგით მე-18 და ყველაზე ძლიერი ხანძარი 1965 წლიდან; - ავსტრიის ტაუერნის გვირაბში 1999 წელს მომხდარი ხანძარი ავტომანქანების შეჯახების შედეგად, გრძელდებოდა 15 სთ-ის განმავლობაში; - შვეიცარიის „გოტარდის“ გვირაბში მომხდარი ხანძარი 2001 წელს, რომელიც გაჩნდა ავტომანქანების შეჯახების შედეგად, გრძელდებოდა 20 სთ-ის განმავლობაში [2].

საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში მომხდარმა ხანძრებმა ჟურნალისტების აქტიურობის შედეგად. გარდა ზემოაღნიშნული ხანძრებისა, აღნიშნულზე დიდი გავლენა მოახდინა აგრეთვე სხვა სატრანსპორტო გვირაბებში მომხდარმა ხანძრებმა. კერძოდ, ბაქოს მეტროში 1995 წელს მომხდარმა ძლიერმა ხანძარმა რომლის დროსაც დაიღუპა 200-ზე მეტი ადამიანი, 2003 წელს სამხრეთ კორეის დაეგუს მეტროში ბოროტი განზრახვით გაჩენილმა ხანძარმა, რომლის დროსაც დაახლოებით 200 ადამიანი დაიღუპა. ავსტრიის ქალაქ კაპრუნის ინციდენტი 2000 წელს, როცა ფუნიკულორის მატარებელში ხანძრის შედეგად 151 ადამიანი დაიღუპა, იმავე ხანძარმა იმსხვერპლა შემხვედრი მატარებლის მემანქანე და ზედა პორტალთან ტრანსპორტის მომლოდინე 3 ადამიანი.

აღნიშნული დიდი ყურადღების ნიშანია გაეროს ევროპულ კომისიაში საერთაშორისო ექსპერტების ჯგუფის შექმნა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ევროკავშირის წევრი

ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრები განრიგით. აღნიშნული ჯგუფი ამზადებდა და პერიოდულად გამოსცემდა სათანადო დოკუმენტებს, რომელთა მცირე ნაწილი მოცემულია ლიტერატურაში [2-11].

გვირაბის ხანძარი ღია ხანძრისაგან მინიმუმ ორი მნიშვნელოვანი განსხვავებით ხასიათდება: 1. წვადი მანქანებისაგან გამოყოფილი სითბო უფრო მეტად საგრძნობია მიწისქვეშ, რადგან სივრცე ჩაკეტილია და წვის პროდუქტების დისიპაცია შედარებით ნაკლებია; 2. შესაძლებელია ნაკადის უკუდინების წარმოქმნა, რაც ცვლის ვენტილაციის სქემას და ხშირ შემთხვევაში იწვევს მის კოლაფსს [12-18].

ღია ადგილებისაგან განსხვავებით, გვირაბში ჟანგბადი ყოველთვის არ არის საკმარისი და ამიტომ გვხვდება ორი ტიპის ხანძარი: ა) საწვავით კონტროლირებადი ხანძარი (სკხ) და ბ) ვენტილაციით კონტროლირებადი ხანძარი (ვკხ). სკხ-ის შემთხვევაში ჰაერის რაოდენობა ბევრია და ხანძრის სიმძლავრეს (სითბოს, კვამლის, ტოქსიკური ნაერთების რაოდენობას) განაპირობებს საწვავის რაოდენობა. ასეთი ხანძრის პირობებში, ჰაერის დიდი რაოდენობის გამო, წვის პროდუქტების კონცენტრაცია ჰაერში დაბალია. ვკხ-ის შემთხვევაში ხანძრის სიმძლავრეს განაპირობებს ჰაერის ხარჯი, რადგან ამ დროს საწვავის რაოდენობა დიდია. ამ შემთხვევაში წვის პროდუქტების კონცენტრაცია მაღალია და შესაძლებელია წარმოიქმნას აქროლადების აფეთქება-საშიში კონცენტრაცია.

ამგვარად, იმისდა მიუხედავად, გვირაბში წვა მიმდინარეობს ბუნებრივი, თუ ხელოვნური ვენტილაციის პირობებში, ყოველთვის გვხვდება ორი ტიპის ხანძარი: საწვავით კონტროლირებადი და ვენტილაციით კონტროლირებადი.

2. ხანძრის მიერ აღძრული დინამიკური წნევა

გვირაბებში ხანძრის დროს თბური რადიაციის გამო სავენტილაციო ჰაერი სწრაფად თბება და ფართოვდება. აღნიშნულის ხელშეწყობი ფაქტორია აგრეთვე წვის ტოქსიკური ცხელი აირების შერევა სუფთა ჰაერში. ფრუდის თეორიის მიხედვით ხანძრის კერაზე სუფთა ჰაერისა და წვის პროდუქტების შერევა თანაბარი რაოდენობით ხდება. თერმოდინამიკური დამოკიდებულების მიხედვით, დახურულ სივრცეში თერმული გაფართოებით გამოწვეული წნევის ცვლილება შეიძლება მიახლოებით შეფასდეს შემდეგი თანაფარდობით

$$\Delta P \approx \frac{\rho_0 \cdot R \cdot \Delta T}{V} \quad (1)$$

სადაც ρ_0 არის საწყისი ჰაერის სიმკვრივე, კგ/მ³; R — აირის სპეციფიკური მუდმივა, ჯ/(კგ·K); V — კუთრი მოცულობა, მ³; ΔT — წვის შედეგად ტემპერატურის მატება, K.

ეს ფორმულა აჩვენებს, რომ თბოგამოყოფის შედეგად წარმოქმნილი ტემპერატურის გრადიენტი პირდაპირ იწვევს წნევის მატებას, რომელიც აამოძრავებს აიროვან გარემოს მასში წნევის გრადიენტის აღძვრის გამო.

უფრო ზუსტი წარმოდგენა წნევის ზემოქმედებაზე მიიღება, თუ წნევას გაფართოებული ჰაერის ტივტივადობით გამოწვეულ ინდუცირებულ სიჩქარედ განვიხილავთ, რაც აისახება დინამიკური წნევის მეშვეობით

$$\Delta P = ½ \cdot \rho \cdot v^2 \rightarrow v = \sqrt{2 \cdot \Delta P / \rho} \quad (2)$$

სადაც ρ არის ჰაერის ნარევის სიმკვრივე (დამოკიდებული ტემპერატურასა და შედგენილობაზე), კგ/მ^3; v — საბოლოო სიჩქარე. ტივტივადობით გამოწვეული მოძრაობა მნიშვნელოვნად იზრდება დიდი ხანძრების დროს (როცა თბოგამოყოფა > 30 მგვტ) და ხშირად აჭარბებს ვენტილატორების მიერ წარმოქმნილ მექანიკურ ნაკადს. შესაბამისად, ხანძარი ქმნის წნევით და ნაკადურ ველს, რომელიც აძლიერებს, ან ასუსტებს სავენტილაციო სისტემის ეფექტიანობას იმისდა მიხედვით თუ როგორია სავენტილაციო ნაკადი (აღმავალი თუ დაღმავალი) და გვირაბის დახრილობა.

ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია გვირაბის დახრილობა. თუ გვირაბი დახრილია, გრავიტაციული კომპონენტი მოქმედებს ცხელი აირების ნაკადის მიმართულებით და აძლიერებს ამომგდებ ძალას (ტივტივადობის ეფექტს). ეს ზემოქმედება თბოგამოყოფის, გვირაბის გეომეტრიისა და გრავიტაციის ერთობლივი შედეგია და განსაზღვრავს ნაკადის ხასიათს. დახრილობა შესაძლოა მნიშვნელოვნად ცვლიდეს კვამლისა და ცხელი აირის მოძრაობის მიმართულებასა და ინტენსიურობას, მაშინაც კი, როცა სავენტილაციო სისტემა თეორიულად საპირისპირო მიმართულებით უნდა მოქმედებდეს.

სავალდებულოა აღვნიშნოთ, რომ მექანიკური სავენტილაციო სისტემები აღძრავენ ნაკადს ელექტროძრავის მეშვეობით, მაგრამ მათი ძალა შეზღუდულია — ვენტილატორები მოქმედებენ გარკვეული ეფექტიანობით, ხოლო აირის სიმკვრივე გავლენას ახდენს წნევისა და სიჩქარის გენერირების შესაძლებლობაზე. როცა ხანძრის მიერ წარმოქმნილი დინამიკური წნევა აღემატება სავენტილაციო ვენტილატორების წნევას, სისტემა ვეღარ ასრულებს ნაკადის მართვის ფუნქციას.

ამიტომ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სავენტილაციო სისტემა ასეთ შემთხვევებში აღარ არის „დამოუკიდებელი“ და „მთავარი“ ფაქტორი, არამედ წარმოადგენს წნევის სხვადასხვა წყაროს ურთიერთქმედების ნაწილს: სავენტილაციო სისტემა აძლევს ენერგიას (დადებითი წვლილი), ხანძარი ან ამატებს, ან აკლებს (მიმართულების მიხედვით), ხოლო გვირაბის დახრილობა მთლიანად ცვლის სისტემას. ეს მიდგომა იძლევა სავენტილაციო სისტემის თანამედროვე გაგებას, სადაც არა მხოლოდ კრიტიკული სიჩქარე, არამედ ნაკადის საერთო დინამიკური ბალანსია მნიშვნელოვანი.

ჯამში, თბოგამოყოფა არის ძირითადი საწყისი პარამეტრი, რომელიც განსაზღვრავს არა მხოლოდ გვირაბის სითბურ დატვირთვას, არამედ ნაკადურ მექანიკას, წნევით განსხვავებებს და სავენტილაციო სისტემის ეფექტიანობას. პრაქტიკული პროექტირებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, როგორ იმოქმედებს ხანძრის დინამიკური წნევა სავენტილაციო სისტემასთან ურთიერთქმედებაში და მისცემს თუ არა სისტემა უსაფრთხო ევაკუაციის საშუალებას.

3. სავენტილაციო სისტემის კოლაფსი

სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი გვაქვს ძლიერი ხანძრების კვლევის ამოსავალი პრინციპი, რაც ისაა, რომ ხანძრის პირობებში, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ვენტილატორების მუშაობა სავენტილაციო ნაკადზე გავლენას ვეღარ ახდენს იმისდა მიუხედავად, თუ რა მიმართულებით წავა მაღალი ტემპერატურის გავლენა: ეს იქნება ხანძრით გამოწვეული დინამიკური წნევის გაზრდა, ჰაერის სიმკვრივის შემცირება, თუ ორივე

ერთად. მაშასადამე, კოლაფსი არის ძლიერი და სწრაფად განვითარებადი ხანძრის შედეგად გვირაბის სავენტილაციო სისტემის დეპრესიის თანაზომადი დომინანტური დინამიკური წნევის აღძვრისა და გავრცელების პროცესი [18-21, 24-33]. აღსანიშნავია, რომ ხანძრის მიერ აღძრული დინამიკური წნევა ვენტილატორის მიერ განვითარებულ წნევასთან ალგებრულად იკრიბება.


კოლაფსთან ძალიან ახლოსაა FDS მოდელირებით მიღებული შედეგი, რომელიც მოცემულია ნაშრომში [22], სადაც კერძოდ აღნიშნულია, რომ ხანძარს აქვს ტენდენცია შეეწინააღმდეგოს სავენტილაციო ჭავლის გავრცელებას, რაც უფრო დიდია ხანძარი, მით უფრო მეტია წინაღობა. ცხადად არის ნაჩვენები, რომ სულ უფრო მეტი ჭავლური ვენტილატორი არის საჭირო წვის პროდუქტების გვირაბიდან ასარინებლად ხანძრის ზრდის კვალობაზე. ნაშრომში [23] აღნიშნულია, რომ გვირაბში ხანძრის კერაზე აეროდინამიკური წინაღობა 6-ჯერ მაინც იზრდება.

4. დამაზიანებელი ფაქტორების ზღვრული დონეები (ზღურბლები)

ხანძრის სცენარებში სხვადასხვა დამაზიანებელი ფაქტორები განსხვავებულად ქმნიან სახიფათო სასიცოცხლო პირობებს მიწისქვეშ. ზოგიერთი დამაზიანებელი ფაქტორი, მაგალითად კვამლიანობა, შედარებით სწრაფად ვითარდება და აღწევს კრიტიკულ ზღურბლს. ევაკუაციის სცენარები უნდა ითვალისწინებდნენ ყველაზე სწრაფად მიღწევად დამაზიანებელი ფაქტორის ზღურბლს. ძირითად დამაზიანებელ ფაქტორებად განიხილება ტემპერატურა, ხილვადობის დეფიციტი კვამლის გამო, ტოქსიკური აირები, წნევის დინამიკური ზრდა, კუმულაციური ტოქსოდოზა. კუმულაციური ტოქსოდოზა განიმარტება როგორც დამაზიანებელი ფაქტორის განმეორებითი ზემოქმედება ადამიანზე. კრიტიკული ზღურბლების რიცხვითი სიდიდეები და მათი დადგომის დრო მოცემულია ცხრილში 1 და ფიგ. 1-ზე.

ცხრილი 1. კრიტიკული ზღურბლები და დრო დამაზიანებელი ფაქტორების მიხედვით

დამაზიანებელი ფაქტორი	კრიტიკული ზღურბლი	კრიტიკული დრო, წთ
ტემპერატურა	$> 60°C$	4.5
ხილვადობა	< 10 მ	3.8
CO-ს კონცენტრაცია	> 500 ppm	6.0
დინამიკური წნევა	> 150 პა	5.2
კუმულაციური ტოქსოდოზა (კტ)	კტ > 1	6.5



ფიგ. 1. კრიტიკული ზღურბლები და თითოეული ფაქტორის დადგომის დროის შუალედი: 1 - ტემპერატურა; 2 - ხილვადობა; 3 – CO კონცენტრაცია; 4 - დინამიკური წნევა; 5 - კუმულაციური ტოქსოდოზა

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, სახანძრო უსაფრთხოება საავტომობილო გვირაბში დაფუძნებულია მრავალფაქტორიან ანალიზზე. აღსანიშნავია, რომ ყველა დამაზიანებელ ფაქტორს აქვს საკუთარი კრიტიკული ზღურბლი და ევაკუაციის სტრატეგია გაანგარიშებული უნდა იყოს იმ ფაქტორზე, რომელსაც აქვს გამოვლინების ყველაზე ნაკლები დროის შუალედი. ამგვარად, აქ მოცემული მასალის თანახმად, ევაკუაცია უნდა დასრულდეს 3,8 წთ-ის განმავლობაში, რაც შესაბამისობაშია NFPA 130 /502 და ISO 13571-ის რეკომენდაციებთან.

ნიშანდობლივია, რომ ფიგ. 1-ზე მოცემულ მასალაში მითითებული არ არის ხანძრის სიმძლავრე და ნაჩვენებია მხოლოდ კრიტიკული ზღურბლების დადგომის დრო. ამით ნაჩვენებია, რომ ხანძრის საბოლოო სიდიდე ამ შემთხვევაში საინტერესო არაა, რადგან ნებისმიერი სიმძლავრის ხანძარი გადის საწყის ფაზას, როცა თანდათანობით დგება კრიტიკული ზღურბლები.

5. CFD მოდელირება გვირაბის ხანძრის სცენარებისთვის

გვირაბებში ხანძრის დროს წარმოქმნილი თერმული და ტოქსიკური გარემოს კონტროლი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საინჟინრო ამოცანას. მექანიკური ვენტილაცია გამოიყენება თერმული ენერგიის, კვამლისა და ტოქსიკური აირების გვირაბიდან ასარინებლად, რაც კრიტიკულია ადამიანების ევაკუაციისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ხანძრის სიმძლავრის (HRR), ვენტილაციის სტრატეგიისა და გვირაბის გეომეტრიის ზეგავლენის შესაფასებლად გამოიყენება დენად გარემოთა გამოთვლითი დინამიკა, ანუ რიცხვითი CFD-მოდელირება. იგი ეფუძნება ნავიე-სტოქსის განტოლებებს და ენერგიის მუდმივობის პრინციპს, რაც იძლევა საშუალებას, პროგნოზირებულ იქნას ტემპერატურის, სიჩქარისა და წნევის ველები.

ქვემოთ მოცემულ მოდელირების შედეგებში განიხილება სამი სავენტილაციო სცენარი, რომლებიც ეფუძნება რეალისტური გვირაბის პარამეტრებს: სიგრძე – 800 მ, დახრილობა – 3%, ვენტილატორების წნევა – 2000 პა, და ხანძრის სიმძლავრე – 30 მგვტ. გვირაბში შერჩეულია 8 ცალი განივი კვეთი ერთმანეთისაგან 100 მ დაშორებით. აღნიშნულ კვეთებში სცენარების მიხედვით დამონტაჟებულია 1, 2 ან 4 ცალი ჭავლური ვენტილატორი. ყველა მათგანი

მოქმედებს ინდივიდუალურად და ნაკადს მიმართავს დაღმავალი მიმართულებით. ამგვარად, სცენარების მიხედვით გვირაბში ერთდროულად მოქმედებს 8, 16 და 32 ცალი ჭავლური ვენტილატორი.

ტემპერატურის საზომი სენსორები განლაგებულია გვირაბის ჭერს ქვემოთ 0,1 მ მანძილზე და აგრეთვე 1.7 მ სიმაღლეზე გვირაბის იატაკიდან, რაც ადამიანის სუნთქვის დონეს შეესაბამება. შეფასებას ექვემდებარება შემდეგი ზღვრული ფაქტორები:

- ტემპერატურა > 60°C (დაზიანების ზღვარი ადამიანისთვის);
- თერმული ნაკადი > 2.5 კვტ/მ² (სტრუქტურული მასალების დაზიანების ზღვარი);
- CO კონცენტრაცია > 500 ppm;
- ხილვადობა < 10 მ.

ხანძრის სიმძლავრის გაზრდასთან ერთად იზრდება ჰაერის სიმკვრივის შემცირებით აღძრული თერმული ნაკადი, რომელიც ეწინააღმდეგება მექანიკურ ვენტილაციას. ეს გამოხატულია ფრუდის რიცხვის კლებით, რაც მიუთითებს მექანიკური ნაკადის შესუსტებაზე თერმულ ნაკადთან შედარებით. როდესაც $Fr < 1$, თბური ნაკადი დომინანტურია. მაღალი HRR (>20 MW) მნიშვნელოვნად ამცირებს დაყენებული ვენტილატორების ეფექტურობას.

აღსანიშნავია გამოწვევა ხანძრის დროს ვენტილაციის მუშაობის ზუსტი შეფასების შესახებ. არასწორი შეფასებები არ შემოიფარგლება მხოლოდ არაკვალიფიციური პირებით - ისინი შეიძლება ასევე მოხდეს მაღალკვალიფიციურ ექსპერტებს შორის. საილუსტრაციო მაგალითია შვეიცარიაში სენ-გოტარდის გვირაბში მომხდარი ხანძარი, რომელიც გაეროს მიერ დანიშნულმა ექსპერტთა ჯგუფმა გააანალიზა [3, 7].

ანგარიშში აშკარა წინააღმდეგობაა: მე-8 პუნქტში აღნიშნულია, რომ „გვირაბის ყველა მოწყობილობა, როგორებიცაა საგანგებო განათება, ვენტილაცია და მოძრაობის მართვა, ფუნქციონირებდა გეგმის მიხედვით და ეფექტურად“.


თუმცა, მე-9 პუნქტში აღნიშნულია, რომ „ყველა 11 მსხვერპლი გარდაიცვალა ტოქსიკური კვამლის შესუნთქვის შედეგად“, რომელთაგან ბევრი იპოვეს საკუთარი მანქანების საჭესთან, ხანძრიდან 1-2 კილომეტრის დაშორებით.

ეს მკვეთრი შეუსაბამობა კრიტიკულ კითხვებს ბადებს: თუ ვენტილაციის სისტემა ნამდვილად ეფექტური იყო, როგორ შეეძლო კვამლს ხანძრის წყაროდან ასე შორს მყოფი პირებისთვის ზიანის მიყენება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ექსპერტების შეფასებებიც კი შეიძლება უგულებელყოფდნენ კვამლის მოძრაობას, გვირაბის გეომეტრიასა და ვენტილაციის სტრატეგიას შორის ნიუანსირებულ ურთიერთქმედებას - რაც ხაზს უსვამს რეალისტურთან მიახლოებული მოდელირების, ვალიდაციისა და გადაწყვეტილების მიღების საჭიროობას. ცხრილში 2 წარმოდგენილია დამაზიანებელი ფაქტორების: ტემპერატურის, ნახშირჟანგის კონცენტრაციისა და ხილვადობის ცვალებადობა გვირაბის სიგრძეზე, როცა მის ცენტრალურ ნაწილში, გვირაბის ღერძულა ხაზთან განვითარებულია 30 მგვტ სიმძლავრის ხანძარი.

ცხრილი 2. დამაზიანებელი ფაქტორების ცვალებადობა გვირაბის სიგრძის მიხედვით 30 მგვტ სიმძლავრის ხანძრისათვის


დაშორება ხანძრიდან, მ	ტემპერატურა, °C	CO კონცენტრაცია, ppm	ხილვადობა, მ
0	600	500	5
25	400	400	6
50	300	300	8
75	200	200	12
100	150	100	20
150	100	50	30
200	80	30	40

პირველი და მეორე ცხრილების შედარებიდან ჩანს, რომ ხანძრის კერიდან 200 მ მანძილზე ჰაერის ტემპერატურა აღემატება ადამიანის სასიცოცხლო ზღვარს; 25 მ მანძილიდან CO-ს კონცენტრაცია ადამიანის სასიცოცხლო ფარგლებშია, ხოლო ხილვადობა კრიტიკულია ხანძრის კერიდან 50-60 მ მანძილზე.




ფიგ. 2. ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობა გვირაბის სიგრძის მიხედვით 30 მგვტ სიმძლავრის ხანძრის დროს

დამაზიანებელი ფაქტორების ცვალებადობის გრაფიკები (ფიგ. 1-3) შედგენილია CFD მოდელირების შედეგების იდეალიზებული იმიტაციის საფუძველზე 30 მგვტ სიმძლავრის ხანძრისათვის და აჩვენებს, თუ როგორ ვრცელდება დამაზიანებელი ფაქტორები საწყისი ინერციული წმინდა ნაკადის პირობებში, უკუდინების განვითარებამდე.



ფიგ. 3. ნახშირბადის მონოოქსიდიც ცვალებადობა გვირაბის სიგრძის მიხედვით 30 მგვტ სიმძლავრის ხანძრის დროს




ფიგ. 4. ხილვადობის ცვალებადობა გვირაბის სიგრძის მიხედვით 30 მგვტ სიმძლავრის ხანძრის დროს

სხვადასხვა სიმძლავრის ხანძრის პირობებში გვირაბის ჭერში ტემპერატურის ცვალებადობა და ბეტონის სამაგრის მინიმალური სისქე, რომელიც გაუმკლავდება აღნიშნულ ტემპერატურას დროის გარკვეული პერიოდით შეტანილია ცხრილში 3. ცხრილი შედგენილია რიცხვითი მოდელირების შედეგების მიხედვით. ტემპერატურის ცვალებადობა გვირაბის ჭერში წარმოდგენილია ფიგ. 5-ზე.

ცხრილი 3. ტემპერატურის ცვალებადობა გვირაბის ჭერში და კედლის ცეცხლმედეგობა

თბოგამოყოფა, მგვტ	ჭერის ტემპერატურა,°C	ბეტონის სისქე, მმ	ცეცხლმედეგობა, წთ
5	150	25	30
10	300	35	60
20	500	50	90
30	600	60	120
50	800	70	120



ფიგ. 5. ტემპერატურის ცვალებადობა გვირაბის ჭერში ხანძრის სიმძლავრის მიხედვით

6. ფრუდის რიცხვი (Fr)

ფრუდის რიცხვი გამოიყენება ინჟინერიასა და ფიზიკაში ინერციული და გრავიტაციული ძალების შესაფასებლად და ერთმანეთთან შესადარებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ფრუდის რიცხვი ხანძრების მოდელირების დროს და გვირაბებში ვენტილაციის ეფექტიანობის დასადგენად. ფრუდის რიცხვი გვიჩვენებს, აქვს თუ არა ვენტილაციის ნაკადს საკმარისი ძალა, რომ დაძლიოს ცხელი აირების აღმავალი მოძრაობა.

ფრუდის რიცხვი ზოგადად ფორმულირებულია სავენტილაციო ნაკადის სიმკვრივის ან ტემპერატურის მიხედვით

$$Fr = \frac{u}{\sqrt{gH\Delta\rho/\rho_0}} \quad \text{ან} \quad Fr = \frac{u}{\sqrt{gH\Delta T/T_0}} \tag{3}$$

სადაც u არის სავენტილაციო ნაკადის სიჩქარე, მ/წმ; g - დედამიწის მიზიდულობის აჩქარება, 9.81მ/წმ²; H - გვირაბის სიმაღლე, 5.0 მ; $\Delta\rho$ - გარემოსა და ცხელი აირების სიმკვრივეთა სხვაობა, კგ/მ³; ρ_0 - გარემოს (გარე) ჰაერის სიმკვრივე, 1.2 კგ/მ³; ΔT - გარემოსა და ცხელი აირების ტემპერატურათა სხვაობა, K; T - გარემოს (გარე) ჰაერის ტემპერატურა, K.

აღნიშნული ფორმულები გამოიყენება ვენტილაციის სიძლიერის შესაფასებლად ცხელი აირების საპირისპირო მოძრაობის შემთხვევაში დაღმავალი სავენტილაციო ნაკადების პირობებში. თუ $Fr > 1$, ვენტილაცია ძლიერია და ჰაერის ნაკადის უკუდინება ცხელი გაზების აღმავალი მოძრაობის გამო არ აღიძვრება. როცა $Fr < 1$, მაშინ ვენტილაცია სუსტია ხანძრის მიერ აღძრულ წევასთან შედარებით და ადგილი აქვს კვამლისა და წვის აირების უკუდინებას. შესაძლებელია ფორმულებს (3) მივცეთ ხელით ანგარიშისათვის უფრო მოსახერხებელი სახე

$$Fr = \frac{u\sqrt{\rho_0}}{\sqrt{gH\Delta\rho}} \quad \text{ან} \quad Fr = \frac{u\sqrt{T_0}}{\sqrt{gH\Delta T}} \tag{4}$$

ფრუდის რიცხვის მოცემული ფორმულები გამოიყენება თითქმის ყველა სახის CFD მოდელირებაში, ხანძრის ანალიზისა და კრიტიკული სიჩქარის განსასაზღვრად. ფრუდის რიცხვის გამოყენება გვირაბებში ხანძრის შემთხვევაში შესაძლებელია მაშინ, როცა: 1. ფრუდის რიცხვი არის მუდმივი სიდიდე, ე.წ. კრიტიკული მნიშვნელობა $Fr_c = 4.5$; 2. ხანძრის კერაზე სუფთა და ნამწვი აირების თანაფარდობა არის 50% - 50%; 3. გვირაბის სიგანისა და სიმაღლის თანაფარდობა არის 1.6. ჩვენ მივუთითეთ, რომ ეს პირობები რეალურ პირობებში

პრაქტიკულად მიუღწეველია. კერძოდ: 1. ფრუდის რიცხვი იცვლება ტემპერატურისა და ჰაერის სიმკვრივის ცვალებადობის შესაბამისად და არ არის მუდმივი სიდიდე; 2. ხანძარი არ არის სტაციონარული ან ერთგვაროვნად განაწილებული; ის უმეტესად თანდათანობით ვითარდება, ქმნის სითბოს, კვამლისა და წვის ტოქსიკური პროდუქტების ცვალებად ზონებს და ხშირ შემთხვევაში არ არის დაცული მითითებული თანაფარდობა 50% - 50%; 3. ბევრი თანამედროვე მრავალზოლიანი გვირაბი ხასიათდება დიდი სიგანით და რთული გეომეტრიით დაბალი ჭერის პირობებში და უმეტესად არ არის დაცული მითითებული თანაფარდობა 1.6. გარდა ამისა, გვირაბის დახრილობას შემოაქვს გრავიტაციულ ეფექტები, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლის ამომგდები ნაკადის დინამიკას, რასაც სტანდარტული ფრუდის რიცხვი ვერ ღებულობს მხედველობაში. როგორც კი თბოგამოყოფა 30 მეგავატს გადააჭარბებს, თერმული ნაკადი ხშირად დომინირებს მექანიკურ ვენტილაციაზე, ცვლის ნაკადის მიმართულებას მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ნაკადს კრიტიკული სიჩქარე.

ზოგჯერ გამოიყენება ფრუდის რიცხვის ინვერსიული სახით ჩაწერილი ფორმულა

$$Fr' = \frac{\Delta\rho g H}{\rho_0 u_c^2} \tag{5}$$


(3) ან (4) და (5) ფორმულებით განსაზღვრულ სიდიდეებს შორის დაცულია ფარდობა

$$Fr' = {}^{1}/_{Fr^2} \quad \text{ან} \quad Fr = {}^{1}/_{\sqrt{Fr'}} \tag{6}$$

ფრუდის რიცხვის სტანდარტული და ინვერსიული რიცხვითი სიდიდეები შეტანილია ცხრილში 4 და მათი შედარებისა და ანალიზის მიზნით აგებულია გრაფიკები, რომლებიც მოცემულია ფიგ. 6-ზე.

ცხრილი 4. ფრუდის რიცხვის სტანდარტული და ინვერსიული სიდიდეები, ρ_0 = 1.2 კგ/მ³

ტემპერატურა (K)	აირის სიმკვრივე ρ (კგ/მ³)	Δρ (კგ/მ³)	სტანდარტული Fr	ინვერსიული Fr′
300	1.177	0.023	3.094	0.104
400	0.883	0.317	0.833	1.440
500	0.706	0.494	0.668	2.244
600	0.588	0.612	0.600	2.779
700	0.504	0.696	0.562	3.161
800	0.441	0.759	0.539	3.447
900	0.392	0.808	0.522	3.670
1000	0.353	0.847	0.510	3.847



ფიგ. 6 . ფრუდის რიცხვის ცვალებადობა წვის პროდუქტების ტემპერატურისა და სიმკვრივის მიხედვით

ცხრილი 4 და ფიგ. 5-ის მონაცემებით ცხადი ხდება, რომ ფრუდის რიცხვი ხანძრის პირობებში არ არის მუდმივი სიდიდე. ამგვარად, ტემპერატურისა და სიმკვრივის გრადიენტების განვითარებასთან ერთად ხანძრის სცენარებში იცვლება ფრუდის რიცხვიც. აღნიშნული არასტაციონარულობა (დროზე დამოკიდებულება) ართულებს მის გამოყენებას ძირითად კრიტერიუმად საგანგებო ვენტილაციის პროექტებში.

აქედან გამომდინარე, წინსწრებით აღვნიშნოთ, რომ საჭიროა მრავალფაქტორიანი დინამიკური მოდელი. აღნიშნულმა მოდელმა უნდა გაითვალისწინოს: 1. თბოგამოყოფისა და ხანძრის გავრცელების დროში ცვალებადი ბუნება; 2. დაღმავალი მექანიკური ვენტილაციის მუშაობის გაუარესება ხანძრის განვითარების კვალობაზე; 3. გვირაბის გეომეტრია და დახრილობა; 4. თერმული და მექანიკური ნაკადების ალგებრულად შეკრებადობა; 5. გაფართოებული CFD მოდელირებების შედეგები, რომლებიც მოიცავს მითითებულ დინამიკას შედეგების ექსპერიმენტულ ვალიდაციასთან ერთად. აღნიშნული კომპონენტების მხედველობაში მიღებით შესაძლებელი გახდება საგზაო გვირაბის უფრო უსაფრთხო დაპროექტება. მითითებული მოდელირება ასევე უნდა იყოს სინქრონიზებული ევაკუაციის მოდელირებასთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სიცოცხლის გადარჩენა ზემოთ მითითებული უსაფრთხოების კრიტიკული ზღურბლების დადგომის დროის შუალედის ფარგლებში.

7. ვენტილაციის სისტემის წვლილი

ვენტილაციის სისტემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გვირაბში ჰაერის ნაკადის კონტროლში, არა მხოლოდ სუფთა ჰაერის მიწოდებისთვის, არამედ განსაკუთრებით ისეთ კრიზისულ სიტუაციებში, როგორიცაა ხანძარი, ნაკადის მიმართულების კონტროლისა და სიჩქარის უზრუნველყოფისათვის. ვენტილაციის მიერ სისტემაზე მინიჭებული მთლიანი წნევა (P) შეიძლება დაიყოს და იყოფა კიდევაც ორ ძირითად კომპონენტად: სტატიკური წნევა (P_s) და დინამიკური წნევა (P_d). ვენტილატორის სტატიკური წნევა იხარჯება სხვადასხვაგვარი აეროდინამიკური წინაღობის გადალახვაზე, ხოლო დინამიკური წნევა სავენტილაციო ჰაერს ანიჭებს სიჩქარეს.

დინამიკური წნევა განისაზღვრება ფორმულით

$$P_d = \frac{1}{2}\rho v^2 \quad (7)$$

ამ ფორმულაში შემავალი ყველა სიდიდე ზემოთ განიმარტა. ცხადია, რომ ფორმულების (2) და (7)-ის მიხედვით შეგვიძლია დავწეროთ, რომ $\Delta P = P_d$.

ამგვარად, ვენტილატორის საერთო (მთლიანი) წნევა არის სტატიკურ და დინამიკურ წნევათა ჯამი. საერთო წნევა შესაძლებელია განვიხილოთ როგორც საერთო ენერგია, რომელიც ვენტილატორმა უნდა უზრუნველყოს ელექტრული ქსელიდან წაღებული ენერგიის ხარჯზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია წარმოვადგინოთ საერთო წნევის საანგარიშო ფორმულა

$$P = P_s + P_d \quad (8)$$

გვირაბის სისტემებში ვენტილატორები არა მხოლოდ „ჰაერის მოცულობების გადაადგილების“ ფუნქციას ასრულებენ, არამედ მათი მთავარი წვლილია კონტროლირებადი მიმართულების ნაკადის შექმნა, რომელსაც შეუძლია ხანძრის შედეგად გამოწვეული ამომგდები მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა (კვამლის გავრცელების თავიდან ასაცილებლად ევაკუაციის მარშრუტის მიმართულებით) ან, პირიქით, ევაკუაციის მხარდაჭერა, კვამლის მიმართვით სპეციალური ღიობებისაკენ. აღნიშნული კონტროლირებადი ნაკადი საჭიროა უსაფრთხოების სტრატეგიებისა და ევაკუაციის მარშრუტების დაგეგმვისთვის.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ხანძარი მაქსიმალურ სიმძლავრეს მაშინვე არ ანვითარებს, მაგალითად, საბოლოოდ 30 მეგავატს მიღწეული ხანძარი თანდათან გაიზრდება ამ მნიშვნელობამდე თბოგამოყოფის ზრდის მრუდის მიხედვით, რაც დამოკიდებულია გამოყენებული საწვავის სახეობაზე, გვირაბის გეომეტრიასა და გარემო პირობებზე. ამრიგად, ხანძრის ადრეულ ეტაპებზე ვენტილაციას შეუძლია ეფექტურად იმუშაოს ნაკადთან, რადგან ხანძრის დინამიკური წნევა კვლავ დაბალია და მექანიკური წნევა დომინირებს. მხოლოდ გარკვეული ზღვრის მიღწევის შემდეგ იცვლება თანაფარდობა და ვენტილაცია კონკურენციას უწევს სულ უფრო ძლიერ ზეწოლას და გაფართოებული აირების ამომგდებ ნაკადებს. ამიტომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სტატიკური საბოლოო მდგომარეობის ანალიზი, არამედ ვენტილაციის ეფექტების დროითი მსვლელობა დინამიკურად განვითარებადი ხანძრის პირობებში.

ვენტილატორის ეფექტურობას კიდევ რამდენიმე ფაქტორი ზღუდავს. მექანიკურად, ვენტილატორები შექმნილია მაქსიმალური მუშაობისთვის, რომლის დროსაც მათ შეუძლიათ გარკვეული რაოდენობის ჰაერის ნაკადის მიწოდება და წნევის ვარდნის დაძლევა. ამ ზღვრის მიღწევის შემდეგ, შეუძლებელია ნაკადის სიჩქარის შემდგომი გაზრდა სისტემის გადატვირთვის გარეშე. მეორე მთავარი შეზღუდვა არის თერმული წინააღმდეგობა, ვენტილატორები ხანძრის დროს ექსტრემალურ ტემპერატურაზე არიან დამოკიდებული და ტემპერატურის მატებასთან ერთად, მათი მასალები დეგრადირდება და საკისრები, ელექტრონიკა და სხვა კრიტიკული კომპონენტები მწყობრიდან გამოდის. თუ ვენტილაციის ზონაში ტემპერატურა აღემატება საპროექტო ლიმიტებს (როგორც წესი, დაახლოებით 250-400°C ტიპის მიხედვით), მათი ფუნქციონირების ვადა მკვეთრად მცირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ვენტილაცია ეფექტურია მხოლოდ შეზღუდული დროის განმავლობაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ჰაერის სიმკვრივის ცვალებადობა გვირაბის გასწვრივ: ხანძართან უფრო ახლოს, ჰაერი მნიშვნელოვნად თბილი და მსუბუქია, ვიდრე გარემოდან შეწოვილი ჰაერი. ამიტომ, ვენტილატორები მუშაობენ სხვადასხვა სიმკვრივის და შესაბამისად, განსხვავებული დინამიკური წინააღმდეგობის მქონე გარემოში, რაც გავლენას ახდენს მათ ფაქტობრივ წვლილზე წნევის საერთო ბალანსში. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გვირაბის ვენტილაცია, როგორც წესი, არ ხორციელდება ერთი მოწყობილობით - ეს არის ვენტილატორების ერთობლიობა, რომლებიც განლაგებულია თანმიმდევრულად ან განივი სეგმენტებით და ერთად მუშაობენ ნაკადზე ზეგავლენის განსახორციელებლად. თითოეულ ამ ვენტილატორს აქვს განსხვავებული მყისიერი წვლილი, რაც დამოკიდებულია მის პოზიციაზე, გარემოს ტემპერატურაზე, გვირაბის კონფიგურაციასა და ნაკადის მიმართულებაზე.

ვენტილაციის ეფექტურობის განსაკუთრებული გაძლიერება ასევე დაკავშირებულია გვირაბის განივი კვეთის ფართობთან. ეს პრინციპი ზოგადად მოქმედებს. ვენტილატორები კონსტრუქციით მიმართულები არიან - მათი ეფექტი კონცენტრირებულია გვირაბის ღერძის მიმართულებით, ხოლო ხანძრის შედეგად წარმოქმნილი ამწევი ძალებს არ ახასიათებთ გავრცელების უპირატესი მიმართულება და მათ უნდა გადალახონ გვირაბის მთელი განივი კვეთის წინააღმდეგობა. მარტივად რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ ვენტილატორი ნაკადის ენერგიას მიზანმიმართულად და მიმართულებით „აგზავნის“ კონკრეტული მიმართულებით, ამწევი ძალა ნაწილდება მთელ განივი ზედაპირზე და ხახუნის, გრიგალისა და დისიპაციის გამო უფრო მეტ დანაკარგებს აქვს ადგილი. ეს ეფექტი ვრცელდება არა მხოლოდ გვირაბებზე, არამედ ზოგადად ნაკადის სისტემებზე, სადაც მექანიკურად ამოძრავებული ნაკადი უფრო მაღალ ეფექტურობას ავლენს, ვიდრე დიფუზიური ან ამომგდები ნაკადი, რადგან ნაკადის მექანიკურ კომპონენტს შეუძლია უკეთ გადალახოს ადგილობრივი დანაკარგები და მოახდინოს ენერგიის ეფექტური მიმართულებით კონცენტრირება. ამრიგად, ვენტილაციის სისტემების პროექტმა უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ ვენტილატორის სიმძლავრე, არამედ გვირაბის გეომეტრიაც, რადგან განივი კვეთის პროფილი პირდაპირ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ გადაეცემა მიწოდებული ენერგია კონტროლირებად ნაკადის ველს და რამდენად ეფექტურად შეუძლია მას ხანძრით გამოწვეული ძალებთან წინააღმდეგობა.

შეჯამებისთვის, ვენტილაცია ხელს უწყობს ნაკადის საერთო კონტროლს მიმართულებისა და წნევის ეფექტების მეშვეობით, რაც შეიძლება სინერგიული იყოს ხანძრის მიერ წარმოქმნილ ნაკადთან ან, პირიქით, იმოქმედოს როგორც ხანძარსაწინააღმდეგო ბარიერმა. ეფექტური სისტემის შესაქმნელად აუცილებელია არა მხოლოდ მაქსიმალური მნიშვნელობების, არამედ დროითი დინამიკის ზუსტი ანალიზი. ამ შემთხვევაში ჩვენ მიგვაჩნია, რომ მართებულია ჩვენს მიერ შემოტანილი დებულება იმის შესახებ, რომ თერმული და მექანიკური ნაკადები ალგებრულად იკრიბებიან გვირაბების სავენტილაციო სისტემებში.

8. სახანძრო უსაფრთხოების ინტეგრირებული მოდელირება

8.1. პრობლემის არსი

საავტომობილო გვირაბებში ხანძრის მოდელირებისას გამოიყენება CFD მეთოდები, რათა მაღალი სიზუსტით მივიღოთ [34-44]:

- ტემპერატურული ველის ცვალებადობა;
- კვამლის გავრცელება;
- ნახშირჟანგისა და სხვა ტოქსიკური გაზების კონცენტრაციის ცვალებადობა;
- ხილვადობის ცვალებადობა;
- ჰაერის სიჩქარე და მიმართულება.

CFD მოდელირება საჭიროებს მცირე დროით ბიჯს (მაგალითად, 0.1 – 1.0 წამი), რათა აღწეროს სწრაფად ცვლადი პროცესები, განსაკუთრებით ხანძრის განვითარების პირველ წუთებში მხედველობაშა აგრეთვე მისაღები ხანძრის გავრცელების არაერთგვაროვანი და დინამიკური ბუნება. სტატიკური, ერთწერტილიანი ხანძრის წყაროს ნაცვლად, ფაქტობრივი ხანძრები ხშირად მოიცავს მრავალჯერადი აალების წერტილებს, რომლებიც გამოწვეულია სითბური გამოსხივებით ან ალის ახლომდებარე სატრანსპორტო საშუალებებზე ან ინფრასტრუქტურაზე გავრცელებით. დაგვიანებული მეორადი აალება, რაც იწვევს ახალი ხანძრის კერების წარმოქმნას სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს.

ევაკუაციის მოდელები (მაგალითად, Pathfinder, MassMotion, BuildingEXODUS, AnyLogic) ძირითადად იყენებენ უფრო დიდ დროით ბიჯს (5–10 წამი ან მეტი), რადგან ადამიანთა გადაადგილება შედარებით უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე ხანძრის დინამიკა და ტემპერატურული ცვლილებები.

ამგვარად, ხანძრის სცენარებს ესაჭიროება მაღალი სიხშირის დროითი მონაცემები (წამებზე დაკვირვება), ხოლო ევაკუაციას - დაბალი სიხშირის მოდელები (წუთებზე დაკვირვება).

8.2. სამეცნიერო გამოწვევები ინტეგრაციისას

დროით დიაპაზონებს შორის ეს წინააღმდეგობა შესაძლებელია ისე გადაწყდეს, რომ ორივე მოდელის ინტეგრაცია რეალისტური და ინტერპრეტირებადი იყოს. ინტეგრაციისათვის პრინციპში გამოსაყენებელია შემდეგი მიდგომები:

1. ასინქრონული დროითი მასშტაბები – CFD-ში თითოეული წამზე მიმდინარეობს მნიშვნელოვანი პროცესები, ხოლო ევაკუაციისას ადამიანები მოძრაობენ უფრო ხანგრძლივ ინტერვალებზე.

2. ინფორმაციის აგრეგაცია – როგორ უნდა წარმოვადგინოთ სწრაფად ცვალებადი ტემპერატურული ველები ისე, რომ იყოს "საშუალო", "მაქსიმალური" ან "მინიმალური" ერთეულ დროში ადამიანთა ევაკუაციის მოდელებისთვის.

3. შერწყმის მეთოდოლოგია ორი მეთოდით:

- ცალმხრივი ინფორმირება, (CFD-ის შედეგები მიეწოდება ევაკუაციის მოდელს, მაგრამ უკუმოქმედება არ ხდება);

- ორმხრივი ინფორმირება, ევაკუაციის მოდელირების შედეგები ზემოქმედებს CFD-ზე (მაგალითად, გახსნილი კარებების გავლენა, ადამიანთა მოძრაობით გამოწვეული დინებების ცვლალებადობის გავლენა და სხვ.).

4. კრიტიკული პარამეტრების მონაცემთა გადაცემა CFD-დან ევაკუაციის მოდელებისთვის სათანადო მოქმედებების განსახორციელებლად:

- ხილვადობა, გავლენას ახდენს გადაადგილების სიჩქარეზე;
- ტემპერატურა, ზემოქმედებას ახდენს ადამიანის შესაძლებლობაზე გადაადგილდეს (მაგალითად, ≥ 60°C, გადაადგილება შეუძლებელია);
- ტოქსიკური გაზების კონცენტრაცია, მოწამვლის რისკი, დაყოვნებები/გაჩერება.

8.3. ინტეგრაციის პრაქტიკული მაგალითები

მაგალითი 1 – FDS + Pathfinder ინტეგრაცია: ხანძრის სცენარის განვითარება ხდება CFD მოდელით, FDS (Fire Dynamics Simulator). ამ შემთხვევაში ევაკუაციის მოდელი არის Pathfinder.

FDS-ის სერიების მიხედვით ხილვადობისა და CO-ის დროითი მონაცემების გადატანა ხდება Pathfinder-ით განსაზღვრულ მარშრუტზე, ევაკუაციაზე ზემოქმედებს ხილვადობა და ტოქსიკურობა.

დროითი ინტერვალები: FDS იძლევა შედეგებს 0.5 წმ ბიჯით. ევაკუაციის მოდელი Pathfinder იღებს შედეგებს 1-5 წმ ინტერპოლირებული მონაცემების სახით.

ინტეგრაციის შედეგები: FDS-ით მიღებული საშუალო მნიშვნელობების მიწოდება ყოველ 5 წმ ინტერვალში Pathfinder-ისთვის.

მაგალითი 2 – CFD და ევაკუაციის მოდელის კომბინაცია გვირაბში მიმდინარე ხანძრის სცენარზე შემდეგი პირობებით: 1000 მ სიგრძის გვირაბი, 30 მგვტ სიმძლავრის ხანძრის წყარო განლაგებულია ცენტრში, საგანგებო ვენტილაციის სისტემის ჩართვა ხდება მე-60 წამზე

ხანძრის მოდელირება CFD მეთოდით. ტემპერატურის ველის 3D მოდელირება, 0.2 წმ ბიჯით, დროის ინტერვალი 0–300 წმ. ევაკუაციის სიჩქარის მოდელირება გამავალი პუნქტების მდებარეობით ხდება 1 წმ ბიჯით. ამგვარად, დროის ბიჯი ევაკუაციის მოდელირებისათვის 5-ჯერ მეტია.

ორივე მოდელირების შერწყმა: ყოველ მარშრუტზე Pathfinder იღებს წუთზე გადაყვანილი ტემპერატურისა და ხილვადობის მაქსიმუმებს. ზღვრული პირობები: თუ ტემპერატურა ≥ 80°C ან ხილვადობა ≤ 5 მ, ადამიანების გადაადგილება უნდა შეწყდეს.

მიღებული შედეგი: უსაფრთხო ევაკუაციის დრო შედარდეება ხელმისაწვდომ ევაკუაციის დროს. ხანძრის განვითარების მოდელირებისა (CFD მეთოდი) და ევაკუაციის მოდელირების შედეგების ინტეგრაციისა და პრაქტიკული გამოყენებისათვის შესაძლებელი რეკომენდაციები შეტანილია ცხრილში 5.

ცხრილი 5. ხანძრის განვითარებისა და ევაკუაციის მოდელირებათა ინტეგრაცია

გამოწვევა	რეკომენდაცია
სხვადასხვა დროითი მასშტაბები	CFD-დან ევაკუაციის მოდელისათვის გამოიყენე მონაცემთა საშუალო მნიშვნელობები
მონაცემთა გადაცემა	გამოიყენე CSV ან Smokeview-ის SLCF ფენები გამოსატანად
ხილვადობა, ტემპერატურა CFD მოდელირების მიხედვით	გავლენის გადაცემა ევაკუაციის მოდელირების შედეგებზე
ინტეგრირებული ანალიზის სტრატეგია	გამოიყენე ზემოთ აღწერილი ცალმხრივი ინფორმირება, შემდგომ ორმხრივი ინფორმირება თუ საჭიროა

9. დასკვნები

- ტექნიკური მოწყობილობები საკმარისი არ არის უსაფრთხოებისთვის — აუცილებელია ინჟინრული, ორგანიზაციული და ადამიანური ფაქტორების სინთეზი.
- ინტეგრირებული მოდელები საჭიროებს განვითარებას: ხანძრის CFD მოდელები და ევაკუაციის მოდელები უნდა მუშაობდნენ ერთიან სისტემაში, ხანძრის რეალური სცენარების უფრო ზუსტად ასახვისთვის.
- ფრუდის რიცხვის გამოყენება ეფექტიანია, მაგრამ საჭიროებს დაზუსტებას, რათა მოერგოს ცვალებად გარემო პირობებს.
- დროითი და სივრცითი ინტეგრაციის სირთულეები გადალახვადია ადეკვატური მათემატიკური და საინჟინრო მიდგომების საშუალებით.
- უსაფრთხოების სისტემები უნდა იყოს დინამიკური, ადაპტირებული და მრავალფუნქციური, რათა ეფექტიანად უპასუხოს ხანძრის სხვადასხვა სცენარს.

ეს ნაშრომი დაფინანსდა შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ [გრანტის ნომერი FR-22-12 949]. სათაური: კრიტიკული სიჩქარისა და ხანძრით გამოწვეული უკუდინების შესწავლა საგზაო გვირაბებში სიცოცხლის გადასარჩენად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bird A., Carvel R. Handbook of Tunnel Fire Safety*. Second edition. Thomas Telford Limited*, 2012, p. 694.
2. FIT - Thematic Network FIT 'Fire in Tunnels' is supported by the European Community under the fifth Framework Program 'Competitive and Sustainable Growth' Contract n° G1RT-CT-2006, p. 76.
3. UN, Economic and Social Council, Economic Commission for Europe, *Report TRANS/AC.7/9,* 2001. p.60.
4. UN, Economic and Social Council, Economic Commission for Europe, *Report TRANS/AC.7/9Add 1,* 2002. p.2.
5. UN, Economic and Social Council, Economic Commission for Europe, *Report TRANS/AC.7/13,* 2003. p.8.
6. UN, Economic and Social Council, Economic Commission for Europe, *Report TRANS/AC.7/15,* 2004. p.7.
7. UN, Economic and Social Council, Economic Commission for Europe, *Report TRANS/AC.7/11,* 2002. p. 6.
8. The White Book 2001, Published in April 24, 2001, Sweet & Maxwell Ltd, ISBN 10: 0421745800, ISBN 13:9780421745803.
9. Haack. A. Fire Protection in Traffic Tunnels: General Aspects and Results of the EUREKA Project, TUNNELING AND UNDERGROUND SPACE TECHNOLOGY, 1998, Volume 13, № 2. pp. 377-381.
10. Li Y.Z., Vylund L., Ingason H., Appel G. Influence of fire suppression on combustion products in tunnel fires. *The work Co-financed by the European Unio*n. Report 2015, p.70.
11. Lanchava O.A. Heat and mass exchange in permanent mine workings. *Journal of Mining Science*, 1982, **1** (6), 87-92.
12. Lanchava O., Ilias N., Andras I, Moraru R., Neag I. On the Ventilation of Transport Tunnels in the Présence of a Strong (Heavy) Fire. *Annales of the University of Petrosan*i, Petrosani (Romania), 2007, Vol. 9 (XXXVI), Part 1, pp. 219-227.
13. Lanchava O., Ilias N. Critical velocity analysis for safety management in case of tunnel fire. MATEC Web of Conferences 305, 00023, 2020.
14. Lanchava O., Ilias N. Some issues of thermal calculation of ventilation air for the metro. Journal of Engineering Sciences and Innovation, 2017, 2 (2), 92-105.
15. Lanchava O., Nozadze G., Bochorishvili N., Lebanidze Z., Arudashvili N., Jangidze M., Tsikarishvili K. Criteria for evaluation of emergency firefighting in transport tunnels. Transport Bridge Europe-Asia, Proceedings of conference, Tbilisi, 2014, 29-35.
16. Ланчава О.А. , Лебанидзе З.Б. По поводу коллапса системы вентиляции тоннеля при сильном пожаре. Журнал «Транспорт», №3-4 (31-32), Тбилиси , 2008. с. 29-31.
17. Lanchava O., Medzmariashvili E., Ilias N., Khitalishvili G., Lebanidze Z. Prospects of usage of transformable systems for extinguishing fire in tunnels. *International Scientific Conference "Advanced Lightweight Structures and Reflector Antennas"*, Tbilisi, 2009. pp. 301-308.

18. Lanchava O.A. Hygroscopic heat and mass transfer in underground structures. GTU, 1998, Tbilisi.
19. Lanchava O.A. Heat and mass exchange in newly driven mine workings. *Journal of Mining Science*, 1985, **1** (5), 99-104.
20. Lanchava O., Ilias N., Nozadze G., Tsanava D. Study of Propagation of Harmful Factors of Fire in Short Road Tunnels with Different Inclinations. *MATEC Web of Conferences* 342, 03023, 2021.
21. Lanchava O., Ilias N. Complex calculation method of temperature, mass transfer potential and relative humidity for ventilation flow in subway. *Journal of Engineering Sciences and Innovation*, 2018, **3** (1), 69-84.
22. Vaitkevicius A., Carvel R. Investigating the Throttling Effect in Tunnel Fires. *Fire Technology*, Vol. 52, 2016, pp. 1619–1628.
23. Li Y.Z., Ingason H. Discussions on critical velocity and critical Froude number for smoke control in tunnels with longitudinal ventilation. *Fire Safety Journal*, Vol. 99, 2018, pp. 22-26.
24. Lanchava O., Ilias N., Radu S.M., Jangidze M., Khokerashvili Z. Fire development study on physical models of transport tunnels*. MATEC Web of Conferences* 342, 03020, 2021.
25. Lanchava O., Abashidze G., Tsverava D. Securing fire safety for underground structures. *Quality-Access to Success*, 2017, **18**.
26. Lanchava O., Ilias N., Nozadze G., Radu S., Andras I., Moraru R. Developing of Wi-Fi monitoring control systems for damage factors of fire in road tunnels. *The XIth Edition of the Annual Conference "The Academic Days of Technical Sciences Academy of Romania"*, 2016.
27. Lanchava O., Ilias N., Nozadze G. Some problems for assessment of fire in road tunnels. *Supplement of Quality-Access to Success*: Bucharest, Vol. 18, (S1), 2017, pp. 69-72.
28. Ilias N., Lanchava O., Nozadze G. Numerical modelling of fires in road tunnels with longitudinal ventilation system. *Supplement of Quality-Access to Success*: Bucharest, Vol. 18, (S1), 2017, pp. 85-88.
29. Li Y.Z., Lei B., Ingason H. *Study of critical velocity and backlayering length in longitudinally ventilated tunnel fires. Fire Safety Journal*, Vol. 45, 2010, pp. 361-370.
30. Thomas P.H. The Movement of Smoke in Horizontal Passages against an Air Flow. *Fire Research Station*. Boreham Wood. 1968.
31. Lee C.K., Chaiken R.F., Singer J.M., Interaction between duct fires and ventilation flow: an experimental study. *COMBUSTION SCIENCE AND TECHNOLOGY*. Vol. 20, 1979, pp. 59-72.
32. Danziger N.H., Kennedy W.D. Longitudinal ventilation analysis for the Glenwood canyon tunnels. *Fourth International Symposium on the Aerodynamics & Ventilation of Vehicle Tunnels, BHRA Fluid Engineering*. 1982.
33. Kennedy W.D. Critical velocity: past, present and future. *Seminar of Smoke and Critical Velocity in Tunnels, JFL Lowndes*, 1996, pp. 305–322.
34. Lanchava O., Javakhishvili G. Impact of strong fires on a road tunnel ventilation system. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences.* 15(4), 2021.
35. Lanchava O., Ilias N., Radu S., Nozadze G., Tsanava D. Analysis of the use of transformable elements in intelligent tunnel ventilation systems. *MATEC Web of Conferences* 354, 00020, 2022.

36. Lanchava O., Ilias N., Radu S., Nozadze G., Jangidze M. Preventing the Spread of Combustible Products in Tunnels by Implementing a Divisible System. *Environmental Engineering and Management Journal.* 21 (4), 2022, 627-635.
37. Lanchava O., Ilias N., Radu S., Javakhishvili G., Makharadze L. Influence of current direction in longitudinal ventilated road tunnels on the backflow of combustion products. *MATEC Web of Conferences* 373, 00076, 2022.
38. Lanchava O., Nozadze G., Tsanava D. FDS Modeling Results for 50-100 MW Fires in Terms of Semi-Transverse Ventilation in Road Tunnels. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 16(4), 2022.
39. Lanchava O., Javakhishvili G., Kunchulia T., Khokerashvili Z., Arudashvili N. Aspects of Critical Velocity Variation for Managing Fires and Air Pollution in Road Tunnels. *23rd International Multidisciplinary Scientific Geoconference SGEM 2023*, 23(4.1).
40. Lanchava O., Ilias N., Radu S., Nozadze G., Javakhishvili G. Dynamics of damaging factors in inclined road tunnels according to the results of numerical modeling of up to 50 MW fires in terms of natural ventilation. *MATEC Web of Conferences*, 389, 00056, 2024.
41. Lanchava O., Bezhanishvili A., Javakhishvili G., Khokerashvili Z., Arudashvili N. Study of the throttling effect in tunnel fires. *Inżynieria Mineralna 1(1)*, 2024.
42. Lanchava O., Ratiani N., Khokerashvili Z., Arudashvili N. Variation of Critical Velocity of Downward Ventilation in Inclined Road Tunnels. *24rd International Multidisciplinary Scientific Geoconference SGEM* 2024.
43. Lanchava O., Bezhanishvili A., Abshilava A., Ratiani N. On Legislation and Some Aspects of Occupational Safety in GEORGIA. 24rd International Multidisciplinary Scientific Geoconference SGEM 2024.
44. Lanchava O. Clarification of fire characteristics in a road tunnel based on numerical and laboratory studies. *Edelweiss Applied Science and Technology*, Learning Gate, 8(6), 2024.

Integrated Analysis of Ventilation System Efficiency and Lifesaving in Tunnel Fire Conditions

Professor Omar Lanchava

Summary

This scientific article explores the critical relationship between ventilation system efficiency and human survival during fire incidents in road tunnels. Through the analysis of several historical tunnel fires, the research confirms that ventilation systems, although essential, are not sufficient on their own to guarantee life safety. These findings highlight the need for comprehensive models that integrate various influencing factors.

A new methodological approach is proposed, emphasizing the importance of the Dynamic Efficiency Factor (DEF) — an integrated parameter that evaluates the joint impact of fire dynamics, ventilation efficiency, and human evacuation risks. The DEF concept introduces a holistic framework that links technical performance with human behavioral models in emergency situations.

Computational Fluid Dynamics (CFD) simulations are employed to model the development of fires, temperature gradients, smoke propagation, and toxic gas dispersion. The analysis demonstrates that while the Froude number remains a crucial indicator for assessing ventilation performance, in real scenarios it fluctuates significantly. As such, reliance solely on the Froude number without adaptive corrections can lead to insufficient planning for fire emergencies.

One of the key challenges addressed in this study is the integration of CFD models with evacuation simulations. Differences in temporal and spatial resolution between the models complicate the integration process, yet overcoming these difficulties is essential for accurate risk assessment. The paper presents specific practical examples and outlines strategic recommendations for establishing effective, combined modeling methodologies.

Ultimately, the study concludes that achieving a reliable fire safety system requires more than just mechanical installations. It necessitates well-designed procedures, refined engineering approaches, robust management strategies, and close consideration of human factors. By applying such a multifactorial and dynamic framework, emergency planning for tunnel fires can become more resilient and effective, enhancing both structural safety and occupant survival prospects.

Key words: CFD models; evacuation models; integration of models; dynamic efficiency coefficient; Froude number.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.53



ტვირთების მიწოდების სისტემის შერჩევა

მალხაზ მებურიშვილი[1], თეა ცქიფურიშვილი[2]

[1]ინჟინერიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო, ქუთაისი, E-mail:malxazmeb@mail.ru
[2]ინჟინერიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტი, მოწვეული სპეციალისტი, საქართველო, ქუთაისი, E-mail:tealotea@mail.ru

ანოტაცია:

ტვირთების მიწოდების ეფექტიანობის გაზრდისათვის შემუშავდა ტვირთების მიწოდების სისტემის შერჩევის მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებულია მიწოდების შერჩევის პრობლემის მრავალვარიანტულობის თვისება და საქონლის განაწილების პროცესების ინტეგრაცია, რაც განპირობებულია წარმოების და რესურსების ეფექტურობის მოთხოვნით. შედგენილია მიწოდების ინტეგრირებული სისტემის ფორმირების დიაგრამა; დამუშავებულია ბაზარზე არსებული მრავალი მოდულებისაგან ისეთი მოდულების შერჩევის ამოცანა, რომ დაკმაყოფილდეს კონკრეტული მომხმარებლის გარკვეული მოთხოვნები კონკრეტულ დროს და მიღწეულ იქნას დასახული მიზანი. გაანალიზებულია ტვირთის მიწოდების ინტეგრირებული სისტემის ფორმირების მოდულური პრინციპის არსი; შედგენილია მიწოდების ინტეგრირებული სისტემის ფორმირების დიაგრამა და ნაჩვენებია მიწოდების სისტემის ძირითადი მოდულები.

მათემატიკური სახით განხილულია ტვირთების მიწოდების ინტეგრირებული სისტემის მოდელი და მისი ფორმირების ეტაპებად განხორციელების პროცესი.

მიწოდების სისტემასთან დაკავშირებული - ცხრილის სახით მოცემულია მიწოდების ხარისხის შეფასების პარამეტრების მნიშვნელობების დასადგენი ინფორმაციის მეთოდები და წყაროები. კლიენტის მიერ მიწოდების პროცესზე სუბიექტური მოთხოვნებისა და მოლოდინების წარმოსადგენად გამოყენებულია არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის ელემენტი „კუთვნილების ფუნქცია“. სატრანსპორტო მომსახურებაზე მოთხოვნის სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია გარკვეული პარამეტრების მიხედვით კუთვნილების ფუნქციების ტიპები ტვირთის მიწოდების ხარისხის შესაფასებლად. შედგენილია ტვირთის მიწოდების სისტემის შერჩევის მეთოდოლოგია მრავალკრიტერიანობის ფაქტორის გათვალისწინებით და ტვირთების მიწოდების სისტემის შერჩევის ამოცანა რამდენიმე კრიტერიუმის არსებობისას არამკაფიო სიმრავლეთა საფუძველზე. ვარიანტების გენერირების პრობლემის გადასაჭრელად გამოყენებულია მორფოლოგიური ანალიზისა და სინთეზის მეთოდები; მიწოდების სისტემის ფორმირების

ამოცანის მორფოლოგიური მეთოდებისა და თავისებურებების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა ამოცანის ამოსახსნელი სპეციალური მორფოლოგიური ცხრილი.

საკვანძო სიტყვები: მიწოდების ეფექტიანობა, მეთოდოლოგია, მრავალვარიანტულობა, მოდულური პრინციპი, მოდელი, ინტეგრირებული სისტემა, მორფოლოგიური ანალიზი, სინთეზის მეთოდები.

I. საკითხის დასმა. ალტერნატივების შერჩევა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემაა, რომელსაც აწყდებიან ინჟინრები, დამპროექტებლები, მენეჯერები და მკვლევარები.

საბაზრო ეკონომიკაში სატრანსპორტო სერვისის მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ უფლება შეიძინონ სატრანსპორტო მომსახურება იმ კომბინაციით, რომელიც მათ მიაჩნიათ ყველაზე შესაფერისად მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სატრანსპორტო სერვისების დიფერენციაცია ნიშნავს, რომ ნებისმიერ დროს ტვირთგამგზავნს შეთავაზონ ნებისმიერი მომსახურება ხარისხის დონის ფართო სპექტრით, რაც ტვირთგამგზავნებს უქმნის დიდი არჩევანის საშუალებას. თავისუფალი არჩევანის სპექტრი ფართოვდება, ხოლო სამომხმარებლო გემოვნების მრავალფეროვნებისა და სატრანსპორტო მომსახურების ნიუანსების დაკმაყოფილება ხდება იმ სატრანსპორტო საწარმოს მიერ, რომელიც უფრო სრულად უზრუნველყოფს სატრანსპორტო მომსახურებას. მომხმარებელთა მოთხოვნასთან მიწოდების ადაპტირება ხორციელდება სატრანსპორტო სერვისების დიფერენციაციით. ასეთი სერვისების დიაპაზონის ზრდამ შეიძლება მიაღწიოს იმ დონეს, როდესაც არჩევანი სატრანსპორტო სერვისების მომხმარებლებისთვის გახდება რთული და შეიძლება მოითხოვოს მეტი დრო. ამრიგად, წარმოიქმნება სატრანსპორტო სერვისების შერჩევის პრობლემა.

იმის გამო, რომ ტვირთგამგზავნები ცდილობენ მიიღონ მაღალი ხარისხის სატრანსპორტო მომსახურება მინიმალურ ფასად, პროდუქციის მიწოდების ეფექტური სისტემის შერჩევა სულ უფრო მზარდ გავლენას მოახდენს მოვაჭრე სუბიექტების საქმიანობის შედეგებზე. პროდუქციის მიწოდების დაგეგმვისადმი გაზრდილი ყურადღება აიხსნება ლოგისტიკური ციკლის ხანგრძლივობის შემცირებით და მომხმარებელთა მოთხოვნაზე რეაგირების დაჩქარების აუცილებლობით. ადრინდელ კვლევებში ხდებოდა განიხილვა მხოლოდ წარმოების დაგეგმვის, მარაგების მართვის საკითხები და ყველაზე ნაკლებად ხდებოდა გამოკვლევა ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტის, როგორიცაა პროდუქტის მიწოდების სისტემის არჩევა და მისი გავლენა საწარმოთა საქმიანობის შედეგებზე. ამ ასპექტის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ტიპის პროდუქციის წარმოების ხარჯები შეადგენს პროდუქტის ღირებულების მხოლოდ 10%-ს, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია პროდუქციის მიწოდების და დისტრიბუციის ხარჯებზე. პროდუქციის მიწოდების ხარისხის პრობლემას ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ იმ საწარმოთა მენეჯერები, რომლებსაც პროდუქციის ღირებულებაში აქვთ სატრანსპორტო მდგენელების დიდი წილი, არამედ ისეთებიც, რომლებისთვისაც ეს წილი დიდი არ არის, მაგრამ მიწოდების არასაკმარისად მაღალი ხარისხის გამო, წარმოებაზე გაწეული ხარჯები მნიშვნელოვანია

(ეფექტური წარმოების ტექნოლოგიების გამოყენების შეუძლებლობა, დიდი მარაგების შენახვის საჭიროება და ა.შ.).

ამ თვალსაზრისით მეტად აქტუალურია კვლევა, რომელიც მიმართულია ტვირთების მიწოდების ეფექტიანობის გაზრდაზე. პროდუქციის მიწოდების ეფექტურობის გაზრდის ერთ-ერთი გზა მდგომარეობს ტვირთების მიწოდების სისტემის შერჩევის მეთოდოლოგიის შემუშავებაში. ამ საკითხთან მიმართებაში თეორიული და მეთოდოლოგიური დებულებების არასაკმარისად შემუშავების გამო, ტვირთის მიწოდების სისტემების შემმუშავებლები ხშირად იძულებულნი არიან ტვირთის მიწოდების ეფექტურობის შემცირებისთვის მიწოდების სისტემაზე დაკისრებული მრავალი ფაქტორის გათვალისწინების გარეშე მიიღონ გადაწყვეტილებები პროდუქციის მიწოდების დაგეგმვასთან დაკავშირებით.

II. მიწოდების სისტემის შერჩევის საკითხის მდგომარეობა. ტვირთის მიწოდების სისტემის პროექტირების პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს მიწოდების პროცესისადმი მომხმარებელთა მოთხოვნების გათვალისწინების აუცილებლობას, რომლებიც ხასიათდება მრავალფეროვნებით, წინააღდეგობრივი ხასიათით, განსხვავებული მნიშვნელობით, განსხვავებული განზომილებებითა და ცვალებადობით. პრობლემის დაყენებისა და გადაჭრისას ასევე აღინიშნება ინფორმაციის ბუნდოვანობის (გაურკვევლობის) ფაქტორი. ხშირად ამოცანის მიზნები და შეზღუდვები განისაზღვრება ტვირთის მიწოდების პროცესის ხარისხობრივი კონცეფციების გამოყენებით, ე.ი. ცნებები, რომლებსაც არ გააჩნიათ პირდაპირი რაოდენობრივი საზომი ერთეული (მაგალითად: „მიწოდება კლიენტისთვის ხელსაყრელ დროს“, „კლიენტთან კარგი საინფორმაციო კომუნიკაციის უზრუნველყოფა“ და ა.შ.). თავად ეს ცნებები ორაზროვნად არის განმარტებული არა მხოლოდ სხვადასხვა კლიენტის შეკვეთების შემთხვევებში, არამედ ერთი და იგივე კლიენტისთვის სხვადასხვა სიტუაციებში. მათემატიკური აპარატის არარსებობა, რომელიც მოგვცემდა ასეთი თვისობრივი ცნებების ჩამოყალიბების საშუალებას, ბუნებრივად იწვევს ან შესაბამისი მიზნებისა და შეზღუდვების გაუთვალისწინებლობას, ან მოდელის არაადექვატურობას ტვირთის მიწოდების რეალურ პროცესთან მიმართებაში.

ასევე აუცილებელია მიწოდების შერჩევის პრობლემის მრავალვარიანტულობის თვისების გათვალისწინება. ტვირთის მიწოდების სისტემა განისაზღვრება, როგორც სატრანსპორტო პროცესის ყველა ურთიერთდაკავშირებული მონაწილის სისტემა, რომლიც ხორციელდება ტვირთგამზავნიდან ტვირთის მიმღებამდე ტვირთის გადაადგილების პროცესთან დაკავშირებულ ოპერაციების გათვალისწინებით (ანუ ტრანსპორტირება, დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოები, შენახვა, ტვირთების გადამუშავება და ა.შ.). ბოლო დროს იზრდება ტვირთის მიწოდების პროცესში მონაწილე საწარმოების რაოდენობა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ტვირთის მიწოდების შესაძლო ვარიანტების რაოდენობას. ტვირთის მიწოდების სისტემაში ძირითადი მონაწილეები არიან საავტომობილო გადამზიდველები, ექსპედიტორები, საწყობები და მიწოდების პროცესში ჩართული სხვა სატრანსპორტო და არასატრანსპორტო მონაწილეები.

ტვირთების მიწოდების პრობლემებზე მიძღვნილია ქართველი და არაქართველი მეცნიერის (ო. გელაშვილი, ლ. ბოცვაძე, ლ. მიროტინი, ლ. აფანასიევი, ნ. ოსტროვსკი, ს. რეზერი და სხვები) მრავალი შრომა. თანამედროვე მეცნიერთა კვლევებში ტრადიციულ

ტექნოლოგიებთან მიმართებაში ყურადღება გამახვილებულია ტვირთის მიწოდების პროგრესული მეთოდების უპირატესობების მეცნიერულ დასაბუთებაზე (ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, ახალი ტექნიკური საშუალებები, მიწოდების პროცესის ორგანიზებისა და მართვის მეთოდების შემუშავება და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ საბაზრო პირობებში მიწოდების პროგრესული მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს მნიშვნელოვანი სარგებლის მიღებას, მაგრამ პრაქტიკაში ხშირად ადგილი აქვს სრულიად განსხვავებულ შედეგებს. როგორც ანალიზმა აჩვენა, ამ გარემოებათა მიზეზი უმთავრესად არის ამ საკითხის შემუშავების არასაკმარისი დონე.

ტვირთის მიწოდების პრობლემის შესახებ მეცნიერული შრომების შესწავლისას შეიძლება შევამჩნიოთ, რომ ბევრმა ავტორმა ტვირთის მიწოდების პროცესის სხვადასხვა მხარის კვლევისას უგულებელყო პრობლემასთან დაკავშირებული სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტები. საგზაო ტვირთების მიწოდების პროცესის ორგანიზების ეფექტურობის გაუმჯობესებისკენ მიმართული კვლევების ანალიზისას, შეგვიძლია პირობითად გამოვყოთ ნაშრომების ჯგუფები, რომლებიც ეძღვნება შემდეგ საკითხებს: მიწოდების ინტეგრირებული სისტემა; სატრანსპორტო მომსახურების ხარისხი; მიწოდების საიმედოობა; მიწოდების პროცესის ცალკეული მონაწილეების შერჩევა (გადამზიდველის, ექსპედიტორის შერჩევა); სატრანსპორტო საშუალებების ტიპის შერჩევა მისი ტექნიკური სიმძლავრის მაქსიმალური გამოყენების უზრუნველსაყოფად; გადაზდვების ოპერატიული დაგეგმვა; სატრანსპორტო პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფა; სატრანსპორტო პროცესის პარამეტრების ოპტიმიზაცია სიმულაციური მეთოდის გამოყენებით და ა.შ.

ზემოაღნიშნულ საკითხებზე მიძღვნილი ნაშრომების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

-განხილული საკითხების გადაწყვეტა ხდება განცალკევებულად, ამიტომ საერთო გადაწყვეტილება არ შეიძლება ჩაითვალოს ოპტიმალურად (გადაწყვეტილების შედეგი იძლევა მხოლოდ ლოკალურ ოპტიმუმებს);

-ტვირთის მიწოდების სისტემის შერჩევის პრობლემების გადაწყვეტა ხდება გადამზიდავების ინტერესებით მიწოდების პროცესში სხვა მონაწილეების, განსაკუთრებით სატრანსპორტო მომსახურების მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინების გარეშე. ამ დრომდე არ არსებობს მეთოდოლოგია, რომელიც გაითვალისწინებდა ტრანსპორტის მომხმარებლების ყველა მოთხოვნას მიწოდების პროცესისადმი;

-განხილულ კვლევებში ტვირთის მიწოდების პროცესის კონცეფციების ფორმალიზებისთვის გამოყენებული მათემატიკური აპარატი სრულყოფილად არ უზრუნველყოფს შექმნილი მოდელის რეალურ სიტუაციებთან ადეკვატურობას. შერჩევის პრობლემების გადაჭრის არსებული მეთოდები დაფუძნებულია ან ხისტ ალგორითმებზე, ან ექსპერტის გამოცდილებაზე, თუმცა ისინი არ ითვალისწინებენ არამკაფიოობის ფაქტორს დასმული ამოცანის ფორმულირებისას.

-შერჩევის ამოცანების გადასაჭრელად არსებული ალგორითმების სწრაფქმედება ხშირად მიიღწევა მოდელირების ობიექტის მნიშვნელოვანი თვისებების უგულებელყოფით, რაც იწვევს მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხის დაქვეითებას.

-სატრანსპორტო პროდუქციის ხარისხის საკითხს აქამდე სათანადო ყურადღება არ ექცევა. ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა მწარმოებლობა, საშუალო დღიური გარბენი,

გადაზიდვების გეგმის შესრულების მაჩვენებელი და ა.შ. ახასიათებენ მხოლოდ მათი თვალსაზრისიდან გამომდინარე საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის ხარისხს, არ ხდება გარკვევა რამდენად დაკმაყოფილებულია ტვირთგამგზავნისა და ტვირთმიმღების სატრანსპორტო მომსახურების მომხმარებელთა ხარისხი.

III. ტვირთების მიწოდების ინტეგრირებული სისტემის სინთეზის მოდულური პრინციპი.


ერთ-ერთ თანამედროვე ტენდენციას წარმოადგენს სატრანსპორტო და საქონლის განაწილების პროცესების ინტეგრაცია, რაც ობიექტურად განპირობებულია წარმოების ეფექტურობის მოთხოვნით და რესურსების გამოყენებით, უწყვეტად დაკავშირებულია თანამედროვე წარმოების გლობალიზაციასთან და საქონლის განაწილებასთან. ინტეგრაციის მთავარი მიზანია გაერთიანების უპირატესობის რეალიზება, ანუ რესურსების დაზოგვის მიღწევა ან მომხმარებლისთვის ახალი, უფრო მიმზიდველი მომსახურების ხარისხის შექმნა.

სატრანსპორტო ინტეგრაციის პრობლემებისადმი მიძღვნილია დიდი რაოდენობის შრომები, თუმცა ორგანიზაციული და ინტეგრაციის საკითხები აღნიშნულ კვლევებში ძირითადად განხილულ იქნა აღწერილობით დონეზე. მათში ძირითადად საქონლის განაწილების სისტემის ფუნქციონირების პრობლემებზე არის გამახვილებული ყურადღება. ტვირთის მიწოდების სისტემის ფორმირებისა და მისი ხარისხის შეფასების პროცესების ფორმალიზაციის პრობლემები საკმარისად არ არის გათვალისწინებული.

ნახ. 1-ზე ნაჩვენებია მიწოდების ინტეგრირებული სისტემის ფორმირების დიაგრამა. სატრანსპორტო მომსახურებაზე მომხმარებელთა მოთხოვნის ანალიზისა და სატრანსპორტო ბაზრის მონაწილეთაგან სხვადასხვა შეთავაზების საფუძველზე მიწოდების სისტემის ორგანიზატორი განსაზღვრავს: თუ რომელი მონაწილეები უნდა იყვნენ მიწოდების სისტემის ნაწილი და რა ფუნქციები უნდა შეასრულონ. ტვირთის მიწოდების კონკრეტული ინტეგრირებული სისტემა ყალიბდება, როგორც მოთხოვნასთან შესაბამისი შეთავაზებების განხორციელება, რომელიც ეფუძნება ორგანიზატორის გადაწყვეტილებას კონკრეტული მიზნის მისაღწევად. მიწოდების სისტემის მიზანს წარმოადგენს ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილება, მთლიანი მოგების მაქსიმიზაცია, საერთო ლოგისტიკური ხარჯების მინიმიზაცია, სისტემის საიმედოობის გაზრდა, გარემოზე ზემოქმედების შემცირება და ა.შ.

ამგვარად, ტვირთის მიწოდების ინტეგრირებული სისტემის ფორმირების ამოცანა შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც ბაზარზე არსებული მრავალი მოდულებისაგან ისეთი მოდულების შერჩევის ამოცანა, რომ დაკმაყოფილდეს კონკრეტული მომხმარებლის გარკვეული მოთხოვნები კონკრეტულ დროს და მიღწეულ იქნას დასახული მიზანი.

ტვირთის მიწოდების ინტეგრირებული სისტემის ფორმირების მოდულური პრინციპის არსი მდგომარეობს პირველადი მოდულების გარკვეული რაოდენობისგან სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების კომპლექსური სისტემების შექმნის შესაძლებლობაში. აღნიშნულის მიხედვით, მოდული არის დამოუკიდებელი ელემენტი, რომელიც ასრულებს კონკრეტულ ფუნქციას (ან ფუნქციებს). მოდულები შეიძლება უერთდებოდნენ ერთამანეთს რთული სისტემების შესაქმნელად, განცალკევდნენ ერთმანეთისაგან და ჩაენაცვლონ ერთმანეთს, რათა მიღებულ იქნას სხვა კომპონენტების და მახასიათებლების მქონე სისტემები, მათი ფუნქციონირების დროს.



ნახ. 1. ტვირთების მიწოდების სისტემის ფორმირების სქემა

სადაც,  - სისტემის მოდულის შერჩევაა

მიწოდების ინტეგრირებული სისტემის ფორმირების დიაგრამაზე (ნახ. 1) ასევე ნაჩვენებია მიწოდების სისტემის ძირითადი მოდულები და კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამატებით სატრანსპორტო და არასატრანსპორტო მომსახურებას.

ტვირთების მიწოდების ინტეგრირებული სისტემის მოდელის მათემატიკურ ჩანაწერს ექნება შემდეგი სახე:

$$I_{ტვ.\ მიწ} = \{X, F, D, t\} \qquad (1)$$

სადაც, X - სტანდარტული მოდულების სიმრავლეა;

$X = \{X_1, X_2, \ldots, X_n\}$;

X_1 - სტანდარტული მოდულების სიმრავლეა რომელსაც შეუძლია გაუწიოს მომსახურება y_1;

$X_1 = \{x_{i1} | x_1 O X_1; i=1, \dots m_1\}$;

x_{i1} – X1 სიმრავლიდან x_{i1} მოდულის მდგომარეობაა (იცვლება დროში);

m_1 – X_1 სიმრავლეში მოდულების რაოდენობაა;

X_2 , …., X_n – შესაბამისად სტანდარტული მოდულების სიმრავლეა, რომელსაც შეუძლია მომსახურეობა გაუწიოს y_2, …, y_n ;

n – სტანდარტული მოდულების სიმრავლეთა რაოდენობაა (მომსახურების სახეთა რაოდენობა);

F - ინტეგრირებული სისტემის მიზნის ფუნქციაა;

D - სისტემაზე მომხმარებელთა მოთხოვნილების სიმრავლეა;

$D = \{Y, Z\}$;

Y- მომსახურების გაწევაზე მომხმარებელთა მოთხოვნილების სიმრავლეა (მომსახურების სახეები, მუშაობის რაოდენობა, დრო, ადგილი და ა.შ.)

$Y = \{y_1, y_2, \dots . , y_n\}$;

Z - მიწოდების სისტემის ხარისხის მიხედვით მომხმარებელთა მოთხოვნის სიმრავლეა (თავისდროულობა, დაცულობა, მოქნილობა და ა.შ.) ;

t – მიწოდების ინტეგრირებული სისტემისპროექტირების მომენტია.

(1) ამოცანის გადაჭრა ანუ არჩეული მოდულების ნაკრები (ერთობლიობა)

$$\begin{cases} X^* = \{X_{i1}, X_{i2}, \dots, X_{in}\} \\ F(X^*, t) \\ D(X^*, t) \end{cases} \qquad (2)$$


კომპონენტური აწყობის ავტომატიზაციისთვის პროექტირების მოდულური ტექნოლოგია ნებისმიერი სირთულის და ხარისხის ინტეგრალური მიწოდების სისტემისთვის საშუალებას იძლევა სტანდარტული მოდულებიდან კომპიუტერების აწყობის ანალოგიურად მზა ბლოკებიდან მოხდეს ავტომობილების ან პროგრამული კომპლექსების შედგენა, რომელიც იწოდება მაკომპლექტებელ ნაკეთობად. მოდულების და მათი სტანდარტიზაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვების პროცესი საკმაოდ რთული და შრომატევადია, თუმცა, შემდგომში ის იძლევა ტვირთის მიწოდების ახალი ინტეგრირებული სისტემის სწრაფად შექმნის ან მიწოდების პირობების ცვალებადობის შესაბამისად მისი მოდიფიცირების შესაძლებლობას.

ტვირთის მიწოდების ინტეგრირებული სისტემის ფორმირების პროცესი ხორციელდება შემდეგ ეტაპებად:

- ინფორმაციის შეგროვება, მოდულების შესახებ მონაცემთა ბაზის აგება;
- მოდულების კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით, მათი საქმიანობის შეფასება;
- ბაზრის ანალიზი, მოთხოვნის იდენტიფიცირება;
- მიწოდების სისტემის მიმართ მომხმარებელთა მოთხოვნების განსაზღვრა;
- დასაპროექტებელი ტვირთის მიწოდების ინტეგრირებული სისტემის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;
- სისტემის სტრუქტურაში შემავალი საჭირო ტიპის მოდულების და ამ მოდულების მიმართ მოთხოვნების განსაზღვრა;
- მოდულების აკრეფა, ტვირთის მიწოდების ინტეგრირებული სისტემის სტრუქტურის სხვადასხვა ვარიანტების ფორმირება

- ტვირთის მიწოდების ინტეგრირებული სისტემის შემოთავაზებული ვარიანტების შეფასება;
- ოპტიმალური ვარიანტის არჩევა;
- შერჩეულ მოდულებს შორის აქტივობების კოორდინაცია და კორექტირება.

ნახ. 2-ზე ნაჩვენებია (1) ამოცანის გადაჭრის განზოგადებული სქემა.



ნახ.2.

ტვირთის მიწოდების სისტემის შერჩევის მეთოდოლოგიის შესამუშავებლად სტატიაში განხილულია შემდეგი ქვეამოცნები:

- პარამეტრების კომპლექსის განსაზღვრა ტვირთის მიწოდების ხარისხის შესაფასებლად;
- მიწოდების ხარისხის დონის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება;
- მრავალკრიტერიუმიანი ფაქტორის გათვალისწინებით ტვირთის მიწოდების სისტემის შერჩევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- ტვირთის მიწოდების სისტემის ვარიანტების გენერირების ალგორითმის შემუშავება.


IV. მიწოდების ხარისხის დონის შესაფასებლი პარამეტრების კომპლექსი. უნდა აღინიშნოს, რომ სატრანსპორტო მომსახურების ხარისხი მხოლოდ მიწოდების ეფექტურობით (მიწოდების ხარჯები) არ ხასიათდება, რადგან სატრანსპორტო მომსახურების მომხმარებელთა ფუნქციონირების ეფექტურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მიწოდების ტარიფის სიდიდეზე, არამედ დამოკიდებულია მიწოდების ხარისხის ბევრ სხვა ასპექტზეც, როგორიცაა დროულობა, უსაფრთხოება და სხვა. პრაქტიკაში, მიწოდების ვარიანტის არჩევისას, ტვირთგამგზავნი და მიმღები ხშირად ითვალისწინებენ მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯების მხოლოდ ნაწილს - ტრანსპორტირების ხარჯებს. დანარჩენი ხარჯები, რომლებიც განპირობებულია მიწოდების არასაკმარისი ხარისხის გამო, როგორც წესი, მხედველობაში მიიღება როგორც ძირითადი წარმოების ხარჯები. ამრიგად, ტრანსპორტის რეალური გავლენა ძირითადი წარმოების ეფექტურობაზე გაცილებით მეტია, ვიდრე ეს გამომდინარეობს სატრანსპორტო ხარჯების ჯამიდან.

იმისათვის, რომ შევარჩიოთ ტვირთის მიწოდების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი დონის მომსახურებას, საჭიროა განისაზღვროს: კონკრეტულად რა მოთხოვნები აქვს კლიენტს წაყენებული მიწოდების სისტემასან მიმართებაში და რა პარამეტრებით აფასებს მომხმარებელი ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების ხარისხს. ეჭვგარეშეა, რომ დროთა განმავლობაში იცვლება მომხმარებლების მოთხოვნები და შესაბამისად იცვლება მათი

დაკმაყოფილების საჭირო ხარისხი. თუმცა, არჩევანის პრობლემის სისრულის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მოვახდინოთ მომხმარებლის ყველა შესაძლო მოთხოვნის იდენტიფიცირება.

აღნიშნული გარემოება მოითხოვს მომხმარებელთა მოთხოვნების ცვლილების მუდმივ მონიტორინგს და ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა კითხვარები, სტრუქტურირებული ინტერვიუები, კონკრეტულ ჯგუფებზე ფოკუსირება და ა.შ. მომხმარებელთა მოთხოვნების მუდმივი შესწავლის გარდა, აუცილებელია ბაზრის ცვალებადი ფაქტორების მონიტორინგიც.


ლიტერატურის ანალიზისა და ზემოაღნიშნული კვლევების შედეგების საფუძველზე გამოვლინდა პარამეტრების კომპლექსი, რომლებიც განსაზღვრავენ ტვირთის მიწოდების ხარისხს (ნახ. 3). მიწოდების ხარისხის შეფასებისას პარამეტრების მნიშვნელობების დასადგენად ინფორმაციის მეთოდები და წყაროები მოცემულია მიწოდების სისტემესთან დაკავშირებულ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.



ნახ. 3. $\mu_c(X_2)$ ფუნქციის კუთვნილება ხარისხის დონის შესაფასებლად, „მიწოდების მინიმალური დროის“ პარამეტრის მიხედვით.

V. მიწოდების ხარისხის დონის შეფასების მეთოდოლოგია. მიწოდების სისტემის ანალიზისა და შერჩევისას ხარისხის დონის შეფასების მეთოდოლოგია უნდა ეფუძნებოდეს კლიენტების მიერ ამ მიზნებისთვის გამოყენებულ პარამეტრებს. როდესაც კლიენტი აფასებს მიწოდების ხარისხის დონეს, ის ადარებს გაზომილი ხარისხის პარამეტრების რეალურ მნიშვნელობებს ამ პარამეტრების მოსალოდნელ მნიშვნელობებს. თუ ორივე მნიშვნელობა ემთხვევა, მაშინ ხარისხის დონე ითვლება დამაკმაყოფილებლად.

კლიენტის მიერ მიწოდების პროცესზე სუბიექტური მოთხოვნებისა და მოლოდინების წარმოსადგენად გამოყენებულია არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის ელემენტი „კუთვნილების ფუნქცია“. ნახ. 4-ზე ნაჩვენებია კუთვნილების ფუნქციის მაგალითი არამკაფიო მიზნის წარმოსადგენად: „სასურველია ტვირთი მიტანილ იქნას 10 საათში“. მიწოდების ყოველი ვარიანტი x_i აისახება მისი ტვირთის მიწოდების ხანგრძლივობის შესაბამისად. ფუნქციის x_i მნიშვნელობა აჩვენებს მოცემული არამკაფიო მიზნის მიღწევის ხარისხს, ამოცანის გადაჭრის სახით x_i ალტერნატივის შერჩევისას.



ნახ. 4. კუთვნილების ფუნქცია $\mu_c(x)$ ტვირთების მიზიდვის დროის X პარამეტრის მიხედვით

თუ მიწოდება განხორციელდება ზუსტად 10 საათში, ვარიანტი x_3 (x_3= 10 საათი), მაშინ კლიენტის მოლოდინები შეიძლება ჩაითვალოს სრულად დაკმაყოფილებულად და ვარიანტი x_3 ჩაითვალოს ოპტიმალურად (ამ პარამეტრის მიხედვით). ამ შემთხვევაში, კუთვნილების ფუნქცია ღებულობს მაქსიმალურ მნიშვნელობას $\mu_c(x_3)$=1. ვარიანტები x_2 (9 საათი 30 წუთი) და x_4 (10 საათი 30 წუთი) არ აკმაყოფილებს კლიენტის მოთხოვნას. თუმცა, მოთხოვნიდან მცირე გადახრის გამო, ისინი შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც გადაწყვეტა, მაგრამ მოცემული მიზნისთვის კმაყოფილების უფრო დაბალი ხარისხით: $\mu_c(x_2)$= 0.8 და $\mu_c(x_4)$= 0.8. დანარჩენი ორი ვარიანტი x_1 (8 საათი 30 წუთი) და x_5 (11 საათი 30 წუთი) გამოირიცხება შემდგომი განხილვისაგან მათი საჭირო ვადიდან მიწოდების დროის დიდი გადახრის გამო. ამ ვარიანტებისთვის კუთვნილების ფუნქცია შესაბამისად ღებულობს მინიმალურ მნიშვნელობას: $\mu_c(x_1)$=0 და $\mu_c(x_5)$= 0 .

კუთვნილების ფუნქცია აგებულია ექსპერტების სუბიექტური მოსაზრებების საფუძველზე და შეიძლება მას ჰქონდეს სხვადასხვა ფორმები. ზოგადად, ეს ფუნქცია უწყვეტია, აქვს მაქსიმუმი $\mu_c(x)$= 1 პარამეტრის ოპტიმალური მნიშვნელობის ტოლ წერტილში და მცირდება ასიმპტომურად, როდესაც x პარამეტრის მნიშვნელობა შორდება სასურველს. სიტუაციიდან გამომდინარე, კუთვნილების ფუნქციას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე წერტილი ან გარკვეული ინტერვალი, სადაც $\mu_c(x)$=1. თუ პარამეტრზე დაწესებულია მკაცრი შეზღუდვები, როგორიცაა „არა უმეტეს“ (J) ან «არა ნაკლები“ (i), მაშინ კუთვნილების ფუნქცია ღებულობს ნულოვან მნიშვნელობას, როდესაც შეზღუდვების მოცემული პირობა არ სრულდება.

კუთვნილების ფუნქციის აგება არის ძირითადი და ყველაზე შრომატევადი პროცედურა არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის მეთოდებში. კუთვნილების ფუნქციის აგების პროცედურა მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს: ექსპერტების შერჩევა, ფუნქციის ტიპის განსაზღვრა, ფუნქციის კონკრეტული მნიშვნელობების დადგენა და მისი ადეკვატურობის შემოწმება. სატრანსპორტო მომსახურებაზე მოთხოვნის სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია გარკვეული პარამეტრების მიხედვით კუთვნილების ფუნქციების ტიპები ტვირთის მიწოდების ხარისხის შესაფასებლად.

მიწოდების ხარისხის დონის შეფასება ხორციელდება ორ შემთხვევაში:

1) მიწოდება უკვე განხორციელდა. ამ შემთხვევაში, პარამეტრის რეალური მნიშვნელობა განისაზღვრება და შედარებულია კლიენტის მიერ აგებულ კუთვნილების ფუნქციასთან. კლიენტის არამკაფიო მოთხოვნა დაკმაყოფილებულია ხარისხით:

$$Kc = \mu_c(x) \qquad (3)$$

სადაც, Kc არის კლიენტის მოთხოვნებთან მიწოდების შესაბამისობის კოეფიციენტი.

2) მიწოდების ვარიანტები ჯერ კიდევ მუშავდება, ანუ იმყოფება ამოცანის ამოხსნის არჩევანის პროცესში. ამ შემთხვევაში, ხდება პარამეტრის მნიშვნელობის მხოლოდ პროგნოზირება. პროგნოზირების შედეგი სიმკვრივის P(x) განაწილების გრაფიკის სახით შედარებულია კლიენტის მოლოდინთან შეთავსებული გრაფიკის მეშვეობით (ნახ. 5).

მიწოდების ვარიანტის მომხმარებლის მოთხოვნებთან შესაბამისობის კოეფიციენტი Kc განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$K_c = \int_{-\infty}^{+\infty} \mu c(x) * P(x) \qquad (4)$$

$$K_c = \sum_{i=1}^{n} \mu c\left(X_i^{საშ}\right) * P\left(X_i^{საშ}\right) \qquad (5)$$


სადაც, $X_i^{საშ}$ - X პარამეტრის საშუალო მნიშვნელობაა i-ურ ინტერვალში;

i - ინტერვალის ნომერია; i = 1…n

n- პროგნოზირებადი პარამეტრების მნიშვნელობის ინტერვალების რაოდენობაა;

$P(X_i^{საშ})$ - ალბათობაა იმისა, რომ X პარამეტრი i ინტრვალში იღებს მნიშვნელობას;

$\mu c\left(X_i^{საშ}\right)$ - $\mu c(x)$ კუთვნილების ფუნქციის მნიშვნელობასა $X_i^{საშ}$ წერტილში.



ნახ. 5. სიმჭიდროვის P(x) და კუთვნილების ფუნქციის $\mu_c(x)$ განაწილების ერთობლივი გრაფიკი

VI. ტვირთის მიწოდების სისტემის შერჩევის მეთოდოლოგია მრავალკრიტერიანობის ფაქტორის გათვალისწინებით. სისტემური ანალიზის კონცეფციის მიხედვით გადაწყვეტილების მიღებისას ყველა გადაწყვეტილება დაიყვანება მიზნის მიღწევის მრავალ მისაღებ საშუალებათა შორის ოპტიმალური ალტერნატივის არჩევამდე. მართლაც, ასეთი მიდგომა ხშირად სუბიექტურად აღიქმება, როგორც მიზანი (ანუ მიზანი მდგომარეობს სისტემის ოპტიმიზაციაში მოცემული კრიტერიუმის მიხედვით). თუმცა, რეალურ კომპლექსურ სისტემებში, როგორც წესი, არსებობს რამდენიმე ასეთი მიზანი. შეიძლება იყოს დასახული რამდენიმე მიზნის მიღწევა ერთდროულად, რომლებიც ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოა. რთული სისტემების დაპროექტებისას, როგორიცაა ტვირთის

მიწოდების სისტემები, შეუძლებელია ერთი მიზნის განსაზღვრა ან თუნდაც მიზნების მკაცრი იერარქიის დადგენა. ამიტომ, ხისტი მოდელის ნაცვლად, აუცილებელია გამოვიყენოთ ე.წ. „რბილი“ მოდელი, რომლის მთავარი იდეაა „კომპრომისი“ სხვადასხვა მიზნებს შორის, გადაწყვეტილებების პოვნა, რომლებიც გარკვეულწილად დააკმაყოფილებს ყველა წამოყენებულ მოთხოვნას (და ამიტომ სრულად არ დააკმაყოფილებს პერსონალურად არცერთ მათგანს). აღნიშნული მიდგომა წარმოიშვა იმის გააზრებით, რომ ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი ინფორმაცია შესაძლო გადაწყვეტილებების წრფივი რანჟირებისთვის და შესაძლებელია მხოლოდ ჯგუფური რანჟირების გაკეთება.

აღნიშნული კომპრომისული მიდგომის განხორციელებაში შეიძლება წარმოიშვას გარკვეული სირთულეები. გადაწყვეტილების მიმღებ პირს ყოველთვის არ შეუძლია ობიექტურად შეაფასოს მიღებული გადაწყვეტილების ხარისხის დონე და მით უფრო, რამდენიმე გადაწყვეტილებიდან აირჩიოს საუკეთესო. კარგი ვარიანტის არჩევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც გამოიყენება კორექტული მოდელი და შერჩევის ალგორითმი.

განვიხილოთ ტვირთის მიწოდების სისტემის შერჩევის ამოცანა რამდენიმე კრიტერიუმის არსებობისას არამკაფიო სიმრავლეთა საფუძველზე. ამოცანის დასმა წარმოდგენილია შემდეგნაირად, დავუშვათ, რომ მოცემულია მიწოდების შესაძლო ვარიანტების სიმრავლე X:

$$X = \{x_1, x_2, \ldots x_i, \ldots, x_n\}$$

თითოეული ვარიანტი ხასიათდება ხარისხის შეფასების პარამეტრების Y სიმრავლით :

$$Y = \{y_1, y_2, \ldots y_j, \ldots ,y_n\}$$

X და Y სიმრავლის თითოეულ წევრს შორის არის არამკაფიო ფარდობა, რომელიც აღინიშნება x , y-ით ან μ_{ij}. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ μ_{ij}, ასახავს მიწოდების i-ური ვარიანტის შესაბამისობის დონეს j-ური პარამეტრის ($\mu_{ij} \in [0,1]$; i=1….n; j=1….m) მოთხოვნებთან. თუ xi-სა და yi-ს შორის ყველა არამკაფიო ფარდობას გავაერთიანებთ, მივიღებთ R ზომის არამკაფიო დამოკიდებულების მატრიცას n*m.

$$R\text{-}\{ \mu_{ij} \mid i=1, \ldots,n; j=1, \ldots m\}, \quad \text{ან}$$

$$R = \begin{bmatrix} \mu_{11} & \ldots\ldots & \mu_{1m} \\ \ldots. & \mu_{ij} & \ldots. \\ \mu_{n1} & \ldots\ldots & \mu_{nm} \end{bmatrix} \qquad (6)$$

მოითხოვება X სიმრავლიდან არჩეულ იქნას X* საუკეთესო ვარიანტი.

ტვირთის მიწოდების სისტემის შერჩევის ამოცანის დასმა შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი ფორმით:

$$X^*=opt\ (X, Y, R, M) \qquad (7)$$

სადაც, M – გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ არჩეული ამოცანის ამოხსნის გამოყენებული მოდელია.

არსებობს შერჩევის მულტიკრიტერიული ამოცანის ამოხსნის შემდეგი მოდელები: მაქსიმინური ხვეულის მოდელი, აბსოლუტური გადაწყვეტილების მოდელი, ძირითადი პარამეტრის მოდელი, კომპრომისული ამოხსნის მოდელი. ჩამოთვლილი მოდელების

ანალიზის, მათი ამოხსნის ალგორითმის, გამოყენების პირობების, უპირატესობებისა და უარყოფითი მხარეების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა ეტალონური შედარების მოდელი.

შემოთავაზებული მოდელის არსი მდგომარეობს შემდეგში: აიგება x_0 ტვირთის მიწოდების ეტალონური ვარიანტი. ამ ვარიანტებს პარამეტრის იღებენ μ_{0j} მინიმალურ დასაშვებ მნიშვნელობებს J=1,…,m. X სიმრავლის თითოეული ვარიანტი დარდება x_0 ეტალონთან. თუ x_i ვარიანტის ხარისხი ყველა პარამეტრში არ არის უარესი ვიდრე x_0 ეტალონისა, მაშინ x_i ვარიანტი ჩაირთვება ამოხსნის სიმრავლეში და მისთვის გამოითვლება ინტეგრალური ხარისხის პარამეტრი f_i. ეტალონური ვარიანტისთვის, ინტეგრალური პარამეტრი ღებულობს ნულოვან მნიშვნელობას $f_0=0$. ოპტიმალური გადაწვეტილებაა ვარიანტი f_{max} - ინტეგრალური პარამეტრის მაქსიმალური მნიშვნელობით.

მოდელის მათემეტიკურ ჩანაწერს ექნება შემდეგი სახე:

$$X^* = \{x_k \mid x_k \, O \, X;\ \mu_{kj} \, i \, \mu_{0j} \text{ " } j=1, \dots m;\ f_k = \max \{f_{iO} \, F;\ i=1, \dots, n\}\} \quad (8)$$

სადაც,
$$f_j = \sum_{j=1}^{m} (\mu_{ij} - \mu_{0j}) * w \quad (9)$$

w_j - y_j პარამეტრის საჭიროების დონეა.

VII. ტვირთის მიწოდების სისტემის ვარიანტების გენერირების ალგორითმი. პრაქტიკაში, მიწოდების სისტემის შემუშავებისას, დროსა და შრომითი რესურსების ნაკლებობის გამო, ასევე დიდი რაოდენობით ინფორმაციის დამუშავების შეუძლებლობის გამო, სპეციალისტი ექსპერტი ჩვეულებრივ განიხილავს მხოლოდ რამდენიმე ვარიანტს და ირჩევს მათგან ერთ-ერთს. ეს ვარიანტები, როგორც წესი, ხშირად ეფუძნება ექსპერტის გამოცდილებას და ინტუიციას, ამიტომ ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს ყველა შესაძლო ვარიანტში საუკეთესოდ. ეს ნიშნავს, რომ ექსპერტის მიერ არჩეული ვარიანტი განხილული ვარიანტებიდან მხოლოდ საუკეთესო ვარიანტია და არა ოპტიმალური.

გადაწყვეტილებების გენერირების მეთოდების ფორმალიზაცია უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანაა. პრაქტიკაში ყოველთვის არ არის შესაძლებელი ყველა შესაძლო ვარიანტის დადგენის, მაგრამ რაც უფრო მეტია გენერირებული ვარიანტების რაოდენობა, მით უფრო მეტია ამოცანის ოპტიმალური ამოხსნის პოვნის ალბათობა. ამოცანის ამოხსნის ოპტიმალურობაზე გავლენას ახდენს გენერირების მეთოდის ხარისხიც, ანუ მეთოდის კარგი ვარიანტების გაცემის უნარი. კომპიუტერული ტექნოლოგიების დახმარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ვარიანტების გენერირების ამოცანის ამოხსნის სიჩქარე. წარმოშვა საკითხი გენერირების აპარატისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის შესახებ.

ვარიანტების გენერირების პრობლემის გადასაჭრელად ვიყენებთ მორფოლოგიური ანალიზისა და სინთეზის მეთოდებს. აღნიშნული მეთოდები შექმნილია ახალი და რაციონალური გადაწყვეტილებების მოსაძებნად, რომელიც დაფუძნებულია განსახილველი სისტემის ქვესისტემებად დაყოფაზე, თითოეული ქვესისტემის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების იდენტიფიცირებაზე, სრული სისტემის შესაქმნელად სხვადასხვა ვარიანტების გაერთიანებაზე და სრული სისტემისთვის საუკეთესო ვარიანტის არჩევაზე.

მიწოდების სისტემის ფორმირების ამოცანის მორფოლოგიური მეთოდებისა და თავისებურებების ანალიზის საფუძველზე, აღნიშნული ამოცანის ამოსახსნელად შემუშავდა სპეციალური მორფოლოგიური ცხრილი (ნახ. 6).

სისტემი კრიტერიუმების შეფასების ხარისხი	ფუნქცია F_i	მოდულის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები	მოდული F_i ფუნქციის რეალიზაციისთვის			მოდულის რიცხვი
- Y_{c1} ტიპის კრიტერიუმები	F_1	კრიტერიუმიY_{f1}	M_{11}	M_{12} ……..	M_{1k1}	K_1
	F_2	კრიტერიუმიY_{f2}	M_{12}	……..	M_{2k2}	K_2
-Y_{c2} ტიპის კრიტერიუმები	…	…	….	……..	….	….
	F_i	კრიტერიუმიY_{fi}	M_{i1}	M_{i2} ……..	M_{iki}	K_i
	…	…	….	……..	…..	….
	F_n	კრიტერიუმიY_{fn}	M_{n1}	…….	M_{nkn}	K_n

ნახ. 6. მიწოდების სისტემის სინთეზის მორფოლოგიური სქემა

სადაც,

$Y_{f\ 1}$ - წარმოადგენს მთელი სისტემის ხარისხის შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც განისაზღვრება უშუალოდ სისტემის ვარიანტის ფორმირების პროცესში შუალედური მნიშვნელობების დამატებით ან გამრავლებით (ღირებულება, დაცულობა, შეკვეთების დამუშავების დრო და ა.შ.);

$Y_{f\ 2}$ - მთელი სისტემის ხარისხის შეფასების კრიტერიუმებია, რომლებიც განისაზღვრება მხოლოდ სისტემის ვარიანტის საბოლოო ფორმირების შემდეგ (თავსებადობა, მიწოდების დრო, კომპლექსურობა და ა.შ.);

Y_{fi}- სისტემის ფუნქციების შესრულების ხარისხის შეფასების კრიტერიუმებია მოდულების მიხედვით (ტექნიკური, ადამიანური, საინფორმაციო რესურსები; მანქანებისა და აღჭურვილობის ტექნიკური მზადყოფნა: საინფორმაციო შინაარსი და სხვ.).

ტვირთის მიწოდების სისტემის ვარიანტების გენერირების ალგორითმი მოიცავს ორ ეტაპს:

I ეტაპი. მორფოლოგიური ცხრილის მომზადება:

სისტემის ფუნქციების (მოდულების) განსაზღვრა F_j, j=1, …., n.

თითოეული მოდულისთვის ხარისხის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა (Y_{fi}) და მთლიანად სისტემისთვის ($У_{f1}$, და $У_{f2}$).

მორფოლოგიური ცხრილის სტრიქონები ივსება მოდულებით, რომლებსაც შეუძლიათ შესაბამისი ფუნქციების შესრულება.

ორიგინალური მორფოლოგიური ცხრილის წინასწარი შეკვეცა. ცხრილის თითოეული სტრიქონისთვის (ფუნქციისთვის) ყველა არსებული მოდული მოწმდება Y_f ტიპის კრიტერიუმების მიხედვით. თუ მოდული არ აკმაყოფილებს აღნიშნული ფუნქციის რეალიზაციის მოთხოვნებს, ხდება მისი ცხრილიდან ამოღება. ამასთან, თუ შეკვეცის შემდეგ სტრიქონი ცარიელი რჩება, ანუ არ არსებობს მოდული, რომელსაც შეუძლია ინდივიდუალურად შეასრულოს ფუნქცია, მაშინ იქმნება კომბინირებული მოდულები ან გადაიხედება მოდულების მოთხოვნები. კომბინირებული მოდულები ასევე მოწმდება იმასთან დაკავშირებით შეუძლიათ თუ არა მათ დააკმაყოფილონ მოთხოვნები.

ეტაპი II. ტვირთის მიწოდების სისტემის სინთეზი:

ბიჯი 1. ხორციელდება ცხრილის პირველ ორ სტრიქონში შემავალი მოდულების ყველა დაწყვილებული კომბინაციის სინთეზი. შედეგად მიღებული მოდულების დაწყვილებული კომბინაციები ფასდება Y_{f1} ტიპის კრიტერიუმების მიხედვით (ანუ იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრულია უშუალოდ ვარიანტის ფორმირების პროცესში) და ხდება მათი რანჟირება.

ბიჯი 2. ამ კომბინაციებიდან შეირჩევა ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი სინთეზის შემდეგი ეტაპისთვის, დანარჩენები კი რეზერვირდება.

ბიჯი 3. წინა ბიჯზე მიღებული ვარიანტი გაერთიანებულია ცხრილის შემდეგი სტრიქონის (მე-3 სტრიქონის) მოდულებთან. შედეგად მიღებული კომბინაციები ასევე ფასდება Y_{f1} ტიპის კრიტერიუმების მიხედვით და ხდება მათი რანჟირება. ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი შეირჩევა შემდეგი სინთეზის ბიჯისთვის.

…… (ბიჯები 4 ÷ к) ……..

ბიჯი К. ბიჯი 3 მეორდება სისტემაში ცხრილის k-ური სტრიქონის მოდულების ჩასართავად.

თუ к-ურ ბიჯზე არ მიიღება დამაკმაყოფილებელი კომბინაცია Y_{f1} ტიპის კრიტერიუმების მიხედვით, განვიხილავთ რა (k-1)-ურ ბიჯზე მიღებულ ყველა კომბინაციას k-ურ სტრიქონის მოდულებთან, მაშინ აიღება (k-1)-ური ბიჯის თითო რეზერვირებული ვარიანტი, რათა შეიქმნას კომბინაციები k-ური სტრიქონის მოდულებთან, იმ მომენტამდე, სანამ არ გამოჩნდება დამაკმაყოფილებელი კომბინაცია. თუ დამაკმაყოფილებელი კომბინაცია ვერ მოიძებნა, მაშინ ხდება (k-2)-ურ ბიჯზე დაბრუნება. დაბრუნების ოპერაცია შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ არ გადაიხედება რეზერვირებული ვარიანტები, რომლებიც სინთეზირებულია ცხრილის პირველი ორი სტრიქონის მოდულებისაგან.

…… (ბიჯები к ÷ n-1) ……

ბიჯი n. როდესაც სინთეზის პროცესი ცხრილის ბოლო სტრიქონს მიაღწევს, შედეგად მიღებული ვარიანტები ფასდება არა მხოლოდ Y_{f1} ტიპის კრიტერიუმებით, არამედ Y_{f2} ტიპის კრიტერიუმებითაც (კრიტერიუმები, რომლებიც შეიძლება შეფასდეს მხოლოდ სისტემის ჰოლისტიკური ვარიანტის ჩამოყალიბების შემდეგ). აქ, ამოცანის შემდგომი ამოხსნისათვის შეიძლება იყოს ორი მიმართულება:

1) მიღებულ ჰოლისტიკურ ვარიანტებს შორის შეირჩევა ყველაზე მაღალი ხარისხის და ამოცანის ამოხსნა სრულდება. იგი გამოიყენება, როდესაც ამოცანის ამოხსნის დრო შეზღუდულია. თუმცა, შედეგი არ არის საუკეთესო.

2) მეორე მიმართულების მიზანი მდგომარეობს განსახილველი ჰოლისტიკური სისტემის ვარიანტების დიაპაზონის გაფართოებაში, რაც ზრდის შემუშავებული მიწოდების სისტემის ყველაზე ხარისხიანი ვარიანტის მიღების ალბათობას. ხდება წინა ბიჯებზე დაბრუნება, რათა მოხდეს კომბინაციების რეზერვირებული ვარიანტების გადახედვა. დაბრუნების პროცედურა შეიძლება შეჩერდეს შემდეგ შემთხვევებში:

- როდესაც ყალიბდება ჰოლისტიკური ვარიანტი, რომელიც სპეციალისტის აზრით აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას;
- როდესაც გენერირებული ინტეგრალური ვარიანტების რაოდენობა აღწევს სპეციალისტის მიერ დადგენილ გარკვეულ ზღვარს;
- როდესაც ამოცანის ამოხსნისათვის გამოყოფილი დრო შეზღუდულია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შემოთავაზებული მათემატიკური აპარატი (მიწოდების სისტემის მოდულური მოდელი, მიწოდების ხარისხის დონის შეფასების მეთოდოლოგია, ეტალონური შედარების მოდელი, მიწოდების ვარიანტების გენერირების ალგორითმი), ასევე მიწოდების ხარისხის შეფასების პარამეტრების კომპლექსი საშუალებას იძლევა ექსპერტთა მოსაზრებების გათვალისწინებით ინფორმაციის განუზღვრელობის პირობებში, რთული სისტემების ფუნქციონირების ფაქტორების სიმრავლისას კომპლექსურად და მოქნილად გადაიჭრას ტვირთის მიწოდების სისტემის შერჩევის ამოცანა. წარმოდგენილი სტატიის ძირითადმა დებულებებმა პრაქტიკული გამოყენება შეიძლება ჰპოვოს ლოგისტკურ ცენტრებში, სატრანსპორტო და საექსპედიტორო კომპანიების მუშაობაში, ტვირთის მიწოდების სისტემის შემუშავებისას.

გამოყენებული ლიტერეტურა

1. ლ. ბოცვაძე, მ. მებურიშვილი, ვ. ბოცვაძე, დ. შარაფიძე. ინტერმოდალური გადაზიდვების მართვა. სახელმძღვანელო. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აწსუ-ს გამომცემლობა, 2015.521გვ.
2. ლ. ბოცვაძე, კ. ერაძე, ო. გელაშვილი, ვ. ბოცვაძე. სატრანსპორტო-ლოგისტიკური ინტეგრირებული განაწილებითი სისტემები. მონოგრაფია, სახელმძღვანელო: გაანგარიშება, მოდელირება, ოპტიმიზაცია, პროექტირება. წიგნი I – II – III. თბილისი, საქართველოს ბიზნესის აკადემია. გამომცემლობა „დიზაინპრინტექსპრესი“. 2014. – 576 – 629 – 520 გვ.
3. Емельянов С. В., Ларичев О. И. Многокритериальные методы принятия решении. – М.: Экономика, 2004. - 320 с.
4. А.Ю. Тюрин. Математическая модель интегрированной системы поставок и сбыта протукции. https://cyberleninka.ru/article/n/matematicheskaya-model-integrirovannoy-sistemy-postavok-i-sbyta-produktsii/viewer
5. О. Д. Покровская, О. Б. Маликов , М. А. Зачешигрива. Морфология теминаьных сетей https://cyberleninka.ru/article/n/morfologiya-terminalnyh-setey/viewer

Selecting a cargo delivery system

Malkhaz Meburishvili[1], Tea Tskipurishvili[2]

[1]Doctor of Engineering, Associate Professor at the Faculty of Technical Engineering, Akaki Tsereteli State University, Georgia, Kutaisi E-mail:malxazmeb@mail.ru

[2]Doctor of Engineering, visiting teacher at the Faculty of Technical Engineering, Akaki Tsereteli State University, Georgia, Kutaisi E-mail:tealotea@mail.ru

Abstract:

To increase the efficiency of cargo delivery, a cargo delivery system selection methodology has been developed, which takes into account the multivariate nature of the delivery selection problem and the integration of goods distribution processes, which is determined by the requirements for production and resource efficiency. A diagram of the formation of an integrated delivery system has been drawn up; the task of selecting modules from many modules available on the market that would satisfy certain requirements of a specific user at a specific time and achieve the set goal has been worked out. The essence of the modular principle of forming an integrated cargo delivery system has been analyzed; a diagram of the formation of an integrated delivery system has been drawn up and the main modules of the delivery system are shown.

The model of an integrated cargo delivery system and the process of implementing its formation in stages have been considered mathematically.

Related to the delivery system - the methods and sources of information for determining the values of delivery quality assessment parameters are given in the form of a table. The element of fuzzy set theory "membership function" is used to represent the subjective requirements and expectations of the client in the delivery process. Based on the analysis of statistical data on the demand for transport services, types of membership functions are proposed according to certain parameters to assess the quality of cargo delivery. A methodology for selecting a cargo delivery system is developed taking into account the multi-criteria factor and the task of selecting a cargo delivery system in the presence of several criteria based on fuzzy sets. Morphological analysis and synthesis methods are used to solve the problem of generating variants; based on the analysis of morphological methods and features of the delivery system formation task, a special morphological table for solving the task was developed.

Keywords: delivery efficiency, methodology, multivariance, modular principle, model, integrated system, morphological analysis, synthesis methods.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.54



Use of artificial intelligence in automated transportation management

Emeliane Gogilidze[1]; **Natia Gogilidze**[2]
Georgian Technical University
[1]Gogilidzeemeliane05@gtu.ge; Emelianegogilidze1g@gmail.com
[2]**Nataligogilidze@gmail.com**

Abstract

Artificial Intelligence **(AI)** is one of the most important and rapidly developing areas of modern technological progress, which has had a fundamental impact on the development of modern society.

The development of **AI** over the past decades has significantly changed our perception of technological possibilities and opened new horizons in almost all areas.

Most industries, including logistics, have been transformed by the development of new technologies such as AI. Autonomous vehicles, warehouse automation, predictive analytics and smart roads are all examples of technologies that are now becoming the new norm.

Keywords: Artificial Intelligence (AI), automated transportation, logistics.

1. The importance of artificial intelligence in human life

Most jobs that are being replaced by computers or robots involve jobs that require a high school education. However, now that computer algorithms are becoming increasingly sophisticated, this wave may reach positions requiring higher education as well. In today's modern era full of challenges, the boundaries and barriers between people have been erased thanks to technological advancements. The question is often asked: what has man-made technology changed in our lives? - The most important change is the absence of borders. The introduction of artificial technologies is happening very fast, and this process will accelerate even more.

Artificial Intelligence (AI) is a field of computer science that aims to create an intelligent computer machine/program capable of achieving the level of human intelligence. Determining the level of intelligence depends largely on the task at hand. Artificial intelligence technology acts automatically, guided by its own motivations and emotions, and has the ability to interact with people and the environment. They believe that the definition of the term should consider categories such as: nature, autonomy, purpose, operating environment and human-robot communication. However, to date, there is no universally accepted definition of the term **(Fig. 1):**



Fig. 1. Artificial intelligence is used in almost all spheres of human activity

The world is evolving and artificial intelligence is rapidly entering and has already entered the organization of human life.

2. Artificial Intelligence in Transportation

Today, "smart" traffic lights in megacities can hardly surprise anyone. Many motorists know that cameras constantly analyze the traffic situation and help regulate traffic. But this is only one way of using artificial intelligence (AI) in transportation. There are others. For example, unmanned vehicles, and not only passenger cars, but also, say, harvesters or trucks. In addition, automation helps to control the proper operation of various ground transportation systems [1-3].

Today, with the help of AI, driver fatigue monitoring systems are being tested and are beginning to be implemented. This is especially important for public transportation (buses, trolleybuses, streetcars, metro trains). There are various reasons why a driver can fall asleep at the wheel and cause an accident. But with the new system, this will not happen. - A special camera constantly "looks" at the driver and analyzes his condition. Based on many indicators (for example, movements, blinking frequency, facial expressions), the electronics determines the degree of fatigue of a person. And if the computer notices that the driver has started to fall asleep, it gives a signal to wake him up and bring him to his senses.

Artificial intelligence can be used to develop automated systems to control traffic flows, optimize routes and schedules, and create self-driving cars and drones.

- **Unmanned cars (self-driving cars)** - a system based on AI gently guides a car through the streets in compliance with all traffic rules. During the entire period of testing, such cars have not provoked a single accident.
- **Public transport** – an AI on public transport does not "drive" itself yet - it only assists the driver. The artificial brain constantly analyzes the traffic situation (traffic signals, road signs, traffic, other vehicles and pedestrians), predicts its development, promptly identifies possible dangers and, in case of their occurrence, signals the driver. If the person has not reacted in any way, and the danger is getting closer, the system activates automatic braking of the streetcar.
- **Applied to railroads** - an AI-based railroad dispatcher assistant system has been developed. It is capable of predicting, modeling and optimizing the movement of trains to make their schedules more accurate and reduce the likelihood of accidents. - The smart system analyzes the situation on the railroad in front of the train and, by recognizing other trains, switches, tracks and people, helps to avoid emergencies. Where a person might not notice something, the electronics see everything and signal the driver [4-8].

მსოფლიოში ინტენსიურად მიმდინარეობს ტუჩოსანთა ოჯახის მცენარეთა კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით შესწავლა, ახალი ნივთიერებების გამოვლენასა და მათი ბიოლოგიური აქტივობის შეფასების თვალსაზრისით[10,11] განსაკუთრებით აქტუალურია ენდემური სახეობების ზედმიწევნითი კვლევა, რომელთა ბუნებრივი ნაერთების ბიოლოგიური, სპეციფიკური აქტივობის გამოვლენისათვის კამერალური კვლევების საფუძველს სახეობათა მაკრო- და მიკრომორფოლოგიური თავისებურებებისა და ანატომიური აგებულების სადიაგნოსტიკო მახასიათებლების დადგენა განაპირობებს. ამდენად, კვლევის მიზანს ტუჩოსანთა ოჯახის, გვარ *Teucrium* L.-ს, კავკასიის ენდემური სახეობის, *Teucrium nuchense* K.Koch-ის, ღამის კუტი ბალახის [4], მიწისზედა გენერაციული და ვეგეტატიური ორგანოების შინაგანი აგებულების შესწავლა წარმოადგენდა, მიკროსტრუქტურილი სადიაგნოსტიკო მახასიათებლების დადგენის მიზნით.

Teucrium-ი კოსმოპოლიტური გავრცელების დიდი და პოლიმორფული გვარია. მსოფლიოს მცენარეთა საერთაშორისო ნუსხის მონაცემთა მიხედვით გვარში გაერთიანებულია 482-ი სახეობის მცენარე [9]. რომლთა გავრცელების არეალი დედამიწის ზომიერ და სუბტროპიკულ ზონებს მოიცავს და განსაკუთრებით დამახასიათებელია ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებისათვის. ადგილობრივ ფლორაში კი აწერილია გვარ *Teucrium*-

ის 7 სახეობა და მათგან სწორედ *T. nuchense*-ე მიეკუთვნება კავკასიის ენდემურ სახეობათა რიცხვს [2,3,4].

T. nuchense 10-30 სმ-ი სიმაღლის, ძირთან გახევებული და აქტიურად შებუსული, მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა. მისი ფოთლები კვერცხისებრი ან მოგრძო კვერცხისებრია, კიდეზე მომრგვალო, კბილისებრ განკვეთილი, ძირთან სოლისებრი ფორმის; სახეობას ყვავილედი კენწრული ახასიათებს, კუმსი, მჭიდრო მრავალყვავილიანი ჩხროებით; ყვავილის ყუნწი ჯამზე მნიშვნელოვნად მოკლეა; ჯამი ზარისებრია, შებუსული, ძირს დახრილი ბეწვით წარმოდგენილი, ჯამის კბილები სამკუთხაა და წაწვეტებული; ყვავილის გვირგვინი მეწამულია, გარედან ძლიერ შებუსული, 2-3-ჯერ გრძელი ჯამზე. საქართველოს ფლორისტულ რაიონებში *T. nuchense* -ს ყვავილობა ივნისი-აგვისტოს თეებს მოიცავს [2,4].

T. nuchense იზრდება მთის ქვედა, შუა, ზედა და სუბალპური სარტყლის მშრალ ფერდობებზე, ნაშალებზე, ტყის ველობებზე, ბუჩქნარებში, ზღვის დონიდან 2350 მ სიმაღლემდე[2,4]. საქართველოში *T. nuchense*-ს გავრცელების არეალი მოიცავს ზემო და ქვემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქართლის, მთიულეთის, თუშ-ფშავ ხევსურეთის, კახეთის, გარე კახეთის, გარდაბანის, თრიალეთის, ქვემო ქართლის, ჯავახეთისა და მესხეთის ფლორისტულ რაიონებს[2,4].

T. nuchense-ს მიწისზედა ორგანოები ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენება როგორც ანტიბაქტერიული, ანტიოქსიდანტი, ანთების საწინააღმდეგო საშუალება, გაციების, მუცლის ტკივილის, შარდსასქესო გზების დაავადების დროს, ასევე მცენარის მიწისზედა ნაწილების წყლიანი ექსტრაქტი გამოიყენება მე-2 ტიპის შაქრიანი დიაბეტის, კუჭის წყლულის და რევმატიზმის დროს [1,4].

კვლევის მეთოდიკა

T. nuchense-ს საექსპერიმენტო ნედლეული მოპოვებულ იქნა 2023 წელს ქართლის ფლორისტულ რაიონში, წავკისის მიდამოებიდან. საკვლევი ობოექტის საჰერბარიუმო ნიმუში დაცულია თსსუ ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ჰერბარიუმში ТВПН – 22383 (სურ.1).


კრიტიკული სახეობის საკვლევი ობიექტიდან საექსპერიმენტო ნიმუშები აღებულია მცენარის მიწისზედა ვეგეტატიურ ორგანოთა ცენტრალური ზონიდან, საპრეპატარო ნიმუშთა განივი, სიგრძივი და ზედაპირული ანათლები გაკეთდა ცოცხალი დაუფიქსირებელი მასალიდან ბასრი სამართებლის საშუალებით. საკვლევი ჭრილები შეიღება საფრანინის

ხსნარში 24 სთ-ის განმავლობაში და მოთავსდა გლიცერინიან გარემოში სასაგნე მინაზე. კვლევის ობიექტთა მიკრო-ტექნიკური კვლევა წარმოებდა სინათლის Carl Zeiss, Jeneval მიკროსკოპზე; ფოტოდოკუმენტალური მასალა დაფიქსირდა ციფრული ფოტოაპარატის (Canon Digital IXUS75) საშუალებით და გრაფიკულად დამუშავდა Adobe Photoshop CS5 -ის პროგრამაში.

კვლევის შედეგები

ყლორტი. *T. nuchense*-ს ყლორტის განივი ჭრილი კვადრატული კონფიგუ-რაციისაა, იგი აქტიურად შებუსულია მრავალუჯრედიანი (1-6) კონუსური, სხვადასხვა სიგრძის ბუსუსებით და სფეროსებრთავიანი ორ- და ოთხუჯრედოვანი ჯირკვლოვანი ტრიქომებით (სურ.2-D,E). ყლორტის განაკვეთის პანორამაზე ქერქის არესთან შედარებით დიდი მოცულობის მონოციკლური ცენტრალური ცილინდრი აისახება (სურ. 2- A).

T. nuchense-ს მუხლთშორისის ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედბეი მწყობრად დაგვირისტებული, სწორხაზოვანი, სუსტად მოხრილკუთხოვანია (სურ.2-F). მფარავი ქსოვილის სტრუქტურის ამსახველ პანორამაზე ფუძემდებარე უჯრედებისაგან ბუსუსთა გადანაჭრების კვალი გამოირჩევა ორი კონტურული რკალის სახით; ასევე აღიბეჭდება ორი ტიპის - ენციკლოციკლური (6- სატელიტით) და ტეტრაციკლური (4-სატელიტით) ბაგეების დიფერენცირება (სურ.2-F). ეპიდერმულ ქსოვილში ბაგის აპარატის ზედმიწევნით კვლევისას ბაგეთა მკეტავი და სატელიტური უჯრედების სწორხაზოვანი და მნიშვნელოვნად თხელგარსიანი აგებულება აღინიშნა, ასევე მკეტავ უჯრედებში საშუალოდ ფირფიტოვანი ქლორიპლასტების არსებობა. მუხლთშორისის ფუძემდებარე უჯრედთა შორის ბაგეთა განსწობა ქაოტურია, თუმცა ბაგეთშორისი ხვრელის გათვალისწინებით ფუძემდებარე უჯრედების ანტიკლინალური კედლების მიმართ უმეტესწილად მწყობრი.



სურ.1. Teucrium nuchense K.Koch

საჰერბარიუმო ნიმუში

T. nuchense-ს ყლორტის მუხლთშორისის მფარავი ქსოვილი ერთრიგიანი, ჰეტეროციტული, კუტინიზირებული ეპიდერმისის უჯრედებით იკვეთება (სურ.2-C,G); მფარავ ქსოვილში დიფერენცირებული ბაგის აპარატი ეპიდერმული უჯრედების მიმართ თანაბარი განწყობით ხასიათდება. ღერძითი ორგანოს განივი განაკვეთის კუთხეებში ფირფიტოვანი კოლენქიმის ქსოვილი აისახება, რომელიც ემიჯნება მფარავ

ქსოვილს და გასდევს მას მთელ გაყოლებაზე, ამ უკანასკნელს კი ჯერ ქლორენქიმის ქსოვილი, ხოლო შემდგომ, ქერქის პარენქიმული უჯრედების 2-3 რიგიანი არე მოსდევს (სურ.2-B,C,G,). ყლორტში ქერქის პარენქიმას პერიციკლური ბოჭკოები ესაზღვრება და მათი აქტიური დიფერენცირება მუხლთშორისის კუთხეებში აისახება. ბოჭკოვანი უჯრედების სანათურთა ზომა არაერთგვაროვანია, მოხაზულობა ოვალური, ღრუ კი უპირატესად დიდი მოცულობის და ასევე, ოვალური კონფიგურაციის (სურ.2-C,H,).

T. nuchense-ს ყლორტის მუხლთშორისის მონოციკლური ცენტრალური ცილინდრი შედგება უწყვეტი ფლოემისაგან და ერთფეროვანი ქსილების სტრუქტურული ელემენტებისაგან, კამბიუმის ქსოვილი კი რთულად ასაღქმელია (სურ.2-B,C). მერქნის ტრაქეალურ ქსოვილში ერთმანეთს ემიჯნება, ტრაქეათა და გამტარ ჭურჭელთა სანათურების მწყობრი, სიგრძივად მწკრივული ანაწყობები. *T. nuchense*-ს ყლორტში მერქნის ტრაქეალურ ელემენტთა სანათურები ოვალური ან სფეროსებრი მოხაზულობისაა, მათი შიდა ღრუ კი სუსტად კუთხოვანი (სურ.2-C,H); გამტარ ჭურჭელთა სანათურების შიდა გარსის გასქელება სპირალური და რგოლურია, ტრაქეათა გარსი კი ფოროვანი (სურ.2-I). მერქნის ძირითად სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფიქსირდება მერქნის ერთრიგიანი რადიალური სხივების განწყობა.

T. nuchense-ს მუხლთშორისის ცენტრალური ცილინდის პერიმედულარული ქსოვილი მჭიდროდ ურთიერთ განწყობილი, სქელგარსიანი, პოლიგონალური უჯრედებითაა წარმოდგენილი, ხოლო მედულა - დიდი ზომის, თხელგარსიანი, ასევე მჭიდროდ ურთიერთ განლაგებული უჯრედებით (სურ.2-B,C).

ფოთოლი. *T. nuchense*-ს ფოთლის ადაქსიალური და აბაქსიალური ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები არადაგვირისტებული, მრუდხაზოვანი და მრუდკედლიანი სტრუქტურით ხასიათდება (სურ.3-A,C); თუმცა ზედა ეპიდერ-მისის ფუძემდებარე უჯრედები მრუდკედლიანთა მე-2, ხოლო ქვედა - 1-ლ რიგს განეკუთვნება [5]. ფოთლის ადაქსიალური ეპიდერმისის პანორამაზე აღინიშნება კონუსური, 2-3 უჯრედოვანი ბუსუსების, სფეროსებრთავიანი ჯირკვლოვანი ტრიქომების და ასევე, ბუსუსთა ფუძის გადანაჭერთა კვალი (სურ.3-A,B). აბაქსიალური ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედთა შორის, დიდი ოდენობით, ქაოტურად განწყობილი ბაგეები გამოირჩევა. ბაგის აპარატი დიაციტური (დისექტური) ტიპისაა [5]. ბაგეთა მკეტავი უჯრედები ოვალური და სფეროსებრი მოხაზულობისაა, საშუალოდ ფირფიტოვანი ქლოროპლასტებით გამოხატული. ბაგეთშორისი ხვრელი თითისტარისებრია, სატელიტური უჯრედები კი თხელ-გარსიანი და მრუდხაზოვანი სახის. ფოთლის ქვედა ეპიდერმისში წარმოდგენილია განსხვავებული მორფოლოგიუტი ტიპის მარტივი და სეკრეტორული ტრიქომები - კონუსური, 1-3 უჯრედოვანი, ჯირკვლოვანი სფეროსებრთავიანი 1-2 უჯრედოვანი და სფეროსებრი ჯირკვლები. ამასთანავე, ფოთლის აბაქსიალური ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედებში ცხიმის წვეთების არსებობა აისახება (სურ.3-C,D) .

T. nuchense-ს ფოთოლი ბიფაციალური ფორმის, ჰიპოსტომატური, დორზოვენტრალური სტრუქტურისაა. ფოთოლი ორმხრივად შებუსულია მარტივი და ჯირკვლოვანი ბუსუსებით,

ასევე ჯირკვლებით. ბაგეთა განწყობა ეპიდერმული ქსოვილის მიმართებით წამოწეულია (სურ.3-E) .

ფოთლის რბილობის ორივე მხარის მფარავი ქსოვილი ერთრიანია, ადაქსიალური ეპიდერმისის უჯრედები კუტინიზირებული, აბაქსიალური - არა; ზედა ეპიდერმისის უჯრედების ზომა მნიშვნელოვნად აღემატება ქვედა ეპიდერმისის უჯრედებისას. ფოთლის რბილობში აღიბეჭდება ორრიგიანი მესრისებური და ღრუბლისებური პარენქიმის უჯრედთა თითქმის თანაბარი მოცულობის ქსოვილი (სურ.3-E). *T. nuchense*-ს ფოთლის რბილობში დიფე-რენცირებული გამტარი კონა უკუ-კოლატერალური ტიპისაა, შემოსაზღვრულია კოლენქიმური უჯრედების ხალთით. გმტარი კონის მერქანში აღიბეჭდება მერქნის გამტარ ჭურჭელთა სანათურების სიგრძეზე მწყობრი მწკრივები (სურ.3-F); ფოთლის რბილობში არსებული ანასტომოზები სპირალური გარსის გასქელები ხასიათდებიან.

ყვავილი. *T. nuchense*-ს ყვავილის ჯამის ფოთოლაკის განაკვეთის პანორამაზე აისახება ძლიერ შებუსული, მძლავრი მფარავი ქსოვილისა და ერთფეროვანი სტრუქტურის მქონე რბილობი. ჯამის ფოთოლაკის გარეთა მფარავი ქსოვილი აღჭურვილია მარტივი, ერთ- ან ორუჯრედოვანი, კონუსური ბუსუსებითა და სეკრეტორული, სფეროსებრთავიანი ჯირკვლოვანი ტრიქომებით და ჯირკვლებით (სურ.4-A,B). ფოთოლაკის ორივე მხარის მფარავი ქსოვილი ერთუჯრედოვანია და მძლავრად კუტინიზირებული; მის მფარავ ქსოვილში ბაგის აპარატის დიფერენცირება აღიბეჭდება. ჯამის ფოთოლაკის რბილობი ერთფეროვანი, ღრუბლისებრი პარენქიმის მსგავსია და აღჭურვილია სრული და არასრული გამტარი კონებით. სრული გამტარი კონა კოლატერალურია, ხოლო არასრულში მხოლოდ მერქნის ტრაქეალური ელემენტების კუთხოვანგარსიანი სანათურები აისახება (სურ.4-A,B).


T. nuchense-ს ყვავილის გვირგვინის ფურცლის განივი ჭრილის ხედზე აღიბეჭდება ორმხრივ მფარავ ქსოვილს შორის მოქცეული ერთფეროვანი სტრუქტურის რბილობი არასრული გამტარი კონების თანხლებით. ორივე მხრის ეპიდერმული ქსოვილი ერთრიგიანია, თუმცა ზედა მფარავი ქსოვილის უჯრედები კუთხოვანია და მნიშვნელოვნად დიდი ზომის, ვიდრე ქვედა, რომელიც დვრილისებრი ფორმის, მომცრო ზომის უჯრედული სტრუქტურით ხასიათდება (სურ.4-C).

დასკვნა.

შესწავლილია საქართველოს ფლორის, კავკასიის ენდემური სახეობის *Teucrium nuchense* K.Koch-ის, ღამის კუტი ბალახის მიწისზედა გენერაციული და ვეგეტატიური ორგანოების შინაგანი აგებულება. დადგენილია კრიტიკული სახეობის მიკროსტრუქტურული აგებულების სადიაგნოსტიკო მახასიათებლების შემდეგი ერთობლიობა:

- *T. nuchense*-ს ყლორტის მუხლთშორისი აქტიურად შებუსულია მრავალუჯრედიანი კონუსური და სფეროსებრთავიანი ჯირკვლოვანი ტრიქომებით;


- მუხლთშორისის ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედბეი მწყობრად დაგვირისტებულია, სწორხაზოვანი, სუსტად მოხრილკუთხოვანი ფორმის;
- ყლორტის მუხლთშორისის ეპიდერმისი აღჭურვილია ენციკლოციკლური და ტეტრაციკლური ბაგის აპარატით;
- ყლორტის მფარავ ქსოვილში ბაგეთა ერთმანეთის მიმართ განწყობა ქაოტურია, ბაგეთშორისი ხვრელის გათვალისწინებით ფუძემდებარე უჯრედების ანტიკლინალური კედლების მიმართ კი მწყობრი;
- *T. nuchense*-ს მუხლთშორისის მონოციკლური ცენტრალური ცილინდრი შედგება უწყვეტი ფლოემისაგან და ერთფეროვანი ქსილების სტრუქტურული ელემენტებისაგან;
- მერქანში ტრაქეათა და გამტარ ჭურჭელთა სანათურების სიგრძივად მწკრივული ანაწყობები აღიბეჭდება;
- ყლორტის მერქნის ტრაქეალურ ელემენტთა სანათურები ოვალური და სფეროსებრი მოხაზულობისაა, მათი შიდა ღრუ კი სუსტად კუთხოვანი;
- გამტარ ჭურჭელთა სანათურების შიდა გარსის გასქელება სპირალური და რგოლურია, ტრაქეათა გარსი კი ფოროვანი;
- ყლორტის მუხლთშორისის მერქანში რადიალურ სხივთა ერთრიგიანი მწკრივებია დიფერენცირებული;
- *T. nuchense*-ს ფოთოლი ბიფაციალური ფორმის, ჰიპოსტომატური, დორზოვენტრალური სტრუქტურისაა;
- ფოთოლი ორმხრივად შებუსულია მარტივი და ჯირკვლოვანი ბუსუსებით, ასევე ჯირკვლებით;
- *T. nuchense*-ს ფოთლის ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები არადაგვირისტებული, მრუდხაზოვანი და მრუდკედლიანი სტრუქტურისაა;
- ფოთლის ეპიდერმისში დიაციტური ტიპის ქაოტურად განწყობილი ბაგეები ფიქსირდება;
- ბაგეთა მკეტავი უჯრედები ოვალური და სფეროსებრი მოხაზულობისაა, საშუალოდ ფირფიტოვანი ქლოროპლასტებით გამოხატული, ბაგეთშორისი ხვრელი თითისტარისებრია, სატელიტური უჯრედები თხელი, მრუდხაზოვანი მოხაზულობის;
- *T. nuchense*-ს ფოთლის რბილობში დიფერენცირებული გამტარი კონა უკუ-კოლატერალური სტრუქტურისაა; გმტარი კონის მერქანში წარმოდგენილია გამტარ ჭურჭელთა სანათურების სიგრძეზე მწყობრი მწკრივები;
- *T. nuchense*-ს ყვავილის ჯამის ფოთოლაკი შებუსულია კონუსური ბუსუსებით ასევე, სეკრეტორული, სფეროსებრთავიანი ჯირკვლოვანი ტრიქომებით და ჯირკვლებით;
- ფოთოლაკის მფარავ ქსოვილში აღიბეჭდება ბაგეთა არსებობა;
- ჯამის ფოთოლაკის რბილობი ერთფეროვანი სტუქტურისაა, აღჭურვილია სრული და არასრული გამტარი კონებით;
- ფოთოლაკის სრული გამტარი კონა კოლატერალურია, ხოლო არასრულში მერქნის ტრაქეალური ელემენტები აისახება;
- *T. nuchense*-ს ყვავილის გვირგვინის ფურცელი ერთფეროვანი სტრუქტურისაა, არასრული გამტარი კონებით აღჭურვილი.



სურათი 2. *Teucrium nuchense* K.Koch -ის ყლორტის ანატომიური აგებულებია

A. ყლორტის მუხლთშორისის სტრუქტურის პანორამა განივ და B. სიგრძლივ ექსპოზიციაში; C. მუხლთშორისის ძირითადი სტრუქტურული ელემენტების ფრაგმენტი; D., E. ბუსუსები; F. ეპიდერმული ქსოვილის პანორამა; G. მფარავი და მექანიკური ქსოვილების ფრაგმენტი; H., I. მუხლთშორისის ცენტრალური ცილინდრის ფრაგმენტი განივ და სიგრძლივ ექსპოზიციაში


1. კონუსური და 2. ჯირკვლოვანი ბუსუსები; 3. კუტინიზირებული ეპიდერმისი; 4. ეპიდერმისის სწორხაზოვანი ფუძემდებარე უჯრედები; 5. ენციკლოციკლური ბაგე; 6. კოლენქიმა; 7. ქლორენქიმა; 8. პარენქიმული ქსოვილი; 9. პერიციკლური ბოჭკოები; 10. მლაფანი; 11. მერქანი; 12. ტრაქეა; 13. გამტარი ჭურჭლები; 14. რადიალური სხივი; 15. სპირალური, 16. რგოლური და 17. ფოროვანი გამტარი ჭურჭლები; 18. პერიმედულარული და 19. მედულარული უჯრედები



სურათი 3. *Teucrium nuchense* K.Koch -ის ფოთლის ანატომიური აგებულებია

A., B. ადაქსიალური ეპიდერმისის ფრაგმენტები; C., D. აბაქსიალური ეპიდერმისის ფრაგმენტები; E. ფოთლის რბილობის და F. მთავარი ძარღვის ფრაგმენტი

1. მე-2 რიგის მრუდკედლიანი ფუძემდებარე უჯრედი; 2. 1-ლი რიგის მრუდკედლიანი ფუძემდებარე უჯრედი; 3. ბუსუსის გადანაჭერის კვალი; 4. კონუსური ბუსუსი; 5. ჯირკვალი; 6. დიაციტური ბაგე; 7. მკეტავი უჯრედები; 8. თითისტარისებრი ბაგეთშორისი ხვრელი; 9. ბაგის სატელიტური უჯრედები; 10. ზედა ეპიდერმი; 11. ქვედა ეპიდერმისი; 12. მესრისებური პარენქიმა; 13. ღრუბლისებური პარენქიმა; 14. სპირალური ანასტომოზი; 15. კოლენქიმური ქსოვილი; 16. უკუ-კოლატერალური გამტარი კონა; 17. მერქანი; 18. ლაფანი



სურათი 4. *Teucrium nuchense* K.Koch -ის ყვავილის ანატომიური აგებულებია
A., B. ჯამის ფოთოლაკის სტრუქტურის პანორამა; C. გვირგვინის ფურცლის სტრუქტურის პანორამა
1. კონუსური და 2. ჯირკვლოვანი ბუსუსუ; 3. ჯირკვალი; 4. კუტინიზირებული ეპიდერმისი; 5. დვრილისებრი ეპიდერმისის უჯრედები; 6. ბაგის აპარატი; 7. ერთფეროვანი რბილობი; 8. სრული კოლატერალური გამტარი კონა; 9. არასრული გამტარი კონა; 10. მერქნის ტრაქეალური უჯრედები

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. კორკოტაძე, “ტუჩოსანთა ოჯახის საქართველოში მოზარდი ზოგიერთი სახეობის ფარმაკოგნოსტური კვლევა”; დისერტაცია, თბილისი 2023, გვ.46-47;
2. საქართველოს ფლორა ტ. XI; გამომცემლობა „მეცნიერება“,თბილისი 1987; გვ.16,27-8,33-34;
3. საქართველოს ფლორის ნომენკლატურული ნუსხა; გამომცემლობა „უნუვერსალი“, თბილისი 2018, გვ.165-173;
4. ჯ. კუჭუხიძე რ. გაგნიძე, ც. ღვინიაშვილი მ. ჯოხაძე, საქართველოს ფლორის ენდემური ყვავილოვანი მცენარეები; თბილისი 2016, გვ.53-54;
5. Н.А. Анели; Атлас эпидермы листа; издательство «Мецниереба», Тбилиси 1975; ст.36-37;
6. E. Sezik et al., “Traditional medicine in Turkey X. Folk medicine in Central Anatolia”; Journal of Ethnopharmacology, 2001, v. 75, p-95-115;
7. G. Çeliket et al., “Biological activity, and volatile and phenolic compounds from five Lamiaceae species”; Flavour and Fragrance Journal, v. 36, (2), 2021, p. 223–232; doi: 10.1002/ffj.3636
8. https://www.worldfloraonline.org/search?query=Lamiaceae&view=&limit=24&start=0&sort=&facet=taxon.family_ss%3aLamiaceae&facet=taxon.taxonomic_status_s%3aAccepted&facet=base.class_s%3aorg.emonocot.model.Taxon
9. https://www.worldfloraonline.org/search?query=Teucrium&view=&limit=24&start=0&sort=&facet=taxon.subtribe_ss%3a&facet=taxon.family_ss%3aLamiaceae&facet=taxon.tribe_ss%3a&facet=taxon.subfamily_ss%3a&facet=taxon.taxonomic_status_s%3aAccepted&facet=base.class_s%3aorg.emonocot.model.Taxon
10. K. Carović-Stankoet et al., “Medicinal plants of the family Lamiaceae as functional foods – a review,” Czech J. Food Sci., vol. 34 (5), pp. 377–390, 2016, doi: 10.17221/504/2015-CJFS;
11. L. R. Ramos da Silvaet al., “Lamiaceae Essential Oils, Phytochemical Profile, Antioxidant, and Biological Activities,” Evidence-Based Complementary and Alternative Medicine, vol. 2021, pp. 1–18, Dec. 2021, doi: 10.1155/2021/6748052;
12. Milan Stankovic, Lamiaceae Species Biology, Ecology and Practical Uses; Plants 2018, 7, 19; doi:10.3390/plants7010019, DOI:10.3390/books978-3-03928-419-1 ;
13. P.Aksoy-Sagirlia et al. - In vitro antioxidant activity, cyclooxygenase-2, thioredoxin reductaseinhibition and DNA protection properties of Teucrium sandrasicum L.; Industrial Crops and Product; 2015, V. 74, p.545-550

Features of the anatomical structure of the above-ground generative and vegetative organs of the Caucasian endemic plant Teucrium nuchense K.Koch (Labiatae)

Mchedlidze Ketevan*, Jinjolia Liana, Korkotadze Teona, Aneli Jemal

Iovel Kutateladze Institute of Pharmacochemistry

Abstract

The anatomical structure of the above-ground generative and vegetative organs of the Caucasus endemic, *Teucrium nuchense* K.Koch, the representative of Georgian flora, a rich source of biologically active substances, has been studied. Key diagnostic features of the anatomical structure of this promising medicinal plant has been identified using plant microtechnique, in particular camera method.

The basal cells of the internodal epidermis of the shoot of *T. nuchense* are arranged in a linear, slightly curved-angular structure, equipped with an encyclocyclic and tetracyclic type of stoma apparatus; The stomatal complexes exhibit a chaotic spatial arrangement each other. The monocyclic central cylinder of the internodal shoot consists of continuous phloem and congenerous xylem structural elements; longitudinally arranged rows of tracheal and vascular lumens are visible in the wood; the gap of the tracheal elements of the wood of shoot are oval and spherical in shape, and their internal cavity is slightly angular; the thickening of inner membrane of the conducting vessels is spiral and annular, and the tracheal membrane is porous; In the wood, single rows of radial rays are differentiated.

The leaf of *T. nuchense* is bifacial, hypostomatic, dorsoventral in structure; the leaf is covered with simple and glandular villi, as well as glands, on both sides; the basal cells of the leaf epidermis are non-serrated, curved and curved-walled in structure, equipped with chaotically arranged stomata of the diacytic type. The differentiated vascular bundle in the leaf pulp is characterized by a reverse-collateral structure.

The sepal of the flower of *T. nuchense* is covered with conical villi as well as secretory, Spheroidal glandular trichomes and glands; the stomata are imprinted in the covering tissue of the leaf; the pulp of the sepal is monochromatic and equipped with complete - collateral and incomplete - tracheal elements of the wood, vascular bundles. The corolla petal of *T. nuchense* is also uniform in structure and the differentiated vascular bundles in it are incomplete.

Key words: *Teucrium nuchense* K.Koch; shoot; leaf; anatomy; diagnostic features; flora of Georgia.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.58



Solanum persicum Willd. ex Roem. et Schult.-ის მიწისზედა ვეგეტატიურ ორგანოთა ანატომიური აგებულება

მჭედლიძე ქეთევანი[1*], ბენიძე მარიამი[2], ნებიერიძე ვაჟა[2], საყვარელიძე ნათია[2], ბულისკერია ნანული[2], ქემერტელიძე ეთერი[2]

[1]თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი, ფიტოქიმიის ს/კ დეპარტამენტი, ფარმაკობოტანიკის მიმართულება 593-580-027, k.mchedlidze@tsmu.edu

[2]თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი, ფიტოქიმიის ს/კ დეპარტამენტი, სტეროიდული შენაერთების მიმართულება

რეზიუმე

შესწავლილია საქართველოს ფლორის, როგორც ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მდიდარი წყაროს *Solanum persicum* Willd. ex Roem. et Schult.-ის მიწისზედა ვეგეტატიურ ორგანოთა ანატომიური აგებულება. მიკროტექნიკაში მიღებული კამერალური მეთოდებით კვლევის შედეგად გამოვლენილია პერსპექტიული სამკურნალო მცენარის შინაგანი აგებულების სადიაგნოსტიკო მახასიათებლები.

S. persicum-ის ყლორტის მუხლთშორისი აქტიურად შებუსულია ერთ ან მრავალუჯრედიანი კონუსური და მოკაუჭებული ტრიქომებით. მუხლთშორისის მფარავი ქსოვილის ფუძემდებარე უჯრედები მწყობრად დაგვირისტებული, სწორხაზოვანი და კუთხოვანი ფორმისაა. ყლორტის ქერქში პარენქიმულ უჯრედებს სკლერიფიცირების ტენდენცია აღენიშნებათ. ლაფნის ბოჭკოთა სანათურები მომცრო კალიბრის, სქელგარსიანი, ოვალური მოხაზულობისაა, მათი შიდა გარსი კი ბლაგვკუთხოვანი კონფიგურაცის. *S. persicum*-ის ღერძითი ორგანოს ტრანზიტორული სისტემა მონოციკლურია; მუხლთშორისის გამტარი ქსოვილი წარმოდგენილია ლაფნის, კამბიუმისა და მერქნის ერთიანი ცილინდრის სახით; მერქანში დიფერენცირებულია მერქნის ტრაქეიდების და გამტარი ჭურჭლების სანათურები, ერთრიგიანი რადიალური სხივები, მერქნის პარენქიმული და კოლენქიმური უჯრედები; ტრაქეიდების სანათურთა შიდა გარსის მოხაზულობა სფეროსებრია, გამტარ ჭურჭელთა სანათურების კი ოვალური; ტრაქეიდების გარსის გასქელება მორიგეობით ფოროვანია, ხოლო გამტარ ჭურჭელთა - სპირალური. *S. persicum*-ის მედულარული ქსოვილი ობლიტერირებულია და სახეზეა მხოლოდ პერიმედულარული ქსოვილის პოლიგონალური უჯრედები. *S. persicum*-ის ფოთოლი ბიფაციალური ფორმისაა, დორზოვენტრალური, ამფისტომატური სტრუქტურის; ფოთოლი შებუსულია ორივე მხარეს კონუსური, გრძელი გაფარჩხული ბუსუსებით და სფეროსებრთავიანი ჯირკვლოვანი ტრიქომებით; ფოთლის ადაქსიალური და აბაქსიალური ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები ხასიათდება

არადაგვირისტებული მრუდხაზოვანი და მრუდკედლიანი აგებულებით; ფოთლის მფარავ ქსოვილში დიფერენცირებულია ანომოციტური და ანისოციტური ტიპის ბაგეები; ბაგის მკეტავი უჯრედები თანაბრად გარსგასქელებულია, ბაგეთშორისი ხვრელი თითისტარისებრი მოხაზულობის. *S. persicum*-ის ფოთლის გამტარი ქსოვილი უკუ-კოლატერალურია, მერქნის ანასტომოზების გარსი სპირალურად გარსგასქელებული. *S. persicum*-ის ფოთლის ყუნწი (მეზოპეციოლი) ინტენსიურად შებუსულია კონუსური სხვადასხვა სიგრძის ბუსუსებით და სფეროსებრთავიანი ჯირკვლოვანი ტრიქომებით; ფოთლის ყუნწის ძირითადი ქსოვილი თხელგარსიანი, პოლიგონალური სტრუქტურისაა და ცენტრში უჯრედული ქსოვილის ობლიტერაცია ახასიათებს; *S. persicum*-ის ფოთლის ყუნწის გამტარი ქსოვილი ღია-კოლატერალური სტრუქტურისაა; ფოთლის ყუნწის მერქანში გამტარი ჭურჭლების სანათურები ოვალური და კუთხოვანია, ახასიათებთ სიგრძეზე მწყობრ მწკრივებად დიფერენცირება და მათი შიდა გარსის გასქელება სპირალურია.

საკვანძო სიტყვები: Solanum persicum Willd. ex Roem. et Schult.; ანატომია; სადიაგნოსტიკო მახასიათებლები; საქართველოს ფლორა.


შესავალი

ძაღლყურძენისებრთა, *Solanaceae* Juss.-ის ოჯახი ბალახოვან, ბუჩქოვან, ზოგჯერ ეკლიან, შხამიან, ალკალოიდების შემცველ მცენარებს აერთიანებს. საქართველოს ფლორა მოიცავს ძაღლყურძენისებრთა ოჯახის 10 გვარში გაერთიანებულ 26 სახეობას [4,8]. *Solanum* L.-ის, ძაღლყურძენას გვარის მცენარეები ცნობილია, როგორც ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მდიდარი წყარო. მათგან ბოლო 30 წლის განმავლობაში იზოლირებული და იდენტიფიცირებულია 670 - მდე ნივთიერება, მათი ძირითადი ნაწილი მოდის სტეროიდულ საპონინებზე, ასევე დადგენილია სტეროიდული ალკალოიდები, პრეგნანული გლიკოზიდები, ფლავონოიდები, ლიგნანები, სტერინები, კუმარინები, ცხიმოვანი მჟავები და სხვა ნივთიერებები [6].

მსოფლიოს სუბტროპიკულ და ტროპიკულ რეგიონებში ძაღლყურძენას 2000-მდე სახეობაა აწერილი. მათი სტეროიდული საპონინები ძირითადად წარმო-დგენილია ტიგოგენინის - (25 R) - 5α -სპიროსტან - 3β -ოლი, დიოსგენინის - (25 R)- 5 - ენ -სპიროსტან - 3 β - ოლი, ქლოროგენინის -(25 R)- 5α- სპიროსტან -3β,6α - დიოლი, ნეოქლოროგენინის - (25 S) - 5α - სპიროსტან - 3β, 6α -დიოლის ნაწარმებით. მათგან მიღებული სტეროიდული გლიკოზიდებისათვის დადგე-ნილია შემდეგი ფარმაკოლოგიური მოქმედებები: ანთების საწინააღმდეგო, სიცხის დამწევი, ჰიპოტენზური, ჰიპოგლიკემიური, ანტიფუნგალური, აფროდიზიაკური, ჰიპოქოლესტერინემული, სიმსივნის საწინააღმდეგო და სხვა [5,6,7]. ძველი ქართული ტრადიციული მედიცინის მონაცემებით სამკურნალოდ გამოიყენებოდა ძაღლურძენას ფოთლებიდან და ყვავილებიდან მომზადებული საშუალებები ნერვული დაავადებების დროს, ასევე ტკივილგამაყუჩებლად [1,2,3].

აქტუალურია ძაღლყურძენას სახეობათა კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით შესწავლა, ახალი ნივთიერებების გამოვლენასა და მათი ბიოლოგიური აქტივობის შეფასების თვალსაზრისით. ადგილობრივი ფლორის *Solanum persicum* Willd. ex Roem. et Schult-ის

მიწისზედა ნაწილებიდან მიღებული სპირტ-წყლიანი ექსტრაქტის ფრაქციონირებით ძირითადად ფუროსტანოლური გლიკოზიდების შემცველობა აღინიშნება. თხელფენოვანი ქრომატოგრაფიული ანალიზით გამხსნელთა სხვადასხვა სისტემაში საპოგენინების მოწმეების თანაობისას დადგენილია ტიგოგენინი - (25R) -5α- სპიროსტან -3β- ოლი და სმილაგენინი - (25R) - 5β - სპიროსტან - 3β -ოლი. მცენარიდან მიღებული სტეროიდული გლიკოზიდები ავლენს ანტიოქსიდანტურ აქტიობას.



სურათი 1. *S. persicum* ჰერბარიუმის ნიმუში

ბუნებრივი ნაერთების ბიოლოგიური, სპეციფიკური აქტივობის გამოვლენისათვის კამერალური კვლევების საფუძველს კრიტიკულ სახეობათა მაკრო- და მიკრომორფოლოგიური თავისებურებებისა და ანატომიური აგებულების სადიაგნოსტიკო მახასიათებლების დადგენა განაპირობებს. შესაბამისად, კვლევის მიზანს ადგილობრივი ფლორის, პერსპექტიული სამკურნალო მცენარის *Solanum persicum* Willd. ex Roem. et Schult-ის მიწისზედა ვეგეტატიური ორგანოების მიკროსტრუქტურული აგებულების შესწავლა წარმოადგენდა, რათა კვლევის შედეგები საფუძვლად დაედოს ფუნდამენტური ცნობარების, სამეცნიერო ნაშრომების შედგენას.

S. persicum-ი ერთწლოვანი 3 მ-დე სიმაღლის ძლიერ დატოტვილი ნახევრად ბუჩქია, ძირში გახევებული, მხოხავი ღეროებით. მისი ფოთლები ყუნწიანია, 11-14 სმ სიგრძის და 5-6 სმ სიგანის, მოგრძო კვერცხისებრი, ბოლოწაწვეტებული, თითქმის კიდემთლიანი ფორმის. ყვავილის გვირგვინი სოსანია 16-18 მმ დიამეტრის, 5- ლანცეტა ფორმის გადაკეცილი ნაკვთით. 15-დან 40-მდე ყვავილი შეკრებილია დაკიდებულ ქოლგისმაგვარ საგველად; საყვავილე ყუნწები გრძელი ახასიათებს და იგი ხშირად მოფენილია მიტკეცილი ბეწვით. ნაყოფი 6-9 მმ დიამეტრის, წითელი ფერისაა, კვერცხისებრი ფორმის [4].

S. persicum-ი გვხვდება თითქმის ალპურ სარტყლამდე, ტენიან ხეობებში, ბუჩქნარებში, მდინარეთა ნაპირებზე, ბაღებსა და ბოსტნებში. მისის საერთო გავრცელება მოიცავს აღმოსავლეთ ევროპას, შუა აზიას, მცირე აზიას, აღმოსავლეთ ანატოლიას, ირანს, ამიერკავკასიას, სომხეთსა და აზერბაიჯანს. საქართველოში კი იგი თითქმის ყველა ფლორისტულ რაიონშია გავრცელებული [4].

მასალა და მეთოდიკა.

პერსპექტიული სამკურნალო მცენარის *S. persicum*-ის საკვლევი ნიმუში მოპოვებულია ქართლის ფლორისტულ რაიონში - N41.960048^0 E044.136361^0, H-620m-ზე, 2022 წელს. საექსპერიმენტო ნედლეულის ნიმუში დაცულია თსსუ ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ჰერბარიუმში TBPH-22335 (სურ. 1.). საანალიზო მცენარის მიწისზედა

ვეგეტატიური ორგანოების ცენტრალური არეებიდან აღებული საპრეპატარო ნიმუშთა განივი, სიგრძივი და ზედაპირული ანათლები დამზადდა ცოცხალი დაუფიქსირებელი მასალიდან ბასრი სამართებლის საშუალებით, საკვლევი მასალა შეიღება საფრანინის ხსნარში 24 სთ-ის განმავლობაში და მოთავსდა გლიცერინიან გარემოში სასაგნე მინაზე. კვლევის ობიექტთა მიკროტექნიკური კვლევა წარმოებდა სინათლის Carl Zeiss, Jeneval-ის მიკროსკოპზე; ფოტოდოკუმენტალური მასალა დაფიქსირდა ციფრული ფოტოაპარატის (Canon Digital IXUS75) საშუალებით და გრაფიკულად დამუშავდა Adobe Photoshop CS5 -ის პროგრამაში.

კვლევის შედეგი.

ყლორტი. *S. persicum*-ის ყლორტის მუხლთშორისის განაკვეთი არასიმეტრიული, ოვალური მოხაზულობის, არაერთგვაროვნად კიდეებიანი ფორმისაა; ყლორტი ინტენსიურადაა შებუსული ერთ და მრავალუჯრედიანი კონუსური და ზოგჯერ მოკაუჭებული ტრიქომებით. ღერძითი ორგანოს ჭრილზე აღიბეჭდება მკვეთრად ძლიერი მფარავი ქსოვილი, აქტიური ქერქის პარენქიმა, ცენტრალური ცილინდრში დიფერენცირებული ტრანზიტორული სისტემის სარტყელი და ობლიტერირებული მედულარული ქსოვილი (სურ.2, A).

S. persicum-ის მუხლთშორისის მფარავი ქსოვილის აქტიური შებუსვა ართულებს ფუძემდებარე ქსოვილის სტრუქტურული ელემენტების მკვეთრ აღქმას; მიუხედავად ამისა დასაბუთებულად შეიძლება აღინიშნოს, რომ ფუძემდებარე უჯრედები მწყობრად დაგვირისტებული არქიტექტონიკის, სწორხაზოვანი და კუთხოვანია(სურ.2, F). *S. persicum*-ის ყლორტის მფარავი ქსოვილი კუტინიზირებულია, წარმოდგენილია ორრიგად განწყობილი, სქელგარსიანი, კუთხოვანი, მჭიდროდ ურთიერთ განლაგებული ეპიდერმისის ქსოვილი, რომელსაც ჯერ ქლორენქიმის ორრიგიანი არე, შემდგომ ფირფიტოვანი კოლენქიმის სამ რიგად დიფერენცირებული ქსოვილი და ქერქის პარენქიმა მოსდევს. მნიშვნელოვანია, რომ ქერქის პარენქიმას სტრუქტურული ერთეულების სკლერიფიცირების ტენდენცია აღენიშნება; შესამჩნევია, ასევე ლაფნის ბოჭკოების დიფერენცირება. ბოჭკოთა სანათურები მომცრო კალიბრისანი არიან, სქელ-გარსიანი, რადიალურად ოვალური მოხაზულობის, ხოლო მათი შიდა გარსი ბლაგვკუთხოვანი კონფიგურაციით აღიბეჭდება (სურ.2, B).

S. persicum-ის ღერძით ორგანოს ტრანზიტორული სისტემა მონოციკლურია, წარმოდგენილია აქტიური ლაფნის, კამბიუმისა და მერქნის ერთიანი ცილინდრით. მუხლთშორისის გამტარი ქსოვილის მერქანში დიფერენცირებულია მერქნის ტრაქეიდიბის, მცირედკალიბრიან სანათურთა ბადისებრი ქსოვილი და გამტარ ჭურჭელთა დიდი და საშუალოდკალიბრიანი სანათურები. ტრაქეიდების სანათურთა შიდა გარსის მოხაზულობა უმეტესწილად სფეროსებრია, ხოლო გამტარ ჭურჭელთა სანათურები ოვალური მოხაზულობის; მათი ურთიერთგანლაგება ჯგუფური ან სიგრძეზე მწყობრია. ტრაქეიდების გარსის გასქელება მორიგეობით ფოროვანია, ხოლო გამტარ ჭურჭელთა - სპირალური. მერქანში აღიბეჭდება ერთრიგიანი რადიალური სხივები; მერქნის პარენქიმული და კოლენქიმური უჯრედები ცენტრალური ცილინდრის პერიმედულარულ ქსოვილს ესაზღვრება. ძაღლყურძენას მედულა ობლიტერირებულია და სახეზეა მხოლოდ

პერიმედულარული ქსოვილის მეტ-ნაკლებად მჭიდრო სტრუქტურის, მომცრო ზომის პოლიგონალური უჯრედებით (სურ. 2, A,C,D).


ფოთოლი. *S. persicum*-ის ფოთოლი შებუსულია ორივე მხარეს კონუსური (1-6), გრძელი გაფარჩხული ბუსუსებით, ასევე მთავარი ძარღვის არეში ფიქსირდება სფეროსებრთავიანი ჯირკვლოვანი ტრიქომების არსებობაც. ფოთლის ზედა და ქვედა ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები არადაგვირისტებული მრუდხაზოვანი და მრუდკედლიანია; ბაგის აპარატი ორგვარია: ანომოციტური და ანისოციტური. ბაგის მკეტავი უჯრედები თანაბრად გარსგასქელებულია, ბაგეთშორისი ხვრელი კი თითისტარისებრი მოხაზულობის. კრიტიკული სახეობის ფოთოლი ბიფაციალურია, მეზოფილი დორზოვენტრალური სტრუქტურის, ბაგეების განლაგების მიხედვით - ამფისტომატური. ფოთლის ეპიდერმისის ქსოვილი ერთრიგიანი, სქელგარსიანი და კუტინიზირებულია, ბაგეთა განწყობა ეპიდერმისის ქსოვილთან მიმართებაში თანაბარია. მესრისებური პარენქიმა ერთრიგიანია, მაგრამ მისი უჯრედების ანტიკლინარული კედლები მნიშვნელოვნად წაგრძელებულია და ფოთლის რბილობის მოცულობის თითქმის ნახევარს მოიცავს; ღრუბლისებური უჯრედები 3-4 რიგადაა განლაგებული და თხელგარსიანი, ტანგენტალურად გადაჭიმული ფაშარი ურთიერთ განლაგებით აისახებიან. ფოთლის გამტარი ქსოვილი უკუ-კოლატერალურია, მერქნის ანასტომოზების გარსი სპირალურად გარსგასქელებული (სურ.3 A,B,C) .

S. persicum-ის ფოთლის ყუნწის (მეზოპეციოლი) განივი ჭრილი ოვალური მოხაზულობისაა და ორი მიტკეჩილი ფრთა აღენიშნება; მისი მფარავი ქსოვილი ერთრიგიანი, მომცრო ზომის, აქტიურად კუტინიზირებულია და ინტენსიურად შებუსულია კონუსური ძალზე მომცრო და გრძელი მრავალუჯრედიანი ბუსუსებით, ასევე სფეროსებრთავიანი ჯირკვლოვანი ტრიქომებით. მფარავ ქსოვილს ქლორენქიმის ორიგიანი უჯრედები მოსდევს, რომელსაც შემდგომ ფირფიტოვანი ტიპის კოლენქიმური უჯრედების ერთი ან ორი წყება ეკვრის. ფოთლის ყუნწის ძირითადი ქსოვილი თხელგარსიანი, პოლიგონალური სტრუქტურისაა და ცენტრში უჯრედული ქსოვილის ობლიტერაცია ახასიათებს. ცენტრალური ტრანზიტორული ქსოვილის მოხაზულობა რკალისებრია, ხოლო ფრთებში დიფერენცირებული თითო-თითო მომცრო დიამეტრის გამტარი კონა სფეროსებრი. ძირითადი გამტარი ქსოვილი ღია-კოლატერალურია. მერქნის გამტარი ჭურჭლების სანათურები ოვალური და კუთხოვანია, ახასიათებთ სიგრძეზე მწყობრ მწკრივებად განლაგება და მათი გარსის გასქელება სპირალურია. მერქნის ტრაქეალურ ელემენტებს შორის ერთრიგიანი რადიალური სხივებია განლაგებული. ფოთლის ყუნწის გამტარი ქსოვილის კიდეზე კი მერქნის პარენქიმული და მექანიკური ტიპის უჯრედებია დიფერენცირებული (სურ.4).

დასკვნა.

შესწავლილია საქართველოს ფლორის, პერსპექტიული სამკურნალო მცენარის *Solanum persicum* Willd. ex Roem. et Schult-ის მიწისზედა ვეგეტატიური ორგანოების ანატომიური აგებულების თავისებურებანი. დადგენილია კრიტიკული სახეობის მიკროსტრუქტურული აგებულების სადიაგნოსტიკო მახასიათებლების შემდეგი ერთობლიობა:


- *S. persicum*-ის ყლორტის მუხლთშორისი აქტიურად შებუსულია ერთ ან მრავალუჯრედიან კონუსური და ზოგჯერ მოკაუჭებული ტრიქომებით;
- მუხლთშორისის მფარავი ქსოვილის ფუძრმდებარე უჯრედები მწყობრად დაგვირისტებულია, სწორხაზოვანი და კუთხოვანი ფორმის;
- ყლორტის ქერქში პარენქიმულ უჯრედებს სკლერიფიცირების ტენდენცია აღენიშნება;
- ლაფნის ბოჭკოთა სანათურები მომცრო კალიბრის, სქელ გარსიანი, ოვალური მოხაზულობისაა, მათი შიდა გარსი კი ბლაგვკუთხოვანი კონფიგურაციის;
- *S. persicum*-ის ღერძითი ორგანოს ტრანზიტორული სისტემა მონოციკლურია;
- მუხლთშორისის გამტარი ქსოვილი წარმოდგენილია ლაფნის, კამბიუმისა და მერქნის ერთიანი ცილინდრით;
- მერქანში დიფერენცირებულია მერქნის ტრაქეიდიბის და გამტარ ჭურჭელთა სანათურები, ერთრიგიანი რადიალური სხივები, მერქნის პარენქიმული და კოლენქიმური უჯრედები;
- ტრაქეიდების სანათურთა შიდა გარსის მოხაზულობა სფეროსებრია, გამტარ ჭურჭელთა სანათურების კი ოვალური;
- ტრაქეიდების გარსის გასქელება მორიგეობით ფოროვანია, ხოლო გამტარ ჭურჭელთა - სპირალური;
- *S. persicum*-ის მედულარული ქსოვილი ობლიტერირებულია და სახეზეა მხოლოდ პერიმედულარული ქსოვილის პოლიგონალური უჯრედები;
- *S. persicum*-ის ფოთოლი ბიფაციალური ფორმისაა, დორზოვენტრალური, ამფისტომატური სტრუქტურის;
- ფოთოლი შებუსულია ორივე მხარეს კონუსური, გრძელი გაფარჩხული ბუსუსებით და სფეროსებრთავიანი ჯირკვლოვანი ტრიქომებით;
- ფოთლის ადაქსიალური და აბაქსიალური ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები ხასიათდება არადაგვირისტებული მრუდხაზოვანი და მრუდკედლიანი აგებულებით;
- ფოთლის მფარავ ქსოვილში დიფერენცირებულია ანომოციტური და ანისოციტური ტიპის ბაგეები;
- ბაგის მკეტავი უჯრედები თანაბრად გარსგასქელებულია, ბაგეთშორისი ხვრელი თითისტარისებრი მოხაზულობის;
- *S. persicum*-ის ფოთლის გამტარი ქსოვილი უკუ-კოლატერალურია, მერქნის ანასტომოზების გარსი სპირალურად გარსგასქელებული
- S. persicum-ის ფოთლის ყუნწი (მეზოპეციოლი) ინტენსიურად შებუსულია კონუსური სხვადასხვა სიგრძის ბუსუსებით და სფეროსებრთავიანი ჯირკვლოვანი ტრიქომებით;
- ფოთლის ყუნწის ძირითადი ქსოვილი თხელგარსიანი, პოლიგონალური სტრუქტურისაა და ცენტრში უჯრედული ქსოვილის ობლიტერაცია ახასიათებს;
- S. persicum-ის ფოთლის ყუნწის გამტარი ქსოვილი ღია-კოლატერალური სტრუქტურისაა;
- ფოთლის ყუნწის მერქანში გამტარი ჭურჭლების სანათურები ოვალური და კუთხოვანია, ახასიათებთ სიგრძეზე მწყობრ მწკრივებად დიფერენცირება და მათი შიდა გარსის გასქელება სპირალურია



სურათი 2. *S. persicum*-ის ყლორტის მუხლთშორისის ანატომიური აგებულება

A. ყლორტის სტრუქტურის პანორამა; B. ყლორტის ფრაგმენტი; C. მერქნის ტრაქეალური ქსოვილის მონაკვეთი; D. გამტარი ქსოვილის ფრაგმენტი ტანგენტალური ჭრილზე; E. პერიმედულარული უჯრედებისა და F. ეპიდერმისის ფუძემდებარე ქსოვილის ფრაგმენტები


1. ეპიდერმისი; 2. კონუსური ბუსუსები; 3. ქლორენქიმა; 4. კოლენქიმა; 5. ქერქის პარენქიმა; 6. ლაფნის სქელგარსიანი ბოჭკოები; 7. ლაფანი; 8. კამბიუმი; 9. მერქანი; 10. ტრაქეიდას და 11. გამტარ ჭურჭელთა სანათურები; 12. მერქნის რადიალური სხივები; 13. მერქნის პარენქიმული და 14. სკლერენქიმური უჯრედები; 15. პერიმედულარული უჯრედები; 16. სპირალურად გარსგასქელებული გამტარი ჭურჭლები; 17. ფოროვანი ტრაქეიდები



სურათი 3. *S. persicum* -ის ფოთლის ანატომიური აგებულება

A. ფოთლის დორზოვენტრალური მეზოფილის ფრაგმენტი; B. ფოთლის ზედა და ; C. ქვედა ეპიდერმისის ფუძემდებარე ქსოვილის ფრაგმენტები

1. კონუსური ბუსუსი; 2. ეპიდერმისი; 3. მესრისებური და 4. ღრუბლისებური პარენქიმა; 5. ანასტომოზი; 6. ეპიდერმისის მრუდხაზოვანი და მრუდკედლიანი ფუძემდებარე უჯრედები; 7. ანომოციტური და 8. ანისოციტური ბაგე



სურათი 4. *S. persicum* -ის ფოთლის ყუნწის (მეზოპეციოლი) ანატომიური აგებულება

A. ყუნწის სპრუქტურის პანორამა; B. გამტარი ქსოვილის ფრაგმენტი; C. სფეროსებრთავიანი ჯირკვლოვანი ბუბუსი

1. ეპიდერმისი; 2. ბუსუსები' 3. ქლორენქიმა; 4. კოლენქიმა; 5 ძირითადი პოლიგონალური პარენქიმა; 6. ლაფანი; 7. ლაფნის ბოჭკოები; 8. მერქნის გამტარ ჭურჭელთა სანათურები; 9. რადიალური სხივები 10. მერქნის პარენქიმული და 11. სკლერენქიმული უჯრედები

ლიტერატურა:

1. დავით ბაგრატიონი. იადიგარ დაუდი . „საბჭოთა საქართველო“, 1985, გვ.741;
2. ზაზა ფანასკერტელ - ციციშვილი. სამკურნალო წიგნი - კარაბადინი. თბილისი, „მეცნიერება“, 1986 წ., ტ.1, 259გვ.; ტ.2, გვ. 1006;
3. ნ.წუწუნავა. საქართველოს სამკურნალო მცენარეები.“საბჭოთა საქართველო“ 1960, გვ.260;
4. საქართველოს ფლორა ტ.XII, გამომცემლობა „ მეცნიერება“, თბილისი 1999; გვ.41-42;
5. Ikeda Ts., Tsumagari H., Honku T.,Nohara T. Cytotoxic activity of steroidal glycosides from Solanum plants. Biological Pharmaceutical Bulletin. 2003,26, 8, p.1198-1201.

6. Joseph Sakah Kaunda, Ying-Jun Zhang. The genus Solanum: an ethnopharmacological, phytochemical and biological properties. Review. Natural Products and Bioprospecting. 2019, 9, p. 77-137;
7. Limin Xiang, Yihai Wang, Xiaomin Yi, Xiangjiu He. Anti- inflammatory steroidal glycosides from the berries of Solanum nigrum L. Phytochemistry, 2018, 148, Apr., p.87-96;
8. R. Gagnidze - Vascular plants of Georgia a nomenclatural checklist; Tbilisi 2005, p. 141

The anatomical structure of aboveground vegetative organs of Solanum persicum Willd. ex Roem. et Schult.

K.Mchedlidze, M.Benidze, V.Nebieridze, N.Sakvarelidze, N.Buliskeria. E.Kemertelidze

Iovel Kutateladze Institute of Pharmacochemistry

Abstract

The anatomical structure of *Solanum persicum*'s from Georgia's flora aboveground vegetative organs was studied using microtechnic methods, identifying key diagnostic markers for its medicinal potential. Shoot internodes bear unicellular conical/hooked trichomes, with linear/angular basal epidermal cells. Cortex parenchyma cells exhibit sclerotization. Phloem fibers have small, thick-walled, oval lumens with blunt inner edges. The monocyclic vascular system features a single cylinder of lamina, cambium, and xylem; xylem includes tracheids and vessels with oval/spherical lumens, single-row radial rays, and collenchyma. Tracheid membranes show alternately porous thickening, while vascular vessels have spiral thickenings. Medullary tissue is obliterated, leaving perimedullary polygonal cells.

Leaves are bifacial, dorsoventral, and amphistomatic, densely covered with conical bristles and spherical-headed glandular trichomes on both surfaces. Adaxial/abaxial epidermal cells have curved, non-segmented walls. Stomata include anomocytic and anisocytic types, with evenly thickened guard cells and gramineous pores. Leaf vascular tissue is reverse-collateral; xylem sheaths display spiral thickening.

The petiole is densely covered with variable-length conical bristles and glandular trichomes. Its primary tissue comprises thin-walled polygonal cells with central obliteration. Vascular tissue is reverse-collateral; xylem vessels have oval/angular lumens characterized by differentiation into longitudinal rows, with spiral inner layer thickening.

This detailed anatomical profile highlights structural adaptations and specialized cell/tissue features, providing critical diagnostic criteria for identifying and utilizing *S. persicum*.

Keywords: *Solanum persicum* Willd. ex Roem.et Schult. anatomy; diagnostic markers; flora of Georgia.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.59



ღვინოსა და წყალში მიკროორგანიზმთა მორფოლოგიური და ტინქტორიალური მახასიათებლების განსაზღვრა

მანანა მამულაშვილი[1], გიორგი ბიბილეიშვილი[2], ზაზა ჯავაშვილი[3], თინათინ ბუთხუზი[4], ელენე კაკაბაძე[5]

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი

[1]ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის დოქტორი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
email:mananamamula59@gmail.com ORCID ID: https://orcid.org/0009-0001-3982- 5515
[2]ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
email: 75bibileishvili@gmail.com ORCID ID: https://orcid.org/0009-0003-7712-2436

რეზიუმე

სტატია მიმოიხილავს მიკროორგანიზმთა მორფოლოგიური და ტინქტორიალური მახასიათებლების მნიშვნელობას ღვინოსა და წყალში. კვლევა შეეხო რქაწითელის ღვინოს, როგორც საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და მრავალმხრივი ჯიშის პროდუქციას, ასევე წყალს, რომელიც გამოიყენება ღვინის წარმოებაში. კვლევაში განხილულია ღვინისა და წყლის მიკრობიოლოგიური ანალიზის მეთოდები, მათ შორის მიკროსკოპული, კულტივირებადი. მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ მორფოლოგიური და ტინქტორიალური მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია მიკროორგანიზმების იდენტიფიკაციის, დიაგნოსტიკისა და მიკრობიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად როგორც ღვინომასალის, ასევე ღვინის წარმოებაში გამოყენებული სტერილური წყლის მიღებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ღვინომასალა, წყალი, მორფოლოგიური, ტინქტორიალური მახასიათებლები, მიკროორგანიზმები

შესავალი - ღვინო მსოფლიოს ყველაზე მრავალფეროვანი პროდუქტია. მევენახეობა და მეღვინეობა ქვეყანაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს. ღვინის წარმოება საქართველოში მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს ეყრდნობა, ხოლო რიცხობრივად და კულტურულად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჯიშია რქაწითელი (*Vitis vinifera*). ამ ჯიშით მიღებული ღვინო განსხვავდება სხვა თეთრი ღვინოებისგან თავისი სტრუქტურით, სიმდიდრით და მიკრობიოლოგიური მრავალფეროვნებით. ხარისხიანი ღვინის წარმოება დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება, რასაც პროდუქტზე მოთხოვნის გაზრდა განაპირობებს. მნიშვნელოვანია, როგორც საწარმოებში წარმოებული ასევე საოჯახო ღვინოების ხარისხი და უვნებლობა.

ლიტერატურული მიმოხილვა - რქაწითელი, ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე გავრცელებული თეთრი ყურძნის ჯიშია საქართველოში. ის ძირითადად გაშენებულია კახეთში, განსაკუთრებით ალაზნის ველზე. ამ ჯიშისგან მზადდება როგორც კლასიკური

(ევროპული ტექნოლოგიით), ისე ქვევრის (ქართული ტრადიციული ტექნოლოგიით) ღვინოები. რქაწითელისგან მიღებული ღვინო გამოირჩევა მრავალმხრივი თვისებებით, მისი ძირითადი მახასიათებლებია: ფერი- კლასიკური ღვინო – ღია ჩალისფერი ან ოქროსფერი ელფერით; ქვევრის ღვინო – ღია ნარინჯისფერი (ქარვისფერი), რაც სკინ-კონტაქტის (კანთან ხანგრძლივი კონტაქტის) შედეგია; არომატი - რქაწითელის ღვინო აერთიანებს ნაზი, ხილისა და ყვავილების არომატებს, ხშირად იგრძნობა: თეთრი ხილი (ვაშლი, მსხალი), ციტრუსები, ზოგჯერ თაფლისა და თხილის ტონები, განსაკუთრებით ქვევრის ღვინოში; გემო - მშრალი, კარგად დაბალანსებული მჟავიანობით, ხალისიანი და გამაგრილებელი, სტრუქტურით საშუალო ან მაღალი სხეულით (განსაკუთრებით ქვევრში დაყენებული); ალკოჰოლი - საშუალოდ 11.5–13.5% [8].

ხარისხიანი ღვინის წარმოებისთვის აუცილებელია სისტემატური ქიმიური და მიკრობიოლოგიური კონტროლი. მიკრობიოლოგიური კონტროლი, ხელს უწყობს ინფექციის წყაროების იდენტიფიცირებას, მათ დროულად აღმოფხვრას და შესაძლებელს ხდის ღვინომასალებში დაავადების დაწყების აღმოჩენას მათში ქიმიური და გემო აღქმადი ცვლილებების გამოვლენამდე. ის უნდა განხორციელდეს ქიმიურ კონტროლთან მჭიდრო კავშირში, რაც შესაძლებელს გახდის ტექნოლოგიური პროცესის ნორმალური მიმდინარეობის მონიტორინგს, მიკროორგანიზმების განვითარების შემაფერხებელი ან ხელშემწყობი მიზეზების და ინფექციის წყაროების იდენტიფიცირებას [1,2,3].

ღვინოში მიკროორგანიზმთა მორფოლოგიური და ტინქტორიალური მახასიათებლების განსაზღვრა და მათი დიაგნოსტიკა მნიშვნელოვანია, როგორც ღვინის ხარისხის კონტროლისთვის, ისე მიკრობიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მორფოლოგია გულისხმობს მიკროორგანიზმების გარეგნულ სტრუქტურულ მახასიათებლებს, რომლებიც განისაზღვრება მიკროსკოპით დაკვირვების გზით. ძირითადი ნიშნებია: ფორმა – გლობული, ჩხირისებრი (ბაცილა), სპირალური; ზომა – ჩვეულებრივ განსაზღვრული მიკრომეტრებში; სელულური განლაგება – ჯგუფებად, ჯაჭვებად, წყვილებად, ცალკეული უჯრედებად; სპორების არსებობა – ზოგ ბაქტერიას შეუძლია სპორის წარმოქმნა არასასურველ პირობებში [4,5].

ტინქტორიალური (შეღებვითი) მახასიათებლები, ეხება იმას, თუ როგორ იღებენ მიკროორგანიზმები ფერს სხვადასხვა საღებავით დამუშავებისას. ძირითადი მეთოდებია: გრამის მეთოდი - გრამდადებითი -იისფერი (მაგ. *Lactobacillus*, *Oenococcus oeni*), გრამუარყოფითი - ვარდისფერი წითელი (მაგ. *Acetobacter*, *Gluconobacter*); სპეციფიური ფერადობის მეთოდები [4,5].

მეთოდები. ღვინის წარმოება მიკრობიოლოგიური პროცესია, სადაც მიმდინარეობს ფერმენტაციული პროცესები საფუარისა და ბაქტერიების გამოყენებით. ყურძნის წვენის მაღალხარისხოვან ღვინოდ ფორმირება და ბოთლში სტერილური განთავსება დამოკიდებულია ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ მონიტორინგზე, დამუშავებისა და გაუსნებოვნების ეფექტურ მეთოდებზე. საწარმოებში დუღილის პროცესის მონიტორინგის, მართვისა და სტერილური გარემოს შექმნისათვის აუცილებელია ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზების ლაბორატორია, რითაც მცირე ზომის ღვინის ქარხნები, საოჯახო მარნები და შატოები ნაკლებად არის უზრუნველყოფილი [1,2]. მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკა ღვინოში მოიცავს მიკროორგანიზმების გამოვლენას, იდენტიფიკაციას და

რაოდენობრივ განსაზღვრას: ა) კულტივირებადი მეთოდები - ნუტრიული აგარის ან სელექტიური მედიუმების გამოყენება (მაგ. MRS აგარი ლაქტობაცილებისათვის); ინკუბაცია განსაზღვრულ ტემპერატურასა და პირობებში (აერობული/ანაერობული); კოლონიური მორფოლოგიის შეფასება.

ბ) მიკროსკოპული მეთოდები - პირდაპირი დაკვირვება ცოცხალ ან შეღებილ პრეპარატებში და ტინქტორიალური ან ფლუორესცენტული ფერადობა.

გ) ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური ტესტები - შაქრის დუღილი, მჟავების წარმოქმნა, ტემპერატურული და pH მაჩვენებელი, SO_2 მედეგობა.

დ) მოლეკულური (თანამედროვე) მეთოდები - PCR (პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია) კონკრეტული გენების გამოსაკვეთად; DNA სეკვენირება (16S rRNA ან ITS რეგიონი საფუარებისა და ბაქტერიებისთვის) [4, 5,6].

ცხრილი 1. ძირითადი მიკროორგანიზმები რქაწითელის ღვინოში

ჯგუფი	სახეობა	ზეგავლენა ღვინოზე
საფუარები	*Saccharomyces cerevisiae*	ძირითადი ალკოჰოლური ფერმენტაცია / არასასურველი გემოს წარმოქმნა
ძმარმჟავა ბაქტერიები	*Acetobacter*, *Gluconobacter* spp	არასასურველი ოქსიდაციის რისკის შემცველები.
რძემჟავა ბაქტერიები	*Oenococcus oeni*, *Lactobacillus spp*	მალოლაქტური ფერმენტაცია
სოკოები	*Botrytis cinerea*, *Penicillium spp*	მავნე – ფერმენტაციის დარღვევა ან არომატის ცვლილება

ღვინის წარმოებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყლის სისუფთავეს, რათა წყლიდან არ მოხდეს ღვინოში ბაქტერიების შეტანა. წყლის მიკროორგანიზმთა მორფოლოგიური და ტინქტორიალური მახასიათებლების შესწავლა გვაძლევს საშუალებას, გავარკვიოთ მათი სახეობრივი შემადგენლობა და პოტენციური რისკები. წყლის მიკრობიოლოგიური ხარისხი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პარამეტრს, რომელიც განსაზღვრავს მის უსაფრთხოებასა და სიჯანსაღეს. მიკროორგანიზმების არსებობა წყალში შესაძლებელია იყოს როგორც ბუნებრივი, ისე დამაბინძურებელი წყაროებისგან გამოწვეული. მათი მორფოლოგიური, ტინქტორიალური მახასიათებლების შესწავლა მნიშვნელოვანია მათი ამოცნობისა და შესაბამისი კონტროლის მეთოდების განსაზღვრისათვის.

წყალში მიკროორგანიზმები შეიძლება წარმოადგენდნენ ბაქტერიებს, საფუარებს, ობებსა და სხვა მიკროორგანიზმებს. მათი მორფოლოგიური მახასიათებლები მოიცავს ზომას, ფორმას (კოკები, ბაცილები, სპირილი, ვიბრიონები), აგრეთვე უჯრედის სტრუქტურას და დაყოფის ტიპს.

მიკროორგანიზმების ტინქტორიალური მახასიათებლები განსაზღვრავს მათ რეაქციას სხვადასხვა შეღებვის მეთოდებზე, როგორიცაა გრამის შეღებვა, ზილ-ნილსენის მეთოდი,

ენდოსპორების შეღებვა და სხვ. ამ მახასიათებლების მიხედვით შესაძლებელია მათი კლასიფიკაცია და დიაგნოსტიკა [4,5,7].

ცხრილი 2. წყლის მორფოლოგიური და ტინქტორიალური მახასიათებლები

მიკროორგანიზმი	მორფოლოგიური მახასიათებლები	ტინქტორიალური მახასიათებლები
ბაქტერიები	კოკები, ბაცილები, სპირილი	გრამ-დადებითი, გრამ-უარყოფითი
საფუარები	ოვალური, მრგვალი უჯრედები	მეწამური, ცისფერი,ულებავი
ობები	ფილამენტური სპორებით	მრავალფერი ფერებით
ვირუსები	სხვადასხვა ფორმის	სპეციფიკური ანტიგენური რეაქციები

მცირე საწარმოებში, საოჯახო მარნებსა და შატოებში საწარმოო სისტემების და ღვინის ბოთლების რეცხვა-გაუსნებოვნებისთვის აუცილებელია სტერილური წყალი.

ანალიზი - მიკრობიოლოგიური ანალიზი ჩატარებული იქნა საოჯახო ღვინის საწარმოში გამოყენებულ წყლზე. მიკრობიოლოგიური უსაფრთხოების მიზნით წყლის ანალიზი ჩატარდა ფილტრაციამდე და ულტრაფილტრაციის შემდეგ. წყლის სტერილიზაციისათვის წყალი დამუშავდა 0,1 მკმ ფორის ზომის მემბრანით. კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში 3.

ცხრილი 3. წყლის მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგები

განსასაზღვრავი მიკროორგანიზმი	მაჩვენებლის მნიშვნელობა ნდ-ს მიხედვით	მაჩვენებლის ფაქტიური მნიშვნელობა	მაჩვენებლის ფაქტიური მნიშვნელობა ფილტრაციის შემდეგ
E.coli 300 ml	არ დაიშვება	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა
მეზოფილური აერობების და ფაკულტატური ანაერო¬ბების რაოდენობა 1 მლ-ში	37°C ≤ 20	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა
ტოტალური კოლიფორმები, 300მლ-ში	არ დაიშვება	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა
ფეკალური სტრეპტოკოკები (*S.fekalis*) 250 მლ-ში	არ დაიშვება	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა

შედეგი და განსჯა

კვლევამ აჩვენა, რომ მიკროორგანიზმთა მორფოლოგიური და ტინქტორიალური მახასიათებლების შესწავლა მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ღვინის, ასევე წყლის მიკრობიოლოგიური უსაფრთხოების შეფასებაში. წყლის ანალიზმა კი დაადასტურა, რომ სტერილური წყლის გამოყენება აუცილებელია მიკრობიოლოგიური რისკების შემცირებისთვის. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი პრაქტიკული რეკომენდაციებია, როგორც საოჯახო მარნებისთვის, ასევე მცირე და საშუალო მეღვინეობისთვის, სადაც აუცილებელია სისტემატური მიკრობიოლოგიური კონტროლი როგორც წყლის ხარისხის კონტროლისათვის ასევე მაღალი ხარისხის ღვინის წარმოებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1.ბიბილეიშვილი გ.ვ. მამულაშვილი მ.ა., ბუთხუზი თ.გ, კაკაბაძე ე.გ. ბუნებრივი წყლის და ღვინომასალების ბაქტერიოლოგიური კვლევა მიკრო- და ულტრაფილტრაციული პროცესების გამოყენებით. საქართველოს საინჟინრო სიახლენი №2 2023 გვ.71-72

2.კაკაბაძე ე., ბიბილეიშვილი გ., თანანაშვილი ლ., ჯავაშვილი ზ., მამულაშვილი მ., & ებანოიძე ლ. (2024). სხვადასხვა ტიპის ღვინომასალის მიკროფილტრაციული პროცესით დამუშავების ადგილობრივი და საერთაშორისო პატენტების ანალიზი. ქართველი მეცნიერები, 6(4), 375–378. https://doi.org/10.52340/gs.2024.06.04.35

3.ბიბილეიშვილი გ.ვ., მამულაშვილი მ.ა., კეჟერაშვილი მ.გ., ბიბილეიშვილი ი.ვ. საფერავის ღვინომასალის სტერილური მიკროფილტრაცია და მიკრობიოლოგიური ანალიზი. საქართველოს საინჟინრო სიახლენი №2, ტომ.96, 2022 DOI: https://doi.org/10.36073/1512-0187 გვ. 115-116

4.Nardi T. Microbial resources as a tool for enhancing sustainability in winemaking. Microorganisms. 2020; 8:507. doi: 10.3390/microorganisms8040507

5. ი.გველესიანი ლაბორატორიული პრაქტიკული მიკრობიოლოგიაში. სტუ 27.05.2009, ოქმი #5 თბილისი 2009

6. ჩიხლაძე ნ., და კიკვიძე მ. (2022). ადგილობრივი საფუარების დახასიათება რქაწითელის ქვევრის ღვინოებში. ღვინის მიკრობიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის ჟურნალი, 7(1), 12–20

7. Margaliti, L. A. (1981). *Wine Microbiology*. AVI Publishing Company.

8. რქაწითელი - NPLG Wiki Dictionaries

Determination of morphological and tinctorial characteristics of microorganisms in wine and water

Manana Mamulashvili[1], George Bibileishvili[2], Zaza Javashvili[3], Tinatin Butkhuzi[4], Elene Kakabadze[5]

Engineering Institute of Membrane technologies of Georgian Technical University

Abstract

The article reviews the importance of the morphological and tinctorial characteristics of microorganisms in wine and water. The study focused on Rkatsiteli wine, one of the most widespread and versatile grape varieties in Georgia, and on water used in wine production. Morphological characteristics include the shape, size, cellular arrangement, and presence of spores of microorganisms. Tinctorial characteristics determine the staining properties of microorganisms, which play a crucial role in their classification and diagnosis. The study discusses microbiological analysis methods for wine and water, including microscopic, culturable. The results confirm that knowledge of the morphological and tinctorial characteristics of microorganisms is essential for their identification, diagnosis, and ensuring microbiological safety in both wine and water.

Keywords: wine, water, morphological, tinctorial characteristics, microorganisms

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.60



DevOps-ის პრაქტიკის შეფასება წარმატებულ საერთაშორისო კომპანიებში

ქეთევან მძელური[1], ანა იმერლიშვილი[2]
[1] საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ORCID ID: 0009-0003-9242-5304; [2] საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ORCID ID: 0009-0001-6736-3514

აბსტრაქტი

დღევანდელ სწრაფად განვითარებად ტექნოლოგიურ ლანდშაფტში, ორგანიზაციები მუდმივად ეძებენ მეთოდოლოგიებს, რომლებიც დაეხმარება მათ მაღალი ხარისხის პროგრამული უზრუნველყოფის ეფექტურად და საიმედოდ მიწოდებაში. DevOps გაჩნდა, როგორც ტრანსფორმაციული მიდგომა, რომელიც არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ინოვაციებს ნერგავს, არამედ ხელს უწყობს კულტურულ და ორგანიზაციულ ცვლილებებს. ეს სტატია იკვლევს DevOps-ის პრაქტიკას წარმატებულ საერთაშორისო კომპანიებში, სხვადასხვა ინდუსტრიის ექსპერტების გამოკითხვის საფუძველზე. კვლევა ხაზს უსვამს DevOps-ის დანერგვის უპირატესობებსა და გამოწვევებს, სტატიაში აქცენტი გაკეთებულია იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამ გამოცდილებამ წარმართოს DevOps-ის განვითარება საქართველოში. დასკვნები ხაზს უსვამს იმას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიური ინსტრუმენტები აუცილებელია, წარმატების გასაღები კულტურულ მზადყოფნაში, პროფესიულ განვითარებასა და სტრატეგიულ დაგეგმვაშია.

საკვანძო სიტყვები: DevOps, ავტომატიზაცია, CI/CD, პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდება, ციფრული ტრანსფორმაცია, უწყვეტი გაუმჯობესება

შესავალი

თანამედროვე ციფრული ეპოქა მოითხოვს სწრაფ, მოქნილ და საიმედო პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდებას. ამ მიზნის მისაღწევად ტექნოლოგიური კომპანიები სულ უფრო მეტად მიმართავენ DevOps-ის მეთოდოლოგიას, რომელიც აერთიანებს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისა და ოპერაციების გუნდებს ერთიან პროცესად. DevOps არა მხოლოდ ტექნოლოგიური, არამედ კულტურული ცვლილებაა, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლობის გაუმჯობესებას, ავტომატიზაციას და უწყვეტი მიწოდების პროცესების დანერგვას.

მსოფლიო მასშტაბით DevOps-მ უკვე დაამკვიდრა თავისი ადგილი როგორც ეფექტური პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამული პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებას, განახლებების სისწრაფესა და მომხმარებელზე ორიენტირებულ მომსახურებას.

მოცემული კვლევა ემყარება უცხოელი სპეციალისტების გამოკითხვას, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა წარმატებულ კომპანიას ტექნოლოგიური, მომსახურებისა და სხვა სექტორებიდან. კვლევის მიზანია გამოავლინოს DevOps-ის გამოყენების დონე, ინსტრუმენტების გავრცელება, სარგებელი და ძირითადი გამოწვევები, ასევე შეფასდეს მზადყოფნა სრულფასოვანი დანერგვისთვის.

კვლევის მიზანია შეფასდეს DevOps პრაქტიკის ხარისხი და ეფექტიანობა წარმატებულ საერთაშორისო კომპანიებში, სხვადასხვა დარგში. კერძოდ, ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე: DevOps-ის მეთოდოლოგიის ცოდნის დონე ექსპერტებს შორის, პრაქტიკის გამოყენების ფაქტობრივი მდგომარეობა კომპანიებში, გამოყენებული ინსტრუმენტები და მათი ინტეგრაციის დონე, DevOps-ის პრაქტიკის სარგებელი და გამოწვევები, კომპანიის მზადყოფნა DevOps-ის სრული დანერგვისთვის, ექსპერტთა რეკომენდაციები შედარებით განვითარებადი ქვეყნებისათვის, როგორიცაა საქართველო.

კვლევის მეთოდოლოგია:


მოცემული კვლევა განხორციელდა ონლაინ ანონიმური კითხვარის მეშვეობით, რომელშიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო ექსპერტები — DevOps ინჟინრები, სისტემური ადმინისტრატორები, პროგრამული უზრუნველყოფის არქიტექტორები და ტექნიკური დირექტორები, რომლებიც მუშაობენ შესანიშნავი პრაქტიკით გამორჩეულ კომპანიებში. კომპანიების სიდიდე განსხვავდებოდა (10-დან 200+ თანამშრომლამდე), რაც უზრუნველყოფს მრავალფეროვან და წარმომადგენლობით ჭრილს.

კითხვარი მოიცავდა როგორც დახურული (მრავალვარიანტიანი), ისე ღია ტიპის შეკითხვებს. მონაცემები შეგროვდა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: ცოდნის დონე DevOps მეთოდოლოგიის შესახებ, პრაქტიკული გამოყენება და ორგანიზაციული ინტეგრაცია, გამოყენებული ინსტრუმენტები (CI/CD, ავტომატიზაცია, მონიტორინგი), შეფასება სარგებლისა და გამოწვევების კუთხით, ორგანიზაციის მზაობის დონის თვითშეფასება.

მონაცემების ანალიზი ჩატარდა აღწერითი სტატისტიკისა და შინაარსობრივი კლასიფიკაციის საფუძველზე. შედეგებმა წარმოაჩინა როგორც DevOps-ის წარმატებული გამოყენების მოდელები, ისე ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ მისი ინტეგრაციის სიღრმესა და ხარისხს საერთაშორისო პრაქტიკაში


ძირითადი მიგნებები და კვლევის ანალიზი

გამოკითხულ რესპოდენტებიდან თითქმის ყველა აცხადებს, რომ ორგანიზაციაში სრულად დანერგილია DevOps პრაქტიკა, სისტემური ინტეგრაცია უკვე დასრულებულია და DevOps პროცესი სრულად ავტომატიზებულია. მიუხედავად არსებული ინტეგრაციისა, ნაწილი კომპანიებისა მაინც აცნობიერებს სრულყოფის საჭიროებას. თითოეული რესპოდენტი კარგად ან ნაწილობრივ იცნობს DevOps მეთოდოლოგიას. უმეტესობამ მიუთითა, რომ გააჩნია სრული ცოდნა.



ნახ.1 DevOps ცოდნის დონე

გამოყენებული ინსტრუმენტებიდან ყველაზე ხშირად დასახელდა Jenkins, Docker, Kubernetes, Git/GitLab/GitHub. ზოგიერთი კომპანია ასევე იყენებს Terraform, Ansible, Prometheus.



ნახ.2 DevOps-ის დანერგვის სარგებელი და გამოწვევები

ნახ. 2-ზე წარმოდგენილია კვლევის შედეგების ვიზუალიზაცია:

- მარცხნივ ნაჩვენებია ძირითადი სარგებელი, რომელსაც კომპანიები DevOps-ის დანერგვისას იღებენ. ყველაზე ხშირად ნახსენებია: პროდუქციის ავტომატიზაცია, პროდუქტიულობის ზრდა, და ინოვაციების წახალისება.
- მარჯვნივ ასახულია ძირითადი სირთულეები, რომლებიც ხელს უშლიან DevOps-ის სრულად დანერგვას. მათ შორის გამოირჩევა: მენეჯმენტის მხარდაჭერის ნაკლებობა, ფინანსური რესურსების დეფიციტი, და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის პრობლემები.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანიდ ა საინტერესო კითხვა იყო - რა ნაბიჯებია საჭირო DevOps-ის ეფექტიანი დანერგვისთვის საქართველოში, რის საფუძველზეც შევიმუშავეთ ანალიზი და რეკომენდაციები.

პირველი და ძირითადი ნაბიჯი, რომლის აუცილებლობაზე შეთანხმდნენ რესპოდენტები, არის არსებული ინფრასტრუქტურის შეფასება. სანამ ორგანიზაცია დაიწყებს DevOps პროცესების დანერგვას, აუცილებელია გაირკვეს:

- რა Bottleneck-ები არსებობს მოქმედ სისტემებში?
- რამდენად ეფექტიანია არსებული ვირტუალიზაცია, სერვერების მართვა და მონაცემთა ბაზები?
- არის თუ არა საჭირო დამატებითი რესურსების ან ტექნოლოგიების დანერგვა?

მონაწილეთა აზრით, სუსტი მხარეების აღმოჩენა დაეხმარება DevOps პროცესების სწორად აგებას და მათზე მორგებულ გადაწყვეტილებათა შექმნას.

რესპოდნეტთა პასუხებში მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა ავტომატიზაციაზე. მონაწილეების განმარტებით, DevOps-ის ეფექტიანად მუშაობისთვის აუცილებელია:

- CI/CD სისტემების დანერგვა (მაგალითად Jenkins, GitLab CI/CD)
- კონტეინერიზაცია (Docker, Kubernetes)
- ტესტირების ავტომატიზაცია
- Deployment პროცესების გამარტივება

ეს ნაბიჯები მნიშვნელოვნად ამცირებს გამოსაყვან კოდში შეცდომების რაოდენობას და აჩქარებს პროდუქტების ბაზარზე მიწოდებას.

მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს სწორად შერჩეულ ინსტრუმენტებზე. ხშირად დასახელებული იყო შემდეგი ტექნოლოგიები:

- Jenkins
- Docker
- Kubernetes
- Terraform
- GitLab/GitHub

მნიშვნელოვანია, რომ ინსტრუმენტების არჩევა იყოს მორგებული კონკრეტული კომპანიის საჭიროებებს და იყოს კომბინირებული უსაფრთხოების სისტემებთან (Security) და მონიტორინგთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ DevOps არ არის მხოლოდ ტექნოლოგიური პლატფორმა — ეს არის კულტურა, რომელიც ეფუძნება დეველოპერებსა და ოპერაციებს შორის თანამშრომლობას. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა სწორედ გუნდური მუშაობის კულტურის გაუმჯობესებაა.

ერთ-ერთი ხშირად დასახელებული გამოწვევა იყო კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა. ამიტომ, აუცილებელია:

- სპეციალისტების მუდმივი გადამზადება და პროფესიული განვითარება
- DevOps კურსების და სერტიფიკატების ხელმისაწვდომობა
- საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება

მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობას. კომპანიის თითოეულ დონეზე უნდა იყოს ჩამოყალიბებული ხედვა, თუ როგორ, რა ვადებში და რა რესურსებით განხორციელდება DevOps პროცესები.

DevOps-ის დანერგვა საქართველოში არ არის მხოლოდ ტექნოლოგიური ამოცანა — ესაა სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომელიც მოითხოვს როგორც ტექნიკურ ცოდნას, ასევე მართვის და კორპორაციული კულტურის ცვლილებებს. სწორი დაგეგმვითა და ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია საქართველოში IT ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვნად გაზრდა.

დასკვნა

ეს კვლევა აჩვენებს, რომ DevOps პრაქტიკის სრული ინტეგრაცია რეალურად შესაძლებელია და შედეგიანი — როდესაც არსებობს მკაფიო ხედვა, ინსტრუმენტების სწორად შერწყმული გამოყენება და თანამშრომლობითი სამუშაო გარემო. წარმატებულ კომპანიებში DevOps არა მხოლოდ ტექნოლოგია, არამედ მუდმივი გაუმჯობესების კულტურაა.

საქართველოს ორგანიზაციებმა, რომლებიც ისწრაფვიან ციფრული ტრანსფორმაციისკენ, უნდა გაითვალისწინონ ეს გამოცდილება — ტექნიკური მზაობა, განათლება, მენეჯმენტის ჩართულობა და ფინანსური სტაბილურობა ერთად ქმნიან DevOps წარმატების საფუძველს.

References

1. Humble, J., & Farley, D. (2010). Continuous Delivery: Reliable Software Releases through Build, Test, and Deployment Automation. Addison-Wesley.

2. Kim, G., Behr, K., & Spafford, G. (2013). The Phoenix Project: A Novel About IT, DevOps, and Helping Your Business Win. IT Revolution Press.

3. Forsgren, N., Humble, J., & Kim, G. (2018). Accelerate: The Science of Lean Software and DevOps. IT Revolution Press.

4. Fitzgerald, B., & Stol, K.-J. (2017). Continuous software engineering: A roadmap and agenda. Journal of Systems and Software, 123, 176-189.

5. Research Data: Anonymous Online Survey Conducted in 2025.

6. Lortkipanidze, N., & Otkhozoria, N. (2024). Navigating business excellence: The crucial role of information technology service management through best practice ITIL. Georgian Scientists, 6(1), 120–124. https://doi.org/10.52340/gs.2024.06.01.15

7. Otkhozoria, N., Petriashvili, L., Kudukhashvili, A., & Nino, K. (2023). Comparative analysis of complex information system testing methods. World Science, 4(82), https://doi.org/10.31435/rsglobal_ws/30122023/8076

8. Otkhozoria, N., Zhvania, T., Petriashvili, L., & Lortkipanidze, N. (2024). The critical role of information technology service management using ITIL best practices to improve business management. Works of GTU, 2(532), 6. https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-171-176

9. Otkhozoria, N., Petriashvili, L., Zhvania, T., & Imerlishvili, A. (2025). Advancing information system testing: challenges, methods, and practical recommendations. *International Science Journal of Engineering & Agriculture*, *4*(2), 203–214. https://doi.org/10.46299/j.isjea.20250402.13

Evaluating DevOps practices in successful international companies

Ketevan Mdzeluri, Ana Imerlishvili

Abstract

In today's rapidly evolving technological landscape, organizations are constantly searching for methodologies that can help them deliver high-quality software efficiently and reliably. DevOps has emerged as a transformative approach, not only introducing technological innovation but also fostering cultural and organizational change. This article explores DevOps practices in successful international companies, based on a survey of experts across various industries. The study highlights both the benefits and challenges of DevOps implementation, with particular focus on how these experiences can guide the development of DevOps in Georgia. The findings emphasize that while technological tools are essential, the key to success lies in cultural readiness, professional development, and strategic planning.

Keywords: DevOps, Automation, CI/CD, Software Delivery, Digital Transformation, Continuous Improvement

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.61



ადგილობრივი და საერთაშორისო საპატენტო ნამუშევრების მოძიება და ანალიზი საფერავის, ქინძმარაულის, ხვანჭკარას, მუკუზანის ღვინომასალის მიკროფილტრაციული პროცესისათვის ცვალებადი ტემპერატურისა და სიბლანტის პირობებში.

გიორგი ბიბილეიშვილი[1], ზაზა ჯავაშვილი[2], ელენე კაკაბაძე[3], ლეილა თანანაშვილი[4], მანანა მამულაშვილი[5]

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი
[1]ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
email: 75bibileishvili@gmail.com ORCID ID: https://orcid.org/0009-0003-7712-2436
[4]მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის სწავლული მდივანი - dodo_chanturia@mail.ru

რეზიუმე

ნაშრომში განხილული ადგილობრივი და საერთაშორისო საპატენტო ნამუშევრები ასახავს სხვადასხვა წითელი ღვინომასალის მიღების მიკროფილტრაციული პროცესის მეთოდების დამუშავების დარგობრივი სპეციფიკის არსებულ მდგომარეობას მსოფლიოში და განაპირობებს, ინსტიტუტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებისათვის სათანადო პრიორიტეტების გამოკვეთას.

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი და საერთაშორისო პატენტები, ცვლადი ტემპერატურა, სიბლანტის პირობები, ღვინის მასალები, საფერავი.

წითელი ღვინო მუქი ფერის ყურძნის დაწურვისა და მისი ფერმენტაციის შედეგად მიიღება. ფერმენტაციის დროს ყურძნის წვენში შემავალი ბუნებრივი შაქარი ალკოჰოლად გარდაიქმნება. ეს პროცესი ძირითადად თავისთავად მიმდინარეობს განსაზღვრულ ტემპერატურულ გარემოში, თუმცა ზოგჯერ ღვინის მწარმოებლები მის დასაჩქარებლად დაწურულ ყურძენს სპეციალურ საფუარსაც ამატებენ. ფერმენტაციის პროცესის დასრულების შემდეგ ხდება ღვინის დაძველება ქვევრში, უჟანგავი ლითონის ჭურჭელში, მუხის კასრში.

მემბრანაზე დაფუძნებული პროცესები, განსაკუთრებით წნევით მართვადი მემბრანული ოპერაციები, დღეს კარგად დამკვიდრებული მეთოდებია ღვინის მრეწველობაში მათი უნიკალური თვისებებისა და ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით უდავო უპირატესობების გამო. ახალი მემბრანული პროცესები, როგორიცაა პერვაპორაცია, ელექტროდიალიზი, ოსმოსური დისტილაცია, უკუოსმოსი და მემბრანული კონტაქტორები, გვთავაზობენ ახალ და საინტერესო პერსპექტივებს, რათა გავაუმჯობესოთ ხარისხი და შევქმნათ ახალი პროდუქტები ორგანოლეპტიკური თვისებების დაზიანების გარეშე.

მიმოხილვაში მოცემულია მემბრანული ოპერაციების გამოყენების ყოვლისმომცველი განხილვა ღვინის გადამუშავებაში. ჩატარდა ბიბლიომეტრიული და მეცნიერული ანალიზი, რათა წარმოჩენილიყო ამ ოპერაციების გამოყენების მიმდინარე პროგრესი ღვინის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე, მათ შორის გაფილტვრა, სტაბილიზაცია, კონცენტრაცია, მჟავიანობის გაზრდა, მჟავიანობის შემცირება და დეალკოჰოლიზაცია. აღნიშნულია მიმდინარე გამოწვევები და პერსპექტივები, რათა მოხდეს მემბრანული ტექნოლოგიის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიმართულებების განსაზღვრა ამ სფეროში. ტრადიციული და ინოვაციური მემბრანული სისტემების გამოყენება საინტერესო შესაძლებლობებს იძლევა ღვინის გადამუშავების ინდუსტრიის ამჟამინდელი პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ოპტიმიზაციისთვის. მნიშვნელოვანი პროგრესი მიღწეულია დაბალი დაბინძურების (low-fouling) მასალების განვითარების მიმართულებით, ასევე ღვინის იმ მოლეკულების იდენტიფიკაციის კუთხით, რომლებიც მემბრანის დაბინძურებას იწვევს და მეთოდების შემუშავებაში, რომლებიც ამ პროცესის შემცირებას უწყობს ხელს მიკროფილტრაციული მემბრანების გამოყენებით ღვინის გასუფთავებისას.

ტექნოლოგიური პროგრესი ელექტროდიალიზში ამ პროცესს ძალიან მიმზიდველ მეთოდად აქცევს ღვინის ტარტრატული სტაბილიზაციისთვის, მჟავიანობის გაზრდისა და შემცირების მიზნით. ტრადიციული და ახალი მემბრანული პროცესები უზრუნველყოფს ეფექტურ სტრატეგიებს ფერმენტაციის შემდგომ ეთანოლის მოცილებისთვის, მისი თავდაპირველი თვისებების შენარჩუნებით.

საერთაშორისო კვლევების შედეგები საინტერესო პერსპექტივებს აჩენს მემბრანული პროცესების უფრო ფართოდ დანერგვისთვის მეღვინეობის ინდუსტრიაში, ასევე, ტრადიციული მეღვინეობის პროცესის გადახედვისა და ოპტიმიზაციისთვის პროცესების ინტენსიფიკაციას სტრატეგიის ფარგლებში.

MF მემბრანები, ფორების ზომით 0,2 მკმ, ჩვეულებრივ გამოიყენება წითელი ღვინოების გასაწმენდად. ამ მემბრანებს შეუძლიათ უზრუნველყონ მიკრობიოლოგიური სიკაშკაშე და სტაბილურობა დაბალი სიმღვრივის ღვინოების (1 NTU-ზე ნაკლები) საწარმოებლად მათი ორგანოლეპტიკურ მახასიათებლებზე ზემოქმედების გარეშე. თეთრი ღვინოებისთვის ჩვეულებრივ გამოიყენება MF მემბრანები ფორის ზომით, 0,1-დან 0,22 მკმ-მდე. ეს მემბრანები აწარმოებენ გამჭვირვალე ღვინოებს 0,5 NTU-ზე დაბალი სიმღვრივეებითა და უფრო სტაბილური წარმადობით, რადგან მათი ფორის ზომები მნიშვნელოვნად მცირეა ღვინოებში ყველაზე დიდი ნაწილაკების ზომებზე. სხვადასხვა პოლიმერულ MF მემბრანებს შორის (PES-ზე დაფუძნებული, ცელულოზის აცეტატი, PP, ნეილონი) ფორის ზომა 0.2-დან 5 მკმ-მდე, ცელულოზის აცეტატის მემბრანები ფორის ზომით 0.2 და 0.45 მკმ მიჩნეული იყო ყველაზე შესაფერის მემბრანებად წითელი ღვინის გამწმენდი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისა და გაჟღენთის ნაკადის შემცირების თვალსაზრისით. მიღებული შედეგები განსაზღვრავს ამ მემბრანების ჰიდროფილურ ხასიათს, რამაც გამოიწვია პოლიფენოლების დაბალი ადსორბცია, (განსაკუთრებით ანტოციანინების) და პოლისახარიდების, სხვა ტესტირებულ მემბრანებთან შედარებისას. ზოგადად, მემბრანების უმეტესობამ აჩვენა სიმღვრივის მსგავსი შემცირება; თუმცა, PES მემბრანებს (0.45 მკმ) დასჭირდათ ყველაზე ხანგრძლივი ფილტრაციის დრო, მიუხედავად იმისა, რომ მათი საწყისი წარმადობა ყველაზე მაღალი იყო. ავტორები ვარაუდობდნენ, რომ (უკუდრეცხვა, გამორეცხვა), უკუშოკური გასუფთავება ან ინფრასონური

პულსირება შეიძლება გამოიყენონ დაბინძურების შესამცირებლად, რაც ჩვეულებრივ გამოწვეულია პოლისაქარიდებით. [1]

სტანდარტული ღვინოდან სულფიტების მოცილების მეთოდი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: სტანდარტული ღვინის გატარებას ბაზის ანიონგაცვლითი ფისის საშუალებით, შემდეგ ღვინის გატარებას მჟავა კათიონგაცვლითი ფისის საშუალებით და ბოლოს ღვინის დამუშავებას ნახშირით, რის შედეგადაც მიიღება სტანდარტული ღვინო, რომელიც შეიცავს 10 ppm-ზე ნაკლებ სულფიტებს. გამოგონება ასევე, მოიცავს ყურძნის სტანდარტული ღვინის წარმოების მეთოდს, რომელიც შეიცავს 10 ppm-ზე ნაკლებ სულფიტებს.[2]

სითხეების, განსაკუთრებით ღვინის, ნაკლებადწვრილფოროვანი ფილტრაციის მიკროფილტრაციის ავტომატური დანადგარი სითხეებისთვის, ამ გამოგონების შესაბამისად, აღჭურვილია სითხის ნაკადის გადამანაწილებელი მოწყობილობების სერიით, რომელთა მუშაობა ელექტრონულად კონტროლდება.

მიკროფილტრაციის პროცესის ყველა ეტაპი, აგრეთვე გამრეცხი, სტერილიზაციისა და მემბრანების აღდგენის ფაზები ავტომატურად ხორციელდება პარამეტრების შეყვანისა და გამოსახვის მოწყობილობიდან, როგორიცაა ელექტრონული კომპიუტერი. ეს კომპიუტერი უზრუნველყოფს ფილტრირებად პროდუქტთან შესაბამისი სამუშაო ეტაპების, აგრეთვე დანადგარის რეცხვისა და სტერილიზაციის ავტომატურ მართვას.[3]

ნაშრომი ეხება მაღალი ფერის კონცენტრირებული (HCC) ღვინის მომზადების მეთოდებს. მეთოდების ასპექტები შეიძლება მოიცავდეს ერთი ან მეტი ყურძნისგან მიღებული თხევადი ყურძნის კომპოზიციის მოპოვებას, ამ კომპოზიციის pH-ის შესაცვლელად რეაგენტთან შეხებას, თხევად ყურძნის კომპოზიციაში განსაზღვრული რაოდენობის გამოხდილი ალკოჰოლის დამატებას გაძლიერებული ღვინის კომპოზიციის მისაღებად და ამ ღვინის კონცენტრირებას HCC ღვინის მისაღებად.

მეთოდების სხვა ასპექტები შეიძლება მოიცავდეს ერთი ან მეტი ყურძნისგან მიღებული მასტის მოპოვებას, მასტის დადუღებას ყურძნის თხევადი კომპოზიციის მისაღებად, რომელსაც აქვს გარკვეული ალკოჰოლის შემცველობა, ამ კომპოზიციის pH-ის შესაცვლელად რეაგენტთან შეხებას და მიღებული ყურძნის თხევადი კომპოზიციის კონცენტრირებას HCC ღვინის მისაღებად. ასევე, წარმოდგენილია შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ამ მეთოდებით წარმოებულ HCC ღვინოს.[4]

წითელი ღვინო შეიცავს მრავალ ნივთიერებას, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამ კვლევის მიზანი იყო ღვინის ღირებული კომპონენტების კონცენტრირება ნანოფილტრაციის საშუალებით, პერმეატის ნაკადის მათემატიკური მოდელის აღწერა და პროცესის ღირებულების შეფასება. ლაბორატორიული დანადგარი ნანოფილტრაციის მემბრანით გამოყენებული იყო კონცენტრირებისთვის. ექსპერიმენტები ჩატარდა მუდმივი წნევის, სხვადასხვა ტემპერატურებისა და სხვადასხვა რეციკულაციის ნაკადების პირობებში. ნივთიერებების კონცენტრაცია გაანალიზდა პერმეატსა და რეტენტატში, მათ შორის საერთო მჟავა, საერთო ექსტრაქტი, ალკოჰოლი, შაქარი, თავისუფალი სულფუროზის მჟავა, საერთო სულფუროზის მჟავა, შაქრის გარეშე ექსტრაქტის შემცველობა და ვოლატური მჟავების შემცველობა. ასევე, განხორციელდა პროცესის მათემატიკური მოდელირება და ღირებულების ანალიზი [5].

არა-საქარომიცესის საფუარები მრავალი წლის განმავლობაში გამოიყენებოდა მათი ტექნოლოგიური პოტენციალის გამო, განსაკუთრებით, როგორც ღვინის ხილის არომატის „გამაძლიერებელი“ Saccharomyces cerevisiae-თან შერეული დუღილის პროცესში. ბოლო პერიოდში მათთვის ახალი დანიშნულება გაჩნდა – ბიოდაცვა, რომელიც ღვინოში სულფიტის შემცირების კონტექსტში გარემოს კოლონიზაციას გულისხმობს. ამ კვლევაში შეფასდა არასაქარომიცესის საფუარის ქიმიური და სენსორული გავლენა სხვადასხვა გამოყენების რეჟიმის მიხედვით, დუღილის პროცესში SO_2-ის დამატების გარეშე. კვლევა ჩატარდა Merlot N. (Vitis vinifera L.)-ზე. არა-საქარომიცესის საფუარებმა დუღილისწინა ეტაპზე ეფექტურად დაიკავეს ეკოლოგიური ნიში, რაც Quantitative-PCR და MALDI-TOF MS მეთოდებით დადასტურდა. ღვინის ქიმიურმა ანალიზმა (GC-MS და GC-MS/MS) აჩვენა, რომ გამოყენებული დოზები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საბოლოო პროდუქტზე: ბიოდაცვა ხასიათდებოდა ხაზოვანი ეთერებით, ხოლო თანმიმდევრული გამოყენება – მაღალი ალკოჰოლების აცეტატებით. გარდა ამისა, გამოვლინდა ღვინის არომატულ პროფილში განსხვავება გამოყენებული ბიოდაცვის საფუარის სახეობის მიხედვით. დასასრულს, სპეციალურად მომზადებულმა დეგუსტატორთა პანელმა სენსორული ანალიზისას დაადასტურა, რომ არა-საქარომიცესის საფუარები ხილის არომატის გამაძლიერებელ როლს თამაშობდნენ, განსაკუთრებით თანმიმდევრული ინოკულაციისას, შედარებით ნაკლებად – ბიოდაცვის დროს. ეს კვლევა პირველად აჩვენებს, რომ არა-საქარომიცესის საფუარის, როგორც ბიოდაცვის გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ღვინოების არომატულ პროფილზე.[6]

კვლევის მიზნის მისაღწევად - ღვინოში შაქრის შემცირება განხორციელდა ორი მიმდევრული ნანოფილტრაციის ეტაპით. მეთოდის შესამოწმებლად კვლევები ჩატარდა ორი ტიპის საწვავთან: თეთრი საწვავი ვერდეხოს ყურძნიდან და წითელი საწვავი ტინტა დე ტოროს ყურძნიდან. ნანოფილტრაციის შედეგად მოხდა მიღებული საწვავების შერევა დაუმუშავებელ საწვავთან ან ნანოფილტრაციის პირველი ეტაპის რეტენტატთან ისეთ პროპორციაში, რომელმაც უზრუნველყო საბოლოო ღვინის ალკოჰოლის შემცირება 2°-ით. პროცესის ეფექტურობის დასადასტურებლად, თითოეული ამ საწვავიდან დამზადდა ღვინოები, რომლებიც დამუშავდა კონტროლურ ნიმუშთან ერთად, რომელიც იგივე საწვავიდან იყო მიღებული. ღვინოებში ალკოჰოლის შემცირება წარმატებით განხორციელდა. თუმცა, ზოგიერთ ნიმუშში დაფიქსირდა ფერისა და არომატული ნაერთების უმნიშვნელო დაკარგვა.

კვლევის ძირითადი მიგნებები/ასპექტები :

1. შემოთავაზებული და დატესტილია ერთსაფეხურიანი ნანოფილტრაციის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ღვინის ალკოჰოლის მცირე შემცირებას როგორც წითელი, ასევე თეთრი ღვინისთვის.
2. ეს მიღწეულია შაქრის შემცირებით.
3. მიღებული ღვინოების ქიმიური და ორგანოლეპტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ ისინი საკმაოდ ჰგავს დაუმუშავებელ ნიმუშებს.[7]

ნაშრომში - **მეთოდი და შემადგენლობა ღვინის შენახვისთვის განხილულია, რომ** რესვერატროლი და/ან პტეროსტილბენი ემატება ღვინოს, რათა დაიცვას იგი დაჟანგვისგან, ბაქტერიებისა და სოკოებისგან. რესვერატროლი და/ან პტეროსტილბენი ასევე, ემატება წითელ

ღვინოს, რათა შეინარჩუნოს მასში არსებული პოლიფენოლები. რესვერატროლი და/ან პტეროსტილბენი შეიძლება დაემატოს ყურძნის მასტს დადუღებამდე და/ან დადუღებულ ღვინოს ბოთლში ჩამოსხმამდე.[8]

მიკროფილტრაცია (MF) ხშირად გამოიყენება ღვინის გასუფთავებისთვის, თუმცა მემბრანების დაბინძურება (fouling) მთავარი შემზღუდველი ფაქტორია პროცესის საერთო წარმადობისთვის. ამ კვლევაში წარმოდგენილია მონაცემები თეთრი ღვინის მიკროფილტრაციული გასუფთავებიდან, რაც აჩვენებს, რომ პოლიპროპილენის (PP) მემბრანები მნიშვნელოვნად უფრო მაღალ ნაკადსა და გამტარუნარიანობას უზრუნველყოფს, ვიდრე პოლიარილსულფონის (PAS) მემბრანები, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანს ერთნაირი საკონტროლო ფორების ზომა (0.2 მკმ) აქვს.

ამ კვლევის მიზანი იყო დაედგინა ჰიპოთეზა, რომ სხვადასხვა მემბრანები (PP ან პოლიეთერსულფონი, PES) განსხვავებულად შეიწოვენ ღვინოში არსებულ დამაბინძურებელ ელემენტებს, როგორიცაა პოლიფენოლები და პოლისაქარიდები, დაეკავშირებინა შეწოვის დონე მემბრანის პოლიმერულ მახასიათებლებსა და გაეტარებინა კორელაცია მემბრანების ნაკადებთან.

შეიქმნა ღვინის მოდელირებული ხსნარი („სინთეზური წითელი ღვინო“), რომელიც დაყენდა ფერმენტაციის შემდეგ მიღებული კომერციული წითელი ყურძნის ნარჩენების ექსტრაქტის გამოყენებით.

აღმოჩნდა, რომ პოლიფენოლები და პოლისაქარიდები მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიწოვება PP-მემბრანებზე, მაშინ როცა PES-მემბრანები მათ ძლიერად იჭერენ.

ცალკეული მოდელირებული ნივთიერებების (პოლიფენოლი ან პოლისაქარიდი) და მათი ნარევების მონაცემების შედარებამ „სინთეზური წითელი ღვინის“ მონაცემებთან დაადასტურა ჰიპოთეზა, რომ წითელ ღვინოში არსებული პოლიფენოლებისა და პოლისაქარიდების აგრეგატები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადსორბციულ დაბინძურებაში, ხოლო პოლიფენოლების და მემბრანის ზედაპირის ურთიერთქმედება არის მთავარი მამოძრავებელი ძალა.

შედეგად, ღვინის ინგრედიენტების PP-მემბრანებზე დაბალი შეწოვის უნარი უზრუნველყოფს უფრო მაღალ წარმადობასა და უფრო ხანგრძლივ მომსახურების ვადას ღვინის მიკროფილტრაციული გასუფთავების პროცესში.[9]

გამოგონება ეხება პროცესს, რომელიც სითხიდან სიმღვრივის გამომწვევი კომპონენტების მოცილებას მიკროფილტრაციის საშუალებით უზრუნველყოფს. აღნიშნული სითხე შეიძლება იყოს ლუდი, ღვინო, ხილის წვენი, ბაქტერიული სუსპენზია, სისხლი, რძე, ფერმენტული სუსპენზია და ა.შ.

გამოგონების მიხედვით, დასამუშავებელი სითხე გადის ასიმეტრულ მემბრანაზე, რომლის ფოროვანი სტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ მემბრანის საკვების მხარეს ფორები უფრო დიდია, ვიდრე ნომინალური ფორების ზომა, ხოლო ნომინალური ზომის ფორები გვხვდება მემბრანის განივი კვეთის იმ მხარეს, რომელიც მიმართულია გამავალი სითხისაკენ (პერმეატის მხარეს).

გაფილტრული კომპონენტები მემბრანიდან უკან ირეცხება და შემდგომ სითხესთან ერთად გამოიდევნება. ნომინალური ფორების ზომა, ჩვეულებრივ, 0.1-5.0 მკმ-ია, ხოლო უპირატესად 0.2-1.0 მკმ. მემბრანა შეიძლება იყოს მილაკოვანი, ბრტყელი ან კაპილარული.

უკან გამორეცხვის (back-flushing) პროცესი ხორციელდება პერიოდულად, 1 წამიდან 10 წუთამდე სიხშირით, თითოეული ციკლი კი გრძელდება 0.1-1 წამი, 0.5-5 ბარის საწინააღმდეგო წნევის პირობებში. შემავალი სითხის სიჩქარე სასურველია, იყოს 2 მ/წმ-ზე ნაკლები, ხოლო მემბრანაზე წნევის სხვაობა უნდა იყოს 0.5 ბარ-ზე ნაკლები.[10]

საქართველოში წითელი ღვინის არაერთი სახეობა არსებობს, რომლებიც ერთმანეთისგან ფერითა და გემოვნური თვისებებით განსხვავდება.

ადგილობრივი ვაზის ჯიშებისგან დამზადებული წითელი ღვინოებია: ქინძმარაული, საფერავი, ხვანჭკარა, მუკუზანი...

მუკუზანი—მუკუზანში მოყვანილი საფერავისგან დამზადებული უმაღლესი ხარისხის წითელი მშრალი ღვინოა. იგი ძველდება მუხის კასრში სულ ცოტა 3 წელი, მაშინ როცა ქინძმარაული ორი წელი, ხოლო საფერავი მხოლოდ ერთი. მუკუზანი გამოირჩევა მუქი წითელი ფერით, სურნელში იგრძნობა მუხისა და კენკროვანის ტონები. ალკოჰოლის შემცველობაა 10,5-12,5 % და ტიტრული მჟავიანობა 6,0-7,0 %. [11]

საფერავი საშუალო ზრდისა და უხვმოსავლიანია. სავეგეტაციო პერიოდი 155-დან 164 დღემ-დე გრძელდება და სექტემბრის მეორე ნახევრიდან ოქტომბრის პირველ ნახევრამდე მწიფდება. ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში მისი შაქრიანობა აღწევს 20-26%-ს, ხოლო მჟავიანობა — 7.5-8.5 გ/ლ-ს. მოსავლიანობის, შაქრის დიდი შემცველობისა და საღებავის სიუხვით ძვირფას ვაზის ჯიშად ითვლება. საჭმელად ნაკლებად იხმარება, უპირატესად საღვინე ჯიშია. საფერავისგან დაყენებული წითელი ღვინო გამოირჩევა სურნელით, ფერითა და სიმაგრით. იყენებენ სხვა ღვინოების გაუმჯობესებისა და შეფერადებისთვის. დაძველების მიხედვით მისგან დაყენებული ღვინის მარკებია „საფერავი“ (ერთ წლიანი), „ქინძმარაული“ (ორ წლიანი) და „მუკუზანი“ (სამი და ზევით). [12]

ღვინო „ხვანჭკარა“ ხასიათდება მუქი ლალისფერი შეფერვით, გემოზე ჰარმონიული, ხავერდოვანი, დახვეწილი, სასიამოვნო სიტკბოთი, ხილის ტონებით და ჯიშური არომატით. ღვინო „ხვანჭკარის“ მოცულობითი სპირტშემცველობა 10,5-12,0 %, შაქრის მასური კონცენტრაცია — 30-50 გ/დმ³, ტიტრული მჟავიანობა — 5-7 გ/დმ³, აქროლადი მჟავიანობა არაუმეტეს — 1,2 გ/დმ³, დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია — არანაკლებ 20 გ/დმ³, გოგირდოვანი მჟავის საერთო მასის კონცენტრაცია — არაუმეტეს 210 მგ/დმ³, თავისუფალი გოგირდოვანი მჟავის კონცენტრაცია — არაუმეტეს 30 მგ/დმ³.[13]

ქინძმარაული — უმაღლესი ხარისხის წითელი ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო. მზადდება საფერავის ჯიშის ყურძნისაგან. ღვინო „ქინძმარაული“ ხასიათდება მუქი ბროწეულისფერი შეფერვით, გემოზე ჰარმონიული, სრული, ხავერდოვანი, დახვეწილი, სასიამოვნო სიტკბოთი, ხილის ტონებით და ჯიშური არომატით. ღვინო „ქინძმარაულის“ მოცულობითი სპირტშემცველობა შეადგენს 10,5-12,0%-ს, შაქრების მასიური კონცენტრაცია — 30-50გ/დმ³; ტიტრული მჟავიანიბა — 5-7გ/დმ³; აქროლადი მჟავიანობა — არაუმეტეს 1,2გ/დმ³; დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია — არანაკლებ 20 გ/დმ³; გოგირდოვანი მჟავის საერთო მასის კონცენტრაცია — არაუმეტეს 210 მგ/დმ³; თავისუფალი გოგირდოვანი მჟავის კონცენტრაცია — არაუმეტეს 30 მგ/დმ³. [14]

მადერის ტიპის მაგარი ღვინის მიღების ხერხი.

ხერხი ითვალისწინებს რქაწითელის ჯიშის ყურძნის კლერტის გაცლას, მის დაჭყლეტას დურდოს მიღებით, დურდოს გაცხელებას, დურდოს გამოწნეხას თვითნადენი და პირველი ფრაქციის ტკბილის მიღებით, გაცივებას, სულფიტაციას 30-70 მგ/ლ გოგირდოვანი ანჰიდრიდით, ლექიდან მოხსნას, საფუვრის წმინდა კულტურის შეტანას, ალკოჰოლურ დუღილს, დასპირტვას ორწლიან ღვინოზე დამზადებული 68°-იანი საბრენდე სპირტით, ეგალიზაციას და მადერიზაციას.[15]

შესწავლილია საფერავის ყურძნიდან მიღებული საღვინე მასალების შენახვის, სიმწიფისა და დაძველების პროცესში ფერების და ძირითადი შემადგენელი კომპონენტების ცვლილებისა და ტრანსფორმაციის დინამიკა. ამ დასკვნებს დიდი მნიშვნელობა აქვს წითელი ღვინოების ბუნებრიობის ძირითადი კრიტერიუმებისა და ამ ღვინოების ტექნოლოგიური დამუშავების სტაბილიზაციის 24 ოპტიმალური პირობების დასადგენად. საფერავის ჯიშის ყურძნის ნატურალურ ჩვეულებრივ წითელ სუფრის ღვინოებში ფერების საერთო შემცველობა არ უნდა იყოს 380/400 მგ/დმ^3-ზე ნაკლები, ხოლო ბუნებრივ, წითელ სუფრის ღვინოებში, 3 წლიან დაძველების პროცესში, ფერების ჯამური შემცველობა არ უნდა იყოს ნაკლები 253/162 მგ/დმ^3, რაც უნდა ჩაითვალოს ბუნებრიობის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად.[16]

განხილულია 1910 და 2010 წლებში გამოუყენებელი ქვევრის ფრაგმენტებში შემავალი ნივთიერებების (მძიმე ლითონების) შესწავლის შედეგები. კვლევის მთავარი მიზნის მისაღწევად, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ქვევრში შემავალი ნივთიერებების ანალიზს, არამედ მათ გავლენას ღვინოზე, შესწავლილი იქნა მინის ჭურჭელში და ქვევრში დამზადებული ღვინოების ნიმუშები. კვლევას უნდა ეპასუხა - კითხვაზე - გადადის თუ არა მძიმე ლითონები ჭურჭლიდან ღვინოში, დაშვებულ დონეზე ზემოთ. შედეგმა აჩვენა, რომ ორივე შემთხვევაში კონცენტრაციის დონე არ აღემატებოდა დასაშვებ ზღვარს.[17]

ამრიგად, ნაშრომში მოცემულია ზოგიერთი საერთაშორისო და ადგილობრივი პატენტების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია წითელი ღვინომასალის მიღება - გასუფთავების მეთოდებთან.

ლიტერატურა:

1. Current advances in membrane processing of wines: A comprehensive review,3; Youssef El Rayess a, Roberto Castro-Muñoz b, Alfredo Cassano c, Trends in Food Science & Technology,Volume 147, May 2024, 104453;

2. Method of removing sulfites from standard wine -Sand T. Brown , US5071664, 12/10/1991

3. Automatic plant for the microfiltration of liquids, in particular of wines - Maurizio De Mattia, EP0464322A1, 01/08/1992

4. Methods for preparing high color concentrate wine, David Charles Hayman Denise Rochelle Worden, US12203058B2, 2025-01-21;

5. Concentration of red wine by nanofiltration, Szilvia Banvolgyi, Istvan Kiss, Erika Bekassy-Molnar, Gyula Vatai, Desalination, Volume 198, Issues 1–3, 30 October 2006, Pages 8-15;

6. Non-Saccharomyces yeasts as bioprotection in the composition of red wine and in the reduction of sulfur dioxide; Sara Windholtz a, Pascaline Redon a, Soizic Lacampagne a, Laura Farris a c, Georgia Lytra a c, Margaux Cameleyre a, Jean Christophe Barbe a c, Joana Coulon b, Cécile Thibon a, Isabelle Masneuf Pomarède a c, LWT, Volume 149, September 2021, 111781;

7. Sugar reduction in musts with nanofiltration membranes to obtain low alcohol-content wines,Noemi García-Martín a, Silvia Perez-Magariño b, Miriam Ortega Heras b, Carlos González-Huerta b, Mihaela Mihnea c, MaríaLuisa González Sanjosé c, Laura Palacio a, Pedro Prádanos a, Antonio Hernández a, Separation and Purification Technology,Volume 76, Issue 2, 13 December 2010, Pages 158-170;

8. Method and compositions for preserving wine, David Rubin, Ely Rubin, US8871284B2;

9. Fouling in microfiltration of wine: The influence of the membrane polymer on adsorption of polyphenols and polysaccharides, Mathias Ulbricht , Wolfgang Ansorge, Inge Danielzik , Martin König, Separation and Purification Technology 68(3):335342DOI:10.1016/j.seppur.2009.06.004;

10. Method for the removal of components causing turbidity, from a fluid, by means of microfiltration; Gede Wenten, Dirk M. Koenhen,Hendrik D. W. Roesink, Alan Rasmussen, Gunnar Jonsson, US5560828A;

11. ღვინო მუკუზანი - W ka.wikipedia.org.

12. ღვინო საფერავი - W ka.wikipedia.org.

13. ღვინო ხვანჭკარა - W ka.wikipedia.org.

14. ღვინო ქინძმარაული - W ka.wikipedia.org.

15. მადერის ტიპის მაგარი ღვინის მიღების ხერხი კონსტანტინე ბალავაძე. სასარგებლო მოდელის პატენტი: (11) GE U 2015 1845 Y : (51) C 12 G 1/00 (IPC, 2006)

16. Biological and technological research of wine materials processing, ripening and aging from Saperavi grapes. /N. Baghaturia, T. Nanitashvili, N. Begiashvili, Ts. Shilakadze, B. Baghaturia/, GEORGIAN ABSTRACTS JOURNAL, Teqinformi,# 11(23), 2013.Agriculture; Agrarian-economic Science and Technologies, 2013, #1, pp. 61-72.

17. Does kvevri (amphora) clay influence the quality of wine? /G.Barisashvili/, GEORGIAN ABSTRACTS JOURNAL, Teqinformi,# 11(23), 2013.Agriculture; New Agrarian Georgia - 2013. - № 4 - pp .19-22

Search and analysis of local and international patented works for the microfiltration process of Saperavi, Kindzmarauli, Khvanchkara and Mukuzani wine materials under variable temperature and viscosity conditions.

George Bibileishvili[1], Zaza Javashvili[2], Elene Kakabadze[3], Leila Tananashvili[4], Manana Mamulashvili[5]

Engineering Institute of Membrane technologies of Georgian Technical University

Abstract

The local and international patent works discussed in the paper reflect the current state of the sectoral specificity of the development of microfiltration process methods for obtaining various red wine materials in the world and determine the appropriate priorities for ongoing scientific research at the institute.

Keywords: local and international patents, variable temperature, viscosity conditions, wine materials, Saperavi.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.62



გამხსნელების გავლენა პოლიეთერსულფონური მემბრანების მახასიათებლებზე და პოლიმერის კონფორმაციული მდგომარეობაზე დასასხმელ ხსნარში დანამატად პვპ-ს გამოყენებისას

გიორგი ბიბილეიშვილი[1], ნანა გოგესაშვილი[2], ელენე კაკაბაძე[3], ზაზა ჯავაშვილი[4], თინათინ ბუთხუზი[5]

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი
[1]ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
email: 75bibileishvili@gmail.com ORCID ID: https://orcid.org/0009-0003-7712-2436
[2]ქიმიის დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი email: nanagogesashvili@gmail.com ORCID ID: https://orcid.org/0000-0001-5140-5815

რეზიუმე

ნაშრომში პოლიეთერსულფონური(პეს) 5200 მიკროფილტრაციული მემბრანები მიღებული იყო ფაზური ინვერსიით. შესწავლილი იყო გამხსნელის როლი პოლიმერულ ხსნარებში მიმდინარე კომფორმაციის ცვლილებაზე, ნაწილაკის ზომებზე და მემბრანული ნიმუშების მახასიათებლებზე. დანამატად განსხვავებული რაოდენობით პოლივინილპიროლიდონის (პვპ) K30-ის შეტანისას. 15%-იან პეს -ის პეს/დმფ და პეს/დმაა კომპოზიციებში დამატებული იყო მასით 3%,5%,7% პვპ. დადგენილია, რომ უდანამატო კომპოზიციებში პვპ შეტანა იწვევს გამოლექილი მემბრანების სუფთა წყლის ნაკადის ზრდას ორივე გამხსნელიდან გამოლექილი მემბრანების შემთხვევაში, მაგრამ წარმადობის უფრო მაღალი მაჩვენებლები და ფორის ზომის მნიშვნელობებიც, აქვს დიმეთილფორმამიდიდან გამოლექილ მემბრანებს. მიღებული მემბრანებიდან უკეთესი მახასიათებლები,სუფთა წყლის ნაკადი და სტრუქტურა გააჩნია PES/ DMF /7% PVP ხსნარიდან გამოლექილ P7 მემბრანას.

საკვანძო სიტყვები: პოლიეთერსულფონი, მიკროფილტრაცია, DMF, DMAc, PVP.

შესავალი


50 წელია სინთეზურმა პოლიმერებმა მნიშვნელოვანი გამოყენება ჰპოვა მემბრანულ ტექნოლოგიაში, რადგან დადგინდა, რომ პოლიმერები წარმოადგენენ უნიკალურ მასალას მემბრანების შესაქმნელად [1, 2]. ამ მიზნის რეალიზაციისათვის ინსტიტუტშივე მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა სხვადასხვა პოლიმერული მასალებიდან ახალი გაუმჯობესებული ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მქონე პოლიმერული მემბრანების შექმნის მთლიანი ტექნოლოგიური სქემის დასადგენად[3,4,5]. მემბრანების მიღება და კვლევა წარმოებს ინსტიტუტში შექმნილ ლაბორატორიულ დანადგარებზე.


ფაზური ინვერსიის პროცესის წარმართვა და ამ პროცესის რეჟიმული პარამეტრების დადგენა მემბრანების შექმნის ბოლო მნიშვნელოვანი ეტაპია. აღიშნული პროცესის დროს ერთდროულად წარმოებს აორთქლებაც და დიფუზიაც. საკოაგულაციო აბაზანაში მთლიანად ხდება გამხსნელის და ფორწარმომქმნელი დანამატის გამოდევნა და არაგამხსნელით გაჯირჯვებული მემბრანის წარმოქმნა. პოლიმერული მემბრანის დამზადებისას გამოყენებული გამხსნელის ტიპი მნიშვნელოვნად მოქმედებს მემბრანის საბოლოო თვისებებზე [6,], გავლენას ახდენს მის მორფოლოგიაზე, ფორების სტრუქტურაზე, მახასიათებლებზე და ანტიბაქტერიალურ თვისებებზე. სხვადასხვა გამხსნელი სხვადასხვაგვარად ურთიერთქმედებს პოლიმერულ ჯაჭვებთან, რაც იწვევს ფაზური ინვერსიის პროცესების განსხვავებულ მიმდინარეობას მემბრანების ფორმირებისას. რამაც შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა მორფოლოგიის მქონე მემბრანების წარმოქმნა, კანის მკრივი ფენებიდან დაწყებული თითისებური ან ღრუბლისებური ფოროვანი სტრუქტურებით დამთავრებული [7] .

დასასხმელ პოლიმერულ ხსნარებში შესწავლილი იყო ნაწილაკების ზომების მნიშვნელობების ცვლილებები პვპ-ს კონცენტრაციის ცვლილებისას ორივე გამხსნელში. მემბრანების ზედაპირის მორფოლოგია შესწავლილია მასკანირებელი ზონდური მიკროსკოპით. დადგინდა, რომ დიმეთილფორმამიდიდან მიღებული მემბრანების წარმადობა მეტია, ვიდრე დიმეთილაცეტამიდიდან გამოლექილი მემბრანების, ასევე უკეთესია ზედაპირის სტრუქტურა და ფორიანობა.


ექსპერიმენტი


ორ 100მლ-იან კოლბაში ჩატარებული იქნა პოლიეთერსულფონის გახსნა ორ გამხსნელში დიმეთილფორმამიდში და დიმეთილაცეტამდში, 55°C -ზე გაცხელებით 24სთ მაგნიტური სარევალათი მუდმივი მორევის პირობებში. მიღებულ იქნა პეს-ის 15%-იანი კომპოზიციები PES/ DMF და PES/ DMAc. პოლიმერის გახსნის პროცესის მონიტორინგი ხორციელდებოდა პოლარიზაციულ-ინტერფერენციული ოპტიკური მიკროსკოპით (Biolar) შემდგომში ამ ორ კომპოზიციაში ჩამატებული იყო მასით 3%,5% და 7% პვპ. შესაბამისად მიღებული იყო PES/ DMF/3%PVP,PES/ DMAc3%PVP, PES/ DMF/5%PVP, PES/DMAc/5%PVP, PES/DMF/7%PVP და PES/DMAc/7%PVP. მიღებულ დასასხმელ პოლიმერულ ხსნარებში შესწავლილი იყო ნაწილაკების ზომების მნიშვნელობების ცვლილებები პვპ-ს კონცენტრაციის ცვლილებისას ორივე გამხსნელში. დადგინდა, რომ უდანამატო PES/ DMF და PES/ DMAc კომპოზიციებში ნაწილაკების ზომები შესაბამისად არის 50 ნმ-მდე (სურ.1) და120 ნმ-მდე(სურ. 3). მასით 7% პოლივინილპიროლიდონის დამატებით მიღებულ ხსნარებში კი ხდება ნაწილაკების ზომების ზრდა 700ნმ-მდე (სურ.2) და 400ნმ-მდე (სურ.4).რაც ნიშნავს იმას, რომ პვპ-ს დამატება ორივე გამხსნელში იწვევს ხსნარში პოლიმერული კონფორმაციების ცვლილებას, განაპირობებს განსხვავებას წარმოქმნილი ნაწილაკების ზომებში, უფრო მეტად ზრდის ნანაწილაკის ზომას დიმეთილფორმამიდში, რადგან პოლიეთერსულფონს დმფ-ში აქვს ტენდენცია წარმოქნას არაორგანიზებული შემთხვევითი კონფორმაციები თავისი გრძელი ჯაჭვის მთელ სიგრძეზე. აღნიშნული ფაქტორი იწვევს პოლიეთერსულფონის გახსნას და პოლიმერის ჰომოგენური ხსნარის წარმოქმნას.






სურ.1. PES/ DMF ხსნარში სურ.2. PES/ DMf /7%PVP ხსნარში ნაწილაკების ინტესივობის მრუდები ნაწილაკების ინტესივობის მრუდები






სურ.3. PES/ DMAc ხსნარში სურ.4. PES/ DMAc7%PVPხსნარში ხსნარში ნაწილაკების ინტესივობის მრუდები ნაწილაკების ინტესივობის მრუდები



სურ.5 მემბრანა P3 სურ. 6 მემბრანა P6



სურ.7 მემბრანა P4 სურ.8 მემბრანა P7

მასკანირებელი ზონდური მიკროსკოპით შესწავლილი იყო მიღებული მემბრანული ნიმუშების ზედაპირის ტოპოგრაფია . დადგინდა, რომ მემბრანები, რომლებიც მომზადებული იყო დიმეთილაცეტამიდიდან (სურ.6,8) გამოირჩევიან ფაშარი სტრუქტურით, ზედაპირის

სიმქისით, მაშინ როდესაც დიმეთილფორმამიდიდან გამოლექილ მიკროფილტრაციულ მემბრანებს გააჩნიათ მკვრივი, გლუვი და მოწესრიგებული სტრუქტურა (სურ.5,7). მართალია დმფ და დმაც ორივე პოლარული გამხსნელებია, მაგრამ შესაძლებელია რომ დმფ-ში არსებული წყალბადის გავლენით პოლიმერულ ხსნარებში წარმოქმნილი წყალბადური ბმები იწვევენ განსხვავებას პოლიმერულ კონფორმაციებში და საბოლოოდ გამოლექვისას განსხვავებული სტრუქტურების მემბრანების მიღებას. ამასთანავე პვპ-ს დამატება პოლიმერულ ხსნარებში ორივე გამხსნელისთვის იწვევს ფაზური ინვერსიის შედეგად გამოლექილი მიკროფილტრაციული მემბრანების წარმადობის ზრდას და მორფოლოგიის გაუმჯობესებას. ცხრილში 1 მოცემულია მიღებული დანამატიანი და უდანამატო ხსნარებიდან გამოლექილი მემბრანების მახასიათებლები.

ცხრილი 1. 15%--ანი პოლიეთერსულფონური მემბრანების მახასიათებლები დასასხმელ ხსნარში პვპ-ს დანამატით.

პოლიმერული კომპოზიციები	პვპ, %	მემბრანები	სუფთა წყლის ნაკადი ლ/მ² სთ	ფორის ზომა,მკმ
პეს/ დმფ	-	P1	140	0,62
პეს/დმფ/პვპ	3	P2	179	0,56
პეს/დმფ/პვპ	5	P3	298	0,46
პეს/დმფ/პვპ	7	P4	349	0,52
პეს/დმაა	-	P5	125	0,75
..პეს/ დმაა / პვპ	3	P6	191	0,81
პეს/ დმაა / პვპ	5	P7	233	0.79
პეს/ დმაა / პვპ	7	P8	242	0,9

ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ პოლიმერებისთვის გამხსნელების შერჩევა, რომელიც განაპირობებს განსხვავებული პოლიმერული კონფორმაციების წარმოქმნას დასასხმელ ხსნარებში, ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს ფაზური ინვერსიის პროცესის წარმართვის და მემბრანების მახასიათებლების ფორმირების საკითხში. 15% პეს-ის ხსნარში დანამატად პვპ-ს განსხვავებული რაოდენობით შეტანისას დიმეთილფორმამიდში მიღებული იქნა უფრო მაღალი წარმადობის ფორიანობის და სტრუქტურის მიკროფილტრაციული მემბრანები, ვიდრე გამხნელად დიმეთილაცეტამიდის გამოყენებისას. საუკეთესო მახასიათებლები აღმოაჩნდა მემბრანას, რომელიც მიღებული იყო PES/ DMF სისტემიდან მასით 7% პოლივინილპიროლიდონის დამატებით.

ლიტერატურა

1 J. JAGANGELO, R. TRUSSEL, M. WATSON: Role of Membrane Technology in Drinking Water, Reatment in the United, Desalination 113,119-127, (1997).

2. G. BIBILEISHVILI, N. GOGESASHVILI, M. KEZHERASHVILI, L. KUPARADZE, Z. JAVASHVILI: Influence of Some Factors on Characteristics of Poly-m-phenyleneisophtalamide Membranes - Preparation and Examination of Polyamide Membranes. Oxidation Communications 45(2), 300–308. (2022).

3. A. AHMAD, O. SENG, A. ABDULKARIM, S. ISMAIL: Recent development in Additives Modifications of Polyethersulfone Membrane for Flux Enhancement. Chemical Engineering Journal 223, 246-267, (2013).

4. N. GOGESASHVILI, L. KUPARADZE, L. EBANOIDZE, Z. JAVASHVILI: Obtaining of Natural Water Microfiltration Membranes Based on Polyethersulphone With PEG 300, PEG 600 and LiCl Additives. Oxidation Communication 47(3), 543–550 (2024).

5.G. BIBILEISHVILI, M. KEZHERASHVILI, N. GOGESASHVILI, L. KUPHARADZE, L. EBANOIDZE: Effect of the Temperature of the Non-Solvent on the Morphology of the Polymeric Membrane. European Journal of Scientific Research, 161(1), 5 – 15, (2022).

6.C. BARTH, M. GONCALVES, A. PIRES, J. ROEDER, B. WOLF: Asymmetric Polysulfone and Polyethersulfone Membranes: of Thermodynamic Conditions During formation on their performance. Journal Membrane Science 169(2), 287–299, (2000).

7. G. BIBILEISHVILI, M. KEZHERASHVILI, M. MAMULASHVILI: Effect of Different Solvents and Fore-Forming Agents on Morphology and Performance of Polyethersulphone Membranes. Oxidation Communication 47(3), 534–542 (2024).

The influence of solvents on the characteristics of polyethersulfone membranes and the conformational state of the polymer when using PVP as an additive in the casting solution

Giogi Bibileishvili[1], Nana Gogesashvili[2], Elene Kakabadze[3], Zaza Javashvili[4], Tinatin Buthkuzi[5]

Georgian Technical University, Membrane Technology Engineering Institute

Abstract

In this work, polyethersulfone (PES) 5200 microfiltration membranes were obtained by phase inversion. The role of the solvent on the conformational changes occurring in polymer solutions, particle sizes, and characteristics of membrane samples was studied when different amounts of polyvinylpyrrolidone (PVP) K30 were added as an additive. In PES/DMF and PES/DMA compositions with 15% PES, 3%, 5%, and 7% by weight of PVP were added. It has been established that the addition of PVP to the unmodified compositions leads to an increase in the pure water flux of the precipitated membranes in the case of membranes precipitated from both solvents, but membranes precipitated from dimethylformamide have higher performance indicators and pore size values. Of the obtained membranes, the P7 membrane precipitated from a PES/DMF/7%PVP solution has better characteristics, PWF and structure.

keywords: polyethersulfone, microfiltration, DMF, DMAc, PVP.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.63



ბუნებრივ წყალზე ჰიბრიდული ნაკადის განხორციელების გზით ტანგენციალური ბარომემბრანული პროცესის თეორიული კვლევები და ექსპერიმენტების შედეგები

გიორგი ბიბილეიშვილი[1], ლიანა ყუფარაძე[2], ზაზა ჯავაშვილი[3], მზია კეჟერაშვილი[4], ელენე კაკაბაძე[5]

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი
[1]ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
email: 75bibileishvili@gmail.com ORCID ID: https://orcid.org/0009-0003-7712-2436
[2]აკადემიური დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი email LianaKuparadze@gmail.com ORCID ID: https://orcid.org/0009-0002-6786-5669

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია ბარომემბრანული გაყოფის პროცესების განსახორციელებლად შექმნილ მოწყობილობებში ბუნებრივ წყალზე ჰიბრიდული ნაკადის განხორციელების გზით თეორიული კვლევები. ჰიდროდინამიკური მახასიათებლების თეორიული ანგარიშისათვის გამოყენებულია რეინოლდსის რიცხვი, თეორიული კვლევებით დადგინდა ჰიბრიდული ნალკადის რეჟიმული პარამეტრები. სადაწნეო საკნის სიმაღლის განსხვავებული მნიშვნელობებისათვის განისაზღვრა სიჩქარის კრიტიკული მნიშვნელობები, ლამინარული და ტურბულენტური დინების სიჩქარეთა დიაპაზონი. სადაწნეო საკანში წყლის ნაკადის ჩვეულებრივი რეჟიმულ პარამეტრების შედარებამ ჰიბრიდული ნაკადის რეჟიმულ პარამეტრებთან გვიჩვენა,რომ ჰიბრიდული რეჟიმის პირობებში, ერთი და იგივე ხარჯის მიწოდებისას განვითარებული წყლის სიჩქარე აღემატება ჩვეულებრივი ნაკადის სიჩქარეს, ხოლო ექსპერიმენტების შედეგებით კი ჰიბრიდული ნაკადის პირობებში ხვედრითი წარმადობა მნიშვნელოვნად აღემატება ჩვეულებრივი დინებით მიღებულ ხვედრით წარმადობას.

ამგვარად ლაბორატორიულ დანადგარზე ჩატარებული ექსპერიმენტული შედეგებით ჩანს ჰიბრიდული რეჟიმის უპირატესობა, რომელიც საწინდარია მემბრანული დანადგარების მაღალეფექტურობის და რაც მთავარია, ხელს შეუწყობს სამამულო წარმოების საწარმოო მემბრანული დანადგარების დამუშავებასა და შექმნას.

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული ნაკადი, ლამინარული და ტურბულენტური დინება, ხვედრითი წარმადობა.

შესავალი (პრობლემა, აქტუალობა)

ადამიანის ჯანმრთელობისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უპირველეს ყოვლისა აუცილებელია სასმელი წყლის ISO-ს სტანდარტის ნორმების დაცვა. ეს კი უშუალო კავშირშია მემბრანული ტექნიკის და ტექნოლოგიების თანამედროვე ნანოსისტემების დამუშავებასა და ათვისებასთან [4,5]. მემბრანული აპარატების ხვედრითი წარმადობის ასამაღლებლად და მასში ბარომემბრანული პროცესების ეფექტური წარმართვისათვის აქტუალურია შეიქმნას ისეთი მოდელების მემბრანული დანადგარები, რომელშიც შექმნილმა სადაწნეო საკნის კონსტრუქციამ, ჰიდროდინამიურმა და მასაგადატანის პროცესებმა უნდა უზრუნველყონ დაყოფის პროცესის ეფექტურობა და ექსპლოატაციის მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები [1,2,3].

ამ მიზნით მემბრანულ აპარატებში უნდა განხორციელდეს ისეთი ჰიდრავლიკური რეჟიმები, რომ ერთის მხრივ ნაკადის სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს კრიტიკულს, მეორეს მხრივ, დანადგარი უნდა მუშაობდეს დაბალ წნევაზე, რაც განაპირობებს ნაკლებ ენერგოდანახარჯებს. ამისათვის ჩვენს მიერ ჩატარდა როგორც თეორიული, ასევე ექსპერიმენტული კვლევები ჰიბრიდული ნაკადის პირობებში.

მეთოდი

ჰიდრავლიკური რეჟიმული პარამეტრების დასადგენად ჩატარდა ლაბორატორიული დანადგარის მუშა კვანძისათვის წყლის ნაკადის პარამეტრების თეორიული გათვლა ჰიბრიდული რეჟიმის პირობებში რეინოლდსის რიცხვის დახმარებით $\mathrm{Re} = \frac{v\,d}{\nu}$, სადაც v-სიჩქარეა, d-ჰიდრავლიკური დიამეტრია, ν-სითხის კინემატიკური სიბლანტეა.

ლაბორატორიული მუშა კვანძის- სადაწნეო საკნის გეომეტრიული ზომებია: სიგანე B=9მმ=9×10^{-3}მ; სიგრძე $l = 30$მმ $= 30 \times 10^{-3}$მ; სიმაღლეები: $h = 1$ მმ=1×10^{-3}მ და $h = 0{,}6$მმ $= 0{,}6 \times 10^{-3}$მ; წყლის კინემატიკური სიბლანტის კოეფიციენტი 20^0C-ზე შეადგენს $\nu = 1{,}004$ მმ²/წმ = $1{,}004\times10^{-6}$ მ²/წმ. ცხრილში 1. მოყვანილია ჰიბრიდული რეჟიმის პირობებში მუშა კვანძის სხვადასხვა სიმაღლისათვის ჰიდრავლიკური მახასიათებლები, Re რიცხვის მნიშვნელობები წყლის სიჩქარეებისთვის: 0,5 მ/წმ; 1,3333 მ/წმ; 1,5 მ/წმ; 2მ/წმ; 2,075მ/წმ; 2,541მ/წმ; 6 მ/წმ; 6,83 მ/წმ და შესასვლელ კვეთში წყლის ხარჯი Q,: ასევე ჩეულებრივი რეჟიმის პირობებში სადაწნეო საკნისათვის სიმაღლით $h = 0{,}6$მმ $= 0{,}6 \times 10^{-3}$მ −თვის.

ცხრილი1-ის თეორიული გაანგარიშების მონაცემებით სადაწნეო საკანში ჰიბრიდული რეჟიმის პირობებში ლამინარული დინებას ადგილი აქვს : როდესაც h= 1მმ $v \le v_{კრ}$=2,541 მ/წმ და $h = 0{,}6$მმ $= 0{,}6 \times 10^{-3}$მ $v \le \mathrm{v}_{კრ}$=6,83 მ/წმ. როგორც ცხრილი 1-დან ჩანს ხარჯის Q=$2{,}7\times10^{-6}$მ³/წმ მიწოდებით (ცხრილში აღნიშნულია დახრილი შრიფტით) საკანში ჩვეულებრივი დინებით ვითარდება v=0,5 მ/წმ სიჩქარე, ხოლო ჰიბრიდულის შემთვევაში v=1,333 მ/წმ.

ცხრილი 1. თეორიული ანგარიშის შედეგები ჰიბრიდული და ჩვეულებრივი რეჟიმებისათვის.

v (მ/წმ)	*0,5*	*1.3333*	1,5	2	2,075	**2,541**	6	**6,83**
სადაწნეო საკანი ჰიბრიდული რეჟიმით								
h=1მმ, F= = $5{,}625მმ^2 = 5{,}625 \times 10^{-6}მ^2$ χ=24,5მმ= 24,5 ×10^{-3}მ; R= $\frac{F}{\chi}=\frac{5{,}625}{24{,}5}$ ≈0,2295მმ=0,2295 ×10^{-3}მ; d=4 × R = 4 ×0,2295მმ=0,91836×10^{-3}მ;								
$v \times d$ (მ²/წმ)	*0,4591* ×10^{-3}	*1,2244* ×10^{-3}	1,3775 ×10^{-3}	1,8367 ×10^{-3}	1,9055 × 10^{-3}	**2,3335** **10^{-3}**	5,51 × 10^{-3}	6672 ×10^{-3}
Re	*457*	*1219*	1372	1829	1898	**2324**	5488	6247
Q (მ³/წმ)	*2,812* × *10^{-6}*	*7,4981* ×10^{-6}	11,25 × 10^{-6}	11,25 × 10^{-6}	11,671 × 10^{-6}	**14,293** × **10^{-6}**	33,75 ×10^{-6}	37,735 ×10^{-6}
h=0,6მმ, F= = $2{,}025მმ^2 = 2{,}025 \times 10^{-6}მ^2$ χ=23,7მმ= 23,7 ×10^{-3}მ; R= $\frac{F}{\chi}=\frac{2{,}025}{23{,}7}$ ≈0,08544მმ=0,08544 ×10^{-3}მ; d=4 × R = 4 ×0,08544მმ=0,34177×10^{-3}მ;								
$v \times d$ (მ²/წმ)	*0,17028* ×10^{-3}	*0,4556* ×10^{-3}	0,5126 ×10^{-3}	0,6835 ×10^{-3}	0,7094 ×10^{-3}	0,868	2.050 ×10^{-3}	**2,334** **×10^{-3}**
Re	*170*	*453*	510	681	706	865	2042	**2325**
Q (მ³/წმ)	*1,0125* ×10^{-6}	*2,699* ×10^{-6}	3,032 ×10^{-6}	4,05 ×10^{-6}	4,201 ×10^{-6}	4,201 ×10^{-6}	12,15 ×10^{-6}	**13,,83** **×10^{-6}**
სადაწნეო საკანი ჩეულებრივი რეჟიმით								
h=0,6მმ, F=B× h =9× 0,6 = $5{,}4მმ^2 = 5{,}4 \times 10^{-6}$ მ² ;χ=2B+2h=18+1,2=19,2 მმ=19,2× 10^{-3} მ; R=$\frac{F}{\chi}=\frac{5{,}4}{19{,}2}$ = 0,28125 × 10^{-3} მ; d=4 × R =1,125მმ=1,125×10^{-3}მ;								
$v \times d$ (მ²/წმ)	0,5627 ×10^{-3}	*1,05* ×10^{-3}	1,6875 ×10^{-3}	2,25 ×10^{-3}	**2,3343** **×10^{-3}**	2,8586 × 10^{-3}	6,75 ×10^{-3}	7,683 ×10^{-3}
Re	*560*	*1494*	1680	2241	**2325**	2847	6723	7653
Q (მ³/წმ)	*2,7* ×10^{-6}	*7,19* ×10^{-6}	8,1 ×10^{-6}	10,8 ×10^{-6}	**11,205** **×10^{-6}**	12,721 × 10^{-6}	32,4 ×10^{-6}	36,882 ×10^{-6}

ექსპერიმენტული ნაწილი. ლაბორატორიულ დანადგარზე ჩატარდა ექსპერიენტები როგორც ჩვეულებრივი დინებით, ასევე ჰიბრიდულით ლამინარული რეჟიმის პირობებში გამოხდილ წყალზე მემბრანაზე ფორის ზომით 2 მკმ წნევა P=1 ატ ისე, რომ შესასვლელ კვეთში წყლის ხარჯი იყო Q=2,7×10^{-6}მ³/წმ. ცდების შედეგები მოცემულია ცხრილში 2.

ცხრილი 2.ექსპერიმენტების შედეგები

წნევა P ატ	ხარჯი Q მ³/წმ	T C⁰	J ლ/(სთ მ²)	
1	2,7×10^{-6}	20	ჩვეულებრივი სიჩქარე v=0,5მ/წმ	ჰიბრიდული სიჩქარv=1,333 მ/წმ
			2000	2500

ექსპერიმენტებით მიღებული ხვედრითი წარმადობის მნიშვნელობა ჰიბრიდულ რეჟიმის დროს გაცილებით ბევრად მეტია ვიდრე ჩვეულებრივი რეჟიმის დროს. ეს იძლევა საშუალებას გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: თანაბარი ენერგეტიკული დანახარჯების პირობებში უპირატესობა ენიჭება ჰიბრიდულ რეჟიმს. ასევე ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტები ლაბორატორიულ დანადგარზე ჰიბრიდული რეჟიმის პირობებში მემბრანაზე ფორის ზომით 2 მკმ P=0,5 ატ v=1მ/წმ გამოხდილ წყალზე სიმღვრივით 0,03 NTU და კრანის წყალზე სიმღვრივით 0,75 NTU. ექსპერიმენტების შედეგები მოყვანილია ცხრილში 3.

ცხრილი 3. .ექსპერიმენტების შედეგები

წნევა P ატ	ტემპერატურა T C^0	სიჩქარე v მ/წმ	ხვედრითი წარმადობა J ლ/(სთ $მ^2$)			
			გამოხდილი წყალი 0,03 NTU		კრანის წყალი 0,75 NTU	
			ჰიბრიდული	ჩვეულებრივი	ჰიბრიდული	ჩვეულებრივი
0,5	20	1	2900	2000	1700	1200

როგორც ცხრილი 3-დან ჩანს ექსპერიმენტებით მიღებული ხვედრითი წარმადობების მნისვნელობები ბევრად აღემატება ჰიბრიდული რჟიმის პირობებში, ვიდრე ჩვეულებრივი რეჟიმის დროს.

განსჯა. ამრიგად, ჰიბრიდული რეჟიმის პირობებში მემბრანული დანადგარის სადაწნეო საკნის სიმაღლის განსხვავებული მნიშვნელობისათვის, დადგენილია ლამინარული და ტურბულენტური რეჟიმების სიჩქარეთა დიაპაზონი. ლაბორატორიულ დანადგარზე ჩატარებულმა ექსპერიმენტების შედეგებმა დაგვანახა ჰიბრიდული რეჟიმის უპირატესობა, რომელიც საწინდარია მემბრანული დანადგარების მაღალეფექტურობის, და რაც მთავარია ხელს შეუწყობს სამამულო წარმოების საწარმოო მემბრანული დანადგარების დამუშავებასა და შექმნას.

ლიტერატურა

1.ბილეიშვილი გ.ვ., ყუფარაძე ლ.პ., კეჭერაშვილი მ.გ., გოგესაშვილი ნ.ნ., ებანოიძე ლ.ო.“ სადაწნეო საკანში წყლის ნაკადის ტურბულენტური რეჟიმის თეორიული დახასიათება“. საქართველოს საინჟინრო სიახლენი, №1 ტ. 97, 2023. გვ.111-114. ISSN 1512-0287

2. ბიბილეიშვილი გ.ვ.,კეჭერაშვილი მ. გ., ყუფარაძე ლ.პ., ჯავაშვილი ზ.დ. „მიკროფილტრაციული პროცესში ნაკადის ჰიდროდინამიკის კვლევა მემბრანული სისტემების სადაწნეო საკნის ოპტიმალური გეომეტრიული კონფიგურაციის შესწავლისათვის.“.საქართველოს საინჟინრო სიახლენი, №2 ტ. 98, 2023, გვ 87. ISSN 1512-0287

3..ბიბილეიშვილი გ.ვ., ყუფარაძე ლ.პ., კეჭერაშვილი მ.გ.“წყლის ნაკადის დინების თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა სადაწნეო საკნის განსხვავებული გეომეტრიისათვის კვლევა“. საქართველოს საინჟინრო სიახლენი, №2 ტ.98, 2023, გვ 51. ISSN 1512-0287

4. Belfort, G. (1976), Cleaning of reverse osmosis membranes in wastewater renovation, in Water 75, published by AIChE, NY, 76-81.

5. Venkiteshwaran A. and Belfort, G. (2010) process optimization diagrams for membrane microfiltracion, J. Membrane Science, 357 (1-2) 105-108

Theoretical studies and experimental results of tangential baromembrane process through hybrid flow implementation on natural water.

George Bibileishvili[1], Liana Kuparadze[2], Zaza Javashvili[3], Mzia Kezherashvili[4], Elene Kakabadze[5]

Engineering Institute of Membrane technologies of Georgian Technical University

abstract

The paper presents theoretical studies on the implementation of hybrid flow in natural water in devices designed to implement baromembrane separation processes. The Reynolds number is used for the theoretical calculation of hydrodynamic characteristics, and the regime parameters of the hybrid flow were determined through theoretical studies. Critical velocity values, laminar and turbulent flow velocity ranges were determined for different values of the pressure cell height. In addition, a comparison of the water flow regime parameters in the pressure cell with the hybrid flow regime parameters showed that under the hybrid regime, the velocity developed when delivering the same flow rate exceeds the water flow velocity, and according to the experimental results, under the hybrid flow conditions the specific permeability significantly exceeds the specific permeability obtained with conventional flow. Thus, the results of experiments conducted on a laboratory device show the advantage of the hybrid mode, which is a prerequisite for the high efficiency of membrane devices and, most importantly, will facilitate the development and creation of domestically produced industrial membrane devices.

Keywords: hybrid flow, laminar and turbulent flow, specific permeability.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.64



ფაზური ინვერსიით მემბრანის მიღებისას დამლექავ და გამრეცხ აბაზანებში ხსნარების შედგენილობის კვლევა

გიორგი ბიბილეიშვილი[1], ლიანა ებანოიძე[2], მანანა მამულაშვილი[3], ელენე კაკაბაძე[4], ზაზა ჯავაშვილი[5], მზია კეჟერაშვილი[6], თინათინ ბუთხუზი[7]

[1]ქიმური და ბიოლოგიური ინჟინერიის აკადემიური დოქტორი, მთავარი მეცნიერი - e-mail 75bibileishvili@mail.com ORCID https://orcid.org/0009-0003-7712-2436

[2]ქიმიის აკადემიური დოქტორი, უფროსი მეცნიერი e-mail l.ebanoidze@gtu.ge ORCID https://orcid.org/0009-0008-9232-3515

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია ფაზური ინვერსიით მემბრანის მიღებისას დამლექავი და გამრეცხი აბაზანების ხსნარების შედგენილობის კვლევა И-160 მარკის იონომეტრზე და FTIR-ფურიე გარდაქმნის ინფრაწითელ სპექტრომეტრზე „TERMO NICOLET“, AVATAR 370. განსაზღვრულია დამლექავ და გამრეცხ ხსნარებში კათიონების - Li^+, Na^+, Ca^{++}, ანიონის - Cl^- კონცენტრაცია და სიხისტე. შესწავლილია მემბრანის ზედაპირის სტრუქტურა მასკანირებელ ზონდურ მიკროსკოპზე CERTUS STANDART V. დადგენილია დამლექი ხსნარის სიხისტის გავლენა მემბრანის საფილრაციო მახასიათებლებსა და ზედაპირის სტრუქტურაზე. მემბრანის რეცხვის შესაფასებლად განხორციელებულია გამრეცხი ხსნარის იონომეტრული და იწ-სპექტრომეტრული კვლევა სრული ნეიტრალური გარემოს მიღებამდე.

საკვანძო სიტყვები: მემბრანა, კათიონი, ანიონი, არაგამხსნელი, აბაზანა, ფაზური ინვერსია

ფაზური ინვერსიის მეთოდით მემბრანის ფორმირებისას პოლიმერის კონცენტრაცია, გამხსნელის ტიპი, არაგამხსნელის ბუნება, მისი პოლარულობა და სიხისტე, გამხსნელი-არაგამხსნელ შორის მიმდინარე პროცესის დიფუზიის სიჩქარე პირდაპირ გავლენას ახდენს მემბრანის მორფოლოგიასა და მის სატრანსპორტო თვისებებზე. ამ პირობების შერჩევა განსაზღვრავს თუ როგორი სტრუქტურის, ფორის ზომის, სიმქისის და წარმადობის მემბრანა წარმოიქმნება [1-5].


სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა ფაზური ინვერსიით მემბრანის მიღებისას დამლექავი და გამრეცხი აბაზანების ხსნარების შედგენილობის კვლევა იონომეტრული და იწ სპექტრომეტრული მეთოდებით. განხორციელებულია მემბრანის დამლექავ და გამრეცხ

ხსნარებში კათიონების - Li^+, Na^+, Ca^{++} და ანიონის - Cl^- კონცენტრაციის განსაზღვრა და სიხისტის დადგენა И-160 მარკის იონომეტრზე ლითიუმის, ნატრიუმის, კალციუმის, ქლორის ელექტროდების საშუალებით [6]. კვლევისას გამოყენებულია სათანადო საკალიბრო და ბუფერული ხსნარები. ჩატარებულია გამრეცხი ხსნარის შედგენილობის კვლევა სპექტრომეტრული მეთოდით, რომლის იწ სპექტრები ჩაწერილია FTIR-ფურიე გარდაქმნის ინფრაწითელ სპექტრომეტრზე „TERMO NICOLET“, AVATAR 370, დიაპაზონით: 4000-400 $სმ^{-1}$ და გაზომვის სიზუსტით: 0.5 $სმ^{-1}$ (ნიმუშები დამუშავებული ვაზელინში და დატანილია KBr-ის ფირფიტაზე) [7-8]. მაფორმირებელი ხსნარები გამოლექილია განსხვავებული შედგენილობის არაგამხსნელში ერთნაირი რეჟიმული პარამეტრების პირობებში. ფაზური ინვერსიის მეთოდით მიღებული მემბრანის ფორის ზომები განსაზღვრულია ბუშტულაკების წერტილის მეთოდით ლაბორატორიულ დანადგარზე MTSI-JM-5, ხოლო ხვედრითი წარმადობა - MTSI-BP-3. მემრანების სტრუქტურა შესწავლილია მასკანირებელ ზონდურ მიკროსკოპზე CERTUS STANDART V [9-10]. სკანირების ფართობი იზომებოდა მიკრომეტრებში. მიღებული ექსპერიმენტული შედეგები მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. დამლექავი აბაზანის ხსნარის მარილოვანი შედგენილობა და მემბრანის საფილტრაციო მახასიათებლები


დამლექავი აბაზანის შედგენილობა	საკოაგულაციო აბაზანის მარილოვანი შედგენილობა, 1 მგ.ექვ./ლ-ში					მემბრანის საფილტრაციო მახასიათებლები	
	Li^+	Na^+	Ca^{++}	Mg^{++}	Cl^-	ფორის ზომა, მკმ	ხვედრითი წარმადობა, ლ/მ²სთ
H_2O	0.16	10.70	68.00	59.00	10.00	1.05	600
H_2O+CH_3COOH	0.10	7.90	40.00	29.00	7.50	0.5	950

ცხრილის 1. მონაცემების მიხედვით ხვედრითი წარმადობის მაქსიმალური მაჩვენებელი - 950 ლ/მ²სთ, ყველაზე მცირე ფორის ზომა 0.5 მკმ და გაუმჯობესებული ზედაპირი გააჩნია CH_3COOH-იან ხსნარში გამოლექილ მემბრანას. ეს განსხვავება შეიძლება აიხსნას იმ გარდაქმნებით, რომლებიც მიმდინარეობს საკუაგულაციო აბაზანაში ფაზური ინვერსიის დროს, როდესაც ხდება გამხსნელისა და დანამატების მთლიანად გამოდევნა და გამხსნელის გარეშე გაჯირჯვებული მემბრანის წარმოქმნა. მაფორმირებელი ხსნარის წყალთან შეხება და პოლიმერის გამოლექვა - კოაგულაციის პროცესია. დიფუზიის სიჩქარის მიხედვით წყალი ხისტი დამლექავია, იწვევს პოლიმერის ჩქარ კოაგულაციას და მემბრანის მაკროფორების წარმოქმნას. კვლევამ აჩვენა, რომ წყალის დასარბილებლად დამატებულმა ორგანულმა გამხსნელმა (CH_3COOH) შეცვალა პოლიმერული კომპოზიციიდან კოაგულანტში გამხსნელის დიფუნდირების სიჩქარე და გამოიწვია პოლიმერის ნელი კოაგულაცია. დამლექავის ხსნარიდან პოლიმერულ ბადეში გადასულმა წყალბადის იონებმა სავარაუდოდ განახორციელეს პოლიმერის დახვეული მაკრომოლეკულური სეგმენტების გასწორება, მოწესრიგებული (ღრუბლის ფორმის) სტრუქტურის და მაღალი ხვედრითი წარმადობის მქონე მემბრანის შექმნა (სურათი 1 და სურათი 2) .




სურათი 1. წყალში გამოლექილი მემბრანის მიკროგრაფიული მემბრანის მიკროგრაფიული გამოსახულება 2D-ში სურათი 2. ძმარმჟავას ხსნარში გამოლექილი მემბრანის გამოსახულება 2D-ში

ექსპერიმენტული კვლევისას გამოვლენილია როგორც დამლექავის შედგენილობის, ასევე კონცენტრაციის გავლენა მემბრანის საფილტრაციო მახასიათებლებზე (სურათი 3 და სურათი 4.).



სურათი 3. მემბრანის ფორის ზომების დამოკიდებულება გამხსნელის კონცენტრაციაზე



სურათი 4. მემბრანის ხვედრითი წარმადობის დამოკიდებულება გამხსნელის კონცენტრაციაზე

კვლევამ ცხადყო, რომ გამხსნელისა და არაგამხსნელის შერევისას ადგილი ჰქონდა აღმავალ დიფუზიას მცირე კონცენტრაციებიდან დიდ კონცენტრაციებამდე. გამხსნელის მაღალმა კონცენტრაციამ შეანელა ხსნარიდან პოლიმერული ფაზის გამოყოფის სიჩქარე და განაპირობა მემბრანის სტრუქტურის ცვლილება ფორების ზრდის მიმართულებით. დაბალმა კონცენტრაციამ გამოიწვია ხსნარის დაშლის ტენდენცია ფაზების გამოყოფით, განსაკუთრებით ზედაპირულ შრეში, წარმოქმნა მაღალი შინაგანი დაძაბულებები პოლიმერულ გელში, რაც იწვევს კარკასის რღვევას და რადიალური ფორების მინიმუმამდე წარმოქმნის შესაძლებლობას.

იმის გამო, რომ მაფორმირებელი ხსნარიდან დამლექავ ხსნარში მუდმივად გამოიყოფა გამხსნელი და დანამატები, კოაგულაციის დასრულების შემდეგ ახდენენ მემბრანის რეცხვას ნარჩენი გამხსნელის, დანამატების ან დამლექავის მოსაცილებლად. მემბრანის რეცხვასას ჩატარებულია გამრეცხი ხსნარის როგორც იონომეტრული, ასევე იწ სპექტრომეტრული კვლევა ხსნარში გადასული იონების და ნარჩენი გამხსნელის სრულ მოცილებამდე, ე.ი. სრულ ნეიტრალიზაციურ რეაქციამდე.


ცხრილი 2. გამრეცხავი აბაზანის ხსნარის მარილოვანი შედგენილობა

მემბრანის რეცხვა	საკოაგულაციო აბაზანის მარილოვანი შედგენილობა, 1 მგ.ექვ./ლ-ში				
	Li^+	Na^+	Ca^{++}	Mg^{++}	Cl^-
მემბრანის რეცხვამდე	0.16	10.70	68.00	59.00	10.00
მემბრანის ერთჯერადი რეცხვა	0.15	7.90	40.00	29.00	9.5
მემბრანის ორჯერადი რეცხვა	0.15	7.90	40.00	29.00	9.5

მემბრანის ორჯერადი რეცხვის შემდეგ გამრეცხი ხსნარის მარილოვანი შედგენილობის დადგენით დაადასტურა კომპოზიციის კომპონენტებიდან იონების სრული გამოყოფა.

ცხრილში 2. მოყვანილი შედეგებით გამრეც ხსნარში Li^+-ის თავდაპირველი რაოდენობა შეადგენდა 0.16 მგ.ექვ/ლ-ს, Cl^--ის კი 10.00 მგ.ექვ/ლ-ს. მემბრანის ერთჯერადი რეცხვის შემდეგ მათი კონცენტრაცია შემცირდა 5%-ით, მემბრანის ორჯერადი რეცხვის შემდეგ რაოდენობა არ შეცვლილა, რაც იონების სრულ გამოყოფაზე მიუთითებს.


მემბრანის ერთჯერადი რეცხვის შემდეგ გადაღებულ გამრეცხი ხსნარის იწ სპექტრზე დაფიქსირებულია როგორც წყლის, ასევე დიმეთილფორმამიდის შთანთქმის ზოლები (სურათი 5.).



სურათი 5. გამრეცხი ხსნარის იწ სპექტრი მემბრანის ერთჯერადი რეცხვის შემდეგ

სუფთა წყლის იწ სპექტრი, რომელიც მდებარეობს 4000-700 $სმ^{-1}$ დიაპაზონში განპირობებულია ν(OH)-ის შთანთქმის ინტენსიობით. ლიბრაციული მოძრაობით გამოწვეული წყლის მოლეკულების ძლიერი და ფართო შთანთქმის სპექტრის მაქსიმუმი 1645.92 $სმ^{-1}$ - 3200 $სმ^{-1}$ უბანშია. ფართო, მაგრამ უფრო სუსტი შთანთქმის სპექტრის მაქსიმუმი კი - 1113.11 $სმ^{-1}$ უბანში. DMF-ს სპექტრალურ მონაკვეთზე ორი უბანია გამოკვეთილი, სადაც წყალბადური C-H···O ბმები გადაფარულია DMF-ს ν(CH)-ით (4000-2500 $სმ^{-1}$ უბანი) და- DMF-ს ν(CO) ბმები - წყლის ν(OH)-ითი (1900-1400 $სმ^{-1}$ უბანი).

მემბრანის ორჯერადი რეცხვის შემდეგ გადაღებულ გამრეცხი ხსნარის იწ სპექტრზე წყლის რაოდენობა მაქსიმუმამდეა გაზრდილი, xDMF-სი კი მინიმუმამდეა შემცირებული, რასაც ადასტურებს ზოლების წანაცვლება შესაბამისად 3400 $სმ^{-1}$-დან 3850 $სმ^{-1}$-მდე და 1649.97 $სმ^{-1}$-დან 1109.06 $სმ^{-1}$-მდე (სურათი 6). კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ორჯერადი რეცხვის შემდეგ გამრეცხავი ხსნარში xDMF-ს რაოდენობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ არ ცვლის ნეიტრალურ გარემოს და მემბრანის რეცხვა სრულყოფილად შეიძლება ჩაითვალოს.



სურათი 6. გამრეცხი ხსნარის იწ სპექტრი მემბრანის ორჯერადი რეცხვის შემდეგ

ამრიგად, ფაზური ინვერსიის პროცესზე გავლენას ახდენს დამლექი ხსნარის სიხისტე, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს სასურველი ზედაპირის სტრუქტურის და მაღალი საფილრაციო მახასიათებლების მქონე მემბრანის მიღებას. მემბრანის რეცხვის შესაფასებლად განხორციელებულია გამრეცხი ხსნარის იონომეტრული და იწ- სპექტრომეტრული კვლევა სრული ნეიტრალური გარემოს მიღებამდე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბილეიშვილი გ.ვ. გოგესაშვილი ნ.ნ., ებანოიძე ლ.ო. არაგამხსნელის როლის გავლენა ფაზური ინვერსიის მიმდინარეობაზე და მიღებული მემბრანების მახასიათებლებზე. საქართველოს საინჟინრო სიახლენი, ტ.99, №3, 2023. გვ.76-78. ISSN: 1512-0287. https://doi.org/10.36073/1512-0287;
2. ჯავაშვილი ზ., ბიბილეიშვილი გ., გოგესაშვილი ნ., კაკაბაძე ე., კეჟერაშვილი მ., & ბუთხუზი თ. (2024). ბუნებრივი წყლის ულტრაფილტრაციული მემბრანების მიღება და კვლევა პოლიეთერსულფონის ბაზაზე . ქართველი მეცნიერები, 6(4), 350–354. https://doi.org/10.52340/gs.2024.06.04.30
3. Kuparadze L.P., Gogesashvili N.N. Ebanoidze L.O., Javashvili Z.D. Obtaining of Natural Water Microfiltration Membranes Based on Polyethersulphone With PEG 300, PEG 600 and LiCl Additives._Oxidation Communication, V.47, №3, 2024. pp.543–550. ISSN: 0209-4541. https://scibulcom.net/en/article/ZrGfjjEAHMz45dN7qeWe;
4. Bibileishvili G.V., Kezherashvili M.G., Mamulashvili M.A. Effect of Different Solvents and Fore-Forming Agents on Morphology and Performance of Polyethersulphone Membrans. Oxidation Communication, V.47, №3, 2024. pp.534–542. ISSN: 0209-4541. https://scibulcom.net/en/article/ZrGfjjEAHMz45dN7qeWe;
5. G.V.Bibileishvili, N.N.Gogesashvili, M.G.Kezherashvili, L.P.Kuparadze, Z.D.Javashvili. Influence of Some Factors on Characteristics of Poly-m-Phenyleneisophtalamide Membranes – Preparation and Examination of Polyamide Membranes. Oxidation Communications V.45, №2, 2022. pp.300-308. ISSN: 0209-4541. https://scibulcom.net/en/article/X7OI5C6pfzj4kduNXdyg;

6. W.M. Nielen, J.D. Willott, Z.M. Esguerra, W.M. de Vod. Ion Specific Effects on Aqueous Phase Separation of Responsive Copolymers for Sustainable Membranes. Journal of Colloid and Interface Science. V.576, 2020. pp.186-195
7. N.Biliškov, G.Baranović. Infrared Spectroscopy of Liquid Water-N,N-Dimethylformamide Mixtures. Journal of Molecular Liquids, V.144, №3, 2009, pp.155–162. https://doi.org/10.1016/j.molliq.2008.11.004;
8. D.Tomar, B.Rana, K.Jena. The Structure of Water–DMF Binary Mixtures Probed by Linear and Nonlinear Vibrational Spectroscopy. Journal of Chemical Physics 152, 2020. pp.114707. https://doi.org/10.1063/1.5141757;
9. A.F. Ismail, A.R. Hassan. Effect of Additive Contents on the Performances and Structural Properties of Asymmetric Polyethersulfone (PES) Nanofiltration Membranes. Separation and Purification Technology, V.55, 2007. pp.98–109. https://doi.org/10.1016/0968-4328(95)00012-7;
10. L. Zheng, Z. Wu, Y. Zhang, Y. Wei, J. Wang, Effect of Non-Solvent Additives on the Morphology, Pore Structure, and Direct Contact Membrane Distillation Performance of PVDF-CTFE Hydrophobic Membranes. Journal of Environmental Sciences, V.45, 2016. pp.28-39. https://doi.org/10.1016/j.jes.2015.09.023.

Study of the composition of solutions in coagulation and rinsing baths during upon receipt membrane via phase inversion

Abstract

The study presents an investigation into the composition of solutions in coagulation and rinsing baths used during membrane formation via phase inversion using an И-160 ionometer and a Fourier-transform infrared (FTIR) spectrometer "Thermo Nicolet" AVATAR 370. The concentrations of cations (Li^+, Na^+, Ca^{2+}) and the anion (Cl^-), as well as solution hardness, were determined in both coagulation and rinsing solutions. The surface structure of the membranes was studied using a CERTUS STANDARD V scanning probe microscope. The effect of the coagulation bath solvent (water) hardness on the membrane's filtration properties and surface morphology was established. To evaluate membrane washing, ionometric and IR spectrometric studies of the washing solution were conducted until an neutral environment was achieved.

Keywords: membrane, ation, canion, non-solvent, phase inversion

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.65



საქალაქო ავტობუსის საიმედოობის კვლევის მეთოდის ოპტიმიზაცია

ვალერი ჯაჯანიძე[1], მალხაზი ხვედელიძე[2]

[1]საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, vl.jajanidze@gtu.ge. 597-933-966, ORCID id - 0009-0000-1442-2595; [2]საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი malxo7027@gmail.com, 593-435-553.

რეზიუმე

თანამედროვე ქალაქების საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის საიმედოობის მართვის თვალსაზრისით, მხოლოდ ნამუშევრის - გარბენის სიდიდის გამოყენება არადამაკმაყოფილებელია, რამდენადაც წარმოდგენილი სახეობის ავტოტრანსპორტის საექსპლუატაციო პირობები მოიცავს ისეთ რეჟიმებს, როლის დროსაც ტექნიკური მდგომარეობის შეფასება მხოლოდ გარბენის მიხედვით არ იქნება რელევანტური. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია საზოგადოებრივი დადგენილი მარშრუტით მოძრავი M1 და M2 კატეგორიის ავტობუსების მუშაობის დამახასიათებელი თავისებურებები, გამოვლენილია უსაფრთხოებაზე მოქმედი მექანიზმებისა და სისტემების ძირითადი სამუშაო რეჟიმები და დამუშავებულია მისი, როგორც ერთიანი ტექნიკური ნაკეთობის საიმედოობის მართვის კომპლექსური მიდგომა.

საკვანძო სიტყვები: საქალაქო ავტობუსი, საიმედოობა, უმტყუნებო მუშაობა, საშუალო რესურსი

შესავალი

ექსპლუატაციის პროცესში ავტომობილის საიმედოობის მაჩვენებლების გამოვლენა ხდება მათზე დაკვირვების შედეგად მიღებული მტყუნებების და უწესივრობების შესახებ სტატისტიკური მასალების დამუშავების და ანალიზის გზით. როგორც წესი ამ დროს სტრუქტურული ელემენტის მტყუნება განიხილება როგორც ხდომილება შემთხვევითი ნამუშევრის გარკვეულ მნიშვნელობაზე. საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობისთვის კი ნამუშევარი წარმოადგენს გარბენას კმ-ში, ამიტომ ყველა საანგარიშო და ნორმატიული მაჩვენებლები მოცეულია (ან მიღებულია) გარბენის მიხედვით. ასეთი მიდგომა საყოველთაოდ აღიარებული და დადასტურებულია ავტომობილების მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზისა და შეფასების დროს.

თანამედროვე საქალაქო საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის რეჟიმები უმეტესად ერთგვაროვანია, რაც გამოიხატება წინასწარ შერჩეული მარშრუტის შესაბამისად სხვადასხვა კატეგორიის ავტობუსების გადაადგილებით და მარშრუტზე არსებული მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის ადგილებში აუცილებელი გაჩერების უზრუნველყოფით. საიმედოობის ძირითადი პარამეტრების შეფასების მიზნით მნიშვნელოვანია წარმოდგენილი ე.წ. ჩაკეტილი ციკლის საექსპლუატაციო რეჟიმის დამახასიათებელი შემფასებელი პარამეტრი გახდეს ძირითადი ფაქტორი ავტობუსის ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფისა და პროგნოზირების მეთოდების დამუშავებისას.

საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტი წარმოადგენს რთულ კონსტრუქციულ ნაკეთობას რომელიც მოიცავს მრავალ კვანძს, მექანიზმს და სისტემას, ერთმანეთზე ფუნქციონალური დამოკიდებულებით და მუშაობის პარამეტრებით. ამას ემატება ისიც, რომ ერთი და იგივე მოდელის ავტომობილს მუშაობა უხდება სხვადასხვა საექსპლუატაციო პირობებში, ე.ი. იცვლება მათი მუშაობის რეჟიმი. ეს კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საიმედოობის მაჩვენებლებზე.

ძირითადი ნაწილი

საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სამუშაოების პერიოდულობის, ასევე მათი მოლოდინის განსაზღვრისას გამოყენებულია ნამუშევრის ძირითადი სახეობა გარბენი, რაც საქალაქო ავტობუსის შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს სრულად შეაფასოს ავტოტრანსპორტის, როგორც ტექნიკური ნაკეთობის საიმედოობის მაჩვენებლები, რამდენადაც სამუშაო რეჟიმის შესაბამისად გარდა მოძრაობისა ადგილი აქვს ტექნიკური სისტემის ისეთი ელემენტების მუშაობას, რაც არაა დაკავშირებული გარბენთან. საქალაქო ავტობუსის შემთხვევაში ასეთ მექანიზმებს და სისტემებს მიეკუთვნება სამუხრუჭო და საჭით მართვის სისტემა, გადაბმულობა, გადაცემათა კოლოფი, კარებების გამღებ-ჩამკეტი მექანიზმი, დაკიდების სისტემა და სხვ. აღნიშნული მექანიზმების მუშაობის რეჟიმების ამსახველ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს დატვირთვათა ციკლების რაოდენობა, მუხრუჭებისთვის დამუხრუჭებათა რაოდენობა, რაც პირდაპირ კავშირშია საჭის მექანიზმის, გადაბმულობის და გადაცემათა კოლოფის გაზრდილ სადატვირთვო რეჟიმებთან, კარების გაღება-დაკეტვის მექანიზმის ამუშავებასთან, დაკიდების სისტემის ელემენტების გადატვირთვასთან და ძრავას მუშაობის გაზრდილ დატვირთვებთან. საქალაქო ავტობუსის საერთო გარბენი, რომლის მიხედვითაც ხდება ზოგადად საავტომობილო ტრანსპორტის საიმედოობის კვლევა, შედგება ნულოვანი (ავტოსატრანსპორტო ბაზიდან საწყის პუნქტამდე სამუშაო დღის დასაწყისში პირიქით დღის ბოლოს) და მარშრუტზე შესრულებული გარბენებისაგან.

მარშრუტზე მოძრაობისას ავტობუსის ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმების და სისტემების მუშაობის რეჟიმების ამსახველ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს დატვირთვათა ციკლების რაოდენობა, რომლის მიხედვითაც უნდა

მოვახდინოთ შესრულებული გარბენის კორექტირება, ხოლო ნულოვანი გარბენის შემთხვევაში დატვირთვათა ციკლების რაოდენობა მინიმალურია ან საერთოდ არ არის. შესაბამისად შეგვიძლია ჩავწეროთ, რომ ავტომობილის ძირითადი სისტემებისა და მექანიზმების საშუალო რესურსი, რომელიც ზღვრული მდგომარეობით განისაზღვრება, დამოკიდებულია ნამუშევრის სიდიდეზე და დატვირთვათა ციკლების რაოდენობაზე.

ავტომობილის, მისი აგრეგატების და სისტემების საიმედოობა დამოკიდებულია, მის კონსტრუქციაზე, დამზადების ტექნოლოგიაზე, საექსპლუატაციო პირობებზე, მუშაობის რეჟიმებზე და სხვა ფაქტორებზე.

საიმედოობის, როგორც კომპლექსური თვისების, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ავტომობილის და მისი ელემენტების უმტყუნებლობა. უმტყუნებლობა ესაა ავტომობილის, აგრეგატის, სისტემის, დეტალის თვისება უწყვეტად შეინარჩუნოს მუშაობის უნარი გარკვეული ნამუშევრის (გარბენის) განმავლობაში. უმტყუნებლობის თვისების შესაფასებლად გამოიენება სხვადასხვა მაჩვენებლები, რომელთა შორის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს უმტყუნებო მუშაობის ალბათობა – $P(L)$.


უმტყუნებო მუშაობის ალბათობა ესაა ალბათობა იმისი, რომ მოცემული ნამუშევრის (გარბენის) განმავლობაში მტყუნება არ მოხდება. სტატისტიკური შეფასებისას უმტყუნებო მუშაობის ალბათობა განისაზღვრება დამიკიდებულებით:

$$P(L)=\frac{N_0-n}{N_0}=\frac{N(L)}{N_0}$$

სადაც, N_0 არის დასაკვირვებელი ავტომობილების რაოდენობა;

n - მწყობრიდან გამოსული ელემენტების რაოდენობა 0-დან - მდე;

$N(L)$ - მუშაობის უნარის მქონე ელემენტების რაოდენობა იგივე გარბენაზე.



ნახ. 1. უმტყუნებო მუშაობის ალბათობის მრუდი.

ავტომობილის, მისი აგრეგატების და სისტემების უმტყუნებო მუშაობის ალბათობა დიაგრამის სახით წარმოდგენილია ნახ. 1 სახით.

წარმოდგენილი დიაგრამა სტანდარტულად ასახავს დამოკიდებულებას ავტომობილის უმტყუნებო მუშაობის ალბათობასა და მის ძირითად ნამუშევარს - გარბენს შორის, რაც არასაკმარისია ქალაქში მომუშავე ავტობუსების საიმედოობის კვლევისათვის, გამომდინარე იქედან, რომ საქალაქო ავტობუსების მუშაობის რეჟიმი ხასიათდება მოძრაობის განსხვავებული სიჩქარით და დამუხრუჭებათა დიდი რაოდენობით, რაც გავლენას ახდენს (კერძოდ ამცირებს) საქალაქო ავტობუსის (მუხრუჭები, გადაბმულობა, გადაცემათა კოლოფი, კარებების გამღებ-ჩამკეტი მექანიზმი, ძრავა და სხვ.) რესურსზე. ამიტომ აუცილებელია ქალაქში მომუშავე ავტობუსების უმტყუნებო მუშაობის ალბათობა შეფასდეს გარბენის მნიშვნელობით, რომელიც დატვირთვათა ციკლების დამყვანი კოეფიციენტით იქნება დაკორექტირებული.

ავტომობილის საიმედოობის მაჩვენებლების კვლევის დროს, უაღრესად მნიშვნელოვანია მისი მექანიზმების, სისტემების, კვანძებისა და დეტალების საშუალო რესურსის განსაზღვრა, რაც თავის მხრივ ელემენტის უმტყუნებო მუშაობის ალბათობით მიხედვით განისაზღვრება ცნობილი ფორმულით:

$$L_{საშ} = \sum_{0}^{\infty} P(\Delta L_i)\Delta L_i$$

სადაც ΔL_i არის ინტერვალის სიდიდე, ათასი კმ.

საქალაქო ავტობუსის საერთო გარბენა, რომლის მიხედვითაც ხდება ზოგადად საავტომობილო ტრანსპორტის საიმედოობის კვლევა, შედგება ნულოვანი (ავტოსატრანსპორტო ბაზიდან საწყის პუნქტამდე სამუშაო დღის დასაწყისში პირიქით დღის ბოლოს) და მარშრუტზე შესრულებული გარბენებისაგან.

საქალაქო პირობებში მომუშავე ავტობუსების დამუხრუჭებათა რაოდენობა უშუალოდ დამოკიდებულია, მარშრუტზე არსებულ სავალდებულო გაჩერებათა რაოდენობაზე, გადასარბენის სიდიდეზე, რომელიც თავის მხრივ განისაზღვრება ხაზზე მგზავრთნაკადების მოცულობის მიხედვით, მარშრუტზე არსებული რეგულირებადი გზაჯვარედინების რაოდენობაზე და ზოგად საგზაო პირობებზე.

საქალაქო ავტობუსის საიმედოობის კვლევისას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი გარბენის, როგორც ნამუშევრის ძირითადი სახეობის კორექტირებას დატვირთვათა ციკლების რაოდენობის გათვალისწინებით, სწორედ ამ მიზნით შემოგვაქვს ე.წ. ,,მაკორექტირებელი კოეფიციენტი" - ს ცნება, რაც საშუალებას მოგვცემს კვლევის აქტიურ ფაზაში ექსპერიმენტულად განისაზღვროს საქალაქო საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის კონკრეტული მარშრუტის თავისებურება დატვირთვათა ციკლების რაოდენობის თვალსაზრისით, მოხდეს მისი შესაბამისი მაკორექტირებელი კოეფიციენტის დაყვანა და დაკორექტირდეს გარბენის მნიშვნელობა კონკრეტული საექსპლუატაციო რეჟიმის შესაბამისად.

გარბენის სიდიდის მაკორექტირებელი კოეფიციენტის განსზღვრისთვის აუცილებელია წარმოვადგინოთ საქალაქო ავტობუსის აგრეგატების, კვანძების, დეტალების სრული რესურსის დაყვანილი მნიშვნელობა ნამუშევრის 1000 კმ-ზე და არნისნული ნამუშევრის შესაბამისი დატვირთვათა ციკლების თეორიული (ეტალონური) მნიშვნელობა, რაც შესაძლებელს გახდის გარბენის ნომინალურ მნიშვნელობაზე დატვირთვათა ციკლების ცვლილების შემთხვევაში, ნამუშევრის სიდიდის კორექტირება განხორციელდეს, არა მხოლოდ გარბენის, არამედ დატვირთვათა ციკლების რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისად გარბენის, როგორც ნამუშევრის დატვირთვათა ციკლების რაოდენობის მიხედვით მაკორექტირებელი კოეფიციენტი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$\alpha = \frac{n_{რ}}{n_{ეტ.}}$$

სადაც, $n_{რ}$ არის საქალაქო ავტობუსის გარბენის 1000 კმ-ზე არსებული დატვირთვათა ციკლების რეალური (გაზომილი) მნიშვნელობა;

$n_{ეტ.}$ - საქალაქო ავტობუსის გარბენის 1000 კმ-ზე არსებული დატვირთვათა ციკლების ეტალონური მნიშვნელობა.

საიმედოობის კვლევის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქალაქო ავტობუსის საერთო გარბენის სიდიდის განსაზღვრას, სადაც გათვალისწინებული იქნება გარბენის ერთეულზე მოსული დატვირთვათა ციკლების რაოდენობა, აღნიშნული სიდიდე შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ფორმულით:

$$L_{ს} = L_{მარ} \cdot \alpha + L_0, \quad \text{კმ.}$$

სადაც $L_{მარ}$ და L_0 არის შესაბამისად მარშრუტზე შესრულებული და ნულოვანი გარბენა, კმ;

α - მარშრუტზე შესრულებული გარბენის დატვირთვათა ციკლების გათვალისწინებით დამაკორექტირებელი კოეფიციენტი (რაც მეტია მარშრუტზე დამუხრუჭებათა რაოდენობა, მით უფრო მეტია მისი სიდიდე).

საქალაქო ავტობუსის იმ აგრეგატებისა და კვანძების საიმედოობის შესაფასებლად, რომელთათვისაც გარბენის, როგორც ნამუშევრის დაკორექტირება მოხდა დატვირთვათა ციკლების შესაბამისად, კვლევა მიზანშეწონილია განვახორციელოთ მარშრუტზე შესრულებული გარბენის მიხედვით, რომელიც გამოისახება ფორმულით:

$$L_{მარ} = \frac{L_{ს} - L_0}{\alpha}, \quad \text{კმ.}$$


შედეგად მოცემული მექანიზმებისა და სისტემების საშუალო რესურსი, დატვირთვათა ციკლების გათვალისწინებით გარბენის მაკორექტირებელი კოეფიციენტის გამოყენებით მარშრუტზე შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$L_{საშ} = \sum_{0}^{\infty} P(\Delta L_{მარ}) \Delta L_{ინტ}, \quad კმ$$

სადაც $\sum_{0}^{\infty} P(\Delta L_{მარ})$ არის სისტემის ან მექანიზმის უმტყუნებო მუშაობის ინტერვალური ალბათობა;

$\Delta L_{ინტ}$ - ინტერვალის სიდიდე, კმ.

საქალაქო ავტობუსის იმ აგრეგატებისა და სისტემების უმტყუნებო მუშაობის ალბათობა, რომელთა ნამუშევარი ხასიათდება დატვირთვათა ციკლებით და აუცილებელია მოვახდინოთ გარბენის დაკორექტირება დატვირთვათა ციკლების რაოდენობის გათვალისწინებით, წარმოდგენილია ნახაზზე 2.



ნახ. 2. ელემენტის უმტყუნებო მუშაობის ალბათობა.

1. *საქალაქო ავტობუსის აგრეგატებისა და სისტემების უმტყუნებო მუშაობის ალბათობის მრუდი სტანდარტული გარბენის შემთხვევაში;*
2. *საქალაქო ავტობუსის აგრეგატებისა და სისტემების უმტყუნებო მუშაობის ალბათობის მრუდი სტანდარტული გარბენის დატვირთვათა ციკლების მაკორექტირებელი კოეფიციენტის გათვალისწინებით.*

როგორც წარმოდგენილი ნახაზიდან ჩანს, დატვირთვათა ციკლების მაღალი ინტენსივობის პირობებში, საქალაქო ავტობუსის იმ აგრეგატებისა და სისტემების საიმედოობის კვლევა მხოლოდ გარბენის გამოყენებით არ იძლევა სასურველ შედეგს, რამდენადაც $L(\alpha) < L(50)$ და შესაბამისად აუცილებელია საქალაქო ავტობუსის ტექნიკური მომსახურებისა და პროფილაქტიკური სამუშაოების დაგეგმვა მოხდეს შემოთავაზებული მეთოდის გამოყენებით.

დასკვნა

გარბენის, როგორც ნამუშევრის შემფასებელი ძირითადი პარამეტრის გამოყენება ავტომობილის ტექნიკური მომსახურების და პროფილაქტიკური სამუშაოების შესრულების პერიოდულობის განსაზღვრის და ზოგადად საიმედოობის კვლევის მიზნით, რიგ შემთხვევებში არ იძლევა სასურველ შედეგს, რაც თავისთავად ქმნის საიმედოობის კვლევის ახალი მიდგომების შექმნის საჭიროებას. ნაშრომში შემოთავაზებული საქალაქო ავტობუსის საიმედოობის კვლევის მეთოდიკა საშუალებას იძლევა კვლევა და მისი ძირითადი მაჩვენებლების დაზუსტება მოხდეს ავტობუსის კონკრეტული კვანძისა და მექანიზმის მუშაობის რეჟიმის გათვალისწინებით, რაც რეალურ საექსპლუატაციო პირობებში ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის დამუშავებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. ლეკიაშვილი, ვ. ჯაჯანიძე, დ. უგულავა, მუშაობის რეჟიმების გავლენა ავტომობილის საიმედოობის მაჩვენებლებზე. სტუ, ,,ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა", თბ. 2009წ. გვ. 81-85;
2. ვ. ლეკიაშვილი, ავტომობილის საიმედოობა, გამომცემლობა ,,ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი 2005წ. 93 გვ.;
3. В. Лекиашвили, Диссертация на сойсканиеучетной степени кандидата наук. Москва, МАДИ. 1978г. с. 132-137.

Optimization of Study Method for the Reliability of Urban Bus

Valeri Jajanidze[1], Malkhazi Khvedelidze[2]

[1]Associate Professor, Georgian Technical University, vl.jajanidze@gtu.ge; 597-933-966, ORCID id - 0009-0000-1442-2595; [2]Academic Doctor, Georgian Technical University, malxo7027@gmail.com, 593- 435-553.

Abstract

In modern cities, relying solely on mileage to manage the reliability of public bus transport is insufficient. This is because the operational conditions of such vehicles include modes where assessing technical condition based solely on mileage is not relevant. This paper examines the characteristic features of M1 and M2 category buses operating on established public routes. It identifies the primary operating modes of mechanisms and systems affecting safety and develops a complex approach to reliability management for these buses as a unified technical product.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.66



Eye-Tracking Emotional and Spiritual Responses in Bilinguals: A Comparative Study of Georgian and Arabic Speakers

Zurab Kherodinashvili; Kholoud Al-Baker

Clinical and Counseling Psychology, Teachers College, Columbia University

Abstract

This study examined how bilingual speakers of Georgian-English and Arabic-English process emotional and spiritual language across their first (L1) and second (L2) languages using eye-tracking methodology. Participants viewed a series of emotionally neutral, negative, and spiritually themed words and sentences presented in both L1 and L2. Eye-tracking measures, including fixation duration, time to first fixation (TTFF), revisit counts, and total gaze time, were analyzed to assess cognitive and emotional engagement with the stimuli. Data from 35 participants (17 Georgian-English and 18 Arabic-English bilinguals) revealed that participants generally exhibited longer fixation durations and greater total gaze time when reading in English (L2), indicating increased cognitive load. However, spiritually themed content elicited longer fixations and higher gaze time in L1, suggesting deeper emotional and cultural resonance. TTFF was faster in L2 for both groups, though Arabic participants showed slower TTFF for spiritual content in Arabic, implying reflective processing. These findings support theories of emotional grounding in L1 and offer implications for multilingual education, therapy, and cross-cultural communication. Cultural and design limitations are acknowledged, with recommendations for incorporating religiosity measures and standardized stimuli in future research.

Key Words: Eye-tracking - Language - Spiritual - Georgian Population - Arab Population - Gaze - Fixation

Recent linguistic research reveals the complexity of language as deeply entangled with its speakers' emotional, psychological, and cultural fabric. This shift in contemporary literature disrupts earlier models of language conceptualization that viewed language through the limited prism of *structural* or *functional* transmission. Structural theories were mainly based on internal linguistic relationships, while functionalist models focused on "speaker-hearer" dynamics and communal needs. However, increasing evidence suggests that both approaches overlook the full depth of how language operates within lived human contexts. Instead, language now appears less as a fixed system and more

as a fluid, dynamic process shaped by emotion. However, such a broad definition of the term makes it almost impossible to create a cohesive scientific narrative.

One of the main challenges that face linguistic research is the multiplicity of the term 'language.' For instance, a wide range of interrelated elements influence the success of language learning and acquisition. These variables include, but are not limited to, age of acquisition, adult-child connections, and overall cultural dynamics (e.g., individualistic vs. collectivist). Therefore, it is unsurprising that language is one of the most extensively researched communication systems, possibly due to the interconnection of many elements (Smith & Kirby, 2008). Due to its conceptual complexity, several scholars from multiple disciplines have tried to broaden the theory of language through their chosen disciplines, including psychology (Miller, 1990) and philosophy (Ekpenyong & Ikegbu, 2018). This being said, a significant chunk of the current understanding of language has been broadened by clinical psychology, offering a new way of understanding how language and language structures may affect human perception and mental health (Lindquist et al., 2015).

A growing body of research within clinical psychology and neuroscience supports the idea that language is not just a tool for expressing emotion but is also integral to how emotions are constructed and understood. The *affective turn* in linguistics is marked by the increased emphasis placed on the role of language in emotion categorization. For instance, Lindquist et al. (2015) suggest that individuals with limited emotional vocabularies may struggle with emotional regulation, identity formation, and interpersonal connection.

Perhaps the most striking example of the limited emotional vocabulary and its role in the emotion regulation hypothesis has been repeatedly demonstrated in psycho-therapeutic settings. Research in clinical psychology has increasingly focused on the unique challenges bilingual individuals face in psychotherapy, especially regarding "language switching"—the transition between a first language (L1) and a second language (L2). One immediate concern involves the emotional engagement/accessibility of early life experiences, with the primary premise being that L1 offers richer emotional engagement/accessibility in therapy than L2. Scholars such as Harris et al., 2006; and Lindquist et al., 2015 have demonstrated that developmental memories encoded in the mother tongue (L1) are more challenging to access and process when therapy is conducted in L2. This "here and now" divide can disrupt emotional regulation and hinder therapeutic progress- particularly in building strong therapeutic alliances.

Further research has indicated a deeper and more intimate link between language and emotion regulation. In particular, researchers such as Nook et al. (2024) and Tang and Ding (2023) have demonstrated how different types of words (concrete and abstract) are processed. In literature, these type words have quite common and heterogeneous definitions, defining concrete type words as words with an apparent physical reference (e.g., an apple) and abstract type words as words without apparent physical reference (e.g., Justice). It should be noted that Abstract words, due to their nature, have become central to studies on emotional regulation. The reasoning behind this interest is inherently linked to similarities between abstract words and emotions, which are anatomically similar. For

example, abstract words and emotions lack clear physical referents and are closely tied to context and subjectivity. Recent work by Nook et al. (2024) found that people who use more abstract words tend to engage in more effective emotion regulation. This finding aligns with the Construal Level Theory (Trope & Liberman, 2010), which is based on the notion that representations of things differ in their degree of abstraction and level of *construal* (subjective interpretation of the stimulus). An example of this notion would be planning to run a marathon in a year (distant abstraction), which leads to a high level of construal (fun, challenging, exciting = more positive regulation) while thinking about running a marathon next week (near=lower abstraction) would lead to low construal (getting the right equipment, correct sleep schedule =more concrete regulation). In other words, the shift to abstract language/increased psychological distance promotes a more flexible range of emotion regulation. However, the exact benefits of abstraction and concreteness, including their neural mechanisms, remain controversial (Nook et al., 2024).

What we do know about the neural mechanisms of abstract and concrete words is that concrete word categories activate sensory and motor brain regions due to their physical characteristics, like shape. For example, as demonstrated by Pulvermüller, 2013 and Cousins et al., 2018 thinking about an "apple" may activate the visual cortex (for its shape), or the gustatory cortex (for its taste).

Abstract words, however, do not activate the brain in the same clear-cut way. Without physical referents, they are believed to rely more on contextual and emotional networks (Moseley et al., 2012). Still, new research challenges the strict division between abstract and concrete word processing. According to Moseley et al. (2012) and Pulvermüller (2013), abstract words can become "concretized" when presented in contexts that align with their meaning, particularly emotional or action-related settings. This suggests abstract words may still activate brain regions linked to emotion and movement. According to the two above-mentioned researches, abstract words carry emotional weight, even without physical form. For example, words like "grief" may activate brain areas involved in facial expressions or bodily sensations associated with sadness (Mortillaro & Dukes, 2018). In this sense, the emotional referent of an abstract word can function similarly to the physical referent of a concrete word in terms of neural activation. In other words, processing abstract emotional words may be closely linked to activation in emotion-based brain regions, reinforcing that language, emotion, and facial expression are deeply interconnected.

Furthermore, the difference between concrete and abstract language, especially when describing emotional events, has been observed in various clinical psychology literature. Nook et al., 2024, indicated that people frequently turn to more abstract language when describing negative emotions, suggesting the role of language in emotion regulation. This leads to the possibility that using abstraction when describing negative (such as traumatic) experiences within a clinical setting may lead to better emotional processing (White & Wild, 2016). While this is a relatively unexplored part of the psycho-linguistic literature, such ideas of linguistic distancing have been observed quite heavily in spiritual publications.

For instance, in meditation literature, the method of linguistic distancing, termed "affect labelling," has been used laboriously (Creswell et al., 2007). Affect labelling is an element of *Mindfulness Meditation* and involves the cognitive effort of vocalizing or "labelling" specific emotions through the body (Torre et al., 2018). Examples of linguistic distancing are also present in religious terminology in various Christian traditions, as demonstrated by spiritual elements such as sermons and prayers (Halbband, 1987, as cited in True, 2023). Similarly, people are more inclined to approach God/Divine/Sacred/Spiritual through dialogue if they engage in internal monologues, often as a regulatory function to resolve interpersonal and internal issues (True, 2023). Additionally, the same research indicates that prayer, like an internal monologue, enables individuals to control their thoughts and actions. However, it is worth mentioning that while in traditional spiritual literature, people define prayer as a tool for self-reflection, clinical research emphasizes the wider psychological advantages of such spiritual practices.

Much like language, *spirituality* is a scientific or phenomenological concept that is as complex as subjective. It defies simple classification and empirical reduction, but it is a crucial component of human individuality and mental health. Despite these insights, empirical investigations comparing spiritual word processing across languages remain scarce. This study addresses this gap by employing eye-tracking technology to assess how Georgian-English and Arabic-English bilinguals process spiritual, negative, and neutral words in their native and second languages. By measuring fixation duration, time to first fixation (TTFF), and gaze total time, we aim to evaluate the depth of emotional and cognitive engagement associated with spiritual vocabulary, thereby attempting to link bilingualism, emotion regulation, and the psycholinguistics of spirituality.

Method

Participants

The study included 38 bilingual participants, evenly divided into two groups: 19 Georgian-English bilinguals and 19 Arabic-English bilinguals. All participants were recruited through Instagram advertisements targeting relevant linguistic and cultural communities. To ensure sufficient English language proficiency, all participants completed the LexTALE test. Only those who scored above the threshold for intermediate-to-advanced proficiency (B1 level) were included in the final sample.

Participants were also screened for eye-tracking data quality. Only those whose data met RealEye.io quality metrics between grades 4 and 6 were retained. These quality grades reflect the accuracy and reliability of the eye-tracking data, with 1 being the lowest and 6 the highest. Two participants from the Georgian-English group were excluded due to missing data in the spiritual word category and low data quality (grade 2). One participant from the Arabic-English group was excluded for similar reasons (grade 3). The final sample, therefore, consisted of 35 participants.

The inclusion criteria for the Georgian group were: aged between 18 and 65, native Georgian speakers with English as a second language, and residing in Georgia. For the Arabic group, the inclusion

criteria were: aged between 18 and 65, native Arabic speakers with English as a second language, and residing in Qatar.

Design

თაფლი, როგორც მაღალი კვებითი ღირებულების ბუნებრივი პროდუქტი, უნდა იყოს უსაფრთხო მოხმარებისთვის და დაცული მავნე მინარევებისგან, მათ შორის მძიმე მეტალებისაგან. ისინი შეიძლება თაფლში მოხვდეს გარემოს დაბინძურების, მცენარეთა ზრდის პირობებისა და ტექნოლოგიური პროცესების გავლენით. მათი არსებობა თაფლში უკიდურესად საშიშია როგორც მომხმარებლის ჯანმრთელობისთვის, ისე პროდუქტის სავაჭრო ღირებულებისა და საექსპორტო პოტენციალისათვის. შესაბამისად, თაფლში მძიმე მეტალების რაოდენობრივი განსაზღვრა წარმოადგენს სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლის აუცილებელ ეტაპს და წინაპირობას შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური რეგულაციების შესრულებისა. აღნიშნული მოთხოვნა ასახულია ევროკავშირის რეგლამენტში №1881/2006, სადაც განსაზღვრულია სურსათში, მათ შორის თაფლში, მძიმე მეტალების დასაშვები ზღვრული კონცენტრაციები. აღნიშნულ რეგლამენტს ეყრდნობა საქართველოც, თავისი საკანონმდებლო ბაზით, რაც კიდევ უფრო ამყარებს საჭიროებას თაფლის რეგულარული ანალიზისა და მაღალი სტანდარტების დაცვაზე.

წინამდებარე კვლევაში მძიმე მეტალებიდან ზოგიერთ თაფლის ნიმუშში განსაზღვრულია კადმიუმი, ტყვია, სპილენძი. შედეგები წარმოდგენილია ცხრილი № 4-ის სახით.

ცხრილი №4. მძიმე მეტალების შემცველობა თაფლის ნიმუშებში

ნიმუშების დასახელება	მძიმე მეტალების რაოდენობა. ppm (მგ/კგ)					
	Cd		Cu		Pb	
	ნორმა	შედეგი	ნორმა	შედეგი	ნორმა	შედეგი
შავნაბადა	≤ 0.05	0.0012	≤ 5.00	1.3	≤ 0.10	0.045
თაფლი სახლში		0.008		0.9		0.032
ჰობი		0.017		1.7		0.058
აგროჰაბი		0.004		0.6		0.025
ოჯახის თაფლი		0.015		2.0		0.070
ბელორუსული		0.010		1.1		0.050

შედეგები შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტით დაშვებულ ნორმებს.

დასკვნა:

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ თაფლის ნიმუშების უმეტესობა შეესაბამება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებს. ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების (გლუკოზა, ფრუქტოზა, pH, მჟავიანობა, ნაცარი) მიხედვით თაფლი გამოირჩევა ბუნებრივი წარმოშობის და ბიოქიმიური სიმწიფის ნიშნებით, ხოლო ორგანოლეპტიკური შეფასებაც ადასტურებს მის იდენტიფიკაციას. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ ნიმუშში (საოჯახო თაფლი) დაფიქსირდა საქაროზის დასაშვებზე მაღალი მაჩვენებელი, რაც შესაძლოა მიუთითებდეს დაუმწიფარ მდგომარეობაში შეგროვებაზე ან ფალსიფიკაციაზე. ასევე გამონაკლისს წარმოადგენდა ორი ნიმუში, რომლებშიც დიასტაზური აქტივობა და ნაცრის შემცველობა ნორმას აჭარბებდა, რაც სავარაუდოდ ტექნოლოგიური პროცესის დარღვევით ან არასათანადო შენახვით იყო განპირობებული. ეტიკეტირების ანალიზმა გამოავლინა მოთხოვნების დარღვევა შპს „აგროჰაბისა“ და საეკლესიო მაღაზიაში შეძენილ თაფლში – ეტიკეტზე არ იყო მითითებული სავალდებულო ინფორმაცია. უვნებლობის თვალსაზრისით ნიმუშები შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ღოღობერიძე თ., მაძღარაშვილი გ.,ფეიქრიშვილი მ., ნაფეტვარიძე ც., ბალიაშვილი ლ., კორძახია ა., კვეზერელი შ. ©UNDP Georgia 2017 "მეფუტკრეობა";
2. Sultan Ayoub Meoa, Saleh Ahmad Al-Asirib, Abdul Latief Mahesarc, Mohammad Javed Ansarid ,,Role of honey in modern medicine" Volume 24, Issue 5, July 2017;
3. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. თაფლი – მსოფლიო ბაზრის ანალიზი. ეკონომიკური კვლევის და მონაცემთა ანალიზის სამმართველო 2024 წ.;
4. ვანიძე მ., კალანდია ა., ჯაფარიძე ი., ,,ღვინისა და თაფლის ანალიზის საერთაშორისო მეთოდები''. გამომცემლობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი _ 2019 წ.;
5. GOST 19792-87 ნატურალური თაფლი (ტექნიკური პირობები);
6. საერთაშორისო სტანდარტი GOST 34232—2017. თაფლი, საქაროზას აქტივობის, დიასტაზის რაოდენობის, უხსნადი ნივთიერებების განსაზღვრის მეთოდები

Comparative Quality Analysis of Honey Based on the Expertise of Local and Imported Samples

Nana Barateli[1], Salome Cheishvili[2]; Nika Santeladze[3];Elene Chikhladze[4]; Tamar Palavandishvili[5]

[1]Associate Professor, Academic Doctor, Georgian Technical University (GTU), 593691521, n.barateli@gtu.ge; , [2]PhD Student, Assistant, Georgian Technical University (GTU), 598198540, cheishvili.salome@gtu.ge; [3]Master's Student, Georgian Technical University (GTU), 579237930; [4]Master's Student, Georgian Technical University (GTU), 555219787, echixladze500@gmail.com; , [5]Associate Professor, Academic Doctor, Georgian Technical University (GTU), 511147679, t.palavandishvili@gtu.ge

Abstract

Honey is a natural, fully prepared and concentrated sweetener with a centuries-old history of use. It is not only a food, but also a product with cultural and medicinal value, which is distinguished by high biological activity, low glycemic index and immune system supporting properties.

In Georgia, honey is historically associated with traditions, religious rituals and local natural conditions. Types of honey also vary by region – lime, forest, acacia, oak, chestnut and others.

Honey is an economically important product, which increases the risk of counterfeiting. Products without labeling or not complying with regulations are often distributed. Therefore, confirmation of quality, safety and identification is necessary both in terms of consumer protection and fair competition in the market. This issue has become especially relevant when the possibility of exporting Georgian honey to the EU market actually appeared.

The aim of the study was to evaluate the chemical and organoleptic characteristics of honey using modern standard methods, to determine their compliance with the Codex Alimentarius and local regulations. The analysis was conducted on six samples, including both Georgian and imported honey. The assessment included organoleptic, physicochemical (pH, acidity, diastase number, sugars, ash, etc.) and safety (heavy metals) parameters.

Based on the analysis, it was determined that most of the honey samples comply with both national and international standards. According to the physicochemical characteristics (glucose, fructose, pH, acidity, ash), honey is distinguished by signs of natural origin and biochemical maturity, and the organoleptic evaluation also confirms its identification. It is noteworthy that in one of the samples (family honey), a higher than permissible level of sucrose was observed, which may indicate collection in an immature state or falsification. Also, two samples were exceptions, in which diastase activity and ash content exceeded the norm, which was probably due to a violation of the technological process or improper storage. Labeling analysis revealed a violation of the requirements in the honey purchased from Agrohab LLC and the church shop - the mandatory information was not indicated on the label. From the point of view of safety, the samples comply with the established requirements.

Keywords: honey, expertise, quality, bee products, safety, authentication, identification

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.68



მაკრო გარემოს გავლენა ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის განვითარებაზე

ელისო გველესიანი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. E-mail: eliso.gvelesiani@atsu.edu.ge

ანოტაცია

სტატია შეიცავს ტურისტული ორგანიზაციების ხელმძღვანელების გამოკითხვის საფუძველზე დადგენილი გარე ფაქტორების გავლენის ანალიზს სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის საწარმოების საქმიანობაზე.

ნებისმიერი საწარმოსა და ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული გადაწყვეტილებები მიიღება გარემომცველი ფაქტორების, მაკროგარემოს ანალიზის საფუძველზე, რომელთანაც კომპანია მუდმივ ურთიერთკავშირია. ამ მხრივ, მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის პირობებში სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის სპეციფიკის გათვალისწინებით, გარე ფაქტორების გავლენის შეფასება აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

ტურისტულ საწარმოზე გარემომცველი ფაქტორები გავლენას ახდენს მაკროგარემოსა და მიკროგარემოს დონეზე. მიკროგარემოს უფრო მჭიდრო ურთიერთქმედება აქვს ბიზნეს სტრუქტურებთან, რადგან ის პირდაპირ კავშირშია მომხმარებლების, კონკურენტების, მიმწოდებლების, პარტნიორების და ა.შ. საქმიანობასთან. მიკროგარემოსაგან განსხვავებით, მაკროგარემოზე გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის მუშაობა: მას არ შეუძლია შეცვალოს ისეთი გავლენის ფაქტორების ბუნება და შინაარსი, როგორიცაა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და ტექნოლოგიური პირობები.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის ინდუსტრია, ტურისტული საწარმო, მაკრო გარემო.

მაკრო გარემო ეს არის გარემო, რომელიც ორგანიზაციის, ინდუსტრიისა და ბაზრის მიღმა არსებობს. იგი დიდ გავლენას ახდენს იმ მიკრო გარემოზე, (ინდუსტრიასა და ბაზარზე) რომელშიც კომპანია ოპერირებს. მაკრო გარემოს ხშირად შორეულ და განცალკევებულ ცვლადად მოიაზრებენ, რადგან იგი გარეგანი ძალების მიერაა მართული და არ ექვემდებარება ცალკეული კომპანიის კონტროლს.

მაკრო გარემოში მომხდარ ცვლილებებს, სხვა ასპექტებთან ერთად, წარმოუდგენლად დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ორგანიზაციაზე, რადგან ის განსაზღვრავს კონკურენციის დონეს ინდუსტრიაში, ზრდის ან ამცირებს ბაზარის მოცულობას, წარმოშვებს ან კლავს ინდუსტრიებს; სწორედ ამიტომ, ტურიზმსა და სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიაში მომუშავე მენეჯერებს უნდა შეეძლოთ მაკრო გარემოში მოსალოდნელი თუ მიმდინარე ცვლილებების დანახვა და ინდუსტრიაზე მათი გავლენის სწორად შეფასება.

ტურიზმსა და სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიაში მომუშავე მენეჯერების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მაკრო გარემოს ანალიზის პოტენციური დადებითი მხარეები შეიძლება იყოს:

- გარემოს ცვალებადობაში მენეჯერების გათვითცნობიერება;
- იმ ბაზრისა და ინდუსტრიის კონტექსტის გააზრება რომელშიც კომპანია ოპერირებს;
- მულტინაციონალური გარემოს გაგება;
- რესურსების უკეთ მართვა;
- რისკების მართვის გაადვილება;
- ყურადღების გადატანა სტრატეგიული ცვლილებების გამომწვევ ფაქტორებზე;
- მოსალოდნელი ცვლილებების წინასწარ დანახვისა და ამ ცვლილებების პირობებში ადეკვატურად რეაგირების საშუალება.

მაკრო გარემოს ანალიზი ხშირად შიდა გარემოს ანალიზზე გაცილებით რთულია რადგან იგი მოიცავს ყველაფერს რაც კომპანიის გარეთ ხდება. ინფორმაციის ასეთ მასასთან გამკლავებისას თავს რამდენიმე პრობლემა იჩენს. კერძოდ:

- იმის განსაზღვრა თუ რა უნდა გავითვალისწინოთ აუცილებლად;
- იმის განსაზღვრა რისი გათვალისწინება არ არის აუცილებელი;
- ინფორმაციის რაციონალური ორგანიზება.

სამწუხაროდ, არ არსებობს მაკრო გარემოს გაანალიზებისა და შედეგების პრეზენტაციის განსაზღვრული წესები.


გინტერისა და დანკანის მოსაზრების თანახმად მაკრო გარემოს ანალიზი მოიცავს: „მაკრო გარემოს სკანირებას, იმ მოსალოდნელი ცვლილებების გამოსავლენად, რომლებიც გავლენას მოახდენს ორგანიზაციის საქმიანობაზე; სპეციფიკური ტრენდებისა და შაბლონების მონიტორინგს; მაკრო გარემოში მოსალოდნელი ცვლილებების პროგნოზირებას; მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებების გავლენის შეფასებას.“[1]

მაკრო გარემოს ანალიზის პროცესში არსებობს გარკვეული შეზღუდვები, ვაწყდებით არაერთ სირთულეს, რადგან ხშირად გარემოში ურთიერთგამომრიცხავი ტენდენციები იჩენს თავს.

სწორედ ამიტომ, მენჯერებმა სტატეგიული ანალიზის წარმოებისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მაკრო გარემოს ანალიზის შეზღუდვები და მოსალოდნელი უზუსტობები, გადაამოწმონ მიღებული მონაცემები და ანალიზის შედეგი (რადგან ის ხშირად იცვლება),

სცადონ ინფორმაციის ახალი წყაროების მოძიება და ანალიზის ახალი ტექნიკის შემუშავება, გამოიყენონ მიღებული ინფორმაცია სამომავლო სტრატეგიის შემუშავებისას.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ მაკრო გარემოს ანალიზი მენეჯერების სტრატეგიული ცნობიერების ამაღლებას უწყობს ხელს.



STEEP ანალიზი

სტრატეგიის, ტექნოლოგიების, ეკონომიკის, გარემოს და პოლიტიკის ანალიზი

STEEP-ის ცალკეული ელემენტების განხილვამდე საჭიროა გავიაზროთ აღნიშნული სისტემის მოქმედების მექანიზმი. მოცემული ანალიზი ოთხი ეტაპისგან შედგება. ესენია:

1. მაკრო გარემოს სკანირება მიმდინარე თუ პოტენციური სოციალური, ტექნოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გამოსავლენად.
2. შესაძლო ცვლილებების მნიშვნელობის შეფასება;
3. თითოეული რელევანტური ცვლილების დეტალური განხილვა და მათ შორის შესაძლო კავშირის ძიება.
4. მოცემული ცვლილებების შესაძლო გავლენის შეფასება.

STEEP ანალიზის ჩატარებით ჩვენ ვიკვლევთ რა გავლენას ახდენს მისი შემადგენელი თითოეული კომპონენტი ქვემოთ მოყვანილ ფაქტორებზე:

- ორგანიზაციის შემადგენელ ნაწილებზე - STEEP-ის ფაქტორების გავლენას ორგანიზაციის ფუნდამენტურ კომპეტენციებზე, სტრატეგიებზე, რესურსებზე, ღირებულებათა სისტემასა და კომპანიის ფუნქციონირებაზე (ოპერაციებზე, მარკეტინგზე, ადამიანური რესურსების მართვასა და ფინანსებზე).
- ბაზარზე - STEEP-ის ფაქტორების გავლენას იმ ბაზარზე რომელზეც კომპანია ოპერირებს (მაგალითად, ბაზრის სტრუქტურა, სეგმენტები, მომხმარებლების მოთხოვნა და სურვილები და ა.შ), ადამიანური რესურსების ბაზარზე, ფინანსურ რესურსებსა და ა.შ.

ინდუსტრიაზე, რომელშიც ოპერირებს მოცემული კომპანია - STEEP-ის ფაქტორების გავლენას კონკურენტუნარიანობის ხუთ ძალაზე (მყიდველის ძალა, მიმწოდებლის ძალა, შესვლის საფრთხე, შემცვლელების საფრთხე, მეტოქეობა). [2]

კომპანიის მუშაობაზე მოქმედი პოტენციური გავლენები ძალიან განსხვავდება კონტექსტის მიხედვით (მაგალითად, კომპანიის მასშტაბი, მისი მდებარეობა, სექტორი რომელშიც ოპერირებს, და ა.შ).

სოციო-დემოგრაფიული გავლენა. სოციალური გარემოს ანალიზი უკავშირდება საზოგადოებსა და სოციალური ცვლილებების პოტენციურ გავლენას ბიზნესზე, ინდუსტრიასა და ბაზარზე.

სოციალური გარემოს გაანალიზებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ:

- სოციალური კულტურა (ღირებულებები, დამოკიდებულება და რწმენა) - მისი გავლენა მოთხოვნაზე რომელიც ამა თუ იმ პროდუქტის მიმართ ჩნდება, შრომიის მიმართ დამოკიდებულებაზე, ინვესტიციებზე, ეკოლოგიაზე, ეთიკასა და ა.შ.
- დემოგრაფია - ადამიანების პოპულაციის მასშტაბისა და სტრუქტურის გავლენა შრომთ ბაზარსა და ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე.
- სოციალური სტრუქტურა, შრომის მიმართ დამოკიდებულება და მომსახურების ხარისხის გავლენა.

არ არსებობს მარტივი წესები, რომლებიც ორგანიზაციას მაკრო გარემოს გაანალიზებაში დაეხმარება. (მაკრო გარემოს ანალიზის) თითოეული შემთხვევა ინდივიდუალური და მოცემული ორგანიზაციისთვის რელევანტური მიდგომის პოვნას გულისხმობს.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მიმდინარე პირობებში, სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში საწარმოო სტრუქტურების განვითარებაზე უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკური გარემო, რომელიც მაკროგარემოს პირდაპირი სტუქტურული ნაწილია. ტურიზმის სექტორში საწარმოოს მომგებიანობის შესანარჩუნებლად ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და ანალიზის პროცესში ტურიზმისა და

სტუმარმასპინძლობის დარგის მენეჯერებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ ფასების პოლიტიკაზე, ასევე გარკვეული იმპორტირებული პროდუქტების ადგილობრივით პოტენციური ჩანაცვლების საკითხებზე, როგორც მთავარ პრევენციულ ღონისძიებაზე გაცვლითი კურსების შესაძლო ცვლილების შემთხვევაში..

სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიაში ბიზნეს სტრუქტურის განვითარებაზე ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკური ფაქტორები. უშუალოდ რეგიონულ პოლიტიკას შეუძლია განსაზღვროს საქმიანობის დიფერენციაცია და სტუმარმასპინძლობის საწარმოს მუშაობის პროფილი. ასეთი პოლიტიკის მიზანი შეიძლება იყოს მთლიანად რეგიონში ტურიზმის მხარდაჭერა ან ახალი და არსებული საწარმოების მიზნობრივი მხარდაჭერა.

ისეთი ფაქტორები, როგორიცაა „პროდუქტის ხარისხისა და მომსახურების დონის მოთხოვნები“ და „ინტერნეტის, ასევე მობილური მოწყობილობების განვითარება“, თანამედროვე პირობებში ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, მჭიდრო კავშირში არიან და ავსებენ ერთმანეთს. ინტერნეტისა და მოწყობილობების გამოყენების ხარისხი ფართოდ არის გავრცელებული ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში. მიწოდებული მომსახურეობის ხარისხს ყოველთვის უდიდესი მნივნელობა ჰქონდა და აქვს სასტუმროების, რესტორნებისა და ტურისტული საწარმოების მომგებიანობისა და კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, პირდაპირ კავშირშია მობილური მოწყობილობებისა და ინტერნეტით მიწოდებულ მომსახურეობასთან.

ამრიგად, სტუმატრმასპინძლობის ინდუსტრიის ორგანიზაციების განვითარების დაგეგმვისას აუცილებელია ისეთი სერვისების მიწოდებისა და დამუშავების ტექნოლოგიური საშუალებების დანერგვა, რომლებიც დააკმაყოფილებს ინტერნეტისა და მობილური მოწყობილებების ფართოდ გამოყენების მსურველი მომხმარებლების მოთხოვნებს.

სოციალურ-კულტურული გარემოს ისეთი პარამეტრები, როგორიცაა „მიგრაციის დონე და იმიგრაციის განწყობები“, ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურიზმის ინდუსტრიაში. ინდუსტრიის მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ მოსახლეობის განწყობები და რეგიონში არსებული ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე შექმნან რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილი, რათა თავიდან იქნას აცილებული „მიგრაცია ქვეყნის მსხვილ ქალაქებში და ემიგრაცია უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში სამუშაო ადგილების საძებნელად.“[3]

ბიბლიოგრაფია

[1] https://www.scribd.com/document/508170356/Macroenvironmental-analysis-for-strategic-management

[2] https://researchguides.library.brocku.ca/external-analysis/macro-environment

[3] იაკობ მესხია, ელისო გველესიანი „რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა“, თბილისი 2010.

The impact of the macro environment on the development of the tourism and hospitality industry

Eliso Gvelesiani

Academic Doctor of Economics, Associate Professor Akaki Tseretali State University

Abstract

The article presents an analysis of the impact of external factors on the activities of enterprises within the hospitality industry, based on a survey conducted among managers of tourism organizations. The most important strategic decisions of any enterprise or organization are made on the basis of an analysis of the surrounding environment, the macro-environment, with which the company maintains constant interaction. In this regard, under the current political and economic conditions, and taking into account the specifics of the hospitality industry, assessing the impact of external factors represents a highly relevant issue. External factors affect a tourism enterprise at both the macro-environmental and micro-environmental levels. The micro-environment is characterized by closer interaction with business structures, as it is directly connected to the activities of consumers, competitors, suppliers, partners, etc. Unlike the micro-environment, the organization's activities do not influence the macro-environment: it cannot change the nature and content of such influencing factors as political, economic, socio-cultural, and technological conditions.

Keywords: tourism industry, tourism enterprise, macro environment.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.69



ქართული ტრადიციული ეთნოფარმაკოლოგია: ისტორიული საფუძვლები, სამკურნალო მცენარეთა კულტივაციის პრაქტიკა და ცოდნის გადაცემის გზები

დიმიტრი კოჩაძე[1], ელგუჯა ლაჭყეპიანი[2], რობერტ მახარაშვილი[3]

[1]შპს "რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი" ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულების კლინიკური მენეჯერი, ექიმი ინფექციონისტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის PhD სტუდენტი. https://orcid.org/0009-0009-9976-4724; [2]სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის PhD სტუდენტი. https://doi.org/10.52340/gs.2024.06.02.42; [3]პედიატრიული კლინიკა Mმედი22, ანესთეზია-რეანიმაციის და ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტის ექიმი ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი.

ანოტაცია

მოცემული კვლევა მიმოიხილავს ქართული ტრადიციული ეთნოფარმაკოლოგიის ისტორიულ, პრაქტიკულ და ზეპირსიტყვიერ საფუძვლებს, რაც საშუალებას იძლევა, მოხდეს ამ რთულად სტრუქტურირებული ცოდნის სისტემის მეცნიერული ინტერპრეტაცია. ეთნოფარმაკოლოგია, როგორც დისციპლინა, აერთიანებს ბოტანიკურ, კულტურულ და სემიოტიკურ ანალიზს და ამ თვალსაზრისით, ქართული ტრადიციული მედიცინა წარმოადგენს ორიგინალურ, თუმცა უნივერსალურ მოდელს.

კვლევა ეფუძნება ხარისხობრივ მეთოდოლოგიას, პირველწყაროების დოკუმენტურ ანალიზს და ზეპირსიტყვიერი ტექსტების ეთნოგრაფიულ ჰერმენევტიკას. გამოყენებულ იქნა XIX–XX საუკუნეების ქართული მონოგრაფიები, ხალხური რეცეპტები, შელოცვები, სიმღერები და მცენარეთა ბოტანიკური აღწერილობები. კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო გამოევლინა მცენარეთა გამოყენების პრაქტიკებსა და რიტუალურ სტრუქტურებს შორის კავშირი, რაც ხშირად განსაზღვრავს სამკურნალო ქმედების კულტურულ ლეგიტიმაციას.

შესწავლილ იქნა ოთხი ძირითადი მცენარის (კატაბალახა, შხამა, ცოცხანა, ძახველი) ეთნოფარმაკოლოგიური პროფილი, რომლებიც წარმოაჩენენ როგორც ბიოაქტიურ მოქმედებებს, ასევე ღირებულ რიტუალურ-სემანტიკურ ფაქტორებს. აღმოჩნდა, რომ ტრადიციული გამოყენება ხშირ შემთხვევაში ემთხვევა თანამედროვე ფარმაკოლოგიურ პრაქტიკას, რაც მიუთითებს ტრადიციული ცოდნის ემპირიულ საფუძვლებზე.

კვლევამ გააანალიზა ზეპირსიტყვიერი ცოდნის გადაცემის მექანიზმები, მათ შორის – ცოდნის დაცვა, შერჩევითობა და რიტუალურ-ლინგვისტური ჩარჩოები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მცენარეთა კლასიფიკაციის ხალხური სისტემები („ცხელი/ცივი",

„მდუმარე/ხმოვანი“), რაც მიუთითებს ქვეცნობიერ სტრუქტურირებულ მიდგომაზე. კვლევაში ხაზგასმულია ისეთი საფრთხეები, როგორიცაა ცოდნის გადაცემის წყვეტა, ჰაბიტატების შემცირება და ტრადიციული პრაქტიკის იგნორირება.

დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები ეთნოფარმაკოლოგიური მემკვიდრეობის დოკუმენტირებისა და მისი სამეცნიერო ინტეგრაციის გზებზე, აქცენტით ეთიკურ პრინციპებსა და ადგილობრივი ავტორების პატივისცემაზე. ტრადიციული ქართული ეთნოფარმაკოლოგია არ წარმოადგენს მხოლოდ კულტურულ რელიქვიას, არამედ შეიძლება გახდეს თანამედროვე ფარმაკოლოგიური ინოვაციის წყარო, თუკი მისი შესწავლა წარიმართება კომპლექსურად, ეთიკურად და ინტერდისციპლინურად.

საკვანძო სიტყვები: ეთნოფარმაკოლოგია; ქართული ტრადიციული მედიცინა; სამკურნალო მცენარეები; ზეპირსიტყვიერი ცოდნა; რიტუალური პრაქტიკა; ფიტოთერაპია; ბიოაქტიური ნივთიერებები; ბოტანიკა; სამონასტრო ბაღები; სიმბოლური კლასიფიკაცია; კულტურული მემკვიდრეობა; ტრადიციული რეცეპტები; შელოცვები; ფარმაკოგნოზია; ფარმაკოლოგიური ანალიზი; ხალხური მკურნალობა;

შესავალი

ეთნოფარმაკოლოგია წარმოადგენს ინტერდისციპლინურ მეცნიერების დარგს, რომელიც შეისწავლის მცენარეთა, ცხოველთა და სხვა ბუნებრივ ნივთიერებათა გამოყენებას მკურნალობაში ტრადიციული ცოდნისა და კულტურული პრაქტიკის კონტექსტში. ეს დისციპლინა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ზეპირსიტყვიერ გადაცემას, რიტუალურ პრაქტიკებს, ხალხურ წარმოდგენებსა და სამკურნალო ქცევის სოციალურ-საგანმანათლებლო განზომილებებს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ეთნოფარმაკოლოგიური კვლევები ბოლო ათწლეულების განმავლობაში ინტენსიურად განვითარდა, ქართული ტრადიციული მედიცინა და მისი ფარმაკოგნოზიური მემკვიდრეობა ჯერაც სათანადოდ არ არის შესწავლილი.

საქართველო, როგორც კავკასიის კულტურული და ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთი მდიდარი კერაა, ფლობს სამკურნალო მცენარეთა მრავალფეროვან არსენალს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა ეთნოფარმაკოლოგიურ ცოდნის გამდიდრებისთვის საუკუნეების განმავლობაში. საქართველოს კლიმატი ქმნიდა განსხვავებული ფიტოთერაპილი მიდგომების ჩამოყალიბების მსუყე საფუძველს. რაც შერწყმული იყო რელიგიურ წარმოდგენებთან, სოფლის მეურნეობასა და ყოფით კულტურასთან.

ქართულ ტრადიციულ მედიცინაში სამკურნალო მცენარეები წარმოადგენდა არამხოლოდ ბიოლოგიური სამკურნალო საშუალებების წყაროს, არამედ სულიერი და რიტუალური პრაქტიკის განუყოფელ ნაწილს. მცენარეთა შეგროვება, დამუშავება და გამოყენება რეგულირდებოდა როგორც ემპირიული, ასევე რელიგიური პრინციპებით. სახალხო

მკურნალები - ხევსური დასტაქრები, მოკმელები, ბერები, სოფლის მკურნალები - ფლობდნენ ცოდნას, რომელიც გადაიცემოდა ზეპირსიტყვიერად, სიმღერებით, შელოცვებითა და ხელნაწერი სამკურნალო რეცეპტებით. აღნიშნული ცოდნა საუკუნეების განმავლობაში ინახებოდა გადეცემოდა კონკრეტული პირების შთამომავლების მიერ.

ამ ნაშრომის მიზანია, შეაფასოს ქართული ტრადიციული ეთნოფარმაკოლოგიის ისტორიული, პრაქტიკული და ზეპირსიტყვიერი საფუძვლები. სტატიაში განხილულია სამკურნალო მცენარეთა მოპოვების, კულტივაციისა და დამუშავების პრაქტიკა, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მათ გამოყენებაზე ხალხურ მედიცინაში. აგრეთვე წარმოდგენილია კონკრეტული მცენარეების ანალიზი (მაგალითად: კატაბალახა, შხამა, ცოცხანა, ძახველი), რომელთა ეთნოფარმაკოლოგიური მნიშვნელობა გადაჯაჭვულია როგორც ბიოქიმიურ, ასევე კულტურულ-რელიგიურ მნიშველობებთან.

ნაშრომი ეყრდნობა ქართულენოვან პირველწყაროებს, მათ შორის XIX–XX საუკუნეების ეთნოგრაფიულ ჩანაწერებს, სამკურნალო მცენარეთა მონოგრაფიულ აღწერებს, ზეპირსიტყვიერ ჩანაწერებსა და ფარმაცევტულ დოკუმენტაციას.

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა ეყრდნობა ხარისხობრივ ანალიზს, რომელიც მიზნად ისახავს ქართული ტრადიციული ეთნოფარმაკოლოგიური ცოდნის მეცნიერულ ინტერპრეტაციას. კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო მოიცავს როგორც პირველწყაროებზე დაფუძნებულ დოკუმენტურ ანალიზს, ასევე თანამედროვე ეთნოფარმაკოლოგიური კვლევის სტანდარტებს.

კვლევისთვის გამოყენებული ძირითადი მასალა მოიცავს:

XX საუკუნის ქართულენოვან მონოგრაფიებსა და სამეცნიერო პუბლიკაციებს სამკურნალო მცენარეთა შესახებ, ხალხური რეცეპტების წიგნებსა და ზეპირსიტყვიერ ჩანაწერებს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული კვლევებიდან, მცენარეთა აღწერილობებს, რომლებშიც მოცემულია როგორც ბოტანიკური მახასიათებლები, ისე სამკურნალო და რიტუალური გამოყენების ფორმები, სამკურნალო პრაქტიკის კონტექსტში შემონახულ ზეპირსიტყვიერ მასალას - შელოცვებს, სიმღერებს, რიტუალურ ტექსტებს. წყაროების შერჩევისას უპირატესობა მიენიჭა მასალას, რომელიც ასახავს მცენარის მოქმედების პრაქტიკულ გამოყენებას და ხალხურ ჩანაწერებში მოცემული მცენრაის იდენტურობას. ტექსტში განხილული მცენარეები კლასიფიცირებულია შემდეგი პარამეტრებით: სამეცნიერო და ქართულ-ხალხური სახელწოდება, ბიოგეოგრაფიული გავრცელება, სამკურნალო გამოყენება ტრადიციულ მედიცინაში, ბიოაქტიური ნივთიერებები და მათი ფარმაკოლოგიური თვისებები. თითოეულ მცენარეზე ჩამოყალიბებული აღწერილობა ეფუძნება კრიტიკული შედარების პრინციპს - ხალხური პრაქტიკის, ბოტანიკური აღწერილობისა და ფარმაცევტული მონაცემების შეჯერებას. ზეპირსიტყვიერი ტექსტების, შელოცვების, სიმღერების და ხალხური თქმულებების, გაანალიზება მიმდინარეობდა ეთნოგრაფიული ჰერმენევტიკის საფუძველზე, რაც ითვალისწინებს: ლინგვისტური კოდის და კულტურულ-სოციალური კონტექსტის გათვალისწინებას; პრაქტიკულ შინაარსზე ფოკუსირებას (ვინ, როგორ და როდის იყენებდა

ცოდნას); ცოდნის გადაცემის ფორმალურ და არაფორმალურ გზებს (ოჯახური ზეპირსიტყვიერება, ბერ-მონაზვნების ზეპირსიტყვიერება). მიუხედავად მდიდარი მდიდარი მემკვიდრეობისა, აღსანიშნავია რამდენიმე მეთოდოლოგიური შეზღუდვა: მასალის სტანდარტიზაციის სირთულე; ზოგიერთი ზეპირსიტყვიერი მონაცემის შინაარსობრივი ფრაგმენტულობა; ბიოქიმიური კომპონენტების ზოგ შემთხვევაში ჰიპოთეზურ დონეზე ცოდნა, რაც საჭიროებს სამომავლო ლაბორატორიულ კვლევებს.

მიმოხილვა

ისტორიული საფუძვლები: ქართული ეთნოფარმაკოლოგიის წარმოშობა და განვითარების ტენდენციები

საქართველოს ტერიტორიაზე ეთნოფარმაკოლოგიური პრაქტიკის ფესვები უკავშირდება ადამიანთა მიერ ბუნებაში არსებული რესურსების გამოყენების მცდელობებს, თვითმკურნალობისა და ტკივილების შემსუბუქების მიზნით. არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, რომ ჯერ კიდევ მეზოლითისა და ნეოლითის ეპოქებში მცხოვრები მოსახლეობა იყენებდა სხვადასხვა მცენარეს, როგორც საკვებად, ასევე სამკურნალოდ. აღნიშნული პრაქტიკები, სავარაუდოდ, ემპირიულ დაკვირვებასა და იმიტაციური ქცევის მექანიზმებზე იყო დაფუძნებული; მაგალითად, რომელი მცენარე ჭამა ცხოველმა ავადმყოფობისას და როგორ მოქმედებდა ის.

ქართული ეთნოფარმაკოლოგიის წერილობითი ისტორია უძველესი ლიტერატურული წყაროებით იწყება. სამედიცინო თემებზე შექმინილი პირველი ტექსტები ქრისტიანული ეპოქის საეკლესიო ძეგლებში გვხვდება. ქართველი ბერ-მონაზვნები შუა საუკუნეებში ითვლებოდნენ სამედიცინო ცოდნის მქონე იდივიდებად. მონასტრებში არა მხოლოდ ინახავდნენ უცხოურ სამედიცინო ტრაქტატებს, არამედ თავადაც ქმნიდნენ ადგილობრივ სამკურნალო პრაქტიკას, რომელიც დაფუძნებული იყო მცენარეულ ნედლეულზე, რომელიც მოიპოვებოდა საცხოვრებელი ადგილების მახლობლად ძველი ქართველი მკურნალების ტექსტებში შესაძლოა არ გვხეებოდეს პირდაპირი მითითებები სამკურნალო მცენარეებზე, თუმცა მათ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ჩართულია სნეულებების აღწერისა და მკურნალობის მხატვრული მინიშნებები.

XIX საუკუნიდან იწყება ქართული სამეცნიერო ეთნოგრაფიის ჩამოყალიბება და პირველად ხდება მცენარეთა აღწერის სისტემატიზაცია ხალხური გამოყენების კონტექსტში. ქართველი ისტორიკოსების თხზულებებში ასახულია როგორც მცენარეთა გეოგრაფიული გავრცელება, ასევე მათი პრაქტიკული მნიშვნელობა რეგიონებში. განსაკუთრებით ღირებულია სვანეთის, რაჭის, გურიის და კახეთის მონაცემები, სადაც მკურნალები არა მხოლოდ მცენარეებს იყენებდნენ, არამედ მათ გარშემო არსებობდა სარწმუნოებრივი და რიტუალური სქემა; მაგალითად, ფითრის წვა ან იის სურნელება გამოიყენებოდა „ცუდის“ განსადევნად, რაც მკაფიოდ გამოხატავს სულიერი სიმბოლიკით დატვირთულ ტრადიციაში მცენარეების გამოყენების პრაქტიკას.

განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ხალხური მკურნალის ინსტიტუტი, რომელსაც რეგიონების მიხედვით სხვადასხვა სახელი ჰქონდა: ,,დასტაქარი“, „მოკმელი“, „მღვდელ-მკურნალი“, „მრევლში გამცნობელი“. ისინი ფლობდნენ ცოდნას, რომელიც ხშირად ოჯახური ხაზით გადაეცემოდა ან მონასტრებში მღვდელ მონაზვნების მიერ ერთმანეთში გადეცემოდა. ეს ცოდნა ზეპირსიტყვიერი იყო და მკაცრ ეზოთერულ ჩარჩოებში იყო მოქცეული; მაგალითად, კონკრეტული მცენარის სახელის, დამზადების წესისა და ლოცვის კომბინაციის გასაჯაროება არ შეიძლებოდა რიგითი ადამიანისთვის.

ისტორიულად, ქართულ ეთნოფარმაკოლოგიაში მცენარეთა გამოყენება არ შემოიფარგლებოდა ფიზიკური სნეულების მკურნალობით. ის მოიცავდა რიტუალურ და საკრალურ ასპექტებს: მცენარეებს კიდებდნენ ჭიშკარზე, საჭმელში აზავებდნენ შელოცვების წარმოთქმასთან ერთად ან გამოიყენებდნენ დღეობებში რიტუალურად. ამის პარალელურად მკურნალობა ეყრდნობოდა მკაცრად ჩამოყალიბებულ სტანდარტებს: მცენარის მოპოვება ხდებოდა კონკრეტულ პერიოდში (ახალი მთვარისას, განთიადზე, დაუწოლავ მდელოზე) და აუცილებლად უნდა წარმოთმულიყო შესაბამისი ლოცვა ან „დადება“. ამრიგად, ქართული ეთნოფარმაკოლოგიის ისტორიული საფუძვლები არ წარმოადგენს მხოლოდ მცენარეების შესახებ პრაგმატულ ცოდნას, არამედ შეიცავს სამყაროს ჰოლისტურ ხედვას, რომელიც აერთიანებს ფიზიოლოგიურ, ფსიქოსოციალურ და სულიერ განზომილებებს.

სამკურნალო მცენარეთა კულტივაციის პრაქტიკა საქართველოში

ისტორიულად, სამკურნალო მცენარეების უმეტესობა პირდაპირ ბუნებიდან - ტყიდან, მდელოდან, მინდვრიდან - მოიპოვებოდა. თუმცა, გარკვეული მცენარეების მიმართ სიფრთხილით მოპყრობა მიანიშნებს იმაზე, რომ ქართულ სოფლის მეურნეობაში არსებობდა მცენარეთა მიზანმიმართული მოშენების ტრადიცია, რომელიც დღემდე შემორჩენილია რეგიონებში.

საზოგადოებაში სამკურნალო მცენარის დათესვა არ იყო სოფლის მეურნეობის ჩვეულებრივი ნაწილი; მას თან სდევდა გარკვეული წეს-ჩვეულებები. ბევრი მცენარის დათესვა ან მოყვანა ითვლებოდა „საღმრთო საქმედ“; მაგალითად, ღვთისმშობლის ბალახად წოდებული მჭადა (Achillea millefolium) ან იოანეს ბალახი (Hypericum perforatum) უნდა დაეთესათ წმინდანის დღის წინა ღამეს, თან მთესველს უნდა სცოდნოდა შესაბამისი ლოცვა რომლითაც მცენარე „იწმინდებოდა“.

კულტივაციის პროცესში არამხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სიმბოლურ-რელიგიური მოტივაციებიც ჩნდებოდა. მაგალითად, მცენარეებს არ თესავდნენ „გადაუზამთრებელ“ მიწის ნაკვეთზე; მიიჩნეოდა, რომ მიწა უნდა ყოფილიყო „მომწიფებული“ და მიწათმოქმედის ქმედება - მორალურად წმინდა. განსაკუთრებით ღირებული მცენარეების მოყვანა ხშირად ენდობოდა ოჯახში უხუცესს ან ქალს, რომელიც ფლობდა ცოდნას მის სასწაულებრივ მოქმედებაზე.

სათანადო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სამკურნალო მცენარეთა მიზანმიმართულ მოშენებაში მონასტრებში არსებული ბაღების როლს. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ქართველ ბერებს ჰქონდათ საკუთარ სამონასტრო ბაღებში სპეციალურად გამოყოფილი

ადგილები სამკურნალო მცენარეებისთვის. ასეთი მაგალითებია გელათის, შიომღვიმის, დავითგარეჯის და იყალთოს მონასტრები. ამ ბაღებში მოჰყავდათ ისეთი მცენარეები, რომლებიც ბუნებრივად შეიძლება არ იზრდებოდნენ რეგიონის პირობებში, მაგრამ ადგილობრივ პირობებთან ადაპტირდებოდნენ. ბერები ზრდიდნენ მცენარეებს, ამზადებდნენ მათგან მალამოებს, ნახარშებსა და ტინქტურებს, რომლებიც გამოიყენებოდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე თავად მონასტრის ბინადართა სამკურნალოდ.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში ეთნომედიცინის ტრადიციებმა ნაწილობრივ დაკარგა სისტემური ფორმა, გარკვეულმა ოჯახებმა და ტრადიციულმა მკურნალებმა შეინარჩუნეს მცენარეთა მოშენების უნიკალური მეთოდები. განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში - გურიაში, სამეგრელოს მთიანეთში, აჭარაში - დღესაც გვხვდება ბაღები, სადაც ადგილობრივები სპეციალურად რგავენ სამკურნალო მცენარეებს და მკაცრად იცავენ მოშენების ტრადიციულ წესებს. კონკრეტული მაგალითია კოლხური ცოცხანა (Asarum caucasicum), რომელიც უნიკალურია კოლხეთის ბიოსფეროსთვის და ადგილობრივ მოსახლეობაში გამოიყენებოდა როგორც სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებათაა სამკურნალო საშუალება. მას ხშირად ზრდიდნენ ჩრდილში, მუდმივი ტენიანობის პირობებში და განიხილებოდა, როგორც „ოჯახური ბალახი“.

ზეპირსიტყვიერი ცოდნის გადაცემის ფორმები და რიტუალური შრეები ქართულ ეთნოფარმაკოლოგიაში

ქართული ეთნოფარმაკოლოგიური ცოდნის მნიშვნელოვანი ნაწილი ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა. სამკურნალო მცენარეებთან დაკავშირებული ცოდნა საუკუნეების განმავლობაში გადაეცემოდა თაობიდან თაობას, არა წერილობითი ტექსტებით, არამედ ყოფით ენაში, სიმღერებში, შელოცვებში, მითებში და პრაქტიკულ რიტუალებში ინტეგრირებული ფორმით. ეს ცოდნა იყო ცოცხალი, ქმედითი და კონტექსტურად განხორციელებადი - იგი არ არსებობდა თეორიულად განცალკევებულად, არამედ მხოლოდ მოქმედების დროს იძენდა სრულ მნიშვნელობას.

სახალხო მკურნალები - დასტაქრები, მოკმელები, გამცნობლები, ან ბერ-მონაზვნები - ხშირად არ იყენებდნენ მხოლოდ მცენარეს, არამედ მას თან ურთავდნენ „დადებას“ - სპეციალურად ფორმულირებულ ტექსტს, რომელიც ითვლებოდა მოქმედების განუყოფელ ნაწილად. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ლოცვა, ტექსტი, წრეში ნათქვამი სიტყვა, ან ფრაზა, რომელსაც მკურნალი იმეორებდა მცენარის საშუელბით წამლის დამზადების დროს. მაგალითად, როდესაც ადამიანს ტანჯავდა „გულის შუაზე დარტყმა“, მკურნალი ადუღებდა კუნელის ნაყოფს და მასთან ერთად ამბობდა: „ვითარცა ეს ბუჩქი ისმინოს ტკივილი, ისე შენს გულსაც მოეკვეთოს ვარამი.“ ამ ფრაზას თან ახლდა ჯვრის გადასახვა, მცენარისგან დამზადებული წამლის მიღება სამჯერ და დუმილის წესის დაცვა რამდენიმე საათით. ზეპირსიტყვიერი ცოდნა არ იყო საზოგადოებაში თავისუფლად ხელმისაწვდომი. მას ხშირად იცავდნენ რჩეული პირები: ოჯახური ხაზით გადასცემდნენ შვილს ან მემკვიდრეს, ვინც აღიარებული იყო როგორც „ღირსი ცოდნის მატარებელი“. პრაქტიკის მემკვიდრეობა არ იყო მხოლოდ ტექნიკური უნარის გადაცემა; ის მოითხოვდა მორალურ, სულიერ და სოციალურ მზაობას. ზოგიერთ რეგიონში, მაგალითად, ხევსურეთში ან/და რაჭაში, მკურნალს ჰქონდა „დადებული

ცოდნა“, რაც ნიშნავდა, რომ მან ცოდნა უნდა გადასცეს რჩეულს მხოლოდ მაშინ, როცა „მოწოდებას“ იგრძნობდა. ამგვარი ცოდნა შეიძლებოდა გადაცემულიყო სიმღერით, მითითებით, მეტაფორით ან ალუზიით. მაგალითად, კახეთში გავრცელებული იყო სიმღერა, რომელიც აღწერდა, თუ როგორ უნდა შეგროვებულიყო მრავალძარღვას (Plantago major) ფოთოლი დილის სხივის ქვეშ, ოდნავ ნესტიანი მიწიდან, შემდეგ უნდა დადებულიყო მარცხენა ხელისგულზე და სამი სიტყვით „გადაერია სნეულებას“.

ბევრი მცენარე ითვლებოდა არა მხოლოდ სამკურნალოდ, არამედ „ღვთაებრივად შობილად“, რაც ნიშნავდა, რომ მის მოჭრას, შერევას ან გამოყენებას უნდა ახლდეს სპეციალური რიტუალი. მაგალითად, ცოცხანა (Verbena s.) უნდა შეეგროვებინა მხოლოდ ქალს მზიან ამინდში, თან უნდა ეთქვა სიტყვები: „ცოცხა ხარ, ბალახო ხარ, სიცოცხლის ძალა მოგაქვს.“ ზოგიერთ მცენარეს შეძახილებით „აძლევდნენ ძალას“. მაგალითად, ფითრის ფოთოლზე აწვენდნენ ავადმყოფს და ასწავლიდნენ გამოთქმას: „ცივი ხარ, მწარე ხარ, მაგრამ გულიდან შიშს მიშორებ!“ - რაც ასახავდა მცენარის არამხოლოდ ფიზიოლოგიურ, არამედ ფსიქოემოციურ მოქმედებაზე ხალხურ დაკვირვებას.

თანამედროვე ეპოქაში ზეპირსიტყვიერი ცოდნა გაქრობის საფრთხის წინაშეა. ჩანაწერების გარეშე ასეთი ცოდნა უკვალოდ ქრება, რადგან მისი ძალა დიდწილად დამოკიდებულია პრაქტიკის გარემოზე და ადამიანურ ურთიერთობებზე. ნაშრომი ცდილობს დააფიქსიროს ის ფორმები, რომლებიც დღემდე შემორჩა და რომელთა დოკუმენტირება შეიძლება თანამედროვე ეთნოფარმაკოლოგიური კვლევის მეთოდებით.

სამკურნალო მცენარეთა ინდივიდუალური ეთნოფარმაკოლოგიური ანალიზი

<u>კატაბალახა – Valeriana officinalis L. -</u> კატაბალახა წარმოადგენს მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეს, რომელიც მიეკუთვნება Valerianaceae - ის ოჯახს. საქართველოში ის ფართოდ არის გავრცელებული ტყიან და სუბალპურ ზონაში, განსაკუთრებით მთიანი რეგიონების (რაჭა, ლეჩხუმი, იმერეთი, აჭარა) მდინარისპირა მდელოებში. მცენარეს ახასიათებს სქელი რიზომა, რომელიც შეიცავს მაღალი კონცენტრაციის ეთერზეთებს, ვალეპოტრიატებსა და ალკალოიდებს.

<u>ეთნოფარმაკოლოგიური გამოყენება საქართველოში</u>

კატაბალახა ქართულ ტრადიციულ მედიცინაში ცნობილია როგორც ნერვული სისტემის მოწესრიგებისთვის ერთ-ერთი ძირითადი სამკურნალო მცენარე. ხალხურ მედიცინაში მას ეწოდებოდა „გულის დამამშვიდებელი“, ხოლო ზოგიერთ კუთხეში - „ღამის მშვიდობის მცენარე“. მის ფესვებს ხარშავდნენ წყალში ან არაყში, რის შედეგად მიღებულ ნახარშს ან ნაყენს ღებულობდნენ შფოთვის, უძილობის, არითმიის, გონების გაფანტვის ან „დაჩრდილვის“ დროს. ფესვებს აცხელებდნენ და იდებდნენ საფენად ნერვული სპაზმებისას. განსაკუთრებული ადგილი უკავია მის გამოყენებას ბავშვებში ტკივილის ან შიშის საწინააღმდეგოდ. გურიაში და იმერეთში ცნობილია რეცეპტი: ბავშვს, რომელსაც ცუდი სიზმრები აწუხებდა, ასმევდნენ კატაბალახის ფესვის წყალში განზავებულ ნაყენს, თან ასწავლიდნენ შემდეგ სიტყვებს: „რაც შიგ არის, დაეშვას წყალში, რაც გულშია, გაიფანტოს ძილში.“

თანამედროვე მეცნიერული შეფასება

Valeriana officinalis-ის ძირითადი აქტიური ნივთიერებებია ვალერიანული მჟავები, იზოვალერიანის მჟავა, ვალეპოტრიატები და ეთერზეთები, რომლებიც მეცნიერულად აღიარებულია როგორც ცენტრალური ნერვული სისტემის დამამშვიდებელი საშუალებები. კლინიკური კვლევებით დადასტურებულია მისი მოქმედება როგორც მსუბუქი სედატიური და უძილობის საწინააღმდეგო ბუნებრივი პრეპარატი. თანამედროვე ფიტოთერაპიაში იგი გამოიყენება იზოლირებულად ან კომბინაციაში სხვა მცენარეებთან (მაგ. Melissa officinalis, Passiflora incarnata).

კატაბალახას ეთნოფარმაკოლოგიური გამოყენება საქართველოში მნიშვნელოვნად ემთხვევა მის თანამედროვე ფარმაკოლოგიურ პროფილს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ტრადიციული ცოდნის ემპირიულ სიღრმესა და სიზუსტეს.

შხამა – Veratrum lobelianum Bernh.- მრავალწლოვანი, შხამიანი ბალახოვანი მცენარეა Melanthiaceae-ის ოჯახის შემადგენლობაში. საქართველოში ის გავრცელებულია ძირითადად ალპურ და სუბალპურ ზონებში (თრიალეთი, ხევსურეთი, ლეჩხუმი, სამცხე), ხშირად იზრდება ტენიან და ჩრდილოვან ფერდობებზე. მცენარეს აქვს მაღალი ღერო, ლანცეტოვანი ფოთლები და მწვანე-თეთრი ყვავილები. მთელი მცენარე, განსაკუთრებით კი ფესვი შეიცავს ძლიერ ტოქსიკურ ალკალოიდებს: ვერატრინი, ვერატრიდინი, იზოვერატრინი.

ეთნოფარმაკოლოგიური გამოყენება ქართულ ტრადიციულ მედიცინაში

შხამა ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენებოდა განსაკუთრებული სიფრთხილით და მხოლოდ გამოცდილ მკურნალთა მიერ. მას მიიჩნევდნენ „ძალმომცემად“ და „დამატყვევებლად“ - რაც ნიშნავდა, რომ მცენარეს ჰქონდა ძლიერი ფიზიოლოგიური და „მაგიური“ მოქმედება. ფესვის მცირე დოზას იყენებდნენ სერიოზულ სნეულებებთან ბრძოლაში, როგორიცაა ძლიერი სპაზმები, პარალიზი, ლამია (მოწამვლა), ან სიყვითლე. სვანეთში შხამას ფესვს ადუღებდნენ რძეში, ასმევდნენ წყალში განზავებულ ერთ წვეთს და თან ამბობდნენ: „მიწის შხამი შიგნით შემოვიდა, მაგრამ კაცმა შიშით არა დაჰმდაბლოს.“ რიტუალის ეს ნაწილი ასახავს მცენარის ორმაგ ბუნებას - წამალია და შხამი ერთდროულად, მის ძალას კი ადამიანმა უნდა „გაუძლოს“. მცენარის ფოთლებს ხარშავდნენ და იყენებდნენ გარეგანი შეზელვისთვის რევმატული ტკივილების, წყლულების ან პარალიზისას; იმავე ნახარშს ისხამდნენ ბანაობისას „გადაჭარბებულ სიცხეში“ გასაგრილებლად.

თანამედროვე მეცნიერული ინტერპრეტაცია

Veratrum lobelianum წარმოადგენს ძლიერმოქმედ მცენარეს, რომელიც შეიცავს სტეროიდულ ალკალოიდებს, მათ შორის ვერატრინს, რომელსაც ახასიათებს ნეიროტოქსიკურობა. ფარმაკოლოგიურად, მას გააჩნია გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე დამთრგუნველი მოქმედება. იგი გამოიყენებოდა XIX საუკუნეში არტერიული წნევის დასაქვეითებლად, თუმცა ტოქსიკურობის გამო თანამედროვე მედიცინაში თითქმის არ გამოიყენება.

ტრადიციულ ქართულ მედიცინაში მისი მოხმარება იმაზე მეტყველებს, რომ ხალხურ მკურნალებს ჰქონდათ ღრმა ცოდნა დოზირების ზღურბლზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ტოქსიკური მცენარის გამოყენებისას. პრაქტიკაში იგი ყოველთვის ასოცირდებოდა რიტუალთან.

ცოცხანა – Verbena supina Willd – ვერბენა, ხალხურად ცნობილია როგორც ცოცხანა, მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, რომელიც უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სამკურნალოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მას მიიჩნევდნენ ღვთაებრივად კურთხეულ ბალახად. იგი შედის Verbenaceae-ის ოჯახში და ფართოდაა გავრცელებული.

ბოტანიკური და ეთნოფარმაკოლოგიური მახასიათებლები

Verbena supina-ს ღერო იშვიათად დაყოფილია, აქვს წვრილი ფოთლები და მცირე ზომის ყვავილები. მცენარე შეიცავს გლიკოზიდებს, ეთერზეთებსა და ფენოლურ მჟავებს, რაც განაპირობებს მის ანთებისსაწინააღმდეგო და სპაზმოლიზურ თვისებებს.

ეთნოფარმაკოლოგიური გამოყენება საქართველოში

ვერბენა გამოიყენებოდა როგორც ოფლისმომგვრელი, შარდმდენი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება. ხალხური პრაქტიკის მიხედვით, მისგან ამზადებდნენ ნაყენებსა და ნახარშებს, რომლებსაც იყენებდნენ შემდეგი მდგომარეობებისას: კუჭ-ნაწლავის დარღვევები; შარდსასქესო სისტემის ანთებითი დაავადებები; მსუბუქი ნევროზები; გაციების და გრიპის სიმპტომები (ჩაის სახით). ზეპირსიტყვიერ პრაქტიკაში მას ხშირად იყენებდნენ რიტუალური წმენდებისთვის: ავადმყოფის საწოლთან მიჰქონდათ ქოთანში დარგული ვერბენა და სპეციალურ ლოცვასთან ერთად ასხურებდნენ ოთახს მის ნახარშს. ზოგიერთ რეგიონში მას მიიჩნევდნენ „ღმერთისთვის შეწირულ ბალახად“. მწვანე ნაზავს აყოლებდნენ საფიცარ ტექსტებს, მაგალითად: „ცოცხა ხარ, ბალახო ხარ, ძალა ღვთისგან გებარა.“

თანამედროვე მეცნიერული ინტერპრეტაცია

Verbena supina შეიცავს ბიოაქტიურ ნაერთებს, როგორიცაა verbascoside, aucubin და სხვადასხვა პოლიფენოლური კომპონენტები, რომელთაც გააჩნიათ ანთებისსაწინააღმდეგო, ანტიოქსიდანტური და მსუბუქად იმუნომოდულაციური მოქმედება. ფიტოთერაპიულ ლიტერატურაში იგი კლასიფიცირდება როგორც უსაფრთხო მცენარე ზომიერი დოზით მოხმარების პირობებში.

ქართული ტრადიციული გამოყენება მისი გამოყენება ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ვერბენა საქართველოს ეთნოფარმაკოლოგიური მემკვიდრეობის ღირებული კომპონენტია.

ძახველი – Viburnum opulus L. - ბოტანიკური დახასიათება და გავრცელება: ძახველი ბუჩქოვანი მცენარე, ეკუთვნის ოჯახს Adoxaceae-ის, ბუნებრივად გავრცელებულია ტყის ნაპირებზე, ტენიან მდელოებზე, ბორცვებსა და ხევებში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს რეგიონებში. ბუჩქი 3–4 მეტრ სიმაღლეს აღწევს, ფოთლები სამნაკვთიანია, ყვავილები თეთრი ფერის, შეკრული ქოლგისებრ ყვავილედებში, ხოლო ნაყოფი - წითელი, მომწარო გემოს მქონე კენკრა.

ეთნოფარმაკოლოგიური გამოყენება საქართველოში:

ძახველი ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ ცნობილი და გამოყენებული სამკურნალო მცენარეა ქართულ ტრადიციულ მედიცინაში. მისი ნედლეული - ქერქი და ნაყოფი გამოიყენებოდა როგორც ჰემოსტატური საშუალება - განსაკუთრებით საშვილოსნოს და მენსტრუალური სისხლდენების დროს; სპაზმოლიზური საშუალება - მუცლის ტკივილების, მენსტრუალური დისკომფორტის და ნაწლავური სპაზმების დროს; დამამშვიდებელი საშუალება - უძილობის, შფოთვითი აშლილობებისა და ნევროზის დროს; მატონიზირებელი საშუალება - ლოგინობის ხანაში გამოსაყენებლად, განსაკუთრებით სოფლებში, სადაც იგი მიიჩნეოდა „ქალთა მცენარედ“. ზეპირსიტყვიერი მემკვიდრეობის მიხედვით, ძახველს განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებულ რიტუალებში. დედები ახალშობილებს თვალის დასაცავად ძახველის ტოტით „აკმევდნენ“, ხოლო მშობიარობის შემდგომ ძახველის ნახარშით ასხურებდნენ ოთახს, როგორც ბოროტებისგან დამცავ საშუალებას.

თანამედროვე ფიტოთერაპიული ინტერპრეტაცია:

ძახველის ქერქში და ნაყოფში აღმოჩენილია გლიკოზიდი ვიბურნინი (viburnin), ორგანული მჟავები, ფლავონოიდები (კვერცეტინი, რუტინი), ტანინები და C ვიტამინი. ეს ნივთიერებები განაპირობებენ მის ანთების საწინააღმდეგო, სისხლდენის შემჩერებელ და მსუბუქად ჰიპოტენზიურ მოქმედებას. თანამედროვე კვლევებით მტკიცდება მისი ეფექტი მენსტრუალური ტკივილებისა და პერიმენოპაუზური სიმპტომების შემსუბუქებაში.

ფარმაცევტულ პრაქტიკაში ძახველის ექსტრაქტი ხშირად გამოიყენება მატონიზირებელ მცენარეულ პრეპარატებში; ასევე იყენებენ ჰომეოპათიურ პრეპარატებში, რომლებიც გამოიყენება გინეკოლოგიური დარღვევებისა და ვეგეტატიური დისფუნქციის დროს.

შედეგების შინაარსობრივი ანალიზი

წინამდებარე კვლევის ფარგლებში განხილულმა მასალამ, როგორც დოკუმენტურმა, ასევე ზეპირსიტყვიერმა, გამოავლინა ქართული ეთნოფარმაკოლოგიის რამდენიმე განმასხვავებელი და განმსაზღვრელი მახასიათებელი. მათ შორის, განსაკუთრებით თვალსაჩინოა მცენარეთა გამოყენებისა და ცოდნის გადაცემის ინტეგრირებულობა, რიტუალიზაცია და სელექციური პრაქტიკა.

სამკურნალო მცენარეთა ტრადიციული გამოყენება საქართველოში არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ბიოლოგიური ეფექტით. მცენარე იყო აგრეთვე სიმბოლური საშუალება, რომელსაც მიაწერდნენ „სიტყვაში ჩაბუდებულ ძალას“. თითქმის ყველა შემთხვევას თან ახლდა სიტყვიერი ფორმულა, ლოცვა ან შეძახილი, რაც მცენარეს ანიჭებდა გამაძლიერებელ ენერგიას. ამგვარი მიდგომა აჩვენებს ჰოლისტურ სისტემას, სადაც მცენარეული, ენობრივი და ზოთერული დონეები ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული.

ცოდნის პრაქტიკული გამოყენება მკაცრად იყო ჩასმული დრო-სივრცით ჩარჩოებში. მაგალითად: მცენარის შეგროვება ხდებოდა დღის განსაზღვრულ პერიოდში, მომზადება

ხშირად მოითხოვდა დუმილის დაცვას, მარჯვენა ხელით შერევას ან გენდერულად შერჩეულ პირს, გამოყენება იმართებოდა სტანდარტიზირებული წესების დაცვით. ეს ყველაფერი აჩვენებს, რომ მკურნალობა აღიქმებოდა არა როგორც ჩვეულებრივი ფიზიკური პროცედურა, არამედ როგორც რიტუალიზებული ქმედება, რაც უნდა განმეორებულიყო ზუსტად და მორალურად სუფთა კონტექსტში.

ცოდნის მემკვიდრეობით გადაცემა ხდებოდა შერჩევითად. ყველა მცენარის რეცეპტი არ იყო საჯარო - გარკვეული მცენარეების შესახებ (მაგალითად, შხამა ან ცოცხანა) ცოდნა გადაეცემოდა მხოლოდ ღირსეულ მემკვიდრეს. ამის შედეგად შეიქმნა ინფორმაციის „ჩაკეტილი წრეები“, სადაც არამხოლოდ მცენარის მოქმედება, არამედ მისი სახელიც კი სიმბოლურად იყო დაშიფრული. მიუხედავად ზეპირსიტყვიერი ფორმისა, ეს ცოდნა სტრუქტურულად მოიცავდა კლასიფიკაციის შიდა სისტემებს: მცენარეთა "ცხელი და ცივი" ტიპები, "მზის" და "ჩრდილის" ბალახები, "მდუმარე" და "ხმოვანი" მოქმედება - რაც ნიშნავს, რომ ტრადიციული ცოდნა არ იყო ქაოტური ან არათანმიმდევრული, არამედ ეფუძნებოდა მკაცრ სისტემატიზაციას.

განსაზღვრული მცენარეების შემთხვევაში (მაგ.: კატაბალახა, ძახველი, ფითრი), ტრადიციული გამოყენება დიდწილად შეესაბამება თანამედროვე ფარმაკოლოგიური კვლევებით დადასტურებულ მოქმედებებს, რაც მიუთითებს, რომ ტრადიციულ ცოდნაში ჩადებულია დაკვირვებაზე დაფუძნებული სამკურნალო სისტემატიკა, თუნდაც არამეცნიერული ენით გამოხატული.

ერთდროულად იკვეთება რამდენიმე საფრთხე: ზოგიერთი მცენარის ტოქსიკურობა (მაგ.: შხამა, ცოცხანა) დღეს უკვე მოითხოვს მკაცრ კონტროლს და ლაბორატორიულ სტანდარტებს, ცოდნის ზეპირსიტყვიერი ხასიათი ქმნის გადასაცემის სირთულეს თანამედროვე თაობებისთვის, ბალახების ბუნებრივი ჰაბიტატების შემცირება საფრთხეს უქმნის პრაქტიკულ წვდომას. მიუხედავად ამისა, ნიშანდობლივია, რომ ამ ცოდნის ძარღვები ჯერ კიდევ ცოცხალია რეგიონებში და შესაძლებელია მისი თანმიმდევრული აკადემიური დოკუმენტირება და ნაწილობრივი ინტეგრაცია თანამედროვე ეთნოფარმაკოლოგიაში.

ტრადიციული ეთნოფარმაკოლოგიის სამეცნიერო პოტენციალი და გამოწვევები

ქართული ეთნოფარმაკოლოგია წარმოადგენს კომპლექსურ, ინტეგრირებულ ცოდნის სისტემას, რომელიც აერთიანებს ბოტანიკურ დაკვირვებას, გამოცდილებით დამკვიდრებულ გამოყენებას, ზეპირსიტყვიერ კულტურას და რიტუალურ წესებს. მოცემული კვლევა ადასტურებს, რომ ეს ცოდნა არ არის მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობა, არამედ შეიცავს პრაქტიკულ ბირთვს, რომლის ინტეგრირება შესაძლებელია თანამედროვე მედიცინისა და ფარმაკოლოგიაში. საერთაშორისო ეთნოფარმაკოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ ტრადიციული მედიცინის სისტემები (მაგ.: ინდური აიურვედა, ჩინური ტრადიციული მედიცინა, ანდების ხალხური თერაპია) ხშირად ეფუძნება იმავე სტრუქტურულ ელემენტებს, რაც შეინიშნება ქართულ პრაქტიკაშიც: მცენარეთა კლასიფიკაცია მოქმედების სიმბოლური ნიშნებით („ცხელი/ცივი“, „მზის/ჩრდილის“), რიტუალიზებული მოხმარება სიტყვიერი

თანმხლები ფორმულებით, ცოდნის ლოკალურობა და სოციალური რეპროდუქციის სელექციური ხასიათი. ამ პარალელების ფონზე ჩანს, რომ ქართული მოდელი წარმოადგენს ორიგინალურ, მაგრამ უნივერსალურ სისტემას, რომელიც იმსახურებს შედარებით და კოოპერაციულ კვლევას სხვა რეგიონულ ტრადიციებთან.

კვლევისას განხილული Veratrum lobelianum მიუთითებს, რომ ქართულ ეთნოფარმაკოლოგიაში ფიგურირებს არაერთი ენდემური ან მეჩხრად გავრცელებული სახეობა, რომლებიც უცხოურ ფიტოთერაპიულ ნიმუშებში პრაქტიკულად არ ფიგურირებენ. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ეკოფარმაკოლოგიური მემკვიდრეობა შეიძლება გახდეს ახალ აქტიური ნივთიერებების წყარო, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ბიომედიცინაში, იმ პირობით, რომ დაცული იქნება ბიოეთიკური და ეკოლოგიური სტანდარტები. ზეპირსიტყვიერი ფორმით არსებული ცოდნა დღეს გაქრობის საფრთხის წინაშეა. კვლევის დროს აშკარად ჩანს, რომ შთამომავლობას აღარ გადაეცემა ის სიმბოლური, რიტუალური და სემანტიკური დეტალები, რაც სინამდვილეში განაპირობებს მკურნალობის ეფექტიანობას ტრადიციულ სისტემაში. ამავე დროს, მცენარეთა გამოყენების პრაქტიკაც კარგავს აქტუალობას და გარდაიქმნება ტექნიკურ რეცეპტებად, რაც სცდება ტრადიციული მედიცინის არსს.

ამ ფონზე, დოკუმენტირება (მათ შორის აუდიო-ვიდეო ჩანაწერებით, ენთნობოტანიკური რუკებითა და ფარმაკოქიმიური აღწერებით) არ წარმოადგენს მხოლოდ აკადემიურ ამოცანას - იგი აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და სამეცნიერო ინოვაციისთვის. ტრადიციული ცოდნის აკადემიური გამოყენება საჭიროებს ეთიკური ჩარჩოების მკაცრ დაცვას: ცოდნის გამოყენებისას უნდა მოხდეს საავტორო უფლებების დაცვა, რაც გულისხმობს რეცეპტის წყაროს მითითებას; კვლევებმა უნდა მოიცვან თანამშრომლობის პრინციპი და არ წარმოაჩინონ კოლონიური ჩარჩოებით „აღებული ცოდნა“; სამომავლო ფარმაცევტული განვითარება (მაგ.: პროდუქტის კომერციალიზაცია) უნდა გაითვალისწინოს სარგებლის სამართლიანი განაწილება.

დასკვნა

წინამდებარე კვლევამ ნათლად წარმოაჩინა ქართული ეთნოფარმაკოლოგიური ცოდნის სიმდიდრე, მრავალფეროვნება და მისი ინტეგრირებული ბუნება. იგი აერთიანებს ბუნებაზე დაფუძნებულ პრაქტიკულ გამოცდილებას, ზეპირსიტყვიერ კულტურას, რიტუალიზებულ ქმედებებსა და ღრმა სემანტიკურ განზომილებებს. ამ ცოდნის სისტემა არ არის მხოლოდ ერის პირად გამოცდილებაზე დაფუძნებული წამლების კომპილაცია; იგი წარმოადგენს ჰოლისტურ მსოფლმხედველობას, სადაც მცენარე, სიტყვა და ქმედება ერთიანად ქმნიან სამკურნალო ქმედებას.

ისტორიულად ეს ცოდნა „სოციალურ ქსოვილში“ იყო ჩაბუდებული: ოჯახში, მონასტერში, თემში. მცენარეები მოიპოვებოდა განსაზღვრულ დროს, სპეციფიკურ რიტუალებთან და შელოცვებთან ენასთან ერთად. ეს გარემოებები აძლევდა მცენარეულ საშუალებებს იმ „ძალას“, რომლის გარეშეც მათი მნიშვნელობა ქრება.

მოცემულმა კვლევამ, თანამედროვე ეთნოფარმაკოლოგიური მიდგომებითა და პირველწყაროთა ანალიზით, შეძლო რამდენიმე ძირითადი მცენარის (მაგ. კატაბალახა, შხამა, ცოცხანა, ძახველი) გამოყენების ფორმების ინტერპრეტაცია როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე სამეცნიერო სფეროში. მან აჩვენა, რომ ქართული ტრადიციული ცოდნა ხშირად ემთხვევა თანამედროვე ფარმაკოლოგიურ მიგნებებს, რაც მიუთითებს მის ინტელექტუალურ ღირებულებაზე. თუმცა, პარალელურად იკვეთება სერიოზული საფრთხეები: ცოდნის გადაცემის შეწყვეტა, ჰაბიტატების გაქრობა და ალტერნატიული მედიცინის გაბატონებული, არაკონტექსტური აღქმა. შესაბამისად, აუცილებელია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ინიცირებული ეთნოფარმაკოლოგიური ჩანაწერების სისტემატიზაცია და მკაცრი ეთიკური ჩარჩოს არსებობა, რომელიც თავიდან აგვარიდებს რეცეპტების მოდიფიკაციას ადგილობრივი ავტორების იგნორირებით.

ამ კვლევამ აჩვენა, რომ ზეპირსიტყვიერი ტექსტები, პრაქტიკული ცოდნა და რიტუალური პროტოკოლები ერთობლივად ქმნიან სამკურნალო პრაქტიკის ლოკალურ მატრიცას, რომლის დეტალური აღწერა და ანალიზი აუცილებელია როგორც ბიოკულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად, ისე სამომავლო ფიტოთერაპიული კვლევებისა და კლინიკური აპრობაციის საფუძვლისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

ბიძინაშვილი, რ. (2016). ავი სენი და სამკურნალო მცენარეები. თბილისი: მწიგნობარი.

ბიძინაშვილი, რ. (2017). გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და ფიტოთერაპია. თბილისი: მწიგნობარი.

ბიძინაშვილი, რ. (2020). შხამიანი მცენარეების როლი ფიტოთერაპიაში. თბილისი: მწიგნობარი.

ბიძინაშვილი, რ. (2020). საერთო ცნობები კანაფის კულტურის ავ-კარგიანობაზე. თბილისი: მწიგნობარი.

ბიძინაშვილი, რ., & ერაძე, ნ. (2021). სამკურნალო მცენარეების კულტურა. თბილისი.

გელბახიანი, პ.გ., & გერსამია, ვ.ს. (1965). სამკურნალო მცენარეები და მათი კლინიკური გამოყენება. თბილისი.

შენგელია, ზ. (1983). სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში. თბილისი.

ღამბაშიძე, გ. (1965). ქართული ხალხური მედიცინა. თბილისი.

ზალდასტანიშვილი, ს. (1972). საქართველოს ფლორის ფარმაკოგნოსტური მიმოხილვა. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ბერიძე, ბ. (1957). მცენარეთა კულტივაციის ტრადიციები ძველ საქართველოში. თბილისი.

წურწუმია, ლ. (1998). ზეპირსიტყვიერი კულტურა და სამკურნალო პრაქტიკა დასავლეთ საქართველოში. ქუთაისი.

ნინუა, ე. (2006). სვანეთის ეთნოგრაფია და სამკურნალო მცენარეთა ცოდნა. მესტია.

Albuquerque, U. P., & Hanazaki, N. (2009). Five problems in current ethnobotanical research—and how to fix them. Human Ecology, 37(5), 653–661. https://doi.org/10.1007/s10745-009-9259-9

Balick, M. J., & Cox, P. A. (1996). Plants, People, and Culture: The Science of Ethnobotany. Scientific American Library.

Cox, P. A., & Balick, M. J. (1994). The ethnobotanical approach to drug discovery. Scientific American, 270(6), 60–65. https://doi.org/10.1038/scientificamerican0694-60

Etkin, N. L. (2008). Edible Medicines: An Ethnopharmacology of Food. University of Arizona Press.

Fabricant, D. S., & Farnsworth, N. R. (2001). The value of plants used in traditional medicine for drug discovery. Environmental Health Perspectives, 109(Suppl 1), 69–75. https://doi.org/10.1289/ehp.01109s169

Gaoue, O. G., Coe, M. A., Bond, M., Hart, G., Seyler, B. C., & McMillen, H. (2017). Theories and major hypotheses in ethnobotany. Economic Botany, 71(3), 269–287. https://doi.org/10.1007/s12231-017-9389-8

Hamilton, A. C. (2004). Medicinal plants, conservation and livelihoods. Biodiversity and Conservation, 13(8), 1477–1517. https://doi.org/10.1023/B:BIOC.0000021333.23413.42

Heinrich, M., & Jäger, A. K. (2015). Ethnopharmacology. Wiley-Blackwell.

Heinrich, M., Barnes, J., Gibbons, S., & Williamson, E. M. (2018). Fundamentals of Pharmacognosy and Phytotherapy (3rd ed.). Elsevier Health Sciences.

Kayser, O., & Quax, W. J. (Eds.). (2007). Medicinal Plant Biotechnology: From Basic Research to Industrial Applications. Wiley-VCH.

Pieroni, A., & Price, L. L. (Eds.). (2006). Eating and Healing: Traditional Food As Medicine. Haworth Press.

Schippmann, U., Leaman, D. J., & Cunningham, A. B. (2006). A comparison of cultivation and wild collection of medicinal and aromatic plants under sustainability aspects. In R. R. J. (Ed.), Biodiversity and the Ecosystem Approach in Agriculture, Forestry and Fisheries. FAO.

van Wyk, B.-E., & Wink, M. (2018). Medicinal Plants of the World. CABI.

World Health Organization (WHO). (2005). National policy on traditional medicine and regulation of herbal medicines: Report of a WHO global survey. Geneva: WHO.

World Health Organization (WHO). (2013). Traditional Medicine Strategy: 2014–2023. Geneva: WHO.

Bitadze, L., & Elguja, L. (2022). Frequency and Types of Traumas in Khevsureti according tothe Fossil Material of the High and Late Middle Ages. DOI - 10.48616/openscience-60

Latchkepiani, E., Gambarashvili, M., & Kochadze, D. (2024). Heart rupture–a complication of adrenal cortical adenoma–case report. Georgian Scientists, 6(2), 405-416. https://doi.org/10.52340/gs.2024.06.02.42

Traditional Georgian Ethnopharmacology: Historical Foundations, Medicinal Plant Cultivation Practices, and Knowledge Transmission Pathways

Dimitri Kochadze MD[1], Elguja Latchkepiani MD[2], Robert Makharashvili MD[3]

[1]Clinical Manager of Kharagauli Medical Institution, LLC "Regional Healthcare Center", PhD student of Tbilisi State Medical University; Infectious deseases hospital; [2]LEPL Levan Samkharauli National Forensics Bureau, Department of Medical Expertise, Forensic Medical Expert; PhD Student at Ivane Javakhishvili Tbilisi State University; [3]Pediatric Hospital Mmedi22, Anesthesia and Intensive Care Department, Anesthesiologist, Intensive Care Physician.

Abstract

This study explores the historical, practical, and oral foundations of traditional Georgian ethnopharmacology, enabling a scientific interpretation of this complexly structured knowledge system. Ethnopharmacology, as a discipline, integrates botanical, cultural, and semiotic analysis, and in this context, traditional Georgian medicine represents an original yet universally applicable model.

The research is based on qualitative methodology, primary source document analysis, and ethnographic hermeneutics of oral texts. It draws upon 19th-20th century Georgian monographs, folk remedies, incantations, songs, and botanical descriptions of plants. One of the aims was to reveal the link between plant use practices and ritual structures, which often define the cultural legitimacy of therapeutic action.

The study examined the ethnopharmacological profiles of four key plants (*Valeriana officinalis*, *Aconitum spp.*, *Symphytum spp.*, *Sambucus nigra*), which exhibit both bioactive effects and valuable ritual-semantic significance. Findings indicate that traditional uses frequently align with contemporary pharmacological practices, suggesting an empirical basis for traditional knowledge.

Mechanisms of oral knowledge transmission were analyzed, including knowledge protection, selectivity, and ritual-linguistic framing. Of particular significance were folk classification systems of plants (e.g., "hot/cold", "silent/loud"), which point to an unconscious but structured cognitive framework. The study highlights threats such as the disruption of knowledge transmission, habitat loss, and disregard for traditional practices.

In conclusion, the paper offers recommendations for documenting and scientifically integrating ethnopharmacological heritage, emphasizing ethical principles and respect for local authorship. Traditional Georgian ethnopharmacology should not be seen merely as a cultural relic, but as a potential source of modern pharmacological innovation, provided it is studied in a complex, ethical, and interdisciplinary manner.

Key words: Ethnopharmacology; Traditional Georgian Medicine; Medicinal Plants; Oral Knowledge; Ritual Practice; Phytotherapy; Bioactive Compounds; Botany; Monastic Gardens; Symbolic Classification; Cultural Heritage; Traditional Recipes; Incantations; Pharmacognosy; Pharmacological Analysis; Folk Healing

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.70



დასავლეთ საქართველოში ინტროდუცირებული, რემონტატული ჟოლოს (*Rubus idaeus*) გაყინვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენება

ინგა გაფრინდაშვილი[1*], ნარგული ასანიძე[2], მამუკა თურმანიძე[3]; ხათუნა გამყრელიძე[3]; თამილა. არდემანაშვილი[4]

[1*]ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნინოშვილის ქ. N 35, ბათუმი, 6010, საქართველო, gaprindashvili.inga@gmail.com; [2]ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნინოშვილის ქ. N 35, ბათუმი, 6010, საქართველო asanidze.narguli@gmail.com; [3]ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნინოშვილის ქ. N 35, ბათუმი, 6010, საქართველო mamuka.agr86@gmail.com; [3]ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნინოშვილის ქ. N 35, ბათუმი, 6010, საქართველო gamkrelidze.khatuna@bsu.edu.ge; [4]ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნინოშვილის ქ. N 35, ბათუმი, 6010, საქართველო tamila.ardemanashvili@bsu.edu.ge

აბსტრაქტი

საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მოიძებნება ისეთი სასოფლო-სამეურნეო ადგილები, სადაც ჟოლოს (*Rubus idaeus*) მოყვანისთვის ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობებია. მართალია, საქართველოში ჟოლო ამჟამად დიდი რაოდენობით არ მოჰყავთ, მაგრამ ამ კულტურის წარმოების გაფართოებისთვის შესანიშნავი პოტენციალია. იმ ფერმერებს, რომლებსაც შეუძლიათ მაღალი ხარისხის ჟოლოს სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფა, აქვთ რეალიზაციის კარგი შესაძლებლობები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. ჟოლო მალფუჭებადი ხილია, ამიტომ აუცილებელია მისი შენახვისათვის გამოვიყენოთ გაყინვის ახალი ტექნოლოგია, რომელსაც ახორციელებს **ფლუიდიზირებული სწრაფგამყინავი აპარატები.** ამ აპარატებს ახასიათებს მინიმალური გამოშრობის, პროდქტის მარალხარისხოვნად შენახვის და სწრაფი სიჩქარით გაყინვის უნარი. **კვლევის მიზანია დავადგინოთ ამ აპარატების უპირატესობა სხვა სამაცივრო დანადგარებთან მიმართებაში.** ასეთი სახით გაყინული პროდუქტი კარგად ფასოვდება და დაუფასოებელიც ინახება. ჩვენს მიერ განხორციელდა ჟოლოს შენახვა ასეთ აპარატებში, სადაც ჟოლოს შენახვის ოპტიმალური ტემპერატურაა -1 - 0 °C (30 - 32 °F), და > 90 %–ი ტენიანობის პირობები. ჟოლოსათვის მისაღებია ჰაერის რეგულირების შემდეგი რეჟიმი: 10-20% CO_2 + 5-10%O_2. ასე გაყინულ ჟოლოში შენარჩუნებულია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების თავდაპირველი რაოდენობრივი შემცველობა, იერსახე და გემური თვისებები. საქართველო ისწრაფვის რა ევროკავშირში გაერთიანებისათვის, მით უფრო მეტ აქტუალობას იძენს უსაფრთხო და სტანდარტიზირებული, კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის წარმოება.

საკვანძო სიტყვები: ჟოლო (Rubus ideaus L.), ფლუიდიზირებული შოკური მაცივარი, HACCP.

შესავალი

საქართველოში არსებული ხეხილის ბარების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ წარმოდგენილია ისეთი ჯიშებით, რომლებიც არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და კონკურენციას ვერ უწევს ახალ გენოტიპებს. მდგომარეობის გამოსწორებისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მსოფლიოში მაღალმარკეტინგული მახასიათებლების მქონე ახალი ჯიშების შემოტანა-ინტროგუქცია და მათი კომპლექსში შესწავლა


ჟოლო (Rubus ideaus L.) არის ვარდისებრთა ოჯახის წევრი, რომელიც იზრდება, როგორც მრავალწლოვანი კულტურა. ბაზარზე იყიდება წითელი, ყვითელი, იისფერი და შავი ფერის ჟოლო. წითელი და ყვითელი ჟოლო ჯგუფდება ორ ქვე-სახეობად: R. idaeus subsp. vulgatus Arrhen.(ევროპული წითელი ჟოლო) და R. idaeus subsp. strigosus Michx. (ამერიკული წითელი ჟოლო). შავი ჟოლო, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ ნაწილშია გავრცელებული (R. occidentalis L.; R. glaucus L.) არის სამხრეთ ამერიკული ტეტრაპლოიდი. იისფერი ფერის ჟოლო (R. neglectus Peck.) გამოყვანილია შავი და წითელი ჟოლოს შეჯვარების შედეგად. ბაზარზე გამოტანილი ჟოლოს ჯიშები სევა, პოლიანა და კაროლინა გამოირჩევიან უნიკალური და დელიკატური საგემოვნო თვისებებით და არომატით. ჟოლოს ნაყოფები ხშირად გამოიყენება დესერტის მოსამზადებლად. ჟოლო კენკრაა, რომელიც შედგება მრავალი წვრილი, წვნიანი პატარა ნაწილებისგან, ჟოლოს ნაყოფს აქვს კონუსურად ჩაღრმავებული ადგილი და მწვანე ყუნწი ფოთოლსაფარით. ჟოლოს გავრცელებული ჯიშებია: მიკერი, ჰერიტაჟი, ტულამეენი, ვილამეტი, ჩილივაკი და მუნგერი (Meeker, Heritage, Tulameen, Willamette, Chilliwack, Munger. გვარა-ხუცუბნის აგროსერვის ცენტრში ჩატარებულმა ბაზრის კვლევამ აჩვენა, რომ ჟოლო რეგიონში ერთ- ერთ ყველაზე მოთხოვნად პროდუქტად ითვლება. სამწუხაროდ, ის რეგიონში მცირე რაოდენობით იწარმოება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრში ჟოლოს 500მ^2 სადემონსტრაციო ნაკვეთი ამოქმედდა. ნაკვეთზე 3 სხვადასხვა ჯიშის ჟოლოს ჯიშები სევა, პოლიანა და კაროლინა, საშუალოდ 3-5კგ-მდე ნაყოფს იძლევა. ეს ჯიშები უხვმსხმოიარობით გამოირჩევა.

იგი განაშენიანდა სწორ ან ოდნავ დაქანებულ (<8 %) მიწის ფართობებზე. ნიადაგის ეროზიის თავიდან ასაცილებლად რიგები მოეწყო დაქანების საწინააღმდეგო მიმართულებით. ნარგავების ირგვლივ ჰაერის სათანადო მოძრაობამ ხელი შეუწყო ფოთლების ზედაპირის გაშრობას მეორეს მხრივ, ჟოლო დაცული იყო ძლიერი ქარისაგან, რომელიც ამცირებს მცენარეთა სიძლიერეს და აფერხებს ღეროს ზრდას. გადასამუშავებელი კენკრის თვისებები დამოკიდებულია მათს აგებულებაზე, ფიზიკურ და ქიმიურ შედგენილობაზე, მათში ცალკეული სხვადასხვა კომპონენტის ხარისხობრივ და რაოდენობრივ შემცველობაზე, პროდუქტებზე მოქმედ ტემპერატურაზე, ფარდობით ტენიანობაზე, წნევასა და სხვა ფაქტორებზე.

მასალები და მეთოდები

ჟოლო უნდა მოიკრიფოს დღის ყველაზე გრილ პერიოდში, ჩვეულებრივ, დილით. არ არის რეკომენდებული კრეფა, როდესაც რბილობის ტემპერატურა 27°C-ზე მაღალია, ამ დროს ნაყოფი ძალიან მგრძნობიარეა დაჭყლეტით დაზიანებისადმი. ამას გარდა, თუ ხილის ტემპერატურა მაღალია, საჭირო იქნება მეტი გაცივება მოსავლის აღების შემდგომ შესანახად

გაგრილებისათვის. ჟოლოს მოსავლის აღება არ შეიძლება მაშინ, როდესაც ნაყოფი სველია. ეს გაზრდის ობის განვითარების შემთხვევებს. მოსავლის აღება უნდა ხდებოდეს ყოველდღიურად მთელი სიმწიფის პერიოდში. ჟოლო როგორც წესი, მოკრეფის შემდეგ ეწყობა პატარა (პლასტიკატის ან სხვა სახის) ყუთებში ან საველე ჩასალაგებელში, შესაძლებელია შესაბამისი ხარისხის სპეციალური მუყაოს ყუთების, ასევე, მსუბუქი გადასატანი სადგამის გამოყენება, რომელზეც მოთავსდება პატარა ზომის ყუთები. შესაძლებელია, ასევე მსუბუქი პორტატული სადგამის გამოყენება, რომელზეც მოთავსდება ყუთი, მკრეფავი კი რიგში თავისუფლად გადაადგილდება. ყუთში უნდა იყოს ცალკეული პატარა კონტეინერები ხილის ბაზრისათვის განსაზღვრული ხარისხის მიხედვით დასახარისხებლად. უმჯობესია ნაყოფის დაზიანების თავიდან ასაცილებლად ნედლად რეალიზაციის შემთხვევაში მოკრეფის შემდეგ ჩაეწყოს პირდაპირ სარეალიზაციო ტარაში, გადამუშავების შემთხვევაში შესაძლებელია შედარებით დიდი ტევადობის ტარის გამოყენება. ევროკავშირში საექსპორტოდ გამიზნული კენკრა იკრიფება, ჩვეულებრივ, გამჭვირვალე პატარა კონტეინერებში, რომლებშიც ეტევა დაახლოებით 125-160 გრამი. საქართველოს ადგილობრივი ბაზრისთვის შესაძლებელია სხვა სახის დასაფასოებელი ტარის გამოყენებაც. ჟოლო მალფუჭებადი ხილია ამიტომ იმისათვის რომ შენარჩუნებული იქნას ხარისხი, სასაქონლო სახე და კვებითი ღირებულება, ტრანსპორტირება მიზანშეწონილია მაცივარკონტეინერით აღჭურვილი მანქანებით. ჟოლოს სიმწიფის ძირითადი მანიშნებელია ფერი. ჟოლო უნდა დაიკრიფოს მაშინ, როდესაც ნაყოფს მთლიანად ჯიშისათვის დამახასიათებელი ფერი აქვს. (სხვადასხვა ჯიშს, განსხვავებული წითელი ან ყვითელი ფერის ტონი აქვს) არ შეიძლება ჟოლოს დაკრეფა, ვიდრე ნაყოფი სრულად დამახასიათებელ შეფერილობას არ მიაღწევს. ჟოლოს არ ახასიათებს მოსავლის აღების შემდგომი დამწიფება, ნაყოფში საკვები ნივთიერებების შემცველობა დაკრეფის შემდეგ არ იზრდება და დამწიფებამდე მოკრეფილ ჟოლო უგემურია და დაბალი სასაქონლო სახე აქვს, გარდა ამისა დამწიფებამდე მოკრეფილი ნაყოფის მარცვლები მოკრეფის დროს ჩამოცვივდება ან დაზიანდება.




თუ ნედლეული განკუთვნილია სარეალიზაციოდ 1-2 დღეში საკმარისია მისი გაგრილება 8-10°C, 2-3 საათის განმავლობაში (აღების შემდეგ სწრაფად), ამ შემთხვევაში ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს 10-15°C, ხოლო შენახვა 4-5°C.

სამაცივრო კამერებში კენკრის შენახვისას დროდადრო აუცილებელია ჰაერის გამოცვლა–განახლება, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ გარედან შემოსული ჰაერის ტემპერატურა ხშირ შემთხვევაში მეტია ვიდრე სამაცივრო კამერაში მყოფი ჰაერის ტემპერატურა. სათავსოში

შემოსული ახალი ჰაერი კი უნდა გაცივდეს სამაცივრო კამერის ტემპერატურამდე. უფრო სასურველია ჟოლოს შენახვა **ფლუიდიზირებულ სწრაფგამყინავ** მოდიფიცირებულ აიროვან გარემოში, რომელიც ითვალისწინებს შენახვის შემდეგი რეჟიმის დაცვას: ჟოლოს წინასწარი გაგრილება 0-0,5°C ტემპერატურამდე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ა. ნ. 90%, $C0_2$ (ნახშირორჟანგი) შემცველობა საცავში უნდა იყოს 20-25% და 0_2 (ჟანგბადი) 8-10% . ამ რეჟიმით ნაყოფი ინახება 15-20 დღის განმავლობაში ინარჩუნებს ფერს, სიმკვრივეს და არ ფიქსირდება სოკოვანი დაავადებები {1,2,3,4,5]. მცენარეული პროდუქტის შენახვის ეს მეთოდი განსხვავდება დაბალ ტემპერატურაზე შენახვისგან იმით, რომ ეს არ არის ნაყოფის სრულად ცოცხლად შენახვის მეთოდი, თუმცა სასარგებლო ნივთიერებების დიდი უმრავლესობის შენარჩუნება ხდება. კენკროვნებისათვის რომელთა შენახვის ხანგრძლივობა იდეალურ პირობებშიც კი სულ რამდენიმე დღით განისაზღვრება, „ნედლად“ შენახვისთვის იდეალურ მეთოდად შეიძლება ჩაითვალოს [6,7,8,9,10].

როცა სითბო (ენერგია) გადადის მაღალი ტემპერატურული არედან დაბალზე, მაშინ იწარმოება მუშაობა და სრულდება პირდაპირი ციკლი. ხოლო როცა ენერგია გადადის დაბალი ტემპერატურული არედან მაღალზე, მაშინ ენერგია (მუშაობა) იხარჯება და სრულდება შექცევადი ციკლი. როდესაც კარნოს შექცევადი სამაცივრო ციკლის განსახორციელებლად იხარჯება სითბური ენერგია, მაშინ შესაბამის სამაცივრო მანქანებს ეწოდებათ **ფლუიდიზირებული მაცივრები**, 0°C-ზე ქვევით ტემპერატურის დაწევა გაყინვის დაწყებას იწვევს ჟოლოსათვის. ტემერატურის დაწევასთან ნაყოფის შიგნით ტემპერატურა კლებულობს, მაგრამ გარკვეულ წერტილს რომ მიაღწევს ტემპერატურა მაღლა იწევს განსაზღვრულ დონემდე და შემდეგ ისევ ეცემა, გარემო ტემპერატურის პარალელურად, ვინაიდან ტემპერატურის დაწევის გამო გამოიყოფა წყლის ყინულად ქცევის კუთრი სითბო რაც ტემპერატურას ერთ მომენტში მაღლა სწევს (გადამეტცივების ტემპერატურა) და შემდეგ ტემპერატურა ისევ დაბლა იწევს და წყალი იყინება, ჟოლოს გაყინვის წერტილი გარდა ამისა დამოკიდებულია ჯიშზე და ნაყოფის თვისებებზე: სიმწიფის ხარისხი, ქიმიური შემადგენლობა, უჯრედის წვენის კონცენტრაცია და სხვა. რაც მეტია ნაყოფში მშრალი ნივთიერების პროცენტული რაოდენობა და ნაკლებია წყალი, მით უფრო დაბალია მისი გაყინვის ტემპერატურა, მაგრამ ყველა შეთხვევაში ის 0°C-ზე ნაკლებია, ჟოლოს ძირითადი სახეობებისთვის მისი ნიშნული -1°C,-ის დაბლა ფარგლებშია. გაყინვით შენახვის პრაქტიკაში ნედლეულს ორი დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს: გაყინული ხილი როგორც უშუალო - მოხმარების პროდუქტი და გაყინული ხილი როგორც გადასამუშავებელი ნედლეული-ნახევარფაბრიკატი[11,12,13,14,15].მაცივარ კამერაში გაყინვის პროცესი შემდეგი ეტაპისაგან შედგება: 1. ტემპერატურის დაწევა +20°C ; 0°C მდე. 2. 0 °C –5°C მდე. 3. –5 °C; –18°C მდე . 4. –18°C ; –25°C. პროცესის ხანგრძლივობა დამოკიდებულია გაცივების სისტემებზე, კამერის დატვირთვის ნორმებზე და სხვა[16,17,18,19].


ჟოლოს გაყინვის ტექნოლოგიური სქემა




ჟოლოს ნაყოფის პოპულარობა გამოწვეულია მასში ბიოლიგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობით, მათ შორის L–ასკორბინის მჟავას მაღალი კონცენტრაციით. ვიტამინ C-ს განსაზღვრას ვაწარმოებდით მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფირების მეთოდით. ამ ნაერთების დეტექტირება მიმდინარეობდა 254 ნმ-ზე. მოძრავ ფაზად გამოყენებულ იქნა 5% MeOH 5M H2SO4-ით, გამხსნელის სიჩქარე შეადგენდა 0,7 მლ/წთ-ში, ხოლო საკვლევი ნიმუშის რაოდენობა 20µl -ს. ქრომატოგრაფირებისათვის ნიმუშის მომზადება მიმდინარეობს სწრაფად, რადგანაც ადგილი არ ჰქონოდა საანალიზო ნიმუშში ვიტამინ C-ს დაჟანგვას. საერ- თო ვიტამინ C-ს განსაზღვრისათვის ქიმიურ ჭიქაში ვწონიდით საანალიზო ნიმუშის 1გ-ს, გადაგვქონდა ფაიფურის როდინში, სადაც ვამატებდით 2%-იანი მარილმჟავას 10 მლ-ს. ვსრესდით და ვაყოვნებდით 10-15 წუთით. ვიტამინ C-ს სტაბილიზაციისათვის ვამატებდით 2%-იან მეტაფოსფორმჟავას ან მჟაუნმჟავას. ფილტრატი გადაგვქონდა 25 მლ-იან მზომ კოლბაში და წყლით ვავსებდით ნიშანხაზამდე. ნიმუში მომზადების შემდეგ უმალვე ექვემდებარება ქრომატოგრაფირებას. როგორც ცნობილია, ვიტამინი C მცენარეულ ნედლეულში არსებობს ბმული და თავისუფალი სახით. Rubus-ის ნაყოფში ამ თანაფარდობის დასადგენად ვაწარმოეთ მათი ცალკეულად ქრომატოგრაფირება. კერძოდ, თავისუფალი სახით მყოფი ვიტამინ C-ს განსაზღვრისათვის მოვამზადეთ საანალიზო ნიმუშის წყლიანი გამონაწვლილი (1:25), რომლის ფილტრატი იყო უკვე ნიმუში თავისუფალი ფორმის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის, ხოლო ბმულ მდგომარეობაში მყოფი ვიტამინ C- ს გამოწვლილვისათვის ფილტრის ქაღალდზე დარჩენილი ნიმუში გადაგვქონდა ფაიფურის როდინში, რომლის დამუშავებასაც ვაგრძელებდით ისე, როგორც საერთო ვიტამინ C-ს განსაზღვრისას. კერძოდ, ვამატებდით 2%-იანი მარილმჟავას 10 მლ-ს. ვსრესდით და ვაყოვნებდით 10-15 წუთით. სტაბილიზაციისათვის კი ვამატებდით 10 მლ 2%-იან მეტაფოსფორმჟავას ან მჟაუნმჟავას. ფილტრატი გადაგვქონდა 25 მლ- 124 იან მზომ კოლბაში

და წყლით ვავსებდით ნიშანხაზამდე. შემდეგ ვახდენდით მიღებული ხსნარების ცენტრიფუგირებას 2-3 წთ-ის განმავლობაში 3000-5000 ბრ/წთ- ში. სუპერნატანტს ვუშვებდით მემბრანულ ფილტრში (Acrodisc LC PVDF-Waters Corporation), (0,45მკმ), რაც ხელს უწყობდა ქრომატოგრაფიული სვეტის ექსპლუატაციის დროის გახანგრძლივებას. მწსქ დროს აღმოჩენილი იქნა კორელაცია ასკორბინის მჟავას რაოდენობრივ შემადგენლობასა და ქრომატოგრამაზე პიკის ფართობს შორის, რამაც საშუალება მოგვცა აგვეგო საკალიბრო მრუდი (სურათი 7.1.) და L-ასკორბინის მჟავას რაოდენობრივი განსაზღვრისათვის გამოგვეყენებინა შემდეგი ფორმულა: X = a 0.019 fv სადაც:X-L–ასკორბინის მჟავას შემცველობა მშრალ მასაზე გადაანგარიშებით მგ/გ . V- საანალიზო ექსტრაქტის საერთო მოცულობა მლ; a – ნიმუშის მასა გ; *ƒ* – ქრომატოგრამაზე L –ასკორბინის მჟავას ფართობი სმ 2 ; 0,019 - კორელაციის კოეფიციენტი პიკის ფართობსა და L –ასკორბინის მჟავას კონცენტრაციას შორის. სურათი 7.1. L –ასკორბინის მჟავას საკალიბრო მრუდი:

სურათი 7.1. L –ასკორბინის მჟავას საკალიბრო მრუდი Area 0 200000 400000 6



სურათი 7.7. Rubus saxatilis L.-ის წვენის საერთო ასკორბინის მჟავას ქრომატოგრამა ცხრილი 7.5. Rubus saxatilis L.-ის წვენის საერთო L - ასკორბინის მჟავას მწსქ დახასიათება Name Retention Time Area % Area 1. L - Ascorbic acid 1.195 1277410 78.82 ასკორბინის მჟავათი ასევე მდიდარია მაყვლის - Rubus caucasicus focke-ს ნაყოფი, მაგრამ ჟოლოსთან შედარებით მისი რაოდენობა ნაკლებია და შეადგენს 1,42 გ/კგ (საერთო ვიტამინი C). ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მაყვლისა და ჟოლოს ნაყოფი ხასიათდება სასიამოვნო არომატით. ამასთან ერთად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჟოლოსა და მაყვლის ნაყოფი მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით და ადამიანის დღიურ მოთხოვნას ნაწილობრივ უზრუნველყოფს. L - Ascorbic acid - 1.195 1.8212.305 3.311 AU 0.000 0.010 0.020 0.030 0.040 0.050 0.060 0.070 0.080 0.090 Minutes 0.00 1.00 2.00 3.00 4.00 5.00 6.00 7.00 129 8. მაყვლის ნაყოფში რესვერატროლის კვლევა ბოლო დროს დიდი ყურადღება ეთმობა ხილსა და კვების პროდუქტებს შორის.



ი 7.2. ავთენთური თავისუფალი და ბმული L - ასკორბინის მჟავას ქრომატოგრამა

ცხრილი № Rubus saxatilis L.-ის ჭვენის საერთო L - ასკორბინის მჟავას მწსქ დახასიათება Name Retention Time Area % Area 1. L - Ascorbic acid 1.195 1277410 78.82 ასკორბინის მჟავათი (საერთო ვიტამინი C). ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, ჟოლოს ნაყოფი ხასიათდება სასიამოვნო არომატით. ამასთან ერთად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჟოლოსა და მაყვლის ნაყოფი მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით და ადამიანის დღიურ მოთხოვნას ნაწილობრივ უზრუნველყოფს.

დასკვნა

კვლევით დავადგინეთ, რომ ჟოლოს გაყინვის წერტილი დამოკიდებულია როგორც ჯიშზე, ასევე ნაყოფის თვისებებზე: სიმწიფის ხარისხი, ქიმიური შემადგენლობა, უჯრედის წვენის კონცენტრაცია და სხვა. რაც მეტია ნაყოფში მშრალი ნივთიერების პროცენტული რაოდენობა და ნაკლებია წყალი, მით უფრო დაბალია მისი გაყინვის ტემპერატურა, მაგრამ ყველა შეთხვევაში ის 0°C-ზე ნაკლებია, ჟოლოს ძირითადი სახეობებისთვის მისი ნიშნული -1°C,-ის დაბლა ფარგლებშია. გაყინვით შენახვის პრაქტიკაში ნედლეულს ორი დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს: გაყინული ხილი როგორც უშუალო-მოხმარების პროდუქტი და გაყინული ხილი როგორც გადასამუშავებელი ნედლეული-ნახევარფაბრიკატი. ფლუიდიზირებულ აპარატებში -მაცივარ კამერაში გაყინვის პროცესი შემდეგი ეტაპისაგან შედგება: 1. ტემპერატურის დაწევა +20°C ; 0°C მდე. 2. 0 °C –5°C მდე. 3. –5 °C; –18°C მდე . 4. –18°C ; –25°C. პროცესის ხანგრძლივობა დამოკიდებულია გაცივების სისტემებზე, კამერის დატვირთვის ნორმებზე და სხვა. დადგენილი იქნა რომ რემონტატული ჟოლოს ნაყოფების გაყინვა

ფლუიდიზირებულ დანადგარებში უფრო მნიშვნელოვანი და ხელსაყრელია, რადგანაც ნარჩუნდება ვიტამინ L - Ascorbic acid თავდაპირველი რაოდენობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Frozen Food Technology, edited by C.P. Mallett, Blackie Academic & Professional, pp. 339. ANON., 1997.

2.Handbook of Food Preservation, edited by M.S. Rahman, Marcel Dekker, Inc., pp. 809. ANON., 2000.

3.მიქაბერიძე მ. კვების საწარმოების პროცესები და აპარატები. დამხმარე სახელმძღვანელო. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქ. ქუთაისი. 2011 წ. 270 გვ.

4.მიქაბერიძე მ. მასათაცვლის პროცესები კვების მრეწველობაში. დამხმარე სახელმძღვანელო. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქ. ქუთაისი. 2011 წ. 108 გვ.

5. მიქაბერიძე მ. საკვები პროდუქტების და ნედლეულის ძირითადი თვისებები. მეთოდური მითითება საგანში: "კვების საწარმოების პროცესები და აპარატები" და "ს/კ ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობა". აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქ. ქუთაისი. 2012 წ. 50გვ

6.მიქაბერიძე მ. კვების საწარმოებში ნაყარი, თხევადი და გაზობრივი მასალების შიგა საწარმოო სატრანსპორტო მოწყობილობანი. მეთოდური სახელმძღვანელო. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქ. ქუთაისი. 2012. 76 გვ.

7.მიქაბერიძე მ. კვების საწარმოების ზოგიერთი მანქანა-აპარატურული სისტემის გაანგარიშება-შერჩევა. მეთოდური სახელმძღვანელო. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქ. ქუთაისი. 2012 წ. 100 გვ.

8.მიქაბერიძე მ. ხილ-ბოსტნეულის სამაცივრო ტექნიკა–ტექნოლოგია. დამხმარე სახელმძღვანელო.Aაკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქ. ქუთაისი.2013. 216 გვ.

9. ჩავლეიშვილი ა. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია. გამომცემლობა „განათლება". თბილისი, 1988, 508გვ.

10. Kavetskiy G., Vasiliev B. Processes and apparatuses of food technology, Moscow "Kolos", 2000, p. 551.

11. Pigarev V. Arkhipov P. Refrigerating machines and air conditioning units. Publishing house "Marshrut". Moscow. 2003, p.423.

12. Gorev S. Automation of refrigeration units and control equipment. Lecture course. Publishing house KSTU. Petrozavodsk-Kamchatsky. 2008, p.116.

13. Krzhimovsky V.E., Skripkin V.V., Filyunin G.I. Domestically built refrigeration sections. Moscow: Transport, 1983. — 184 p.

14. Kurylev E.S., Gerasimov N.A. Refrigeration units. 2nd edition, add. L.; Mechanical Engineering, 1970. — 672 p.

15. Langley B.K. Refrigeration Engineering and Air Conditioning. Moscow: Light and Food Industry, 1981. — 480 p.

16. Installation and Operation Manual: Air Conditioning Unit for UKV-31 Passenger Cars. Moscow:

Transport, 2000. 400 p.
17. Heat Exchangers of Heat Exchange Units / G.N. Danilova, S.N. Bogdanov, O.P. Ivanov et al.; Ed. by G.N. Danilova. Leningrad: Mechanical Engineering, 1986. - 303 p.
18. Guide to Calculating the Heat Balance of Cold Storage Chambers and Selecting the Main Design Parameters of Refrigeration Units. JSC OSTROV. Moscow. 2003, p. 60.
19. Obolensky N. V., Zhuravlev A. P., Denisyuk E. A. Practical training in refrigeration and ventilation equipment: Textbook for universities. Publishing house Kolos, 2007, p. 305

Application of new freezing technologies for introduced, repaired raspberry (Rubus idaeus) in Western Georgia

Inga. Gaprindashvili*; Narguli. Asanidze; Mamuka. Turmanidze; Khatuna. Gamkrelidze; Tamila. Ardemanashvili

Batumi Shota Rustaveli State University, Ninoshvili St. N 35, Batumi, 6010, Georgia,

Abstract

In almost every region of Georgia there are agricultural areas with favorable agro-climatic conditions for growing raspberries (Rubus idaeus). Although raspberries are not currently grown in large quantities in Georgia, there is great potential for expanding the production of this crop. Those farmers who can ensure a stable supply of high-quality raspberries have good sales opportunities both within the country and abroad. Raspberries are a perishable fruit, therefore it is necessary to use a new freezing technology for its storage, which is implemented by fluidized bed quick-freezing machines. These devices are characterized by minimal drying, preservation of product quality and fast freezing. The aim of the study is to determine the advantages of these devices over other refrigeration equipment. The product frozen in this way is well priced and can be stored without spoilage. We have stored raspberries in such devices, where the optimal temperature for raspberry storage is -1 - 0 °C (30 - 32 °F), and > 90% humidity conditions. The following air regulation regime is acceptable for raspberries: 10-20% CO2 + 5-10%O2. In this way, the original quantitative content of biologically active substances, appearance and taste properties are preserved in frozen raspberries. As Georgia strives to join the European Union, the production of safe and standardized, controlled products becomes more relevant.

Keywords: raspberry (Rubus ideaus L.), fluidized bed blast freezer, HACCP.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 2, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.02.71



გამხსნელის ბუნების გავლენის კვლევა პოლიეთერსულფონური მემბრანის წარმადობაზე

გიორგი ბიბილეიშვილი[1], მზია კეჟერაშვილი[2], ნანა გოგესაშვილი[3], ლიანა ყუფარაძე[4], ელენე კაკაბაძე[5]

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი

[1]დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი-e-mail:75bibileishvili@gmai.com ORSID ID:http:/orsid/0009-0003-7712-2436; [2]დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი-e-mail: kezherashvilimzia@gmai.com ORSID ID:http:/orsid/0009-0001-9491-7949

რეზიუმე

შესწავლილია გამხსნელების დიმეთილფორმამიდის (DMF), დიმეთილაცეტამიდის (DMAc), დიმეთილსულფოქსიდის (DMSO) გავლენა პოლიეთერსულფონის (PES 5900) ბაზაზე დამზადებული მემბრანების მორფოლოგიასა და ხვედრით წარმადობაზე. ფორწარმომქმნელ აგენტად გამოყენებული იქნა პოლივინილპიროლიდონი (PVP), რომელიც ამაღლებს მემბრანის ჰიდროფილურობას და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მიღებული პოლიმერული მემბრანის სხვადასხვა თვისების რეგულირებაში. ნაჩვენები იქნა, რომ განსხვავებული ზედაპირის სტრუქტურისა და ხვედრითი წარმადობის მქონე მემბრანები, რაც დამოკიდებულია შერჩეული გამხსნელების ფიზიკურ-ქიმიური ბუნებაზე, პოლიმერს, გამხსნელს და არაგამხსნელს შორის ხსნადობის პარამეტრების სხვაობით. კოაგულაციის პროცესში, DMSO-ს დაბალი აფინურობა PES-ის მიმართ და მაღალი აფინურობა წყლის მიმართ განაპირობებს გამხსნელსა და არაგამხსნელს შორის ურთიერთქმედების გაძლიერებას და უზრუნველყოფს ფაზური ინვერსიის პროცესში კოაგულაციის ოპტიმალურ სიჩქარეს. მიღებული იქნა მიკროფილტრაციული მემბრანები 0,24-0,9 მკმ ფორის ზომის დიაპაზონში, რომელთა ტესტირება ტარდებოდა ინსტიტუტში შექმნილ ლაბორატორიულ დანადგარზე. გამხსნელად DMSO-ის გამოყენების შემთხვევაში, მიიღება მაღალი წარმადობის მემბრანები (2184ლ/მ სთ), რომელიც 47.16% და 44.13%-ით აღემატება შესაბამისად PES/DMF/წყალი და PES/DMAc/წყალი სისტემიდან მიღებული მემბრანების წარმადობას. PES გახსნის პროცესის მონიტორინგი ხორციელდებოდა პოლარიზაციულ-ინტერფერენციული მიკროსკოპით (Biolar). ხსნარებში ნაწილაკების ზომა, კონცენტრაცია და დისპერსიულობის ინდექსი შესწავლილი იქნა სინათლის გაბნევის დინამიური მეთოდით (Zetasizer Nano Zen3690, Malvern Instruments), მემბრანების სტრუქტურა და მორფოლოგია მასკანირებელი ზონდური (ტუნელური) მიკროსკოპით (Certus Standard V, Nano Can Technologies).

საკვანძო სიტყვები: მემბრანები, გამხსნელები, წყალი, მიკროფილტრაცია, ფაზური ინვერსია.

შესავალი სუფთა სასმელი წყლის ნაკლებობასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების გადასაჭრელად, ეკოლოგიური ბალანსის და ეკონომიკის სტაბილური ზრდის შესანარჩუნებლად საჭიროა წყლის რესურსების სწორი მენეჯმენტი და მდგრადი მართვა. ამ მიმართულებით სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს წყლის დამუშავების მემბრანული დაყოფის პროცესები და ტექნოლოგიები, სადაც პრიორიტეტი ენიჭება კვლევებს შემდეგი ძირითადი მიმართულებით: დაბალი დაბინძურების მემბრანების შემუშავება, მემბრანის ხვედრითი წარმადობის, სელექტიურობის გაუმჯობესება, მემბრანის მომსახურების ხანგრძლივობის გაზრდა, ენერგიის მოხმარებისა და ქიმიკატების გამოყენების შემცირება [1-3]. მემბრანული ფილტრაციის პროცესებს აქვთ გამოყენების ფართო სპექტრი როგორც სამრეწველო, ისე კომერციული გამოყენების თვალსაზრისით სხვადასხვა წარმოშობის ბუნებრივი წყლების გასუფთავების, გაუსნებოვანების და რეგენერაციისათვის საკვები პროდუქტების, სასმელების წარმოებაში, ფარმაცევტულ მრეწველობაში, სამრეწველო ნარჩენების დამუშავების პროცესებში [4-5]. პოლიეთერსულფონის (PES) ბაზაზე დამზადებულ მემბრანებს გააჩნიათ მაღალი თერმული, ქიმიური სტაბილურობა და დაბალი ჰიდროფილურობა, რაც ზღუდავს PES მემბრანების ფართოდ გამოყენებას. ამიტომ აქტუალურია კვლევები, რომლებიც მიმართულია მემბრანების წარმადობის, მორფოლოგიის, ჰიდროფილურობის, საექსპლოატაციო ვადების გასაუმჯობესებლად, რაც უზრუნველყოფს მათი გამოყენების არეალის გაფართოებას წყალხსნარებისა და მათ ბაზაზე დამზადებული პროდუქტებისთვის [6-11].


სამუშაოს მიზანი და ანალიზი კვლევაში შესწავლილია გამხსნელების DMF, DMAc, DMSO გავლენა პოლიეთერსულფონის- PES5900 ბაზაზე მიღებული მემბრანების ფორის ზომებსა და ხვ. წარმადობაზე. PES/DMF, PES/DMAc და PES/DMSO სისტემებიდან მემბრანები იწარმოებოდა ფაზური ინვერსიის სველი მეთოდით, რომელიც პოლიმერული მემბრანების ფორიანობის, ფორების ზომისა და ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების რეგულირების საშუალებას იძლევა. მემბრანის მისაღები პოლიმერული კომპოზიციის შედგენილობა მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. პოლიმერული კომპოზიციის შედგენილობა

	მემბრანა	PES (wt.%)	DMF (wt.%)	DMAc (wt.%)	DMSO (wt.%)	PVP40 (wt.%)
M1	PES/DMF	15	85	-	-	-
M2	PES/DMAc	15	-	85	-	-
M3	PES/DMSO	15	-	-	85	-
M4	PES/DMF/PVP40	15	-	-	82	3
M5	PES-DMSO-PVP40	15	-	-	82	-
M6	PES/DMAc/PVP40	15	82	-	-	3

პოლიმერის გახსნის პროცესის მონიტორინგი ხორციელდებოდა სინათლის გაბნევის დინამიური მეთოდით, რომლის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ხსნარებში ნაწილაკების ზომები და დისპერსიულობის ინდექსი ძირითადად დამოკიდებულია გამხსნელის ბუნებაზე, ხსნარების მომზადების ტემპერატურასა და კონცენტრაციაზე.

მიღებული მემბრანების ზედაპირები შესწავლილი იქნა მასკანირებელი ზონდური (ტუნელური) მიკროსკოპით. მემბრანის ზედაპირების შესწავლამ აჩვენა (სურათი 1), რომ მიღებული მემბრანებს ზედაპირის განსხვავებული სტრუქტურა და ფორიანობა გააჩნია. PES/DMSO(M3) მემბრანის ზედაპირის ფორიანობა მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე PES/DMF(M1) და PES/DMAc(M2) მემბრანების.



სურათი 1. PES/DMF (M1), PES/DMAc (M2), PES/DSO(M3) მემბრანების 2D მიკროფოტოგრაფიული სურათები

ცლილებები მემბრანის მორფოლოგიაში შესაძლებელია აიხსნას პოლიმერის, გამხსნელის და არაგამხსნელის ხსნადობის სხვადასხვა პარამეტრით(δ), რომელიც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაზური ინვერსიის სველი მეთოდით მემბრანების მიღების პროცესში.

ცხრილი 2. ხსნადობის პარამეტრები

გამხსნელი (S)/არაგამხსნელი (NS)/პოლიმერი(P)	δ t/MPa$^{1/2}$
დიმეთილაცეტამიდი (S)	22.77
დიმეთილფორმამიდი (S)	24.86
დიმეთილსულფოქსიდი(S)	26.7
წყალი (NS)	47.8
პოლიეთერსულფონი (P)	24.20
პოლივინილპიროლიდონი	32,54

δP-S მცირე სხვაობა გამხსნელსა და პოლიმერს δP-S შორის მიუთითებს მათ შორის ძლიერ ურთიერთქმედებაზე და მაღალ თერმოდინამიკურ სტაბილურობაზე. ურთიერთქმედება

PES/DMF შორის უფრო ძლიერია, ვიდრე DMAc-თან და DMSO-თან, რაც მიუთითებს, რომ DMF უკეთესი გამხსნელია PES-ისთვის. რადგან ასევე დაბალია δS-NS (გამხსნელი-არაგამხსნელი) მნიშვნელობა, შესაბამისად DMSO/წყალი ურთიერთქმედება უფრო ძლიერია, ვიდრე DMF/წყალი და DMAc/წყალი. კოაგულაციის პროცესში DMSO-ს დაბალი მიდრეკილება PES-თან და მაღალი წყლის მიმართ იწვევს პროცესის ოპტიმალურ სიჩქარეს გამხსნელსა და არაგამხსნელს შორის ურთიერთქმედების გაძლიერების გამო. DMSO გამხსნელად გამოყენების შემთხვევაში მიიღება უფრო მაღალი ფორიანობისა და წარმადობის მემბრანები, ვიდრე DMF-ისა და DMAc-ის შემთხვევაში (ცხრილი 3). მემბრანის ხვედრითი წარმადობა განსაზღვრული იქნა 20 ტემპერატურის და 1 ბარი წნევის პირობებში. PES/DMSO (M3) მემბრანის ხვ. წარმადობა 47.16%-ით და 44.13%-ით მაღალია შესაბამისად PES/DMF, PES/DMAc სისტემიდან მიღებულ მემბრანების წარმადობაზე. ეს შედეგები დადასტურებულია მასკანირებელი ზონდური მიკროსკოპის ანალიზით, რომლის მიხედვითაც M3 მემბრანას გააჩნია მაღალი ფორიანობა (სურათი 1)

ცხრილი 3. მემბრანების ფორის ზომები და ხვ. წარმადობა

მემბრანის კოდი	მემბრანები	ფორის ზომა mμ	ხვ. წარმადობა $\boldsymbol{L/m^2\,h}$
M1	PES/DMF	0,58	1030
M2	PES/DMAc	0,61	964
M3	PES/DMSO/	0,56	2184
M4	PES/DMF/PVP40	0,9	1272
M5	PES/DMAc/PVP40	0,38	858
M6	PES/DMSO/PVP40	0,24	1560

მემბრანის კომპოზიციაში დანამატად PVP-ის გამოყენების დროს მიღებულ მემბრანებს აქვთ უფრო დიდი ზომის ფორები, ვიდრე უდანამატო მემბრანებს (ცხრილი 3). ეს აიხსნება იმით, რომ PVP-ის δt უფრო ახლოს არის წყლის δt მნიშვნელობასთან, ვიდრე PES-ის δt წყალთან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ PVP-ს აქვს უფრო მაღალი აფინურობა წყლის მიმართ, მოქმედებს როგორც ფორების წარმომქმნელი და წარმოქმნის დიდი რაოდენობით ფორებს მემბრანაში.

შედეგი და დასკვნა მემბრანული პროცესის ეფექტურობის გაუმჯობესება ეკონომიური და ეკოლოგიურად სუფთა წყლის მისაღებად შემუშავდა და დამზადდა მიკროფილტრაციული მემბრანები, რომელთა ფორიანობის და წარმადობის გაზრდა განხორციელდა პოლარული აპროტონული გამხსნელებით, რომლებიც ახდენენ მემბრანების სტრუქტურის მოდიფიცირებას. პოლარული გამხსნელების საშუალებით განხორციელდა ფაზური

ინვერსიის პროცესის სიჩქარის კონტროლი ფორების თანამიმდევრობით განაწილებისათვის, რამაც ფილტრაციის ეფექტურობის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. P. D. Amin, V. Bhanushali, S. Joshi: Role of Polyvinlyppyrrolidone in Membrane Technologies," International Journal of ChemTech Research, vol. 11, no. 9, pp. 247–259, (2018).

2. Sophie Cerneauxa, Izabela Struzynska, Wojciech M. Kujawski, Michel Persina, André Larbot: Comparison of various membrane distillation methods for desalination using hydrophobic ceramic membranes, Journal of Membrane Science, 337, 55–60, (2009)

3. K. Elsaid, E.T.Sayed, M.A.Abdelkareem, M.S. Mahmoud, M.Ramadan: Environmental impact of emerging desalination technologies: A preliminary evaluation. J. Environ. Chem. Eng**. 8** (2020).

4. B.Keskin, T.Ormancı-Acar, T.Türken, D.Y. Imer, I. Koyuncu: Effect of wetting agent on the dye filtration performance of ultrafiltration membrane. Water Sci. Technol., (82) 577-586 (2020).

5. X. Wei, Z. Wang, J. Wang, and S. Wang, "A novel method of surface modification to polysulfone ultrafiltration membrane by preadsorption of citric acid or sodium bisulfite," vol. 3, no. 1, pp. 35–49, 2012.

6. W. Sun, J. Liu, H. Chu, and B. Dong: Pretreatment and membrane hydrophilic modification to reduce membrane fouling, Membranes (Basel), **3**, (3), 226–241, (2013).

7. G. BIBILEISHVILI, M. KEZHERASHVILI, N. GOGESASHVILI, L. KUPARADZE: Effect of the Temperature of the Non-Solvent on the Morphology of the Polymeric Membrane. European Journal of Scientific Research (EJSR), 161 (1), 5 (2022).

8. G. V. BIBILEISHVILI, M.G. KEZHERASHVILI, M.A. MAMULASHVILI: Effect of Different Solvent and Fore-Forming Agent on Morphology and Performance of Polyethersulfone Membranes. Oxidation Communications,Vol. 47, No 3, (2024).

9. A. K Holda, F. J. Vankelecom, Understanding and guiding the phase inversion process for synthesis of solvent resistant nano filtration membranes J. APPL. POLYM. Sci. 2015, 442,1-17

10. A. Abdelrasoul, H. Doan, A. Lohi, C.H. Cheng, Morphology control of polysulfone membrane sinfiltration processes: A critical review, ChemBioeng Rev., 2, 22–43, (2015)

11.G.BIBILEISHVILI, M.KEZHERASHVILI, N.GOGESASHVILI, L.KUPARADZE: Influence of Some Factors on Characteristics of Poly-m-phenylene-isophthalamide Membranes-Preparation and Examination of Polyamide Membranes. Oxidation Communications, 45 (2), 300 (2022).

Study of the influence of the nature of the solvent on the performance of polyethersulfone membranes

Georgi Bibileishvili[1], Mzia Kezherashvili[2], Nana Gogesashvili[3], Liana Kuparadze[4], Elene kakabadze[5]

Engineering Institute of Membrane Technologies of Georgian Technical University

Abstract

The influence of solvents dimethylformamide (DMF), dimethylacetamide (DMAc), dimethyl sulfoxide (DMSO) on the morphology and specific productivity of membranes made on the basis of polyethersulfone (PES 5900) was studied. Polyvinylpyrrolidone (PVP) is used as a pore-forming agent, which increases the hydrophilicity of the membrane and plays an important role in regulating various properties of the resulting polymer membrane. It is shown that membranes with different surface structure and specific productivity depending on the physicochemical nature of the selected solvents, the difference in the solubility parameters of the polymer, solvent and non-solvent. During the coagulation process, the low affinity of DMSO for PES and the high affinity for water lead to increased interaction between the solvent and non-solvent and ensure an optimal coagulation rate during the phase inversion process. Microfiltration membranes in the pore size range of 0.24-0.9 μm were obtained and tested on a laboratory setup created at the institute. In the case of using DMSO as a solvent, high-performance membranes (2184 l/m^2 h) were obtained, which is 47.16% and 44.13% higher than the productivity of membranes obtained from PES/DMF/water and PES/DMAc/water systems, respectively. The process of PES dissolution was monitored using a polarization interference microscope (Biolar). The particle size, concentration and dispersion index in solutions were studied by dynamic light scattering (Zetasizer Nano Zen3690, Malvern Instruments), the structure and morphology of the membranes were studied by scanning probe (tunneling) microscopy (Certus Standard V, Nano Can Technologies).

Key words: membranes, solvents, water, microfiltration, phase inversion